ნანა ტონია
ქეთი ნადარეიშვილი

პენელოპე

ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები

ავტორები უდიდეს მადლობას მოვახსენებთ ჩვენს
რედაქტორს, მანანა ღარიბაშვილს, მხატვარს,
გუგა კოტეტიშვილს და რეცენზენტს, ქეთევან აბესაძეს,
რადგანაც სწორედ მათი გულისხმიერი თანადგომით,
კეთილგანწყობითა და უანგარო ძალისხმევით
მიეცა ხიბლი ამ წიგნს.

რედაქტორი:	მანანა ღარიბაშვილი
მხატვარი:	გუგა კოტეტიშვილი
დიზაინი:	ბესიკ დანელია
რეცენზენტები:	ქეთევან აბესაძე დალი ქურიძე

© პროგრამა „ლოგოსი“, 2003

ISBN 99928-65-97-0

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,
თბილისი 380079
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81
ელ. ფოსტა: logos@caucasus.net

სარჩევი

შესავალი 11 - 83

მინოსური სამყაროდან
კლასიკამდე (ნ. ტონია) 11 - 28

ქალი კლასიკურ ეპოქაში
(ქ. ნადარეიშვილი) 29 - 63

ქალი ელინისტურ სამყაროსა
და რომში (ნ. ტონია) 65 - 83

პორტრეტები 85 - 409

პოეტესები (ნ. ტონია) 87 - 141

საპფო 89 - 101
კორინა 103 - 107
ერინა 109 - 117
ნოსისი 119 - 121
ანიტე 123 - 127
მოირო 129 - 131
სულპიცია 133 - 141

ქალები

საზოგადო სარბიელზე 143 - 343
(ქ. ნადარეიშვილი)

ოლიმპიასი 145 - 159
ბერენიკე 161 - 167
სოფონისბა 169 - 175
კალპურნია. 177 - 183
ფულვია 185 - 193
ლივია 195 - 211
ოქტავია უმცროსი 213 - 217
იულია უფროსი 219 - 227
აგრიპინა უფროსი 229 - 237
მესალინა 239 - 247
აგრიპინა უმცროსი 249 - 261
პლოტინა 263 - 267
საბინა 269 - 271
დომიცია ლუცილა 273 - 277
ფაუსტინა უმცროსი 279 - 285
ლუცილა 287 - 291
ვალერია 293 - 301
ზენობია 303 - 311
ელენე 313 - 317
ფაუსტა 319 - 323
კონსტანტინა 325 - 329
გალა პლაციდია 331 - 339
ჰონორია 340 - 343

ქალები
რომლებიც უყვარდათ 345 - 409
(ნ. ტონია)

ასპასია 347 - 353

არსინოე მეორე 355 - 363

კლეოპატრა 365 - 393

ლესბია 395 - 403

კალპურნია 404 - 409

ლიტერატურა 411 - 422

მინოსური სამყაროდან კლასიკამდე

„ჩვენ შეგვიძლია მოგონება მრავალი ამბის, ისე მოყოლა, ჭეშმარიტად მომხდარა თითქოს, და რაც მომხდარა ჭეშმარიტად, იმასაც გამცნობთ, თუ მოვისურვეთ...“

უთხრეს მუზებმა ჰესიოდეს.
(„თეოგონია“, 27-28)

ოდესლაც სპარტის დედოფალმა გორგომ ერთ უცხოელ ქალს, რომელიც ქილიკობდა, სპარტელი ქალები სპარტელ კაცებს განაგებენო, ასე მიუგო: „ნამდვილ კაცებსაც მხოლოდ ჩვენ ვშობთო“.[1] დიახ, ასეა და მაინც, კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის ჩვენთვის ცნობილი საწყისი ეტაპები მკვეთრად ჩამოყალიბებული პატრიარქალური ურთიერთობებით ხასიათდება. იმჟამინდელ საზოგადოებათა აბსოლუტურ უმეტესობაში ქალის ადგილი განსაზღვრულია, თუმცა შეინიშნება გარკვეული ცდაც ამ რეგლამენტაციის გარღვევისა, იმ სფეროების ძიებისა, სადაც ქალები შეძლებდნენ მამაკაცებთან გათანაბრებას. იმ შორეულ საუკუნეებში ქალის უფლებათა შეზღუდვით ძველი აღმოსავლური საზოგადოებები გამოირჩეოდნენ. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ იქ ჩამოყალიბდა პირველად აზრი ბოროტებისა და მაცდურობის ქალური საწყისის თაობაზე, რამაც თავისი გამოვლენა ჰპოვა ბიბლიაში.[2]

უკანასკნელ ხანებში ძველ სამყაროსთან დაკავშირებით დომინირებს საკმაოდ საინტერესო კონცეფცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია საუბარი კაცობრიობის განვითარების ორ ფაზაზე: უფრო ადრეულისთვის დამახასიათებელია მშვიდობიანობა, შედარებით გვიანდელისთვის — ომებისაკენ ლტოლვა და აგრესიულობა.[3] ამ კონცეფციის თანახმად, ომის ის

---

[1] პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები“, ლიკურგოსი, 14.
[2] Bibel Lexikon, Hrsg. von H. Haag, St. Bennoverlay, Leipzig, 1969.
[3] რ. გორდეზიანი, ნინაბერძნული და ქართველური, თბილისი, 1985, გვ. 134 და შმდგ.

ჟინი, რომელმაც შეიპყრო კაცობრიობა, თავიდანვე არ იყო ჩადებული ადამიანში და ათასწლეულების განმავლობაში საზოგადოება, ყოველი შემთხვევისათვის, ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში მაინც (სადაც აღმოჩნდა ძველი ცივილიზაციები), საკმაოდ მშვიდობიანად ვითარდებოდა. ეს ე.წ. მშვიდობიანი ფაზა დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების ე.ნ. მატრილინეალურ ეპოქასთან, როდესაც საზოგადოების არსებობის ძირითადი სადავეები ქალთა კონტროლს ექვემდებარებოდა და ქალები, თუ უფრო მაღლა არა, მამაკაცებზე დაბლა არ იდგნენ. ასეთი სურათი იყო მანამ, ვიდრე დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულისათვის ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა, უპირატესად ინდოევროპულმა ტომებმა ამ რეგიონში ახალი სული არ შემოიტანეს. აქედან იწყება განვითარების ახალი ფაზა, რომელსაც პატრილინეალურს უწოდებენ და რომლის დროსაც შეინიშნება მამაკაცის მიერ ქალის დათრგუნვა. საზოგადოება ომებისა და აგრესიულობისაკენ ლტოლვას ამჟღავნებს. თუმცა ხმელთაშუაზღვისპირეთის სუბსტრატული მოსახლეობით დასახლებული ზოგიერთი რეგიონი მაინც ინარჩუნებს მატრილინეალური ეპოქის სულს და აქედან გამომდინარე, ქალის გამორჩეულ, განსაკუთრებულ მდგომარეობასაც საზოგადოებაში. ეს ეპოქალური მომენტია, ალბათ, ასახული სპარტის დედოფლისა და უცხოელი ქალის დიალოგში, რაც ესოდენ ლაკონურად და ხატოვნად შემოგვთავაზა პლუტარქემ.

ჩვენამდე მოაღწიეს ცნობებმა იმის თაობაზე, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალები ცდილობდნენ, მიეღწიათ საზოგადოებაში იმ პოზიციებისათვის, რომლებიც თითქოს საკუთრივ მამაკაცურ სფეროებს განეკუთვნებოდნენ. ცნობილია, რომ იყვნენ მმართველი ქალები, ქურუმი ქალები, გადამწერი (თუ აღმწერი) ქალები და ა.შ. ყურადღებას იპყრობს ასირიის ერთ-ერთი მმართველის წერილი, სადაც ის ადრესატს ატყობინებს, რომ ტექსტი დაწერილია ქალის მიერ და ამის გამო ბოდიშს იხდის. როგორც ჩანს, იმ ხანად ქალს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მამაკაცთან გათანასწორების გზა უკავშირდებოდა განათლებას, ინტელექტუალურ შრომას. ერთ-ერთ ძველ აღმოსავლურ დოკუმენტში დადასტურებულია ქალის ასეთი ფრაზა: „ჩემი საუბარი მაძლევს შესაძლებლობას, შემადარონ მამაკაცს".[4]

რაც შეეხება ანტიკურ საზოგადოებას, მან თითქოს მემკვიდრეობად მიიღო, ქალთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ორი მიმართულება: ერთი, რომელიც გარკვეულწილად ცნობს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, და მეორე, რომელიც მიისწრაფვის საზოგადოებაში ქალთა უფლებების შეზღუდვისაკენ. შესაბამისად, ანტიკურ საზოგადოებაში, რომელიც პატრილინეალური ფაზის გაგრძელებას წარმოადგენს, შეინიშ-

[4] I. Seibert. Die Frau im Alten Orient, Leipzig, 1973, გვ. 58-59.

ნება მატრილინეალური ფაზის მომენტებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ანტიკურ სამყაროში, საკმაოდ გვიანდელ ეპოქამდეც კი, გვხვდება ქვეყნები და პოლისები, სადაც ქალთა როლი საზოგადოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

და მაინც, რაოდენ პატრიარქალურიც არ უნდა ყოფილიყო ანტიკური საზოგადოება, იქ მიმდინარე პროცესებმა საკმაოდ ადრე გამოავლინეს ქალთა ემანსიპაციის ტენდენციები. და ეს სავსებით ბუნებრივია, რამეთუ დღევანდელი ევროპული საზოგადოებისთვის ესოდენ გამოკვეთილი იდეალი მოქალაქეობრივი, პიროვნული თავისუფლებისა, სწორედ ანტიკურ საბერძნეთში იღებს დასაბამს. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი გამიჯვნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც საბერძნეთში, ისტორიაში პირველად, ასპარეზზე გამოვიდნენ დიდი პიროვნული თავისუფლების მქონე მოქალაქეთა სახელმწიფოები – პოლისები და თუმცა მათ მემკვიდრეობად დაიტოვეს პატრიარქალური შეხედულებები ქალის ადგილის თაობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ შეიძლებოდა იქ საკმაოდ ადრე არ გამოვლენილიყო ქალთა ემანსიპაციის ნიშნები არა მარტო პრაქტიკული ყოფის, არამედ თეორიული აზროვნების დონეზეც. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა თავისი რეალური შედეგებიც.[5]

დღეს საყოველთაო ინტერესს ინვევს ის გზა, რომელიც ფემინიზაციისა თუ ქალის ემანსიპაციის იდეამ გაიარა ანტიკურ საზოგადოებაში. ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება მრავალრიცხოვანი სტატია, მონოგრაფია თუ კრებული; ამ თემაზე ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმები და კონფერენციები. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ეს პრობლემა, ერთის მხრივ, დასავლეთის სამყაროს ქალთა ემანსიპაციის ეპოქაში, ხოლო მეორეს მხრივ, სხვადასხვა რელიგიური მიმართულებების მქონე ქვეყნებში ქალთა უფლებების მკვეთრი რეგლამენტაციის პირობებში, ფრიად აქტუალურია. ამ მხრივ ანტიკური სამყაროს შესწავლამ, შესაძლოა, მრავალ ბუნდოვან საკითხს მოჰფინოს ნათელი.

[5] S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელი გახადეს, რომ ბერძნული მითების ანუ გმირთა სამყარო არ იყო მხოლოდ ელინთა ფანტაზიის ნაყოფი, რომ ძვ.წ. მეორე ათასწლეულში და უფრო ადრეც ხმელთაშუაზღვისპირეთში, კერძოდ, ეგეოსის ზღვის აუზში მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცივილიზაციები არსებობდნენ. შესაბამისად, საკვლევად აშკარა გახდა ეგეოსური სამყაროს რეალობა. მან გადმოლახა მითოპოეტური ინფორმაციის საზღვრები და ჩვენს ცნობიერებაში შემოვიდა, როგორც ისტორიული სინამდვილე, როგორც სისტემა იმ კულტურათა, რომლებთანაც დაკავშირებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბრწყინვალე დასახლებები, ნაგებობები, ნივთები. ნათელი გახდა ისიც, რომ ბერძნები ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდნენ არა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში, როგორც მანამდე ეგონათ, არამედ უკვე ბრინჯაოს ხანაში, და რომ ისინი, რომელთაც, ბერძნულ მითთა თანახმად, ლაშქრობა მოაწყვეს კოლხეთში, რომლებიც იბრძოდნენ თებეს კედლებთან, რომლებმაც დაიწყეს ტროას ომი, მართლაც ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ.[6] ამასთანავე დადასტურდა ბერძენ ავტორთა ცნობების ჭეშმარიტება იმის თაობაზე, რომ ელინებს ეგეიდაში დახვდნენ წინაბერძნული ტომები, რომელთაც ჰქონდათ ცივილიზაციის შესანიშნავი კერები, დიდი ხნის განმავლობაში რომ იწვევდნენ ელინთა გაოცებასა და აღტაცებას თავიანთი ბრწყინვალებითა და დიდებულებით. შესაბამისად, ეგეოსურ კულტურაში გამოიკვეთა ცივილიზაციის განვითარების ორი ძირითადი ნაკადი. ერთს, შედარებით ადრეულს,

[6] მიმოხილვისათვის შდრ.: რ. გორდეზიანი, ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში, „მიმოხილველი", 4-5, 1968.

პირობითად წინაბერძნული შეიძლება ვუწოდოთ, ხოლო მეორეს — მიკენური, ანუ საკუთრივ ბერძნული. ჩვენ ამჟამად არ შევაჩერებთ დეტალურად ყურადღებას იმაზე, თუ რა იყო დამახასიათებელი თითოეული ამ ნაკადისათვის, რითი განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან ან რამდენად მოექცა ბერძნული კულტურა წინაბერძნული კულტურის გავლენის ქვეშ. გამოვყოფთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ასპექტს, კერძოდ, ქალის ადგილს საზოგადოებაში და მის როლს ცივილიზაციის ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით წინაბერძნულსა და ელინურ მსოფლაღქმას შორის საკმაოდ პრინციპული განსხვავება უნდა არსებულიყო უკვე იმ შორეულ წარსულში. როდესაც ჩვენ წინაბერძნულ ცივილიზაციაზე ვმსჯელობთ, ალბათ, მის ყველაზე უფრო ტიპიურ წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ მინოსური კრეტა რამდენიმე მოსაზრების გამო: უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ასე თვლიდნენ თავად ელინები; მეორეც იმიტომ, რომ მთელს წინაბერძნულ სამყაროში ჩვენ არ მოგვეპოვება უფრო ბრწყინვალე და მნიშვნელოვანი ცივილიზაცია, ვიდრე იყო მინოსური კრეტის კულტურა. იგი ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრამდე თავის გაყვლენასა და კონტროლს უქვემდებარებდა მთელს ეგეიდას, მათ შორის, ბუნებრივია, მიკენურ საბერძნეთსაც. და რაც მთავარია, ყოველივე ამის დასადასტურებლად მოგვეპოვება საკმაოდ უხვი არქეოლოგიური მასალა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალი მინოსურ კულტურაში სრულიად განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. ამაზე მიგვითითებს მრავალი გარემოება. მათ შორის ქალთა გამოსახულებების სიუხვე, ფრესკული ფერწერისა თუ მინოსური პლასტიკის ნიმუშები. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე პოპულარული საკულტო ფიგურა კუნძულ კრეტაზე იყო ქურუმი ქალი გველებით ხელში, რომლის უამრავი პლასტიკური გამოსახულებაა აღმოჩენილი. ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა ქალის, როგორც ნაყოფიერების საწყისისა და კულტში ძირითადი ფიგურის ჭეშმარიტი დადასტურების ფაქტი. ასევე არ შეიძლება არ გავიხსენოთ მინოსელი ქალების ისეთი პოპულარული ფრესკული სახეები, როგორიც არის „პარიზელი ქალი", „ერთმანეთში მოსაუბრე მინოსელი ქალები" და სხვა.[7] ბუნებრივია, ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა ვისაუბროთ მინოსურ კრეტაზე მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის არსებობის შესახებ? დღეს ამ საკითხზე ცალსახად პასუხის გაცემა შეუძლებელია, რამეთუ წერილობით ფიქსირებული ლიტერატურული წყაროები არ მოგვეპოვება, აგრეთვე იმის გამო, რომ A-ხაზოვანი წარწერები და ფესტოს დისკო ჯერჯერობით არ არის გაშიფრული. დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, ინახავენ თუ არა ეს წარწერები იმ ინფორმაციას, რომელსაც ლიტერატურული შეიძლება ეწოდოს. და მაინც, ზოგი ირიბი მონაცემი იძლევა იმის თქმის

[7] F. Schachermeyr, Die Minoische Kultur des Alten Kreta, Thera und das Mykenische Hellas, München, 1973².

საშუალებას, რომ მინოსურ კრეტაზე წერილობით ფიქსირებული ლიტერატურის ფაქტი დასაშვებია. კერძოდ: კრეტაზე არის საკმაოდ განვითარებული დამწერლობის სისტემა, რომელიც განსხვავებით მიკენური საბერძნეთისაგან და ძველაღმოსავლური ცივილიზაციისაგან არ არის ლიმიტირებული მხოლოდ გადამწერთა თუ ფიქსატორთა ვიწრო წრით. მინოსური დამწერლობა, როგორც ჩანს, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული კრეტის მოსახლეობაში. გარდა ამისა, მინოსური კრეტის აღმავლობის პერიოდში ყველა მისი რანგის ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოში ამა თუ იმ ფორმით არსებობდა წერილობით ფიქსირებული ლიტერატურა. და ბოლოს, როგორც კუნძულ თერაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფრესკებიდან ჩანს, მინოსური კულტურის მატარებელთა შორის საკმაოდ პოპულარული იყო ე.წ. ნარატიული მრავალფიგურიანი და რთულკომპოზიციური ფრესკული ფერწერა. ხშირად ეს სურათები ასახავენ ამბებს, რაც მინოსური სამყაროსგან საკმაოდ მოშორებით უნდა მომხდარიყო. სავსებით ბუნებრივია დავუშვათ, რომ ეს ნარატიული ფრესკები წარმოადგენდნენ რაღაც ცნობილი ამბების თუ სიუჟეტების გადმოცემას. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ასეთი ამბები და სიუჟეტები ფიქსირებული იყო კრეტაზე ლიტერატურული ნაწარმოებების სახით.[8]

თუკი ამ ვარაუდს მივიღებთ, ბუნებრივია დავუშვათ, რომ მათ შორის, ვინც ამ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქმნიდა, შესაძლებელია, ყოფილიყვნენ ქალებიც, რამეთუ მათ, როგორც ცნობილია, საკმაოდ აქტიური როლი ენიჭებოდათ საზოგადოებაში. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამას მოწმობს მინოსურ კრეტაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი გამოსახულებები ქალთა ქოროებისა. ჩანს, ისინი ასრულებდნენ ფერხულს სიმღერის თანხლებით, რაც ალბათ გარკვეულ ტექსტს გულისხმობდა. მრავალრიცხოვან ნიმუშთა შორის შეიძლებოდა დაგვესახელებინა მინოსურ-მიკენური ეპოქის სალოცავზე წარმოდგენილი მოცეკვავე ქალები. ეს სალოცავი კლასიკურ ეპოქაში ეძღვნებოდა დიონისეს და, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ გამოსახულნი არიან მენადების პროტოტიპები.

ყურადღებას იმსახურებს ძ.წ. XVI-XV საუკუნეთა მიჯნით დათარიღებული მინოსური ოქროს ბეჭედი ისპატადან კნოსოსის მახლობლად, რომელზეც გამოსახულია ოთხი ქალის ცეკვა.[9]

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამის გვერდით გვხვდება ფერწერისა თუ პლასტიკის არაერთი ნიმუში, რომლებზეც მომღერალი თუ ფერხულში ჩაბმული მამაკაცებიც არიან გამოსახულნი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხატვრული შემოქმედების ეს ფორმა — მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის ერ-

[8] შდრ. რ. გორდეზიანი, ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში, „მიმმხილველი", 4-5, 1968, გვ. 39.
[9] T. B. L. Webster, The Greek Chorus, London, 1970, გვ. 6; აგრ.: Fr. Stoessl, Die Vorgeschichte des griechischen Theaters, Darmstadt, 1987.

თობლიობა — საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო ეგეოსურ სამყაროში. მისი ძირები ორგანულად უკავშირდებოდა მინოსურ ცივილიზაციას.

რასაკვირველია, ჩვენთვის დღეს ძნელია იმის მტკიცება, არის თუ არა ასევე დასაშვები ლიტერატურის არსებობა მიკენურ, ანუ გმირთა ეპოქის ბერძნულ სამყაროშიც. ეს სამყარო მინოსურთან შედარებით აშკარად უფრო პატრიარქალურია. მასში ქალის როლი და ფუნქცია ბევრად უფრო შეზღუდულია, და მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ტრადიცია ტექსტის შემცველი ქალთა ფერხულებისა აქაც საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რასაც გვიდასტურებს არა მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემები, არამედ მოგვიანებით შექმნილი ბერძნული ეპოსი, უპირველეს ყოვლისა კი ჰომეროსი.[10]

ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ ჰომეროსსა და ჰომეროსის შემდგომდროინდელ წყაროებს, მათში ასახულ სამყაროსა და მითებს, ალბათ საჭიროა, მოკლედ აღინიშნოს: გეომეტრიული რენესანსის ანუ ჰომეროსის ეპოქაში ქალთა ფერხულების, სიმღერებისა და გუნდების ტრადიცია გრძელდებოდა. ამის დასტურია გეომეტრიული ეპოქის კერამიკის მრავალრიცხოვანი ნიმუში, სადაც გამოსახულია მოცეკვავე და მომღერალი ქალები. ეს მასალა საკმაოდ შთამბეჭდავად აქვს თავმოყრილი და წარმოდგენილი ტ. ბ. ლ. ვებსტერს თავის წიგნში „ბერძნული გუნდი". ქალთა შემოქმედებითი აქტივობის კვალი შეგვიძლია ვნახოთ ჰომეროსის ეპოსშიც, სადაც გმირთა ეპოქისა თუ მისი შემდგომი პერიოდის სამყარო წარმოდგენილია მთელი სრულყოფილებით. ჰომეროსი საგუნდო სიმღერებისა თუ ფერხულების მრავალრიცხოვან ფორმათა შორის მოიხსენიებს არტემისისადმი მიძღვნილ დღესასწაულებზე ქალთა გუნდების არსებობას. „ილიადაში" ვკითხულობთ: „იგი შვა პოლიმელემ, ფილასის მშვენივრად მოცეკვავე ასულმა. მხიარული ქალწულით მოიხიბლა უკვდავი ჰერმესი, რომელმაც იხილა იგი ტკბილხმიერ გუნდში მოცეკვავე, ოქროსისრიანი კაპარჭის მფლობელი ღვთაების დღესასწაულზე" (XVI, 180); ჰომეროსის ეს სიტყვები გვიდასტურებენ, რომ ღვთაება არტემისისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ცეკვავდა და მღეროდა ქალწულთა გუნდი: ქალთა სიმღერის არსებობის ფაქტს ცხადყოფს „ოდისეას" ერთ-ერთი პასაჟიც, სადაც ვკითხულობთ: „დედოფალმა იხმო მეგობარი და მხევალი ქალები ბურთის სათამაშოდ, მოიხადა რა თავსარქმელი, ხოლო თეთრმა ნავსიკაამ იწყო სიმღერა" (VI, 102).

უფრო საინტერესოა ის, რომ ბერძენი ეპიკოსი პოეტები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალურ საწყისს მხატვრული შემოქმედების, უპირატესად კი პოეზიის, სფეროში. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვ-

[10] Р. В. Гордезиани, Проблемы гомеровского эпоса, Тбилиси, 1978, გვ. 334.

ლისა, უნდა შევაჩეროთ ყურადღება ეპიკოსებისათვის და, კერძოდ, ჰომეროსისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს ღვთაებრივ სტიმულზე, როგორიც არის მუზათა სამყარო. ჰომეროსი, ისევე როგორც მისი უმცროსი თანამედროვე ჰესიოდე, თავის მოვალეობად თვლის პოემის დაწყების წინ ან თავად პოემაში ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის წარმოდგენისას უნინარეს მიმართოს მუზებს. ეპიკოსი პოეტისათვის ლექსთა თხზვა და მღერა — ღვთაებრივი ძღვენია. უზენაესი ღვთაების, ზევსის ასული მუზები ან აპოლონი შთააგონებენ აედებს (შდრ. „ოდისეა" VIII, 488: „ან შენ მუზავ, ზევსის ასულო, მასწავლე, ან შენ, აპოლონ"). მუზებსვე ძალუძთ, თუკი განრისხდებიან, დააკარგვინონ აედს ეს ნიჭი (შდრ. „ილიადა", II, 595). ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ აედი ჰომეროსი, რომელიც თავს თვლის მედიუმად მუზებსა და მოკვდავთა შორის, ასე მიმართავს შთამაგონებელს „ილიადას" დასაწყისშივე: „მუზავ, მიმღერე აქილევსის რისხვაზე..." და ჩვენთვის ნათელია, რომ პოემის ღერძი აქილევსის რისხვა უნდა იყოს. „მუზავ, მიამბე იმ მრავალტანჯულ (მრავალგამოცდილ) კაცზე, რომელმაც წმინდა ილიონის დამხობის შემდეგ დიდი ხანი იხეტიალა..." — ასე იწყებს ჰომეროსი „ოდისეას" და მართლაც, მთელი პოემა ოდისევსის მრავალფათერაკიან მოგზაურობას ეძღვნება.[11]

მუზებს მიმართავს პოეტი მაშინაც, როდესაც მისთვის უცნობი მოვლენების გადმოცემა სურს. ასე მაგალითად, „ხომალდთა კატალოგის" აღწერას ასე იწყებს ჰომეროსი: „ახლა მამცნეთ, ოლიმპოსის ბინადარო მუზებო, თქვენ ყოვლისმხილველი ღვთაებანი ხართ და იცით, რაც ხდება ზეცათა ქვეშ: ჩვენ არაფერი ვიცით, მხოლოდ ხმა გვესმის..." („ილიადა", II, 484-486).

ასევე საინტერესოა ჰესიოდეს მიერ წარმოდგენილი მუზათა სამყარო. როგორც ეს ეპიკოს პოეტთა ტრადიციას შეეფერის, ჰესიოდეც თავისი პოემების დასაწყისში მუზებს მიმართავს. პოემა „სამუშაონი და დღენი" ამ თვალსაზრისით იმით არის საინტერესო, რომ პოეტი გვამცნობს იმას, რისიც თავად სჯერა, კერძოდ: ჰელიკონის მუზებმა შეასწავლეს მას პირველად ხმიერი სიმღერა (სტრ. 658-659) და შეუდარებელი ჰიმნები (სტრ. 662). რაც შეეხება „თეოგონიას", მისი შესავალი ნაწილი (სტრ. 1-115) მთლიანად ეძღვნება მუზებს. „ჰელიკონელ მუზათაგან ვიწყებთ ჩვენ სიმღერას", — აღნიშნავს პოეტი და წარმოგვიდგენს მუზათა დიდებულ სამყაროს. იგი მოგვითხრობს, რომ მუზები, წმინდა ჰელიკონის მაღალ მთაზე დავანებულნი, ნაზი ფეხებით მამა-ზევსის სამსხვერპლოს გარშემო გასაოცარ ფერხულს უვლიან, ხოლო მწუხრის ჟამს, თვალშეუვალი ნისლებით ტანშებურულნი, დიდებულ სიმღერებს მღერიან ეგისისმპყრობელ ზევსზე, დე-

[11] მუზების შესახებ დანერილებით იხ.:
K. Marot, Die Anfänge der Griechischen Literatur Vorlragen,Budapest, 1960, გვ. 19.

დოფალ ჰერაზე, მათ ღვთაებრივ ჩამომავლებსა და საერთოდ, უკვდავთა მთელ წმინდა მოდგმაზე. ეს გასაოცარი სიმღერები ასწავლეს ჰესიოდესაც, როდესაც იგი ჰელიკონის წმინდა მდელოზე ცხვარს აძოვებდა. აი, რა უთხრეს მუზებმა მომავალ პოეტს: „ჩვენ შეგვიძლია მოგონება მრავალი ამბის, ისე მოყოლა, ჭეშმარიტად მომხდარა თითქოს, თუ მოვისურვებთ, სიმართლესაც კარგად გიამბობთ!" (სტრ. 27-28) და მათ შთაბერეს ჰესიოდეს ღვთაებრივ სიმღერათა ნიჭი, რათა ნეტარ ღვთაებათა მოდგმა ედიდებინა. კიდევ ბევრს გვამცნობს ჰესიოდე მუზათა შესახებ, მაგრამ ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ის, რომ მუზები (ისინი ცხრანი არიან, ქალწულები: კლიო, ევტერპე, თალია, მელპომენე, ერატო, ტერპსიქორე, პოლიჰიმნია, ურანია და კალიოპე. სტრ. 75-79) არიან ქალღმერთები, და რომ ისინი თხზავენ გასაოცარ, დიდებულ ლექსებს, მღერიან, ცეკვავენ და ამ ხელოვნებას შთააგონებენ კაცთა მოდგმასაც. ამდენად, ჰომეროსისა და ჰესიოდეს ეპოქის მსმენელისათვის სავსებით ბუნებრივი იყო ის, რომ ქალები ხელოვნების სფეროს იყვნენ ზიარებულნი.

საინტერესოა, რომ ჰომეროსის ეპოსის მუზად მოგვიანებით შერაცხეს ელენე, ქალი, რომლის სახელთანაც დაკავშირებული იყო დიდი მოვლენები. ელიანოსსთან ვხვდებით ასეთ გადმოცემას: „ჰომერიდთა შორისაც ჰყვებიან ზოგიერთები, თითქოს ელენე გამოსცხადებია ღამით ჰომეროსს და პოემის შექმნა უბრძანებია ტროას ლაშქრობაში მონაწილე გმირებზე, რამეთუ სურდა, უფრო შესაშური ყოფილიყო მათი სიკვდილი, ვიდრე ცხოვრება დანარჩენი ადამიანებისა. ამბობენ აგრეთვე, რომ ნაწილობრივ ჰომეროსის ხელოვნების წყალობით, უმთავრესად კი ელენეს გამო გახდაო მისი პოემა ესოდენ საყვარელი და ადამიანთათვის ეგზომ ცნობილი" („ჭრელ-ჭრელი ამბები", § 65).

ჩვენთვის ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რატომ ანიჭებდა ანტიკურობა მუზებს ასეთ მნიშვნელობას, იყო ეს ვალის მოხდა ტრადიციის წინაშე, თუ ჭეშმარიტი რწმენა მუზათა ყოვლისშემძლეობისა. მეცნიერებაში გამოითქვა აზრი იმაზე, რომ ადრეული ხანის პოეტთა შემოქმედებაში ხილვებს, გამოცხადების ილუზიას საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. ეს აზრი გარკვეულ საფუძველს შეიცავს. ასე მაგალითად, პავსანიასსთან („ელადის აღწერილობა", IX, 23) ვხვდებით გადმოცემას, თუ როგორ უხილავთ ბერძნებს ტყეში პანი, რომელიც პინდაროსის სიმღერებს მღეროდა. იქვე მოგვითხრობს პავსანიასი იმაზეც, თუ როგორ შეუკვეთა პინდაროსს შესანდობარი სიმღერა თავად პერსეფონემ. ამგვარ ხილვათა და გამოცხადებათა ჭეშმარიტებას გვიდასტურებენ აგრეთვე ანტიკური ხანის ბიოგრაფოსები და სქოლიასტები. პინდაროსის III პითიური ოდის 79-ე სტრიქონის სქოლიონებში ვკითხულობთ: „ერთხელ პინდაროსი მთაში ფლეიტისტ ოლიმპიქოსს სიმღერის თხზვაში ავარჯიშებდა. ამ დროს მათ დაინახეს, რომ ციდან ეშვება

დიდი ცეცხლოვანი ქვა. დაეცა რა იგი მათ ფეხებთან, პინდაროსმა იგრძნო, რომ ეს იყო ღვთაებათა დედის სახება. ამის შემდეგ მან თავისი სახლის წინ აღმართა ღვთაებათა დედისა და პანის ქანდაკება. ხოლო როდესაც მოქალაქეებმა წარგზავნეს ღმერთთან რჩეულნი იმის საკითხავად, თუ რას ნიშნავდა ეს ხილვა, ღმერთმა მოუწოდა მათ, აღემართათ ღვთაებათა დედის კერპი. და მას შემდეგ, პინდაროსის წინასწარხილვით გაოცებული მოქალაქეები მსხვერპლს სწირავდნენ ამ ქანდაკებას". ამგვარად, როდესაც პოეტი აღნიშნავს, რომ მუზა მღერის მისი პირით, აქ ყოველთვის როდი უნდა ვიგულისხმოთ მითოპოეტური ტრადიციისადმი ერთგულება. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, პოეტს მართლაც ჩაესმოდა რაღაც ხმები, ან ეგონა, რომ მას ეს ხმები ესმოდა.[12] საყურადღებოა ის, რომ ყველაზე მეტად მამაკაცურ, ეპიკურ პოეზიაშიც კი მომღერალი-პოეტი უნაზესსა და ტკბილხმიერ მუზებში ხედავდა თავისი შთაგონების წყაროს და მიიჩნევდა, რომ მისი პოეზია სწორედ ამ ქალური საწყისის შთაგონებით იყო შექმნილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეპიკოსთა რწმენა პოეზიის ქალური საწყისის თაობაზე მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ძალზე საინტერესოა, რომ ჰომეროსი, და იგი ამ შემთხვევაში ეყრდნობა მითოპოეტურ ტრადიციას, ყველაზე უფრო ტკბილი, მომაჯადოებელი და ამასთანავე საბედისწერო სიმღერის შემსრულებლად ისევ და ისევ ქალური საწყისის მქონე არსებებს მიიჩნევს. ისინი არ არიან მუზები, ისინი არიან ღვთაებრივი არსებები, რომელნიც არ საჭიროებენ პოეტ-მედიუმებს. მათ თავად შეუძლიათ ადამიანის სმენას მიაწვდინონ თავიანთი არნახულად ტკბილი და გონებისწამრთმევი სიმღერა და ამით დაღუპონ იგი. ესენი არიან სირინოზები. აი, როგორ აღუწერს ოდისევსს მათ დედოფალი კირკე: „უპირველეს ყოვლისა, შენ იხილავ სირინოზებს. გარდაუვალი ხიბლით იჭერენ ისინი მათთან მიახლოებულ მეზღვაურებს. თუ უმეცარი ამ ორ გრძნეულ ქალს მიეახლება და მათ ტკბილ ხმას მოისმენს, იგი ვერასოდეს დაამშვიდებს თავისი სასურველი შინ დაბრუნებით ვერც ცოლსა და ვერც მცირეწლოვან შვილებს. ტკბილი სიმღერით სირინოზები მას მოაჯადოებენ. ისინი ნათელ მინდორზე სხედან, ხოლო ამ მინდორზე თეთრად გამოკრთის უამრავი ძვლები ადამიანთა... მაგრამ თუ თავად ისურვებ საბედისწერო ხმის მოსმენას, ბრძანე, რომ მიგაბან უმტკიცესი ბაწრით ხომალდის ანძას, მაშინ შენ შეძლებ შენი სმენა უსაფრთხოდ დააამო დამღუპველი სიმღერით... ხოლო როდესაც გასცილდებით სიკვდილისმომტან სირინოზთა კუნძულს, ორი გზა გელით..." („ოდისეა", XII, 39-55). ასე, რომ თავად ჯადოქარი კირკეს პირით ჰომეროსი ასე ახასიათებს სირინოზებს: ისინი გრძნეულები არიან, მათ ხიბლს ვერავინ გაექცევა; მათ აქვთ ტკბილი, საამო, საბედისწერო ხმა; მათი სიმღერა დამღუპველი, სიკვდილის მომტანია.

[12] Zs. Ritook, Dichterweihen, Acta Classica, VI, 1970, 17.

სხვა ადგილას ჰომეროსი აღნიშნავს: „მათ ხმიერი ხმით იწყეს სიმღერა: მოგვიახლოვდი, ღვთის სადარო ოდისევს, აქაველთა უზადო დიდებავ, მოგვიახლოვდი შენი ხომალდით, სირინოზთა ტკბილი სიმღერით ისიამოვნე, აქ ისე არ გაივლის მეზღვაური თავისი ხომალდით, რომ გულის დამაამებელი სიმღერა არ მოისმინოს ჩვენს ველზე. ვინც ჩვენ გვისმინა, ის შინ ბრუნდება მრავლის გამგები. ჩვენ ყველაფერი ვიცით, თუ რაც მოხდა ტროას მიწაზე, უკვდავთა ნებით რა ბედი ეწიათ ტროელებსა და აქაველებს; ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც კი რამ ხდება დოვლათიანი მიწის გულზე. ასე გვიხსნიდნენ ისინი მომაჯადოებელი ტკბილი სიმღერით" (XII, 184-192).

თუ დამოწმებულ ადგილებს დავუკვირდებით, აშკარად შევამჩნევთ, რომ სირინოზების სიმღერის დახასიათებისას ეპიკოსი პოეტი ცდილობს ქალური ბუნება გამოაცალინოს. ხაზი გაუსვას მის დამატკბობელ და სიამის მომგვრელ ჯადოსნურ ძალას;

სავსებით აშკარაა, რომ ჰომეროსთან დადასტურებულ და შემდეგ ანტიკურ ტრადიციაში არაერთგზის მოხსენიებულ სირინოზებს სრულიად გარკვეული კავშირი აქვთ ზღაპრულ სამყაროსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების უძველეს წარმოდგენებთან. თავად ის ფაქტი, რომ ბერძნული ტრადიცია ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ ცნობებს გვაძლევდა სირინოზების რაოდენობის, წარმომავლობის, მათი სახელის ეტიმოლოგიის თუ სხვა მონაცემების შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული მითოლოგიისათვის ისინი არ წარმოადგენდნენ ორგანულ და უკვე უძველეს პერიოდშივე არსებულ მითოლოგიურ სახეებს (შდრ. R M L). სირინოზების მშობლებად ასახელებენ ფორკისს, აქელოოსს, რომელმაც ხთონოსისგან ან სტეროპესაგან ან ერთ-ერთი მუზისგან (ტერპსიქორე, მელპომენე, კალიოპე) შვა სირინოზები. შესაბამისად, უკვე ამ ტრადიციაში სირინოზთა სიმღერის ძალა დაკავშირებულია როგორც ბნელ (ფორკისი), ასევე ნათელ (მუზები) საწყისთან. საკმაოდ ბუნდოვანია თავად სირინოზების (სირენების) სახელის ეტიმოლოგია, რომელიც მიუხედავად რამდენიმე ე.ნ. ხალხური ეტიმოლოგიის არსებობისა, უკვე ანტიკურ სამყაროში დაუდგენლად ითვლებოდა.[13]

არ არის შემთხვევითი, რომ მათ შესახებ ოდისევსს აუწყებს თავად ჯადოქრულ სამყაროსთან დაკავშირებული კირკე, რაც, შესაძლოა, კიდეე ერთ არგუმენტად გამოდგეს სირინოზების წინაბერძნულ მითოლოგიურ წარმოდგენებთან დაკავშირების სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია, რომ ჰომეროსის ეპოქაში, სიმღერის მომაჯადოებელი ძალის სიმბოლოდ გვევლინებოდნენ ქალური სანყისის მქონე არსებები. ეს კი ზემოთ განხილულ ქალთა ფერხულებსა და სხვა ცნობებთან ერთად დამადასტურებელია იმისა,

---

[13] შდრ. P. Chantraine, Dictionnaire Étymologique de la Langue Grecque, Histoire des mots, ტ. I-IV-2, Paris, 1968-1980.

რომ მუზათა სამყარო დაკავშირებული იყო ქალის შემოქმედებით პოტენციალთან უკვე უძველეს ხანებშივე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში ჩვენ ვხვდებით სხვა მინიშნებებსაც ქალთაგან წარმოთქმული სიტყვებისა თუ მისნობის ძალის შესახებ. ამ შემთხვევაში არ ეგულისხმობთ ანტიკურობის მკვლევართათვის კარგად ცნობილ პითიასა და დელფოში მისი მისნობის ფორმულირების პრაქტიკას. გავიხსენებთ მხოლოდ კოლხურ სამყაროსთან დაკავშირებული მედეას სახეს. ის, რომ იგი მისნობის ძალას ფლობდა, კარგად ჩანს პინდაროსის IV პითიურ ოდაში, რომელიც მთლიანად არგონავტების მითზეა აგებული. ოდის დასაწყისშივე პოეტი შესთხოვს მუზას, შთააგონოს სიმღერა კირენეს მეფე არკესილაოსზე, რომელიც იყო არგონავტ ეეფამოსის მე-17 თაობის წარმომადგენლის, მეფე ბატოსის, დინასტიიდან. სიმღერის თხზვის მომენტისათვის პინდაროსი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ არკესილაოსის კირენეში მეფობა აღსრულება იყო ნახევრადღვთაებრივ არგონავტთა წინაშე „სულით ძლიერი" მედეას „უკვდავ ბაგეთაგან" წარმოთქმული მისნობისა. დაახლოებით 40 სტრიქონს უთმობს პინდაროსი მედეას სიტყვებს, რომლებიც ღვთის განგებას გამოხატავდნენ. „მისმინეთ ღმერთთა და სულით ძლიერ კაცთა ძენო!" (სტრ. 13) — ასე იწყებს მედეა თავის მისნობას და მის მიერ წარმოთქმული მთელი სიტყვა დასტურია მისი სულის ძლევამოსილებისა. სავარაუდოა, რომ პინდაროსი ამ შემთხვევაში ითვალისწინებს იმ საკმაოდ ადრეულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც მედეას ჯადოქრობის გამოვლენის ერთ-ერთი სფერო იყო მისი სიტყვა. ამ თვალსაზრისითაა საინტერესო პინდაროსსთან დადასტურებული გამოთქმა „უკვდავი ბაგე" (სტრ. 10). როგორც ჩანს, მედეა სწორედ ამ სახით მიიღო მთელმა მომდევნო ლიტერატურამ. რომაულმა მწერლობამაც მედეა სწორედ ღვთაებრივი და გრძნეული სახით წარმოგვიდგინა. ეს ნათლად გამოვლინდა ოვიდიუსის „მეტამორფოზებში", სადაც კარგად ჩანს, თუ რა ტრანსფორმაცია განიცადა ამ სახემ რომში. თუ პინდაროსსთან მედეა ღვთაებრივი ნების განმცხადებელია, ოვიდიუსთან იგი უკვე ცდილობს თავისი მაგიური ძალა საკუთარ ვნებებს დაუმორჩილოს (შდრ. „მეტამორფოზები" VII, 182-223).

ოვიდიუსის მიხედვით, მართალია, მედეა ღვთაებრივ ძალას ფლობს, მას შეუძლია მღელვარე ზღვათა დამშვიდება, კვლავ აღელვება, ღრუბელთა შეყრა, გადარეკა, ქართა შებოჭვა და სხვა მრავალი, მაგრამ ამ ძალას ღამისეული დემონები ანიჭებენ. იგი ფლობს ჯადო-გალობისა და მოგვეების იდუმალ ხელოვნებას, რომელსაც იყენებს უკვე არა ღვთაებათა ნების განსაცხადებლად, დიადი საქმეების წარსამართად, არამედ მხოლოდ საკუთარ სურვილთა აღსასრულებლად. ამ თვალსაზრისით მედეას სახემ, ჩვენის აზრით, გარკვეული ცვლილება განიცადა და ეს ცვლილება ბუნებ-

რიეი ჩანს ქალის როლის განვითარების საერთო ფონზე უძველესი საუკუნეებიდან მოყოლებული. აქ კიდევ ერთი რამ იპყრობს ჩვენს ყურადღებას: მედეას ღამისეულ ღვთაებებთან ზიარება შეუძლია ჯადო-გალობათა და ლოცვათა საშუალებით. მისი გრძნეული სიმღერით (ჩვენ ვერ ვიპოვეთ უფრო ზუსტი შესატყვისი ტერმინისათვის „carmen", რომლის მნიშვნელობათა შორის არის „სიმღერა", „ლექსი", „მისნობა", „წყევლა", „მაგიური ფორმულა", „ფიცი". მით უმეტეს, რომ უფრო მეტი სიზუსტისათვის მომდევნო 209-ე სტრიქონში გვხვდება სიტყვა „ჯადო", „საწამლავი", „დალუპვა") ტყეები უჩინარდებიან, მთები ინყებენ ზანზარს, სამყარო — ღმუილს, საფლავებიდან ამოდიან აჩრდილები და ხდება მრავალი სხვა საოცრებაც. ასეთია მისი სიმღერის ძალა. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მედეას, ქალს, შეუძლია წარმოთქვას ისეთი ლექსი, ლოცვა, მაგიური სიტყვები, რითაც სამყაროს იმორჩილებს, შეუძლებელს აღასრულებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენ მედეასთან დაკავშირებული მთელი ეს ექსკურსი დაგვჭირდა მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, რომ გვეთქვა: სავსებით შესაძლებელია, ჯადოსნური სიმღერის თუ სიტყვის ძალა თავიდანვე იყო ჩადებული ამ მითოლოგიურ სახეში და ეს ჰომეროსის ეპოქაში უკვე იცოდნენ. ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიმღერის მაგიურობით მედეა სირინოზებს შეგვიძლია შევადაროთ. ყოველივე ეს კი საკმაოდ აშკარად კრავს ჯადოსნური ძალის მქონე ქალთა ფიგურების წრეს — კირკე, მედეა, სირინოზები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სიმღერის მაგიურ ძალასთან მედეას კავშირის იდეა ყველაზე გვიან ჰომეროსის ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს.

და ბოლოს, უნდა გავიხსენოთ დიონისეს კულტთან მჭიდროდ დაკავშირებული მენადებიც, ანუ ბაკქი ქალები. ისინი დიონისეს საკულტო მსვლელობების დროს ირმის ტყავებით ტანშებურულნი, ჩირაღდნებითა და თირსოსებით ხელში წარმოადგენდნენ ღმერთის ამალას და ველური ცეკვის ექსტაზით ეფინებოდნენ მთებსა და ტყეებს. ამ სახით არიან მენადები ცნობილნი ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

იყო დრო, როდესაც ფიქრობდნენ, რომ დიონისეს კულტი და მასთან დაკავშირებული მენადების ტრადიცია შედარებით გვიან, ჰომეროსის შემდგომ უნდა წარმოქმნილიყო. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ თვალსაზრისი რადიკალურად შეიცვალა. ამას ხელი შეუწყო, უპირველეს ყოვლისა, მიკენურ დოკუმენტებში დიონისეს სახელის დადასტურებამ. ამ ფაქტმა აშკარა გახადა, რომ ჰომეროსის ეპოსში დიონისეს მოხსენიება სულაც არ წარმოადგენს ინტერპოლატორთა შემოქმედების ნაყოფს, და რომ ეს ღმერთი ბერძნულ სამყაროში უკვე გვიან ბრინჯაოს ხანიდან იყო შემოსული. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ თავად მენადების ფერხულის ტრადიციაც საკმაოდ ადრეული წარმომავლობისა იყოს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არქაიკის ეპოქის დამდეგისათვის მხატვრულ შემოქმედებასა თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალის აქტიურად გამოსვლის იდეა სავსებით ბუნებრივი იყო და მაინც, არქაიკის ეპოქამდე არ შეგვიძლია დავასახელოთ არცერთი რეალურად არსებული ქალი, რომლის სახელს ან პოეზიის ნიმუშებს ჩვენამდე მოეღწიოს. პოეტ ქალებზე ევროპული ლიტერატურის ისტორიაში, და შესაძლოა, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც კი, შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ არქაიკის ეპოქიდან. რაც შეეხება ქალის გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე, ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება.

არქაიკის ხანად ანტიკურ კულტურაში ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს მიიჩნევენ.[14] ამ პერიოდს ემთხვევა ბერძნული ლირიკის ფორმირებაც. შესაბამისად, არქაიკას ლირიკული წლების პერიოდსაც უწოდებენ.[15] არქაიკის ეპოქა ხასიათდება სოციალური ურთიერთობების ახალ, უფრო განვითარებულ საფეხურზე გადასვლით. საზოგადოების სხვადასხვა ფენებმა გაიძლიერეს საკუთარი ეკონომიკური თუ პოლიტიკური პოზიციები. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური შემეცნების განვითარება ქმნიდა საკმაოდ კარგ პირობებს პიროვნული თვითგამოვლენისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა არსებითი გარდატეხები ელინთა ფსიქოლოგიაში. ყოველივე ეს კი რამდენიმე ძირითადი მომენტით იყო განპირობებული:

ძვ.წ.ა. VIII საუკუნისათვის პოლისური ცხოვრების განვითარებამ საბერძნეთში მასობრივი ემიგრაციის პირობები შექმნა. დაიწყო ე.წ. „დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა", რომლის შედეგადაც თითქმის მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი ბერძნული ახალშენებით მოიფინა. ამ პერიოდში ბერძნები ცდილობდნენ, ერთის მხრივ, ავტოხთონურ კულტურასთან მიახლოებას, რაც მათში ე.წ. „ინტერნაციონალურ" სულისკვეთებას აღვივებდა, მეორეს მხრივ კი, საკუთარი ენის, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური წყობის განსაკუთრებულობის შეგრძნებას.

ბერძენთა ჰორიზონტის გაფართოებამ გამოიწვია მათი ხმელთაშუა ზღვის სხვა კულტურებთან ზიარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათთვის აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან შეხვედრა. არქაიკის პირველ ეტაპზე ბერძენთა მხატვრულ შემოქმედებასა და აზროვნებაში მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთის გავლენა, თუმცა მან მაინც ვერ დათრგუნა კულტურის განვითარების ელინური გზა. ბერძნული აზროვნება გამოირჩეოდა თავისი ანალიტიკურობით, ინდივიდუალურობით და თვითმყოფადობისადმი სწრაფვით.

---

[14] შდრ. A. K. Bum, The Pelican History of Greece, Penguin Books, 1966; E. Ch. Welskopf (hrsg.), Hellenische Poleis. Krise-Wandlung-Wirkung, 1-4, Berlin, 1974; В. С. Сергеев, История древней Греции, Москва, 1963.

[15] რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, I, თბილისი, 1968.

არქაული საბერძნეთის ქალაქებში დაინყო ბრძოლები სოციალური სამართლიანობის დამყარებისათვის. საზოგადოებაში გაღვივდა ანტაგონიზმი, გამძაფრდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამ ვითარებაში მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფო მოღვაწეთა, პიროვნებათა საჭიროება.

არქაიკის ეპოქაში ჩამოყალიბდა მოქალაქეთა თავისუფლების პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური წყობის ორი მოდელი: ერთის მხრივ სპარტული, რომელიც ტოტალიტარული სახელმწიფოს საფუძველი იყო, ხოლო მეორეს მხრივ ათენური, რომელმაც დასაბამი მისცა დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოს წარმოქმნას. ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა ადამიანის, როგორც ინდივიდის, განვითარებას. ადამიანმა შეიგრძნო, რომ იგი იყო პიროვნება და შეეძლო ბრძოლა საკუთარი უფლებებისა და კეთილდღეობისათვის, შეეძლო გამოეთქვა ის, რაც ანუხებდა, გამოეხატა საკუთარი ვნებები და ემოციები.

ყურადღებას იპყრობს ის ცვლილებები, რაც ქალის როლის შესახებ შეხედულებებმა განიცადეს არქაიკის ეპოქაში. ძველ საბერძნეთში გამოიყოფა ორი ჯგუფი რეგიონებისა: პირველი, სადაც ქალის უფლებები შედარებით მეტია და ქალის როლი საზოგადოებაში გარკვეულ წილად უახლოვდება მამაკაცისას; მეორე, სადაც ჩამოყალიბდა ქალის მიმართ გამოკვეთილი პატრიარქალური, უფრო მეტიც, მისოგინური დამოკიდებულება. პირველის ნიმუშად შეგვეძლო დაგვესახელებინა სპარტა, მოგვიანებით თებე, არგოსი. ს. ბ. პომეროი, დორიულ ქალაქებში ქალთა მდგომარეობის ანალიზის საფუძვლიანი კვლევის შედეგად ასკვნის, რომ სპარტელი ქალები, ყველაზე უფრო მეტი დამოუკიდებლობით გამოირჩეოდნენ იმ ხანის სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ ქალთა შორის.[16] სპარტელ ქალთა ეს თავისებურება გამომდინარეობდა დორიულ ტრადიციათა სიღრმიდან, იმ სოციალური სტრუქტურებიდან, რომელიც მიღებული ჰქონდა მას ე.წ. მკაცრი კანონმდებლობით. სპარტელი ქალები, ერთადერთნი დორიელ ქალთა შორის, ქორწინდებოდნენ რა გარკვეული სიმწიფის ასაკში, ტრადიციული ქალური სამუშაოებისაგან თავისუფალნი იყვნენ, რამეთუ მათი შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრებოდა. როგორც ცნობილია, შვიდი წლის შესრულების შემდეგ ბავშვს აშორებდნენ ოჯახს და სპეციალურ სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულებაში აბარებდნენ, სადაც მას აღზრდის სრული კურსი უნდა გაევლო. მართალია, კაცს 30 წლის შემდგომ ეძლეოდა საშუალება თავის სახლში ცხოვრებისა, მაგრამ იგი ისე იყო შეჩვეული ყაზარმულ ყოფას, რომ მთელ დღეს კაცთა საზოგადოებაში ატარებდა. შესაბამისად, ოჯახურ ცხოვრებას სპარტაში ერთობ პირობითი ხასიათი ჰქონდა.[17] „თუკი დავუკვირდებით დორიელ ქალაქთა კანონების კოდექსს, შევამჩნევთ, რომ სპარტული წყობა ყველაზე მეტად იყო ქალთათვის კარგი სწორედ მათი თავისუფლების თვალსაზრი-

[16] S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985, გვ. 52.
[17] რ. გორგუზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

სით".[18] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქალაქში ქალის ესოდენი თავისუფლება სპარტელთა საზოგადოებაში გარკვეულ გაკვირვებასა და აღშფოთებასაც კი იწვევდა.

არქაიკის ეპოქაში მომძლავრდა, თუნდაც პოეტური შემოქმედების დონეზე, მისოგინური ტენდენციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის განსხვავება, რაც შეინიშნება ჰესიოდეს პოემებში ჰომეროსთან შედარებით. ჰესიოდესთან, ჩვენ ვიტყოდით, მითოპოეტურ დონეზე ჩამოყალიბდა სპეციალური კონცეფციაც კი იმის თაობაზე, თუ რატომ არის ქალი ბოროტების სანყისი. ამ მხრივ ნიშანდობლივია პანდორას თქმულება, რომელიც ჰესიოდეს ეპოსშია პირველად წარმოდგენილი (იხ. „სამუშაონი და დღენი" 69-105; „თეოგონია" 570-616). მითის მიხედვით, პანდორა ზეკსმა მოუვლინა ადამიანებს როგორც სასჯელი იმის გამო, რომ პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი წაართვა და მათ მიუტანა. ჰეფესტომ პანდორა თიხისა და წყლისგან გამოძერწა, ღმერთქალის სახე, ადამიანის ხმა და შესაძლებლობები მისცა. აფროდიტესგან პანდორამ საჩუქრად სილამაზე მიიღო; ჰერმესისაგან — მზაკვრობა, ცბიერება, სიცრუე და მჭევრმეტყველება; ათენასაგან — მშვენიერი ტანსაცმელი. სხვა ღმერთებმაც დაასაჩუქრეს ახალი ქმნილება. ზევსის სურვილით პანდორა ცოლად შეირთო პრომეთეს ძმამ — ეპიმეთეევსმა, რომელსაც უზენაესმა ღვთაებამ თავდახურული ყუთი აჩუქა. ამ ყუთში ჩამწყვდეული იყო ადამიანთა შემაწუხებელი ყოველგვარი უბედურება და ავადმყოფობა. აკრძალული იყო მისი გახსნა. პანდორას სძლია ქალურმა ცნობისმოყვარეობამ და ყუთს თავსახური ახსნა. ამოცვივდა იქიდან ყოველგვარი მანკიერება, გარდა იმედისა, და მთელს დედამიწაზე გაიფანტა.[19] ჰესიოდეს თქმით: „ქალთა დამლუპველი მოდგმა დედამიწაზე ამ ქალისაგან იღებს დასაბამს" („თეოგონია", 591). აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ პოეტის იმ რჩევა-დარიგებებში, რომელთაც ის აძლევს თავის თანამოქალაქეთ, ერთ-ერთი უმთავრესია სიფრთხილე ქალების მიმართ. ასე მაგალითად, ჰესიოდეს თქმით: „თავქარიან ქალებს ერიდე, ყური არ უგდო მათ მაცთურ სიტყვებს, თავბრუს დაგახვევს ქალი, ბელელს გაგინიავებს. ქურდისა სჯერა მას ჭეშმარიტად, ვისაც ქალისა სჯერა!" („სამუშაონი და დღენი", 373-376). მაგრამ ამასთან ერთად ჰესიოდე იმასაც აღნიშნავს, რომ „არაფერია ამ ქვეყნად კარგ ცოლზე უკეთესი, თუმცა არაფერია აგრეთვე ცუდ ცოლზე უსაშინლესი" („სამუშაონი და დღენი", 702-703). ქალისადმი ასეთი დამოკიდებულების ტენდენცია, როგორც ფიქრობენ, ახალია ბერძნული ციენლიზაციისათვის, რამეთუ, როგორც აღვნიშნეთ, ჰომეროსთან მსგავსს ვერაფერს ვხვდებით. შესაძლოა, იგი შემოვიდა ძველი აღმოსავლეთიდან, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით დომინირებდა აზრი, რომელიც შემდგომ ადამისა და ევას მითში განხორციელდა.

---

[18] S. B. Pomeroy, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

[19] მიმოხილვისათვის შდრ.: D. and E. Panofsky, Pandora's Box; The Changing Aspects of a Mythical Symbol. Bollingen Series 52; New York: Pantheon, 1956, 13.

ეს ტენდენცია კიდეე უფრო გაღრმავდა და გამოიკვეთა ბერძენი პოეტის სემონიდეს ამორგოსელის შემოქმედებაში (ძვ.წ. VII ს.), რომელმაც ქალებს სპეციალური იამბური თხზულებაც კი მიუძღვნა. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სემონიდესი ენინააღმდეგება ჰესიოდეს კონცეფციას იმის თაობაზე, რომ ქალის წარმოშობა ერთ საწყისს — პანდორას უკავშირდება. იგი გამოჰყოფს ათ საწყისს, რომელიც საფუძვლად დაედო სხვადასხვა ტიპის ქალების წარმოშობას. ამ საწყისთაგან ცხრა ქალს აშკარად უარყოფითი თვისებების არსებად ხდის. ერთგვარი წონასწორობა შემოაქვთ ფუტკრის საწყისიდან წარმოშობილ ქალებს, რომელთა რიცხვი, სემონიდესის აზრით, მცირეა. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ პოეტის დამოკიდებულება ქალის მიმართ აშკარად ნეგატიურია. ამ თემას განაგრძობს პოეტი ფოკილიდესიც (ძვ.წ. VI ს.), თუმცა მას ამ საწყისთა რაოდენობა ოთხამდე დაჰყავს. რით არის ჩვენთვის საინტერესო ეს სატირა ქალებზე? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ქალთა აქტივობის სხვადასხვა საწყისებთან დაკავშირებისას აბსოლუტურად იგნორირებულია ის, რასაც შეუძლია ქალი ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მნიშვნელოვანი სფეროს სამსახურში ჩააყენოს. ამ დამოკიდებულების ფონზე, რომელიც, როგორც ჩანს, ელადის უმეტეს ნაწილში დომინირებდა, სავსებით ბუნებრივია, რომ ქალთა საზოგადოებაში უნდა გაჩენილიყო გარკვეული ლტოლვა მათი პრესტიჟის ამაღლებისაკენ, მათი როლის გაზრდისაკენ და იმ სფეროს მიგნებისაკენ, სადაც ყველაზე მეტად შეძლებდნენ ისინი საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენას. ამას უნდა გამოეწვია ძიება ემანსიპაციის იმ გზისა, რომელიც ქალს საშუალებას მისცემდა რომელიმე სფეროში მაინც გათანაბრებოდა მამაკაცს. როგორც ჩანს, ამ მხრივ ყველაზე უფრო შესაფერისი აღმოჩნდა პოეზია, უპირველეს ყოვლისა კი, ლირიკული პოეზია და სხვა მუსიური სფეროები. უნდა შევნიშნოთ, როს სწორედ ამ ეპოქიდან ჩნდება ბერძნული ცივილიზაციის ისტორიაში იმ ქალთა სახელები, რომლებიც არ განეკუთვნებიან მითოლოგიის სფეროს და რომელთაც თავისი შემოქმედებით დაიმკვიდრეს საკუთარი ადგილი ბერძნულ კულტურაში.

რასაკვირველია, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმ დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რაც არქაიკის ეპოქაში შეინიშნება ქალის მიმართ, მიმდინარეობდა საზოგადოებაში არსებული ძალზე მნიშვნელოვანი პროცესების ფონზე, რომელთაც გარდაქმნეს ადამიანის ფსიქოლოგია. ამან კი მიგვიყვანა ლირიკის, როგორც სრულყოფილი ლიტერატურული ჟანრის ფორმირებამდე. კერძოდ, ელინთა ფსიქოლოგიაში მომხდარმა არსებითმა გარდატეხებმა ხელი შეუწყვეს საზოგადოებაში ინდივიდუალიზაციის ტენდენციების გაძლიერებას. ჰომეროსის ეპოსში წარმოდგენილი გმირთა ეპოქის ერთიანი საბერძნეთი, თავისი საერთო მისწრაფებებითა და მსოფლშეგნებით წარსულს ჩაბარდა. ახლა ელადა უამრავ პოლისად იყო დანაწევრებული. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს საკუთარი ინტერესები და განვითარების საკუთარი გზა გააჩნდა.

ქალი კლასიკურ ეპოქაში

„...და ის ქალი იმსახურებს ყველაზე დიდ პატივისცემას, რომლის სახელსაც იშვიათად მოიხსენიებენ მამაკაცთა შორის საქებრად, გინდაც სალანძღავად“.

(თუკიდიდე, II, 45)

ქალი ათენის კანონმდებლობაში

საყოველთაო აღიარებით, კლასიკური ეპოქა ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია. მნიშვნელოვანია იგი თანაბრად, როგორც სოციალ-პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. „ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღსავსე ხანა, როდესაც არქაიკაში დაწყებულმა პროცესებმა საოცარ სრულყოფას მიაღწიეს, როდესაც ბერძნულმა კულტურამ წარმოშვა თავის უმთავრეს სიმაღლეთა მეტი ნაწილი, როდესაც მთელი სიცხადით გამოვლინდა ბერძნული პოლისური იდეოლოგიის ძალაც და სისუსტეც. ეს იყო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბერძნულმა კულტურამ დიდი აღმავლობის შემდეგ ასეთივე დიდი და საბოლოო დაქვეითება განიცადა. ამ ეპოქის მრავალფეროვანი და სისხლსავსე ცხოვრების ყველა სფერო დღემდე უდიდეს ინტერესს იწვევს.“[1] უაღრესად საინტერესოა კლასიკური ეპოქა ქალის მდგომარეობის და მისდამი დამოკიდებულების კუთხითაც.

კლასიკური ეპოქის მიღწევები ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება ახალი წყობის – დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელმაც თავის უმაღლეს წერტილს ძველ სამყაროში ათენში მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ათენურმა დემოკრატიამ სრულყოფილად გაატარა დემოკრატიის პრინციპები: ათენელ მოქალაქეებს თანასწორი უფლებები

[1] გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი II, ნაწილი I, კლასიკური ეპოქა, თბილისი, 1997, 5.

ჰქონდათ და ერთნაირად შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ თავისი პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეტიც ისინი უშუალოდ იღებდნენ გადაწყვეტილებას სახალხო კრებაზე ამა თუ იმ კანონის თუ პოლიტიკური კურსის გასატარებლად. ამასთან მათ გააჩნდათ ეკონომიური დამოუკიდებლობა, შეეძლოთ, აერჩიათ საქმიანობა, იყო ნაყოფიერი გარემო იმისთვის, რომ ეწარმოებინათ საკუთარი მეურნეობა და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მოქალაქეთა პრივილეგიებს წარმოადგენდა. მონები, მეტოიკოსები და ათენზე დამოკიდებულ მხარეთა მოსახლეები, რომლებიც ათენში ცხოვრობდნენ, ათენელ მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ. გარკვეული პერიოდიდან კანონიერი მოქალაქის სტატუსი არც უცხოელი ქალებისაგან გაჩენილ ათენელი მამაკაცების შვილებს ჰქონდათ. დასახელებულ უფლებებს მოკლებული იყვნენ ქალები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოქალაქეები იყვნენ. კლასიკური პოლისის დემოკრატიულ თავისუფლებას თან სდევდა ქალების ლეგალური და კულტურული დაქვემდებარება.[2] ეს გახლდათ ათენური დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პარადოქსი. ბუნებრივია ისმის კითხვა, თუ რა იყო კლასიკურ ათენში ქალთა სტატუსის დაქვემდებარების მიზეზი? პარადოქსის ახსნაში დაგვეხმარება იმ პროცესების გაცნობა, რომლის ნიაღშიც ჩამოყალიბდა მმართველობის დემოკრატიული სისტემა. ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი საკითხისთვის ის, თუ რას ეფუძნებოდა დემოკრატიული პოლისის სოციალური ორგანიზაცია.

დაახლოებით ძვ. წ. VIII ს-იდან საბერძნეთში მმართველობის სისტემის ცვლილება იწყება. მმართველობის არისტოკრატიულ ფორმას დემოკრატიული ენაცვლება. ფორმის ეს ცვლილება კი მოასნავებდა არა უბრალოდ წყობათა ცვლას, არამედ კაცობრიობის განვითარებაში ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას, რომელსაც თან სდევდა საზოგადოების არსებითი გარდაქმნაც. არისტოკრატიული წყობის ნიაღში ნელ-ნელა ჩნდებოდა ახალი კლასი, რომელიც ყველა ტიპის სოციალური და ეკონომიური ჯგუფიდან მომდინარეობდა. ამ კლასს ქმნიდნენ ვაჭრობით დაინტერესებული მინათმფლობელები, საზღვაო საქმიანობით დაკავებული ნობილიტეტის უმცროსი თაობა, ხელოსნები, მეწარმეები და ასევე შეძლებული და დამოუკიდებელი გლეხები. საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან მოსული ეს ჯგუფი საბოლოოდ საშუალო მინათმოქმედთა კლასად ჩამოყალიბდა, თუმცა იგი გაცილებით დიდი და ჭრელი წარმონაქმნი გახლდათ, ვიდრე უწინდელი მინათმფლობელი არისტოკრატია. ამ სოციალურ ცვლილებას თან მოჰყვა მანამდე არსებული ოჯახის სახის შეცვლა.

---

[2] M. Arthur, "From Medusa to Cleopatra: Women in the Ancient World" in (edd.) R. Bridental and C. Koontz, Becoming Visible: Woman in European History, Boston, 1977, 79

ამოტივტივდა ახალი ტიპის პატარა ოჯახი, რომელსაც მეცნიერები „ნუკლეარულ ოჯახს“ უწოდებენ და რომელმაც გაცილებით მნიშვნელოვანი როლი შეიძინა, ვიდრე მას ძველად ჰქონდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში იგი ყველაზე მოსახერხებელი ფორმა აღმოჩნდა ახალი კლასის მატერიალური დოვლათის შექმნისა და გადაცემისთვის. ფართო კომლისგან განსხვავებით, რომელიც არისტოკრატიული ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი და რომელშიც ქმარი, ცოლი, შვილები, ქმრის საყვარლები, მონები და მრავალი უცხო შედიოდა, პატარა ოჯახი მხოლოდ ცოლ-ქმრის, მათი შვილებისა და მონა-მოსამსახურეებისგან შედგებოდა. ოჯახი, რომელიც არისტოკრატიულ საზოგადოებაში არსებობდა, როგორც ბიოლოგიური ერთეული, ახლა პოლიტიკური და ეკონომიური რეალობა გახდა. ოიკოსი – ასე ეწოდებოდა ოჯახს, რომელიც ახალი წყობის – პოლისის სოციალური ორგანიზაციის პირველად უჯრედად ჩამოყალიბდა.

ოიკოსის უფროსი ავტომატურად ხდებოდა მოქალაქე, ანუ სახელმწიფოს წევრი. შესაბამისად, თავად სახელმწიფო განისაზღვრა, როგორც ინდივიდუალური ოიკოსების ჯამი, ანუ მათი ერთიანობა.[3] პოლისის სტრუქტურაში ოჯახს სრულიად განსაკუთრებული როლი დაეკისრა. იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსთვის ოიკოსი, არისტოტელე „პოლიტიკაში“ არაერთგზის აღნიშნავს. ფილოსოფოსი თვლის, რომ სახელმწიფო აუცილებლად ოიკოსთა ერთიანობას უნდა წარმოადგენს. „სახელმწიფო არ უნდა წარვმართოთ იქითკენ, რომ ის ერთი გახდეს, რადგან მაშინ სახელმწიფოსგან ოჯახს მივიღებთ და თავად სახელმწიფოს გავანადგურებთ“ (არისტოტელე, „პოლიტიკა“, 1262 a20; 1263 b32). „სახელმწიფო მხოლოდ მაშინ იქნება სახელმწიფო, როდესაც მრავალი თვითკმარი ერთეული იქნება (იგულ. ოჯახები – ქ.ნ.), რომლებიც ერთ მთლიანობაში, ანუ სახელმწიფოში იქნებიან გაერთიანებულნი“ (არისტოტელე, „პოლიტიკა“, 1261 b11) – აცხადებს არისტოტელე. სახელმწიფოს სიქველე დამოკიდებული იქნება ოიკოსების სიქველეზე და პირიქით, რამეთუ ოიკოსი – სახელმწიფოს, ანუ მთელის ნაწილია.

ოიკოსის მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი დაცვა და შენარჩუნება დემოკრატიული პოლისის უმთავრესი საზრუნავი გახდა. ოიკოსის დაურღვევლობა და მოუშლელობა ათენის პოლიტიკის ქვაკუთხედ პრინციპად ჩამოყალიბდა. „პოლისის და ცალკეული მოქალაქეების დაინტერესება და ერთობლივი მოქმედება ოიკოსის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის საზოგადოდ ათენური ტიპის პოლისებისთვისაა დამახასიათებელი.“[4]

---

[3] Arthur, 1977, 85.

[4] Глускина Л. М., «Социальные институты, экономические отношения и правовая практика в Афинах IV в. до н. э. по судебным речам Демосфеновского корпуса», Демосфен, Речи в трёх томах, Москва, 1994, 411.

მაგრამ ინტერესების თანხვედრასთან ერთად, პოლისი და ოიკოსი ცალკე აღებული, დამოუკიდებელი ინსტიტუტები იყვნენ, რომელთაც თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდათ. ცალკეულ შემთხვევაში მათი მოთხოვნები ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიოდნენ.

/პოლისი მოითხოვდა, რომ მისი ინტერესები ყველაფერზე წინ ყოფილიყო დაყენებული – ეს იყო ათენური დემოკრატიის უმთავრესი მახასიათებელი, რომელსაც ზოგჯერ მის „ტოტალიტარულ" თვისებას უწოდებენ. როდესაც საქმე ინდივიდის და კოლექტივის ურთიერთობას ეხებოდა, პოლისი ყოველთვის უმრავლესობის ინტერესებს აძლევდა უპირატესობას. ცალკეული პიროვნება მუდამ უნდა ყოფილიყო მზად, რომ თავისი კეთილდღეობა მსხვერპლად მიეტანა საზოგადო საქმისთვის.[5] ეს თანაბრად ეხებოდა ქალსა და მამაკაცს, ოღონდ მოთხოვნის ფორმა და შინაარსი განსხვავებული იყო./

მამაკაცს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ოჯახის მეთაურიც იყო და პოლისის ნევრიც, ავალდებულებდნენ, რომ თავისი პიროვნული სწრაფვა პოლისის მოთხოვნებისთვის დაექვემდებარებინა. ამ პერიოდის კულტურული იდეალი მოითხოვდა, რომ მამაკაცს იმ სახის სიყვარული გასჩენოდა პოლისის მიმართ, როგორიც თავის საყვარელ პიროვნებასთან ჰქონდა. ამგვარი მიდგომის ნათელი მაგალითია პერიკლეს ცნობილი სამგლოვიარო სიტყვა. პერიკლე მოუწოდებს თანამოქალაქეთ, რომ მათ ათენის ძალმოსილება ორატორთა სიტყვების მიხედვით კი არ შეეფასებინათ, არამედ ყოველდღიურად საქმით დარწმუნებულიყვნენ თავიანთი ქალაქის დიდებაში. ამან კი ათენის მიმართ მოქალაქის გასაოცარი სიყვარული უნდა წარმოშვას (თუკიდიდე, II, 43).[6]

ბუნებრივია, ამგვარ უკიდურეს პოლიტიზირებას მოჰყვებოდა კონფლიქტები პოლიტიკური სამყაროს ინტერესებსა და იმ ინსტიტუტებს შორის, რომელიც კულტურამ შემოიტანა – მინათმოქმედება, ქორწინება, მსხვერპლშეწირვა.[7]

---

[5] Лисий, Речи, Москва, 1994. Л. П. Маринович, Г. А. Кошеленко, «Предисловие к изданию 1994 года», 14.
პოლისისა და ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არსებულ ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად მეცნიერები არისტოტელეს დებულებას მიიჩნევენ. „მაშინაც კი, თუკი ცალკეული ადამიანისთვის კეთილდღეობა ნარმოადგენს იმავე რამეს, რასაც მთელი სახელმწიფოსთვის, უფრო მნიშვნელოვნად და უფრო სრულად მაინც სახელმწიფოს კეთილდღეობა, მისი მიღწევა და შენარჩუნება ნარმოგვიდგება. სასურველია, რა თქმა უნდა, ერთი ადამიანის კეთილდღეობაც, მაგრამ უფრო მშვენიერი და უფრო ღვთაებრიეი ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობაა" (არისტოტელე, „ნიკომაქეს ეთიკა",1094b 10).

[6] მეცნიერთა მოსაზრებით ის ტერმინები, რომლებიც ამ პასაჟში გამოყენებულია ათენის მიმართ სიყვარულის გამოსახატავად – ἐραστὰς γιγνομένους – საერთოდ ადამიანთა (სქესთა) შორის პირადი სასიყვარულო ურთიერთობის აღსანიშნავად იხმარება.

[7] Foley H. P., "The Conception of Women in Athenian Drama", Reflections of Women in Antiquity, London, 1986³, 146-147.

პოლიტიკური ინტერესების ამგვარ პრიმატს, როგორც აღვნიშნეთ, ქალის როლის გადააზრებაც მოჰყვა და მასაც მოეთხოვა თავისი მოთხოვნილება და სურვილები პოლისისთვის მსხვერპლად მიეტანა. მაგრამ ქალის შემთხვევაში ეს ასე აშკარად არ ჩანდა, რამეთუ მასსა და სახელმწიფოს შორის ოიკოსი იდგა და ქალიც უპირველესად ოიკოსის წინაშე იყო ვალდებული. ქალი ოჯახის **აუცილებელ** ნაწილს წარმოადგენდა. მისი ფუნქციები პირდაპირ იყო დაკავშირებული ოიკოსის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასთან. ქალი ახლა უკვე მოვალე გახდა გაეჩინა ლეგიტიმური მემკვიდრე, რათა ოჯახს მინაზე საკუთრების უფლება შეენარჩუნებინა. მას ასევე დაეკისრა, რომ გათხოვების დროს ერთი ოჯახის საკუთრება მეორესთვის გადაეცა. ოიკოსის წარმატებული არსებობისთვის საჭირო ეს ფუნქციები, ბუნებრივია, ამავე დროს, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო პოლისისთვის, რომელიც მას — ოიკოსს ეფუძნებოდა. შესაბამისად ქალი, რომელსაც ამ როლთა აღსრულება ევალებოდა, ძალზე არსებითი ხდებოდა პოლისისათვის. ამიტომ ესოდენ ძირეული მნიშვნელობის სუბიექტი — ქალი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული, უნდა ჰყოლოდათ მკაცრი კონტროლის ქვეშ, მაგრამ ამასთან უნდა შეეზღუდათ იმიტომ, რომ სახელმწიფოს საჭიროებისთვის მისი სამსახური ყოველთვის გარანტირებული ჰქონოდათ. სამმა დასახელებულმა ფაქტორმა — შეზღუდვამ, დაცვამ და გაკონტროლებამ გამოიწვია ქალის მდგომარეობის დაქვემდებარება, როგორც სოციალურად, ისე კულტურული თვალსაზრისითაც. ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა, ქალი მას ოჯახურ სივრცეში სჭირდებოდა.

და მაინც, რა სახით იყო ქალი წარმოდგენილი დემოკრატიული ათენის კანონმდებლობის კონტექსტში? როგორ ფუნქციონირებდნენ კონკრეტულად ის ინსტიტუტები, რომლებიც მის ცხოვრებას არეგულირებდნენ?

ათენის კანონმდებლობის მიხედვით, ქალი ავტონომიური არსება არ იყო. იგი არ გახლდათ რეგისტრირებული დემოსის რეესტრში, რომელშიც ყველა ათენელი მამაკაცი იყო აღნუსხული. ქალი არც ფრატრიის წევრი იყო. ათენურ სინამდვილეში უბრალოდ არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი, სადაც ქალის პიროვნება ოფიციალურად იქნებოდა დადასტურებული. ორატორთა სიტყვებში და საფლავის წარწერებში იშვიათად მოიხსენიებენ მოქალაქე ქალის სახელს. ამ სტატუსის ქალი უბრალოდ ქმრის ან მამის სახელიდან გამომდინარე სახელდებოდა.

და რადგან ოჯახისგან დამოუკიდებლად ქალი პიროვნებას არ წარმოადგენდა, ამიტომაც იგი აუცილებელი პირობით ოიკოსის სტრუქტურაში უნდა ყოფილიყო ჩართული. ათენურ სინამდვილეში მეურვის, ანუ კურიოსის ინსტიტუტი მოქმედებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქალი უახლოესი მამაკაცი ნათესავის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. გათხოვებამდე ქალის მეურვე ჩვეულებრივ მა-

მა იყო. გათხოვების შემდეგ მისი მეურვე უკვე ქმარი ხდებოდა, თუმცა უწინდელი მეურვე გარკვეულ უფლებებს ქალზე მაინც იტოვებდა. დაქვრივებული ან განქორწინებული ქალი, თუ მას შვილები არ ჰყავდა, თავის ყოფილ კურიოსთან ბრუნდებოდა. შვილების პატრონი ქვრივი კი ქმრის ოჯახში რჩებოდა. აქ მის მცირეწლოვან შვილებს მეურვეს უნიშნავდნენ და ქალიც ავტომატურად მისი ზედამხედველობის ქვეშ ექცეოდა. თუ შვილები უკვე ზრდასრულნი იყვნენ, დედის მეურვეობა სწორედ მათ ეკისრებოდათ. საინტერესოა, რომ ქვრივების დაცვა არქონტის — ქალაქის გამგებლის მოვალეობაში შედიოდა და თუ ქალს ვინმე შეურაცხყოფას მიაყენებდა, არქონტი მოვალე იყო, საქმე სასამართლოში აღეძრა.

კურიოსს ქალი ეკონომიურად და სოციალურად უნდა დაეცვა. ქალის მაგივრად კონტრაქტი მას უნდა დაედო და სასამართლოშიც ქალი მას უნდა წარმოედგინა. საერთოდაც საზოგადო სივრცესთან ქალის ურთიერთობა სწორედ კურიოსს უნდა მოეგვარებინა.

ქალის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქორწინება გახლდათ. მეტიც, ეს მისი უმთავრესი მოვალეობა იყო პოლისის და ოიკოსის წინაშე. საერთოდ ბერძნები თვლიდნენ, რომ ქალის გაუთხოვრობა დიდ უბედურებას წარმოადგენდა. ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალის უდროოდ გარდაცვალებას ისინი უპირველესად სწორედ იმიტომ მისტიროდნენ, რომ ქალწული საიქიოში თავისი უმთავრესი მოვალეობის შეუსრულებლად მიდიოდა.

როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე ქორწინებას ოფიციალური ხასიათი არ ჰქონდა და იგი უბრალოდ ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრებაში გამოიხატებოდა. მოგვიანებით (საკამათოა, რომელი პერიოდიდან) ოფიციალური ქორწინება აუცილებელი გახდა. ეს ალბათ, მაინც ძვ.წ. 451 წლიდან უნდა ყოფილიყო საჭირო, როდესაც პერიკლემ მოქალაქეობის კანონი შემოიღო. ამიერიდან პიროვნება მოქალაქედ მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, თუ მას დედაც და მამაც კანონიერი მოქალაქე ჰყავდა. ამიტომაც ქორწინება ოფიციალურად, კანონების შესაბამისად უნდა გამართულიყო, რათა მომავალში არავის გასჩენოდა ეჭვი, რომ ამა თუ იმ კაცმა ცოლად არამოქალაქე ქალი მოიყვანა და შესაბამისად, შვილიც არამოქალაქე გააჩინა.

იმისთვის, რომ ქორწინება ოფიციალურად, კანონების შესაბამისად ჩატარებულად ჩაეთვალათ, რამდენიმე პირობა იყო აუცილებელი. ამათგან ერთ-ერთ უმთავრეს პირობას ნიშნობა წარმოადგენდა. ქორწინებამდე ქალი აუცილებლად დანიშნული უნდა ყოფილიყო. ნიშნობის დროს ქალის მეურვე სიტყვიერ შეთანხმებას დებდა სასიძოსთან (ან სასიძოს მეურვესთან) და წყვილს ერთმანეთთან ფიცით აკავშირებდა. ნიშნობაც ოფიციალურად ტარდებოდა და ორივე მხარე მონმეებს წარმოადგენდა. თუ მომა-

ვალში ქორწინების კანონიერება საკამათო გახდებოდა, სწორედ მოწმეებს უნდა დაედასტურებინათ, რომ ნიშნობა მართლაც ჩატარდა.

ათენელი ქალის დაქვემდებარებულ სტატუსს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მას არ შეეძლო საქმრო თავად ამოერჩია. ეს მის კურიოსს უნდა გაეკეთებინა. ქორწინება უმთავრესად ფართო კომლის „ანქისტეას" წევრებს შორის იმართებოდა. ძალზე ხშირი იყო ბიძასა და ძმისწულს, ნახევარძმებსა და ნახევარდებს (მამით), ბიძაშვილებს შორის ქორწინება. თუმცა ზოგჯერ ქალს სრულიად უცხო კაცზე ათხოვებდნენ, რომელიც მას თვალითაც არ ჰყავდა ნანახი.

ათენში ქალები ადრე თხოვდებოდნენ — 14-დან 18 წლის ასაკამდე. ბერძნები თვლიდნენ, რომ სექსუალურად მოწიფულ ქალს თავის მოთოკვა ძალიან უჭირდა, ან საერთოდაც არ შეეძლო. და რადგან გასათხოვარი ქალი აუცილებლად ქალიშვილი უნდა ყოფილიყო, ზედმეტი გართულების თავიდან ასაცილებლად ბერძენი მამაკაცები მის ადრეულ გათხოვებაზე ზრუნავდნენ. ქმარი ჩვეულებრივ 30 წლის მამაკაცი იყო. ბუნებრივია, ასეთი დიდი სხვაობა ასაკში ართულებდა იმას, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთის პარტნიორებიც ყოფილიყვნენ. თუმცა ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, სექსუალური ურთიერთობის შედეგად მათ შორის მტკიცე კავშირი მყარდებოდა.[8]

ქალის გათხოვებას მეორე და ძალზე აუცილებელი წინაპირობა ჰქონდა — ეს გამზითვება გახლდათ. მზითვზე ქალის კურიოსს უნდა ეზრუნა. ქალის კარგად გამზითვება მეურვისთვის ღირსების გამომხატველი იყო. გოგონას მამა დაბადებისთანავე ითვალისწინებდა, შეეძლო თუ არა მისი შესაფერისად გამზითვება და თუ არ შეეძლო, მაშინ წინდახედულ მამას ქალიშვილი უნდა გაეშვილებინა. დიდად სამარცხვინოდ ითვლებოდა მამისთვის, თუ იგი ზრდასრული ქალიშვილისთვის მზითვის მიცემას ვერ მოახერხებდა. ყველა შემთხვევაში ქალიშვილი მაინც უნდა გაემზითვებინათ. ამ დროს საქმეში უკვე ნათესავები და ოჯახის მეგობრები ერეოდნენ. იყო შემთხვევები, როცა საპატარძლოს ქალაქი აძლევდა მზითვს. ეს განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოქალაქეების ქალიშვილებს ეხებოდა და ამით პოლისი მათი მამებისადმი თავის პატივისცემას გამოხატავდა.

კანონით მზითვის სიდიდე განსაზღვრული არ იყო და საშუალოდ 10 მნიდან (1 მნა = 436, 6 გ. ვერცხლი) რამდენიმე ტალანტამდე (1 ტალანტი = 26 196 გ. ვერცხლი) მერყეობდა. მზითვი უპირატესად ფულისგან, ან გარკვეულ თანხად შეფასებული უძრავი ქონებისგან (სახლი, ავეჯი და ა.შ.) შედგებოდა. მზითვის გარდა პატარძალს უფლება ჰქონდა ქმრის სახლში მცირეოდენი პირადი ქონება წაეღო, რაც სოლონის კანონმდებლობით სამი კაბითა და რამდენიმე არც თუ მაინც და მაინც ძვირფასი ნივთით შემოიფარგლებოდა (პლუტარქე, „სოლონი", 20,4).

[8] Ehrenberg V., The People of Aristophanes, Oxford, 1951², 144.

და მაინც რატომ იყო მზითვი საეალდებულო? რაში მდგომარეობდა ამ ინსტიტუტის ათენური სპეციფიკა?

ათენელი ქალი საკუთრებას არ ფლობდა, თუმცა მამისეული ქონებიდან მას წილი ეკუთვნოდა, რომელიც სწორედ მზითვით გამოიხატებოდა. ამასთან მზითვი ქალის საკუთრების მეტად უცნაური, სპეციფიკური ფორმა გახლდათ. სპეციფიკურობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ქალს არ ჰქონდა უფლება მზითვი განეკარგა. რეალურად იგი არ ფლობდა იმას, რისი მესაკუთრეც გახლდათ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქალი უბრალოდ მამისეული ოჯახიდან საკუთრებას ქმრის ოჯახს გადასცემდა.[9] მზითვით გამოხატული ქონების მესაკუთრე კი მისი შვილი — ოჯახის ხაზის გამგრძელებელი ხდებოდა. საკუთრების გადაცემის აღნიშნული მექანიზმი შემთხვევითი არ გახლდათ. უმიზეზოდ არ ხდებოდა არც ის, რომ ქალს საკუთრების განკარგვის უფლებას ართმევდნენ. მეტიც, მზითვის კაპიტალური თანხა უმთავრესად განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ მისი ინვესტირება მოეხდინათ და არავითარ შემთხვევაში იმისთვის, რომ დაეხარჯათ. ყოველივე ეს ემსახურებოდა ოიკოსების შენარჩუნებას, იმას, რომ ისინი ეკონომიურად დაცულნი ყოფილიყვნენ. პოლისმა სპეციალურად შეზღუდა საკუთრების განკარგვის პიროვნული თავისუფლება, რათა ამ უფლების გამოყენება წინააღმდეგობაში არ მოსულიყო უფრო მაღალ პრინციპთან — თითოეული ოიკოსის დაცვის და მოუშლელობის პრინციპთან, რომელსაც ათენური პოლისი განუხრელად ატარებდა. ოიკოსების დაცვა კი უზრუნველყოფდა საშუალო კლასის, შესაბამისად კი, ათენური პოლისის ფუნქციონირებას. ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო საშუალო კლასის არსებობა, ბერძნებს კარგად ჰქონდათ გააზრებული. მათი ეს მსოფლხედვა არისტოტელემ ასე გამოხატა: „პოლიტიკური საზოგადოების საუკეთესო ფორმას ის ფორმა წარმოადგენს, რომელშიც ძალაუფლება საშუალო კლასს აქვს გადაცემული." ამ ჯგუფს კი ძირითადად განსაზღვრავდა ის, „რომ მის წევრებს ზომიერი და ადექვატური (შესაბამისი) საკუთრება უნდა ჰქონოდათ."[10]

ყოველივე ამის გათვალისწინებით მზითვის ინსტიტუტის დაცვაზე კანონები ზრუნავდნენ. კანონმდებლობის მიხედვით, ამ კანონების შესრულებაზე პასუხისმგებლობა არქონტს ეკისრებოდა, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნული კანონების აღსრულება მთელი საზოგადოების საზრუნავს წარმოადგენდა. ხოლო ის, რომ ბერძნები განსაკუთრებულად იცავდნენ და აკონტროლებდნენ ქალებს, იმითაც აიხსნება, რომ ქალები, როგორც

---

[9] Gould J., "Law, Custom and Myth: Aspects of the Social Position of Women in Classical Athens", JHS 100, 1980, 44.

[10] თუ რა უბედურება შეეძლო მოეტანა ქალის უფლებას განეკარგა საკუთრება, არისტოტელე ლაკედემონში მომხდარი პრეცენდენტით ამტკიცებდა (არისტოტელე, „პოლიტიკა", 1270 a20).

ვნახეთ, საკუთრების გადამცემი ობიექტები იყვნენ. ასე რომ, ქალებზე ზრუნვა ამავე დროს სწორედ საკუთრების დაცვაც გახლდათ, რაც, როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ოჯახის და სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტია იყო.

მეორე მხრივ, მზითვი ქალის ეკონომიური დაცვის მექანიზმსაც წარმოადგენდა. ქმარს მზითვით გამოხატული თანხის ინვესტირება ევალებოდა, ინვესტირებიდან ამოგებულ თანხას კი ქალი ეკონომიურად უნდა შეენახა. ამონაგები თანხა წლიურად კაპიტალური თანხის 18%-ს შეადგენდა. სწორედ ამ თანხას უნდა უზრუნველეყო ის, რომ ქალს ქმრის ოჯახში არსებობის ნორმალური პირობები ჰქონოდა.

ამავე დროს, მზითვი ქალს სოციალურადაც იცავდა. ათენური კანონების თანახმად, გაყრის შემთხვევაში ქმარს მზითვი ქალის ოჯახისთვის მთლიანად უნდა დაებრუნებინა, მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვისი ინიციატივით მოხდა მეუღლეთა დაშორება. თუ ქმარი მზითვის დაბრუნებას ვერ შეძლებდა, მას ქალის ოჯახისთვის ყოველწლიურად თანხის 18%-იანი სარგებელი უნდა ეხადა. ძირითადად ქმრისთვის ადვილი საქმე არ იყო მზითვის დაბრუნება. უმეტესწილად თანხის რაღაც ნაწილი მას უკვე დახარჯული ჰქონდა. ხოლო იმისთვის, რომ თავი მძიმე მდგომარეობაში არ ჩაეგდო, მას უნდა ეცადა, რომ ცოლთან თუ სიამტკბილობა არა, ნორმალური ურთიერთობა მაინც ჰქონოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალის ოჯახს, და თავად ქალსაც ყოველთვის ჰქონდა უფლება ოჯახი დაეშალა.

დღეს მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მზითვის ინსტიტუტის მეშვეობით ათენელი ქალი ეკონომიურად უფრო მეტად იყო დაცული, ვიდრე თანამედროვე გათხოვილი ქალი.[11]

იმას, თუ რამდენად უზენაესი იყო ინდივიდუალური ოიკოსების დაცვის პრინციპი, ცხადყოფს კიდევ ერთი სპეციფიკურად ბერძნული ინსტიტუტი — ეპიკლეროსი. ოჯახში, რომელსაც მამრობითი მემკვიდრე არ ჰყავდა, საგვარეულო ხაზი ქალიშვილს უნდა გაეგრძელებინა. სწორედ ეს ქალიშვილი იყო „ეპიკლეროსი." თანამედროვე ენებზე ეპიკლეროსს ჩვეულებისამებრ „მემკვიდრედ" თარგმნიან, მაგრამ სიტყვა-სიტყვით ეს ტერმინი „საკუთრებასთან მყოფს" („საკუთრებასთან მიერთებულს") აღნიშნავს, რაც ამ ინსტიტუტის არსს ძალზე ზუსტად გამოხატავს. მართლაც, ეპიკლეროსი თითქოს იყო მამისეული ქონების მესაკუთრე, მაგრამ სინამდვილეში მემკვიდრეობას მასზე დაქორწინებული მამაკაცები, უფრო ზუსტად კი მათი ვაჟიშვილები იღებდნენ. ეპიკლეროსი მკაცრად იყო ვალდებული მამისეული ოჯახის უახლოეს ნათესავს გაჰყოლოდა. ეპიკლეროსის საქმროს „ანქისტეას" შიგნით დადგენილი რიგის შესაბამისად არჩევდნენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, იყვნენ თუ არა დაქორწინ-

[11] Lacey W.K., The Family in Classical Greece, London, 1968, 174.

ნებული ქორწინების სუბიექტები. ა. მ. ის ქალი, რომელიც ეპიკლეროსი მოგვიანებით გახდა, თუ შვილი არ ჰყავდა, ქმარს უნდა გასცილებოდა, მამისეულ ოჯახში დაბრუნებულიყო, რათა უკვე ეპიკლეროსისთვის დადგენილი წესის თანახმად გათხოვილიყო და მამისეული ოჯახის ხაზი გაეგრძელებინა. ქორწინების აღმნიშვნელ ბერძნულ ტერმინს „ეკდოსისს", რომელიც სიტყვასიტყვით თხოვებას ნიშნავს — ყველაზე უკეთ ეპიკლეროსის ინსტიტუტი გამოხატავს. ქალი, მართლაც იყო ის ნივთი, რომელსაც მამა სხვა ოჯახის კურიოსს ათხოვებდა, რათა ქალს თავისი მოვალეობა, ვითარცა ცოლსა და დედას, იმ ოჯახში შეესრულებინა. მაგრამ იმავე მამას და საზოგადოდაც ქალის ნებისმიერ კურიოსს უფლება ჰქონდა „გათხოვილი ნივთი" უკან გამოეთხოვა. ასეთი საჭიროება, უპირველეს ყოვლისა სწორედ ოჯახის შენარჩუნების დროს დგებოდა. როცა მამისეულ ოჯახს ეს ესაჭიროებოდა, ეპიკლეროსი საგვარეულო ხაზის გამგრძელებლად უნდა დაბრუნებულიყო და არავინ ეკითხებოდა მას, უნდოდა თუ არა ეს. ეპიკლეროსის ეს სპეციფიკურად ათენური ინსტიტუტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქალი ვალდებული იყო თავისი გენერაციული ფუნქცია უპირველესად მამისეული ოჯახის წინაშე შეესრულებინა.

ქალის სტატუსის შეზღუდვას და დაქვემდებარებას ოჯახსა და საზოგადოებაში ადულტერის, ღალატის ახლებური გააზრება მოჰყვა. ამ პერიოდთან შედარებით ჰომეროსის ეპოქაში ქალის მორალური სახის მიმართ დამოკიდებულება გაცილებით ლოიალური იყო. ღალატი იყო ქმრისადმი მიყენებული შეურაცხყოფა, რომელიც შეიძლებოდა გადაქცეულიყო კიდეც ცალკეულ საგვარეულოთა შორის შინაომების საბაბად, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ღალატი სოციალურ სტაბილურობას საფრთხეს არ უქმნიდა. დემოკრატიულ პოლისში ადულტერი სხვანაირად შეაფასეს. ახლა იგი აღარ იყო მხოლოდ ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის მიყენებული შეურაცხყოფა. ღალატი ქალაქის და საზოგადოების, შესაბამისად საჯარო შეურაცხყოფად გადაიქცა, რადგან იგი საეჭვოს ხდიდა მემკვიდრის კანონიერ სტატუსს. ეს კი უპირველესად ოიკოსის შენარჩუნებას უქმნიდა საფრთხეს, საბოლოო ჯამში კი მთელ საზოგადოებას დარტყმის ქვეშ აყენებდა.

ბერძნები ზედმიწევნით ზრუნავდნენ, რომ ამგვარი საფრთხე თავიდან აეცილებინათ, ამიტომაც შეაფასეს მათ ადულტერი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად. ყოველივე ამას მკაფიოდ გვიჩვენებს და განმარტავს ლისიასის ცნობილი სიტყვის „ერატოსთენეს მკვლელობის წინააღმდეგ" ერთ-ერთი პასაჟი: „აი, მოსამართლენო, რამდენად შემწყნარებელია კანონმდებელი მოძალადის მიმართ მაცდუნებელთან შედარებით. მაცდუნებელს მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, პირველს კი მიყენებული ზარალისთვის მხოლოდ ფულადი კომპენსაცია დაუდგინა. იგი გამოდიოდა იქიდან, რომ ძალადობის მსხვერპლს მოძალადე სძულს მაინც. მაცდუნებელი კი იმდენად რყვნის თავის მსხვერპლს, რომ ცოლი მას საკუთარ ქმარზე მეტად

მიეჯაჭვება. ცოლი მას უფლებას აძლევს, რომ მთელი სახლი განკარგოს. და ეჭვი ბავშვების მიმართაც ჩნდება – ქმრისგან არიან ისინი თუ საყვარლისგან. აი, სწორედ ამიტომ ამგვარ ადამიანებს კანონმდებელმა სიკვდილი მიუსაჯა" (ლისიასი, I, 33).

ამასთან ერთად სახელმწიფომ მკაფიოდ განსაზღვრა მოქალაქე ქალების სექსუალური ცხოვრების ნირიც. უფრო ადრე სოლონის რეფორმამ დააკანონა არა მარტო ქალისთვის სავალდებულო ნორმები, არამედ დეტალებში დაადგინა ქალის ქცევის სხვა საკითხებიც — ისეთებიც კი, როგორიც იყო ქალის მოგზაურობის, თუ უბრალოდ ქუჩაში მოქცევის წესები. ის „ორმაგი მორალი", რომელიც კაცისთვის და ქალისთვის სრულიად განსხვავებული სექსუალური ცხოვრების ნირს გულისხმობს, სწორედ სოლონის დროს იყო აშკარად წაქეზებული. ქალს მხოლოდ ერთ კაცთან — მეუღლესთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობის უფლება, მაშინ როდესაც ათენელ კაცს შეეძლო სხვადასხვა კატეგორიის ქალთან ჰქონოდა კავშირი ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით — მას ეკრძალებოდა სასიყვარულო ურთიერთობა იმ ქალებთან, რომლებიც სხვა მამაკაცის მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ცოლ-ქმრული ღალატი მკაცრად ისჯებოდა. მეურვეს უფლება ჰქონდა მაცდუნებელი დანაშაულის ადგილზევე მოეკლა. მაგრამ კლასიკურ პერიოდში დამნაშავე მამაკაცს ქალის მხარე უპირატესად ციხეში სვამდა, რათა მისგან ფულადი კომპენსაცია მიეღო.

კანონი არ მოითხოვდა, რომ მოღალატე ქალი სიკვდილით დაესაჯათ. მაგრამ იმას კი მოითხოვდა, რომ ამის შემდეგ ქმარი ცოლს გაპყროდა. ასეთ ქალს რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებოდა. თუ ქალი მაინც შეეცდებოდა კულტმსახურებას, საზოგადოების ნებისმიერ წევრს უფლება ჰქონდა მისთვის ტანსაცმელი საჯაროდ შემოეხია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინა.

კლასიკურ ათენში გაყრა რთულ პროცედურას არ წარმოადგენდა. გაყრა არ ითვლებოდა სამარცხვინო მოვლენად და ჩირქს არც ერთ მეუღლეს არ სცხებდა. გაყრა ძირითადად ორმხრივი შეთანხმებით ხდებოდა. მისი ინიციატორი ორივე მხარე შეიძლება ყოფილიყო. გაყრის შემდეგ შვილები მამასთან რჩებოდნენ. განქორწინებული ქალის ხელახლა გათხოვებას ბერძნები ბუნებრივ მოვლენად აღიქვამდნენ.

ახლა საოჯახო სივრციდან საჯარო სფეროში გადავინაცვლოთ და ვნახოთ, თუ რას მოიცავდა ქალის მოქალაქეობრივი სტატუსი, ანუ რის უფლებას ანიჭებდა იგი ქალს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ათენელი ქალი მოქალაქე იყო, მაგრამ მოქალაქე საკმაოდ შეზღუდული უფლებებით. საერთოდ, ბერძნულ ენაში მოქალაქეობას ტერმინი „πολίτης" აღნიშნავს (ეს მამრობითი სქესის ფორმაა). მისი მდედრობითი სქესის ფორმა — „πολῖτις" — მართალია, ცალკეულ შემ-

თხზეულებში გამოხატავდა ქალის სამოქალაქო სტატუსს, მაგრამ გაცილებით ფართოდ ამ მნიშვნელობით მეორე ტერმინი — ἀστή იხმარებოდა. თანამედროვე ენებში სხვა უფრო შესაფერისი შესატყვისის უქონლობის გამო, ἀστή-ს „მოქალაქედ" თარგმნიან. მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ἀστή-ს არ ნიშნავს პოლიტიკური, ან თუნდაც სრული სამოქალაქო უფლებების მქონე პირს. ათენელი ქალის ἀστή იმას აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა წილი ათენური საზოგადოების ლეგალურ, რელიგიურ და სოციალურ მოწყობაში, ანუ მას შეზღუდული სამოქალაქო უფლებები გააჩნდა.[12]

ოჯახურ კონტექსტში ქალის ფუნქციებს უკვე გავეცანით. საზოგადო სივრცეში მისი უფლებები, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე შეზღუდული იყო. ასე მაგალითად, ათენში ქალს ეკრძალებოდა დასწრებოდა სახალხო კრებას, ანდა მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში, ქალს არ შეეძლო ყოფილიყო სასამართლოს წევრი, ან რაიმე სამოქალაქო თანამდებობა დაეკავებინა. საჯარო სივრცეში მისი მონაწილეობა რელიგიური კულტმსახურების სფეროთი შემოიფარგლებოდა.

და მაინც, გარკვეულ ეტაპზე ქალის, როგორც მოქალაქის, სტატუსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ძვ. წ. 451 წ-ს ათენის სახალხო კრებამ პერიკლეს მოქალაქეობის კანონი მიიღო. ამ კანონის მიხედვით, მოქალაქედ ის პიროვნება ითვლებოდა, რომელსაც დედაც და მამაც ათენელი მოქალაქე ჰყავდა. ამდენად, ახლა დედაც გახდა შვილებისთვის მოქალაქეობის უფლების მიმცემი და ამ მიზეზის გამო ქალის სამოქალაქო სტატუსს მიენიჭა სწორედ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

და მაინც, რისთვის დასჭირდა პერიკლეს ამ კანონის შემოღება?

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ პერიოდში ათენში მოსახლეობის რიცხვი ძალიან სწრაფი ტემპით იზრდებოდა და დამატებით ახალი ოჯახები ჩნდებოდა, რაც ათენური პოლისისათვის სასურველ მოვლენას არ წარმოადგენდა. საჭირო იყო მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებდა მოსახლეობის რაოდენობას. სწორედ ასეთი მექანიზმი უნდა ყოფილიყო ის კანონი, რომელიც შეზღუდავდა იმ საპატარძლოთა რიცხვს, რომელთაც კანონიერი მოქალაქეების გაჩენა შეეძლოთ. პერიკლეს კანონი, მათი აზრით, სწორედ ამას ემსახურებოდა.[13] დასაშვებია სხვების ვარაუდიც, რომელთა მიხედვითაც პერიკლეს კანონი წარმოადგენდა გარანტიას იმისას, რომ ღარიბი და შეუხედავი ათენელი ქალიშვილები გაუთხოვარნი არ დარჩენილიყვნენ. საპატარძლოთა რიცხვი ხომ ამ კანონის პირობებში მცირე იქნებოდა და მამაკაცებს საცოლეთა დიდი არჩევანი აღარ ექნებოდათ. ეს

---

[12] ანტიკურ წყაროებში ტერმინ „ἀστή"-ს განსაზღვრება არსად არაა მოცემული. არისტოტელე „პოლიტიკაში" ამ ტერმინს ორჯერ იყენებს, მაგრამ მის განმარტებას ფილოსოფოსი არ გვაძლევს (არისტოტელე, „პოლიტიკა", 1278a 34; 1300 b31).

[13] Pomeroy S.B., Goddesses, Whores, Wives and Slaves, Women in Classical Antiquity, New York, 1975, 66-70.

კი სულაც არ გახლდათ უმნიშვნელო გარემოება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაუთხოვარ ქალიშვილებს იმისთვის, რათა თავი ერჩინათ, მეძავად გახდომის საფრთხე ემუქრებოდათ.[14]

ყოველივე ამასთან ერთად ამ კანონის შემოღებით ათენი თავის მოქალაქეთა ერთობასაც იცავდა. აქამდე ფართოდ იყო გავრცელებული უცხოელებთან ქორწინება. ამგვარი ქორწინების აკრძალვით, პერიკლეს კანონი, ბუნებრივია, ხელს უწყობდა მჭიდრო ნათესაური ქსელის შექმნას, ქალების გაცვლა ხომ ათენურ ოჯახებს ერთმანეთთან მტკიცედ აკავშირებდა. ყოველივე ეს ათენის, როგორც ერთი მთლიანობის, უცხოელთაგან დაცვას ემსახურებოდა.[15]

მიუხედავად იმისა, რომ ათენელებს თავიანთი ქალები დაქვემდებარებული ჰყავდათ, ისინი დიდ პატივს მიაგებდნენ გათხოვილ ქალთა ფუნქციებს. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ქალების მიერ მოვალეობის ღირსეულად აღსრულება მათი მხრიდან პოლისისათვის მირთმეული საპატივსაცემო ძღვენი გახლდათ. ათენის მოქალაქეობა ქალებისთვის ერთობ საპატიო რამ იყო, მაგრამ ამასთანავე მოქალაქეობა მათ პრივილეგიებსაც ანიჭებდა (პრივილეგიები მარტო ქალების ამ ფენას ჰქონდა). დემოსთენე თავის სიტყვაში „ნეერას წინააღმდეგ" მკაფიოდ გამოკვეთავს, თუ რას წარმოადგენდა მოქალაქე ქალების პრივილეგიები. მოქალაქე ქალებს სხვებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ, როგორც პრივატულ სივრცეში, ისე საზოგადო სფეროში. პრივატულ სივრცეში მათი პრივილეგია ის გახლდათ, რომ მხოლოდ ამ სტატუსის ქალებს შეეძლოთ ქმრისთვის ათენის კანონიერი მოქალაქე გაეჩინათ. რაც შეეხება საჯარო სფეროში მათ უპირატესობას, მხოლოდ მათ — მოქალაქე ქალებს შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფო რელიგიურ კულტმსახურებაში. მაგრამ ამასთან, კარგად დავიხსომოთ ის, რომ დასახელებული პრივილეგიები მარტოოდენ მათდამი პატივისცემის გამოხატულება არ გახლდათ. ისინი უპირველესად ისევ ათენური სახელმწიფოს წესრიგისა და სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენდნენ. ამიტომაც იყო, რომ ნეერასთვის განაჩენის გამოტანის დროს (იმ ქალისთვის, რომელიც არაკანონიერად სარგებლობდა მოქალაქე ქალების უპირატესობით და ამდენად საფრთხეს უქმნიდა მათთვის მინიჭებულ უნიკალურ პატივს), ორატორი მსაჯულებს ხაზგასმით აფრთხილებს, მოუწოდებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ვერდიქტი, როგორც ათენელი მოქალაქე ქალებისთვის, ისე ათენური პოლისისათვის საზოგადოდ: „თითოეულ თქვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ იგი ხმას აძლევს თავისი ცოლის, ქალიშვილის, დედის საკეთილდღეოდ, და ასევე აძლევს ხმას სახელმწიფოს, კანონების და რწმენის საკეთილდღეოდაც" (დემოსთენე, LIX, 114).

[14] Lacey, 1968, 100-1.

[15] Patterson C.B., Pericles' Citizenship Law of 451-50, The Ayer Company, 1981, 3 და 97-105.

ათენელ ქალთა ყოველდღიური ცხოვრება

ქალთა ყოველდღიური ცხოვრების ერთიანი სურათის მოცემა გარკვეული მიზეზების გამო უფრო გაგვიჭირდება. სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ ერთი მხრივ, ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის შესახებ არსებობს კულტურული იდეალი — ანუ ქცევის მოსალოდნელი მოდელი, მეორე მხრივ კი, წყაროები მოდელისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ცხოვრებისეულ პრაქტიკას გვიდასტურებენ. ამიტომ ქალთა ცხოვრების ცალკეულ მხარეთა შედარებით სრულად წარმოსაჩენად უფრო მართებული იქნება, თუკი ორივე მათგანს განვიხილავთ — როგორც კულტურულ სტერეოტიპს, ისე სოციალურ პრაქტიკას. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო მეტად ვიქნებით დაზღვეული უზუსტობისგან, ვიდრე მაშინ, თუკი ერთიანი სურათის დახატვას შევეცდებით.

ქალთა განცალკევება

ათენელ ქალთა ცხოვრების შესახებ მსჯელობისას ცალკე საკითხად გამოვყოფთ ქალთა განცალკევების უაღრესად საინტერესო პრობლემას. იგი ფრიად არსებითია ჩვენი საკითხისათვის და სნორედ ამიტომ კამათობდნენ ამის თაობაზე ასე მწვავედ XIX ს-დან მოყოლებული. ათენელი ქალის სოციალურ სტატუსს მეცნიერები უშუალოდ ამ საკითხს უკავშირებდნენ. ის მხარე, რომელიც თვლიდა, რომ კლასიკურ პერიოდში ქალს დაბალი სოციალური სტატუსი ჰქონდა, ამტკიცებდა იმას, რომ ათენელი ქალები განცალკევებული და შეზღუდული ცხოვრების ნირს ეწეოდნენ. მეორე მხარე კი, რომელიც უარყოფდა ქალების დაბალ სოციალურ სტატუსს, შესაბამისად, ქალების თავისუფლების მაღალ ხარისხს აღიარებდა. თანამედროვე ეტაპზე ერთმნიშვნელოვნად იზიარებენ მოსაზრებას, რომ ქალთა განცალკევება, თუ გნებავთ, მათი სეგრეგაცია, სულ ცოტა, მაღალი კლასის იდეალს მაინც წარმოადგენდა. ამ იდეალის მიხედვით საზოგადოებისგან ქალის გამიჯვნა მამაკაცების თვალთახედვით, უპირველესად, სწორედ მათ დაცვად მოიაზრებოდა. თავიანთი სახლეულის ქალების უბინოების და სიწმინდის დაცვის შემძლეობა კი მამაკაცთა ძლიერებას უსვამდა ხაზს და მათი მაღალი სტატუსის, ღირსებისა და სიმდიდრის დასტური გახლდათ.

ქალთა სეგრეგაცია, პირველ რიგში, ათენის მიერ გატარებულ იდეოლოგიურ კურსს უკავშირდებოდა, რომლის უმთავრესი მახასიათებელი ცხოვრებაში საზოგადო და პრივატულ სივრცეთა მკვეთრი გამიჯვნა იყო. ამგვარ გამიჯვნას შედეგად სდევდა სქესთა მიმართ რადიკალური პოლიტიკა სქესთა უკიდურესი დიქოტომიზაციით. შედეგად მამრობითი სქესი

უპირობოდ საზოგადოს, მდედრობითი — კი პრივატულ სივრცეს მიაკუთვნეს. ამდენად სქესთა განცალკევება, უპირველესად, მამაკაცთა და ქალთა ცხოვრების და მათი საქმიანობის სფეროების მკვეთრ გამიჯვნას აღნიშნავდა. ქსენოფონის ისმაქოსი სქესთა განცალკევების იდეალის, ალბათ, კლასიკურ განსაზღვრებას გვაძლევს, როცა ამბობს: „ქალს შეეფერება შინ იჯდეს და გარეთ არ გადიოდეს. ამის საპირისპიროდ, მამაკაცის სახლში ყოფნა ნაცვლად იმისა, რომ მან საგარეო საქმიანობას და მიზნებს მიუძღვნას თავი, სამარცხვინოა მისი ღირსებისთვის" (ქსენოფონი, „ოიკონომიკოსი", 7, 30).

რესპექტაბელური ათენელი ქალის ცხოვრება უმთავრესად სახლში წარიმართებოდა. საყიდლებზე იგი არ დადიოდა, არც ქმართან ერთად მიდიოდა წვეულებაზე. დაუშვებელი იყო ისიც, რომ იგი საკუთარ სახლში გამართულ ნადიმზე გამოსულიყო. მეტიც, უცხო მამაკაცთან მას თავის სახლშიც კი არ უნდა ჰქონოდა არანაირი კონტაქტი. თუ ქალები ოჯახში მაინც ურთიერთობდნენ უცნობ მამაკაცებთან, ეს ყოველთვის უკიდურესი გარემოებით იყო გამოწვეული და თავად ქალების მხრიდან განხაკუთრებულ შემთხვევად აღიქმებოდა (ლისიასი, XXXII, 11).

ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალები სახლში იყვნენ გამოკეტილნი და გარეთ არ გადიოდნენ. ქალები მოახლეების თანხლებით დადიოდნენ სასეირნოდ. სეირნობისას ისინი ძაფს რთავდნენ, ქსოვდნენ და მასლაათობდნენ. ქალები მეზობლებთანაც ურთიერთობდნენ, ერთმანეთში საოჯახო წვრილმანებს სესხულობდნენ. სოციალურ კონტაქტთაგან უმთავრესი საოჯახო რიტუალებსა და რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა იყო. ორ უმთავრეს საოჯახო რიტუალში — დაკრძალვის და ქორწინების ცერემონიებში ქალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. დაკრძალვის რიტუალთან ქალი უხსოვარი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. არისტოკრატიის მმართველობის დროს, როდესაც მდიდრული დაკრძალვების გამართვა იყო მიღებული, პროფესიონალ მოტირალ ქალებს იწვევდნენ. სოლონის კანონმდებლობით, რომელიც საზოგადოდ არისტოკრატიული წესჩვეულებების წინააღმდეგ ილაშქრებდა, დაკრძალვის რიტუალიც შეიზღუდა. შეზღუდვა მოტირალი ქალების რიცხვსაც შეეხო, მეტიც, განისაზღვრა იმ ქალთა ასაკობრივი ცენზი, რომელთაც შორეული ნათესავების დაკრძალვაში შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა. მხოლოდ 60 წელს გადაცილებულ ქალებს დართეს ნება, შორეული ნათესავების დაკრძალვას დასწრებოდნენ.

დადიოდნენ თუ არა ქალები თეატრში? ძნელია ამ კითხვას დანამდვილებით ვუპასუხოთ, თუმცა მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ქალები თეატრალურ სანახაობებს ესწრებოდნენ.[16] თუ გავიხსენებთ იმას, რომ ქალები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას რელიგიურ დღესასწაულებში,

[16] Henderson J., "Women and the Athenian Dramatic Festivals", TAPA, 1991, 121, 133-47.

მაშინ გაგვიძნელდება იმის დაშვება, რომ მათ ეკრძალებოდათ დრამატულ სანახაობაზე დასწრება, რომელიც რელიგიურ დღესასწაულთა ნაწილი იყო. მეორე მხრივ, სავარაუდოა ისიც, რომ თეატრალური აუდიტორია უმთავრესად მამაკაცებისაგან შედგებოდა და ქალებს არ აქეზებენ აქტიურად, წარმოდგენების სანახავად წასულიყვნენ.

ამასთან განსაკუთრებით გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ქალთა განცალკევება აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებდა და სხვადასხვა სოციალურ ფენაში განსხვავებულად ვლინდებოდა. რაც უფრო ქვემოთ ჩამოვუყვებით სოციალურ იერარქიას, ვნახავთ, რომ ქალთა სეგრეგაცია უფრო მცირდება. შედარებით დაბალი სოციალური ფენის მოქალაქე ქალები, შინიდან გაცილებით ხშირად გადიოდნენ. ისინი თავად დადიოდნენ საყიდლებზეც და საზოგადო შადრევნებზეც, რადგან მონები არ ჰყავდათ. ამასთან ერთად, ამ სოციალური ფენის ქალები მეტწილად იძულებული იყვნენ, საარსებო სახსრები გარეთ, დაქირავებული შრომით მოეპოვებინათ.

უდავოდ საინტერესოა ის, რომ სქესთა განცალკევება ათენური სახლების არქიტექტურაშიც გამოიხატა. სქესთა შორის სივრცის გამიჯვნა სახლში, ალბათ, ათენური სეგრეგაციის ყველაზე სპეციფიკური შემთხვევა გახლდათ. მამაკაცთა ნახევარი — ე.წ. „ანდრონი" ორსართულიან სახლებში ქვემოთა სართულზე იყო განლაგებული, ერთსართულიან სახლებში კი — შემოსასვლელი კარების ახლოს მდებარეობდა. გინეკეუმი — ქალთა ნახევარი — უპირატესად ზედა სართულზე ან სახლის კარებიდან ყველაზე დაშორებულ ნაწილში იყო განთავსებული. სწორედ აქ ეწეოდნენ ქალები თავიანთ საქმიანობას — ართავდენ ძაფს, ქსოვდნენ, უვლიდენ ბავშვებს. მონა ქალებსაც აქვე ეძინათ. ქალებს არა მხოლოდ სამოქმედო სივრცე ჰქონდათ მოზომილი, მოზომილი იყო მათი სამოქმედო დროც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალთა საქმიანობებს დროითი განსაზღვრაც დაუწესეს. კულტურული იდეალის მიხედვით, ქალი ხანგრძლივად უნდა ყოფილიყო დასაქმებული, სამუშაოს შესრულებას ქალისთვის დიდი დრო უნდა ნაერთმია. მხოლოდ გამუდმებული გარჯა დაიცავდა ქალს იმ სიავისგან, რისი მოტანაც მოცალეობას შეეძლო. ორივე შეზღუდვა, როგორც სივრცითი, ისე დროითი, ქალის დასაცავად იყო მიმართული — მამაკაცებთან ურთიერთობის საფრთხეს თავიდან არიდებდა.

ქალთა ნახევარში უცხო მამაკაცის უნებართვოდ შესვლას, ან უფრო უარესს — შეჭრას, შესაბამისი სიმძაფრის რეაქცია მოსდევდა. სასამართლო სიტყვებში მოძალადის ამგვარი საქციელი კვალიფიცირდებოდა, როგორც კრიმინალი და მონინააღმდეგისათვის მიყენებული ზიანის ერთ-ერთ ყველაზე არსებით ნაწილად მოიაზრებოდა. ასეთი ქმედება ქალებზე მძიმე ზემოქმედებას ახდენდა. ამასთან ის ქალთა განცალკევების კულტურულ სტერეოტიპს არღვევდა. საბოლოო ჯამში კი იმაზე მიუთითებდა, რომ

მამაკაცი — ქალების მეურვე — მათ სათანადოდ დაცვას ვერ ახერხებდა. მამაკაცთა ღირსების გრძნობისთვის მიყენებული ეს დარტყმა, ბუნებრივია, მათ განსაკუთრებულ რისხვასა და აღშფოთებას იწვევდა.[17]

ქალთა განცალკევების იდეალი, როგორც ჩანს, ძლიერი და აქტიურად მოქმედი სტერეოტიპი იყო. ერთ-ერთ წყაროში დადასტურებული ლიკოფრონის ისტორია, თუმც განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, მაინც ამ იდეალის სიცოცხლისუნარიანობას გვიდასტურებს. საქმე ასე იყო: ვინმე ლიკოფრონი მეგობრის სახლში მივიდა, იქ მასპინძლის ცოლს შეხვდა და გამოელაპარაკა. ეს მისთვის ფრიად საეალალოდ დასრულდა. ლიკოფრონის წინააღმდეგ საქმე სასამართლოში აღძრეს და მას ქალის შეცდენის ბრალდება წაუყენეს (ჰიპერიდესი, „ლიკოფრონი", ap. Pap. Oxy. 1607, 40 და შმდ.). უცხო მამაკაცთან დალაპარაკება, რასაკვირველია, ჩვეულებრივ ამგვარად არ მთავრდებოდა, მაგრამ ასეთი ექსტრემალური შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ ბერძნები უცნობ მამაკაცთან ქალის ნებისმიერ ურთიერთობას ფრიად არასასურველ მოვლენად მიიჩნევდნენ.

მაგრამ განცალკევების იდეალი, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქალი სრულ იზოლაციაში უნდა ყოფილიყო. ქალს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა თავისი სახლეულის მამაკაცებთან. მათი ურთიერთობა ხშირად თბილი და სიყვარულით აღსავსე იყო. შედარებით გვიანდელ წყაროებში, ჩვენ ცოლსა და ქმარს შორის პარტნიორული ტიპის დამოკიდებულებასაც ვხვდებით. ამასთან ქალებს სახლის გარეთ სხვა ქალებთანაც ჰქონდათ კონტაქტი.

რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო კარგავდა ძალას ქალთა განცალკევების იდეალი. V ს. ბოლოსთვის უფსკრული იდეალსა და რეალობას შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. ომით გამოწვეული სიდუხჭირის გამო დაბალი ფენის ქალები სახსრების მოსაპოვებლად შინიდან გადიოდნენ. ამასთან წყაროები იშვიათად, მაგრამ მაინც გვიდასტურებენ მაღალი კლასის ქალების ერთობ დამოუკიდებელ ქმედებათა შემთხვევებსაც.

ქალები და შრომა

საშუალო და საშუალო მაღალი კლასის ქალები სახლში შრომობდნენ. ტრადიციულად, ქალის შრომა დიდად დაფასებული არ იყო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბერძნები შრომის სხვადასხვა ტიპს განსხვავებულად აფასებდნენ. მათი აზრით, კეთილშობილ მამაკაცს მხოლოდ ესა თუ ის გარკვეული საქმიანობა შეეფერებოდა, შრომის სხვა სახეობები კი დამამ-

[17] ქალთა ნახევარში მამაკაცის შეჭრისთვის იხილე განსაკუთრებით დემოსთენე, XLVII; ასევე დემოსთენე, XXXVI, 45-7; დემოსთენე, XXI, 79. ასევე ლისიასი, II, 6, 23; ლისიასი, XII, 30.

ცირებლად, სათაკილოდ და უფრო მონების საკადრისად ითვლებოდა. ქალების შრომა უმეტესწილად ამ უკანასკნელ კატეგორიაში ექცეოდა და მისი პროდუქტიულობის მიუხედავად, მონის შრომაზე მეტად არ ფასობდა. ამასთან, რადგან ქალები უმთავრესად სახლში საქმიანობდნენ, მათი შრომა არ ჩანდა, არ იყო მოქცეული საზოგადოების ყურადღების ცენტრში და ამდენად არც დაფასებული იყო.

ქალების საქმიანობა სოციალური იერარქიის მიხედვით განსხვავდებოდა. თუმც არსებობდა ერთი საქმიანობა, რომელსაც ყველა სოციალური ფენის ქალი ეწეოდა. ეს შალის დამუშავება იყო. ქსოვილის წარმოება საბერძნეთში შინამრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგად ითვლებოდა. მოქსოვილი მასალისგან შემდეგ ტანსაცმელს ამზადებდნენ. ვაზებზე ხშირადაა წარმოდგენილი ქალები ქსოვის პროცესში, ზოგიერთ ნახატზე დარბაისელი ქალი მონას ქსოვას ასწავლის. ვაზებზე გამოსახულია აგრეთვე ქალების მიერ მოქსოვილი თუ შეკერილი ნივთები, რომლითაც ისინი თავიანთი სახლის ინტერიერს აწყობდნენ — ესაა კედლებზე ჩამოსაკიდი დეკორაციები, სანოლის გადასაფარებლები, ბალიშები, მუთაქები და ა.შ. ქსოვა მოიაზრებოდა, როგორც ყველაზე არსებითი ქალური ღირსება.[18] ამ საქმიანობის ამგვარ შეფასებას ადასტურებს ის როლიც, რომელიც ქსოვას ქალების მიერ აღსრულებულ რელიგიურ მსახურებაში ჰქონდა. ასე მაგალითად, პანათენაიების დღესასწაულზე უმთავრესი ხომ ათენასათვის პეპლოსის მიძღვნა იყო, იმ პეპლოსისა, რომელსაც ქალები დიდი გულმოდგინებით თითქმის მთელი წლის მანძილზე ქსოვდნენ.

მაღალი კლასის ქალთა უმთავრესი საქმიანობა სახლის მეურნეობის მართვა იყო, იმ მეურნეობისა, რომელშიც ოჯახის საკუთრების მნიშვნელოვანი ნილი იყო დაბანდებული. როგორც წყაროებიდან ჩანს, ქალის საოჯახო მენეჯმენტს ბერძნები თანდათანობით სულ უფრო მეტად აფასებდნენ (ლისიასი I, 7; დემოსთენე LIX, 122). ქსენოფონი ამ საქმიანობას უმაღლეს შეფასებას აძლევს. „ოიკონომიკოსში" მწერალს საოჯახო მეურნეობის გაძღოლის უნარი მეცნიერების რანგში აჰყავს. შესაბამისად ქალი, რომელიც დაეუფლა ამ ეკონომიურ მეცნიერებას და ბრძნულად წარმართავს მეურნეობას, იმდენად სრულყოფს საკუთარ თავს, რომ სოკრატეს უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. მისი თქმით, ამგვარი ნიჭით დაჯილდოებული ქალი „მამაკაცურ გონს" ავლენს (ქსენოფონი, „ოიკონომიკოსი", 9-10,1); „ოიკონომიკოსში" მეურნეობის გაძღოლის იდეალია დახატული და საინტერესოა, რომ ამ მენეჯმენტში ქალის და მამაკაცის ფუნქციები გამიჯნულია, თუმცაღა აუცილებელია, რომ მათი როლები ერთმანეთთან იყვნენ შეთავსებული. მხოლოდ ამგვარად იქნება შესაძლებელი მეურნეობის სწორად დაფუძნება და შემდგომში მისი წარმატებით წარმართვა.

[18] Blundell S., Women in Ancient Greece, London, 1995, 41.

ამასთან მამაკაცები უფრო საგარეო შრომისათვის არიან გამოსადეგი, ქალები კი თავიანთი ბუნებით შინ მუშაობისთვის არიან მოწოდებული. ისომაქოსი — ამ იდეალის ავტორი, ქალს ფუტკართა დედოფალს ამსგავსებს, რომელიც სხვებს გარეთ საშრომად აგზავნის, თვითონ კი შინ მომუშავეთ უწევს ზედამხედველობას. ამასთან იგი ანაწილებს, ათავსებს და ინახავს სახლში მოტანილ დოვლათს. ისომაქოსის აზრით, ცოლმა თან მონებიც უნდა გაწვრთნას, მას ავადმყოფთა მოვლაც უნდა შეეძლოს. საქმიანობის ამგვარი დანაწილების გარეშე, მამაკაცის შრომა არავითარ სარგებლობას არ მოიტანს, რამეთუ მას არ ეყოლება საიმედო დარაჯი, რომელიც მის შექმნილს დაიცავს (ქსენოფონი, „ოიკონომიკოსი", 7-10). ის გარემოება, რომ მეურნეობის წარმატებით ფუნქციონირებაში ორივე სქესს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ, უდავოდ ადასტურებს იმას, რომ ბერძნულ ცნობიერებაში თანდათანობით იცვლებოდა დამოკიდებულება ქალის შრომის მიმართ. უწინდელი სტერეოტიპის რღვევაზე ევრიპიდეს „მელანიპეს" ერთ-ერთი ფრაგმენტიც მიუთითებს. „ქალები მართავენ საოჯახო მეურნეობას, ზრუნავენ მოტანილ დოვლათზე, არც ერთი სახლი, სადაც ცოლი არ არის, არაა მოწესრიგებული და აყვავებული. რელიგიაშიც — მე მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანია, ჩვენ, ქალები დიდ როლს ვასრულებთ... მაშ, განა სამართლიანია, რომ ქალთა სქესი ასეთი დაჩაგრული იყოს?" კითხულობს ქალი პერსონაჟი (Page, Selected Papyri, 13). როგორც ჩანს, უკვე თავად ქალები აცნობიერებდნენ მეურნეობის წარმართვაში საკუთარი როლის მნიშვნელობას და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, როცა მათ დამსახურებას და ღვაწლს მამრობითი სქესი არ აღიარებდა.

მეურნეობის გაძღოლასთან ერთად მაღალი კლასის ქალების უმთავრესი საქმიანობა შვილების აღზრდა და განსწავლა იყო. თუმცა მდიდრებს უმეტესწილად აჰყავდათ ძიძები, დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეძლებული ქალები ჩვილებს ძუძუს თავად ანოვებდნენ. გარკვეულ ასაკამდე ბავშვები უმთავრესად დედის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდნენ. გოგონებისთვის ეს პერიოდი მშობლიური სახლის დატოვებამდე, ანუ გათხოვებამდე გრძელდებოდა.

უფრო დაბალი ფენის ქალები ყოველდღიურ საქმელს თვითონ ამზადებდნენ. ღარიბი ქალები თავად ალაგებდნენ სახლებს და რეცხავდნენ სარეცხს.

ამასთან ღარიბი მოქალაქე ქალები სახსრების მოსაპოვებლად ხშირად გარეთ მუშაობდნენ, თუმცა ამგვარი პრაქტიკა ქალის საქმიანობის კულტურულ იდეალს არ შეესაბამებოდა. ქალებსა და მისი ოჯახის წევრებს ეს თავადაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. დემოსთენეს ერთ-ერთ სიტყვაში ორატორი ევქსითეოსი აღიარებს, რომ ისინი არ ცხოვრობდნენ ისე, როგორც სურდათ, რომ ეცხოვრათ. დედამისი — ათენის კანონიერი მოქალაქე ხან აგორაზე ყიდდა თავზე წასაკრავ ზონარებს, ხანაც დაქირა-

ვებულ ძიძად მუშაობდა, მაგრამ ამას ეკონომიური გაჭირვება აიძულებდა (დემოსთენე, LVII, 31).

სახლის გარეთ ქალების საქმიანობა ფართო სპექტრისა არ გახლდათ. ქალები ან სავაჭრო სფეროში იყვნენ დასაქმებულნი — ეწეოდნენ საცალო ვაჭრობას და მუშაობდნენ მედუქნეებად, ანდა დაქირავებული მოახლეები — მრეცხავები, ძიძები და ა.შ. იყვნენ. გავრცელებული იყო მოქსოვილი თუ მოქარგული ნივთების გაყიდვის პრაქტიკაც. ერთ-ერთ ვაზაზე ვაზების მხატვარი ქალის გამოსახულებასაც ვხვდებით.

არამოქალაქე ქალების დიდი ნაწილი განსხვავებულად ცხოვრობდა. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროფესია — მეძავეობა იყო. გადმოცემის თანახმად, პირველი საროსკიპოები სოლონმა სწორედ ათენში დაარსა. ამან ათენი უცხოელი ქალებისთვის, რომელთაც ფულის შოვნა სურდათ, განსაკუთრებით მიმზიდველი გახადა. მეძავის საქმიანობას სხვადასხვა სოციალური ფენის ქალები ეწეოდნენ — მონები, გაგაზატებულები და თავისუფალი არამოქალაქე ქალები. არც თუ იშვიათად, მონა-მეძავი ახერხებდა თავისუფლება მოეპოვებინა. ამის შემდეგ გაგაზატებული მეძავები ხშირად თავად იწყებდნენ ბიზნესს ამ სფეროში — აშენებდნენ საროსკიპოებს, ყიდულობდნენ ახალგაზრდა მონებს და წვრთნიდნენ მათ ამ საქმიანობისთვის. ათენში მაცხოვრებელი ქალებიდან მხოლოდ მათ შეეძლოთ განეკარგათ მნიშვნელოვანი თანხა.

სოციალურად ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომ მეძავებს ჰეტერები — „მამაკაცთა თანამგზავრები" ეწოდებოდათ. მათი მოვალეობა მამაკაცთა გართობა იყო. ამისთვის ჰეტერებს ინტელექტუალურად წვრთნიდნენ, ასწავლიდნენ პოეზიას და მუსიკას. აკი ამბობს კიდეც დემოსთენეს ორატორი, რომ ჰეტერები სიამოვნების მისაღებად გვყავსო (დემოსთენე, LIX, 122). ჰეტერათა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთი დროის ინტელექტუალურ ელიტასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ყველაზე ცნობილი ჰეტერა პერიკლეს საყვარელი, შემდეგში კი მისი ცოლი — ასპასია იყო. ასპასიაზე ბევრს წერდნენ და კამათობდნენ ანტიკურობაში. არისტოფანე ხუმრობით აცხადებდა, რომ პელოპონესის ომი პერიკლემ ასპასიას გავლენით დაიწყოო. პლუტარქეს ცნობით, კომედიოგრაფოსები ასპასიას მეტსახელად ხან ახალ ომფალეს, ხან დეიანირას და ხანაც პერას უწოდებდნენ, ხოლო კრატინოსი მას პირდაპირ მეძავს ეძახდა თურმე. არც თუ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ასპასიას პერიკლეს პლუტარქესეულ ბიოგრაფიაში. პლატონი პერიკლეს ცნობილ სამგლოვიარო სიტყვას ასპასიას მიაწერდა (არისტოფანე, „აქარნელები", 526-34; პლუტარქე, „პერიკლე", 24; პლატონი, „მენექსენოსი", 4. 236b; 4. 237E-238b). ამ ქალის შესახებ მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული. მაგრამ ერთი კი ცხადია, იგი თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე

თვალსაჩინო და საინტერესო ქალი გახლდათ. შეშდგომში ასპასიას მხატვრულმა სახემ, მისმა წარმოსახვითმა პიროვნებამ, როგორც ჩანს, გააერთიანა ყველა ის ოსტატობა, ცოდნა და წარმატება, რომლისთვისაც ქალს ანტიკურ ეპოქაში თეორიულად შეიძლებოდა მიეღწია.

ქალი და რელიგია

და ბოლოს შეეხოთ ქალების როლს რელიგიურ კულტმსახურებაში. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ათენის საჯარო ცხოვრების ერთადერთი სფერო, რომელშიც ქალი აქტიურად მონაწილეობდა. რელიგიური კულტმსახურება კი ქალაქის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად მოიაზრებოდა.

ქალის რელიგიური მსახურება რამდენიმე ასპექტს მოიცავდა — ქალს ეკავა სხვადასხვა რელიგიური თანამდებობა, წარმოდგენილი იყო ტაძრის ხელდასხმის (ტაძრის მსახურების) რიტუალებში და ამასთან აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულში.

ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური თანამდებობა, რომელიც ქალს მამაკაცის თანასწორად ეკავა, ქურუმობა იყო. ქალ-ღვთაებებთან ერთად ქურუმი ქალები მამაკაც ღმერთებსაც ემსახურებოდნენ და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ორმოცზე მეტ ძირითად კულტში იღებდნენ მონაწილეობას. შეიძლება ითქვას, რომ ამათგან ყველაზე საპატიო ქალღმერთ ათენას ქურუმობა იყო, ქალღმერთისა, რომელიც ქალაქის მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა. ათენის ქურუმები თავიანთი უშუალო სამსახურის გარდა, როგორც ჩანს, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიც ერეოდნენ. რამდენადაც მათი თანამდებობა საპატიოს გარდა, გავლენიანიც იყო, ისინი ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად დაეცვათ საკუთარი ქალაქის ინტერესები. ერთ ამგვარ შემთხვევაზე ჰეროდოტე მოგვითხრობს. ისტორიკოსის გადმოცემაში სპარტელები, რომლებიც ქურუმის გაფრთხილებას არ ითვალისწინებენ, სასტიკად მარცხდებიან, რაც ამ თანამდებობისთვის ნიშანდობლივ ავტორიტეტს უსვამს ხაზს (ჰეროდოტე, 5, 72).

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი მსახურება, რომელსაც ქალი აღასრულებდა, ბასილინას — არქონტ ბასილევსის ცოლის თანამდებობა იყო. იგი ანთესტერიების დღესასწაულზე ღვთაება დიონისეს საკრალური ქორწინებით ეუღლებოდა, რაც ფრიად მნიშვნელოვან და საპატიო რიტუალს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი ბასილინას მიერ აღსრულებულ სხვა სამსახურთა შესახებ. ვიცით მხოლოდ ის, რომ ბასილინა მრავალ რიტუალურ მსახურებას წარმართავდა, მაგრამ რამდენადაც მისი მსახურება იდუმალი და საიდუმლო ხასიათისა იყო, ბასილინას ფუნქციათა შესახებ წყაროებში თითქმის არ მოგვეპოვება ცნობები (დემოსთენე, LIX, 73).

ათენში ფართოდ იყო გავრცელებული ტაძრის სამსახურისთვის გოგონათა მიძღვნის — ხელდასხმის ადათი. რამდენიმე მათგანს არისტოფანეს „ლისისტრატეში" ქალთა ქორო მოიხსენიებს (არისტოფანე, „ლისისტრატე", 640-647). ამ ადათის თანახმად, გოგონები გარკვეული დროის მანძილზე ტაძრის სამსახურში უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხელდასხმა „არეფორობა" იყო. ეს ამავე დროს საპატიო სამსახური გახლდათ, რომელიც კეთილშობილი ოჯახებიდან გამოსულ გოგონებს უნდა აღესრულებინათ. ამ გოგონებს, რომლებიც 7-დან 11 წლამდე ასაკისა უნდა ყოფილიყვნენ, თავად არქონტი ბასილევსი ირჩევდა. არეფორებს დაახლოებით 1 წლის განმავლობაში აკროპოლისზე უნდა ეცხოვრათ და ათენასთვის ემსახურათ. აქ ისინი უვლიდნენ ზეთისხილის წმინდა ხეს და იწყებდნენ ქალღმერთ ათენასათვის მისართმევი პეპლოსის ბეჭვას. თავიანთ მსახურებას არეფორები აღასრულებდნენ არეფორიის მისტერიულ დღესასწაულზე, რომელიც ღამით გამართულ იდუმალ მსვლელობას წარმოადგენდა. გოგონებს თავდახურული კალათები საიდუმლო ჩასასვლელით ქვემოთ ჩაჰქონდათ და იქ, მღვიმეში ტოვებდნენ. აქვე იღებდნენ ისინი საბურველში გახვეულ უცხო საგნებს, დებდნენ კალათში და ისევ ზემოთ ამოჰქონდათ. არც ქურუმმა ქალმა და არც გოგონებმა არ იცოდნენ, თუ რა იდო კალათაში, რადგან ეს საგნები გასაიდუმლოებულნი იყვნენ და მათი დასახელება არ შეიძლებოდა.[19]

ამ მისტერიულ სვლას არეფორების ხელდასხმაში მთავარი ფუნქცია ეკავა და როგორც ჩანს, გოგონების ინიციაციის რიტუალს წარმოადგენდა, რაც თავის მხრივ, საზოგადოებაში მათ ინკორპორაციას გულისხმობდა.[20]

ტაძრისადმი ერთ-ერთი პოპულარული სამსახური „არქტეონი" იყო, რომლის დროსაც გოგონებს ქალღმერთ არტემისის სამსახურში აგზავნიდნენ. ათენში ეს ხელდასხმა ბრავრონიის არტემისის ტაძარში წარიმართებოდა (ბრავრონია ათენის მახლობლად მდებარეობდა). ამ მსახურების დროს გოგონებს დათვის — არტემისის წმინდა ცხოველის ზაფრანისფერ სამოსში გამოაწყობდნენ და ისინი, ვითარცა ძუ დათვები, რიტუალურ ცეკვებს აღასრულებდნენ. ესეც გოგონათა ინიციაციის რიტუალს წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ ამგვარი სამსახური იყო „ალეტრისიც", რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება.[21]

---

[19] Burkert W., Greek Religion, Archaic and Classical, Basil Blackwell Publishing, 1985, (translated by J. Raffan), 229. Gould, 1980, 51.
თუ რას წარმოადგენდნენ კალათში მოთავსებული ნივთები მეცნიერებაში არაა დღესდღეობით დაზუსტებული. შესაძლოა, ეს ყოფილიყო გველი (ფალოსი). ასევე დასაშვებია, უფრო პროზაული ვარიანტი — ეს ნივთი შეიძლება ყოფილიყო ნავთით გაჟღენთილი შალის ნართავი, რომლითაც არეფორები ათენას ლამპარს წმენდნენ.

[20] რ. ცანავა, „მდედრ ღვთაებათა ზოგიერთი ფუნქციის ინტერპრეტაციისათვის მითსა და რიტუალში" „მნეშე", თბილისი, 2000, 320.

[21] ცანავა, 2000, 315.

ქალები ორი ტიპის რელიგიურ დღესასწაულში იღებდნენ მონაწილეობას. პირველი მათგანი სპეციფიკურად ქალური დღესასწაულები, მეორე კი — საჯარო დღესასწაულები გახლდათ.

თავის მხრივ, ქალთა დღესასწაულებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთი საერთო ნიშანი მაინც ჰქონდათ — ზეიმის დღეები ცხოვრების ჩვეული მიმდინარეობის შეწყვეტად და ქალაქისთვის ავბედით დღეებად მოიაზრებოდა. ყველაზე სპეციფიკურ და ამასთან ძალზე პოპულარულ ქალთა დღესასწაულს თესმოფორიები წარმოადგენდა. იგი დემეტრეს პატივსაცემად გამართულ კულტმსახურებათა შორის უმთავრესი იყო. თავისი შინაარსით, თქმა არ უნდა, იგი აგრარული დღესასწაული გახლდათ. მაგრამ ჩვენთვის ის უპირველესად საინტერესოა, როგორც ქალთა დღესასწაული, რომელშიც ამგვარი კულტმსახურებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ფრიად გამოკვეთილად იყო წარმოდგენილი. და მაინც რითი იყო თესმოფორიები ასეთი განსაკუთრებული? დღესასწაულის დღეებში ქალები ემიჯნებოდნენ მამაკაცთა საზოგადოებას, ქმნიდნენ თავიანთ ორგანიზაციას, ირჩევდნენ წინამძღოლს, სამი დღით ტოვებდნენ სახლს და ცალკე, თესმოფორიონის ტაძარში იკრიბებოდნენ ისე, რომ ღამითაც არ ბრუნდებოდნენ შინ. თესმოფორიებს მხოლოდ ქალები წარმართავდნენ. არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალიშვილებსაც ეკრძალებოდათ მასზე დასწრება. ეს კი ქალთა დამოუკიდებლობას და შესაბამისად პატრიარქალური, ნორმალური წესრიგის რღვევას აღნიშნავდა. ოჯახის დაშლა, სქესთა განცალკევება, სექსუალური ურთიერთობის შეწყვეტა — ეს ხომ ინვერსიას და განადგურებას უდრიდა და ბუნებრივ მოვლენებსაც კითხვის ქვეშ აყენებდა. რამდენადაც ამ დღესასწაულს ქალები წარმართავდნენ, ისინი გარკვეულწილად ინვერსიულ ძალებთან ასოცირდებოდნენ. მაგრამ ამოტრიალებული რეალობა თესმოფორიების ფინალური აკორდი არ იყო. გადატრიალება წესრიგის დამყარებით მთავრდებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ დღესასწაულის ბოლო, მესამე დღეს — კალიგენეა — მშვენიერი დაბადება ერქვა (კალიგენეა ასევე დემეტრეს ეპითეტია და „კეთილი ნაყოფის მომტანს" აღნიშნავს. ამ სახელით მოუხმობდნენ სწორედ დემეტრეს თესმოფორიებზე და მას უხვი მოსავლის იმედს უკავშირებდნენ). ამის გარდა, ღორის გახრწნილი ნაწილებისა და დაფქვილი მარცვლების სპეციალურ ნაზავს, რომლებსაც ქალები დღესასწაულის დროს ამზადებდნენ, მინდორში მიმოფანტავდნენ.[22] ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამ რიტუალს ნაყოფიერების მოტანა შეეძლო.

ინვერსია ისევ და ისევ სიცოცხლის და საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად იყო საჭირო. შესაბამისად, ამ ტიპის დღესასწაულებში ქალის რელიგიურ როლს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. ქალმა წესრიგი იმიტომ უნდა დაარღვიოს, რომ იგი შემდეგ ისევ იქნას აღდგენილი. ეს აუცი-

[22] Burkert, 1985, 246.

ლებელია ისევ და ისევ ჩვეული რიტმისა და სიცოცხლის საკრალური უწყვეტობის დასამკვიდრებლად. შესაბამისად, ქალის ინვერსიული ქმედება საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას ემსახურებოდა.

ნორმალური ცხოვრებისეული რიტმის დარღვევას, წესრიგის გადატრიალებას კიდევ უფრო მკვეთრი ფორმით ვხვდებით დიონისურ ლენეებსა და ადონიებზე. ამ დღესასწაულებზე სექსუალური სტერილურობა და პრომისკუიტეტი ერთმანეთის თანასწორად არსებობდნენ.

ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის საჯარო დღესასწაულებში. ამათგან ათენში უმთავრესი პანათენაიების დღესასწაული იყო, რომელიც ქალღმერთ ათენა-პოლიასის დაბადების დღეს ეძღვნებოდა. პანათენაიები თავისი საზეიმო ელფერით ქალთა მისტერიული ზეიმებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ქალები ამ უმნიშვნელოვანესი დღესასწაულების ცენტრალურ ნაწილს წარმართავდნენ — ისინი საზეიმოდ მიართმევდნენ ქალღმერთ ათენას იმ პეპლოსს, რომელსაც თითქმის ერთი წლის განმავლობაში ქსოვდნენ. ამ პროცესიის გარდა, ქალები საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ დღესასწაულის მთავარ საზეიმო სვლაში. სხვადასხვა ასაკის ქალს აქ სხვადასხვა ფუნქცია ეკისრებოდა. ქალწულები კანეფოროსებად ანუ „კალათის მატარებლებად" მსახურობდნენ. მათ გვერდით იყვნენ ასევე ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებიც ჭურჭლით წყალს დაატარებდნენ (მათ „ლიტროფოროსებს" და „ჰიდროფოროსებს" უწოდებდნენ). ზრდასრულ ქალებს მსხვერპლშეწირვის დროს სამსხვერპლო შეძახილის — „ოლილიგეს" ძახილი ევალებოდათ. აქვე შეხვდებოდით „პატივდებულ მოხუც ქალებს" — ე.წ. გერაიებსაც. საჯარო დღესასწაულებში ქალთა ასეთი მრავალმხრივი მონაწილეობა, უდავოდ ნიშნავდა იმას, რომ ქალებს საზოგადოება თავის მთავარ წევრებად მოიაზრებოდა. ამასთან ადასტურებდა იმასაც, რომ ქალები საზოგადოების მიმართ სოლიდარულნი იყვნენ.

თავად ქალები თავიანთ რელიგიურ მსახურებას მნიშვნელოვნად თვლიდნენ. არისტოფანეს „ლისისტრატეს" ქორო .რელიგიურ კულტმსახურებაში ქალთა მონაწილეობას მათი ნამდვილი მოქალაქეობის დასტურად მიიჩნევს. ეს კი მათ უფლებას აძლევს, რომ ქალაქს „სასარგებლო სიტყვით" მიმართონ. გავიხსენოთ ასევე ქალი-პერსონაჟის განაცხადი ევრიპიდეს „მელანიპეს" ზემოთ წარმოდგენილი ფრაგმენტიდან: „რელიგიაშიც, და მე ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ, ქალები, დიდ როლს ვასრულებთ". ქალებთან ერთად ბერძენი კაცებიც უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკრალურ სფეროში ქალთა მონაწილეობას — ასეთი ფართო სპექტრის რელიგიური მსახურება სწორედ ამას ადასტურებს. მეტიც, ბერძნები ქალების წვლილს კულტმსახურებაში არა მარტო აუცილებლობად, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის და მისი უწყვეტობის გარანტად მოიაზრებდნენ.

დამოკიდებულება ქალის მიმართ – ქალთმოძულეობითი და ე. წ. „ფემინისტური ტენდენციები“

და ბოლოს, რა შეიძლება ითქვას ქალის მიმართ დამოკიდებულების შესახებ ამ პერიოდში?

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მეტწილად ქალისადმი დამოკიდებულება ქალთმოძულეობითი, ანუ მისოგინური იყო. ამგვარ მიმართებას ჰქონდა იმდენად გარკვეული საფუძვლები და ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელმაც მოახერხა თავი მოეყარა სხვადასხვა ტიპის არგუმენტებისთვის, რომ მას უკვე იდეოლოგია შეიძლება ვუწოდოთ. მაგრამ მისოგინური იდეოლოგია არ გახლავთ ამ პერიოდში ქალისადმი არსებული ერთადერთი დამოკიდებულება. ძვ.წ. V საუკუნე, განსაკუთრებით კი კლასიკური ეპოქის ბოლო ათწლეულები ძალიან საინტერესო, ურთულესი კითხვებით აღსავსე ხანა იყო, რომელიც ტრადიციულ მორალს მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებდა და საზოგადოებას გაბედულ და კრიტიკულ კითხვებს უსვამდა. გასაკვირი არ არის, რომ დროის მახასიათებელი ამგვარი კრიტიკული მიდგომა ქალისადმი დამოკიდებულებასაც შეეხო. სწორედ ამ პერიოდში ისახება ათენში ის უმნიშვნელოვანესი ტენდენციები, რომელთა საფუძველზე შემდგომ ეპოქებში შესაძლებელი გახდა ქალისადმი ახლებური მიმართება დაემყარებინათ.

რამ განაპირობა მისოგინური იდეოლოგიის წარმოშობა? ამისი მიზეზი რამდენიმე იყო. მაგრამ მათ შორის, ვფიქრობთ, უმთავრესი გახლდათ ის, რომ ამ იდეოლოგიას უნდა აეხსნა და გაემართლებინა ქალის დაქვემდებარებული სტატუსი და მისი იმგვარი ინკორპორაცია საზოგადოებაში, რომლის თაობაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

ბერძნებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ მათ მიერ შექმნილი ქალაქ-სახელმწიფო – პოლისი ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა გახლდათ, თავად ცივილიზაცია კი ბუნებაზე მოპოვებული ურთულესი გამარჯვება იყო. ეს ამავდროულად წარმოადგენდა მამრი აუტორიტეტის გამარჯვებას, რომელმაც ბუნება/ქალი ხანგრძლივ, დამღუპველ, დაუნდობელ ბრძოლაში საბოლოოდ დაამარცხა. ქალის ასოცირება ბუნებასთან საერთოდ ძველი ხალხებისათვის და არა მარტო ბერძნებისთვის იყო დამახასიათებელი. შესაბამისად, მათ ცნობიერებაში სწორედ ქალი იყო დაკავშირებული იმ ირაციონალურ საწყისთანაც, რაც საზოგადოდ ბუნებას ახასიათებდა. ბერძნული მითების მთელ ციკლს წითელ ზოლად გასდევს მითოპოეტური ხატები იმ ქალებისა, რომლებიც თავიანთი სიშმაგით, ველურობით, ირაციონალური სულით კაცთა მოდგმას ღუპავენ. მაგრამ გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული კაცები ახერხებენ ამ მონსტრი, ბნელი, ბარბაროსი

და ავისმომასნავებელი არსებების დამარცხებას. სწორედ ამ გამარჯვებებს აღუვლენენ ჰიმნებს და აფიქსირებენ ხელოვნების ნიმუშებზე. პართენონის ცნობილი ფრიზები – „გიგანტომაქია" და „ამაძონომაქია" – სინათლის, ცივილიზაციის, მამრის გამარჯვებას ეძღვნება ბნელზე, ირაციონალურზე, მდედრზე. ჰესიოდეს კოსმოგონიური მითების წყება ზევსის საბოლოო გამარჯვებით მდედრის გენერაციული ძალებით მართული უნინდელი წყობის დამარცხებაზე მოგვითხრობს, ჰომეროსისეული ჰიმნი აპოლონის მიმართ ღმერთის მიერ მდედრისაგან შობილ ურჩხულთა დაძლევას უმღერის. სოფოკლე თავის ცნობილ საგუნდო პარტიაში „ჰიმნი ადამიანს", რომელიც ადამიანის გასაოცარ გამარჯვებათა შესახებ მოგვითხრობს, განსაკუთრებით გამოჰყოფს მამრის მიერ ბუნების სტიქიის – მიწის მოთვინიერებას და ამ გმირობას ადამიანის უმთავრეს გამარჯვებად, ბუნებასთან ბრძოლაში მამაკაცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამსახურებად მიიჩნევს:

„გეას ღმერთთაგან ყველაზე დიადს,
გარდაუვალს და მარად მოუღლელს,
ფიტავს, როდესაც თავისი გუთნით
შებმულ ცხენებით წლითი-წლობით ხნავს ხოლმე მუდამ..."
(სოფოკლე, „ანტიგონე", 338-341)[23]

მაგრამ ბუნებაზე გამარჯვება მის მოსპობას არ გულისხმობდა. გამარჯვება გარკვეული ფორმით უნდა ყოფილიყო გამოხატული, რამეთუ ბუნება არ არის ის, რის გარეშეც ადამიანს შეუძლია იარსებოს. და ბერძნებმა სხვებთან ერთად ასეთი ფორმა ბუნების მოშინაურებაში დაინახეს. თუ ბუნებას მოწესრიგებულ სახეს მისცემ, ამ შემთხვევაში იგი ასატანი იქნება ცივილიზაციისათვის. ქალის, როგორც ბუნების ერთ-ერთი იპოსტასის მოწესრიგება ბერძნებმა ქორწინების ინსტიტუტს დააკისრეს. ის, რომ ქორწინება ქალის მოშინაურებას გულისხმობდა, განსაკუთრებით მკვეთრად იკითხება ასოციაციურ წყვილებში, რომლებშიც ბავშვის ჩასახვა (ქორწინების მიზანი) იგივე მიწის მოხვნაა, ქალის გათხოვება კი მასზე უღლის დადგმას წარმოადგენს, ისეთივე უღლის, როგორითაც ველურ ცხოველებს ათვინიერებენ.[24] ქორწინების შემდეგ გათხოვილი ქალები უკვე მისაღები ხდებოდნენ ბერძნული პოლისისათვის. პოლისმა მხოლოდ ამ ქალებს უბოძა თავისი უმაღლესი ძღვენი – მოქალაქის სტატუსი ჰეტერების, ხარჭების და მეძავებისგან განსხვავებით, რომლებთაც ბერძნები პოლისის გა-

[23] სოფოკლე, თებეს ტრაგედიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო გ. ხომერიკმა, თბ., 1988.
[24] Gould, 1980, 53.

რეთ მდგომებად, ე. ნ. „სხვებად" მოიაზრებდნენ, რამეთუ ისინი თავისუფალი, უღელდაუდგმელი ცხოვრების ნირს ეწეოდნენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებმა პოლისის სტრუქტურაში ქალს ამგვარი სახით დაუმკვიდრეს არსებობა, როგორც ჩანს, მათ მაინც ეშინოდათ ქალებისა – იყვნენ კი ისინი საიმედონი ასეთი მოშინაურების შემდეგ? და მართლაც, დრო და დრო ბერძნულ ლიტერატურაში გამწარებული კაცების ხმა გაისმის, კაცებისა, რომლებიც გაცილებით ბედნიერნი იქნებოდნენ ქალების გარეშე რომ ყოფილიყო შესაძლებელი არსებობა. გავიხსენოთ თუნდაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მისოგინური ტირადა ქალებზე, რომელიც ქალთმოძულე ჰიპოლიტოსს ეკუთვნის. დედინაცვლის მიერ სარეცლის შეთავაზებით შეურაცხყოფილი ჰიპოლიტოსი სასონარკვეთილი მიმართავს ზეუსს, ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ ადამიანების მოდგმა ქალთა გარეშე გაგრძელებულიყო, ნუთუ არაა შესაძლებელი შვილების ყიდვა, რათა ამით სახლში ცოლის ყოლისაგან განთავისუფლებულიყავითო (ევრიპიდე, „ჰიპოლიტოსი", 615-651). ანდა იასონის დასკვნა მედეასთან პირველი შეხვედრის შემდეგ: „ნეტავი ბავშვები რაღაც სხვა გზით იბადებოდნენ და ქალი სულაც არ ერიოს ამ საქმეში. რამდენ უბედურებას გადაურჩებოდა კაცთა მოდგმა," – აცხადებს იასონი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, რას დაატეხს მის შვილებს თავს ქალი-დედა მომავალში (ევრიპიდე, „მედეა", 547-3).[25]

ბუნებაზე ცივილიზაციის გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ლიტერატურულ გამოხატულებას ესქილეს ტრილოგია „ორესტეა" წარმოადგენს. ეს არის ტრაგედია, რომელიც დასახელებული გამარჯვების გარდა, ყველა იმ დანაჩენ გამარჯვებათ უმღერის, რომელიც ამას სდევს თან. ეს არის ახალი წყობის, ახალი სამართლის, მამრი ავტორიტეტის მიერ ძველი წყობის, ტომობრივი სამართლიანობის, დედის უფლებების დამარცხება, რაც ორესტეს მიერ კლიტემნესტრას მოკვლით და არეოპაგზე ამ მკვლელობის გამართლებითაა გამოხატული. ტრილოგია სრულიად ერთმნიშვნელოვნად წარმოგვიდგენს ახალი საზოგადოების ქვაკუთხედ პრინციპს – ამგვარი ტიპის პოლისის ფუნქციონირება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ იგი ერთხელ და სამუდამოდ იტყვის უარს ოჯახურ, გვაროვნულ, სისხლისმიერი ნათესაობის უპირატესობაზე და შესაბამისად, მდედრის უფლებების უპირატესობაზე, მდედრისა, რომელიც ამ ინსტიტუტებთან თავისი არსით მჭიდროდაა დაკავშირებული. და რადგან ქალის სტატუსს ყველაზე მეტად ის განამტკიცებდა, რომ სწორედ დედა შობდა ბავშვს და აგრძელებდა სიცოცხლეს, მისი უფლებების დაკნინება უპირველესად სწორედ ამ უპირატესობის ჩამორთმევას შეეძლო. და ესქილეც ბერძნულ

[25] ევრიპიდე, „მედეა", ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, წინასიტყვაობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა, თბილისი, 1996.

ლიტერატურაში, ალბათ, ყველაზე გამოკვეთილად ბავშვის გაჩენაში ქალის მნიშვნელობას უკიდურესად ამცირებს, იქამდე, რომ შთამომავლობის ჩასახვაში უმთავრეს როლს მამრს — მამას აკისრებს.

„იგი, რომელსაც დედად ხმობენ, სულაც არ გახლავთ
შვილის გამჩენი, მამრის თესლსა აღვივებს მხოლოდ,
ნაყოფს შობს კაცი, ხოლო ქალი, ვით მასპინძელი
ინახავს სტუმრის მობოძებულ ძვირფას საჩუქარს"
(ესქილე, „ევმენიდები", 658-661).[26]

ის ერთადერთი ხმა, რომელიც ორესტეს გამარჯვებას მოაპოვებინებს, ქალღმერთ ათენას ხმაა. ათენა კი თავისი არსით დედის გარეშე შობილს განასახიერებს, რომელიც მამაკაცისადმი თავის თაყვანისცემას დაუფარავად აცხადებს:

„დედის მუცლიდან არ ვშობილვარ და მამაკაცი
ქალს მირჩევნია, თუმცა არასდროს არ ვეულლები,
მაინც მას ველტვი მამალმერთის მთაყვანებელი"
(ესქილე, „ევმენიდები", 736-738).

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეიძინა ქალმა ოჯახში, რამდენად დიდად იყო მასზე დამოკიდებული ოიკოსის წარმატება, რამდენადაც აუცილებელი იყო ოჯახის წინსვლასა და კეთილდღეობისთვის ქალის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების პირნათლად შესრულება. მაგრამ ქალის ფუნქციის მნიშვნელობა ოჯახის მარტოოდენ მატერიალური სივრცით არ ამოიწურებოდა. ცოლზე დიდად იყო დამოკიდებული ქმრის „მამაკაცური ღირსება". „მამაკაცური ღირსების" ცნება კი პატრიარქალური საზოგადოებისთვის ძალზე არსებითი, საგულისხმო ფენომენი გახლდათ. სწორედ ის, რომ ქალს ესოდენ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა „მამაკაცური ღირსების" შენარჩუნებაში, აძლევდა მას დაფარულ, ლატენტურ ძალაუფლებას, ზრდიდა მის გავლენას და მნიშვნელობას. ეს გარემოება ანიჭებდა ქალს ძალას არა მარტო იმისთვის, რომ არსებითად ემოქმედა ოჯახის „მამაკაცურ ნაწილზე", არამედ იმისთვისაც, რომ ფაქტიურად დაელუპა ისინი. ბუნებრივია, აღნიშნული საფრთხე კიდევ უფრო ზრდიდა შიშს ქალის ფაქტორის მიმართ. „ამიტომ ძალიან ადვილი გასაგებია, ქალის მოქმედებით თავმოყვარეობის შელახვის გამო განაწყენებული მამაკაცი, თუ რატომ ცდილობდა მოეგონებინა ქალთა

[26] ესქილე, ორესტეა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გ. სარიშვილმა, თბილისი, 1974. აქ და შემდეგ ვიმოწმებ გ. სარიშვილის თარგმანს.

სქესისათვის ხასიათის მანკიერი შტრიხები... ეს სწორედ ის თვისებებია, რომლებიც თავისთავად ამართლებს ქალის სრულ გაძევებას პოლიტიკური ცხოვრების სფეროდან და რომლებიც გასაგებს ხდის ქალზე გაბატონების აუცილებლობასაც."[27]

ვფიქრობთ, დასახელებული ფაქტორები – კერძოდ საშიშროება იმისა, რომ ქალს არ მიეტოვებინა ოჯახი და ამდენად წარმატებით შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ისევე როგორც იმის საფრთხე, რომ ქალს „მამაკაცური ღირსებისათვის" შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, წარმოგვიდგენენ დამატებით მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ქალთმოძულეობითი იდეოლოგიის წარმოშობა. ამავე დროს ისინი აჩვენებენ იმ პრაქტიკულ საჭიროებასაც, რამაც ამ იდეოლოგიის ასეთი ფართო ფუნქციონირება განაპირობა.

უნდა ითქვას, რომ ბერძნებმა წარმატებით მოახერხეს ქალის უარყოფითი ხატის შექმნა. და მართლაც, ჩამოაყალიბეს იდეოლოგია, რომელიც ქალს მამაკაცთან შედარებით ყველა ასპექტში უფრო დაბალ საფეხურზე აყენებდა. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ ქალი ინტელექტუალურადაც და ფიზიკურადაც მამაკაცზე სუსტი იყო. ფიზიკური სისუსტე არ აძლევდა ქალს საშუალებას მონაწილეობა მიეღო საგარეო საქმიანობაში. არისტოფანეს ქალები შეძრწუნებულნი არიან, როცა შეიტყობენ, რომ თურმე ქალაქის უსაფრთხოება მათზე ყოფილა დამოკიდებული (არისტოფანე, „ქალები სახალხო კრებაზე", 109). ასევე ბანალურია ქალთა ინტელექტუალური სისუსტის ხაზგასმით გამოკვეთა. გასაოცარი ის არის, როცა ქალი რაიმე ჭკვიანურს ამბობს, უფრო მეტიც, ბრძნულად მოქმედებს. ქსენოფონის აზრით, ქალი მამაკაცს აზროვნებით და სიძლიერით ჩამოუვარდება. მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე შეიძლება აათვისებინო ქალს იგივე, რაც მამაკაცს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამ საზღვრის ზევით (ქსენოფონი, „სიმპოსიონი", 2, 9).

ფიზიკურად და ინტელექტუალურად სუსტი არსებები – ქალები, ბუნებრივია, მორალურად სრულყოფილნი ვერ იქნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ბერძნებს ასე მიაჩნდათ. ისინი ქალებს ალბათ ნივთად, ან უბრალოდ უგუნურ სულიერ არსებებად სახავდნენ, რადგანაც თვლიდნენ, რომ ქალებმა, შეიძლება არც კი აგონ პასუხი ჩადენილ დანაშაულზე. ამ მხრივ ალბათ ტიპიურია ქალის შედარება ცხვართან ან ცხენთან, რომელიც ქსენოფონს მოჰყავს. ცხენს ან ცხვარს თუ რაიმე არ უვარგათ, ამას ხომ ჩვენ მეჯინიბეს ვაბრალებთ, შესაბამისად, მისი აზრით, თუ ქალს ნაკლი აქვს, შეიძლება დავუშვათ, რომ მას მიუძღვის ამაში ბრალი, მაგრამ უმთავრესად პასუხისმგებლობა მისმა ზედამხედველმა მამაკაცმა უნდა იკისროსო (ქსენოფონი, „ოიკონომიკოსი", 3, 11).

[27] Pitt Rivers, The Fate of Shechem or the Politics of Sex, Essays in the Anthropology of the Mediterranean, Cambridge, 1977, 80.

ბერძნები თვლიდნენ, რომ ესოდენ არასრულყოფილ ქმნილებებს არსებობის შესანარჩუნებლად დასჭირდებოდათ გარკვეული თვისებები. ეს თვისებები კი აუცილებლად მანკიერნი იქნებოდნენ. ასე მაგალითად, მტრის დამარცხება, მათი აზრით, ქალს მხოლოდ მოტყუებით ან მოწამვლით თუ შეეძლო (არისტოფანე, „ქალები სახალხო კრებაზე", 238). ქალებმა ათასგვარი ხრიკის და ტყუილის მოგონება, ათასნაირი ხლართის დაგება იცოდნენ, რათა მიზნისთვის მიეღწიათ. ქალს მშვენივრად ეხერხებოდა მლიქვნელობაც. ბუნებით ეჭვიანი ქალი ხშირად ხდებოდა შურისმაძიებელი, და ა. შ. (ევრიპიდე, „ანდრომაქე", 911 და შმდგ.).

და მაინც, ქალების ამ მართლაც თვალისმომჭრელ მანკიერ თვისებათა გალერეაში ბერძნები, როგორც ჩანს, ყველაზე დიდ მანკიერებად ქალის ზღვარსგადაცილებულ სექსუალურობას თვლიდნენ, თვისებას, რომელიც ყველაზე საშიში გახლდათ, როგორც ოჯახის დანგრევისათვის, ასევე „მამაკაცური ღირსების" ფენომენისათვის. ეს შიში, ალბათ, ქალის ექსცესური სექსუალობის წარმოდგენას ქმნიდა. ამ თვალსაზრისის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ტირესიასის შესახებ გადმოცემა წარმოადგენდა. მითის თანახმად, ზევსი და ჰერა ერთმანეთში დიდხანს დავობდნენ, თუ რომელი სქესი იღებდა უფრო მეტ სიამოვნებას სექსუალური ურთიერთობიდან. და რადგანაც ვერ შეთანხმდნენ, მისან ტირესიასს მიმართეს, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო კაციც და ქალიც. მაშინ ტირესიასმა მათ უპასუხა, რომ მამაკაცთან შედარებით ქალი ათჯერ მეტ სიამოვნებას იღებდა (ჰესიოდე, „მელამპოდია", ფრ. 275). და რამეთუ ქალის წილ ამხელა სიამოვნება მოდიოდა, ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკვნაც – სექსუალურ სფეროში ქალს თავის შეკავება ნაკლებად შეეძლო, განსაკუთრებით საშიში კი სწორედ ის ქალი შეიძლება გამხდარიყო, ვისაც სარეცელში მეტოქეობას გაუწევდნენ (ევრიპიდე, „მედეა", 569-75). ქალის სექსუალობის მიმართ ასეთი შიში, ბუნებრივია, ქალის ასექსუალობას აიდეალებდა. ამიტომაც, ალბათ, ქალებზე სიმონიდესის სატირაში ყველაზე უკეთესია ის ქალი, რომელიც ფუტკარს ჰგავს. ქალი-ფუტკარი საუცხოოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ფუტკარივით მოფუსფუსე, გამრჯე და მოუცლელია, არამედ იმიტომაც, რომ იგი ფუტკარივით ინდიფერენტულია სექსუალური ურთიერთობის მიმართ (სიმონიდესი, „სატირა ქალებზე", 7, 90-91).

მისოგინური პოზიციის კვინტესენციას პანდორას შესახებ ჰესიოდეს ცნობილი მითი წარმოადგენს. ზევსმა ადამიანების დასასჯელად ახალი უბედურება მოიგონა. მან უბრძანა ჰეფესტოს, გამოეძერწა მიწისაგან ქალი, შეამკო იგი ღმერთთა საუკეთესო თვისებებით, უწოდა მას პანდორა (პანდორა ნიშნავს ყველასაგან დასაჩუქრებულს), მისცა ქალს ჭურჭელი, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველა შესაძლო უბედურება, ავადმყოფობა,

ჭირი და ამ ჭურჭლით და გარკვეული დარიგებებით გამოუშვა ადამიანებთან, როგორც „მშვენიერი ბოროტების“ ხატება. უგუნურმა ეპიმეთევსმა პანდორა ცოლად შეირთო. აი, მაშინ კი მოხადა პანდორამ თავი ზეუსის მიერ გამოტანებულ ჭურჭელს და ამოფრინდა იქიდან ყოველივე საზარელი, მხოლოდ იმედი დარჩა ჭურჭლის ძირში, რადგან პანდორამ სასწრაფოდ დახუფა ჭურჭელი ზეუსის გაფრთხილების შესაბამისად (ჰესიოდე, „სამუშაონი და დღენი“, 47-105). პანდორას შემდეგ წარმოიქმნა ქალთა დამღუპველი მოდგმა – ჩვენდა საუბედუროდ, ისინი ჩვენთან ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენი თანამგზავრნი მხოლოდ სიმდიდრეში არიან – ასკენის ჰესიოდე (ჰესიოდე, „თეოგონია“, 591 და შმდგ).

როგორც აღვნიშნეთ, მეხუთე საუკუნის ბოლო ათწლეულში ქალისადმი დამოკიდებულების სფეროში ახალი, კარდინალური ცვლილებები იკვეთება. ეს უმნიშვნელოვანესი გარდატეხა უპირველესად დიდი ბერძენი ტრაგიკოსის – სოფოკლეს სახელს უკავშირდება. სოფოკლე დაუვიწყარი და ლეგენდარული გმირი ქალების სამყაროს ქმნის. მისი გმირები იდეალურები არიან – იდეალურნი არიან, როგორც მისი მამაკაცი პერსონაჟები, ისე ქალებიც. ეს კი ნიშნავს, რომ დრამატურგმა უკან გადასნია სქესის ფაქტორი, ქალი მამაკაცს პიროვნულად გაუთანაბრა და ამით იგი სოციალურად წინ წამოსნია. მართლაც, სოფოკლეს გმირი ქალები იმავე თვისებებით ხასიათდებიან, რითაც დრამატურგის მამაკაცი პერსონაჟები. ქალებს – ანტიგონეს და ელექტრას მამაკაცთა მსგავსად გამძაფრებული აქვთ მოვალეობა მშობლების და ნათესავების მიმართ, მოვალეობა ღმერთებისადმი. ამავე დროს მათში მოჭარბებულია სირცხვილის გრძნობაც. იდეალური თვისებებით შემკულ ქალებს, სოფოკლეს მამაკაცი პერსონაჟების მსგავსად, აკლიათ „სოფროსინე“ (კეთილგონიერების ბერძნული იდეალი). ისინი არიან თავდაჯერებული, ბობოქარი, მტკიცე ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ დაუფიქრებლად, რამეთუ სოფოკლეს გმირები, იდეალურობის მიუხედავად, მაინც ადამიანები არიან. ტრაგედიებში სოფოკლეს ქალები უპირისპირდებიან მამაკაცებს და საინტერესოა ის, რომ ამ დაპირისპირებაში მორალური უპირატესობა სწორედ ქალების მხარესაა. მაგრამ ამავე დროს არც ანტიგონე და არც ელექტრა არ არიან ტრადიციული „ქალური ქალები“, მეტიც, თავიანთი საქციელით ისინი ქალის ბერძნულ იდეალს მკვეთრად უპირისპირდებიან. ცხადია, მათი საქციელი არ იქნებოდა ადვილი მისაღები ტრადიციული ათენელი მაყურებლისათვის. მაგრამ სოფოკლეს ქალები ანგარიშს არ უნეევენ ისეთ პირობითობას, როგორიცაა საზოგადოების მიერ სქესთათვის დადგენილი ნორმები, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი უფრო მაღალ ღირებულებათ ემსახურებიან. ტრაგედია „ანტიგონეს“ ფინალში ნათლად ჩანს დიდი დრამატურგის მრწამსი – როცა საქმე ღმერთებს ეხება, სქესთა შორის არ შეიძლება იყოს განსხვავება.

სოფოკლემ, როგორც ჩანს, ქალისადმი დამოკიდებულების ძველ პოზიციას, ტრადიციულ მორალს სუსტი წერტილი უპოვა, ჩაავლო ხელი ამ იდეოლოგიის საფუძვლებს და შეარყია. ფაქტი ერთია, დიდი დრამატურგი თავისი დამოკიდებულებით აშკარად უსწრებდა წინ თავის დროს. თუმცა საინტერესოა ის, რომ ამგვარი ქალი პერსონაჟების შემქმნელ დრამატურგს, სოფოკლეს, მაინც არ გამოუწვევია საზოგადოების გაღიზიანება. ბერძნული საზოგადოება, ალბათ, ინტუიტიურად გრძნობდა იმას, რომ სოფოკლეს ყოველივე ამის მიუხედავად, ქალის მხარე მაინც არ ეჭირა.

აი, ევრიპიდემ, სოფოკლეს უმცროსმა თანამედროვემ კი ათენის საზოგადოება ძალიან გააღიზიანა, შესაძლებელია იმიტომ, რომ ათენელები ფიქრობდნენ – ევრიპიდე ქალის პოზიციიდან ლაპარაკობსო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ერთსა და იმავე მწერალს ქალებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ტრადიციამ და თანამედროვეობამ განსხვავებული შეფასება მისცა. პირველმა იგი „ქალთმოძულედ", მეორემ – პირველ ფემინისტად მონათლა. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ მოვლენებისადმი ევრიპიდეს დამოკიდებულება თითქმის არასოდეს განისაზღვრებოდა ერთმნიშვნელოვნად.

და მაინც, რა იყო საყურადღებო ევრიპიდესთან ქალებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით? უპირველესად ის, რომ ევრიპიდეს აინტერესებდა ქალთა სქესი, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი. მას უნდოდა გაერკვია მათი სპეციფიკური მახასიათებლები, მათი მოტივები ამა თუ იმ საქციელის მიღმა. ყველაზე უკეთ მისი ეს ინტერესი სქესთა ურთიერთობის წარმოჩენისას გამოიხატა. თავისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე, მწერალი ისევ და ისევ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის თემას უბრუნდება. სწორედ ევრიპიდემ შემოიტანა ტრაგიკული ჟანრისთვის სრულიად უცხო – სიყვარულის თემა და ამით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა კიდეც ამ მოტივს თანამედროვე ლიტერატურაში. ათენელი ტრადიციული მაყურებლისათვის მართლაც ძალზე ძნელი აღმოჩნდა, მიეღო ევრიპიდეს ქალთა უმეტესობა. მის ქალებთაგან ზოგიერთი ხომ არად დაგიდევს ტრადიციულ მორალს. ალბათ გაუგებარი იყო მათთვის მედეას პოზიცია, რომელიც არ იზიარებდა ქორწინებაში მამაკაცის და დედაკაცისთვის დადგენილ ნორმას, და რომელიც თავს მამაკაცის თანასწორ პარტნიორად მიიჩნევდა. ევრიპიდე თვლიდა, რომ მისი დროის საქორწინო იდეალს აშკარად გადახედვა ესაჭიროებოდა. ვფიქრობთ, სქესთა ურთიერთობაში მწერლის იდეალს ჰარმონიული ცოლ-ქმრობა წარმოადგენდა, რომელიც მეუღლეების სრულ ურთიერთგაგებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. იყო კი ამგვარი რამ სრულიად უცხო ბერძნული ცნობიერებისთვის? – რასაკვირველია, არა, თუ გავიხსენებთ ჰომეროსს, რომელმაც ევრიპიდემდე დიდი ხნით ადრე, „ოდისეაში" ქორწინების ბერძნული იდეალი ოდისევსის და პენელოპეს ურთიერთობით გამოხატა.

მაგრამ ევრიპიდეს ეპოქაში ეს მივიწყებული ჭეშმარიტება ხელახლა აღმოსაჩენი გახდა – ფონი ხომ ის მისოგინური იდეოლოგია იყო, რომელმაც პანდორას მითი, ქალებზე სიმონიდესის და ფოკილიდესის მწარე სატირები წარმოქმნა.

თუმცა ევრიპიდეს ნოვატორობა არ შემოფარგლულა ორივე სქესის ღირებულებათა აუცილებლობის ჩვენებით მხოლოდ ოჯახურ სივრცეში. მან ქალისა და მამაკაცის ფასეულობათა საჭიროება უფრო მაღალ – საზოგადოებრივ დონეზე დააყენა. ხომ არ დადგა დრო, გვეღიარებინა, რომ საზოგადოებას მამაკაცური ღირებულებები მდედრობითის დათრგუნვის ხარჯზე აქვს გადაჭარბებით შეფასებული? ევრიპიდე ისევ უბრუნდება ბუნება\კულტურის დაპირისპირების ძველ თემას, მაგრამ იგი სრულიად რევოლუციურ განაცხადს აკეთებს –.არის კი სწორი მკვეთრად დავაპირისპიროთ ისინი ერთმანეთთან? თუმცა მთავარი კითხვა, რომლის გარშემოც ისევ და ისევ ტრიალებს ათენელი დრამატურგი ვფიქრობთ, მაინც შემდეგში მდგომარეობს – მოიპოვა კი ადამიანმა საბოლოოდ ბუნებაზე ის გამარჯვება, რომლის შესახებაც მან ასე ამაყად გამოაცხადა?

ამ კითხვებს კი მოჰყვა მართლაცდა გენიალური ტრაგედია. ეს „ბაკქი ქალები" გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ პიესაში ძველი და ნაცნობი თემები თამაშდება, თავად დასკვნა სრულიად ნოვატორულია. თუმცა აქ გამარჯვებული არც ერთი მხარე არაა, მამრობითი საწყისის განადგურება მაინც ძალზე შთამბეჭდავია – იღუპება პენთეესი, მეფე და ქალაქი. მოვლენათა ამგვარი წარმოჩენით ევრიპიდე, შესაძლოა, პასუხობდა კიდეც ზემოთ დასმულ შეკითხვას. პასუხი კი ასეთი იყო, – როგორც ჩანს, ადამიანმა მაინც ვერ გაიმარჯვა საბოლოოდ ბუნებაზე. ალბათ ბუნებაზე გამარჯვება შეუძლებელია, შესაბამისად დადგა დრო, რომ საზოგადოებამ გარკვეული ფორმით ირაციონალურის მიღების აუცილებლობა აღიაროს.

/და ბოლოს, ვფიქრობთ, ქალისადმი ამ ახალი დამოკიდებულების – პირობითად „ფემინისტური პოზიციის" დაგვირგვინებად შეიძლება ჩაითვალოს პლატონისეული, უფრო სწორედ სოკრატე-პლატონისეული დოქტრინა. ქალთა ახლებური ცხოვრების მოდელს თავის იდეალურ სახელმწიფოში პლატონი ორ ნაწარმოებში „სახელმწიფოსა" და „კანონებში" გვთავაზობს. ფილოსოფოსის პირველი და უმთავრესი კითხვა ძველ, ნაცნობ პრობლემას ეხება – არის ქალი უკვე თავისი ბუნებრივი მონაცემების გამო დაქვემდებარებული არსება, თუ ქალისთვის დამახასიათებელი თვისებები, მისი შესაძლებლობანი, შეიძლება სოციალური გარემოთი აუხსნათ – გარემოთი, რომელიც უბრალოდ არ აძლევს ქალს სხვანაირი განვითარების შესაძლებლობას? სოკრატეს აზრით, ქალსა და კაცს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც თმიან და უთმო მამაკაცს შორის. ადამიანები ხომ არ ვანსხვავებთ ძაღლებს სქესთა მიხედვით? თუ მდედრ ძაღლს მამ-

რიგით გავწვრთნით, ისიც ხომ შეასრულებს თავის მოვალეობას – ინადირებს ანდა სახლს უდარაჯებს. გაუწვრთნელი კი არც ერთი სქესისა არ გამოადგება ადამიანს. სოკრატე არსად არ ამბობს, რომ ქალები და კაცები არიან თანაბარნი, მაგრამ იგი უშვებს მათი თანასწორობის შესაძლებლობას. ბუნებრივია, ასკვნის სოკრატე, ჩვენ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორი იქნებიან ქალები სწორი აღზრდის შემთხვევაში. მაგრამ ის, რომ ქალები არ იღებენ იმავე განათლებას, რასაც მამაკაცები, ნამდვილად არ არის მოსაწონი. ამიტომ იდეალურ სახელმწიფოში ბიჭებმა და გოგონებმა ერთნაირი აღზრდა-განათლება უნდა მიიღონ – ისწავლონ მუსიკა, ხელი მიჰყონ გიმნასტიკას, შეისწავლონ სამხედრო საქმე. იმ ქალებს კი, რომლებიც წარმატებით გაივლიან შეჯიბრებას და გადარჩევის პროცესს, შეეძლებათ მამაკაცების თანაბრად სახელმწიფოს დამცველნი – დარაჯნი გახდნენ. და რადგან საშუალო მონაცემების ქალი ცუდ მამაკაცს აშკარად სჯობს, ამიტომ სახელმწიფომ ქალის სამსახური არ უნდა უგულებელყოს. იდეალური სახელმწიფო საშუალებას მისცემს ქალს თავისი ფარული ნიჭი და შესაძლებლობანი სრულად გამოავლინოს. მეტიც, მას მმართველიც კი შეუძლია გახდეს.

სახელმწიფო ასპარეზზე ქალის ამგვარი მასშტაბით გამოყვანა, ბუნებრივია, ოჯახის არსებული ტიპის შეცვლას გამოიწვევდა, რადგან ქალები საოჯახო საქმეებიდან და ბავშვის აღზრდის მოვალეობიდან უნდა გამოთავისუფლებულიყვნენ. ამიტომ უმაღლეს — დარაჯთა კლასში ფილოსოფოსმა ახალი ტიპის შეუღლება შემოიტანა, რაც ევგენისტური პრინციპებიდან გამომდინარეობდა – საუკეთესო სახელმწიფოსთვის აუცილებელი იყო საუკეთესო შთამომავლობის, უმაღლესი რასის შექმნა, რისთვისაც ერთმანეთს ორივე სქესის საუკეთესო წარმომადგენლები უნდა შეუღლებოდნენ. ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში – ასეთი გახლდათ პლატონისეული იდეალური სახელმწიფოს ბაზისური პოსტულატი. მაგრამ საუკეთესოთა შეუღლება ჩვეულებრივი ქორწინება არ იყო, რადგან თავიანთ შვილებს „საუკეთესონი" თავად როდი ზრდიდნენ, ბავშვები დაბადებისთანავე თანამდებობის პირთა ხელში გადადიოდნენ, რომლებიც მათ აღზრდას ხელმძღვანელობდნენ. შესაბამისად, იშლებოდა ოჯახი, როგორც ასეთი, მშობლებს საერთოდ არ უნდა სცოდნოდათ თავიანთი შვილები, ფაქტობრივად უქმდებოდა მშობელთა და შვილთა ინსტიტუტი. რათა და-ძმებს შორის ინცესტი თავიდან აგვერიდებინა, პლატონის აზრით, ერთი ასაკის ბავშვები ერთმანეთის და-ძმებად უნდა ჩაგვეთვალა და მათ შორის სექსუალური ურთიერთობა აგვეკრძალა. პლატონის მიხედვით, ყოველივე ამის შემდეგ თავად სახელმწიფო ერთი ოჯახი გახდებოდა (პლატონი, „სახელმწიფო", V).

მოგვიანებით პლატონმა იდეალური სახელმწიფოს ამ მოდელში არსებითი ცვლილებები შეიტანა. ფილოსოფოსმა „კანონებში" ოჯახთან მიმართებაში თავისი მოსაზრებები შეცვალა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მან „კანონებში" ოჯახი აღადგინა. ამასთან დააწესა უმკაცრესი კანონები პირად ცხოვრებაზე და სქესობრივი ურთიერთობის მაქსიმალური შეზღუდვა მოითხოვა, თუ ეს უკანასკნელი შთამომავლობის გაგრძელებას არ ისახავდა მიზნად (პლატონი, „კანონები", VI-VII).

უთუოდ საინტერესოა, რომ პლატონისეული მოდელი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მის ცალკეულ კომპონენტებს მრავალად ეხვდებით სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში.

ოჯახის და სახელმწიფოს ურთიერთობის პლატონისეული მოდელი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქალის როლის ცვლილება ყოველთვის სახელმწიფოს მთლიანი ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენდა. ხშირად ქალის და მამაკაცის თანაბრობის პლატონისეული პოსტულატი ლიბერალური აზროვნების მაგალითად მოჰყავთ. მაგრამ ამასთან ერთად, არ უნდა დაგვაეიწყდეს, გვაფრთხილებს მ. არტური, რომ ბერძნები ოჯახში სქესთა როლების ცვლილებას ოჯახში აუცილებელ, თუმცაღა მეორეხარისხოვან პრობლემად მიიჩნევდნენ. უმთავრესი მათთვის ყოველთვის სახელმწიფოს მონყობის საკითხი იყო.[28]

კლასიკურის შემდგომ ეპოქაში – ელინისტურ პერიოდში შეიცვალა ქალის მიმართ დამოკიდებულება და ქალის ფაქტობრივი მდგომარეობაც. ის მუდმივი პრობლემა, თუ რომელი უსწრებდა დროში – ქალის მდგომარეობის, თუ მისადმი დამოკიდებულების ცვლილება, ალბათ, გადაუჭრელი დარჩება. მაგრამ ერთი ფაქტია, მხატვრულ აზროვნებაში წარმოქმნილმა ტენდენციებმა ძველ კლიშეებს, ძველ სტერეოტიპებს საკმაოდ შეურყია საფუძველი. ტრადიციულის გვერდით მძლავრად მოიკიდა ფეხი ახალმა კულტურულმა იდეალებმა. ელინისტურ ეპოქაში ჩვენ უკვე ვხვდებით ქალებს, რომლებიც მნიშვნელოვან საკუთრებას განკარგავენ, ქალებს, რომლებიც სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ნაგებობებს აშენებენ და ასევე ქალებს, რომლებიც უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებსაც კი იკავებენ. ყოველივე ეს კლასიკური პერიოდის ქალებისთვის სრულიად გამორიცხული იყო.

---

[28] Arthur, 1977, 81-82.

ქალი ელინისტურ სამყაროსა და რომში

„შენა ხარ ჩემი სიმშვიდე უმძიმესი დაღლილობის ჟამს, სიხარული ხარ მწუხარებაში“.
(პლინიუს უმცროსი, წერილები, VII, 5)

ძვ.წ. IV საუკუნიდან ბერძნული სამყაროს განვითარებაში იწყება პერიოდი, რომელსაც მეცნიერებაში ჩვეულებრივ, პოლისური იდეოლოგიის კრიზისის ხანად მიიჩნევენ. არსებითად ეს კრიზისი იმით გამოიხატა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პოლისური ორგანიზაციის პრინციპმა, რომელმაც ესოდენ დიდი წარმატებები მოუტანა ბერძნულ კულტურას და ე.წ. ქალაქ-სახელმწიფოებს არქაიკისა თუ კლასიკის ეპოქაში, პელოპონესოსის ომების შემდგომ არსებითად ამოწურა თავისი თავი და, გარკვეული თვალსაზრისით, იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტში ერთგვარ ანაქრონიზმადაც იქცა. როდესაც ვსაუბრობთ ამ პროცესებსა და მათთვის დამახასიათებელ ტენდენციებზე, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ძველი სამყაროს ლტოლვას ინტეგრაციისაკენ, ერთიანობის ახალი ფორმების მონახვისაკენ. როგორც ცნობილია, ერთის მხრივ სპარსეთმა, ხოლო მეორეს მხრივ საბერძნეთმა, კაცობრიობას შესთავაზეს განვითარების ორი გზა: ე.წ. აზიური და ევროპული. პირველისათვის დამახასიათებელი იყო მონარქის ნებაზე აგებული ცენტრალიზებული იმპერიისაკენ სწრაფვა, რომელშიც მთელი ხალხი და საერთოდ იმპერიის ყოველი მოქალაქე დაექვემდებარებოდა ღმერთთან გათანაბრებული ერთმმართველის ნებას, ხოლო მეორესათვის პირიქით, ლტოლვა დეცენტრალიზაციისა და თავისუფალ მოქალაქეთა მიერ შექმნილი კანონების მეუფებისაკენ. შესაბამისად, პირველ მოდელში, არსებითად, საკმაოდ შეზღუდული იყო მოქალაქის პიროვნული თავისუფლება, მაგრამ სახელმწიფოს შეეძლო ვეებერთელა სტრუქტურის ფარგლებში ემართა პროცესები. მეორე მოდელში კი პირიქით, ძალზე დიდი იყო მოქალაქის პიროვნული თავისუფლება, მაგრამ, სამაგიეროდ, სახელმწიფო იყო იმდენად პა-

ტარა, რომ მას ძალზე უჭირდა გლობალური პრობლემების მართვა. ამავე დროს კომუნიკაციების გაფართოება, ძალზე ინტენსიური კონტაქტები სხვადასხვა რეგიონს შორის, ცივილიზაციის სწრაფი განვითარება აშკარად უბიძგებდა ძველ სამყაროს ინტეგრაციის ახალი ფორმების მონახვისაკენ, რომლებშიც, გარკვეული თვალსაზრისით, გაერთიანებული იქნებოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა პიროვნულ თავისუფლებაზე აგებული საზოგადოების ორგანიზაციის პრინციპები. სამწუხაროდ, გვიან კლასიკურმა საბერძნეთმა, რომელსაც საკმაოდ ღრმად ჰქონდა გამჯდარი პოლისური ცხოვრების წესი და პოლისური იდეოლოგია, სახელმწიფოთა პოლიტიკური ორგანიზაციის დონეზე ვერ შეძლო დროულად გადასვლა განვითარების ახალ საფეხურზე, თუმცა თეორიული აზროვნების დონეზე მან რამდენადმე სწორად დასვა ინტეგრაციის აუცილებლობის საკითხი.[1] შესაბამისად, კრიზისმაც არ დააყოვნა: ის, რაც საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა ძვ.წ. V საუკუნეში, შემაფერხებლად იქცა ძვ.წ. IV საუკუნისთვის და ალბათ ელინურ სამყაროს დაემუქრებოდა რეალური საფრთხე უკიდურესი დაქუცმაცებისა და, ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლურ მოდელთან შერწყმისა, რომ არა მაკედონური ფაქტორი. ჯერ ფილიპე მეორე ახერხებს ელინურ ღირებულებებზე ორიენტირებული სამყაროს გარკვეულ გამთლიანებას ერთ სახელმწიფო ორგანიზმად, ხოლო შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელი იწყებს ახალ ეტაპს ძველი მსოფლიოს განვითარებაში. მისი ლაშქრობების შედეგად სულ რაღაც მოკლე პერიოდში წარმოიქმნება ვეებერთელა სამყარო, ფაქტობრივად, მსოფლიო სახელმწიფო, რომელსაც დროიზენის შემდეგ მეცნიერებაში ელინისტურს უწოდებენ. როგორც ჩანს, ალექსანდრე მაკედონელი არ იყო ჩვეულებრივი დამპყრობელი, მას არ უცდია ერთი ქვეყნის პოლიტიკური მმართველობისათვის დაექვემდებარებინა მის მიერ დაპყრობილი უზარმაზარი ტერიტორიები და მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები. მან სცადა მოენახა შესაძლებლობა ევროპისა და აზიის გაერთიანებისა, ელინურ-ევროპულისა და სპარსულ-აზიურის შერწყმისა. შესაბამისად, მისი ძირითადი მიზანი იყო, ერთის მხრივ, ცენტრალიზებული სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა, ხოლო, მეორეს მხრივ, ინიციატივიან პიროვნებათაგან შემდგარი საზოგადოების ჩამოყალიბება. მის მოდელში ერთმანეთს შეერწყა აღმოსავლური ერთმმართველობისა და ელინური თავისუფალი მოქალაქის იდეა.[2] და მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრეს მსოფლიო სახელმწიფო მისი უეცარი სიკვდილის შემდგომ უმალ დაიშალა რამდენიმე დიდ ნაწილად, ელინისტურ სამყაროში მაინც დარჩა ერთიანობის საო-

[1] მიმოხილვისათვის იხ.: H. Bengtson, Griechische Geschichte, München, 1969; H. Bengtson, Die hellenistische Weltkultur, Stuttgart, 1988.

[2] Ф. Шахермайр, Александр Македонский (пер. с немец. яз.), Москва, 1984.

ცარი სული, უპირველეს ყოვლისა, სამწერლობო ენისა და კულტურის დონეზე. საინტერესოა, რომ ელინისტური სამყარო არის ძლიერი ერთმმართველობის და მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობების, თავისუფალი პიროვნებების მეტად საინტერესო სინთეზი. ამ ერთმმართველთა ძალაუფლება ხშირად ისეთი შეუზღუდავი ხდება, რომ მათ (განსაკუთრებით ეგვიპტეში) აღმერთებენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და შესაბამისად, გარკვეული თვალსაზრისით, ძველი ფარაონების სტატუსს ანიჭებენ. და მაინც, თვით ამ ერთმმართველებშიც ელინისტური ცივილიზაცია აფიქსირებს საკმაოდ ბევრ ინდივიდუალურს, ჩვეულებრივი, მინიერი ადამიანისათვის ნიშანდობლივი ხასიათის თვისებებს. სწორედ ამ ცენტრალიზაციისა და მონარქიის სულით მოცულ სამყაროში ჩნდებიან მკაფიოდ გამოკვეთილი პიროვნებები. ცენტრალიზებული ელინისტური სახელმწიფოები ქმნიან ინსტიტუტებს, კულტურის ცენტრებს, რომელნიც ელინური და აღმოსავლური ტრადიციების შერწყმის ჭეშმარიტ ლაბორატორიებად იქცევიან, საფუძველს უქმნიან ელინური აზროვნების და მხატვრული შემოქმედების ფართოდ გავრცელებას აღმოსავლეთში. ეს პროცესი კი იწვევს ინტელიგენციის ანუ მათი, ვინც ინტელექტუალური შრომით ირჩენს თავს, ძველი სამყაროსათვის მანამდე არნახული მასშტაბებით აღმოცენებას. ხოლო სახელმწიფოს და არა ერთმმართველის სამსახურში ჩამდგარი ინტელიგენცია საზოგადოების ინდივიდუალიზაციის ჭეშმარიტად ყველაზე უფრო მყარ საფუძველს წარმოადგენს.[3] სწორედ ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მაშინ, როდესაც ელინისტური სამყარო პოლისური საბერძნეთისაგან განსხვავებით პოლიტიკურ თავისუფლებათა სფეროში არსებითად უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, საზოგადოების ინდივიდუალიზაციის თვალსაზრისით გაცილებით უფრო წინ წავიდა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ხელოვნებაშიც, ფილოსოფიაშიც და საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში.[4]

ეს პროცესები, ბუნებრივია, შეეხო ქალთა საზოგადოებასაც. აქაც გამოიკვეთნენ ქალი-მმართველები და ქალი-ინდივიდები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობდნენ. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის ქალები ბევრად უფრო თავისუფალნი იყვნენ ამაძონობის კომპლექსისაგან, ვიდრე მათი წინამავალი ეპოქის ქალები („ამაძონობა", როგორც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მოვლენა, ჩვენ გავიცნობიერეთ ე. ფრენზელის ცნობილი წიგნით.[5] ამაძონობის კომპლექსში ვგულისხმობთ ქალთა ანტაგონისტურ, ჩვენ

[3] Т. В. Блаватская, Из истории греческой интеллигенции эллинистического времени, Москва, 1983.
[4] H. Bengtson, Römische Geschichte. München, 1988.
[5] E. Frenzel, Motive der Weltliteratur, Stuttgart, 1980.

ვიტყოდით, მისოანდრულ დამოკიდებულებას ძლიერი სქესის წარმომადგენელთა მიმართ. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქალთაგან მამაკაცების საზოგადოების საერთოდ იგნორირება და მათთან ურთიერთობა მხოლოდ ორ შემთხვევაში: ბრძოლის ველზე, როგორც მტრებთან, ან წლის გარკვეულ დროს სარეცელზე, როგორც ამაძონობის მოდგმის შემდგომი გაგრძელების საშუალებებთან). ამ ეპოქაში საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზე ნათლად ჩამოყალიბდა აზრი, რომელსაც ქადაგებდნენ პლატონი და არისტოტელე. მარტივად რომ ვთქვათ, ამ აზრის არსი ასეთია: ქალს აქვს თავისი ბიოლოგიური თვითგამოხატვის საზღვრები. მას შეუძლია გაუთანაბრდეს მამაკაცს ინტელექტით, შემოქმედებითი პოტენციალით, მაგრამ იგი ვერასოდეს გადალახავს იმას, რასაც ქალურობა ეწოდება, და რაც გარკვეულ თვისებათა ერთობლიობით გამოიხატება. შესაბამისად, გვიან კლასიკური ეპოქისა და ელინიზმისათვის არსებითი ხდება არა ის, რომ ქალმა გადალახოს ქალურობის საზღვრები, არამედ, პირიქით: მან რაც შეიძლება მეტად უნდა შეინარჩუნოს ეს ქალურობა და სწორედ მის ფარგლებში პპოვოს ის საშუალება, რაც მას მამაკაცზე მეუფების უნარს მიანიჭებს. პირველ რიგში — მშვენიერება, სინაზე და გამჭრიახობა. ეს, ერთის მხრივ, შეიძლება გახდეს საფუძველი მისი კეთილშობილებისა და კდემამოსილებისა, ხოლო მეორეს მხრივ, კი ვერაგობისა, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ქალი მონაწილეობს დიდ პოლიტიკაში.

და მართლაც, არცერთი წინამავალი ეპოქა არ არის ისე მდიდარი მკვეთრად გამოხატული ქალი — ინდივიდებით სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში, როგორც გვიანი კლასიკა და ელინიზმი. საკმარისია დავასახელოთ ოლიმპიასი, არსინოე II, ბერენიკე, კლეოპატრა, რომელთა პორტრეტები წარმოდგენილია ჩვენს წიგნში. ამ შემთხვევაში მათი ცხოვრების აღწერილობები გვაინტერესებს, როგორც დასტური იმისა, თუ როგორ თავსდებოდა გვიან კლასიკური და ელინიზმის ეპოქის ქალებში ძალაც, პატივმოყვარეობაც, ჭკუაც ქალური სიმშვენიერის ფარგლებში; თუ რამდენად ძლიერი იარაღი იყო სწორედ ეს თვისებები პოლიტიკურ ასპარეზზე ამ ქალთა მოღვაწეობისას.

როგორც ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფენ, პოლიტიკაში სწორედ ქალურობის ფარგლებში მოხდება ქალთა სქესის რჩეულ ნარმომადგენელთა მაქსიმალური გამოხატვა. ამ ოთხი ქალის პორტრეტულ შტრიხებში გამოიკვეთა ვერაგობაც, რომელიც სასტიკად დაისაჯა; გამჭრიახობაც, რომელიც საფუძველი გახდა გაღმერთებისა; კეთილშობილებაც და ქმრისადმი სიყვარულიც, რომელიც ცად ამაღლების ლეგენდად იქცა და უაღრესად წინააღმდეგობრივ თვისებათა საოცარი სინთეზიც, რომელმაც იმდენად რთული ხასიათი წარმოქმნა, რომლის გაშიფვრა ვერ შეძლეს ძველი სამყაროს უძლიერესმა და უჭკვიანესმა მამაკაცებმაც კი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ თვისებათა მქონე ქალი — კლეოპატრა —

განასრულებს ელინისტური სამყაროს განვითარების საკმაოდ საინტერესო და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას, რომ უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფოს უკანასკნელი მმართველი სწორედ ქალი შეიქნება.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ქალის აქტივობა მხოლოდ მმართველობის უმაღლეს ეშელონებში არ გამოიხატა. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ელინისტურ ეპოქაში მნიშვნელოვნად იზრდება ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

ჩვენ ამჟამად დავასახელებთ მხოლოდ იმის რამდენიმე ტიპიურ მაგალითს, თუ რაოდენ შესამჩნევი გახდა ამ ეპოქაში ქალის მოღვაწეობა ამა თუ იმ სფეროში და რაოდენ დიდი მასშტაბები მიიღო ამან მოგვიანებით. სხვათა შორის, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ათენი, ბერძნული დემოკრატიის სამშობლო, ქალთა ემანსიპაციის პროცესის თვალსაზრისით ბევრად ჩამოუვარდებოდა ელინისტური სამყაროს სხვა რეგიონებს. ყოველი შემთხვევისათვის, თუკი ჩვენამდე მოღწეული წერილობითი დოკუმენტებით ვიმსჯელებთ, ათენელ ქალთა სახელები ამ ეპოქაში ეპიგრაფიკულ წარწერებში ფიქსირების ღირსი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მონაწილეობას იღებენ პანათენეების დღესასწაულში, ვითარცა ე.წ. პეპლოსის ცერემონიალს ზიარებულნი.[6] განსხვავებით ამისაგან, ელინისტური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში, თვით რომაული ბატონობის ეპოქამდე, გვხვდებიან ცნობილი ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებში. უპირველეს ყოვლისა, საკმაოდ აქტიურია ქალთა მონაწილეობა რელიგიურ ცხოვრებაში. ასახელებენ ქალ-ქურუმებს, აგრეთვე იმ ქალებს, რომელნიც ამ სფეროში განსაკუთრებული აქტიურობისათვის საპატიო აღნიშვნისა და წერილობითი ფიქსაციის ღირსნი ხდებოდნენ. ძ.წ. II საუკუნეში მცირე აზიის ქალაქ კიმეში სახალხო კრების საბჭოს სპეციალური დეკრეტიც კი გამოუცია მანდილოსან არქიპესთან დაკავშირებით, რომელსაც საგანგებო კეთილშობილება და გულუხვობა გამოუჩენია და მისთვის მინიჭებული თანხით ქალაქის მთელ მოსახლეობას ღვინითა და საკვებით გამასპინძლებია. არის ცნობები იმის შესახებ, რომ თვალსაჩინო ქალებს განსაკუთრებული პოლიტიკური უფლებები მიუღიათ, ზოგნი უცხო ქალაქებსაც კი აურჩევიათ თავის საპატიო მოქალაქეებად ამ ქალაქებისათვის გაწეული სიკეთისათვის. ასე მაგალითად, პოეტესა სმირნადან, სახელად არისტოდამეა, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს, ისტორიას შემორჩა მხოლოდ როგორც ძ.წ. 218 წელს შესრულებული ერთ-ერთი წარწერის პერსონაჟი, საიდანაც ვიტყობთ, რომ ეტოლიელებს თესალიურ ლამიაში იგი საპატიო მოქალაქედ აურჩევიათ, რადგან მას თავისი ლექსებით განუდიდებია ეტოლიელები და მათი წინაპრები. გვაქვს ასევე წარწერით დადასტურებული ცნობა, რომ ქალი არ-

[6] S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985, გვ. 188 და შმდგ.

ქონტიც კი ყოფილა ძვ.წ. II საუკუნეში; ხოლო ძვ.წ. I საუკუნეში ვინმე ფილე პრიენელმა ააგო ნყალსაცავი. შესაძლოა, მან ეს დავალება მიიღო ხელისუფლებისაგან. ყოველივე ეს კი ცხადყოფს, რომ ქალებმა იმ დროისათვის მოიპოვეს მნიშვნელოვანი უფლებები. მათ შეეძლოთ კაცებისათვის დიდ საქმეებში პარტნიორობა გაეწიათ, უფრო მეტიც, ემართათ ქვეყანა მათ მაგივრად.

ის, რომ ქალის უფლებები მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთ სფეროში, როგორიც არის ქორწინება, ნათელი ხდება ეგვიპტეში აღმოჩენილი ძვ.წ. 311 წლით დათარიღებული საქორწინო ხელშეკრულებით, რომელიც დადებული ყოფილა ვინმე პერაკლიდესა და დემეტრიადესს შორის. აქ საკუთრებით ცალსახად აღნიშნულია, რომ ცოლსა და ქმარს ერთმანეთის წინაშე აქვთ თითქმის თანაბარი უფლებები.

ბუნებრივია, ქალთა ემანსიპაციის ტენდენციები აისახა განათლებისა და სპორტის სფეროშიც. ჩვენ გვაქვს ცნობები იმის თაობაზე, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ქალები იგივე პროგრამით იღებდნენ განათლებას, როგორც ვაჟები.

სხეულის ვარჯიშები თავდაპირველად ბიჭებისათვის იყო აუცილებელი. ელინისტური ეპოქიდან ქალებისა და ქალიშვილებისთვისაც შესაძლებელი გახდა სპორტული აღზრდის მიღება. გაჩნდნენ მოყვარულები, რომლებიც თანდათან მომრავლდნენ. ხოლო რომაულ ეპოქაში სპორტული აღზრდა ქალთათვის წესად იქცა. ამ თვალსაზრისით რომში სპეციალური სანახაობებიც კი ეწყობოდა.

ზოგიერთ ოლიმპიურ ასპარეზობაზე ქალები მამაკაცების პირისპირ იბრძოდნენ. ქალთათვის ეწყობოდა სპეციალური თამაშები ჰერას პატივსაცემად გამართულ ზეიმებზე ელისში, დელფოში, ნემეასა და სხვა ადგილებში. ცნობილია სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულ ქალთა სახელებიც.

ქალთა ასეთი მრავალმხრივობა გახდა საფუძველი იმისა, რომ მათ დაიწყეს მამაკაცური საქმეების კეთებაც. ამას გვამცნობს ერთ-ერთი ეგვიპტური პაპირუსი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ქალი იძენს მამაკაცისათვის ნიშანდობლივ იმ თვისებებს, რაც სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის არ შეიმჩნეოდა წინამავალ საუკუნეებში. კერძოდ ის, რომ ქალი იყო არა მარტო დიასახლისი, დედა, კაცის ბიოლოგიური პარტნიორი, არამედ ინტელექტუალური პარტნიორიც. როგორც ჩანს ძვ.წ. IV საუკუნიდან და შემდგომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სხვადასხვა ქალაქში ემანსიპირებულ, განათლებულ, მეტწილ შემთხვევებში მხატვრული შემოქმედების უნარით დაჯილდოებულ ჰეტერათა ინსტიტუტების არსებობა. ეს ბერძნული სიტყვა აღნიშნავს „თანამგზავრს, მხლებელს". დემოსთენეს ინტერპრეტაციით კი „სიხარულის

თანამგზავრს". ჰეტერები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბერძნულ საზოგადოებაში. ისინი გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ დახვეწილი მშვენიერებით, არამედ ინტელექტითაც: მიღებული ჰქონდათ მუსიკალური განათლება, ერკვეოდნენ ფილოსოფიაში, პოლიტიკასა და სხვა სფეროებში. ისინი იყვნენ ქალთა მკაფიოდ გამოხატული ნარმომადგენლები კულტურულ ასპარეზზე. კორინთოს მკვიდრი ლაისი იყო დიოგენეს მეგობარი და მოწაფე და თავადაც აღიარებულ ფილოსოფოსად ითვლებოდა. დიოტიმა სოკრატესა და პლატონის წრეში ტრიალებდა და თავადაც მონაწილეობდა ფილოსოფიურ საუბრებში. სწორედ მას ასხამს ხოტბას პლატონი თავის „ნადიმში". აქ იგი აღნიშნავს, რომ მამაკაცთა წრეში მეცნიერული სჯა-ბაასის დროს დიოტიმას სიტყვები იყო ყოველთვის ბრძნული, იმიტომ, რომ იგი იყო ქალი და ფლობდა შობის საიდუმლოს: „ყოველგვარი შემოქმედებითი სწრაფვა სიკეთისა და მშვენიერებისადმი კი სიცოცხლის გაგრძელების წყურვილით არის ნაკარნახევი. ყოველგვარი დაბადება არის საოცრება, ანუ ადამიანში ღვთაებრივის გამოვლინება..."[7] სწორედ დიოტიმას წყალობით მივიდა სოკრატე იმ დასკვნამდე, რომ სიყვარული არის სწრაფვა მშვენიერებისადმი. სოკრატესათვის მშვენიერება იგივე იყო, რაც ფილოსოფია. დიოტიმასთვის კი ეს ცნება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო სექსუალობასთან. მისთვის ეროსი, სიყვარულის ბერძნული ღვთაება, თავდაპირველი კოსმიური ძალაა. მისი საყვარელი არსება ფსიქე („სული") კი არის მისივე შემავსებელი. შესაბამისად, დიოტიმასთვის ეროსი სულისა და გონების ფორმირებისადმი სწრაფვის განსახიერებაა, მშვენიერებაში არსებობის მოთხოვნილებაა.[8]

ცნობილია ჰეტერა ლეონტიონი, რომელსაც ეპიკურე თავისი შთაგონების წყაროდ მიიჩნევდა. მისდამი სიყვარულს იგი ცხოვრების ბოლომდე ატარებდა და სწორედ მას მიუძღვნა ეს დიდებული სიტყვები: „იგი ცოცხლობს ჩემთან ერთად და ჩემში".[9]

დიდი სახელმწიფო მოღვაწე პერიკლე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ათენის „ოქროს ხანა", აღიარებდა, რომ ხშირად ეთათბირებოდა ჰეტერა ასპასიას და სწავლობდა მისგან მჭევრმეტყველების ხელოვნებას. იგი ცოლს გასცილდა, რათა ექორწინა ასპასიაზე, რომელიც არ იყო ათენის მოქალაქე, არც მაღალი წარმომავლობის. ეს გახდა საბაბი ოპოზიციონერ არისტოკრატთა პროტესტისაც. პერიკლე ასპასიას ერთგული დარჩა ცხოვრების ბოლომდე (უფრო დაწვრილებით იხ. პორტრეტი სახელწოდებით „ასპასია").

---

[7] J. Vogt, Von der Gleichvertigkeit der Geschlechter in der bürgerlichen Gesellshaft der Griechen. Akademie der Wissenschaften und der Literatur in Mainz, Abhandlungen der Geistes und Sozialwissenschaft, Wiesbaden, 1960, c, d, e.

[8] იქვე, b, c.

[9] Е. Вардиман, Женщина в древнем мире, Москва, 1970, გვ. 263.

ჰეტერა ფრინას ბრალი დასდეს მკრეხელობაში, რამეთუ იგი დიდი მოქანდაკის, პრაქსიტელესის მოდელი იყო, როცა ის ქმნიდა აფროდიტე კნიდოსელის შეუდარებელ ქანდაკებას. ის, ვინც ფრინას იცნობდა, ილიმებოდა ქანდაკების ხილვისას. ხოლო მნახველნი ქანდაკებისა მოწიწებით უმზერდნენ ფრინას. ქანდაკების წინ მუხლმოყრილი მლოცველები ვედრებით აღაპყრობდნენ ხელებს და ხმამაღლა ამბობდნენ: „ო, მშვენიერო აფროდიტე!" გულში კი ჩუმად ჩურჩულებდნენ: „რა ლამაზი ხარ, ფრინა, ღვთაებრივია შენი მშვენება!" მისი დამცველი სასამართლო პროცესზე იყო ჰიპერიდესი. როდესაც აღარ ეყო სიტყვები ბრალმდებელთა დასაშოშმინებლად, მან განუძარცვა თურმე მკერდი ფრინას და წამოიძახა: „აჰა, შეხედეთ!" და ამით თავის მხარეს გადაიბირა გადაბერებული მსაჯულებიც: ფრინას მშვენებით მოჯადოებულებმა შეწყვიტეს პროცესი. ეს მხოლოდ ლეგენდაა, მაგრამ არის მასში, ალბათ, ჭეშმარიტებაც.

მენანდრე, ცნობილი კომედიოგრაფოსი, აღნიშნავდა, რომ ვერ გაუძლებდა, ალბათ, კრიტიკოსთა განქიქებას და საზოგადოების ლანძღვას, რომ არ ჰქონოდა მისი საყვარელი ქალის, ჰეტერა გლიკერას მხარდაჭერა. ერთხელ, როდესაც იგი დათრგუნული მივიდა მასთან პრემიერის ჩავარდნის გამო და სურდა ერთიანად გაენადგურებინა ყველა ხელნაწერი, მთელი ცხოვრების ნამოღვაწარი, გლიკერამ უსიტყვოდ მიაწოდა მას რძით სავსე ჭიქა. გაღიზიანებულმა მენანდრემ არ ისურვა მისი დალევა, რადგანაც თავზე სქლად ედო ნაღები. მაშინ გლიკერამ უთხრა: „გადაწმინდე და დატკბი იმით, რაც მის ქვეშაა". ეს ნიშნავდა: ნუ აქცევ ყურადღებას იმას, რაც ზედაპირზეა, მნიშვნელოვანია ის, რაც სიღრმეშია.

„ჰეტერები ყველას სჭირდება სიამოვნებისათვის!" — აღნიშნავდა მჭევრმეტყველი დემოსთენე ათენის აგორაზე, სადაც გამართულა ჰეტერა ნეერას წინააღმდეგ აღძრული სასამართლო პროცესი და დამსწრე საზოგადოების აპლოდისმენტების თანხლებით განაგრძობდა: „დიახ, სიხარულისათვის. პატივდებულ ქალებზე კი ქორწინდებიან იძულებით, რათა შვან სრულუფლებიანი და კანონიერი შვილები და ჰყავდეთ სახლში ერთგული დიასახლისები".

ეს სიტყვები მთელი სისრულით ასახავენ იმდროინდელ საზოგადოებაში არსებულ აზრს ქალთა შესახებ.[10] დამოუკიდებლობა, განათლება, საკუთარ შესაძლებლობათა განვითარების საშუალება მისაღწევი იყო მხოლოდ იმ ქალთათვის, რომელთაც ჰყოფნიდათ სიმედგრე ეცხოვრათ თავისუფლად, უარი ეთქვათ ქორწინების წმინდა რიტუალზე. ქალი, რომელიც ემორჩილებოდა საზოგადოების კანონებს, კანონიერი ქორწინებით უზრუნველჰყოფდა თავის ცხოვრებას, იძულებული ხდებოდა დარჩენილიყო ტყვეობაში და სიბნელეში. მისთვის ბერძენი მწერლები და ფილოსოფოსები

---

[10] შდრ. Е. Вардиман, Женщина в древнем мире, Москва, 1970, გვ. 261 და შმდგ.

იმეტებდნენ მხოლოდ დამცინავ სიტყვებს, მაშინ როდესაც ჰეტერებისადმი გამოხატავდნენ უსაზღვრო აღტაცებასა და სიყვარულს.

ბუნებრივია, ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა ქალის როლი კაცის ინტიმურ ცხოვრებაში. ამ ტენდენციას ასახავს მენანდრეს კომედიებიც, სადაც ქალისადმი სიყვარულმა, ქალთან ურთიერთობით გამოწვეულმა კოლიზიებმა ძირითადი ადგილი დაიჭირეს. შეიძლება ითქვას, რომ ეროსმა, როგორც მწველმა გრძნობამ, რომელსაც შეუძლია მამაკაცს ჩაადენინოს გმირობაც, უგუნურებაც, ყველაზე მეტი ძალით სწორედ ახალ ატიკურ კომედიაში იჩინა თავი. ასე მაგალითად, მენანდრეს „დისკოლოსში" ვაჟი იმისათვის, რომ ქალი მოიპოვოს, ათასგვარ ხერხს მიმართავს: იგი ცდილობს ქალის მამას სანიმუშო შრომითაც კი მოანონოს თავი. „მოჭრილ ნაწნავში" ქალი დროებითი მსხვერპლია საყვარლის ეჭვიანობისა, თუმცა ბოლოს ისევ სიყვარული აბედნიერებს. რაც შეეხება „სამოსელ ქალს" აქ ეჭვიანობა ქალის მიმართ დახლართული ინტრიგებისა და ვნებათაღელვის საფუძველი ხდება.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალის ფუნქცია მამაკაცთა საზოგადოებისათვის გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ხდება. ქალში მამაკაცი აღმოაჩენს იმას, რაც მას აქამდე ან არ ჰქონია შენიშნული, ან რასაც სათანადო ყურადღების ღირსად არ თვლიდა. გვიან კლასიკურსა და ელინისტურ ეპოქაში ხდება ერთგვარი დაძლევა იმ გათიშულობისა, რაც არქაულსა და კლასიკურ ეპოქებში მამაკაცთა და ქალთა საზოგადოებაში იყო. ხელოვნებაშიც კი წინა პლანზე იწევს ქალის სიშიშვლე და არც თუ იშვიათად — სექსუალობა. არ არის შემთხვევითი, რომ ბერძნულ ხელოვნებაში იწყება ქალის შიშველი ფიგურების გამოძერწვა, რაც ელინისტურ ეპოქაში ერთობ ფართო მასშტაბებს იღებს. ქალის სიშიშვლე, ერთის მხრივ, აღიქმება პრაქსიტელესისეული ესთეტიზმის თვალთახედვით და იგი ბიძგს აძლევს მაღალი ხელოვნების განვითარებას, სადაც უმთავრეს ღირებულებად გვევლინება მშვენიერება, ხოლო მეორეს მხრივ ეს სიშიშვლე წარმოჩინდება ე.წ. პორნოგრაფიულ პლასტიკად, რომელიც შეესაბამება ელინისტური ეპოქის დიდი ქალაქების იმ მაცხოვრებელთა გემოვნებას, დროის დიდ ნაწილს საროსკიპოებსა და იმ ხანისათვის ესოდენ მომრავლებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში რომ ატარებდნენ.[11]

ქალისადმი დამოკიდებულების ცვალებადობის ტენდენციას რამდენადმე ასახავს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა", სადაც მედეასა და იასონის ცნობილ დიალოგში ბერძნულ ლიტერატურაში, ალბათ, ყველაზე ღრმად არის წარმოჩენილი ქალის და კაცის სიყვარულის ფიზიოლოგია (სტრ. 1078-1148).

ქალის აქტიური გამოსვლა ასპარეზზე, ბუნებრივია, აისახებოდა გარ-

[11] S. B. Pomeroy, Supplementary Notes on Frina, ZPE 32, 1978, გვ. 17-22, 215.

კეეული თვალსაზრისით ფილოსოფიაშიც. გვიან კლასიკურისა და ელინისტური ეპოქის სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობები ცდილობდნენ თავიანთი სიტყვა ეთქვათ ქალის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მიმართულებაში (ეპიკურეიზმი, კინიზმი, სტოიციზმი, ნეოპითაგორეიზმი და სხვა) გამოითქვა საკმაოდ საყურადღებო აზრები იმის თაობაზე, ქალი თავისუფალი უნდა იყოს ოჯახური მარწუხებიდან თუ პირიქით, უნდა იყოს სიმბოლო ოჯახის ერთიანობისა და სიმკვიდრისა. ჩვენ ამჟამად შორს ნაგვიყვანდა ყველა ამ მოსაზრების განხილვა. გვინდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია. სწორედ ელინისტურ ეპოქაში იწყებენ მომრავლებას ფილოსოფიური შინაარსის ტექსტები, რომელთა პათოსი ცხოვრების წესების შესახებ სახელმძღვანელო აზრების გამოთქმა იყო და რომელთაც მიანერენ ცნობილ ქალებს. ჩვენთვის დღეს ძნელია იმის თქმა, არიან ეს ქალები მართლაც ავტორები ამ ტექსტებისა ან და ხომ არ დგანან მათ უკან მამაკაცები; მაგრამ ერთი ფაქტია: ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული გამოიკვეთა ტენდენცია, ეს ნაწარმოებები ქალებს მიაწერონ. ასე მაგალითად, ელინისტურ ეპოქაში ვინმე თეანოს სახელით, რომელიც ან თავად პითაგორას ცოლი ან მისი ასული უნდა ყოფილიყო, იცნობდნენ საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწარმოებებს. მათგან შემორჩა პითაგორასადმი მიმართული შვიდამდე წერილი, რომელიც ეძღვნებოდა ქორწინებისა თუ განქორწინების საკითხებს.[12] ვინმე მელისას დაუწერია ტრაქტატი ქალთა მოვალეობებზე, განსაკუთრებით კი იმ აუცილებლობაზე, რომ ქალი უნდა მოერიდოს ფუფუნებით ცხოვრებას. ასევე პითაგორას მონაფედ თვლიდნენ პლატონის დედას პერიქტიონეს, რომლის სახელითაც მრავალი ფილოსოფიური თხზულება უნდა ყოფილიყო ცნობილი ელინისტურ ეპოქაში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ეს თხზულებები დაეწერა გვიან მცხოვრებ სხვა ქალს, ან სულაც მსგავსად სახელდებულ რომელიმე ნეოპითაგორელს.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რომ ამ პერიქტიონეს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არის ერთი საკმაოდ საყურადღებო ტრაქტატი, რომელსაც ახალგაზრდა ქალისათვის რჩევის მიცემა აქვს დასახული მიზნად და რომელიც წარმოგვიდგენს თავის კონცეფციას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჰარმონიული ქალი. თავისთავად ის გარემოება, რომ ჩნდება მოთხოვნილება ჰარმონიული, იდეალური ქალის მოდელის შექმნისა, მრავლისმეტყველია და მიუთითებს სწორედ ქალის მზარდ როლზე და ფუნქციებზე ელინისტურ სამყაროში. აი, როგორ იკითხება ეს ტრაქტატი:

„ჰარმონიულ ქალს სხვაგვარად ვერც წარმოიდგენ, თუ არა გონიერე-

[12] H. Thesleff, The Pythagorean texts of the Hellenistic period. Åbo: Åbo Akademi. 1965, გვ. 195 და შმდგ.

ბითა და წინდახედულებით სავსეს, რამეთუ გამორჩეულად გამგები უნდა იყოს, რომ მიაღწიოს სრულყოფილებას; მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი, მამაკაცურად საზრიანი და კეთილგონიერი; მხოლოდ მაშინ შეძლებს თავმდაბლობით აღჭურვას, ფუჭი აზრებისა და სიტყვების უკუგდებას. ეს თვისებები კეთილ გავლენას ახდენს თვით ქალზე, მის მეუღლეზე, ბავშვებზე, მთელ სახლზე და ასე განსაჯეთ, მთელ ქალაქზეც — ხომ შეიძლება დედოფლის მსგავსად მთელ ქალაქებსა და ხალხებს განაგებდეს.

ასე რომ, როდესაც შეძლებს, დაიმორჩილოს თავისი გრძნობები და ვნებები, მაშინ არის ქალი წმინდა და ჰარმონიული, სრულ თანხმობაში თავის თავთან და გარემოსთან. ვერანაირი ქვენა გრძნობა ვერ აცთუნებს: მას უყვარს ქმარი, ბავშვები, სახლი. სხვის სარეცელზე მეოცნებე ქალი უპირველესად საკუთარ სახლში იქცევა მტრად. იგი უსაქციელოა, როგორც მონა. ასეთი ქალი ქმრის მიმართ სიყალბესა და გაიძვერობას იჩენს, ათასგვარ სიცრუეს მიმართავს, რათა ერთგულების შთაბეჭდილება შექმნას. ცდილობს მთელ სახლზე თავისი ბატონობა შეინარჩუნოს ისე, რომ სასიკეთოდ თითიც არ გაანძრიოს. ამიტომაც ხელიდან ეცლება ყველაფერი, რაც მას და მის ქმარს ეკუთვნის. ამის შესახებ მეტს აღარაფერს ვიტყვი.

ახლა, რაც შეეხება სხეულს, ჰარმონიულმა ქალმა ის ნორმალურად უნდა უზრუნველჰყოს ტანსაცმლითა და საკვებით. უნდა დაიბანოს, მოინესრიგოს თმა, ატაროს ოქრო და პატიოსანი თვალი, როგორც სამკაული. ქალი, რომელიც საუკეთესოსა და ძვირად ღირებულს მიირთმევს, ტანსაცმელსა და სამკაულს დახარბდება (როგორც ქალებშია მიღებული), უკვე მცდარ ნაბიჯს დგამს. იგი ყოველი სისაძაგლისთვის არის მზად, ყოველთვის ცდება და არა მარტო ცოლ-ქმრული ერთგულების მიმართ. ქალმა მხოლოდ შიმშილი და წყურვილი უნდა მოიკლას და თუ იგი დაბალ ფენებს განეკუთვნება, ცხვრის ან თხის ბეწვის მოსასხამს დასჯერდეს სიცივისაგან თავის დასაცავად. ეგზოტიკური და ნუგბარი საჭმელების სიყვარულიც არანაკლები შეცდომაა და თუ ამასთან ერთად თვალშისაცემ ტანსაცმელსაც ატარებს, ვთქვათ მეწამული ან სხვა ფერისას, ეს ხომ მის დიდ სიბრიყვეზე მეტყველებს. სხეული არ უნდა ითოშებოდეს და წესის მიხედვით შიშველი არ უნდა იყოს. სხვა დანარჩენი მას არ სჭირდება. მაგრამ ადამიანებს თავიანთი სისულელით მიაჩნიათ, რომ უნდა ისწრაფვოდნენ ზედმეტობისა და უაზრობისაკენ. ამდენად, ჭკვიანი ქალი არ დაიკიდებს ოქროსა და ინდურ (ან სხვა რომელიმე) ქვას, არც ხელოვნურად დაიყენებს ვარცხნილობას და არც ნელსაცხებელს შეურევს ხელოვნურ სურნელს. არც სახეს ნაიგლისავს თეთრად და წითლად, ან წარბ-წამწამს შავად, არც ჭაღარას გაიცოცხლებს ფერადი საღებავით. ის ხშირად არ ივლის აბანოში, რადგან ქალი, აბანოს ხშირი სტუმარი, თავისი სიშიშვლის (თუნდაც ლამაზი იყოს) მაყურებელსაც ეძებს. სილამაზე, რომელიც ხორციელიდან კი არა, სული-

ერიდან მოდის, ქალის კარგ წარმომავლობაზე მეტყველებს. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი აუცილებლად კეთილშობილთა მოდგმას ან შეძლებულ წრეებს უნდა ეკუთვნოდეს ან განთქმული ქალაქის მკვიდრი იყოს. სახელოვანი და მაღალი წრის მამაკაცთა სიყვარულიც არ არის საკმარისი. თუ ქალი ყოველივე ამას ფლობს, არაფრად აგდებს, ხოლო თუ არ გააჩნია, მაშინ არც შური აღეძვრის, რადგან ამ უპირატესობების გარეშეც ვერაფერი შეუშლის ხელს, გონიერად წარმართოს თავისი ცხოვრება. თუ ყველა ამ სიკეთეს ბედი არგუნებს, მაინც არ უნდა ისწრაფვოდეს მისი სული განდიდებისა და აღტაცებისაკენ, რადგან ეს ბრწყინვალება უფრო ავნებს მას, ვიდრე არგებს. ის დალუპვისაკენ უბიძგებს, რადგან დიდებულთა შორის არის შური, გაუტანლობა, ცილისწამება და ასეთ გარემოში ძნელად თუ შესძლებს ქალი ურყევი ნებისა და სიმშვიდის მიღწევას.

ქალს ღმერთების რწმენა და ბედნიერების იმედი უნდა ჰქონდეს, ამასთან უნდა მისდიოს იმ წესებსა და კანონებს, რაც წინაპართაგან მიუღია. ღმერთების შემდეგ, ჩემი აზრით, მშობლების პატივისცემა ჰმართებს, რადგან ისინი, ღმერთების მსგავსად, თავიანთი ნაშიერის საკეთილდღეოდ ზრუნავენ. ქალმა თავის მეუღლესთან ცხოვრება მოწესრიგებულად და სასიამოვნოდ უნდა ააწყოს. მარტო საკუთარ თავზე არ უნდა იზრუნოს, არამედ უნდა გაუფრთხილდეს და წმინდად დაიცვას ქორწინების წესი, რადგან ამაზეა ყველაფერი დაფუძნებული; ყველაფერი უნდა აიტანოს, რაც მის ქმარს შეეხება, იქნება ეს თავსდატეხილი უბედურება თუ შეცდომა, ჩადენილი უგუნურებით, ავადმყოფობით, სიმთვრალით; თუნდაც მისი სხვა ქალებთან ურთიერთობა. მამაკაცებს ასეთი შეცდომა მიეტევებათ, ქალებს კი — არასოდეს. ამაზე სასჯელიც კი არის. ქალის მოვალეობაა მისდიოს ამ წესს და არ გაბოროტდეს, მოთმინებით აიტანოს ქმრის რისხვა, სიძუნწე, ბედით უკმაყოფილება, ეჭვიანობა, შეურაცხყოფა და სხვა მრავალი, რაც მის ბუნებაშია. ქალი თუ ჭკვიანია, ყველაფერს ისე მოაწყობს, როგორც ქმარს გაეხარდება. ქალი, რომელიც ქმრისთვის მეგობარიცაა, ყველა მის საქმეს სასიამოვნოდ წარმართავს, ჰარმონიულად ცხოვრობს; მას უყვარს მთელი სახლი და კეთილად განაწყობს ყველას მის გარშემო. ხოლო თუ არ უყვარს, ცხადია, სურვილიც არ აქვს მოუაროს ბავშვებს, სახლს, ქონებას, უფრო მეტიც, ის დაღუპვას უქადის ყველაფერს, თითქოს მტერი იყოს; მის სურვილზე რომ იყოს, ქმარსაც გაისტუმრებდა იმქვეყნად, რათა სხვა კაცებს გამოედევნოს. ასეთ ქალს ყველა სძულს, ვინც მის ქმარს მოსწონს. აი, ჰარმონიული ქალი კი, ჭკუითა და გონებით სავსე, მარტო ქმარს კი არ მოუტანს სიკეთეს, არამედ შვილებს, ნათესაობას და მთელ სახლს, მეგობართა, თანამოქალაქეთა და სტუმართა ჩათვლით. იგი თავმდაბლად მართავს სახლს, საამურად საუბრობს და ყურს უგდებს მოსაუბრეს; ქალი მხოლოდ იმას მიიღებს, რაც საერთო ცხოვრების წესს ესადაგება, მხარში უდგას ყველა ნათესავსა და მეგობარს, ვისაც მისი ქმარი პატივს სცემს; მოსწონს ყვე-

ლაფერი, რაც ქმარს სიამოვნებს, ხოლო ქმრისთვის არასასურველი მისთვის მიუღებელია, რა თქმა უნდა, თუ მთლად არაპარმონიული არ არის".[13]

ეს ხედვა ნეოპითაგორული უნდა იყოს, ან სტოიკური, თუმცა, როგორც ვთქვით, არსებობდა სხვა არსებითად განსხვავებული თვალსაზრისებიც ეპიკურეელთა და კინიკოსთა წრეში. ამ კუთხით საინტერესოა ცნობა, რომელიც მოჰყავს დიოგენე ლაერტიოსს, რომლის მიხედვითაც დიოგენე სინოპელს შემდეგი უთქვამს: „ქალები უნდა იყვნენ საერთო, რა საჭიროა კანონიერი ქორწინება. ვინც ვის დაიყოლიებს, მასთან იცხოვროს" (VI, 72).

აქედან გამომდინარე ნათელია არა მარტო ის, რომ ფილოსოფოსებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ ქალის თავისუფლებასა და ადგილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ისიც, რომ იმ დროს ემანსიპაციის პროცესი საკმაოდ მძლავრად იდგამდა ფესვებს.

ქალთა ემანსიპაციის პროცესი რომში ბევრად უფრო შორს წავიდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა:

რომის ლეგენდარულ ისტორიაში საკმაოდ საინტერესოდ არის გამოკვეთილი ქალთა განსაკუთრებული როლი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ საბინ ქალთა ეპიზოდს. გადმოცემათა თანახმად, საბინები ცხოვრობდნენ ცენტრალურ იტალიაში, რომის დასავლეთით. ლეგენდარული მეფის ტიტუს ტაციუსის მმართველობის ჟამს საბინებს თავს დაესხა რომულუსი. ლეგენდის თანახმად, რომში იმ ხანად ქალთა უკმარისობა იყო. რომულუსმა მოაწყო თამაშობანი, რომელზე დასასწრებადაც მოინვია მეზობელი საბინები მთელი ოჯახებით. ასპარეზობათა დროს რომაელებმა მოიტაცეს გაუთხოვარი საბინი ქალწულები. ეს იყო ომის დაწყების საბაბი. მოგვიანებით, როდესაც ომი გაცხარდა, საბინი ქალები, უკვე რომაელთა ცოლები და დედები, შეიჭრნენ ბრძოლის ველზე, მათ შეძლეს მებრძოლთა დამშვიდება. სწორედ მათი დამსახურებით დაიდო ზავი საბინთა და რომაელთა შორის. ამის შემდეგ საბინები გადასახლდნენ რომში. ნუმა, რომის მეორე ლეგენდარული მეფე, საბინთა მოდგმისა იყო (შდრ. ლივიუსი 1, 13; აგრ. 174, 269).

საბინი ქალების ისტორია, გარდა თავისი ბელეტრისტული ღირსებებისა, ჩვენთვის საინტერესოა ერთი ასპექტით: რომის ლეგენდარულ ისტორიაში ეს ეპიზოდი გამოკვეთს ქალების განსაკუთრებულ როლს რომის სახელმწიფოს ფორმირებისა და დიფუზიის პროცესში. ამასთანავე მიუთითებს ქალთა კეთილგონიერებაზე, რამაც იტალიის მოსახლეობას თავიდან ააცილა დიდი სისხლისღვრა. აქედან გამომდინარე სავსებით აშკარაა, რომ რომაელთა ფსიქოლოგიაში არა ცალკეული წარმატებული ქალები, არამედ მთლიანად ქალთა საზოგადოება აღქმული იყო, როგორც მამაკაცთა ღირსეული თანამდგომი.

---

[13] H. Thesleff, დასახ. ნაშრომი, გვ. 142-45.

იტალიის კონტინენტზე ლათინურენოვან ტომთა მოსვლამდე დიდი ხნით ადრე მკვიდრობდნენ მედიტერანულ ტრადიციებთან ორგანულად დაკავშირებული ტომები. კერძოდ, ჩვენ გვაქვს არაერთი ცნობა იმის თაობაზე, რომ აქ საკმაოდ მყარი პოზიციები უნდა ჰქონოდათ ძვ.წ. II ათასწლეულში პელასგებს. როგორც ცნობილია, მედიტერანულ სამყაროში ქალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა; ბუნებრივია, ეს ტრადიცია გარკვეული თვალსაზრისით გადმოვიდოდა იტალიის კონტინენტზეც და საკმაოდ მნიშვნელოვანი სუბსტრატის როლსაც შეასრულებდა რომაული საზოგადოებისათვის.

და მაინც, განსაკუთრებულ მოვლენად იტალიის კონტინენტზე ჩვენ მიგვაჩნია ის, რაც ნიშანდობლივი იყო ეტრუსკული საზოგადოებისათვის ქალთან მიმართების სფეროში. მეცნიერებაში მიღებული აზრის თანახმად, ეტრუსკული კულტურა რომაული ცივილიზაციის სინქრონულად ვითარდებოდა, ეტრუსკთა და რომაელთა ურთიერთობების ისტორიაში ბევრი იყო დრამატული ფურცელი. დროთა განმავლობაში მკვეთრად იცვლებოდა თანაფარდობა მათ ძლიერებასა და გავლენას შორის.

თუკი თავდაპირველად რომი აშკარად ეტრუსკული გავლენის სფეროში აღმოჩნდა როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით, დროთა განმავლობაში, თანდათანობით, ძალები ჯერ გაწონასწორდა, ხოლო შემდეგ კი თავად ეტრურია დაიქვემდებარა რომმა და ბოლოს და ბოლოს მისი მოსახლეობის სრული ასიმილაციაც მოახდინა. ძვ.წ. I საუკუნისათვის ეტრუსკული ფენომენი მხოლოდ ეგზოტიკურ დატვირთვას თუ ინარჩუნებდა ძველ ისტორიაში. ბუნებრივია დავუშვათ, რომ ეტრუსკული მოსახლეობის დიდი მასები ამ ასიმილაციის შედეგად უბრალოდ იქცნენ რომის მოსახლეობის ნაწილად და ენისა და ნაციონალური სახის დაკარგვის შემდგომაც კი ბევრი რამ დაიტოვეს ისეთი, რაც მათ ყოფასა და ფსიქიკაში იყო გამჯდარი.[14] თავისთავად ცხადია, ამან თავისი კვალი თვით რომაულ ცივილიზაციაშიც კი დატოვა. ერთ-ერთი ამდაგვარი წმინდა ეტრუსკული ფენომენი იყო ქალი ეტრურიის საზოგადოებაში. თვით მრავლის მნახველი ბერძნები და რომაელებიც არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ ქალის თავისუფლების ხარისხი ეტრუსკულ საზოგადოებაში გაოცებას ინვევდა. ბევრ შემთხვევაში ეს აღიქმებოდა როგორც გარყვნილების ლეგალიზაცია და ყოველგვარი რეგლამენტაციის გარეშე დატოვება იმ ნორმებისა, რასაც ბერძნულ და რომაულ პატრიარქალურ საზოგადოებაში ესოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა. შეგვეძლო მრავალი წყაროს დასახელება, სადაც დასტურდება ეს დამოკიდებულება. ასე მაგალითად, ძვ.წ. IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი თეოპომპოს ქიოსელი ასეთ ინფორმაციას გვანვდის ეტრუსკი ქალების შესახებ: „ეტრუსკებს აქვთ წესად, რომ ჰყავდეთ საერთო ცოლები.

[14] А. И. Немировский, Этруски. От мифа к истории. Москва, 1983.
აგრ. J. Heurgon, Die Etrusker, Stuttgart, 1971.

ქალები ძალზე ზრუნავენ საკუთარ სხეულზე და ვარჯიშობენ, ხშირად კაცებთან ერთად, ზოგჯერ კი მარტო; მათ სრულიადაც არ რცხვენიათ სიშიშვლისა. სუფრასთან ისინი სხდებიან არა თავიანთი ქმრების გვერდით, არამედ მათთვის რჩეულ კაცებთან და სვამენ ყოველ სადღეგრძელოს სურვილისამებრ. ისინი, ჩვეულებრივ, ადვილად თვრებიან და ძალზე მშვენიერები არიან სახილველად. ეტრუსკი ქალები შობენ შვილებს ისე, რომ არ იციან, რომელია მამა. შვილები იმავე წესით ცხოვრობენ, როგორც მათი აღმზრდელები. ე.ი. ისინი ძირითად დროს ატარებენ ნადიმსა და საზოგადოებაში!".[15] ამ ცნობას დაემატებოდა არა ერთი ბერძენი თუ რომაელი ავტორის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი უსირცხვილოები არიან ეტრუსკი ქალები, თუ როგორი განურჩეველნი არიან ხორციელ სიყვარულში, თუ როგორ შეიძლება მათი სახელი ამა თუ იმ გვარის გენეალოგიაში იყოს ჩართული და ა.შ. ამასთანავე, ამ ცნობებიდან სრულიად აშკარად გამოსჭვივის, რომ ეტრუსკული საზოგადოება ბევრად წინ იყო წასული ბერძნულ და რომაულ საზოგადოებასთან შედარებით ქალთა ემანსიპაციის პროცესში, რომ ქალი პოლიტიკაშიც, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიც მართლაც ასრულებდა მამაკაცის თუ თანაბარ არა, თითქმის თანაბარ ფუნქციას. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მეცნიერებაში გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, რომელიც წარმოადგენს ეტრუსკული საზოგადოების თავისებურებაში გარკვევის ცდას. რისი გამოვლინება იყო ეს — მატრიარქატული ტრადიციების სიმძლავრისა ეტრურიაში თუ უბრალოდ, ეტრუსკული საზოგადოების მიერ სოციალური თავისუფლების იმ ხარისხის მიღწევისა, რომლამდეც იმ ხანად ჯერ კიდევ არ იყო ამაღლებული არც ბერძნული და არც რომაული საზოგადოება. ბახოფენიდან დაწყებული,[16] მეცნიერებაში ამ საკითხზე მიმდინარე დისკუსიაში უკანასკნელი ხანების ეტრუსკოლოგიურმა გამოკვლევებმა გარკვეული სინათლე შეიტანეს. კერძოდ, დღეს სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეტრუსკული საზოგადოება მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიარქალური საზოგადოებაა და აქ არ შეიძლება მატრიარქატზე საუბარი. უფრო მეტიც, ბახოფენისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, თითქოს ეტრუსკული წარმომავლობის სახელებში ქალის შტოს უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ეპიგრაფიკულ მასალაში არ დადასტურდა. ე.ი. თითქმის არ გვხვდება წარწერა, სადაც მხოლოდ ქალის შტო იქნებოდა დაფიქსირებული. ყველგან, სადაც დედის სახელი ფიგურირებს, პირველ ადგილზე ყოველთვის არის მამის სახელი. ასევე, არსად ჩანს, რომ კაცი ქალს ექვემდებარებოდა, ან ქალი ჯაბნიდა მას პოლიტიკურ ასპარეზ-

[15] А. И. Немировский, დასახ. ნაშრ. გვ. 43.

[16] J. J. Bachofen. Die Sage Von Tanaquli: eine Untersuchung über den Orientalismus in Rom und Italien, Heidelberg: Mohr. 1870. აგრ. J. J. Bachofen, Das Mutterrecht: Eine Untersuchung über die Gynaikokratie der alten Welt nach ihrer religiösen und rechtlichen Natur, Stuttgart: Kreis und Hoffman, 1861.

ზე თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. ამასთანავე გამოვლინდა ისიც, რომ ქალის როლი ეტრურიაში მართლაც ერთობ მნიშვნელოვანი იყო. ეს უნდა აიხსნას, ერთის მხრივ, ეტრუსკების ორგანული კავშირით მედიტერანულ ტრადიციებთან, ხოლო მეორეს მხრივ, ეტრუსკული საზოგადოების კეთილდღეობის ძალზე მაღალი დონით და, ალბათ, ამის წყალობით საზოგადოებაში არსებული ქალთა ემანსიპაციის ძველი სამყაროსათვის უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. გამოირკვა, რომ თეოპომპოსისა და ანტიკური ეპოქის ავტორთა ცნობები, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, წარმოადგენენ ეტრუსკული საზოგადოების თავისებურების საკმაოდ სუბიექტურ ინტერპრეტაციას. ეტრუსკული ოჯახი მყარია, პატრიარქალურია, მაგრამ ქალის განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორც ჩანს, ნეგატიური ჰიპერბოლიზაციის კუთხით იქნა აღქმული მრავალი ანტიკური ხანის ავტორის მიერ. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ მთელ რიგ ეტრუსკულ წარწერებში საგვარეულო სახელთა შორის დედის სახელიც ფიგურირებს. ასე მაგალითად, ტარკვინიის ერთ-ერთ პრეტორს ჰქვია Larth Arnthal Plecus clan Ramthasc Apatrual რაც ნიშნავს: „ლართი არნთ პლეკოს და რამთა აპატრუას ვაჟი". აქ მეორე საგვარეულო სახელი აშკარად დედის სახელია. მაგრამ პირველი ასევე აშკარად არის მამისა."[17] ამ შემთხვევაში დასკვნა შეიძლება იყოს ერთადერთი: ეტრურიაში საჭიროდ თვლიდნენ მამის სახელთან ერთად დედის სახელის მოხსენიებასაც. ასევე ეტრუსკულ ფრესკებზე ტარკვინიის და სხვა სამარხებიდან ჩვენ შეგვიძლია დავაფიქსიროთ არაერთი შემთხვევა ქალთა მონაწილეობისა ნადიმებში, სანახაობებში. ზოგიერთ მათგანზე ქალი კაცთან ერთად ნებივრად არის წამოწოლილი ტახტზე და ტკბება მუსიკით, ზოგან აღბეჭდილია ქალისა და კაცის თავდავიწყებული როკვა. შეიძლება ითქვას, არ გვხვდება სურათი, სადაც ქალთა და კაცთა საზოგადოება ერთმანეთისაგან გამიჯნულად იყოს წარმოდგენილი. ისინი აშკარად ქმნიან ერთ ორგანულ მთლიანობას, ერთნაირად მონაწილეობენ ნადიმებსა, რიტუალებსა და დღესასწაულებში. ამ მხრივ, რასაკვირველია, ეტრუსკული ფრესკები უნიკალურ მასალას იძლევიან. დღეს მეცნიერებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეტრურ ქალთა გავლენის კვლევას პოლიტიკის სფეროში. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქალების მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ეტრუსკულ მხატვრულ კულტურაში.[18] მართალია, დღემდე არ არის აღმოჩენილი ეტრუსკული წერილობითი ლიტერატურის ძეგლი, რადგან ეტრუსკულ წარწერათა აბსოლუტური უმეტესობა მიძღვნითი ხასიათისა არის. მაგრამ მეცნიერები არ გამორიცხავენ ამგვარი ლიტერატურის არსებობის შესაძლებლობას. ყოველი შემთხვევისათვის უცილობლად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეტრუსკებს საკმაოდ ძლიერი ზეპირი პოეზია უნდა ჰქონო-

[17] J. Heurgon, Die Etrusker, Stuttgart, 1971. აგრ. A. K. Burn, The Pelikan History of Greece, Penguin Books, 1966.

[18] ეტრურიის ქალთა შესახებ დაწერილებით იხ. J. Heurgon, Die Etrusker, Stuttgart, 1971.

დათ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ფრესკებზე გამოსახული მრავალრიცხოვანი მომღერლები, მათ შორის ქალებიც, ასრულებდნენ რაღაცა ტექსტის მქონე სიმღერებს. ბუნებრივია, ყოველივე ამის გათვალისწინებით ეტრუსკულ ფაქტორს არ შეიძლებოდა არ მოეხდინა გავლენა რომაულ საზოგადოებაში ქალის სტატუსის გამოკვეთაზე.

ამ თვალსაზრისით რომს ერთგვარი საშუალედო ადგილი უჭირავს ბერძნულსა და ეტრუსკულ საზოგადოებებს შორის. იგი ბევრად უფრო შორს წავიდა ქალის ემანსიპაციის სფეროში ელინურ სამყაროსთან შედარებით, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად ჩამორჩა ამ მხრივ ეტრუსკულ საზოგადოებას. თავად რომაელი მოღვაწეები აღნიშნავდნენ, რომ რომში ქალი გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე საბერძნეთში. კერძოდ, იგი ბევრად უფრო თავისუფალი იყო, თავად ოჯახის ფარგლებშიც უფრო მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. და მართლაც, შეიძლება ჩამოვთვალოთ ამის დამადასტურებელი რამდენიმე ნიშანი: ქალი ცხოვრობდა სახლის ცენტრალურ ოთახში, იღებდა მონაწილეობას წვეულებებში, ყველა სახის სანახაობაში. თავად სახლში მას აღიქვამდნენ როგორც ქალბატონს, არსებითად სახლის განმგებელს, რომელიც, როგორც წესი, არასოდეს ასრულებდა უხეშ სამუშაოს. იგი ძირითადად დაკავებული იყო ბავშვებზე ზრუნვით და ქსოვით. ძაფის რთვა და ქსოვა რომაელი ქალის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საკმაოდ დიდხანს, როგორც ფიქრობენ, თვით ავგუსტუსის ეპოქამდე. საქსოვი დაზგა რომაელი ქალის სიბეჯითის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.[19]

რასაკვირველია, განსაკუთრებული სფეროა ის, თუ როგორ ქმნიდა ქალი ოჯახს. ამ მხრივ გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია: ერთის მხრივ ქალი აღიქმებოდა როგორც პატრიარქალური საოჯახო სტრუქტურის ორგანული წევრი, ხოლო მეორეს მხრივ, თავისუფალი პიროვნება, რომელიც ცხოვრებაში ნებისმიერ არჩევანს აკეთებდა. და მართლაც, ჩვენთვის ცნობილია, რომ რომში საკმაოდ გავრცელებული იყო ე.წ. მანუს — ქორწინება, რომლის დროსაც ქალი გამოდიოდა თავისი საკუთარი Pater familias-ის Patria potestas-იდან და გადადიოდა თავისი ქმრის Pater familias-ის potestas-ში. მას მიჰქონდა მთელი თავისი ავლადიდება და არსებითად ხდებოდა მეორე ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. მართალია, დროთა განმავლობაში ეს პრინციპი ქორწინებისა საკმაოდ შეირყა, ძალზე დიდი მნიშვნელობა მოიპოვა თავად ქალის სიმდიდრემ და მის ქონებაზე გამოდევნებამ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მარციალისის ერთი ეპიგრამა: „ალბათ მკითხავთ, თუ რატომ არ მინდა მდიდარი ცოლი? იმიტომ, რომ სულაც არ მსურს ქმრად გავყვე ცოლს. ჩემო პრისკუს, ცოლი ქმარს უნდა მორჩილებდეს, სხვაგვარად მეუღლეთა შორის არანაირი სითანაბრე არ იქნება" (VII, 12).

[19] E. Burck, Die Frau in der griechisch-römischen Antike, Tusculum Schriften; Munich: Heimeran, 1969. J. C. Cooper, Lexicon Alter Symbole, Leipzig, (übers. aus dem Engl.), 1986.

ქორწინების ეს ფორმა გარკვეულად დაკავშირებული იყო ქალის იმ თეორიულ იდეალთან, რომელიც ტაციტუსს შემდეგი ნიშნების ერთობლიობით აქვს წარმოდგენილი: 1. pudicitia (სინმინდე), 2. nobilitas (წარჩინებული წარმომავლობა), 3. fertilitas (ნაყოფიერება), 4. opes (სიმდიდრე) და, რასაკვირველია, 5. forma (სილამაზე). ამ მოდელის მიხედვით ქალი უპირველეს ყოვლისა აღიქმებოდა, როგორც ბავშვების აღმზრდელი და თავისი ქმრის თანამგზავრი ჭირსა და ლხინში. თუმცა იდეალური მოდელი ტაციტუსის დროისათვის რომაელი ქალების მიერ, არსებითად, იგნორირებული იყო.

სწორედ ამიტომ რომში ძალზე მალე დიდი უპირატესობა მოიპოვა ქორწინების თუ ერთად ყოფნის მეორე ფორმამ, რომელსაც შეიძლება ასე ვუწოდოთ: „თავისუფალი სიყვარულით დაკავშირებული ორი ადამიანის თანაარსებობა იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მათ უყვართ ერთმანეთი". როგორც ცნობილია, ავგუსტუსის შემდეგ ქორწინების ე.წ. პურიტანული აღქმა თანდათანობით ადგილს უთმობს სწორედ ემანსიპირებულ წყვილთა ამ ტიპის კავშირს. შესაბამისად, რომაულ საზოგადოებაში გამოიკვეთა ორი ტენდენცია: ერთი — ქალის როლის გააზრების საკითხში ტრადიციული პატრიარქალური ღირებულებების შენარჩუნებისა, ხოლო მეორე — ამ ღირებულებათა უარყოფისა და მათგან განთავისუფლებისა. აქედან გამომდინარე, სახე რომაელი ქალისა, გარკვეული თვალსაზრისით, ნინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, იგი არის ტრადიციული მატრონა, ხოლო მეორეს მხრივ, თავისი თავისუფლებით გამომწვევი, ვითარცა ლესბია, კატულუსის ლექსების გმირი. შეიძლება ითქვას, რომ ორივე ტიპის ქალები საკმაოდ აქტიურად იყენენ ჩართულნი რომის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ზოგიერთი მათგანის სახელი გარკვეული დიდებით შეიმოსა. მათ შესახებ ისტორიას მრავალი საინტერესო ფურცელი შემორჩა.[20]

უმაღლესი პატივი, რომელსაც რომის მაღალი წრის ქალები იმსახურებდნენ, იყო მათი განდიდება, ვითარცა ქალღმერთისა. ასეთებად გვევლინებოდნენ ძირითადად იმპერატორთა ის მეუღლეები, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღოდათ ქვეყნის პოლიტიკურსა თუ რელიგიურ ცხოვრებაში (გავიხსენოთ არსინოე). ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ლივია დრუზილა, პირველი რომაელი იმპერატორი ქალი (ძვ.წ. 58-29 წწ.). რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშეს ანტონიუსის ცოლებმა — ფულვიამ, ოქტავიამ და ცნობილმა კლეოპატრამ.

შეიძლებოდა დაგვესახელებინა მრავალი ცნობილი რომაელი მატრონა, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მათი მეუღლეებისა თუ შვილების საზოგადოებრივ საქმიანობაში. თავიანთი ინტრიგული ნიჭისა თუ მომხიბვლელობის წყალობით ამ ქალებმა მრავალი კეთილი თუ მზაკვრული განზრახვა აღასრულეს. მათ შორის ბევრი იყო პატივმოყვარეობის სენით შეპყრობილი, ბევრიც სათნო და თავგადადებული დედა. მათ პორტრეტებს თქვენ გაეცნობით ჩვენს წიგნში.

---

[20] K. Christ, Die Römer, Eine Einführung in ihre Geschichte und Zivilisation, München, 1984².

აღვნიშნავთ მხოლოდ რომ თავად რომაელი მამაკაცები დიდი პატივით ეპყრობოდნენ ქალებს, ანგარიშს უწევდნენ მათ სურვილებს და მისწრაფებებს, ღირსეულად აფასებდნენ მათ ნიჭსა და უნარს. აქ უნდა გავიხსენოთ ის, თუ როგორი პატივი მიაგეს გრაკქუსებმა მათთვის ძვირფას დედას — კორნელიას. სვეტონიუსის გადმოცემის თანახმად, ღვთაებრივმა ავგუსტუსმა „დედა დაკარგა თავისი პირველი კონსულობის ჟამს, ხოლო და, ოქტავია, ორმოცდათოთხმეტი წლის ასაკში. ორთავეს იგი დიდი მოწიწებით ეპყრობოდა სიცოცხლეში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მათ უმაღლესი პატივი მიაგო" („ავგუსტუსი", 61, 2).

კეისართა ცოლებს ენიჭებოდათ საგანგებო ტიტულები. ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ მის ქვრივს ლივიას ეწოდა სახელი „ავგუსტა" („პატივის ღირსი"). ასეთივე წესით ეწოდა აგრიპინა უმცროსს, კეისარ კლავდიუსის მეუღლეს, მომავალი იმპერატორის, ნერონის, დედას სახელი „კლავდია". მოგვიანებით კი, ახ.წ. III საუკუნეში ზოგიერთი ტიტული უკვე მხოლოდ pro forma ხასიათს ატარებდა. ასე მაგალითად, „ავგუსტუსის დედა", „ლაშქრის დედა" ან „ლაშქრისა და სენატის დედა" — ეს ტიტულები მიენიჭათ განსაკუთრებული დამსახურებისათვის პოლიტიკურ სარბიელზე უაღრესად გამორჩეულ ქალებს.[21]

რასაკვირველია, განსაკუთრებით საინტერესოა ქალის როლი რომაულ მხატვრულ კულტურაში. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ რომში საკმაოდ მაღალი იყო ქალთა განათლების დონე, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ზედა ფენებში მაინც, რომ ამ წრის ქალები მიჩვეულნი იყვნენ ფუფუნებაში ყოფნას, რომ ისინი მონაწილეობდნენ რომის სულიერი თუ ბოჰემური ცხოვრების ყველა სფეროში და ამასთანავე საკმაოდ დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ, მოსალოდნელი იყო, რომაელ ქალებს თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქვათ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში, პირველ რიგში კი პოეზიაში. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ მხრივ რომაელი ქალები ბევრად ჩამოუვარდებიან თავიანთ ბერძენ კოლეგებს, რომლებიც გაცილებით უფრო ნაკლები უფლებებით სარგებლობდნენ. როგორც აღნიშნავენ, რომაელ ქალთა შემოქმედებითი პოტენციალი, მიუხედავად მათი საკმაოდ დიდი პიროვნული თავისუფლებისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკმაოდ დაბალი იყო.[22] რასაკვირველია, ამ მოვლენას თავისი ახსნა დაეძებნება.[23]

---

[21] S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985, გვ. 281.

[22] Dichterinnen des Altertums und des frühen Mittelalters, Zweisprachige Textausgabe, Eingeleitet, übersetzt und mit bibliographischem Anhang Versehen von Helene Homeyer, Paderborn, München, Wien, Zürich, 1979.

[23] იხ. ნ. ტონია, საპფოს ფენომენი და ანტიკური ხანის ქალთა პოეზია (დისერტ.), თბილისი, 1993 წ.



საპფო

ᲗᲗᲗᲗ

კორინა

ᲗᲗᲗᲗ

ერინა

ᲗᲗᲗᲗ

ნოსისი

ᲗᲗᲗᲗ

ანიტე

ᲗᲗᲗᲗ

მოირო

ᲗᲗᲗᲗ

სულპიცია

პოეტიკა

საპფოს

პორტრეტი ფოლიანტებში

„ასე მგონია, მომავალშიც გაგვიხსენებენ..." — იმისნა საპფომ, მსოფლიოს ლირიკული პოეზიის უპირველესმა პოეტესამ, თავის ეპოქაშივე აღიარებულმა დიდებულ მგოსნად, საუკუნეთა განმავლობაში დიდების გვირგვინით მოსილმა და ამიტომაც მარადისობას ზიარებულმა. მისნობა ახდა: მის ქმნილებებს აღფრთოვანებით კითხულობდნენ ელინებიც და ბარბაროსებიც, ნარმართებიც და ქრისტიანებიც... დროთა განმავლობაში საპფოს სახელი ლეგენდებით შეიმოსა, ქმნილებათაგან კი ფრაგმენტები შემოგვრჩა.

ყველა ეპოქის მკითხველს იზიდავს შეუსაბამო ისტორიები, მითუმეტეს, თუკი ისინი სახელოვან პიროვნებებზე მოგვითხრობენ. ანტიკურ ხანაშივე ვრცელდებოდა საპფოს შესახებ მიეთ-მოეთი. გადმოცემათა თანახმად, იგი ყოფილა ტანმორჩილი, შავგვრემანი და ულამაზოც, თანაც უზნეო (P. Ox. XV (19220 nr. 1800 ფრ 1); მას მშვენიერი ქაბუკი ფაონი შეპყვარებია, ხოლო ფაონს კი არ უყვარდაო პოეტი ქალი. უიმედო ვნებათაღელვას აყოლილ საპფოს თავი მოუკლავს, გადაშვებულა რა ლეეკადის კლდიდან ამღვრეულ ზღვაში (სტრაბონი, X 452); სხვა ლეგენდა კი გვამცნობს, თითქოს საპფო იყო ჰეტერა, ართობდა კაცებს, მაგრამ ჭეშმარიტი ვნებით მხოლოდ ახალგაზრდა ქალიშვილებისაკენ ისწრაფოდა, მათ უძღვნიდა თავის სიმღერებს (მაქსიმოს ტიროსელი, 18, 9). ამ არაბუნებრივი სიყვარულის სახელწოდებად დღემდე შემორჩა „საფოური" ან „ლესბოსური", რამეთუ საპფო კუნძულ ლესბოსის მკვიდრი იყო.

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენენ საპფოს ანტიკურობის სახელოვანი მოღვაწეები: მისი თანამედროვე და თანამოქალაქე დიდი პოეტი ალკეოსი ერთ-ერთ ფრაგმენტში (სიმღერა ალბათ საპფოს ეძღვნებოდა) ღვთაებათა საკადრისი ეპითეტებით ამკობდა თავისი ოდის ადრესატს: „იებით

მორთულო, წმინდა, ტკბილღიმილიანო საპფო" (ფრ. 63 D.); ბრძენი სოლონი თურმე სიკვდილის წინ მის სიმღერებს სწავლობდა (ელიანოსი, XXIX 58); ფილოსოფოსი პლატონი „მეათე მუზას" უწოდებდა (AG IX 506); უტყუარი სტრაბონი „გასაოცარ არსებად" (θαυμαστόν τι χρῆμα) მოიხსენიებდა და დასძენდა: „...ჩვენ არ ვიცით სხვა პოეტესა, რომელიც მცირეოდენით მაინც თუ გაუტოლდებოდა საპფოს პოეტური მშვენიერებით" (XIII 617). სწორედ ეს ჰქონდა ალბათ მხედველობაში რომის უდიდეს პოეტს, ჰორაციუსს, როდესაც მას „mascula Sappho" („მამაკაცური საპფო", Ep. 1.19.28) უწოდა. იმ ხანად ქალთა პოეზია დაღმავალი გზით მიექანებოდა და ამიტომ საპფოს შემოქმედებითი ნიჭი მამაკაცური ძალისხმევის ტოლფასი ჩანდა.

ეს შეფასებანი, ანტიკური კრიტიკისათვის ნიშანდობლივი სიზუსტითა და სინატიფით აღბეჭდილნი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემუშავებული ე.წ. მხატვრული კანონის გამოცდილებას რომ ეფუძნებიან, ნათლად განსაზღვრავენ საპფოს პოეტურ გენიას. მათ ვეღარაფერს დაუმატებთ. ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები, თუკი ისინი ორიგინალის შესატყვისნი არიან, თავად აგრძნობინებენ მკითხველს ამ შეფასებათა ჭეშმარიტებას. ოღონდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: იმ უძველეს ხანად (ძვ.წ. VII-VI სს.) მელოსური ლირიკის ქმნილებები სრულდებოდა სიმღერისა და ცეკვის თანხლებით, რაც ქმნიდა სრულყოფილ ეფექტს. ჩვენამდე კი მხოლოდ ლექსებია შემორჩენილი და ისიც ფრაგმენტულად. თუმცა ეს ფოლიანტური ფრაგმენტულობაც თავისებურად მომხიბლავია.

საპფოს პიროვნებით დაინტერესებას მრავალმა გარემოებამ შეუწყო ხელი. ყველაზე მეტად კი იმან, რომ მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ქალწულებს ეძღვნებოდა. მათი შთაგონებით ქმნიდა პოეტი თავის სიმღერებს, რომლებშიც ჩაქსოვილი იყო მისი ემოციური ბუნებისათვის დამახასიათებელი მძაფრი განცდები და ლტოლვები. რატომ? ამაში რომ გავერკვეთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარმოვიდგინოთ იმ პერიოდის კუნძული ლესბოსი, საპფოს სამშობლო.

ანტიკური ტრადიცია ლესბოსს ხმელთაშუა ზღვის შვიდ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს კუნძულთა შორის მოიხსენიებს (სტრაბონი, XIII 612). საპფოს დროს ეს კუნძული სხვა მხარეთაგან გამოირჩეოდა თავისი მაღალგანვითარებული კულტურით. უპირველეს ყოვლისა, იგი იყო მემკვიდრე ძველი ეოლიისა, სადაც ვითარდებოდა ეპიკური პოეზია. ლესბოსი იყო აგრეთვე ადგილი, სადაც ხალხმა, უაღრესად მუსიკალურმა, ეპოსის მასალის საფუძველზე შექმნა დიდებული ლირიკა. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი სახელოვანი პოეტები, როგორებიც იყვნენ არიონი და ტერპანდროსი, თავად საპფოს დროს კი — ალკეოსი. იგი, ისევე როგორც საპფო, მიტილენელი იყო, თუმც ოდნავ უფრო ახალგაზრდა. მიტილენელი იყო მათთვე თანამედროვე პიტაკოსიც, ძველი საბერძნეთის შვიდ ბრძენთა შორის რომ ასახელებენ.

ეოლიელებით დასახლებულ ამ მშვენიერ და მდიდარ კუნძულზე საინტერესო თავისებურება დასტურდება: აქ ქალები დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იყვნენ, მაშინ როდესაც იმავე პერიოდის ატიკაში ისინი მკაცრად განსაზღვრულ ოჯახურ წესებს ემორჩილებოდნენ. იმ შორეულ ეპოქაში ლესბოსზე მატრილინეალური ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი. ალბათ ამიტომ არისტოკრატიული გვარის ჩამომავალი კაცებისათვის არსებულა ე.წ. მამრთა საიდუმლო კავშირები. სავარაუდოა, რომ კაცები თავისი დროის უმეტეს ნაწილს იქ ატარებდნენ. თავის ისტორიულ როლს, რომელიც მატრილინეალური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლასა და ეკონომიურად ძლიერი პატრილინეალური ძალაუფლების დამკვიდრებას გულისხმობდა, ეოლიდის მამრთა საიდუმლო გაერთიანებები აღასრულებდნენ რელიგიური მორჩილების ტაქტიკით. ეს იყო რიტუალთა და რწმენათა მთელი სისტემა, რომელიც მოსახლეობაზე მაგიურად მოქმედებდა. როგორც სოციალური ორგანიზაცია, ეს საიდუმლო კავშირები მდიდარ არისტოკრატთა ღარიბ მოსახლეობაზე ბატონობის ერთგვარი იარაღიც იყო. კუნძულ ლესბოსზე ამ საიდუმლო გაერთიანებებში მამრთა მიღება ხდებოდა ბავშვობის ასაკიდან, უცერემონიოდ, მაგრამ გარკვეული გადასახადით. ახლადზიარებულნი იცავდნენ გარკვეულ წესებს, მონაწილეობდნენ მნიშვნელოვან წესისგებებსა თუ რელიგიურ ზეიმებში, რომლებსაც აღასრულებდნენ მამრთა საიდუმლო კავშირების მფარველ ღვთაებათა წმინდა ჭალებში.

თუკი ალკეოსის პოეზიას გავიხსენებთ, ასეთ მფარველ ღვთაებად იქ აპოლონი გვევლინება, როგორც წესრიგისა და კანონიერების დამცველი ღმერთი. უძველესი წყაროებიც მიუთითებენ, რომ აპოლონის კულტი გავრცელებული იყო ამ კუნძულზე (სტრაბონი, 579).

მამრთა საიდუმლო რიტუალებისა და მათთან დაკავშირებულ რწმენათა შინაარსი, მათი გასაიდუმლოებულობის გამო, დღემდე უცნობია. თუ დავუშვებთ, რომ ალკეოსი ამ საიდუმლო კავშირის წევრი იყო (რაზეც მიგვანიშნებს მისი შემოქმედების ანალიზი), უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი გაერთიანების სოციალური ფუნქცია შიდაპოლიტიკურ სიტუაციათა ფლობას გულისხმობდა. ალკეოსის პოეზიაში ნათლად იკვეთება მოქალაქე — პოეტის სახე, რომელიც იბრძვის არისტოკრატული უფლებების დასაცავად. მართალია, იგი მარცხდება ამ ბრძოლაში (ეს ისტორიული აუცილებლობა იყო), მაგრამ სულით არ ითრგუნება და საბრძოლო მახვილს ღვინით სავსე ფიალას შეანაცვლებს.

საფო

ისევე, როგორ კაცებს, კუნძულ ლესბოსზე ქალებსაც ჰქონდათ თავშესაყარი ადგილები, ჰყავდათ რჩეული ღვთაებები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ და რომელთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლადაც საგანგებო რიტუალებს აღასრულებდნენ. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, უპირველეს ყოვლისა, საპფოს ლირიკა. სამწუხაროდ, არქაული ეპოქის ბერძენთა რელიგიური ცხოვრების შესახებ არქეოლოგიური მასალა განზო-

გადებათა არამყარ საფუძველს იძლევა. მეცნიერები იძულებულნი არიან ძირითადად დაეყრდნონ ამ პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებს. მიუხედავად მათი ფრაგმენტული ხასიათისა, სწორედ აქ მოპოვებული ინფორმაციაა უმთავრესი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის წარმოსადგენად. ის, რომ საპფოსა და მის გარშემო შემოკრებილ ქალიშვილთა სათაყვანებელი ქალღმერთი იყო აფროდიტე, ეს ჯერ კიდევ ალექსანდრიელმა სწავლულებმა (ძვ.წ. III ს.) დაადგინეს და, შესაბამისად, ბერძენი პოეტი ქალის სიმღერათა გამოცემაში პირველ ადგილზე ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი ჰიმნი მოათავსეს. საპფოს ჩვენამდე მოღწეული სიმღერების დიდი ნაწილი სწორედ აფროდიტეს ეძღვნება, უფრო დიდი ნაწილი კი სიყვარულის იმ მშვენიერების განცდას, რომელსაც ეს ღვთაება ანიჭებდა ადამიანებს.

აფროდიტე საპფოს პოეზიაში წარმოგვიდგება არა მხოლოდ სიყვარულის, სიკეთისა თუ მარადიულობის სიმბოლოდ, არამედ უშუალოდ პოეტთან, მის ინტიმურ სამყაროსთან დაკავშირებულ ღვთაებად. იგი საპფოს „თანამდგომი" იყო ყველაზე უფრო დაძაბულ ცხოვრებისეულ მომენტებშიც კი. ასე ეგონა პოეტს. ამ შემთხვევაში მისი განჭვრეტა გამძაფრებული იყო და გრძნობიერება განწმენდილი, რადგანაც მარადიულთან ზიარებით ეძიებდა ბედნიერებას (ფრ. 58, ფრაგმენტებს ვუთითებთ ე. ლობელისა და დ. პეიჯის გამოცემის მიხედვით: E. Lobel, D. Page, Poetarum Lesbiorum Fragmenta, Oxford, 1955.). საპფოს პოეზიაში ეს ზიარება აისახა იმ ტრადიციული დროისა და მანძილის უგულებელყოფით, რაც მოკვდავთა და უკვდავთა სამყაროს ერთმანეთისგან განაშორებდა. ამ სიტყვების ნათელსაყოფად უნდა გავიხსენოთ ერთი სიმღერა, სადაც ღვთაების მოლოდინი საოცარი ინტიმურობითა და პოეტურობით არის წარმოდგენილი. რიტუალი უნდა აღსრულდეს, აფროდიტეს გამოცხადებას მოელის ყველა — ადამიანიც და ბუნებაც, წმინდა ტაძარი, ვაშლის ხეების ხეივანი, საკურთხევლები, წვიმა, ვარდები, ბალახები... და სიჩუმეა. თვლემს ბუნება თავისი ღვთაების მოლოდინში. საპფო მიმართავს აფროდიტეს:

„ციდან ისწრაფე, კრეტის წმინდა ტაძართან მოდი,
აქ ვაშლის ხეთა დიდებული ხეივანია
და სურნელოვან საკმეველთა ბოლით მოსილი
საკურთხევლები.

წვიმის წვეთები ხმაურობენ ხეთა რტოებში,
ველად ბალახებს ეფინება ვარდების ჩრდილი,
ათრთოლებული ფოთლებიდან მოითენთება
მდუმარე თვლემა.

მიმობნეულან საძოვრებით მდიდარ მინდორზე
ახლად მოსული ყვავილები და საამური
ნიავი არხევს იაკინთებს წმინდა ბაღების
წყაროთა ჩრდილში.

კიპროსშობილო, გვირგვინებით დამშვენებული
მოდი ამ ველზე და აღავსე ოქროს თასები
დამათრობელი სიხალისით განზავებული
ტკბილი ნექტარით".

ფრ. 2

ბერძნებს ღრმად სწამდათ, რომ ღვთაებათა მოვლინება დღესასწაულზე უდიდესი ბედნიერების მომნიჭებელი იყო. საპფო არა მხოლოდ მოუხმობს თავის რჩეულ ღმერთქალს, არამედ შესთხოვს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა ამ ზეიმში — ოქროს თასები აღავსოს... ტკბილი ნექტარით, ანუ ღმერთების სასმელით. დავუკვირდეთ, როგორი უბრალოებით არის წარმოსახული მთვლემარე მოლოდინისა თუ ღმერთქალთან ურთიერთობის სურათები. ეს უშუალობა და უბრალოებაა სწორედ საპფოს პოეტური უაღრესობის განმსაზღვრელი. და კიდევ ერთი: როდესაც საპფო ელის ღვთაებას, მან იცის, რომ იხილავს კიდეც. იგი გრძნობს ღმერთებს, მათ სინათლეს, კეთილგანწყობას, სიყვარულს. ძველი ბერძენისათვის ხომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან ღრმად სწამდა, რომ სამყაროს მის გარშემო ავსებდნენ ღვთაებრივი ძალები. ოქროსგვირგვინოსანი აფროდიტე თავის მხლებელი პეითოთი (დარწმუნების ქალღმერთი), ეარდისფერმკლავება ქარიტები, თმამშვენიერი მუზები, ნათელი ჰერა, ნერეიდები საპფოსთვის ალეგორიები კი არ არიან, როგორც რომაული თუ ახალი დროის პოეტებისთვის, არამედ რეალურად არსებული, ცოცხალი ღმერთები, რომლებიც არასოდეს ტოვებენ პოეტს. მისი ვედრება, აღვლენილი აფროდიტესადმი, ეს გულწრფელი ლოცვაა, რწმენით აღსავსე. როდესაც საპფო ამბობს: „წუხელის სიზმრად ვესაუბრე კიპროგენეას" (ფრ. 134), ეს იმას ნიშნავს, რომ მას მართლაც ეზმანა აფროდიტე და შესაძლოა, ესაუბრა ისე, როგორც ეს ცნობილ პირველ სიმღერაშია აღბეჭდილი; როდესაც საპფო გვამცნობს, რომ „ახლახანს ოქროსსანდლება ეოსი" (ფრ. 123) იხილა, ღრმად სჯერა, რომ გამთენიისას, ძილ-ბურანში მან მართლაც იგრძნო ცისკრის ღვთაების სიხარული და ოქროვანი ნათელი სხივი... ხოლო ჩვენთვის კი ამ სიმღერებით ცოცხლდებიან ღვთაებები გარდასულ დროთა. სწორედ ეს ინტიმური შეგრძნება ღმერთებთან რეალური სიახლოვისა საპფოს პოეზიის კიდევ ერთი ხიბლია.

საპფოს უთქვამს, რომ მას მუზები ანიჭებდნენ ჭეშმარიტ ბედნიერებას (ელიანოსი, 28, 51), ამიტომაც ეთაყვანებოდა მუზებს, ხოლო იმ ად-

გილს, სადაც თავს იყრიდნენ საიდუმლოს ზიარებული ქალიშვილები, უწოდებდა „მუზის მსახურთა სახლს" („μοισοπολών δόμωι" ფრ. 150). არავის მიუჩნევია საკამათოდ ის, რომ საპფო ამ სახლის წინამძღვარი იყო. მის მიერ აღიარებული კულტი (აფროდიტე) განაპირობებდა საიდუმლოს ზიარებულთა ცხოვრების წესსა თუ შემოქმედების თემატიკას. ეს იყო სიყვარული, მშვენიერება, გაზაფხულის დღესასწაული, ქორწინება და ყოველივე ის, რაც დაკავშირებული იყო აფროდიტეს კულტთან და რაც ხალისით აღავსებდა ადამიანურ ყოფიერებას. ალკეოსისგან განსხვავებით, ლესბოსის პოლიტიკური ცხოვრება მისი თვალსაწიერიდან შორს იდგა.

სავარაუდოა, რომ საპფო, როგორც წინამძღვარი ქალწულთა რელიგიური და შემოქმედებითი სახლისა, ანუ თანამედროვე ტერმინი რომ მოვიშველიოთ, სალონისა, ეწეოდა აღმზრდელობით და აკადემიურ მოღვაწეობასაც. ხოლო ქალწულნი, მას შემდეგ რაც მიიღებდნენ დახვეწილ რელიგიურ თუ მუსიკალურ-პოეტურ განათლებას, შინ ბრუნდებოდნენ, ან თხოვდებოდნენ. ის დრო, რომელსაც ქალიშვილები ერთად ატარებდნენ, ჩანს, უბედნიერესი იყო მათ ცხოვრებაში. ისინი თხზავდნენ ლექსებს, სიმღერებს; სწავლობდნენ ცეკვებს; ეუფლებოდნენ დახვეწილ მანერებს, სილამაზის ხელოვნებას, რამეთუ მონაწილეობდნენ ცნობილ ზეიმებში, რომელთაც „კალისტეები" („სილამაზის აგონები", თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებული პოპულარობა რომ მოიპოვა) ეწოდებოდათ; ემზადებოდნენ რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად და განიცდიდნენ ღვთაებებთან ზიარების სიხარულს; თავისუფალ დროს კი მინდვრად კრეფდნენ ყვავილებს, თმებს იმშვენებდნენ დიადემებით, სხეულს იზელდნენ ნელსაცხებლებით და მოღლილები ისვენებდნენ რბილ ბალიშებზე (ფრ. 94). ბუნებრივია, მათ მოსწონდათ „მუზის მსახურთა სახლში" ყოფნა, ამიტომაც განშორებისას აფრქვევდნენ ცრემლებს და დგამდნენ დრამებს ასეთი დიალოგით:

„— საით მიდიხარ, სიქალწულევ, სიქალწულევ, რად მიმატოვე?
— აღარასოდეს დავბრუნდები, დედოფალო, აღარასოდეს!"

ფრ. 114

ხოლო პოეტი, წინამძღვარი, სიკვდილს ნატრობდა განშორებით გამოწვეულ სიმნუხარეში (ფრ. 94). მას ხომ წრფელი გულით უყვარდა თავისი მოწაფეები, რომელთაც უძღვნიდა არა მხოლოდ სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს, არამედ საკუთარი სულის ნაწილსაც. ეს ასე ხდება დღესაც. ყოველ ჭეშმარიტ მოძღვარს უყვარს თავისი მოწაფე. საპფოს შეეძლო ერთდროულად მოსიყვარულეც ყოფილიყო და მკაცრიც, ზომაზე მეტად გამოეხატა ენებათაღლეცა გარეშემო შემოკრებილთა სულიერი ამაღლებისთვის. ამ მოვლენის საფუძველში იდო მყარი და ნათლად გასაგები, თუმცა დაწერილი კანონებით განუპირობებელი, აღზრდის სისტემა ღვთაებრივი

სიწმინდის და ყოვლისშემძლეობის შეგრძნებისა, მშვენიერებისა და სიკეთის (καλοκἀγαθία) აღქმისა, მართალი ცხოვრებით ცხოვრებისა, ადამიანურ ფასეულობათა (სიბრძნე, ღირსება, სიმედგრე, სიყვარული, შემწყნარებლობა) შეგნებისა. ერთი სიტყვით, საპფოს მოღვაწეობა წმინდა ელინური მოვლენაა, რამეთუ ძველი ბერძენისათვის აღზრდაში მოიაზრებოდა რელიგიაც, ზნეობაც, შემოქმედებაც, სიყვარულიც. წარმოუდგენელი იყო მისთვის შემოქმედება ღმერთებისა და მართალგანგების გარეშე, ისევე როგორც შემოქმედი თავისი ქმნილების სიყვარულის გარეშე.

„სული შემიძრა სიყვარულმა ისე ძლიერად,
როგორც მაღლიდან მოვარდნილი ქარი შესძრავს
მთაზე მდგომ მუხას“.

ფრ. 47

ძნელია იმის გარკვევა, თუ ვისი სიყვარულით აღელვებული წერდა საპფო ამ სიტყვებს. მისი ემოციური არსება მიისწრაფოდა მძაფრი ვნებებისაკენ. იგი გარდაქმნიდა პოეზიად იმას, რასაც მისი აღფრთოვანება შეეძლო. მისთვის, ვინც უყვარდა (ან რაც უყვარდა), იყო ყველაზე მშვენიერი დედამიწაზე (ფრ. 16). საპფოს გენიას შეეძლო გასაოცარი სიმსუბუქით წარმოეჩინა საკუთარი სულის ვნებანი. ჯერ კიდევ უძველეს ხანებში აღაფრთოვანებდა მკითხველს ის პოეტური სრულყოფილება, რომელსაც აღწევდა იგი გრძნობათა წარმოსახვისას. ისევ ძველ ავტორს მივმართოთ. აი, როგორ ახასიათებს საპფოს ძვ.წ. III საუკუნით დათარიღებული ტრაქტატის — „ამაღლებულისათვის“ — ავტორი ფსევდო-ლონგინოსი: „არა ხართ გაოცებულნი, თუ როგორ მიმართავს იგი თითქოსდა შორით მყოფ სულსა და სხეულს, სმენას თუ ენას, თვალებსა თუ ფერს, — ყოველივეს, რაც თითქოსდა განილტვა მისგან. ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობათ რომ აერთებს, ის ერთდროულად თან იწვის, თან იყინება, ან გონი ერთმეევა, თან ცნობას ეგება, ან სიკვდილის შიშით ძრწის, თან სიკვდილს ნატრობს, რათა თავისი განცდა ერთი რომელიმე გრძნობით კი არა, გრძნობათა ჭიდილით წარმოსახოს. განა ასე არ მოსდით მიჯნურთ? მაგრამ ეს არის, როგორც ვთქვით, ყველაზე მძაფრი (განცდანი მძაფრთა შორის) და მათი თავმოყრა ერთ მთლიანში, რაც გამოარჩევს ამ სიმღერას სხვათაგან (ტრაქტატის თარგმანი ეკუთვნის ბაჩანა ბრეგვაძეს):

„ღმერთების ხვედრის მეჩვენება თანაზიარი
კაცი, რომელიც შენს წინარე ზის მდუმარებით
და გისმენს ტკბილად მოსაუბრეს, ნაზად მომღიმარს
სულგანაბული.

მე კი სხვა გრძნობა მეუფლება: ოდეს გიხილავ,
თუნდ წამიერი იყოს შენი გამოცხადება,
მღელვარებისგან ამოვარდნას ისწრაფვის გული
და გაოგნებულს

ძალი არ შემწევს ხმა გავიღო შენდა სათქმელად.
თავბრუ მეხვევა, მწველი ალი სხეულს დამიელის,
თვალთაგან ჩინი მეკარგება, სასმენელთაგან
მერთმევა სმენა,

ოფლად ვიღვრები, თრთოლა მიტანს, გონებას ვკარგავ,
ბალახზე უფრო მწვანე ფერი სახედ მედება,
მცირედი ხანიც და უსულოდ ჩავიკეცები
მგონია, მკვდარი.

მაგრამ ყველაფრის დამთმენია საბრალო სული..."

ფრ. 31

საპფოს აღელვებდა არა მარტო საყვარელი არსება ერთიანად, არამედ მისი გაღიმება, საამური ხმა, კაბის შრიალი... და არც ერიდებოდა ამის გამხელა, რადგან ღრმად სწამდა, რომ სიყვარულის გამოვლინებით მშვენიერებას აზიარებდა საკუთარ თავსაც და მსმენელებსაც.

აზრს იმის თაობაზე, რომ მუსიური სალონის წინამძღვარი აკადემიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ამყარებენ საპფოს ის ფრაგმენტები, რომლებსაც შეგონებითი ხასიათი აქვთ. მათში პოეტი ღირსებისა და სულიერი კეთილშობილების გრძნობაზე ამახვილებს თავისი მსმენელის ყურადღებას. პლუტარქემ შემოგვინახა ერთი ფრაგმენტი ასეთი კონტექსტით: „მრისხანების ცამს არაფერია უფრო ღირსეული, ვიდრე სიმშვიდე. როგორც იტყოდა საპფო: „ოდეს შენს სულში ბორგნეული მძვინვარებს რისხვა, ენა, ამაოდ მოყეფარი, დაიმორჩილე" („მრისხანების დაოკებაზე", 7 ფრ. 158). შეგონებათა ციკლს უნდა მივაკუთვნოთ ის ფრაგმენტიც, სადაც პოეტი მსჯელობს ბედნიერებაზე:

„თუკი სიმდიდრეს ღირსება არ დააგვირგვინებს
ცუდია, ერთად — მწვერვალია ბედნიერების".

ფრ. 148

ალბათ საპფოს ეს გამონათქვამი ჰქონდა მხედველობაში ათენეოსს, როდესაც აღნიშნავდა: „ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ სიმდიდრე ღირსების

გარეშე არის სიამის მომგვრელი? საპფო, რომელიც იყო ქალი ჭეშმარიტად და პოეტი, სამართლიანად გამოპყოფდა კეთილშობილებას სიმდიდრისაგან და ამბობდა (ციტ. ფრ. 58)... რომ მას თავად ჰქონდა ბრწყინვალე და ლამაზი ცხოვრების სურვილი" (P. Ox. XV nr. 1787 fr. 1, 2).

დიდი ხანია, საპფოს შემოქმედების მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ერთმა ფრაგმენტმა:

„მშვენიერს მხოლოდ გარეგნობა აქვს მშვენიერი,
კეთილი უმალ მშვენიერიც მოგეჩვენება".

ფრ. 50

სიტყვის „მშვენიერი" ბერძნული შესატყვისია „καλός". ხოლო „კეთილის" — „ἀγαθός". მოგვიანებით, პლატონთან, ეს ორი ტერმინი შეერთდება და შეიძენს უმაღლესი ადამიანური ფასეულობის გაგებას. ანტიკური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის ა. ლესკის სამართლიანი შენიშვნით, ბერძნულ ფილოსოფიაში მეტად გავრცელებული „კალოკაგათიას"-ს პრობლემა სწორედ საპფოს პოეზიიდან აიღებს დასაბამს (A. Lesky, Geschichte der griechischen Literatur, München, 1971³, 176).

„მუზის მსახურთა სახლი", რომელსაც მეთაურობდა საპფო, არ ყოფილა ერთადერთი კუნძულ ლესბოსზე. მიტილენეში მის გარდა არსებულა სხვა მსგავსი „სახლებიც", რომლებსაც ქალები მეთაურობდნენ, მათ სახელებს თავად საპფოც მოიხსენიებს (ფრ. 57; 131; 90; 68 და სხვა.). ჩანს, მათ შორის გარკვეული ურთიერთდაპირისპირებაც იყო. ამაზე მიგვანიშნებენ ის ფრაგმენტები, სადაც საპფო გამოთქვამს თავის გულისტკივილსაც იმის გამო, რომ მისი წრის წევრი ქალწული სხვისკენ (ანდრომედასკენ, გორგოსკენ) ისწრაფვის და სიხარულსაც იმის გამო, რომ ვილაცა მას უბრუნდება:

„შენ დამიბრუნდი, რა კარგია, ო, როგორ მსურდი,
ნათელმოსილი სიყვარულით ამივსე სული,
იბედნიერე, ვიდრე დროა ბედნიერების..."

ფრ. 48

ცნობილ ბერძენ მწერალ ფილოსტრატოსსთან ვხვდებით ასეთ ცნობას: „გაინტერესებს, თუ რა ერქვა პამფილიელ ქალს, რომელიც იცნობდა საპფოს და თხზავდა ჰიმნებს არტემის პერგაელის განსადიდებლად, უსადაგებდა რა ერთურთს ეოლიურ და პამფილიურ მანერას? ...ეს ბრძენი ქალი თავის თავს უწოდებდა დამოფილეს და თხზავდა საპფოს მანერით. შემოიკრიბა გარეშემო ქალწულთა წრე და ქმნიდა ეროტიკულ სიმღერებს, აგრეთვე ჰიმნებს, რომელთაც არტემისს უძღვნიდა. საერთოდ კი ბაძავდა

საპფოს" (ფილოსტრატოსი, „აპოლონიოსის ცხოვრება", I, 30). ამ გადმოცემის მიხედვით, პამფილიელი დამოფილეს სალონის წევრებს, ქალწულებს, არტემისის კულტი აერთიანებდა. ისინიც ქმნიდნენ ეროტიკულ სიმღერებსა (თუმც ეროტიკა ერთობ შორს უნდა ყოფილიყო არტემისისგან) და ჰიმნებს. ფილოსტრატოსი დამოფილეს ბრძენ ქალს უწოდებს ისევე, როგორც პლატონი — საპფოს (ელიანოსი, „ჭრელ-ჭრელი ამბები", 12, 19). ჩანს, დამოფილეც არტემისის კულტს ზიარებულ ქალთა სტუდიის განსწავლული და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული წინამძღვარი უნდა ყოფილიყო.

ასე, რომ უძველესმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები საპფოსდროინდელ ლესბოსზე სულ ცოტა ქალთა ოთხი სალონის არსებობის თაობაზე. ეს უმნიშვნელო ციფრი როდია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არსებული კონკურენცია, ბერძენთა აგონისტური სულის ერთ-ერთი გამოვლინება, ხელს უწყობდა ლესბოსზე მუსიკალურ-პოეტური ტრადიციების განვითარებას. ამ აზრს ამყარებს უცნობი ავტორის ფრიად საგულისხმო ნაუბარი: „ვფიქრობ, აღამაღლეს „მეგობარმა ქალებმა" (ἑταίραι) მუსიკალური ხელოვნება, რომელიც სასარგებლო და აუცილებელი იყო ქალწულებისთვის" (P. Ox. XXIX nr. 2506 fr. 48). ამ ერთი ფრაზიდან ორი უმნიშვნელოვანესი აზრის გამოტანა შეიძლება: ერთის მხრივ იმის, რომ ახალგაზრდა ქალიშვილებისათვის აუცილებელი და სასარგებლო იყო მუსიკალური (და შესაბამისად, პოეტური) განათლება, მეორეს მხრივ კი — ეს მოვლენა ხელს უწყობდა, საერთოდ მუსიკალური ხელოვნების განვითარებას. ლესბოსელ ქალთა საიდუმლო სტუდიების წევრები, ისევე როგორც მათი მეთაურები, რა თქმა უნდა წერდნენ სიმღერებს, მაგრამ მათგან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. როგორც ჩანს, ყველა დაჩრდილა საპფომ. მისი სიმაღლე მიუწვდომელი აღმოჩნდა შემდგომდროინდელი პოეტესებისთვისაც.

ანტიკური ესთეტიკის მესვეურებს არ დარჩენიათ ისინი ყურადღების გარეშე. მათ შეუდგენიათ ნუსხა, სადაც ცხრა საუკეთესო პოეტი ქალის სახელი ყოფილა წარმოდგენილი. ამ ნუსხის მიხედვით კი პოეტ ანტიპატროს თესალონიკელს (ძვ.წ. I — ახ.წ. I სს.) შეუთხზავს ეპიგრამა მათი მოკლე დახასიათებით (AG IX, 26). ჩვენამდე შემორჩა ამ ეპიგრამაში წარმოდგენილი თითქმის ყველა პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშები. უფრო მნიშვნელოვანია, ე.წ. ბერძენ პოეტთა კანონი, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნეშია შექმნილი და სადაც ძველი საბერძნეთის ცხრა საუკეთესო ლირიკოსია დასახელებული. მასში პოეტ ქალთაგან მოხსენიებულია ერთადერთი საპფო, რომელსაც პინდაროსისა და ბაკქილიდესის შემდეგ მელოსური ლირიკის უმნიშვნელოვანეს შემოქმედად თვლიდნენ. დრო, როგორც ყოველთვის, ადასტურებს ანტიკური კრიტიკის ჭეშმარიტებას.

პლატონის „ნადიმის" ერთ-ერთი მონაწილე ამბობს: „არცერთ მოვლენაზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი მშვენიერია ან უმსგავსო. ასე მაგალითად, ჩვენ აქ ვსვამთ, ვმღერით და ვბაასობთ. ამაში თავისთავად არაფერია

მშვენიერი და ის გახდება მშვენიერი იმის მიხედვით, თუ როგორ აღვასრულებთ ამას — თუ მართებულად და მშვენივრად, მაშინ ნადიმიც მშვენიერი იქნება, ხოლო თუკი უმართებულოდ, მაშინ — უმსგავსო. იგივე ითქმის სიყვარულისა და ეროსის შესახებაც: ყოველი ეროსი კი არ არის მშვენიერი და დიდების ღირსი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ჩვენში მშვენიერ სიყვარულს აღძრავს". იგივე ითქმის პოეზიაზეც. მისი ყოველი ნიმუში კი არ არის დიდების ღირსი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ჩვენში მშვენიერების გრძნობას აღვიძებს. ასეთი იყო საპფოს ლირიკა. იგი სიყვარულზე წერდა და სიყვარულის მშვენიერებას განაცდევინებდა მსმენელს. სოკრატეს მსჯელობის თანახმად, ზეციური აფროდიტეს ეროსი არის „მშვენიერების სიყვარული". იგი, ეუფლება რა ადამიანის სულს, აღამაღლებს და განანათლებს. ზეციური აფროდიტე იყო სწორედ საპფოს შთამაგონებელი. ამიტომ იგი ცხოვრობდა თავის სამყაროში — სიყვარულით სილამაზეში.

საპფოს არა მხოლოდ თავისი ჰეტაირები („მეგობარი ქალწულები") უყვარდა, არამედ თავისი ახლობლებიც.

გადმოცემათა თანახმად, მას ჰყავდა ქალიშვილი, სახელად კლეისი (საგულისხმოა, რომ მის დედასაც კლეისი ერქვა). პოეტს მრავალი ლექსი ექნებოდა მისდამი მიძღვნილი. ჩვენამდე მოაღწია რამდენიმემ, მათ შორის ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

„რა ლამაზია საყვარელი ჩემი გოგონა,
ჩემი კლეისი, ოქროვანი ყვავილის დარი,
მის ნათელ სახეს შემოვავლებ ლიდიასაც და
ლესბოსსაც მისდა სანაცვლოდ გავხდი".

ფრ. 132

საპფო

რაოდენი სიყვარულია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში. ქალწულებისადმი მიძღვნილი ვერცერთი ლექსი ვერ შეედრება მას სიღრმითა და გულწრფელობით. ეს ყველა ეპოქისა და დროის დედის ნათქვამს ჰგავს.

ცნობილია, რომ საპფოს ჰყავდა სამი ძმა: ერიგიოსი, ლარიქოსი და ქარაქსოსი (P. Ox. XV (1922) nr. 1800 fr. 1). უმცროსს, ლარიქოსს, ნარჩინებულთა გვარისათვის შესაფერისი თანამდებობაც ეკავა. ერიგიოსი მონაწილეობდა რომელიღაც ბრძოლაში. შედარებით მეტი რამ ვიცით უფროსი ძმის — ქარაქსოსის შესახებ: იგი მიტილენედან სამოგზაუროდ წასულა ეგვიპტეში. იქ შეიყვარა ჰეტერა დორიქა, რომელიც დიდი თანხით გამოისყიდა. ამან კი საპფოს გულისწყრომა გამოიწვია, რაც აღიბეჭდა კიდეც მის სიმღერებში (ფრ. 5; 3; 20; 7). მათგან შედარებით ერცლად მოღწეულ ფრაგმენტში ეკითხულობთ ძმისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით გამთბარ სტრიქონებს. პოეტი ევედრება აფროდიტესა და ნერეიდებს, შეაძლებინონ ბედნიერად შინ დაბრუნება მის ძმას, შეუნდონ შეცოდებები

და საწადელი აღუსრულონ, რათა „ოდინდელი სიყვარულით აღსავსე სულით დაბრუნდეს დასთან" (ფრ. 5).

რაც შეეხება საპფოს სხვა მამაკაცებთან ურთიერთობას, რამდენიმე ფრაგმენტში ჩანს ამის კვალიც. ერთ-ერთ მათგანში პოეტი მისთვის ჩვეული ოსტატობითა და პოეტურობით სამყაროში სიმარტოვის მარადიული განცდის წინაშე გვტოვებს:

„ჩაესვენა მთვარეც, ვარსკვლავებიც,
დადგა შუაღამე,
დრო კი მიდის, მიდის...
ისევ მარტო ვწევარ".

ფრ. 94 D

სხვა სიმღერაში საპფო თავიდან იცილებს ვიღაც მამაკაცს და სთხოვს, უფრო ახალგაზრდა ქალი მოიყვანოს ცოლად (ფრ. 121). საინტერესოა ერთი ფრაგმენტიც, სადაც პოეტესა მეგობარი კაცისადმი უჩვეულო სითბოს გამოხატავს:

„...მეგობარო, წინ დამიდექი
და დამანახე მშვენიერი ნათელი თვალთა."

ფრ. 138

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საპფოსა და ალკეოსის ურთიერთობა. როგორც აღენიშნეთ, ისინი ერთ დროს, ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ და თავ-თავის საქმეს აღასრულებდნენ. ისიც ვთქვით, რომ გადმოცემათა თანახმად, ალკეოსს უყვარდა საპფო. ჩანს, ამის საფუძველს ალკეოსის ადრე მოხსენიებულ ფრაგმენტთან ერთად იძლეოდა არისტოტელესთან დადასტურებული ამონარიდი — დიალოგი ორ დიდ პოეტს შორის:

„ალკეოსი: მსურდა, რომ მეთქვა შენთვის რაღაც,
მაგრამ ვერ ვბედავ...
საპფო: ღირსებითა და სათნოებით სავსე სურვილი
რომ გქონდეს, განა წარმოთქვამდი საძრახის სიტყვებს?
მაშინ თვალებსაც არ დახრიდი დამორცხვებული
და გამანდობდი ნრფელი გულით ნათქვამ სიმართლეს".

ფრ. 137

დიდი ფილოსოფოსი ამ ამონარიდს იმოწმებს, როდესაც საუბრობს სათნოებისა და მშვენიერების, საძრახისი საქციელისა და ამით გამოწვეული სიმორცხვის თაობაზე. იგი აღნიშნავს, რომ საპფო უღირს და, შესაბამისად, სამარცხვინო საქციელზე მიუთითებს ალკეოსს. ჩვენამდე მოაღწია ძვ.წ. VI საუკუნის ლარნაკმა (იგი მიუნხენის მუზეუმში ინახება) ამ ორი პოეტის გამოსახულებით, სადაც ალკეოსი თავდახრილი დგას საპფოს წინაშე. გამოუცნობი რჩება, მაინც რას საყვედურობს საპფო ალკეოსს. თუმცა ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს. ყოველი შემთხვევისთვის, ერთი რამ ნათელია: საპფო ღირსებასა და სათნოებაზე ესაუბრება თავისი დროის ერთ-ერთ სახელოვან პოეტს და ალბათ უფლებამოსილიც არის. იგი ხომ სულიერ მშვენიერებას უქადაგებდა თავის მსმენელებს. მამაკაცებისადმი მიმართულ საპფოსეულ სტრიქონებზე კი მხოლოდ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მათი გათვალისწინებით გვინდა კიდევ ერთი შტრიხი შევმატოთ პოეტის პორტრეტს: რამდენადაც გახსნილია და მხურვალე საპფო თავისი სალონის ქალწულებისადმი ემოციათა გამოვლენისას, იმდენად თავშეკავებულია და ღირსების გრძნობით აღვსილი კაცებისადმი მიმართებით. ცნობილია, რომ მას ჰყავდა მეუღლე, ლესბოსელი არისტოკრატი, სახელად კერკილასი, რომელიც მიტილენეს პოლიტიკურ მღელვარებათა ჟამს გადაასახლეს. მას გაჰყვა საპფოც. ხოლო როდესაც ტირანმა პიტაკოსმა ამნისტია გამოაცხადა, პოეტესა ქმართან ერთად დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და სიბერემდე იცოცხლა (შდრ. ფრ. 58). „და წერდა იგი ლამაზ სიმღერებს სიყვარულზე, გაზაფხულზე და ზღვის ჩიტებზე; და იყო იგი ტკბილმოუბარი და საამო, რადგან ირჩევდა ლამაზ სიტყვებს, ზოგს კი თავადაც იგონებდა (დემეტრიოსი, „აზრის გამოთქმისათვის", 166)."

თეთრპეპლოსიან ტანაგრელთა მგოსანი

კორინნა

„მითები ხელით უნდა აბნიო და არა ბარდანათი" — ასე დაუმოძღვრავს კორინნას მისივე თანამედროვე პოეტი პინდაროსი, რომლის დიდებულებას თავადაც გრძნობდა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ფრაგმენტი მისივე სიმღერიდან: „გაიცხვის ღირსია ტკბილხმიერი მირტისი, რადგანაც ქალმა პინდაროსსთან შებმა გაბედა" (ფრ. 15 D). სვიდას გადმოცემის თანახმად კი მირტისი იყო მასწავლებელი პინდაროსისაც და კორინასიც (იხ. სვიდა, „კორინა"). ამგვარად კორინა, მართალია, აღიარებს, რომ მირტისი „ტკბილხმიერია", მაგრამ მაინც ვერ უნონებს სითამამეს, მაშინ როდესაც თავად ბევრჯერ გაბედავს პინდაროსსთან შებმას, ხოლო ხუთგზის გამარჯვებასაც მოიპოვებს. ამას გვამცნობს პლუტარქე და თანაც დასძენს: „ამ ტანაგრელ პოეტესას როდესაც მოუსმენია პინდაროსის პირველი სიმღერები, შეუნიშნავს, რომ იგი ძალზე იშვიათად მიმართავდა მითებს. პოეტს შეუსმენია კორინას რჩევა, თუმცა ბოლოს უკიდურესობამდე მისულა. სწორედ ამის გამო დაუმსახურებია თითქმის აფორიზმად ქცეული ეს შეგონება: მითები ხელით უნდა აბნიო და არა ბარდანათიო" („ათენის დიდება", 4, 347).

ანტიკური ხანის ლირიკოსთაგან პინდაროსის შემოქმედებამ ყველაზე მრავლად მოაღწია ჩვენამდე. ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით საშუალება გვეძლევა ღრმად ჩავწვდეთ მისი ოდების დიდებულებასა და ვირწმუნოთ ძველი სამყაროს მესვეურთა აზრი მათი შემოქმედის უალრესობაზე.[1] სწორედ ასეთ პოეტთან შეჯიბრში მოუპოვებია გამარჯვება, თანაც არაერთგზის, პოეტესა კორინას, რაც მისთვის დიდი პატივი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, კორინას შემოქმედებიდან ჩვენამდე ერთობ მცირე რაოდენობის ფრაგმენტებია შემორჩენილი. მხოლოდ მათი გათვალისწინებით ძნელია ვირწმუნოთ ამ გადმოცემის ჭეშმარიტება, თუმცა, როგორც ჩანს, ამ საკითხზე ანტიკური ხანის ავტორებიც მსჯელობდნენ და ცდილობდნენ პინდაროსის აგონებში დამარცხების მიზეზის ახსნას. აი,

რას მოგვითხრობს პავსანიასი: „ტანაგრის ერთადერთი პოეტი ქალის, კორინას, საფლავის ქვა დგას ქალაქის თვალხმიერ ადგილას. ხოლო გიმნასიონში არის სურათი: კორინა თავს იდგამს საზეიმო გვირგვინს იმის ნიშნად, რომ გაიმარჯვა პინდაროსსთან შეჯიბრისას თებეში. ჩემი აზრით, მან გაიმარჯვა ალბათ თავისი დიალექტის გამო, რამდენადაც წერდა არა დორიულ დიალექტზე, პინდაროსის მსგავსად, არამედ იმ დიალექტზე, რომელიც ესმოდათ ეოლიელებს. ამას გარდა, თუ შეიძლება ენდო მხატვრის ქმნილებას, იგი ყოფილა თავისი დროის ულამაზესი ქალი" (IX, 22, 3). როგორც ამ ამონარიდიდან ირკვევა, პავსანიასს ან თავად უხილავს, ან მოეპოვებოდა სარწმუნო ცნობები იმაზე, რომ ტანაგრაში ჯერ კიდევ იყო კორინას საფლავის ქვა და რომ გიმნასიონში ეკიდა მისი სურათი — პინდაროსსთან გამარჯვების აღსანიშნავად.

ანტიკური ხანის ცნობათა გათვალისწინებით დაიწერა სვიდასეული „კორინას ბიოგრაფია", სადაც ვკითხულობთ, რომ კორინა იყო აქელოოდოროსისა და ჰიპოკრატეას ასული, თებელი ან ტანაგრელი პოეტესა, მირტისის მოწაფე, ლირიკოსი; რომ მან ხუთგზის გაიმარჯვა პინდაროსსთან შეჯიბრში; რომ დაწერა ხუთი წიგნი ლირიკული სიმღერებისა, ეპიგრამები და ნომოსები. ამ გადმოცემებზე დაყრდნობით ზოგი მკვლევარი იმასაც კი ვარაუდობს, რომ შესაძლოა არსებობდა რაღაც ნაწარმოებიც კი პინდაროსისა და კორინას პოეტურ შეჯიბრზე, ისეთი, როგორიც იყო „ჰომეროსისა და ჰესიოდეს აგონი".

ელინისტურ ეპოქაში შეიქმნა „ლირიკოს პოეტთა კანონი", სადაც წარმოდგენილია საბერძნეთის ცხრა საუკეთესო პოეტის ნუსხა. მართალია, თავდაპირველად იქ არ იყო კორინა დასახელებული, მაგრამ მოგვიანებით მისი სახელი მაინც შეიტანეს ამ ნუსხაში.

კორინა არ მოიხსენიება უძველეს ანტიკურ წყაროებში. მისი სახელი გამოჩნდა მხოლოდ ელინისტურ ეპოქაში, როდესაც გაიზარდა ინტერესი უცნობი პოეტებისადმი.

ამ და, შესაძლოა, სხვა მიზეზთა გამო კორინას პიროვნებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებით მრავალმა სადავო საკითხმა იჩინა თავი. აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანის განსაზღვრაც კი. დღეს უკვე დადგენილად ითვლება, რომ კორინა იყო პინდაროსის თანამედროვე, ე.ი. მოღვაწეობდა ძვ.წ. V საუკუნეში.[2]

ჩვენამდე კორინას შემოქმედებიდან 36 ფრაგმენტია მოღწეული, თუმცა მათ შორის მხოლოდ სამიოდეა ისეთი მნიშვნელოვანი, წარმოდგენა რომ შეგვიქმნას მის პოეზიაზე. ამას ემატება ირიბ წყაროებში დადასტურებული ფრაგმენტები (დაახლოებით ორი ათეული სტრიქონი), რომლებიც ახდენენ კორინას ციტაციას ძირითადად ბეოტიური დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმების სანიმუშოდ. ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ კორინა ხშირად მიმართავდა მითოსს. თუ ვენდობით პლუტარქეს გადმოცემას პინდაროსისა და კორინას აგონის თაობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი ქალი, მითების დამუშავების თვალსაზრისით, ზომიერებით გამოირჩეოდა. მის შემოქმედებაში შე-

ინიშნება ერთი საკმაოდ საინტერესო ტენდენცია: პოეტი გაურბის უკვე დამუშავებული მითების პოეტურ რეალიზაციას და ცდილობს ბეოტიის ლოკალური თქმულებებიდან შეარჩიოს ისეთი, რომელსაც გვერდი აუარეს ელადის დიდმა პოეტებმა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ სიმღერაში აღბეჭდილია მთების, ჰელიკონისა და კითერონის, პოეტური აგონის ამბავი. ოლიმპოსზე გამართულ მუსიკალურ-პოეტურ შეჯიბრზე ჰელიკონი მღეროდა იმაზე, თუ როგორ ზრდიდნენ კურეტები რეას მიერ მოტაცებულ ახალშობილ ზევსს კრონოსისაგან ნამალევად (ფრ. 1 P). სხვა ფრაგმენტში (ფრ. 2 P) ვკითხულობთ ასოპოსის ქალწულების შესახებ, რომლებიც ზევსს, პოსეიდონსა და ჰერმესს ჰყავდათ ცოლებად. „ისინი კიპრისისა და ეროსის ბრძანებას აღასრულებდნენ. მათ მოუვლინეს ქვეყანას ნახევრადღმერთი გმირების მინყივმობადი, უხრწნელი, სახელოვანი თაობა". პოეტი ასახელებს აკრაიფენს, ეკონიმოსს, ჰიერეკსს და ორიონს. საკმარისია გადავავლოთ თვალი ამ გმირების ხსენებას ანტიკურ წყაროებში, რომ ადვილად შევნიშნავთ ერთ კანონზომიერებას: ეს წყაროები მათ ან საერთოდ არ იცნობენ, ან მათთვის უცხოა ის ეპიზოდი, რომელსაც წარმოგვიდგენს კორინა. თუმცა მის პოეზიაში შეინიშნება ელადაში ცნობილ მითოსურ ციკლთა კვალიც. კერძოდ, მას ჰქონია ნანარმოები, რომელიც თებეში შვიდთა ლაშქრობას ეძღვნებოდა, აგრეთვე სიმღერა ოიდიპოსის მიერ ტევმესიური მელიის მოკვლაზე. ჰერაკლეს თემა მის ერთ-ერთ ლექსში წარმოდგენილი იყო გმირის ერთგული მეგობრის, იოლაოსის სახით. კორინას ქმნილებათა შორის ასახელებენ ნაწარმოებს სახელწოდებით „ორესტას"(?), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომლის სიუჟეტიც ტროას ციკლიდან უნდა ვივარაუდოთ. გადმოცემათა თანახმად, კორინას ჰქონია ლექსები ათენას ფარზე (AG 9. 26); აპოლონსა და ათენაზე (პლუტარქე, „მუსიკის შესახებ", 14) და სხვა ღმერთებზე. ასახელებენ აგრეთვე ნაწარმოებს სახელწოდებით „γεροίᾳ", რომლის შინაარსი არ არის ცნობილი.

კორინას პოეზიით დაინტერესებულ მკითხველს ალბათ დაებადება კითხვა: რით იყო გამორჩეული ტანაგრელი პოეტესა და როგორ შეძლო მან ანტიკური საზოგადოების ყურადღების მიპყრობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ კორინას შემოქმედების თემატიკა, აგრეთვე ის, თუ ვინ იყო მისი მსმენელი, ანუ ვისთვის წერდა იგი. მიუხედავად ფრაგმენტთა სიმცირისა, ამაზე პასუხს თავად კორინას შემოქმედებაში ვპოულობთ. ერთ-ერთ ფრაგმენტში ვკითხულობთ: „მე თქვენთვის ვმღერი გმირი ქალებისა და გმირი კაცების სიქველეზე" (ფრ. 664 (b) P). ხოლო სხვაგან კი ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „კელავ მიხმობს ტერფსიქორე, რათა ტანაგრელ თეთრპეპლოსიან ქალებს ვუმღერო ამაღლებული სიმღერები გმირებზე და გულით ხარობს ქალაქი ჩემი ტკბილი სიმღერით" (ფრ. 655 P). კორინა საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს, რომ იგი ძირითადად წერს გმირ ქალთა და კაცთა სიქველეზე, ხოლო მისი მსმენელები არიან ტანაგრას თეთრპეპლოსიანი ასულები. პოეტესას გაცნობიერებული ჰქონდა ისიც, რომ მისი სიმღერები მთელი ქალაქის (ამ შემთხვევაში ტანაგრას) მოწონებას იმსახურებდა.

ᲙᲝᲠᲘᲜᲐ

კორინას სიმღერების კითხვისას შეიგრძნობა ავტორისეული პოეტური ენის ორდინალურობა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს არახატოვანი ნარატიულობა. რას ვგულისხმობთ ამ გამოთქმაში: კორინას ჩვენამდე მოღწეულ პოეზიაში არსებითად არ გვხვდება არცერთი ის პოეტური ხერხი, რომლითაც ესოდენ მდიდარია ჰომეროსის ეპოსი თუ შემდგომდროინდელი ლირიკა. მხედველობაში გვაქვს აზროვნების სტილი, პოეტური ფორმულები, შედარებები, ეპითეტები, მეტაფორული გამონათქვამები და სხვა, რაც პოეტურ ქმნილებას ხატოვანებას ანიჭებს. თუკი გავიხსენებთ იმ პოეტურობასა და სიტყვაკაზმულობას, რაც საპფოს პოეზიისთვის იყო ნიშანდობლივი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კორინა თავისი სტილით მკვეთრად ემიჯნებოდა მის წინამორბედ პოეტესას. განსხვავდებოდა იგი მისი თანამედროვე და თანამემამულე პინდაროსისგანაც. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რით აიხსნება კორინას სტილის ესოდენ მკაფიოდ გამოკვეთილი ნარატიულობა, რაც მას განასხვავებს მელიკოს პოეტთათვის დამახასიათებელი სიტყვაკაზმულობისაგან? ალბათ, ეს იყო გაცნობიერებული შემოქმედებითი თვითმყოფადობა, რაც გამოიხატებოდა არა ორნამენტულობით, არა ხატოვანებით, არამედ ინფორმაციის რაც შეიძლება უბრალოდ და სადად გადმოცემით. ბუნებრივია, ამგვარი პოეზია ძვ.წ. V საუკუნის საბერძნეთში არ მოეწონებოდათ. ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული კი, მაშინ, როდესაც ლიტერატურაში მკაფიოდ გამოიკვეთა ორი მიმართულება, ერთის მხრივ, ხაზგასმული ორნამენტულობა და ხელოვნურობა, მეორეს მხრივ, ე.წ. მეცნიერული სიმძიმე, როგორც ჩანს, კორინას სტილის უბრალოებამ და ბუნებრიობამ აშკარად მიიზიდა მკითხველი.

ტანაგრელი პოეტესა პოპულარული ყოფილა გვიან ელინისტურ სამყაროსა და ძველ რომშიც, რაზედაც მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდმა რომაელმა პოეტმა ოვიდიუსმა თავის წარმოსახვით (თუ რეალურად არსებულ) სატრფოს მისი სახელი უწოდა. სხვა, ასევე დიდი რომაელი პოეტი, პროპერციუსი თავისი საყვარელი ქალის პოეტური აღმატებულების აღსანიშნავად მის კორინასთან გატოლებას ლამობს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოეტ ქალთაგან საპფოს შემდეგ მხოლოდ კორინას ხვდა პატივი „ლირიკოსთა კანონში" მამაკაც პოეტთა გვერდით მოხვედრილიყო, თუნდაც გვიანდელი ხანის ნუსხებში.

შენიშვნები:

ფსეედო-ლონგინოსი ტრაქტატში „ამაღლებულისათვის" როდესაც ცდილობს, შეაფასოს პინდაროსისა და ბაკქილიდესის შემოქმედებითი ძალები, ამ უკანასკნელს „ზომიერ ტალანტს" უწოდებს, ხოლო პინდაროსს „მოუწესრიგებელ გენიოსს". უფრო დაწვრილებით პინდაროსის შემოქმედებაზე იხ.: ნ. ტონია, „მოუწესრიგებელი გენიოსი", წიგნში: პინდაროსი, ოდები, ფრაგმენტები, თბილისი, 2003.

[2] დაწვრილებით კორინას შემოქმედებაზე იხ.: A. Lesky, Geschichte der Griechische Literatur, München, 1971[8], გვ. 167 და შმდ. აგრეთვე: ნ. ტონია, საპფოს ფენომენი და ანტიკური ხანის ქალთა პოეზია, (დის.), თბილისი, 1993, გვ. 104-119.



„ჰადესის ტყვე“

ერინა

გადმოცემათა თანახმად, ერინა 19 წლის ასაკში გარდაიცვალა და მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა და კიდევ უფრო ხანმოკლე მოღვაწეობისა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ძველი ბერძნული ლირიკის ისტორიაში. ელინისტური ხანის დიდ ეპიგრამატისტს ასკლეპიადეს სამოსელს წაუკითხავს რა ერინას რომელიღაცა ქმნილება, აღფრთოვანებულს დაუნერია: „დიდებულია მომხიბლავი ერინას ეს სიმღერა, სხვებს ბევრად აღმატებული. ცხრამეტი წლისა რომ არ გარდაცვლილიყო, ვერავინ შეძლებდა პოეზიაში მასთან გატოლებას“ (AG VII, II).

ეს ეპიგრამა ჩვენთვის მრავალი თვალსაზრისით არის საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა, ასკლეპიადესი გვეხმარება დავათარიღოთ ერინას ცხოვრების ხანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ასკლეპიადესზე უფროსი, ან სულაც მისი თანამედროვე იყო. შესაბამისად, ერინას მოღვაწეობის ხანად ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ საკმაოდ ცნობილმა პოეტმა ერინა ჩათვალა იმის ღირსად, რომ ეძღვნა ესოდენ საქები სიტყვები. ასკლეპიადესის აზრით, ის, რაც ერინამ მოასწრო 19 წლის ასაკში უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია; მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ის, რაც მას შეეძლო შეექმნა. როგორც ჩანს, ასკლეპიადესის ხელთ არსებული ნიმუშები იძლეოდა იმის აღნიშვნის საშუალებას, რომ ერინას ჰქონდა მონაცემები ყოფილიყო პოეტთა შორის აღმატებული. ამავე ეპიგრამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 19 წლის ქალწულმა ძალზე ცოტას დაწერა მოასწრო, მაგრამ ამითაც მიიპყრო მის თანამედროვეთა ყურადღება.

ასკლეპიადესიდან მოყოლებული ერინა ბერძნული ეპიგრამის ერთ-ერთ უპოპულარულეს ფიგურად იქცა. ეპიგრამები ერთსულოვანია იმაში, რომ ერინა გამორჩეული ნიჭის პოეტია. ახ.წ. V-VI საუკუნის ცნობილი პოეტი, ნონოსის მონაფე ქრისტოდორე თავის ცნობილ ვრცელ ლექსში, რომელიც ძველსიპოსის გიმნასიონში მდგარ ქანდაკებებს აღწერს, გვამცნობს, რომ მათ შორის იდგა ერინას ქანდაკებაც (AG II, 108). სხვა ეპიგრამატისტები ცდილობენ რაც შეიძლება რომანტიკულ და მიმზიდველ ფერებში წარმოადგინონ 19 წლის ასულის ჰადესში ჩასვლის ამბავი და მიზეზი. ერთ ეპიგრამაში მისი სიმღერები თავისი სინორჩით გაზაფხულთან არის შედარებული (AG VII, 12). სხვა ეპიგრამაში ნათქვამია, რომ თავად ჰადესიც კი შურით აღვსებულა მის მიმართ და ამიტომ წაუყვანია ასე ადრე პოეტი ქალი თავის სამფლობელოში (AG VII, 13). ერთ-ერთი ეპიგრამის ავტორი კი, როდესაც მისი შემოქმედების სიმცირესა და ხანმოკლეობაზე მიგვითითებს აღნიშნავს, რომ მას არასოდეს დაივიწყებენ, თანაც იქვე დასძენს: „საუკეთესოა გედის სიმღერა, თუნდაც იგი ესოდენ ხანმოკლედ ყღერდეს" (AG VII, 713). მელეაგროსის ცნობილ ეპიგრამაში, რომლის სახელნოდებაცაა „გვირგვინი", სხვა სახელმოხვეჭილ პოეტთა შორის ერინას თავის ღირსეული ადგილი აქვს მიჩენილი (AG I, 12).

იმდენად უჩვეულო მოვლენაა ერინა ანტიკური პოეზიისათვის (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მის ასაკში ესოდენი პოპულარობა), რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მთელი ეს მწირი ბიოგრაფია მხოლოდ ფიქციაა. ცნობილი მკვლევარი მ. ლ. ვესტი მიიჩნევს, რომ ის ქმნილებები, რომლებიც ერინას მიეწერება, სინამდვილეში დაწერილი უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე კაცი — პოეტის მიერ.[1] სხვანი კი აქ იმ გამოცდილი პოეტესას აღმოჩენას ცდილობენ, რომელიც ოსტატურად იმარჯვებს ქალწულის ნიღაბს და საკუთარ თავს წარმოგვიდგენს წარმოსახვით შექმნილი სამყაროს პერსონაჟად, სამყაროსი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს რეალურ ცხოვრებასთან.[2] ანტიკურობის ქალთა სამყაროს ცნობილი მკვლევარი ს. ბ. პომეროი კი მრავალმნიშვნელოვან შეკითხვებს სვამს: „ვინ იყო ერინა? იყო იგი ჩვეულებრივი ქალი, მუზათა ძღვენს ზიარებული? თუ იყო ექსცენტრიული არისტოკრატი, როგორც ჰიპარქია, რომელიც ისე ცხოვრობდა, როგორც მოსწონდა და ქორწინებაზე ფიქრის ნაცვლად ლექსებს წერდა? ან იქნებ ერინა იყო ვით საპფო, კულტს ზიარებულ ქალთა მთელი ჯგუფის წინამძღვარი?"[3]

ყველა ეს შეკითხვა და ჰიპოთეზა არსებითად ეფუძნება არა რაიმე რეალურად არსებულ ცნობას, არამედ მხოლოდ გაოცებას ესოდენ ახალგაზრდა პოეტესას ესოდენი პოპულარობით ანტიკურ სამყაროში. სწორედ ამი-

ტომ, თანამედროვე კლასიკური ფილოლოგია სავსებით იზიარებს ბერძნული ეპიგრამების ინფორმაციას იმაზე, რომ ერინა ჭეშმარიტად ქალწული პოეტესაა, რომელიც მართლაც ადრეულ ასაკში უნდა გარდაცვალილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ამის ერთხმად აღიარება ანტიკურ ავტორთა მიერ.

და ბოლოს, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ერინას სახელი შეტანილია საბერძნეთის ცხრა საუკეთესო ლირიკოსი ქალის ნუსხაში. ანტიპატროს თესალონიკელი, რომელსაც ამ ნუსხის მიხედვით ეპიგრამა დაუწერია, მას საპფოს გვერდით მოიხსენიებს (AG IX, 26).

ბუნებრივია, ჩვენ მისი მცირე მოცულობის შემოქმედებიდან კიდევ უფრო ნაკლები ფრაგმენტები შემოგვრჩა. და მაინც, თითქოსდა უმნიშვნელო მონაცემებზე დაყრდნობით ანტიკური ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტები ერინას უძღვნიან ისეთივე პათოსით აღსავსე სიტყვებს, როგორც ეს თავის დროზე ელინისტმა ეპიგრამატისტებმა გააკეთეს. მოვიტანთ ორ მაგალითს: ა. ლესკი თავის ცნობილ „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში" აღნიშნავს: „ამ ათასწლეულების პოეზიის (იგულისხმება ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარი, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე) მდგომარეობა არ იყო რამდენადმე სანუგეშო. არსად ისმის ჟღერა ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზიისა, რომელიც გარდასული დროიდან ჩვენს გულს მოსწვდებოდა... გვექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ მასალის მოუღწევლობის გამო არ არის. მით უფრო სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ტელოსელი ერინას პოეზიაში ისმის სუფთა ხმა ახალგაზრდა ადამიანისა, ხმა სევდიანი სიტკბოებისა".[4] სხვა ცნობილი ფილოლოგი ა. დილე თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში" საგანგებოდ წერს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ძვ.წ. IV საუკუნის პოეტებს შორის არის გოგონა, სახელად ერინა".[5]

ერინა

ერინას შემოქმედებიდან კარგა ხნის მანძილზე ცნობილი იყო ოთხი ეპიგრამა. მათ უკანასკნელ ხანებში მიემატა პაპირუსზე აღმოჩენილი ნაწარმოების „ელაკატეს", ანუ ქართულად „ჯარატარის" ფრაგმენტები, რომელთაგან დაახლოებით ოც სტრიქონამდე აღდგენა შეძლეს. გადმოცემათა თანახმად, ეს ნაწარმოები 300 სტრიქონის შემცველი უნდა ყოფილიყო. სავარაუდო რჩება პლინიუსის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ერინა წერდა ეპიგრამებს ჭიჭინობელასა და კალიაზე (შდრ. პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია", 34, 57).

ერინას პოეზიის შეფასებისას თანამედროვე მეცნიერებაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი „ელაკატეს" ანუ „ჯარატარის" ფრაგმენტებზე, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ეპიგრამებიც, რომლებიც უკვე კარგა ხანია ცნობილია.

დაქტილური ჰეგზამეტრით დაწერილი „ელაკატე" ეძღვნებოდა პოეტის მეგობარ ბავკისს, რომელიც სულ ახალგაზრდა გარდაცვლილა, ისე რომ ქორწინებაც ვერ მოუსწრია. მთელი ნაწარმოებიდან დაახლოებით 20-მდე სტრიქონის თარგმნა ხერხდება:

„ველური ფეხებით ზღვაში გადაეშვა ვარდების ბარდიდან,
ბრწყინავდნენ ვარდები, ყვიროდა, ხარობდა და ისე გადახტა,
როგორც კუ მედგარი გახტება ვრცელი და დახუნძლულ ველიდან.
ამიტომ დაგტირი, ბავკის, ო, საბრალოო, ესოდენ მწუხარედ,
ამიტომ მინთია გულში მოგონება ბავშვობის თამაშთა.
მორმო საშინელი შიშით და ვაებით ჩვენშია ჩამდგარი,
უზარმაზარ ყურებს ატარებს თავზე და ისე მიაბიჯებს
ოთხფეხა ცხოველი, სხვადასხვა სახედ რომ გარდაისახება.
მალე მეუღლესთან როს გაიზიარებ სარეცელს, ყველაფერს
დათმობ, დაივიწყებ, რაც დედამ გასწავლა ბავშვობის ხანაში.
ბავკის, ო, ძვირფასო, შენ გადაგივიწყა მართლაც 'აფროდიტემ:
შენზე მწუხარებით უნდა განვერიდო ჩემს ახალგაზრდობას.
მე არ შემიძლია, მძიმე ნაბიჯებით სახლის მიტოვება,
არც ის შემიძლია, მარტო დარჩენილი მივიდე საფლავთან
გაშლილი თმებით და ვაებით, სირცხვილი სახეს შემიფაკლავს
და დამიუშნოვებს"...

ვიდრე ფრაგმენტის შინაარსობრივ მხარეს შევეხებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მისი ფორმის შესახებ. რა ჟანრს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ეს ნაწარმოები? თავისი პათოსით, ბუნებრივია, იგი ელეგიური ჟანრის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოები დაწერილია ჰეგზამეტრებით და მას უფრო მეტი სიახლოვე აქვს ეპილიონის ჟანრთან. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გამოვლინდა ერინას ნოვატორული სული: „ელაკატეს" მოთავსება ამა თუ იმ ჟანრის ფარგლებში შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა ნაწარმოები დაწერილია ჰეგზამეტრებით, მას არ ახასიათებს მისნრაფება მონუმენტურობისაკენ. გვრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ერინას ხელში ჰეგზამეტრმა საოცარი სიმსუბუქე და ნაღვლიანი ელფერი მიიღო.

ლექსის პათოსს ქმნის გადმოცემა იმ სევდიანი განწყობილებისა, რომელიც ეუფლება პოეტს მისი ბავშვობის მეგობრის უდროო გარდაცვალების გამო. ალბათ ბერძნულ პოეზიაში პირველად შემოდის ლირიკოსი პო-

ეტის ბავშვობის წლების მოგონებები, იმ წლებისა, რომლებთანაც მას არც თუ ისე დიდი დრო განაშორებდა. ერინა განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს მისთვის ძვირფას ბავშვურ თამაშებს. ამ დროს ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან ბერძენი გოგონები, რომლებიც ესოდენი გულწრფელობით ეთამაშებოდნენ თოჯინებს, კუს. სალექსო სტრიქონებში გასაოცარი სიცხადით გაირბენს მორმოს საშინელი აჩრდილი და შიში მის წინაშე. მორმო ბერძნულ მითოლოგიაში არის ქალი — ურჩხული, რომელიც იტაცებდა ბავშვებს. ცნობილია, რომ ბერძენ ბავშვთა ფანტაზიაში ცოცხლობდნენ საშინელი ქალები, რომლებმაც საკუთარი შვილები დაკარგეს და ამიტომ ცდილობდნენ სხვისი შვილების ჩაყლაპვას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქალები იყვნენ სექსუალურად დაუკმაყოფილებელნიც. ს. ბ. პომეროის აზრით, მორმოს გახსენება ბავშვობის მოგონებებში ქორწინების ხანის დადგომის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ.[6]

გარდა ბავშვობის მოგონებებისა, ფრაგმენტში შეიმჩნევა სევდა არშემდგარი ქორწინების გამო, იმის გამო, რომ პოეტის მეგობარ გოგონას არ ეღირსა ნეფესთან სარეცელის გაზიარების ბედნიერება. აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ერინა გვამცნობს, რომ მას არ შეუძლია მისვლა მიცვალებულის სახლში. ეს ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მკვლევართა ვარაუდით, ამას შეიძლება ჰქონოდა რელიგიური საფუძველი; უფრო სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ უბრალოდ ერინასათვის უცხო იყო ის სახლი, სადაც მისი ძვირფასი მეგობარი უნდა შესულიყო.

ვფიქრობთ, ეს ფრაგმენტი რამდენიმე ასპექტით იმსახურებს ყურადღებას:

ერინა გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად უბრუნდება იმ სამყაროს, რომელიც ესოდენ დიდებულად წარმოაჩინა საპფომ. ეს არის მეგობარ ქალებთან ურთიერთობის სამყარო. მაგრამ თუკი საპფოსთან ეს არის უკვე ასაკოვანი პოეტის მიერ განცდილი ურთიერთობები, სადაც ტკივილი ძირითადად განშორებით გამოწვეული სევდის გამო ჩნდება, ერინას სამყარო, შეიძლება ითქვას, ბევრად უფრო სათუთია, რამეთუ იგი ჯერ კიდევ შორს არის მოწიფულობისაგან და ამდენად აღგვაფრთოვანებს თავისი ბავშვური უშუალობით, ბავშვობის მეგობართან ურთიერთობის განცდის პოეტური სიღრმით.

ერინა

არა ნაკლებ საყურადღებოა ის, რომ ბავკისთან ურთიერთობის მოგონებები და ამით გამოწვეული სევდა ერინამ განაზოგადა და აიყვანა იმ დონემდე, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ უკვე ურთიერთობათა მთელ სისტემაზე, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ნათელი და ღიმილის აღმძვრელი წარსული და ცრემლიანი აწმყო. სწორედ ამ გარემოებამ გამო-

ინვია ალბათ ის, რომ ერინამ თავისი სათქმელი ვერ ჩაატია მცირე პოეტურ ლექსში და მას მოუნახა გამოხატვის ის ფორმა, რომელიც ეპიკურობისაკენ მიისწრაფოდა. „ელაკატეში" აშკარად ელეგიურ-ეპიკური სული ტრიალებს. ელეგიური — განწყობილების თვალსაზრისით, ხოლო ეპიკური — რეალიზაციათა განზოგადების უნივერსალობის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ამის შემდეგ ისმის კითხვა: შეიძლებოდა თუ არა ჩაგვეთვალა „ელაკატე" გარკვეული თვალსაზრისით ეპილიონად? ვფიქრობთ, რომ ერთის მხრივ ელეგიურობის, ხოლო მეორეს მხრივ ეპიკურობის ხარისხი მას გარკვეულად აშორებს იმ ჟანრს, რასაც ტრადიციულად ეპილიონს უწოდებენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთ-ერთი ეპიგრამა, რომლის ავტორი არ არის ცნობილი: „ეს ლესბოსური ნექტარი — ვკითხულობთ ეპიგრამაში — ეკუთვნის ერინას, თუმცა მცირე რამაა, მაგრამ ერთიანად სავსეა მუზათა თაფლით. ეს არის სამასი სტრიქონი, ჰომეროსის სადარი. ქალწული კი სულ 19 წლისაა. ან დედის შიშით ჯარატარს უზის, ან საქსოვთან დგას, მუზებს იდუმალ ზიარებული. საპფო აღემატება ერინას სიმღერებით, ერინა კი საპფოს ჰეგზამეტრებით" (AG IX, 190).

ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ეპიგრამის ავტორი ერინას უშუალოდ საპფოს ადარებს, რომ ამ შედარებაში ის ზუსტად იჭერს „ელაკატეს" სულს. იგი აღნიშნავს, რომ საპფო აღემატება (ἀμείνων) ერინას სიმღერებით (μέλεσιν), ანუ ლირიზმით, ხოლო თავად ერინა ასევე აღემატება საპფოს ჰეგზამეტრებით (ἐν ἑξαμέτροι), ანუ ეპიკურობით. ამ შემთხვევაში არც ამ ეპიგრამის ავტორი და არც სხვა რომელიმე წყარო არ თვლის ერინას ეპილიონების პოეტად, რამდენადაც იგი თავისი სტილით შედარებულია სწორედ ჰომეროსს და არა სხვა რომელიმე პოეტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერინამ პოეზიაში, შესაძლოა, პირველმა (ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეულ პოეზიაში ეს აშკარაა) შემოიტანა ის სახეები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანისათვის უძვირფასეს ასაკთან — ბავშვობასთან. ეს სახეებია: თოჯინებით თამაში, კუსთან თამაში, მორმო და სხვა.

ამ ფრაგმენტით მიღებულ შთაბეჭდილებებს გარკვეულად ეხმიანება ის განცდაც, რასაც ერინას ეპიგრამები გვთავაზობენ. დიდი პოეტურობითა და შინაგანი სითბოთი არის დაწერილი ის ორი ეპიგრამა, რომელიც ერინას ისევე და ისევე ბავკისისადმი მიუძღვნია. თავადაც ახალგაზრდა პოეტს მართლაც რომ ღრმა მწუხარებით განუცდია მეგობარი გოგონას უდროო სიკვდილი. აი, როგორი წარნერა ჰქონია საფლავის ქვას:

„ვეკუთვნი დედოფალ ბავკისს, როს მოხვალ საფლავთან, მგზავრო,
იხილავ დაცრემლილ მინას, ჰადესს გადასძახე რისხვით:
„ჰადეს, შურიანი ყოფილხარ!“ ნატიფი წარწერა გიამბობს,
ოდესღაც რა მწარე ხვედრი ენია დედოფალ ბავკისს.
ფიჭვის ჩირაღდნებით, რომელთაც ქორწილის ჰანგები ამკობდნენ,
სამგლოვიარო კოცონი აანთო მოყვასმა ცრემლვით.
შენ კი, ჰიმენაოს, შეცვალე ქორწილის ნათელი ჰანგები
და საზეიმო ძნობა აქციე მწუხარე გლოვად“.

ფრ. 4 D

როგორც ეპიგრამიდან ირკვევა ბავკისი ქორწილამდე გარდაცვლილა. ამაზე მიგვანიშნებს პოეტი, როდესაც ესოდენ უბრალოდ და წრფელი განცდით აგვიწერს, თუ როგორ აანთეს საქორწინო ჩირაღდნებით სამგლოვიარო კოცონი, როგორ შეიცვალა ქორწილის მხიარული ჰანგები მწუხარე გლოვად.

მეორე ეპიგრამაში, რომელიც იმავე თემას ეხება, პოეტი საკუთარ თავსაც წარმოგვიდგენს:

„ჩემო სირენებო, სვეტებო, გლოვის და წუხილის სამარეე,
რომელიც უნახავთ ჰადესს ფერფლად გადაქცეულ სხეულს,
კეთილად მიიღეთ ყოველი საფლავთან მოსული ყარიბი,
იქნება მშობელი მინის თუ სხვა ქალაქის მკვიდრი.
აუწყეთ, რომ ადრე წასული დედოფლის სამარეს უმზერენ,
რომელსაც შეარქვა „ბავკისი“ დაბადების დღეს მამამ,
რომ კუნძულ ტელოსზე ვსახლობდი, რომ ჩემმა დობილმა ერინამ
ეს შესანდობარი სიტყვა თავად წააწერა საფლავს“.

ფრ. 5 D

ერინა

აი, ასეთი სიყვარულით ეთხოვებოდა სულ ახალგაზრდა პოეტი თავის მეგობარს, რომელიც „შურიანი ჰადესის“ სამფლობელოში განისვენებდა. ჩვენამდე მოაღწია ერინას ორსტრიქონიანმა ეპიგრამამ, სადაც პოეტი ცდილობს წარმოიდგინოს პირქუში ჰადესის განსასვენებელი:

„აქედან ჰადესში აღწევს მხოლოდ მიმქრალი ექო,
დუმილი სუფევს მკვდრებში, თვალებს ეფარება ბინდი“.

ფრ. 1 D

და ბოლოს, კიდევ ერთი ეპიგრამა, სადაც სულ სხვა განწყობილებით წარმოგვიდგება პოეტესა ერინა. ეს არის წარწერა ქალწულ აგათარქისის სურათზე: პოეტი აქებს მხატვარს, ამ სურათის შემოქმედს:

„ეს ხატი, მაღალო პრომეთეე, შექმნეს დიდოსტატის ხელებმა,
გყოლია მოკვდავთა შორის თანაზიარი სიბრძნით,
ქალწულის ნატიფი ქმნილება ხმითაც რომ შეემკო შემოქმედს,
წარმოსდგებოდა ჩვენს წინ აგათარქისი თავად".

ფრ. 3 D

ჩანს, მსგავსი ეპიგრამები კიდევ უნდა ჰქონოდა ერინას.

მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ერინამ ხანმოკლე ცხოვრებისდა მიუხედავად, შეძლო თავისი წვლილის შეტანა ლირიკულ პოეზიაში. თუ ვირწმუნებთ გადმოცემებსა და შეფასებებს, იგი თავისი პოეტურობით აღემატებოდა მის ეპოქაში მოღვაწე სხვა ლირიკოსებს.

შენიშვნები:

M. L. West, Erinna, ZPE 25, 1977.

[2] A. Lesky, Geschichte der Griechische Literatur, München, 1971[II], გვ. 589.

[3] S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985, გვ. 208.

[4] A. Lesky, დასახ. ნაშრ. გვ. 715.

[5] A. Dihle, Griechische Literaturgeschichte, Stuttgart, 1967, გვ. 261.

[6] S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985, გვ. 209.

„ტკბილხმიერი"

ნოსისი

ამ პოეტესას არ გამოუწვევია ისეთი აღტაცება ანტიკურ სამყაროში, როგორიც საპფოს ან ერინნას, თუმცა მასაც იცნობდნენ და პოეტ ქალთა კანონშიც მოიხსენიებდნენ. მას ასახელებს მელეაგროს გადარელიც თავის ცნობილ ეპიგრამაში, რომელსაც „გვირგვინი" ეწოდება (AG IV I 12). ნოსისის კავშირზე სამხრეთ იტალიაში მოღვაწე ფრიად განათლებულ და საკმაოდ ცნობილ მწერლებთან შეიძლება მიგვანიშნოს მისივე ეპიგრამამ, რომელიც ეძღვნება რინთონ სირაკუსელს, დაახლოებით ძვ.წ. 300 წლის მახლობელ ხანებში მოღვაწე მწერალს, რომელმაც სახელი გაითქვა ფლიაქსებითა და მითების ტრავესტიებით:

„რაოდეს ჩაუვლი ჩემს სამარხს, ხმამაღლა იცინე, ყარიბო,
და გაიმეტე ჩემთვის წყალობა კეთილი სიტყვით,
ვარ სირაკუსელი რინთონი, მუზის უბადრუკი მსახური,
ტრაგიკულ ფლიაქსთა მღერით მაქვს მოპოვებული სურო".
VII, 414

ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე, რომ ნოსისი ყოფილა თეოფილოსის ქალიშვილი, იტალიური ქალაქის ლოკროს მკვიდრი. ეს არის და ეს. არსებითად, ჩვენ მის ბიოგრაფიაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით.

რაც შეეხება ნოსისის შემოქმედებას, ბერძნული ლირიკის ანთოლოგიაში (AG) შემონახულია თორმეტიოდე ეპიგრამა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მისი პოეზიისა, რადგანაც მხოლოდ ამ ქმნილებებით იგი ვერ მიიპყრობდა ყურადღებას, ვერც პოეტ ქალთა კანონში აღმოჩნდებოდა და ვერც მელეაგროსის „გვირგვინში". ანტიკურობაში ნოსი-

სის მთავარ ღირსებად ორი რამ მიაჩნდათ: ერთი იყო მისი ქალურობა. შეიძლება ითქვას, მას მშვენიერი ეპითეტიც კი მოუნახა ანტიპატროს თესალონიკელმა — θηλύλωσσον ანუ „ქალურად მეტყველი", „სათუთად ხმიერი" (AG IX, 26). მეორე — სიყვარულის ძალის საპფოსმაგვარი ასახვა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ნოსისი სიამაყით აყენებს თავის თავს საპფოს გვერდით:

„მგზავრო, მიტილენედ თუ მიხვალ, სადაც დიდებულად მღერიან,
რათა აღენთო საპფოს დიდი პოეზიის მადლით,
ახსენე, რომ მუზებს უყვარდათ ლოკრების მიწაზე შობილი
პოეტი, სახელად ნოსისი, არ დაიკიწყო, წადი!"

VII, 718

ნოსისის შემოქმედებაში, ჩანს, ეროსს ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ჩვენამდე მოღწეულ ეპიგრამებში მხოლოდ ერთი ეხმიანება ამ თემას:

„დიდი სიყვარული ტკბილია, ამ ქვეყნის ყოველი სიამე
დაჩრდილა ეროსმა, თაფლიც ჩემმა ბაგეებმა დათმეს.
ამას გიქადაგებთ ნოსისი: ვისაც აფროდიტე არ სწყალობს,
ის ვერასოდეს იგრძნობს ვარდების მშვენების ძალას".

V, 170

ნოსისის ეპიგრამათა უმეტესობა ეძღვნება მეგობრებს, ისინი გამოსახულებათა და ქანდაკებათა წარწერებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ვინმე კალოს საკუთარი სურათი მიუძღვნია აფროდიტეს ტაძრისთვის. იგი ასეთი ეპიგრამით შეუმკია პოეტს:

„მართლაც დიდებული ქმნილება — ხატი საკუთარი სახების
ოქროს აფროდიტეს ტაძარს უბოძა საჩუქრად კალომ,
მოსავს მომხიბლავი დგომა და ყველასთვის ნანატრი ასაკი,
ასეთს გაუმარჯოს, ცხოვრებას ვერ უსაყვედურებს იგი".

IX, 605

ვინმე თავმარეტეს პორტრეტს კი ასეთი გრძნობები გამოუნვევია პოეტში:

„ო, რა დიდებულად ასახავს თავად თავმარეტეს სურათი,
თვალები ცოცხლობენ თითქოს მოწყალე, კეთილი მზერით,
კუდს აქნევს პატარა ფინია, სასახლის ერთგული დარაჯი,
ნახატს კი არა და, ჰგონია, რომ ცოცხალ ქალბატონს უმზერს".
IX, 604

ნოსისის ეპიგრამები ეძღვნება ღვთაებათა გამოსახულებებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეული ამ სახის ყველა ეპიგრამა ღმერთქალთა გამოსახულებების წარწერებია (ჰერასადმი: VI, 265, აფროდიტესადმი: IX, 332; არტემისისადმი: VI, 273); ვხვდებით საფლავის ქვათა წარწერებსაც (VII, 414, VII, 718). ვფიქრობთ, საკმაოდ ორიგინალურად იჩენს თავს ნოსისის ეპიგრამებში საბრძოლო თემატიკაც. პოეტური მახვილგონიერებით გვამცნობს ნოსისი მიტოვებულ აბჯართა განნყობილებას:

„სძლიეს ბრუტიუმელ მებრძოლებს ომებში მედგარმა ლოკრებმა
და სასიკვდილოდ განწირულთ უბადრუკ ბეჭთაგან ახსნეს
ის აღსაჭურველი, რომლითაც შეამკეს ღმერთების ტაძრები.
და არ იცოდებენ აბჯრები იმ ჯაბანთ, რომელთაც დათმეს".
VI, 132

ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტთა სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს ვისაუბროთ ნოსისის წვლილზე სამხრეთ იტალიის ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებში, მაგრამ, ჩანს, ეს წვლილი საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

„ჰომეროსის სადარი“

ანიტე

ანიტემ ახალი სუნთქვა შემოიტანა ძველი საბერძნეთის ქალთა პოეზიაში. მართალია, ჩვენამდე მისი შემოქმედების ერთობ მცირე ნაწილი შემორჩა, ერთობ ძუნწია ბერძნული ეპიგრამების ცნობებიც მის შესახებ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი ადგილი დაიმკვიდრა ლირიკოსთა შორის. ანტიპატროს თესალონიკელის ეპიგრამაში, რომელიც პოეტესათა ნუსხას გვამცნობს, ანიტე წარმოდგენილია ისეთი ეპითეტით, რომლითაც იამაყებდა ალბათ ყოველი შემოქმედი. ეპიგრამის ავტორი მას ჰომეროსს ადარებდა (AG IX, 16, 3) და, შესაძლოა, ჰქონოდა კიდეც ამის საფუძველი. ანიტე ძვ.წ. III საუკუნეში მოღვაწეობდა და, ჩანს, ანტიპატროსს მისი შემოქმედება კარგად უნდა სცოდნოდა. ანიტეს მოიხსენიებს აგრეთვე მელეაგროს გადარელი თავის „გვირგვინში“ და „ნითელ შროშანს“ (AG IV, 1, 5) უწოდებს. რაც შეეხება მის ბიოგრაფიას, ერთადერთი ცნობა, რომელიც პავსანიასმა შემოგვინახა, ანეგდოტურია: „პოეტ ქალ ანიტეს — ეკითხულობთ „ელადის აღწერილობაში“ — ეზმანა ღმერთისგან გამოგზავნილი წერილი (ალბათ პაპირუსის გრაგნილი). მას ეს დაბეჭდილი გრანილი უნდა მიეტანა ბრმა ფალისიოსისათვის წასაკითხად. როდესაც ანიტემ გამოიღვიძა, საკუთარ ხელში აღმოაჩინა წერილი, რომელიც სასწრაფოდ წაუღო ბრმა ფალისიოსს. ამ უკანასკნელს ეგონა, რომ ნაწერს ვერ დაინახავდა, მაგრამ შეხედა თუ არა გრაგნილს, მსწრაფლ აღიქვა იგი და წაიკითხა უწყება: გადაეხადა ანიტესათვის 2000 სტატერი, რაც აღასრულა კიდეც“ (X, 38, 13).

არსებითად ამით ამოიწურება ჩვენი ცოდნა ანიტეს ბიოგრაფიის თაობაზე. რაც შეეხება მის შემოქმედებას, მას ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტულად ვიცნობთ. ბერძნულმა ანთოლოგიამ შემოინახა 21 ეპიგრამა. არის კიდევ რამდენიმე ეპიგრამა (VII, 232, 236, 492, 538), რომელთა კუთვნილება ანიტესადმი სადაოა. არ არის გამორიცხული, რომ ანიტე წერდა ლირიკულ სიმღერებსაც, შესაძლოა, მას ჰქონდა ეპიკური ხასიათის თხზულებებიც, რამეთუ ანტიკურ ავტორთა მისდამი დამოკიდებულება, როგორც ჩანს, ეფუძნება არა მარტო იმ პროდუქციას, რომელიც ჩვენამდე შემორჩა.

რაც შეეხება საკუთრივ ჩვენამდე მოღწეულ ეპიგრამებს, მათი დაჯგუფება შეიძლება ორ ძირითად ნაწილად და ვფიქრობთ, ორივე მიმართულებით ანიტეს გარკვეულწილად ახალი ნაკადი შემოაქვს ეპიგრამატულ პოეზიაში. პირველ ნაწილში უნდა მოვათავსოთ ეპიგრამები „გარდაცვლილ" ცხოველებზე, მწერებზე, ფრინველებზე, რომელთაც გაჰყოლიათ პატრონთა დიდი სიყვარული. შეიძლება ითქვას, რომ ანიტემდე ცხოველთა სამყარო ეპიგრამებში არ იქცევდა არსებითად დიდ ყურადღებას. საერთოდ, აქამდე ბერძნულ პოეზიას და აზროვნებას ძირითადად აინტერესებდა ადამიანი და ნაკლებად ცხოველთა და ბუნების სამყარო. ანიტეს პოეზიაში პირველად არის ესოდენ რელიეფურად წარმოჩენილი ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხი, კერძოდ ის, თუ როგორ განიცდის ადამიანი საყვარელი ცხოველის სიკვდილს. ამ თემის ჩანასახები, შესაძლოა, ერინადან ილებდეს დასაბამს. მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ანიტედან მოყოლებული ეს ნაკადი საკმაოდ ინტენსიურად შედის ეპიგრამატულ პოეზიაში. ამ სახის ეპიგრამებში შეიძლება გამოვყოთ ისეთები, სადაც ცხოველის სიკვდილით გამოწვეული წუხილი სერიოზულად არის გადმოცემული:

„ეს ძეგლი აუგო დამისმა ბრძოლის ჟამს დაღუპულ ბედაურს,
  არესმა განგმირა მისი შეუპოვარი მკერდი,
სისხლის მეწამულმა ნაკადმა დაფარა ძლიერი სხეული,
  საზარი მკვლელობის ადგილი დამძიმდა დაღვრილი სისხლით".
(VII, 208)

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ეპიგრამა, სადაც დელფინი ესაუბრება მკითხველს:

„ვეღარ ჩავუქროლებ ამაყად ზვირთებში ბინადარ ქარავნებს,
ვეღარ ამოვისვრი სხეულს უძირო სიღრმიდან მაღლა,
ვეღარ ნარეუძღვები ხალისით ძლიერ სოლებიან ხომალდებს,
მათ უმშვენიერეს კიჩოებს ვერ მოვეფერები ქშენით,
რადგან მარადიულ სავანედ მექცა საუცხოო ნაპირი,
სადაც გამომრიყა მინად ზღვათა ძოწისფერმა ზვირთმა".

(VII, 215)

ვხვდებით ისეთ ეპიგრამებსაც, რომელთაც ღიმილნარევი სინანული ეტყობათ:

„ჩემი გალვიძება აისზე აღარ შეგეძლება, მამალო,
ვეღარ შეირხევა შენი ხშირი, მოფარფატე ფრთები,
რამეთუ მზაკვარი ცხოველი ღამე მოგეპარა მალულად,
მომაკვდინებელი ბრჭყალით უმალ გამოგლადრა ყელი".

(VII, 802)

ანიტეს ეპიგრამათა შორის აშკარად შეიმჩნევა კომიკურობის ელემენტებიც:

„ხედავ, ბრომიოსის რქით მოსილ თხას, ამპარტავანს და მზვაობარს,
გრძელწვერებიანი სახით რა მედიდურობით გვიმზერს,
ამაყობს იმით, რომ მაღალი მთების მწვერვალებზე მის ღანვებს
ეალერსებოდა ნიმფა ნაისი ვარდისფერ ხელით".

(IX, 745)

ანიტე

მეორე ჯგუფი ეპიგრამებისა არსებითად ამ ხედვის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს არის აღწერა იმ გარემოსი, მყუდრო ადგილებისა, სადაც დგას ღვთაებათა ქანდაკებები, სადაც ადამიანთათვის საამო დასასვენებელია. ამ ჯგუფში აშკარად შეინიშნება ბერძნული პოეზიისათვის მანამდე არც ისე ნიშანდობლივი განცდა ადგილის მშვენიერებისა, იდილიურობისა, რასაც ეპიგრამაში შემოაქვს ის სული სიმყუდროვისა და უშფოთველობისა, რომელიც ბუკოლიკური პოეზიისათვის არის ნიშანდობლივი. ამ მხრივაც, ჩვენი აზრით, ანიტეს შემოქმედება გამოირჩევა მის წინამორბედთა პოეზიისაგან. ნიმუშად რამდენიმე ეპიგრამას წარმოვადგენთ:

„იქ, სადაც სამი გზა იყრება ჭაღარა ზღვის სანაპიროსთან,
მიწყივ ნიავიან ჭალად ღვთაება ჰერმესი დგება,
რათა შორი გზებით მოღლილებს არგუნოს შვება და სიმშვიდე:
გასაგრილებლად უძღვნას ცივი და ანკარა წყარო“.

(IX, 314)

„რად ზიხარ ფოთლებით დაჩრდილულ ტყეში, სოფლის პანო, ეულად,
შენი ტკბილხმიერი სტვირით მიდამოს რად ავსებ სტვენით,
მიტომ, რომ ცვარ-ნამით დაფარულ ამ მთიან ველებზე მოსული
პურის ლამაზთმება თავთავი ხარების ნახირმა ძოვოს“.

(XVI, 231)

„ლამაზად შეფოთლილ დაფნის ქვეშ შეჩერდი, ჩამოჯექ, ყარიბო,
მიირთვი ანკარა წყაროს გრილი და საამო წყალი,
ზაფხულის მოსავლის აღებით მოღლილ და მოთენთილ კიდურებს
მიესალბუნება ჩრდილში თავად ზეფიროსის სიო“.

(IX, 131)

რასაკვირველია, ამასთან ერთად ეპიგრამებში შეიძლება ამოვიკითხოთ ტრადიციული ინტერესი გამორჩეული საგნებისადმი. აი, როგორი პოეტურობითა და სითბოთი წარმოგვიდგენს პოეტი ქალი საბრძოლო ოროლს:

„აქ დარჩი მრავალთა მმუსვრელო, შინდისგან ნათალო ოროლო,
შეაშრეს მეტოქის სისხლი ბრინჯაოს დამღუპველ ბუნიკს,
ათენას მაღალი ტაძარი გექცევა მარადის სავანედ
კრეტელ ექსეკრატეს დიდების ღირსეულ ამბავთა მაცნეს“.

(VI, 123)

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ანიტეს შემოქმედებაში ქალთა სამყარო აისახა ახალი კუთხით. ანიტეს თვალმა შენიშნა ის, რაც კაცისთვის, შესაძლოა, უმნიშვნელო იყო. ეს არის სევდა გარდაცვლილ ცხოველებზე, ფრინველებზე თუ მწერებზე, მათდამი ფაქიზი, ზოგჯერ ირონიული დამოკიდებულებაც. ამ შემთხვევაში შემოქმედს მოეთხოვებოდა პოეტური ხელოვნების დახვეწილობა, რომელსაც ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო

მოვლენები შეეძლო წარმოსახვის ღირსად ექცია. ანიტე დორიულ დიალექტზე წერდა. მიუხედავად ამისა, მის ეპიგრამებში შეიგრძნობა საპფოსეული სული. მისი შემოქმედება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ, ბერძნულ ეპიგრამაში პირველად, ვხვდებით ბუკოლიკური პოეზიის ნიმუშებს, ბუნების სურათების პასტორალურ აღწერას.

„მუზათა მოწაფე“ მოიროს

მართალია, მოიროს მოიხსენიებს პავსანიასიც და რამდენიმე ბერძენი პოეტიც, მაგრამ ისე ძუნწად, რომ მათ საფუძველზე ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი შთაბეჭდილება შეიძლება შევიქმნათ ამ პოეტესაზე. რამდენადაც მოიროს ხსენება მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ვაჟის, ტრაგიკოს ჰომეროს ბიზანტიონელის სახელთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მოღვაწეობდა ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის დასაწყისში. როგორც ჩანს, ოჯახში შექმნილმა პოეტურმა ატმოსფერომ, მუდმივმა ურთიერთობამ თანამედროვე მამაკაც მწერლებთან, რომელთა წრესაც ეკუთვნოდა მისი ძე ჰომეროსი, გარკვეულწილად განაპირობა ჰეროიკულისა და ლირიკულის ერთგვარი სინთეზი მოიროს შემოქმედებაში. არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ მას დაუწერია ელეგიები და შეუთხზავს ეპიკური ნანარმოებებიც (პავსანიასი, IX, 5, 8), რომელთაგან ერთ-ერთს „მნემოსინე“ ეწოდებოდა. ამ პოემიდან ჩვენამდე მოაღწია ათმა ჰეგზამეტრიულმა სტრიქონმა. მათზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ მოიერო ერთგულია ტრადიციული ეპიკური სტილისა, რასაც, სხვათა შორის, გვიდასტურებს აგრეთვე ქრისტოდოროს კოპტოსელი, როდესაც მისი პოეტური შემოქმედების მოკლე დახასიათებისას მას მუზათაგან განსწავლულსა და ჰეროიკულ-ეპიკური პოეზიით ცნობილს უწოდებს (AG II, 410, 411). მოიროს უნდა შეეთხზა აგრეთვე პოსეიდონისადმი მიძღვნილი ჰიმნი და ნაწარმოები სახელწოდებით „წყეველანი“, რომელიც იმ მითოლოგიურ სიუჟეტებს ამუშავებდა, სადაც წყეველის მომენტი განსაკუთრებით იყო გამოყოფილი. ბერძნულმა ანთოლოგიამ შემოგვინახა მისი ორი ეპიგრამა. შეიძლება ითქვას, რომ მოიროს ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები

არ გვაძლევენ საშუალებას, ვისაუბროთ მისი რაღაც განსაკუთრებული მიმართების შესახებ საპფოს პოეტურ მოდელთან, თუმცა ვფიქრობთ, რომ როდესაც მას მელეაგროს გადარელი „თეთრ შროშანს" ადარებს, ამით იგი წარმოაჩენს მის ქალურობასა და სიწმინდეს (IV, 1, 6). როგორც ცნობილია, შროშანი, განსაკუთრებით თეთრი, ანტიკურ სამყაროში ქალური კდემა-მოსილებისა და სიწმინდის სიმბოლოდ გაიაზრებოდა. მოიროს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი აგრეთვე ასკლეპიადესის ეპიგრამაში (AG IX, 26). ვფიქრობთ, მოიროს შემოქმედებაში ერთმანეთს შეერწყა კლასიკური ეპოქის ქალთა პოეზიისათვის ნიშანდობლივი ჰეროიკული სული და ლირიზმი. პირველს შეესაბამებოდა ალბათ მისი მოღვაწეობა ეპოსისა და ჰიმნოგრაფიის, მეორეს კი ელეგიისა და ეპიგრამების სფეროში. ორივე ეს მიმართულება კარგად არის გამოხატული ჩვენამდე მოღწეულ სტრიქონებში. გთავაზობთ ფრაგმენტს ეპიკური თხზულებიდან „მნემოსინე":

„მაღალმა ზევსმა რომ კრეტად დაივანა, იქ ჰპოვა საფარი,
იმძლავრა სხეულით, არარა უწყიან ნეტარმა ღმერთებმა,
ოკეანის წყლიდან მოჰქონდათ ფრთხალ მტრედებს მისთვის ამბროსია;
ასე გამოკვებეს დიდი კრონიონი ღვთაებრივ მღვიმეში.
კლდიდან გადმომდინარ ნექტარს აგროვებდა არწივი ნისკარტით
და საამებელი სასმელი მოჰქონდა მაღალი ღმერთისთვის.
რაოდეს დაამხო მამა კრონიონმა, შორით მოქუხარმა,
დიდ არწივს არგუნა მარადიულობა და ცად აღაზევა.
ფრთხალი მტრედებისთვის ზევსმა მოავლინა სხვაგვარი წყალობა:
მათ ზამთარ-ზაფხულის წინასწარ უწყების პატივი მიაგო".

ვფიქრობთ, ამ თხზულებაში არსებითად გრძელდებოდა ის პათოსი, რაც ე.ნ. თეოგონიური ეპოსისთვის იყო დამახასიათებელი და რაც თავის საწყისებს ჰესიოდედან იღებდა.

რაც შეეხება მოიროს ეპიგრამებს, აქ შეინიშნება იდილიურობისაკენ მიდრეკილების ის ტენდენციები, რაც ანიტეს შემოქმედებისთვის იყო ნიშანდობლივი:

„ბაკქოსის შანარით აღვსილო ვაზის დიდებულო მტევანო,
გფარავს აფროდიტეს ტაძრის ოქროცურვილი სვეტი,
აღარ მოგეველება გარშემო დედა მოალერსე სუროთი,
არ აღმოგიცენებს ბუნზე თავის სურნელოვან ფოთოლს".

(VII, 119)

„ჰამადრიადებო, ნიმფებო, მდინარის ღვთიურო ქალწულნო,
ვარდისფერ ტერფების შეხებით უფსკრულებს რომ თელავთ მიწყივ,
უკვდავო ქალღმერთნო, იდიდეთ და კლეონიმოსი მიიღეთ,
მან ხომ ფიჭვების ძირში ლამაზი ძეგლები გიძღვნათ."

(VI, 189)

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ მოიროს შემოქმედებაში შეინიშნება ეპიკურ-ლირიკული სტილი.

სულპიცია

რეალურად არსებული პოეტესა, თუ პოეტური ფიქცია?

სულპიცია ჩ.წ. I საუკუნემდე მოღვაწე ერთადერთი რომაელი პოეტესაა, რომლის შემოქმედების ნიმუშებიც შემოგვრჩა. და მაინც, დღეს ამ სახელთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ისმის დაწყებული იქიდან, არსებობდა თუ არა ასეთი პოეტესა საერთოდ, დამთავრებული იმით, თუ როგორი იყო მისი ბედი. ყოველივე ეს გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ სულპიციას შემოქმედებამ და მასზე ინფორმაციამ ჩვენამდე მოაღწია ცნობილი რომაელი ელეგიკოსის ტიბულუსის კორპუსის მეოხებით. ეს კორპუსი შეიცავს სამ, ზოგიერთი გამოცემით კი, ოთხ წიგნს. ბოლო წიგნში ჩვენ გვხვდება ვინმე სულპიციასა და კერინთუსის სიყვარულთან დაკავშირებული ელეგიების ორი ჯგუფი: ერთი მოიცავს ხუთ ელეგიას და გვთავაზობს საკმაოდ მაღალი რანგის პოეზიას, სადაც ხან მესამე პირი, თავად პოეტი, მოგვითხრობს სულპიციასა და კერინთუსის სიყვარულზე, ხან კი თავად სულპიცია წარმოგვიდგება მთხრობელის როლში. ხოლო მეორე ჯგუფი შეიცავს ექვს შედარებით მოკლე ელეგიას, რომელთა ავტორიც თავად სულპიციაა. ეს ელეგიები პოეტის მიერ პირველ პირშია დაწერილი. მათში გადმოცემულია ახალგაზრდა ქალის სასიყვარულო გრძნობები სატრფოს, კერინთუსის, მიმართ. არსებითად, ამით ამოიწურება მთელი ინფორმაცია ამ, ჩვენთვის უცნობ, პოეტესაზე.[1] კერძოდ, ჩვენ არ შეგვიძლია გავაკეთოთ რაიმე დასკვნა იმის თაობაზე, თუ როგორ განვითარდა სულპიციას და კერინთუსის სიყვარულის ამბავი. არც იმაზე, ჩვენამდე შემორჩენილი ექვსი ელეგია იყო სიყვარულით ანთებულ ქალში მუზის უეცარი აფეთქების შედეგი და მთელი მისი პოეტური შემოქმედება ამით ამო-

ინურება, თუ მას კიდევ ჰქონდა დანერილი სხვა ლექსები. ასევე, მიუხედავად იმ ელეგიების სიმრავლისა, რომლებიც სულპიციასა და კერინთუსის სიყვარულს ეძღვნება, მაინც არ ვიცით, როდის და როგორ დაიწყო მათი სიყვარულის ამბავი, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ელეგიებში, როგორც ერთ, ასევე მეორე ჯგუფში დაფიქსირებულია ურთიერთობა ქალსა და ვაჟს შორის მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში.

უპირველესი კითხვა, რომელიც დაისმის, ბუნებრივია, ეხება თავად სულპიციას ვინაობას. აქ შეიძლება წამოვაყენოთ ორი თვალსაზრისი: ერთი — სულპიცია არის რეალური პიროვნება; მეორე — იგი არის პოეტური ფიქცია. ბუნებრივია, არსებული მონაცემებით ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა შეუძლებელია.

დღეს მკვლევართა აბსოლუტური უმეტესობა ემხრობა იმ ჰიპოთეზას, რომ სულპიცია რეალურად არსებული პიროვნებაა. სხვა საკითხია, ეკუთვნის თუ არა მას ის ელეგიები, რომლებიც ტიბულუსის კორპუსშია წარმოდგენილი.

ჩვენს ხელთ არსებული ძუნწი ცნობებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სულპიცია მაღალი წრის ქალი იყო. შესაძლოა, შვილი სერვიუს სულპიციუს რუფუსისა, იმავე სახელით ცნობილი იურისტის ვაჟისა; ხოლო მისი დედა კი, სავარაუდოა, იყო ვალერია, და მარკუს ვალერიუს მესალა კორვინუსისა. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი იცნობდა პოეტთა იმ ჯგუფს, რომელიც მისი ბიძის — მესალას წრის გარშემო იყო შემოკრებილი და რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ თავად ტიბულუსიც და პოეტი ოვიდიუსიც. რაც შეეხება კერინთუსს, აქაც შეიძლება დავუშვათ, რომ იგიც რომაული მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი იყო, რომელიც პოეტესას ბერძნულიდან აღებული ფსევდონიმით ჰყავს შენიღბული. მისი ნამდვილი სახელი, შესაძლოა, კორნუტუსი ყოფილიყო, რომელიც ტიბულუსის (II, 2 და 3) სიმღერებში არის მოხსენიებული. ვერ ვიტყვით, რითია გამონეული ის, რომ სულპიციას შეყვარებული ფსევდონიმით არის შენიღბული. სავარაუდოა, ან ქალის შიშით, არ გაეთქვა მისი სატრფოს ნამდვილი სახელი; ან ამ პერიოდის პოეზიაში ჩამოყალიბებული ტრადიციით, ბერძნული სამყაროდან აერჩიათ სატრფოთა ფსევდონიმები (კატულუსთან ლესბია, პროპერციუსთან კინთია, ოვიდიუსთან კორინა, ტიბულუსთან დელია), ან სულაც იმით, რომ სულპიციასათვის მისი სატრფო იყო პოეტური ფიქცია. არსებითად ეს არის და ეს. სხვა კონკრეტული ბიოგრაფიული ცნობის მოძებნა, თუ არ ჩავთვლით ქალის ელეგიებში განცხადებულ სასიყვარულო გრძნობებს, რომლებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ჩვენ გაგვიჭირდება ანტიკურ წყაროებში.

სწორედ ამიტომ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ სულპიცია არ არის რეალურად არსებული პიროვნება და მთელი ამბავი მისი და კერინთუსის სიყვარულისა მესალას წრის რომელიღაც პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეჭვის საფუძველი მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებული ცნობების სიმწირე შეიძლება იყოს, რაც, რასაკვირველია, არ არის საკმარისი.

სხვა საკითხია თავად ე.წ. სულპიციას ციკლის ელეგიების ავტორობის პრობლემა. აქ მეტ კამათს იწვევს ამ ციკლის პირველი ჯგუფის ხუთი ელეგია (III, 8-12; ან IV, 2-8).

მეცნიერებაში არსებობს ორი აზრი: ა) ეს ელეგიები ეკუთვნის მესალას წრის რომელიმე ჩვენთვის უცნობ პოეტს; ბ) ამ ელეგიების ავტორი არის თავად ტიბულუსი. დღეისთვის მეტი მომხრე ჰყავს ამ უკანასკნელ თვალსაზრისს. არსებითად არავინ თვლის შესაძლებლად იმას, რომ ამ ელეგიათა შორის რომელიმე, თუნდაც სულპიციას მიერ პირველ პირში გადმოცემული, შეიძლება ეკუთვნოდეს ამ პოეტესას. რაც შეეხება მეორე ჯგუფის ელეგიებს (III, 13-18; ან IV, 7-12), აქ მეცნიერები თითქმის ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ავტორი მართლაც სულპიცია უნდა იყოს. ამ ერთსულოვნებას რამდენიმე არგუმენტი განსაზღვრავს: 1. ელეგიები თავისი სტრუქტურით (ისინი თითქმის ეპიგრამებივით მოკლენი არიან), შედარებით დაბალი პოეტური დონით აშკარად გამოირჩევიან ტიბულუსის კორპუსის სხვა ელეგიებიდან; 2. მათში პოეტესა სრულიად არაორაზროვნად ლაპარაკობს თავისი სახელით; 3. არ გაგვაჩნია არცერთი ანტიკური წყარო, რომელსაც შეუძლია ეჭვი შეგვატანინოს ამ ელეგიების სულპიციასადმი კუთვნილებაში. მაგრამ, რასაკვირველია, ეს სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ სხვა შესაძლებლობა.

ახლა კი თვალი შევავლოთ თავად სულპიციას ელეგიებს. როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ, ამ ელეგიებში მათი მომენტალურობის, ჩვენ ვიტყოდით, იმპრესიონისტულობის გამო, უფრო მეტად კატულუსის ლექსების სული ტრიალებს, ვიდრე ტიბულუსისა, თუმცა, რასაკვირველია, ისინი ვერ ადიან კატულუსის პოეზიის სიმაღლემდე. ის, რაც ამ ელეგიებში იპყრობს ყურადღებას, უთუოდ არის ახალგაზრდა ქალის გულწრფელი და დიდი სიყვარული, გადმოცემული ყოველგვარი შენიღბვის გარეშე. ვერ ვიტყვით, რომ ელეგიებში დიდი იყოს პოეტური ინფორმატიულობის ხარისხი, დახვეწილი იყოს პოეტური ენა, მაგრამ მათ აქვთ ერთი დიდი უპირატესობა: უბრალოება, რომელიც არ გადადის გამაღიზიანებელ სიმარტივეში; მთავარი ის არის, რომ ელეგიების წაკითხვის შემდეგ ჩვენ თანავუგრძნობთ

სულპიცია

სულპიციას სიყვარულს. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისათვის, რომ სულპიციასა და კერინთუსის სიყვარულის თემა გადაქცეულიყო ტიბულუსის ლექსების სტიმულად.

ჩვენი აზრით, ეს ექვსი ელეგია, თუკი მათი ავტორი მართლაც შეყვარებული სულპიციაა, არ წარმოადგენს პოეტის შემოქმედებიდან შემთხვევით შემორჩენილ ლექსებს. ისინი აშკარად კრავენ გარკვეულ ციკლს სულპიციასა და კერინთუსის ურთიერთობის რაღაც ეტაპის გადმოცემისას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სიყვარულის ამბავი განცხადებიდან პირველ სინანულამდე. თემა მათი სიყვარულისა აქ სრულიად გარკვეული ლოგიკით ვითარდება. პირველი ელეგია ეს არის შეყვარებული ქალის აღიარება, განცხადება იმისა, რომ მას უყვარს და არ ერიდება, სრულიად დაუფარავად ისაუბროს ამაზე:

„ბოლოს სიყვარულიც მეწვია, ამ გრძნობის დუმილით დაფარვას
უფრო სამარცხვინოდ ჩავთვლი, ვიდრე საქვეყნოდ განთქმას;
ჩემი კამენეა — ლოცვის და ვედრების სიმღერა ისმინა
ვენუსმა, მომგვარა იგი, მეერდზე დამიწვინა თავად,
სიტყვა აღასრულა ღვთაებამ. დე, ილაპარაკოს ამაოდ
მან, ვისაც არ ძალუძს თავად ამ ბედნერების განცდა.
აღარ მსურს მივენდო გულწრფელად უსტართა დაწერილ სტრიქონებს,
რათა ჩემს სატრფოზე უწინ სხვამ არ წაიკითხოს იგი.
მე თავდავიწყებას ვესწრაფვი, ჭორების შიშით მძულს შენიღბვა.
დაე, ასე თქვან: ილტვის ღირსეულისაკენ ღირსი“.

(IV, VII)

მეორე ელეგიაში შემოდის სულპიციას დაბადების დღის თემა, მაგრამ არა როგორც სიხარულის საფუძველი, არამედ როგორც დიდი წუხილისა, რადგან იგი შეიძლება ვერ შეხვდეს კერინთუსს. შესაბამისად, მისთვის ყველაზე სასიხარულო დღეც კი შეიძლება იყოს სევდის საბაბი, თუკი იგი მას დააშორებს, თუნდაც დროებით, საყვარელ კაცთან:

„ჩემი დაბადების დღე მზარავს, რადგან კერინთუსის თვინიერ
უნდა გავატარო იგი დარდით ამ უდაბურ სოფლად,
რომი — დიდებული ქალაქი! მოხიბლავს სოფელი ქალიშვილს,
ანდა არეტუმის მიწად მდინარი ანკარა წყარო?

ნულარ შეწუხდები, მესალა, ნუ ფიქრობ ჩემს ბედზე, დამშვიდდი.
უდროოდ მოდიხარ ხშირად, შენი ახლობელი გეტყვი:
თუკი ჩემს წაყვანას ინებებ, სულით და გრძნობით აქ დავრჩები,
რადგან არა მრთავ თავად ნადილის მიღწევის ნებას".

(IV, VIII)

და რაოდენ უცბად იცვლება სულპიციას დამოკიდებულება დაბადების დღის მიმართ, როდესაც იგი აღმოაჩენს, რომ ეს ზეიმი მას შეახვედრებს თავის სატრფოს, კერინთუსს:

„იცოდე, მწუხარე მგზავრობა ვეღარ შეაშინებს გოგონას,
ჩემს დაბადების დღეს რომში შევხვდებით, ძვირფასო, ერთად,
ეს დღე ჭეშმარიტად იქნება მოყვასთა ლამაზი ზეიმი,
დღე — მოულოდნელად ბედმა რომ გარდმოაღლინა ჩვენთვის".

(IV, IX)

შეიძლება ითქვას, რომ ამ სამი ელეგიის შემდეგ არსებითად ხდება ერთგვარი გარდატეხა. თუკი ამ ელეგიებში გადმოცემულია ქალის უღრუბლო სიყვარულის ამბავი, სადაც ერთადერთი წუხილი სატრფოსთან განშორებაა, შემდეგ მათ სიყვარულში უკვე გარკვეული დაძაბულობის ელემენტები შემოდის. ჩნდება ჯერ ეჭვიანობა, ამის ნიადაგზე ავადმყოფური განცდა სასიყვარულო ვნებისა, რაც ბოლოს მიდის სულპიციას სინანულამდე, ან სურვილამდე, შენიღბოს თავისი ვნება და ბოლომდე არ გაამჟღავნოს. და მართლაც, მეოთხე ელეგიაში ჩვენს წინ წარმოდგება სულპიცია, რომელსაც გაუჩნდა ეჭვის საფუძველი, მაგრამ იგი ინარჩუნებს სიმშვიდეს. აქ აშკარად გამოხატულია მისი, ალბათ როგორც მაღალი წრის წარმომადგენელი ქალის, უპირატესობის შეგრძნება იმ მდაბიო ქალის წინაშე, რომელთანაც მას თურმე ღალატობს კერინთუსი:

სულპიცია

„კარგია, ასე რომ ირწმუნე, საძრახისს არაფერს ჩავიდენ,
აღარ შეგაწუხებს მეტად ჩემს სისულელეზე ფიქრი,
რას იზამ, თუ უფრო გიზიდავს უგვანო, მდაბიო დიაცი,
ვიდრე სერვიუსის მოდგმა, სათნო სულპიცია ვიდრე;
ჩემი უბედობით შეძრული დამწუხრებულია ყოველი,
რათა არ ჩავუწვე ულირსს საწოლში ჩემივე ნებით".

(IV, X)

მაგრამ ეს ეჭვიანობა არ ჩაიელის უკვალოდ და აი, მეხუთე ელეგიაში წარმოგვიდგება სიყვარულით და იმის ფიქრით, რომ სათანადო პასუხს ვერ ჰპოვებს, თითქმის სნეულებამდე მისული სულპიცია:

„კელავაც თანაუგრძნობ, კერინთუს, შენს მოსიყვარულე გოგონას,
რომლის მოთენთილ სხეულს სნვავს დაუთმენელი ცეცხლი?
ამ ავადმყოფობის დაძლევას შეეძლებდი იმ რწმენით აღსავსე,
შენც რომ განუხებდეს ჩემი განუკურნებელი სენი.
აღარ მსურს ვებრძოლო სალმობას, რადგანაც ასეთი სიმშვიდით,
აუღელვებელი სულით ხვდები ჩემს განცდას და ტკივილს“.
(IV, XI)

ხოლო ფინალური ელეგია, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეულად მოასწავებს სულპიციასა და კერინთუსის სიყვარულის ერთი ეტაპის დასასრულს და მეორე ეტაპის დასაწყისს: შეყვარებულებს შორის თავს იჩენს, ერთის მხრივ, ჩადენილი საქციელის გამო სინანულის განცდა, ხოლო, მეორეს მხრივ, ერთგვარი თამაშის მომენტი, როდესაც სულპიციას გარკვეული მოსაზრებების გამო სურს დაფაროს სატრფოსადმი ვნება:

„ო, ჩემო ნათელო, აღარ მსურს ვგრძნობდე შენს მხურვალე სიყვარულს,
ისეთს, როგორსაც ვგრძნობდი ამ რამდენიმე ხნის წინ.
და თუკი შეეცოდე უაზროდ, ბავშვისათვის ჩვეული სიკდემით,
იყო საოცარი ცოდვა, რომელსაც გულწრფელად ვნანობ,
ვნანობ უფრო მეტად, მერწმუნე, ვიდრე ამღამინდელ ცოდვას,
ოდეს მიგატოვე, რადგან შენგან დამეფარა ვნება“.
(IV, XII)

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სულპიციას ჩვენამდე მოღწეული ელეგიების თემატიკა ერთგვარ მელოდრამატულ ელფერს ატარებს: თავიდან დიდი, გულწრფელი და დაუფარავი სიყვარული; შიში სატრფოსთან თუნდაც ცოტა ხნით განშორების გამო; შემდეგ ეჭვიანობა; ამის საფუძველზე თითქმის დასნეულება და ბოლოს, სიფრთხილე, რომელიც ჩნდება შეყვარებული სულპიციას დამოკიდებულებაში თავისი სატრფოს მიმართ.

რაც შეეხება იმ ელეგიებს, რომელნიც თუმცა ეძღვნებიან სულპიციასა და კერინთუსის სიყვარულის ამბავს, მაგრამ არ უნდა ეკუთვნოდნენ

პოეტ ქალს, ისინი არსებითად არ შეიცავენ ახალ ინფორმაციას განსხვავებულს იმისგან, რაზე საუბრის საფუძველსაც იძლევა თვით სულპიციას ელეგიები. მართალია, მათში არაფერია ნათქვამი თავად სულპიციას მიერ დაწერილ ლექსებზე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აეტორი მხოლოდ სულპიციას ელეგიებში წარმოჩენილი თემატიკით იფარგლება. უფრო მეტიც, ეს ელეგიები სულპიციას ლექსების ერთგვარ პოეტურ კომენტარებად თუ ვარიაციებად შეიძლება მივიჩნიოთ. და მართლაც, შეინიშნება საკმაოდ საინტერესო მიმართება არა მარტო სულპიციასთან აქცენტირებულ თემატიურ მომენტებთან, არამედ ამ თემების დალაგების რიგთანაც. ამ ჯგუფის პირველი ელეგია ასახელებს, უმღერის სულპიციას და მის სიყვარულს, რაც ზუსტად ეხმიანება თვით სულპიციას პირველ ელეგიაში სიყვარულის განცხადების თემას. მეორე ელეგია წარმოგვიდგენს სულპიციას მონატრებას, რაც ასევე აისახა სულპიციას მეორე ელეგიაში. შემდეგი ელეგია გადმოგვცემს სულპიციას ავადმყოფობის ამბავს და ვედრებას, რომ იგი განიკურნოს. აქაც სავსებით აშკარაა მიმართება სულპიციას იმ ლექსთან, სადაც მის დასნეულებაზეა მინიშნება. მეოთხე ელეგიაში შემოდის კერინთუსის დაბადების დღის თემა, რომელსაც სულპიცია გამოიყენებს, ერთის მხრივ, სატრფოსადმი კეთილი სურვილების აღსავლენად, ხოლო მეორეს მხრივ, თავისი ეჭვის გამოსათქმელად, ხომ არ არის ახლა იგი გატაცებული სხვა ქალით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ელეგიაც ეხმიანება ეჭვისა და სულპიციას ერთგვარი გაორების თემას. და ბოლოს, მეხუთე ელეგია თითქოს ერთგვარად ცდილობს, გაანეიტრალოს ის შიში და ეჭვი, რაც სულპიციას ელეგიებშია გამოთქმული სატრფოს მიმართ. აქ სულპიციას დაბადების დღე გამოყენებულია იმისათვის, რომ პოეტმა დალოცოს სულპიცია და დღეგრძელობა უსურვოს მისი და კერინთუსის სიყვარულს.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რითი უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ელეგიათა ეს ორი ჯგუფი ინფორმატიულად ასე ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. თუკი ჩვენ დავუშვებთ იმას, რომ ე.წ. ტიბულუსის ელეგიები დაწერილია სულპიციას ელეგიების გათვალისწინების გარეშე და ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ მესალას წრეში ცნობილ ისტორიას, მაშინ გაუგებარია, რატომ არ არის მათში ამ სატრფოთა სიყვარულის რაღაცა ახალ, სულპიციას ელეგიებისათვის უცნობ მომენტზე ან ეპიზოდზე საუბარი; რატომ არ ცდილობს პოეტი გვითხრას რაიმე ამ სიყვარულის დასაწყისზე და თუნდაც მისი განვითარების რაღაც ეტაპის დასასრულზე; რატომ ემთხვევა ეს ორი ჯგუფი ელეგიებისა

სულპიცია

ერთმანეთს სულპიცია-კერინთუსის სიყვარულის საკვანძო მომენტთა წარმოჩენაში. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ეჭვის სახით გამოვთქვათ ვარაუდი: ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ელეგიათა ორივე ჯგუფს ერთი და იგივე ავტორი ჰყავს. თუმცა ამჟამად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ სულპიცია დაფიქსირებულია რომაულ ლიტერატურაში როგორც პოეტესა. მიუხედავად იმისა, იგი ნამდვილად არსებობდა თუ არა, ფაქტი ერთია: მისი ლექსები წარმოგვიდგენს ჭეშმარიტად ქალის სამყაროს და რომც დავუშვათ, რომ ეს პოეტური ფიქციაა და მათი ავტორი კაცია, აქ მაინც ისეა გადმოცემული ადამიანური გრძნობები, როგორც ისინი ქალს შეეძლო აღექვა და აღებეჭდა.

შენიშვნა:

შდრ. Tibull, Gedichte. Lateinisch und deutsch von R. Helm, Berlin, 1979.

ოლიმპიასი

ბერენიკე

სოფონისბა

კალპურნია

ფულვია

ლივია

ოქტავია უმცროსი

იულია უფროსი

აგრიპინა უფროსი

მესალინა

აგრიპინა უმცროსი

პლოტინა

საბინა

დომიცია ლუცილა

ფაუსტინა უმცროსი

ლუცილა

ვალერია

ზენობია

ელენე

ფაუსტა

კონსტანტინა

გალა პლაციდია

ჰონორია

ქალები საზოგადოებიერლოგ



ოლიმპიასი

ოლიმპიასი ფილიპე II მაკედონელის ცოლი და ალექსანდრე მაკედონელის დედა იყო. ანტიკურ სამყაროში ოლიმპიასი ცნობილი იყო, როგორც თავისი დროის უმნიშვნელოვანესი და საოცრად ძლიერი ხასიათის ქალი. ბუნებით ოლიმპიასი თავშეუკავებელი ტემპერამენტის, ექსცესური გამოვლინების პიროვნება გახლდათ, რომლისთვის ზღვარი არ არსებობდა. ვერ აკავებდა მას ვერც ტრადიციული ღირებულებანი და ვერც მორალური პრინციპები. ანტიკური წყაროები მაკედონიის ლამაზ და ამაყ დედოფალს დემონური ბუნების ქალად მოიაზრებს, რომლის უკიდეგანო თავნებობას და სისასტიკეს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ძალაუფლების უზომოდ მოყვარულმა ოლიმპიასმა დაუნდობელი შურისძიება იცოდა. ასეთი იყო მოკლედ ალექსანდრე მაკედონელის დედა, რომელიც „მსოფლიოს მბრძანებელს" განსაკუთრებით უყვარდა. უნდა ითქვას ისიც, რომ დედამ არც თუ უმნიშვნელო როლი ითამაშა შვილის ცხოვრებაში.

ოლიმპიასი წარმოშობით მოლოსთა[1] ტომის ეაკიდთა სამეფო გვარს მიეკუთვნებოდა. ამ გვარს თავისი წარმომავლობა თავად გმირთაგმირ აქილევსამდე აჰყავდა. მათი საბრძანებელი მაკედონიის მოსაზღვრე ეპიროსის სამეფო იყო. ოლიმპიასის მამა — ეპიროსის მეფე ნეოპტოლემოსი ახალგაზრდა გარდაიცვალა და ორი შვილი დატოვა. ობლების ადგილი ტახტზე მათმა ბიძამ — არიბამ დაიკავა. თავის ძმისშვილებს იგი ყოველმხრივ ავიწროებდა და ჩაგრავდა.

როგორც გადმოგვცემენ, მაკედონიის მეფე ფილიპეს მომავალი ცოლი პირველად მაშინ უნახავს, როდესაც ოლიმპიასი ჯერ კიდევ გოგონა იყო და კუნძულ სამოთრაკეზე საიდუმლო ღვთისმსახურების აღსრულებაში იღებდა მონაწილეობას. ქალების უზომოდ მოყვარულ მეფეს გოგონა ძალ-

ზე მოსწონებია. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ოლიმპიასი წამოიზარდა, მაკედონიის მეფემ მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა.

ფილიპეს ადრეულ ქორწინებათა შესახებ ტრადიცია განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობს. ერთი ისტორიკოსი — სატიროსი[2] გადმოგვცემს, რომ ფილიპეს შვიდი ცოლი ჰყავდა, სხვები — ნაკლებ რიცხვს გვისახელებენ. თანამედროვე მეცნიერთ ყველაზე სარწმუნოდ ესახებათ სამი ცოლის ყოლა, თუმცა ისინი დაზუსტებით ვერ აცხადებენ, თუ როგორი წესით მოპყავდა მაკედონიის მეფეს ცოლები — ერთმანეთის მიყოლებით ირთავდა მათ, თუ სამივე ერთდროულად ესვა. როგორც ჩანს, წყაროები ამ ამბით დიდად არც ინტერესდებოდნენ. ვიცით მხოლოდ ის, რომ ფილიპეს ერთი ვაჟიშვილი, სახელად — არიდეოსი ჰყავდა.

ოლიმპიასის და ფილიპეს ქორწინება ფილიპეს გამეფების მესამე — ძვ.წ. 357 წელს სრულიად ოფიციალურად და განსაკუთრებით საზეიმოდ ჩატარდა. მაკედონური ტრადიციის თანახმად, მეფემ საპატარძლოს ხელი მის ძმას — არიმბასს სთხოვა.

უყვარდათ თუ არა ერთმანეთი ოლიმპიასსა და ფილიპეს? თუ მათ ქორწინებას პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა? ცნობილი მეცნიერი ფ. შახერმაირი ამ საკითხზე თავის მოსაზრებას გვთავაზობს: „ეჭვგარეშეა, რომ მათი ქორწინება სიყვარულით ქორწინება იყო. დასაწყისში ეს ორი გამორჩეული პიროვნება ისეთივე ძალით მიისწრაფოდა ერთმანეთისკენ, რა ძალითაც ისინი შემდგომ ერთმანეთს ხელს კრავდნენ. მაგრამ ფილიპე ფილიპე არ იქნებოდა, რომ ქორწინებას პოლიტიკური მიზნები არ ჰქონოდა. ბოლოს და ბოლოს, მაკედონიის სამეფო კარს ახლა ჰყავდა პატარძალი, რომლის ძარღვებშიც სამეფო სისხლი ჩქეფდა და რომელსაც სახელმწიფოს წარმოდგენა შეეძლო. მათი ვაჟიშვილი კი, შესაძლოა, სამეფო ტახტის ღირსეული მემკვიდრე გამხდარიყო."[3]

ცოლქმრული ცხოვრების დასაწყისი წყვილისთვის ბედნიერი გამოდგა. განსაკუთრებით სასიხარულო კი ძვ.წ. 356 წელი იყო, როდესაც მათ ვაჟიშვილი — ტახტის მემკვიდრე შეეძინათ. ბიჭუნას ალექსანდრე დაარქვეს. იგი მომავალში ალექსანდრე მაკედონელი — მსოფლიოს მბრძანებელი გახდება.

ცნობილია, რომ ტრადიცია დიდი ისტორიულ პიროვნებათა დაბადებას თუ ჩასახვას განსაკუთრებულ მოვლენებს უკავშირებს, რომელთა უმეტესობა მისტიურ საბურველშია გახვეული. ალექსანდრე მაკედონელის ჩასახვის დროსაც, წყაროების თანახმად, მრავალი უჩვეულო ამბავი მომხდარა.

ოლიმპიასს ქორწინების წინაღამეს ქუხილი მოესმა, უცებ თითქოს მეხიც გავარდა და პატარძალს მუცელზე დაეცა. ოლიმპიასი ცეცხლში გაეხვია, შემდეგ ალი ჰაერში გაიფანტა და მოჩვენებაც გაჰქრა. ქორწინების

შემდეგ მცირე ხანმა განვლო და ფილიპემ უცნაური სიზმარი ნახა — თითქოს მეუღლის მუცელს ბეჭედს არტყამდა. ბეჭედზე კი, როგორც მოეჩვენა, ლომი იყო გამოსახული... სახელგანთქმულმა არისტანდროს ტელმესელმა განაცხადა, ცარიელ რასმეზე ბეჭედს როდი არტყამენ, დედოფალი ფეხმძიმედ არის და შობს ვაჟს, რომელსაც ცეცხლის ძალა და ლომის გული ექნებაო (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 2).

მოგვიანებით თავად ალექსანდრე მაკედონელმა გაავრცელა ლეგენდები თავისი მისტიური ჩასახვის შესახებ. იგი ხომ საგანგებოდ ესტუმრა აფრიკაში უდაბნოს მეფედ წოდებულ ამონის სამისნოს, რათა ღმერთისთვის თავისი ჩასახვის საიდუმლო გამოეკითხა. ღმერთად განცხადებული ქურუმი მეფეს, როგორც საკუთარ შვილს, ისე შეეგება. თუმცა ეს მისი მიწიერი მამის — ფილიპეს უარყოფას როდი გულისხმობდა. პირიქით, სამისნოს განმარტების მიხედვით, შვილის ჩასახვის მომენტში ფილიპე თავად იყო ღმერთი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღმერთი ფილიპეში იყო განსხეულებული. თავის მხრივ ოლიმპიასიც ხელს უწყობდა ალექსანდრეს ღვთაებრივი წარმომავლობის ლეგენდის გავრცელებას — ქარაგმულად და ბუნდოვნად ლაპარაკობდა იგი შვილის ჩასახვის შესახებ (არიანოსი, „ალექსანდრეს ლაშქრობები", IV, 10, 2). რაც შეეხება ალექსანდრეს თანამედროვე მაკედონელებს, მათ ყველაზე ნაკლებად სჯეროდათ მაკედონიის მეფის ღვთიური წარმომავლობისა. შესაბამისად, ამაზე ისინი თავშეკავებით ლაპარაკობდნენ.

მალე ფილიპეს და ოლიმპიასს მეორე შვილიც ეყოლათ, 354 წელს ალექსანდრე მაკედონელის და — კლეოპატრა დაიბადა. ცოლსა და ქმარს შორის იმ ხანად ჯერ კიდევ ურთიერთგაგება სუფევდა. ოლიმპიასს გადაწყვეტილი ჰქონდა ეპიროსის სამეფო ტახტი თავისი ოჯახისთვის დაებრუნებინა. ეს ფილიპეს ინტერესებშიც შედიოდა, ამიტომ მაკედონიის მეფემ ძვ.წ. 351 წელს ეპიროსის იმჟამინდელი მბრძანებლის — არიბას წინააღმდეგ ჯარი დაძრა და აიძულა იგი, მისთვის ოლიმპიასის ძმა — არიმბასი გადაეცა. ძვ.წ. 342 წელს კი, როცა არიმბასი სრულწლოვანი შეიქმნა, მაკედონელებმა არიბა ეპიროსიდან გააძევეს და ტახტზე არიმბასი აიყვანეს. ძმის მეშვეობით მშობლიურ ეპიროსს ოლიმპიასი დაუბრკოლებლად, თავის ნება-სურვილზე განაგებდა. ფაქტობრივად, ეპიროსი მაკედონიის სამეფოს დაექვემდებარა.

ოლიმპიასი

გადიოდა დრო. ცოლსა და ქმარს შორის ნელ-ნელა ქრებოდა სიყვარულიც და ურთიერთგაგებაც. ორ მკვეთრად გამოხატულ პიროვნებას ერთ ჭერქვეშ ცხოვრება უძნელდებოდა — თითქოს ერთი — მეორეს თავისუფლებას უზღუდავდა. ოლიმპიასს არამც და არამც არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ბრწყინვალე მეფის ცოლი და ძლიერი სახელმწიფოს დედოფალი ყოფილიყო. ამ ქალის ბუნებაში აქამდე მიძინებული ძალაუფლების სიყვა-

რული და შურისძიების დაუოკებელი ლტოლვა ნელ-ნელა გამოდიოდა სააშკარაოზე. მაკედონიის დედოფალს სასტიკად სძულდა ფილიპეს ყოფილი ცოლები და მათი ნაშიერნი. ამბობდნენ იმასაც, რომ ფილიპეს ვაჟიშვილი არიდეოსი დაბადებით გონებასუსტი არ ყოფილა და გონება მხოლოდ მას შემდეგ აემღვრა, რაც ოლიმპიასმა სხვადასხვა საწამლავი ასვაო (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 77).

რელიგიური ორგიები ოლიმპიასის ჭეშმარიტი სტიქია იყო. დიონისური ბაკქანალიები და ორფიკული მისტერიები — ეს იყო ის, რასაც დედოფალი ყველაზე მეტად მიელტვოდა. ბუნებითი ცრუმორწმუნეობა მის რელიგიურ გრძნობებს ექსცესურ გამოხატულებას სძენდა — ოლიმპიასის ღვთისმსახურება გადაჭარბებული, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული იყო.

„იგი ბარბაროს ქალებს ჰბაძავდა და, როცა ბაკქ ქალთა გუნდში მიდიოდა, თან მოშინაურებული დიდი გველებიც მიჰყავდა. დედოფლის გველები ხშირად გამოძვრებოდნენ ხოლმე სუროს ფოთლებიდან და სამისტერიო კალათებიდან. მერმე ბაკქი ქალების სუროთი შემოსილ კვერთხებსა და გვირგვინებს ეხვეოდნენ. ეს სანახაობა იქ მყოფ მამაკაცებს შიშის ზარს ჰგვრიდა" (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 2).

როგორც ჩანს, ოლიმპიასის ამგვარი რელიგიური გრძნობების ფილიპესაც საკმაოდ ეშინოდა. ყოველ შემთხვევაში, როცა მძინარე ოლიმპიასის გვერდით გველი იხილა, ფილიპეს ცოლისადმი სიყვარულის და სინაზის გრძნობა მეტისმეტად გაუნელდა და მასთან დაწოლის სურვილი გაუქრა. შესაძლოა, მას დედოფლის ჯადოქრობის ეშინოდა და ამასთან ფრთხილობდა, მეუღლემ არ მომწამლოსო — გადმოგვცემს პლუტარქე (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 2). მალე ფილიპემ ერთ-ერთ ბრძოლაში ცალი თვალი დაკარგა. ეს ისტორიული ფაქტია. მაგრამ ამის შესახებ სულ სხვანაირი ლეგენდა შეიქმნა. ამბობდნენ, მეფემ კარის ხვრელიდან დედოფლის ოთახში შეიხედა და მასთან მწოლიარე ღმერთი ამონი იხილა, რომელსაც გველის სახე მიეღო. ღმერთის ხილვამ კი მეფეს თვალის ჩინი დააკარგვინა — ყოველ შემთხვევაში, ასეთია ის ლეგენდა, რომელსაც პლუტარქეს ნაწარმოებში ვხვდებით (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 2).

ოლიმპიასის ხასიათი და მისი საიდუმლო იერსახე, როგორც ჩანს, გადამწყვეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეფე ცოლს განრიდებოდა. ცოლისადმი გაუცხოებამ კვლავ გააღვიძა მის ბუნებაში დროებით მინელებული ქალების სიყვარული. ფილიპემ მეორეხარისხოვანი ცოლები კვლავ გაიჩინა. ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. 346 წლიდან მოყოლებული წყაროები ასეთი ცოლების არსებობას გვიმოწმებენ. ბუნებრივია, რომ ამაყ დედოფალს ქმრის საქციელი ძლიერ სტკენდა გულს და თანდაყოლილი შურისძიების

ჟინს უღვიძებდა. მაგრამ ოლიმპიასი ჯერ-ჯერობით თავს იკავებდა. იგი ჩამოსცილდა ქმრის ცხოვრებას და მთელი სიყვარული და ყურადღება თავის ვაჟიშვილზე გადაიტანა. მბრძანებლობის მოყვარული, უდრეკი ბუნების და მკაცრი ხასიათის ოლიმპიასი თურმე ძალზე მოსიყვარულე და თბილი დედა ყოფილა. პატარა ალექსანდრეს აღზრდას დედა ხელმძღვანელობდა. პედაგოგები მან ეპიროსიდან ჩამოიყვანა. მათგან მთავარი ლეონიდასი იყო, რომელიც ალექსანდრეს სპარტანული წესებით ზრდიდა. იგი იმდენად მკაცრად ექცეოდა თურმე ყმაწვილს, რომ ოლიმპიასს შვილი ეცოდებოდა და პატარა ალექსანდრეს ხშირად საწოლში მალულად ნუგბარსა და ტკბილეულს უდებდა. მეორე მასწავლებელიც — ნარმოშობით ბერძენი ლისიმაქოსი ეპიროსიდან იყო. რაც შეეხება ფილიპეს, ამ ხანად მას შვილზე გავლენა თითქმის არ ჰქონდა. ჯერ ერთი იგი სახლში ფაქტიურად არც იმყოფებოდა. ამას გარდა, ქმრის გამუდმებული ღალატით შეურაცხყოფილი და გამძვინვარებული ოლიმპიასი ნებსით თუ უნებლიედ შვილს მამის წინააღმდეგ განაწყობდა. ალექსანდრეც მამას დედის თვალით ხედავდა. რაც უფრო იზრდებოდა ყმაწვილი, მით უფრო ღრმავდებოდა გაუცხოება მამასა და შვილს შორის. ფილიპე კარგად ხვდებოდა, თუ რაოდენ დიდი იყო ალექსანდრეზე დედის გავლენა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ალექსანდრეს აღმზრდელები ოლიმპიასის მხარეზე იყვნენ. და მაკედონიის მეფემ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ დაესვა წერტილი ამისთვის. როგორც კი ყმაწვილი საკმარისად წამოიზარდა — ალექსანდრე 13 წლისა გახდა, ფილიპემ შვილის აღზრდა თავის თავზე აიღო და მომავალი მეფის განსასწავლად სასახლის კარზე ყველაზე სახელგანთქმული ფილოსოფოსი — ბრძენთა შორის უბრძენესი — თავად არისტოტელე მოიწვია.

სწავლების ის წესი, რომელიც არისტოტელემ ალექსანდრესთვის შეარჩია სავსებით შეესატყვისებოდა ფილიპეს მიზნებს. მაკედონიის მეფეც კმაყოფილი იყო. თუმცა დედის მიმართ ალექსანდრეს დამოკიდებულება არ შეცვლილა. ოლიმპიასს უკვე გაელვივებინა მის გულში ის მარცვალი, რომელმაც შემდგომში თავისი ნაყოფი გამოიღო. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ალექსანდრეს დედა უზომოდ უყვარდა, მუდამ ანებივრებდა მას, არ აკლებდა ფუფუნებას. ერთი ამბავი განსაკუთრებით საჩინოს ხდის მეფის დამოკიდებულებას დედისადმი, თუმცა იგი კარგა ხნის შემდეგ, მაშინ მოხდა, როცა ალექსანდრე მაკედონელი სამშობლოში უკვე აღარ იმყოფებოდა. აზიაში სალაშქროდ წასვლის წინ, ალექსანდრემ შინ, მაკედონიაში მმართველობა ანტიპატროსს[4] ჩააბარა. ამან ოლიმპიასი საშინლად განარისხა, რადგან მას თავად უნდოდა მაკედონია ემართა. ამიტომ თუმცა ფორმალურად იგი მისთვის საძულველ ანტიპატროსს ემორჩილებოდა, ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ შვილისადმი მიწერილ წერილებში ანტიპატროსისთვის რაიმე არ და-

ოლიმპიასი

ებრალებინა. ბუნებრივია, გულხელდაკრეფილი არც მეორე მხარე იყო. ალექსანდრე მათ მიმართ წონასწორობას ინარჩუნებდა და თითოეული მათგანის ბრალდებასა თუ საყვედურს გულმშვიდად იღებდა. მაგრამ ეს მაინც მოჩვენებითი ნეიტრალობა იყო, გულის სიღრმეში, როგორც ჩანს, მეფეს მაინც აღიზიანებდა ანტიპატროსის ბრალდებები. თუმცაღა გაღიზიანება მეფემ მხოლოდ ერთხელ გამოავლინა, აი მაშინ, როდესაც მაკედონიის დროებითმა მბრძანებელმა ალექსანდრეს გრძელი წერილი მისწერა. წერილი ოლიმპიასის მიმართ საყვედურებით იყო სავსე. ალექსანდრემ ბარათი გულდასმით წაიკითხა, შემდეგ კი განაცხადა: „ანტიპატროსს არ სცოდნია, დედის ერთი ცრემლი რომ ათი ათასს ასეთ წერილს დაგავიწყებსო" (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 39).

ალექსანდრე მაკედონელს სიჭაბუკის ხანა დაუდგა, როდესაც მამამისი ფილიპე ისევ მოიცვა ახალმა ვნებამ, ამჯერად მაკედონიის მეფის სასიყვარულო ლტოლვა ფრიად სერიოზული აღმოჩნდა. ორმოცდაექვსი წლის მეფეს გატაცებით შეუყვარდა ნორჩი ქალწული, სახელად — კლეოპატრა. კლეოპატრა მაკედონიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარჩინებული ოჯახიდან იყო. მას ბიძა — ატალოსი მეურვეობდა, რომელიც მაკედონიაში ძალზე გავლენიან პირად ითვლებოდა. ატალოსი არაფრის დიდებით არ დაანებებდა ფილიპეს, რომ მას კლეოპატრა ერთ-ერთ და არა ერთადერთ ცოლად მოეყვანა, ისე, როგორც ამას აქამდე მაკედონიის მეფე აკეთებდა. არა, თუ ფილიპეს კლეოპატრა სურდა, ქალი ყველა წესის დაცვით უნდა ეთხოვა და კანონიერი მეუღლის და დედოფლის რანგში აეყვანა. რომ არა ალექსანდრე, ფილიპე არანაირი გასაჭირის წინაშე არ დადგებოდა. იგი გასცილდებოდა ოლიმპიასს, რომელიც უკვე სძულდა კიდეც, დედოფლად კი დაისვამდა იმ ქალს, რომელიც ასე უყვარდა და რომელიც ასე სურდათ, ეხილათ მაკედონიის დედოფლად მის წარჩინებულ თანამემამულეთ. ახლა კი საქმე გაცილებით რთულად იყო. ატალოსი მარტო იმას კი არ ითხოვდა, რომ კლეოპატრა ფილიპეს კანონიერ ცოლად მოეყვანა, არამედ მაკედონიის მეფეს იგი პირობას უდებდა — ახალი ქორწინებიდან გაჩენილ შვილებს მემკვიდრეობის უფლება უნდა ჰქონოდათ.

მეფისადმი წაყენებული მოთხოვნები ერთობ მკაცრი იყო. მაგრამ ფილიპე მაინც დაქორწინდა. ალექსანდრეს იგი კვლავ თავის მემკვიდრედ მიიჩნევდა.

ახალმა ქორწინებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მამასა და შვილს შორის ურთიერთობა ძალზე გაართულა. ქორწილზე მომხდარმა ამბავმა ცეცხლს ნავთი წაუკიდა. როდესაც ქეიფის დროს ატალოსსა და ალექსანდრეს შეხლა-შემოხლა მოუვიდათ, ფილიპე ახალი ნათესავის მხარეზე დადგა და შვილის წინააღმდეგ მახვილი აღმართა. უზომოდ შეურაცხყოფილმა ალექსანდრემ არჩია, მამას განრიდებოდა, დედა ეპიროსში წაიყვანა, თვი-

თონ კი მაკედონია დატოვა და ილირიელებთან გაემგზავრა. როგორც ჩანს, დედა-შვილი გზებს ეძებდა, რათა ფილიპეს წინააღმდეგ გაელაშქრათ. ოლიმპიასი ცდილობდა თავისი ძმა — არიმბასი დაეთანხმებინა მაკედონიის წინააღმდეგ ომზე, ალექსანდრე კი, თავის მხრივ, მაკედონიასთან საბრძოლველად მოკავშირეებს ილირიაში ეძებდა.

რა უბიძგებდა ამ ომისკენ ალექსანდრეს, რა იყო მისი მოქმედების ჭეშმარიტი მიზეზი? — „იყო ეს მარტოოდენ შურისძიება დედის გამო, თუ მას ეშინოდა, რომ მაკედონიის მემკვიდრეობა არ დაეკარგა? არ ვიცით. თუმცა ყველაზე უფრო, ალექსანდრეს მაინც იმის სურვილი ამოძრავებდა, რომ მამისაგან განთავისუფლებულიყო, მამისგან, რომელიც მის წინ იდგა და რომელიც მას ხელს უშლიდა“, — კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ შახერმაირის მოსაზრებას.[5]

მოვლენები, ალბათ, მართლაც საბედისწეროდ განვითარდებოდა, რომ არა ფილიპეს ხასიათის ერთი უმთავრესი ნიშანი. ჩვენ ჯერ არ გვითქვამს, რომ ფილიპე მაკედონელი გასაოცარი დიპლომატიური ნიჭით იყო დაჯილდოებული, ნიჭით, რომელმაც მის გამარჯვებებში, ალბათ, უფრო დიდი როლი ითამაშა, ვიდრე მისმა სამხედრო გამოცდილებამ. მან ამ ურთულეს სიტუაციაშიც მოახერხა მდგომარეობის განმუხტვა და საბედისწერო დაპირისპირება შვილთან თავიდან აიცილა. ფილიპემ ვაჟიშვილი მაკედონიაში მიიპატიჟა, სადაც ყოველგვარი წესის დაცვით იგი ტახტის მემკვიდრედ აკურთხებინა. რაც შეეხება ალექსანდრეს მტერს — ატალოსს, იგი მაკედონიის მბრძანებელმა მცირე აზიაში გააგზავნა, რათა დაუძინებელ მეტოქეთა ახალი დაპირისპირება აღარ მომხდარიყო.

ახლა ოლიმპიასის დაწყნარებაც იყო საჭირო. მაკედონიის ყოფილ დედოფალს შესთავაზეს, რომ ქალიშვილი — კლეოპატრა თავისი ძმის — არიმბასისთვის მიეთხოვებინა. ქორწინება, ბუნებრივია, მაკედონიას და ეპიროსს ერთმანეთთან კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებდა, შესაბამისად ოლიმპიასიც მაკედონიაში თავის გავლენას შეინარჩუნებდა. ოლიმპიასი წინადადებაზე დასთანხმდა. ქორწილის დღეც და ადგილიც დანიშნეს.

ოლიმპიასი

ძვ.წ. 336 წელს კლეოპატრას და არიმბასის ქორწილი მაკედონიის ძველ სატახტო ქალაქში დიდი ბრწყინვალებით გაიმართა. მაგრამ მაკედონიის მეფისთვის ქალიშვილის ქორწინება საბედისწერო აღმოჩნდა. საზეიმო ლხინის დროს ფილიპე ვერაგულად მოკლეს. მკვლელი — მაკედონელი მხედარი პავსანიასი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ მეფის მცველებმა იგი ადგილზევე შეიპყრეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. გამოცხადდა მკვლელობის ოფიციალური ვერსიაც. ფილიპეს მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებდნენ. პავსანიასმა იმიტომ იძია მაკედონიის მეფეზე შური, რომ ეს უკანასკნელი არ დასთანხმდა პავსანიასს, რათა მას ატალოსის წინააღმდეგ საქმე სასამართლოში აღეძრა (ატალოსსა და მაკედონელ

წარჩინებულს დიდი ხნის მტრობა აკავშირებდათ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ კაცების მოყვარულმა ატალოსმა პავსანიასი შეურაცხყო). ერთი შეხედვით, ვერსია სიმართლესთან ახლოს ჩანდა. ამგვარი შურისძიება მაკედონურ ადათ-წესებს სავსებით შეესაბამებოდა და მაინც, იგი ბევრ კითხვას ბადებდა. ოფიციალური განაცხადის გვერდით კი გაჩნდა ჭორები, რომელთა მიხედვით კვალი ოლიმპიასამდე მიდიოდა. პლუტარქე ასეთ ვარიანტს გვთავაზობს: „ოლიმპიასმა ისედაც აღელვებული ახალგაზრდა კიდევ უფრო აღაშფოთა და წააქეზაო. ცილისწამება ნაწილობრივ ალექსანდრესაც შეეხო"... (პლუტარქე, „ალექსანდრე მაკედონელი", 10).

ფილიპეს მკვლელობაში ოლიმპიასის ერთგვარი მონაწილეობა თანამედროვე მეცნიერთათვისაც სარწმუნო ჩანს და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ატალოსი და ფილიპე ისეთივე დაუძინებელი მტრები იყვნენ ოლიმპიასის, როგორც პავსანიასისა. ბუნებრივია, რომ ოლიმპიასი დიდი სიამოვნებით შეუერთდებოდა მათზე შურისმაძიებლებს. მაგრამ დედოფლისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო — ის, რომ მის ვაჟიშვილს მაკედონიის ტახტი შეენარჩუნებინა. ფილიპეს უკვე ეყოლა ქალიშვილი, მომავალში მას ვაჟიშვილიც შეიძლებოდა გასჩენოდა. აი მაშინ კი, ვინ იცის, რა მოხდებოდა... ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავო იყო — ალექსანდრეს მემკვიდრეობა ამიერიდან მუდმივად საორჭოფო იქნებოდა. ხოლო იმისთვის, რომ მაკედონიის მეფეს მეტი შვილი არ ჰყოლოდა, ის უნდა მომკვდარიყო. ლოგიკა ამაში ნამდვილად იყო. ოლიმპიასის შურისძიებაში მონაწილეობა კიდევ უფრო სარწმუნო ხდება, თუ დედოფლის ხასიათსაც გავიხსენებთ. ალბათ საგულისხმოა ისიც, რომ მაკედონიაში დაბრუნებულმა ოლიმპიასმა პავსანიასის საფლავზე საგანგებოდ იზრუნა. რაც შეეხება ალექსანდრეს, არავინ იცის, გაანდო თუ არა მას თავისი გეგმები დედამ, შესაძლოა, არ გაუმხილა.

ალექსანდრე მაკედონელი სასტიკად გაუსწორდა ყველას, ვინც კი მამის მკვლელობაში საეჭვოდ მიიჩნია. მან სიკვდილით დასაჯა ლინკესტიდები, ამინტასი,[4] ატალიდთა გვარის მამაკაცები, თავად ფილიპეს მამრობითი სქესის შთამომავლები. მამაკაცთაგან ცოცხალი მან მხოლოდ გონებასუსტი არიდეოსი დატოვა. რაც შეეხება ქალებს, თავისი გვარის ქალები ალექსანდრე მაკედონელმა შეინყალა. მაგრამ მათ ოლიმპიასი გაუსწორდა. როგორც კი ალექსანდრე აზიაში სალაშქროდ წავიდა, ოლიმპიასმა დრო იხელთა. მისი პირველი მსხვერპლი ჩვილი ევროპე იყო — ფილიპესა და კლეოპატრას გოგონა. ოლიმპიასმა ბრძანა, რომ ბავშვი დედის კალთაში დაეკლათ. შემდეგ მან აიძულა ფილიპეს ახალგაზრდა ცოლი თავად მოესწრაფა სიცოცხლე. უნდა ითქვას, რომ ამ საზარელმა მკვლელობებმა ალექსანდრე აღაშფოთა და ლაშქრობიდან მოწერილ წერილში დედას თავისი უკმაყოფილება გამოუთქვა.

ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ ალექსანდრემ ლაშქრობაში წასვლის წინ, მაკედონიის განმგებლად ანტიპატროსი დატოვა, აღვნიშნეთ ისიც, თუ როგორი დაძაბული იყო ურთიერთობა ანტიპატროსსა და ოლიმპიასს შორის. ხელისუფლების გარეშე დარჩენილმა ოლიმპიასმა თავისი წრე შემოიკრიბა გარშემო, საკუთარი სამეფო კარი მოიწყო, მეტიც, დედოფალი ცდილობდა, სახელმწიფოში სახელმწიფო შეექმნა. ამასთან ქვეყნის მართვაში განუწყვეტლივ ერეოდა. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ალექსანდრემ გადამწყვეტი სიტყვა არ თქვა და ერთხელ და სამუდამოდ არ აუკრძალა დედას ანტიპატროსის საქმეებში ჩარევა. მაშინ ძვ.წ. 331 წელს ოლიმპიასმა მაკედონია დატოვა.

სწორედ ამ დროს მოვლენები დრამატულად განვითარდა მის მშობლიურ ეპიროსში. გარდაიცვალა ეპიროსის მეფე და ოლიმპიასის ძმა — არიმბასი. მმართველობის ხელში ჩაგდება მის ცოლს და ოლიმპიასის ქალიშვილს — კლეოპატრას სურდა, მაგრამ ეპიროსის პოლიტიკურ სარბიელზე მოულოდნელად ოლიმპიასი გამოჩნდა და მართვის სადავეები მალევე ჩამოართვა კლეოპატრას. ყოფილი დედოფალი იძულებული გახდა მაკედონიაში წასულიყო. იქ მან ანტიპატროსს შესთხოვა მფარველობა. ოლიმპიასი კი ეპიროსში დარჩა და მშობლიური სამეფოს ერთპიროვნული მმართველი შეიქნა, თუმცა ამის შემდეგაც მაკედონია დედოფლის ინტერესთა სფეროში კვლავ შედიოდა და იგი შორიდანაც მშვენივრად ახერხებდა საძულველი ანტიპატროსისთვის ინტრიგების მოწყობას.

დადგა საბედისწერო ძვ.წ. 323 წელი. 33 წლის მსოფლიო მბრძანებელი ბაბილონში გარდაიცვალა. მას ოფიციალური მემკვიდრე არ დაუტოვებია. გენიალური მეფის მიერ შექმნილი ვეებერთელა სახელმწიფო წარმოუდგენელმა არეულობამ მოიცვა. იმპერიის მომავლის ორი ალტერნატივა არსებობდა. ერთი — ალექსანდრეს მემკვიდრისთვის (თუ მემკვიდრეთა ჯგუფისთვის) ცენტრალიზებული ხელისუფლების გადაცემა — ანუ, ფაქტობრივად, მართვის იმპერიული პრინციპების შენარჩუნება იყო. ამ შემთხვევაში არჩეულ პირს ალექსანდრე მაკედონელის როლი უნდა შეესრულებინა. მეორე ალტერნატივა კი ის იყო, რომ იმპერია ალექსანდრეს მხედართმთავართათვის — სატრაპებისთვის დაენაწილებინათ და თავისებურ „სატრაპთა ფედერაციად" ექციათ. ამ შემთხვევაში სამეფო ოჯახი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ეს წინადადება პირველად ალექსანდრეს ერთ-ერთმა გამოჩენილმა მხედართმთავარმა პტოლემაიოსმა წამოაყენა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამისთვის სიტუაცია ჯერ არ იყო მომწიფებული. მმართველობის ტრადიციული ფორმების დაშლა არც ისე ოლი გახლდათ — არც დიდგვაროვანთა საბჭომ და არც ჯარმა პტოლემაიოსის წინადადებას მხარი არ დაუჭირა.

ოლიმპიასი

მმართველობის ის ფორმა, რომელიც ალექსანდრეს გარდაცვალების

შემდგომ შეიქმნა, ფაქტობრივად კომპრომისულ ვარიანტს წარმოადგენდა. სამეფო ოჯახი ინარჩუნებდა მმართველობის სადავეებს — იმპერიის სათავეში მდგომი მეფის როლი გონებასუსტ არიდეოსს უნდა შეესრულებინა. მის თანამმართველად კი გამოაცხადეს ალექსანდრეს და როქსანას[7] ჩვილი ვაჟიშვილი, რომელსაც შემდგომ, როცა სრულწლოვანი გახდებოდა, ხელისუფლება უნდა გადასცემოდა. მანამდე კი სახელმწიფოს საქმეების წარმართვა სამთავრობო კოლეგიას დააკისრეს. იმპერიის ამგვარმა მოწყობამ არ გაამართლა. და სწორედ იმის გამო, რომ მმართველთა ფუნქციები და მათი კომპეტენცია მკვეთრად გამიჯნული არ იყო, ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც მიღებული არ აკმაყოფილებდა და გაცილებით მეტზე აცხადებდა პრეტენზიას.

რას აკეთებდა ამ დროს ეპიროსში მყოფი ოლიმპიასი? ერთობ საკვირველი იქნებოდა, რომ ძალაუფლებისთვის წარმოებულ ამ სასტიკ ბრძოლაში ოლიმპიასი გულხელდაკრეფილი მჯდარიყო. თანაც ჯერ-ჯერობით მას არაფერი შეახვედრეს. განსაკუთრებით კი დედოფალს ის აშფოთებდა, რომ მის დაუძინებელ მტერს — ანტიპატროსს — მაკედონიის ნაცვლის და ელინური კავშირის ავტონომიური სტრატეგოსის თანამდებობა მიანიჭეს.

ამ დროს ალექსანდრეს სარდლებს შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა პერდიკასის[8] ფიგურა, რომლის ამბიციებიც თანდათანობით იზრდებოდა. ოლიმპიასმა მაშინვე დაადგა მას თვალი, რამეთუ მიაჩნდა, რომ ანტიპატროსთან დასაპირისპირებლად ყველაზე მეტად მას პერდიკასი გამოადგებოდა. ამიტომაც ეპიროსიდან დაუყოვნებლივ დაუკავშირდა პერდიკასს, მოკავშირეობა აღუთქვა და თავისი ქალიშვილის — დაქვრივებული კლეოპატრას ხელიც შესთავაზა. პერდიკასს ახლა აშკარად გაუჩნდა პრეტენზია იმპერიის ერთმმართველი გამხდარიყო. მაგრამ თავად მაკედონიაში ოლიმპიასის რჩეულს მომხრეები არ ჰყავდა. პერდიკასის მისწრაფებასა და ამბიციებს მისით უკმაყოფილო პირებმა იმით უპასუხეს, რომ მის წინააღმდეგ კოალიცია შექმნეს. ამ უკანასკნელს მთავარსარდლის ნიჭი არ აღმოაჩნდა და ძვ.წ. 321 წელს იგი მისივე მხედართმთავრებმა გამოასალმეს სიცოცხლეს. ამჯერად ოლიმპიასი დამარცხდა. ამ დამარცხებას ოლიმპიასისთვის მეტად საავალალო შედეგი მოჰყვა. მისი უპირველესი მტრის — ანტიპატროსის პოზიციები გამყარდა. იმპერიის მმართველობა ანტიპატროსს გადაეცა, რომელიც არიდეოსთან, როქსანასთან და მის ჩვილ ვაჟიშვილთან ერთად დაბრუნდა მაკედონიაში. ეეებერთელა იმპერიის მართვა ამიერიდან მაკედონიიდან უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ არც ანტიპატროსის ხელისუფლება აღმოჩნდა დღეგრძელი. იგი საკმაოდ ხანდაზმული იყო და ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ — ძვ.წ. 319 წელს გარდაიცვალა.

ანტიპატროსის მიერ დატოვებულმა ანდერძმა ისედაც დაძაბული სიტუაცია უკიდურესად გაამწვავა. საქმე ის იყო, რომ მან თავის მემკვიდრედ და, შესაბამისად, სახელმწიფოს რეგენტად საკუთარი ვაჟიშვილი — კასანდროსი არ დაასახელა. კასანდროსი[9] ამან სასტიკად აღაშფოთა. მემკვიდრედ ანტიპატროსმა პოლიპერქონი[10] დანიშნა, კაცი, რომელიც მაკედონელებს არ უყვარდათ. შესაბამისად, მათ უარი განაცხადეს, დამორჩილებოდნენ პოლიპერქონს. პოლიპერქონი არც სხვადასხვა მხარეში გაბნეულმა ალექსანდრეს მთავარსარდლებმა აღიარეს. მაშინ ახლადდანიშნულმა რეგენტმა გადაწყვიტა, მოკავშირე მოენახა. მოკავშირე მას სამეფო ოჯახში უნდა მოეძია, რათა თავისი მდგომარეობა ალექსანდრეს სანათესაოსთან კავშირით როგორმე განემტკიცებინა. და აი, ასპარეზზე კელავ ოლიმპიასი გამოჩნდა. პოლიპერქონმა იგი თავის თანამმართველად გამოაცხადა. გამარჯვების სასწორი თითქოს ალექსანდრეს დედის მხარეზე გადაიხარა. პირველ დამარცხებას ამჯერად წარმატება მოჰყვა.

მაგრამ ეს მხოლოდ ახალი კრიზისის დასაწყისი გამოდგა, რომელსაც სამეფო ოჯახის დაღუპვა და იმპერიის დაშლა მოჰყვა.

პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენთვის აქამდე უცნობი ფიგურა ჩაერია. ეს გონებასუსტი არიდეოსის ცოლი — ევრიდიკე იყო. იგი ძლიერი ხასიათის და უზომოდ ენერგიული ქალი გახლდათ. მან მოახერხა თავისი ნებისთვის დაექვემდებარებინა უნებისყოფო არიდეოსი — იმპერიის ნომინალური მმართველი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არიდეოსის მართვასთან ერთად ევრიდიკე სახელმწიფოსაც მართავდა. ევრიდიკემ კიდევ ერთი რამ შეძლო — ჯარი მან ანტიპატროსის — ამ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი მოღვაწის წინააღმდეგ განაწყო. ხოლო როცა ანტიპატროსის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, თუ რაოდენ უსამართლოდ მოექცა იგი თავის კანონიერ მემკვიდრეს — კასანდროსს, ევრიდიკეს მშვენიერი საშუალება მიეცა, ყველასთვის კარგად ეჩვენებინა, რამხელა ძალაუფლებას ფლობდა. იგი არა მარტო დადგა კასანდროსის მხარეზე, არამედ სხვებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიპერქონის და ოლიმპიასის წინააღმდეგ ომის გაჩაღებაში. ძალები ასე გადანაწილდა — ერთ ნაპირზე აღმოჩნდნენ ალექსანდრეს მთავარსარდლები, კასანდროსი, არიდეოსი და ევრიდიკე, მეორე მხარეს კი — პოლიპერქონი და ოლიმპიასი.

ოლიმპიასი

ომი ოლიმპიასმა დაიწყო და თავისი ჯარით მაკედონიას დაესხა თავს. აქ მას წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ოლიმპიასს ხელში ჩაუვარდნენ არიდეოსი და ევრიდიკე, რომლებიც დედოფალმა სამაგალითო სისასტიკით დასაჯა. ტყვეები დილეგში ჩაყარა და ბრძანება გასცა, რომ ცოცხლად დაემარხათ. შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა — არიდეოსი მოაკვლევინა; რაც შეეხება ევრიდიკეს, ნამების თავიდან ასაცილებლად, ქალმა თავადვე მოისწრაფა სიცოცხლე.

ოლიმპიასს ხელ-ფეხი გაეხსნა და „ეპიროსელმა ჯადოქარმა“, როგორც მას უწოდებდნენ, სრულად დაიკმაყოფილა შურისძიების დაუოკებელი ჟინი. პირველ რიგში იგი საძულველი ანტიპატროსის ოჯახს გაუსწორდა, შემდეგ თავისი ქმრის — ფილიპეს მრავალრიცხოვანი ნაბიჭვრები ამოახოცვინა, ბოლოს კი — ყველა იმ მაკედონურ გვარს მიადგა, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სძულდა. გადმოგვცემენ, რომ გამხეცებული ქალი თავისი მტრების ჯერ არშობილ, დედის მუცელში მყოფ ნაშიერთაც კი არ ინდობდა. მაკედონელებისთვის უცხო, ჯერ არ ნახულმა ამ სისასტიკემ, ისინი დედოფლის წინააღმდეგ განაწყო. ოლიმპიასს ყველა განუდგა. პოლიპერქონმაც საბოლოოდ გაიფუჭა სახელი. და მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო და რასაც ყველა მოელოდა. კასანდროსი მაკედონიაში შეევიდა. ქვეყანა მას უბრძოლველად ჩაბარდა. ოლიმპიასი პიდნაში იყო გამაგრებული. პიდნას კასანდროსმა ალყა შემოარტყა და იოლად აიღო. შემდეგ კი ალექსანდრე დიდის დედა ტყვედ აიყვანა. განაჩენი დედოფალს მაკედონიის სამხედრო კრებამ გამოუტანა — მას სიკვდილი მიუსაჯეს. ძვ.წ. 316 წელს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ოლიმპიასის სიკვდილის შემდეგ კი კასანდროსმა დაიწყო ყველას და ყველაფრის განადგურება, რაც კი ოლიმპიასის და ალექსანდრეს სახელთან იყო დაკავშირებული.

შენიშვნები:

[1] მოლოსები — იმ ტომების საერთო სახელწოდება, რომლებმაც ეპიროსში ტომობრივი სახელმწიფო შექმნეს. სახელმწიფო ჩრდილოეთ პინდოსში ჩამოყალიბდა და შემდეგ სამხრეთის მიმართულებით განივრცო (ეპიროსი არის ადგილი თესალიის დასავლეთით პინდოსის მთაგრეხილის გადაღმა). ტომთა ჯარის და სამეფო სახლის სათავეში იდგა მეფე. სამეფოს ეაკიდთა სამეფო გვარი მართავდა.

[2] სატიროსი — ძვ.წ. III ს-ის მწერალი, აღწერდა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას. მის კალამს ეკუთვნის როგორც პოლიტიკურ მოღვაწეთა (ა.მ. ფილიპე II მაკედონელის), ისე მწერლების ბიოგრაფიები (სოფოკლე, ევრიპიდე და ა.შ.). სატიროსის თხზულებათა ფრაგმენტები დაცულია დიოგენე ლაერტიოსთან და ათენაიოსთან. სატიროსი თავის ბიოგრაფიებს ხშირად ურთავდა ჭორებსა და ანეკდოტებს. შახერმაირი მას ანტიკურობის ლეპორელოს უწოდებს.

[3] Ф. Шахермайр, Александр Македонский, Феникс, Ростов-на-дону, 1997, 70.

[4] ანტიპატროსი — მაკედონელი წარჩინებული, ფილიპე II ერთგული თანამზრახველი. ფილიპეს მკვლელობის შემდეგ მან დიდი როლი ითამაშა ალექსანდრე მაკედონელის გამეფებაში. ძვ.წ. 334-323 წწ-ში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი აზიაში ლაშქრობდა, ანტიპატროსი მაკედონიის მმართველი იყო. პერდიკასის მკვლელობის შემდეგ სირიაში მთავარსარდლების კრებამ ანტიპატროსი იმპერიის მმართველად, „რეგენტად" დანიშნა. ანტიპატროსი სიკვდილამდე (ძვ.წ. 319 წ.) ერთგულად ემსახურებოდა მაკედონურ დინასტიას. მისი სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის შექმნილი იმპერია საბოლოოდ დაიშალა — იმპერიის ერთიანი მმართველობა უკვე ფორმალურადაც აღარ არსებობდა.

[5] შახერმაირი, დასახ. ნაშრომი, 94.

[6] ლინკესტიდები — მაკედონიის ერთ-ერთი წარჩინებული გვარი. ფილიპეს მკვლელობის შემდეგ ისინი მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებად იყვნენ დასახელებულნი. ცოცხალი ერთი ლინკესტიდი გადარჩა — ალექსანდრე — ანტიპატროსის სიძე.
ამინტას III — პერდიკას III ვაჟი. მაკედონიის მეფე პერდიკას III ძვ.წ. 359 წელს დაიღუპა. მისი სიკვდილის შემდეგ მაკედონიის მეფედ გამოაცხადეს მისი ვაჟი — ექვსი წლის ამინტასი, რომლის მეურვედაც დანიშნული იქნა მისი ბიძა, ახალგაზრდა, 23 წლის ფილიპე, როგორც არგეადთა გვარის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი წარმომადგენელი. ფილიპემ ჩაიბარა განადგურების პირას მდგარი ქვეყანა და ბალკანეთის უდიდეს იმპერიად აქცია. ამ უზარმაზარი დამსახურებისთვის მაკედონიის ჯარების კრებამ მცირეხლოვან ამინტასს ტახტი ჩამოართვა და სამეფო ხელისუფლება ფილიპეს გადასცა. ეს ძვ.წ. 357 წელს უნდა მომხდარიყო.

[7] როქსანა — ბაქტრიის (სპარსეთის ერთ-ერთი სატრაპიის) პრინცესა. როქსანა ძვ.წ. 327 წელს ალექსანდრე მაკედონელის ცოლი გახდა. იგი ულამაზესი ქალი ყოფილა და როგორც გადმოგვცემენ, ალექსანდრეს იგი პირველი ნახვისთანავე ძლიერ მოსწონებია. ქორწილი მაშინვე, დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს. ალექსანდრეს და როქსანას ქორწინებას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა — ის მაკედონელების და აზიელების მომავალი ერთობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

[8] პერდიკასი — აზიის ქილიარქოსი (ქილიარქოსი — ალექსანდრეს მეფობის ბოლო წლებში მეფის უახლოესი თანაშემწე, მისი თანამდებობა აღმოსავლეთის პროვინციების ვეზირის თანამდებობას შეესატყვისებოდა). ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ პერდიკასი მთავარსარდლის ფუნქციებსაც ასრულებდა, რამეთუ მთავარსარდლად დანიშნული კრატერი ამ დროს ბაბილონში არ იმყოფებოდა. პერდიკასი გასცემდა ბრძანებებს ახლადდანიშნულ სატრაპებს და ცალკეულ შემთხვევებში თავადაც კი ნიშნავდა მათ. ფაქტობრივად მან ალექსანდრეს როლის შესრულება დაიწყო.

[9] კასანდროსი — ანტიპატროსის ვაჟიშვილი, ძვ.წ. 358-297 წწ. მამამ იგი ძვ.წ. 324 წელს ალექსანდრესთან წარგზავნა, რათა კასანდროსს მისადმი მეფის გულისწყრომა შეერბილებინა. კასანდროსმა არა მარტო ვერ გაართვა თავი დავალებას, არამედ ალექსანდრესთან ფრიად დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. მამის სიკვდილის შემდეგ კასანდროსმა რეგენტად დანიშნული პოლიპერქონის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა და იგი მაკედონიის და საბერძნეთის ტერიტორიათა უმეტესი ნაწილიდან განდევნა კიდეც (ძვ.წ. 319-316 წწ.).

[10] პოლიპერქონი — წარჩინებული მაკედონელი, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მხედართმთავარი. პოლიპერქონი პატიოსანი ადამიანი გახლდათ, მაგრამ როგორც მთავარსარდალი, ერთობ საშუალო მონაცემებისა იყო. მაკედონიიდან გაძევების შემდეგ პოლიპერქონი საბერძნეთში დაქირავებული ჯარების მთავარსარდლად გვევლინება. მისი გარდაცვალების თარიღი და ადგილი ცნობილი არ არის.

ბერენიკე

ძველი მსოფლიო ბერენიკეს სახელით ოთხ ისტორიულ პიროვნებას იცნობს. თანამედროვე მკითხველისთვის კი ბერენიკე, უპირველეს ყოვლისა, სახელგანთქმული ბერძენი პოეტის — კალიმაქოსის ლექსის „ბერენიკეს ნაწნავის" პერსონაჟია, ქალი, რომელიც ამ ლექსის წყალობით ქმრის უსაზღვროდ მოყვარული ცოლის სიმბოლოდ დამკვიდრდა ადამიანთა ცნობიერებაში. ამავე დროს ლექსის მხატვრული პერსონაჟი, როგორც აღვნიშნეთ, რეალურად არსებული ისტორიული პირი იყო. თავად ამ ლექსის სახელწოდება „ბერენიკეს ნაწნავი" კი, ფაქტობრივად არსებული ასტრონომიული ცნებაა — „ბერენიკეს ნაწნავი" იმ სუსტ ვარსკვლავთა ჯგუფს ეწოდება, რომელიც ლომის, ქალწულის, დიდი დათვის თანავარსკვლავედსა და ხარის თანავარსკვლავედს შორის არის განლაგებული.

და მაინც, ვინ იყო ბერენიკე? რატომ ეწოდა თანავარსკვლავედს მისი ნაწნავის სახელი?

ბერენიკე კირენაიკის მეფის — მაგასის და აპამას[1] ქალიშვილი იყო. იგი დაახლოებით ძვ.წ. 273 წლისთვის უნდა დაბადებულიყო.

კირენაიკა, კირენეს სამეფო, ელინისტური სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეფო იყო. აფრიკის კონტინენტზე იგი ბერძნული კულტურის ძირითადი ფორპოსტი გახლდათ და სამივე მთავარი ელინისტური მონარქიის — სელევკიდების სირიის, პტოლემაიოსების ეგვიპტის და ანტიგონიდთა მაკედონიის ინტერესთა სფეროში შედიოდა. ამ სახელმწიფოებთაგან თითოეულს კირენაიკის სამეფოში მომხრეთა თავისი დაჯგუფება ჰყავდა, რო-

მელთა ამოცანაც ის იყო, რომ კირენაიკის პოლიტიკური კურსი თავიანთი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად წარემართათ. თითოეული მათგანი, ბუნებრივია, თავის მთავარ დასაყრდენს კირენეს მმართველში ეძებდა.

თუმცა ბერენიკეს მამა — კირენეს მეფე მაგასი ეგვიპტის მეფის, პტოლემაიოს II ნახევარძმა იყო, იგი მთელი ცხოვრება ცდილობდა, რომ როგორმე თავისი ქვეყანა პტოლემაიოსთა მეურვეობისაგან გაეთავისუფლებინა. სწორედ ამ მიზნით დაუკავშირდა იგი სელევკიდებს და ცოლად მათი მეფის — ანტიოქოს II ქალიშვილი — აპამაც მოიყვანა. ამის შემდეგ მაგასმა კირენელთა და სელევკიდთა ძალები გააერთიანა და პტოლემაიოსების ეგვიპტის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა, მაგრამ ამ დროს მის სამეფოში შინაურმა განხეთქილებამ იფეთქა და იგი იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. შინ მას ისეთი ვითარება დახვდა, რომ მაგასს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეგვიპტის დალაშქვრაზე საბოლოოდ განეცხადებინა უარი. და მართლაც, მაგასის მეფობის დროს კირენესა და ეგვიპტეს შორის სამხედრო დაპირისპირება აღარ ყოფილა, მაგრამ მეფე მაინც ჯიუტად იკავებდა თავს, პტოლემაიოს მეორესთან მოლაპარაკება დაეწყო. მათ შორის დაძაბულობა კარგა ხანს, დაახლოებით 20 წელი გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ კირენეს მეფე მაინც გახდა იძულებული ეგვიპტის მმართველისთვის დაეთმო. სიცოცხლის მიმწუხრს, დაახლოებით ძვ.წ. 250 წლისთვის, მაგასი პტოლემაიოს II დასთანხმდა მისი ვაჟიშვილისთვის — ეგვიპტის ტახტის მემკვიდრის პტოლემაიოს მესამისთვის თავისი ულამაზესი ასული ბერენიკე გაეყოლებინა. ამის შემდეგ მალე მაგასი გარდაიცვალა.

კირენეს სამეფოში კი მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. კირენეს დედოფალი აპამა აქტიური და ენერგიული ქალი გახლდათ. სელევკიდების შთამომავალს, მისი სამშობლოს — სირიის უმთავრესი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები — ეგვიპტელები განსაკუთრებით სძულდა. ქვრივმა აპამამ დრო იხელთა და მაკედონელებს დაუკავშირდა, რომელთა ინტერესებშიც ასევე შედიოდა კირენეს სამეფო. ბუნებრივია, მაკედონელები კირენესთან შესაძლო კავშირის პერსპექტივამ ძალიან მოხიბლა. მაკედონიის მეფე — ანტიგონოს გონატასი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა კირენეს დედოფალს — აპამამ მას დახმარება სთხოვა, რათა სასახლის კარზე პტოლემაიოსთა დაჯგუფება გაენადგურებინა. ანტიგონოს გონატასმა კირენეში თავისი ძმა დემეტრიოსი, ზედწოდებით „კალოს“ — ლამაზი გამოაგ-

ზაენა. დემეტრიოსს მან არა მარტო მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგის დამარცხება დააეალა. დემეტრიოს „ლამაზის“ ფუნქციაში შედიოდა ისიც, რომ მას აპამას ქალიშვილი — ბერენიკე უნდა ეთხოვა ცოლად. მაგრამ აპამასა და გონატასის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. სასახლის კარზე საზარელი მკვლელობა მოხდა.

წყაროები იმდენად არეულად და ფრაგმენტულად გადმოგვცემენ ამ ამბავს, რომ შეუძლებელია მოვლენათა განვითარების მწყობრი სურათი აღვადგინოთ. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ საპატარძლო ბერენიკე სათავეში ჩაუდგა კირენელთა აჯანყებას და მაკედონელი სასიძო თავისი დედის — აპამას საძინებელში მოაკვლევინა.

იყო კი დემეტრიოსი მართლაც აპამას საყვარელი?

და თუ იყო კიდეც, ნუთუ მათმა კავშირმა მართლა ისე განარისხა ხალხი, რომ აღშფოთებულებმა აჯანყება მოანყვეს?

ეს კითხვები უპასუხოდ რჩება.

სასიძოს მკვლელობის შემდეგ, ბერენიკეს ბრძანებით, თითქოს აპამაც გამოასალმეს სიცოცხლეს.

ამ კითხვების და ვარაუდების მიღმა ერთი რამ არის უეჭველი. მოვლენებს, როგორც ყოველთვის, პოლიტიკური ძალები წარმართავდნენ. ამ შემთხვევაში, კირენეს კარზე მაკედონური პარტიის მომხრეებს პტოლემაიოსთა დაჯგუფებამ სძლია.

და ბერენიკეც, მამამისის მიერ მიცემული პირობის თანახმად, პტოლემაიოს III დაქორწინდა. ეს ძვ.წ. 247 თუ 246 წელს მოხდა.

ამ ამბიდან ტრადიციას კარგად დაამახსოვრდა ის, რომ აჯანყებას ქალი — ბერენიკე მეთაურობდა. ამიტომაც უნოდებს მას კატულუსი სულით ძლიერ პიროვნებას, მან ხომ იმგვარი გმირობა ჩაიდინა, რომელიც ვაჟკაცებსაც კი შეაშფოთებდა. თუმცა ამ გმირობის საფასურად ბერენიკემ ქმარიც მოიპოვა და სამეფო გვირგვინიც. თავისი ბედი მან თავადვე დაიმსახურა.

ბერენიკე

ახლადდაქორწინებულებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მაგრამ მათ ბედნიერ ცხოვრებას მალე საფრთხე დაემუქრა. ახლადგამეფებული პტოლემაიოს III სირიაში საომრად უნდა წასულიყო.[2] მაშინ ბერენიკემ თავისი უმშვენიერესი ნაწნავი მოიჭრა და აფროდიტე ზეფიროსელს[3] ქმრის შინ მშვიდობით დაბრუნების ვედრებით შესწირა. შემდეგ კი მეტად უცნაური რამ მოხდა. მეორე დღეს უეცრად აღმოაჩინეს, რომ ნაწნავი ტაძრიდან

გაუჩინარებულიყო. მეფე საშინლად განრისხდა, რადგან თვლიდა, — ნაწნავი ტაძრიდან ჩემმა მტრებმა გაიტაცესო, — ახლა ხომ მათ შეეძლოთ მაგია მოეშველებინათ და ბნელი ძალების იარაღად ქცეული ნაწნავი მისი და ბერენიკეს დასაღუპად გამოეყენებინათ. პტოლემაიოს III მკაცრად ბრძანა, დაეძებნათ ქურდები. სასახლის კარზე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. საბედნიეროდ, სამეფო კარზე ამ დროს ცნობილი ასტრონომი — არქიმედესის მეგობარი კონონი იმყოფებოდა. ტაძრიდან ნაწნავის გაუჩინარებას მან თავისი ახსნა დაუძებნა. ასტრონომის განცხადებით, ბერენიკეს ნაწნავი ღმერთებმა ცაში აღავლინეს და თანავარსკვლავედად აქციეს. ამასთან კონონმა საზოგადოებას შეახსენა, რომ სწორედ ასეთი ხვედრი არგუნა განგებამ არიადნეს გვირგვინსაც, რომელიც ზეციური თანავარსკვლავედი გახდა. ასტრონომმა სასახლის კარი თავის მოსაზრების სისწორეში დაარწმუნა და დაძაბულობაც განმუხტა. ამ დროს ეგვიპტეს მეორე ძალზე ცნობილი ადამიანი, პოეტი კალიმაქოსი სტუმრობდა. ნაწნავის გაქრობის ამბავი, როგორც ვთქვით, სწორედ მან აქცია ლეგენდად და თავისი ცნობილი ლექსი „ბერენიკეს ნაწნავი" უძღვნა. მომხდარს ან უკვე ცად აღვლენილი ვარსკვლავი — ყოფილი ნაწნავი მოგვითხრობდა, რომელიც თავის მოსაუბრეს, თავის უმშვენიერეს ქალბატონს — ბერენიკეს დამწუხრებული მიმართავდა.

სამწუხაროდ, კალიმაქოსის ლექსი მთლიანად არ შემოგვრჩა, პაპირუსებმა მისი მხოლოდ ფრაგმენტები შემოგვინახა (21 სტრ.). მაგრამ, საბედნიეროდ, სრულად მოაღწია ჩვენამდე ამ ლექსის ბრწყინვალე მხატვრულმა თარგმანმა შესრულებულმა ცნობილი რომაელი პოეტის, კატულუსის მიერ. ლექსში ბერენიკეს ნაწნავი თავისი ქალბატონის შესახებ გვიყვება და ჩვენ ვიგებთ, რომ დედოფალს უსაზღვროდ უყვარს ქმარი. ეს აფიქრებინა ნაწნავს დედოფლის განცდებმა, მისმა მოთქმამ და შფოთმა ქმრის საომრად წასვლამ რომ გამოიწვია:

„ამაში დედოფლის მოთქმა-გოდებამ დამარწმუნა,
თვალნაცემს დაამგვანა ახალშერთული მეუღლის ომში წასვლამ.
კენტად დარჩენილი შენს ეულ სარეცელს კი არა,
ალბათ საყვარელთან მწარე განშორებას სტიროდი.
ასე ღრმად როგორ დაგეუფლა მწუხარება,

ასე როგორ შეგძრა სულით ხორცამდე,
რომ ყოველი გრძნობა და ცნობა მიგხადა! მე შენ ყოველთვის,
შენი ყმაწვილქალობიდანვე სულით ძლიერი მახსოვდი".

კატულუსი, „ბერენიკეს ნაწნავი", 19-26
თარგმანი მანანა ღარიბაშვილისა

ოღონდ კი ქმარი დაბრუნებულიყო ლაშქრობიდან — მხოლოდ ამას ნატრობდა ბერენიკე და ამისი მუდარით სწირავდა თავის ნაწნავს ღმერთებს. ბერენიკეს მუდარა აღსრულდა. მოკვეცილი ნაწნავი კი ღმერთებმა ზეცაში აღავლინეს. და მიუხედავად იმისა, რომ დიდი პატივია ვარსკვლავი იყო, ნაწნავი მაინც მწარედ მისტირის თავის ქალბატონთან განშორებას და ოცნებობს პატრონთან დაბრუნდეს:

„რატომ მაკავებენ ვარსკვლავები, რატომ ისევ არ ვიქცევი დედოფლის ზილფად,
დაე, ორიონმა (ჩემს გვერდით კი არა) მერწყულის გვერდით იბრნყინოს!"

კატულუსი, „ბერენიკეს ნაწნავი", 92-94
თარგმანი მანანა ღარიბაშვილისა

შემდგომ ხანებში თანავარსკვლავედის ეს ძველი სახელწოდება „ბერენიკეს ნაწნავი" მიიავიწყეს და ვარსკვლავი კარგა ხნის მანძილზე უსახელოდ ითვლებოდა. მხოლოდ XVIII ს-ში გამოჩნდა „ბერენიკეს ნაწნავი" კვლავ ასტრონომიულ ლიტერატურაში.

ელინისტური სამყაროსთვის დამახასიათებელი ტრადიციის შესაბამისად, ბერენიკესა და პტოლემაიოს III უკვე ცხოვრებაშივე სცემდნენ თაყვანს, ვითარცა ღმერთებს. მათთვის საგანგებო კულტმსახურება იყო დაწესებული. ბერენიკეს და პტოლემაიოს III კულტი „θεοὶ εὐεργεταί"-ის სახელითაა ცნობილი. შემდგომ ამ კულტმა საბერძნეთსა და იტალიაშიც გადაინაცვლა, მაგრამ მან აქ უკვე ბერძნული ფორმა მიიღო. ბერენიკე აფროდიტეს და ისიდას გაუთანაბრეს.

ბერენიკე

ბერენიკესა და პტოლემაიოს III ოთხი შვილი ჰყავდათ: პტოლემაიოს IV, არსინოე III, მაგასი და ბერენიკე. ნაბოლარა ქალიშვილი მშობლების სიცოცხლეშივე გარდაიცვალა და გაღმერთებულ იქნა. რაც შეეხება არსინოეს, იგი ცოლად გაჰყვა თავის უფროს ძმას — პტოლემაიოს მეოთხეს.

ძვ.წ. 222 წელს პტოლემაიოს III გარდაიცვალა და ბერენიკეს ბედნიერი ცხოვრებაც დასრულდა. ეგვიპტის მმართველად ბერენიკე და მისი უფროსი ვაჟიშვილი — პტოლემაიოს IV იქნენ გამოცხადებულნი. მაგრამ დედოფალს სურდა, რომ ტახტზე საყვარელი ვაჟიშვილი მაგასი აეყვანა და ამისთვის ჯარის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. დედას პტოლემაიოს მეოთხემ დაასწრო და მაგასი მოაკვლევინა. მალე სასახლეში მეორე უბედურება დატრიალდა, მაგასს ბერენიკეც მიაყოლეს, რადგან ახალ ხელისუფალს — პტოლემაიოს IV დედის ძალაუფლების და გავლენის ძლიერ ეშინოდა. შემდეგ კი ერთპიროვნულმა მონარქმა, პტოლემაიოს IV, დედის პატივსაცემად მისი კულტის მსახურად ქურუმი ქალის სპეციალური თანამდებობა დააწესა. წითელი ზღვის სანაპიროზე სამი ქალაქი ატარებს ბერენიკეს სახელს (სტრაბონი, 16, 771), თუმცა რომელ მათგანს ეწოდა იგი ჩვენი ბერენიკეს პატივსადებად, არავინ იცის.

შენიშვნები:

[1] აპამა — ანტიოქოს II ქალიშვილი. ანტიოქოსი — სირიის მეფეების სახელია სელევკიდთა დინასტიიდან. სელევკიდთა სამეფო ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე დაარსა მისმა მხედართმთავარმა სელევკოს პირველმა. სელევკიდთა სირია ელინისტური სამყაროს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო იყო.

[2] პტოლემაიოს III გაემართა სირიაში სელევკოს აზიელის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ომს ისტორიაში III სირიული, იგივე ლაოდიკური ომი ეწოდება (ძვ.წ. 246-241 წწ.).

[3] აფროდიტე ზეფიროსელი — ამ სახელით იყო გაღმერთებული არსინოე — ბერენიკესა და პტოლემაიოს III მამიდა.



სოფონისბა

სოფონისბა კართაგენელთა ცნობილი მხედართმთავრის და წინამძღოლის ჰასდრუბალის ქალიშვილი იყო.[1] იმ დროს, როცა სოფონისბას მოუწია ცხოვრება, მისი სამშობლო კართაგენი ერთობ მძიმე შდგომარეობაში იყო. ე.წ. II პუნიური ომი[2] დასასრულს უახლოვდებოდა. ეს ის პუნიური ომები იყო, რომლებიც რომსა და კართაგენს შორის წარმოებდა და რომელსაც ხმელთაშუა ზღვის ჰეგემონის ბედი უნდა გადაეწყვიტა. განგების ნებით, სოფონისბას წილად ხვდა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა თავისი დროის პოლიტიკურ პერიპეტიებში.

სოფონისბა ლამაზი და საოცრად მომხიბლავი ქალი იყო. სწორედ მისი წყალობით შეიძინა მისმა ქვეყანამ გადამწყვეტ დროს ძალზე მნიშვნელოვანი მოკავშირე, შემდეგ კი სოფონისბამ შეძლო, რომ თავისი ქმარი თითქმის დასაღუპად განწირულ კართაგენს ისევ გვერდზე დასდგომოდა. სოფონისბას ხიბლი იმდენად დიდი გახლდათ, რომ მაშინაც კი, როცა მისი სამშობლო სასტიკად დამარცხდა, განადგურებულმა დედოფალმა მოახერხა თავისი ნებისთვის დაექვემდებარებინა კართაგენელთა მტერი მასინისა — იმ დროის ფრიად გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა. როგორც ჩანს, ეს ულამაზესი ქალი დაჯილდოებული იყო უნარით მამაკაცები ჯერ მოეჯადოებინა, შემდეგ კი თავისი სურვილისამებრ ემართა. მაგრამ ამ ქალის ბედი მთლიანად იყო გადაჯაჭვული მისი ქვეყნის — კართაგენის ბედთან. განგებამ ორივეს — კართაგენსაც და სოფონისბასაც ერთნაირი — ტრაგიკული აღსასრული არგუნა.

თავის „ისტორიაში" ლივიუსი სოფონისბას შესახებ უმშვენიერეს ნოველას მოგვითხრობს. ჩვენც, შეძლებისდაგვარად ვეცდებით ამ ქალის ეს ლამაზი და ტრაგიკული ისტორია გადმოვცეთ, მაგრამ რადგან ამბავი ნაწარმოების სხვადასხვა თავშია გაბნეული, იძულებულები ვართ, იგი კონტექსტიდან ამოვიღოთ. ამონარიდებს კი დავურთოთ ინფორმაცია, თუ

რა ხდებოდა კართაგენში იმ უძველეს ხანად, რათა მკითხველისთვის მოვლენათა მსვლელობა გასაგები გახდეს. ამასთან, რამდენადაც შესაძლებელია, დიდი ისტორიკოსის მონათხრობს სოფონისბას შესახებ უცვლელად დავტოვებთ.

ჩვენთვის არაა ცნობილი, თუ როდის დაიბადა სოფონისბა. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ძვ.წ. 206 წელს გაათხოვეს. სწორედ ამ დროს გამხდარა იგი იმ ასაკისა, როდესაც ქალის გათხოვება უკვე დასაშვები იყო. ამ ამბამდე ერთი წლით ადრე კი დაიწყო კართაგენსა და რომს შორის დაპირისპირების ახალი ეტაპი, რომელიც კართაგენისთვის ძალზე კრიტიკული გამოდგა. ძვ.წ. 207 წელს პოლიტიკურ ასპარეზზე სრულიად ახალგაზრდა მხედართმთავარი სციპიონი გამოჩნდა. იგი გამორჩეულად ნიჭიერი იყო სამხედრო საქმეშიც და დიპლომატიაშიც. თავისი პირველი სიტყვა მან ესპანეთში — ბეკულესთან თქვა, როდესაც კართაგენელთა არმია დაამარცხა. მაშინ კართაგენელებს ჰასდრუბალი და მაგონი მეთაურობდნენ. ამ გამარჯვებით მან ესპანეთი, რომელიც ამ ომში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა, რომს დაუბრუნა.

ყველაფერთან ერთად სციპიონი მეტად ამბიციური პიროვნება იყო. ესპანეთში მოპოვებული გამარჯვება, მას, თქმა არ უნდა, არ დააკმაყოფილებდა. კართაგენი საბოლოოდ რომ დაემარცხებინა, რომს ომი აუცილებლად აფრიკაში უნდა ენარმოებინა. ასე სწამდა სციპიონს და როგორც ჩანს, ამაში არც ცდებოდა. აფრიკაში რომაელთა გამარჯვება კართაგენის საბოლოო დამარცხების ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ რომი მარტო ამას ვერ შეძლებდა. ახალგაზრდა რომაელს მოკავშირეები სჭირდებოდა, მოკავშირეები კი ნუმიდიის მეფეებში უნდა ეძებნა.

იმ ხანად ნუმიდიის სამეფო ორად იყო გაყოფილი. აღმოსავლეთ ნუმიდიელებზე მასინისა მეფობდა, დასავლეთ ნუმიდიის მეფე კი სიფაქსი იყო. როგორც რომისთვის, ისე კართაგენისთვის ნუმიდიელების მხარდაჭერა ფრიად საშური გახლდათ. ორივე მათგანი ცდილობდა ისინი თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ. მონინააღმდეგენი ამას მონაცვლეობით ახერხებდნენ კიდეც, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ნუმიდიაში შექმნილი მდგომარეობა განაპირობებდა. ნუმიდიის მეფეები — მასინისა და სიფაქსი — ერთმანეთს მეტოქეობდნენ და ტერიტორიების გამო მუდმივად შუღლი ჰქონდათ.

როგორც ზოგიერთი წყარო გადმოგვცემს, მასინისა კართაგენში გაიზარდა და თავდაპირველად კართაგენის მოკავშირე იყო. არსებობს ცნობაც, რომ ჰასდრუბალმა — სოფონისბას მამამ, სოფონისბა და მასინისა ადრეულ ასაკში ერთმანეთზე დაწინდა. მასინისა განათლებული ადამიანი და ნიჭიერი მხედარმთავარი იყო. იგი ესპანეთში ძვ.წ. 212 თუ 211 წელს ჰასდრუბალის წინამძღოლობით იბრძოდა. მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. მოხდა ისე, რომ სციპიონს ტყვედ მასინისას ძმისშვილი ჩაუვარდა. რომაელი მას დიდსულოვნად მოექცა და ტყვეს თავისუფლება უბოძა. როგორც ჩანს, ამ კეთილშობილურმა საქციელმა მოხიბლა მასინისა. სცი-

პიონის პოლიტიკურად სწორად გათვლილმა ნაბიჯმა კი საფუძველი ჩაუყარა მასინისას და სციპიონის მომავალ დაახლოებას. ამასთან ერთად მასინისა იმასაც ხედავდა, რომ თუკი რომაელები დაამარცხებდნენ კართაგენს, ის განუწყვეტელი ომი, რომელიც აფრიკაში მიმდინარეობდა, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდებოდა და მისი სამშობლო — ნუმიდიაც მშვიდობით ამოისუნთქავდა.

ასე რომ მასინისამ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და სციპიონს მოლაპარაკებაზე დაეთანხმა. სციპიონმა ფაქტობრივად მასინისა თავის მხარეზე გადმოიბირა. ახლა ჯერი ნუმიდიის მეორე მეფის — სიფაქსის დაყოლიებაზე მიდგა. მის დასათანხმებლად რომაელს ყველაფერი უნდა ელონა. ამიტომ მან უყოყმანოდ მიიღო სიფაქსის პირობა, რომელმაც შეუთვალა სციპიონს, მოსათათბირებლად მასთან — აფრიკაში ჩამოსულიყო. ბედის ირონიით, სწორედ ამ ხანად სიფაქსის საბრძანებელში აღმოჩნდა ესპანეთიდან გამოქცეული ჰასდრუბალიც. და იმ საღამოს, როდესაც მოსალაპარაკებლად სიფაქსს სციპიონი ეახლა, სიფაქსმა სტუმრად ჰასდრუბალიც მოიპატიჟა. ვახშამზე სციპიონმა ნუმიდიის მეორე მეფის მოხიბლვაც მოახერხა. სიფაქსმა გადაწყვიტა, რომაელებთან კავშირი დაედო. იქვე მყოფმა ჰასდრუბალმა ეს კარგად გაიგო და დაინახა. იმასაც მშვენივრად მიხვდა, თუ რა ელოდა კართაგენს, თუკი ნუმიდიის ორივე მეფე რომაელთა მოკავშირე შეიქნებოდა. მას რამე უნდა ელონა და თანაც სასწრაფოდ. გამოსავალი ერთი იყო — სიფაქსი მის ულამაზეს ასულს — სოფონისბას ჰყვარობდა. ამიტომ, რათა სიფაქსი კართაგენელთა მოკავშირე გაეხადა, მას ნუმიდიის მეფისთვის სოფონისბა უნდა მიეთხოვებინა. და მართლაც ჰასდრუბალმა აღარ დააყოვნა, ქალიშვილი კართაგენიდან გამოიხმო, ქორწილი გადაიხადა და სიფაქსთან ხელშეკრულება დადო.

როგორც უკვე ვთქვით, არსებობდა მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც სოფონისბა და მასინისა დაწინდული იყვნენ. ამ ვერსიის თანახმად, არც მამამ — ჰასდრუბალმა და არც სოფონისბას საქმრომ — მასინისამ არაფერი იცოდნენ, როდესაც „ვიღაც კართაგენელებმა" სოფონისბა მასზე შეყვარებულ სიფაქსზე გაათხოვეს. ეს საქორწინო კავშირი კართაგენს ძალიან ესაჭიროებოდა, ამიტომაც ამ პირებმა ქალის მეურვეების არყოფნით ისარგებლესო (აპიანოსი, „ლიბიური ომები", 10, 37; 27, 110).

სოფონისბა

და მაინც ჰასდრუბალს სიძის — სიფაქსისა დიდად არ სჯეროდა. ბარბაროსები ხომ ცნობილი იყვნენ იმით, რომ ახლობლის გაყიდვაც და მოტყუებაც მშვენივრად შეეძლოთ. ყოველ შემთხვევაში ჰასდრუბალის განწყობას ლივიუსი ასე ხსნის. მამა-შვილმა ერთობლივი მოქმედება გადაწყვიტა. სიფაქსს, რომელსაც „სიყვარულის ალი კიდევ სწვავდა", სოფონისბა ემუდარებოდა, რომ სციპიონთან ელჩები გაეგზავნა. სიძისაგან ამასვე მოითხოვდა ჰასდრუბალიც. ელჩებს რომაელი მხედართმთავრისთვის შემდეგი უნდა განეცხადებინათ: „დაე, სციპიონს ნუღარ ექნება სიფაქსის მიერ მიცემული პირობის იმედი და სალაშქროდ აფრიკაში ნუ ნამოვა" (ლივიუსი, XXIX, 23, 7-10). ელჩობის მიზანი იყო, სციპიონი გაეფრთხილე-

ბინათ. რომაელს ხომ გარკვევით ეუბნებოდნენ, რომ თუ ის მაინც მიადგებოდა კართაგენს, სიფაქსი იბრძოლებდა აფრიკისთვის, იმ მიწისთვის, სადაც ის დაიბადა და სადაც მისი ცოლისა და სიმამრის სამშობლო და სახლი იყო.

ელჩების მოტანილმა ამბავმა სციპიონი დიდად დაანაღვლიანა. ასეთი მოკავშირის დაკარგვა სახუმარო არ გახლდათ. თავად რომაელთა ნანილიც ჭოჭმანობდა, წასულიყვნენ თუ არა აფრიკაში სალაშქროდ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ გეგმის განხორციელებაში სციპიონს წინ ეღობებოდნენ. მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა და აფრიკისაკენ გაემართა. ნუმიდიის მეორე მეფე — მასინისა მისი ერთგული მოკავშირე იყო და მას გვერდს უმშვენებდა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს აფრიკაში, უტიკის მახლობლად მდებარე ველზე — კამპი მაგნიზე შეხვდნენ. კართაგენელების და სიფაქსის გაერთიანებული არმია დამარცხდა. სიფაქსი ნუმიდიაში — თავის სამეფოში გამოიქცა. ეს ყოველივე ძვ.წ. 204 წელს მოხდა.

მიუხედავად ამისა, კართაგენს ომი საბოლოოდ წაგებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა. მაგრამ ეს მაშინ, თუ არც სიფაქსი აიღებდა ხელს ბრძოლაზე. ჩვენ არ ვიცით, რა ტრიალებდა იმჟამად სიფაქსის გულში, თუმც ლივიუსის მონათხრობის მიხედვით გარკვეული წარმოდგენა მაინც შეიძლება შევიქმნათ. ეტყობა, მას ომის გაგრძელება არ სურდა, რადგან გულამოსკვნით მოტირალი სოფონისბა ქმარს ემუდარებოდა, ბრძოლა განეგრძო და კართაგენს კელავაც დახმარებოდა. ქალი ევედრებოდა სიფაქსს, „არ მიეტოვებინა მისი მამა, მათი სამშობლო და არამც და არამც არ დაეშვა ის, რომ კართაგენი ისე შთაენთქა ცეცხლს, როგორც მათი საბრძოლო ბანაკი გადაწვა" (ლივიუსი, XXX, 7, 8-9).

როგორც იქნა სოფონისბამ სიფაქსი დაიყოლია. ის კვლავ გაემართა საბრძოლველად. მის წინააღმდეგ მასინისას და ლელიუსის წინამძღოლობით რომაელთა და აღმოსავლეთ ნუმიდიელთა არმია გამოდიოდა. ბრძოლა სატახტო ქალაქის — კირტას მახლობლად გაიმართა. სიფაქსი ისევ დამარცხდა, ამჯერად იგი მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა. გამარჯვებულები კი დედაქალაქში შევიდნენ და პირდაპირ სიფაქსის სასახლეს მიადგნენ.

მოვლენები ერთობ დრამატულად განვითარდა. მასინისას ფეხიც არ ჰქონდა შედგმული სასახლეში, რომ ზღურბლზე სოფონისბა მიეახლა. დედოფალი მასინისას ფეხებში ჩაუვარდა. „— გემუდარები, გაფიცებ, რაც კი შენთვის ყველაზე ძვირფასია, დამიხსნა განსაცდელისგან და არ დაუშვა, რომ რომაელთ ხელში ჩავუვარდე. შენ ხომ მშვენივრად მოგეხსენება, თუ რატომ არიან რომაელები ასე საშიში კართაგენელი ქალის, ჰასდრუბალის ქალიშვილისთვის. და თუ სხვა არაფერი გამოვა, გემუდარები და პირობას გართმევ — სიკვდილით დამიხსენი რომაელებისგან" (ლივიუსი, XXX, 12, 11-16). გამარჯვებულს მუხლმოყრილი ევედრებოდა ყოფილი დედოფალი.

ქალს გასაოცარი ხიბლი ჰქონდა. იგი იმდენად უმწეო იყო, მის სიტყვებში ისეთი ალერსი გამოსჭვიოდა, რომ მასინისა მაშინვე მოაჯადოვა. გამარ-

ჯვებულმა მხედართმთავარმა დედოფალი წამოაყენა და შეეპირდა, მუდარას აუსრულებდა. აი ის კი, რაც მან მოიმოქმედა, ლივიუსის აზრით, მოუფიქრებელი და ურცხვი გადაწყვეტილება იყო, რომლისკენაც მას ამ ქალის სიყვარულმა უბიძგა. მასინისამ არც მეტი და არც ნაკლები, იმავე დღეს სოფონისბაზე იქორწინა. ამიერიდან, წესით რომაელთაგან ვერავინ შეძლებდა სოფონისბას ბედი განეკარგა. ეს ქალი ხომ ახლა, უკვე მათი მოწინააღმდეგე კი არა, მათი მოკავშირის ცოლი იქნებოდა.

ამასობაში დატყვევებული ნუმიდიელები სიფაქსის მეთაურობით სციპიონთან მიიყვანეს. პირისპირ დარჩენილ სიფაქსს სციპიონმა მხოლოდ ერთი შეკითხვა დაუსვა — რატომ დაინყო მან, რომაელთა ყოფილმა მოკავშირემ, ომი მათ წინააღმდეგ, ომი, რომელსაც მას არავინ აიძულებდა?

ნუმიდიის ყოფილ მეფეს თავის მართლება არც კი უცდია, რამეთუ თვლიდა, რომ მისი საქციელი გონებაარეული ადამიანის ნამოქმედარი იყო. თუმცა გონება მას ახლა კი არა, გაცილებით ადრე დაუბნელდა, აი, მაშინ, როცა სტუმართმოყვარეობის ადათი დაივიწყა, არად ჩააგდო მის სამეფოსა და რომს შორის დადებული ხელშეკრულება და სახლში კართაგენელი ქალი შემოიყვანა. „მოფერებით, ალერსით, დათაფლული საუბრით ამ ქალმა — ამ ფურიამ, ამ შავმა ჭირმა მას გონი წაართვა და არ მოისვენა მანამ, სანამ თავისი ხელით არ მისცა იარაღი სტუმრისა და მეგობრის წინააღმდეგ — ასე ფიქრობდა სიფაქსი. — ახლა მხოლოდ ერთი რამ მამშვიდებს, — ეუბნებოდა ტყვე მეფე სციპიონს, რომელსაც მასინისას და სოფონისბას ქორწილის ამბავი უკვე შეეტყო, — კარგად ვუწყი, რომ ეს ქალი მასინისას, ჩემს დაუძინებელ მტერს, ჩემსავით დაღუპავს" (ლივიუსი, XXX, 13, 10-13). სიფაქსს შეყვარებულის ეჭვიანობაც ალაპარაკებდა, შეყვარებულისა, რომელმაც იცოდა, რომ მისი საყვარელი ადამიანი ამჯერად მის მეტოქეს ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში ლივიუსი სიფაქსის სიტყვებს ასეთ კომენტარს უკეთებს.

სიფაქსის ნათქვამმა სციპიონი ღრმად ჩააფიქრა. მის გულს განსაკუთრებით ერთი რამ მოხვდა — ეს მასინისას ნაჩქარევი და დაუფიქრებელი ქორწინება იყო — ამ საქციელით ხომ მასინისამ ნათლად აჩვენა ყველას, თუ როგორ იოლად დაჰყვა იგი კართაგენელი ქალის ნებას ქალის პირველსავე მცდელობის შემდეგ. რა მოხდებოდა მერე? ასე თუ გაგრძელდებოდა, სოფონისბა მალე ალბათ იმასაც მოახერხებდა, მასინისა რომაელთა დაუძინებელ მტრად ექცია. სციპიონი შეშფოთდა. არა, ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლებოდა და რომაელმა გადაწყვიტა, როდესაც მასინისა ჩამოვიდოდა, მას მკაცრად და ყოველგვარი კომპრომისის გარეშე დალაპარაკებოდა.

საუბარი მართლაც შედგა. სციპიონმა აუხსნა მასინისას, რომ სიფაქსის მთელი ქონება ამიერიდან რომაელი ხალხის საკუთრება იყო — მათ შორის თავად სიფაქსიცა და მისი ცოლი სოფონისბაც. ამიტომ მასინისას ისინი რომში უნდა გაეგზავნა. „დაე, იქ გადაწყვიტოს სენატმა იმ ქალის ბედი, რომელმაც, როგორც ამბობენ, ჩვენ მეფე-მოკავშირე დაგვაკარგვინა

და რომელმაც დაიყოლია სიფაქსი უგუნურად აეღო ხელში იარაღი" (ლივიუსი, XXX, 14, 10).

შეცბუნებული მასინისა თავის ოთახში შებრუნდა. დიდხანს იჯდა მარტო, ოხრავდა და გოდებდა. ბოლოს გამწარებულმა გადაწყვეტილება მიიღო. უხმო თავის მსახურს, რომელსაც განსაკუთრებით ენდობოდა და რომელიც მას საწამლავს უნახავდა. სწორედ მას უნდა მიეტანა სოფონისბასთვის მოწამლული სასმელით სავსე თასი და მასინისას დანაბარები გადაეცა: მასინისა ბედნიერი იქნებოდა რომ შესძლებოდა იმ პირველი პირობის შესრულება, რომელიც მან, როგორც ქმარმა ცოლს მისცა. მაგრამ მისი მბრძანებელი ამას არამც და არამც არ დაუშვებს. ამიტომაც იგი მას მეორე პირობას უსრულებს — სოფონისბა რომაელებს ცოცხალი ხელში არ ჩაუვარდება. დაე, თავად სოფონისბამ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს, მაგრამ ერთი კი ახსოვდეს — იგი კართაგენელი წინამძღოლის ქალიშვილია, და არც ის დაივიწყოს, რომ ამასთან ერთად იგი ორი მეფის ცოლი იყო.

მოწამლული სასმისი და ქმრის დანაბარები მსახურმა სოფონისბას გადასცა. ამბავი ტრაგიკულად დასრულდა. „ამ საქორწინო საჩუქარს მადლიერებით აღსავსე მივიღებ, თუკი ქმარმა ცოლისთვის უკეთესის ჩუქება ვერ შეძლო. თუმცა იმას კი გთხოვ, გადასცე მასინისას, რომ ჩემთვის უფრო იოლი იქნებოდა უფსკრულის პირას მდგომი არ გავთხოვილიყავი" (ლივიუსი, XXX, 15, 4-8). ლივიუსი გადმოგვცემს, რომ უკანასკნელი სიტყვები სოფონისბამ მტკიცედ წარმოთქვა, შემდეგ კი მოწამლული სასმისი აიღო და შესვა ისე, რომ ერთი წამითაც არ შეტოკებულაო (ლივიუსი, XXX, 15, 4-8).

რაც შეეხება მასინისას, რომელმაც სძლია თავს და ქალის ნებას არ დაპყვა, რომაელთა მთავარსარდალმა იგი სათანადოდ დააჯილდოვა. სციპიონმა იგი მეფედ გამოაცხადა და სამეფო გვირგვინი უბოძა.

შენიშვნები:

[1] ჰასდრუბალი — გისგოს ძე. ძვ.წ. 214-206 წწ-ში იყო ესპანეთში კართაგენელთა ჯარის წინამძღოლი. ძვ.წ. 206 წელს სციპიონმა იგი დაამარცხა და აიძულა დაეტოვებინა ესპანეთი. შემდგომში იგი აფრიკაში იბრძოდა, მაგრამ ძვ.წ. 203 წელს კამპი მაგნის ისტორიულ ბრძოლაში სციპიონმა ჰასდრუბალი კელავ დაამარცხა. ერთი ხანობა იგი პარტიზანულ ომს აწარმოებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ღალატში დაადანაშაულეს, ჰასდრუბალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

[2] II პუნიური ომი — ძვ.წ. 218-201 წწ. იგი თავდაპირველად კართაგენელთა მნიშვნელოვანი წარმატებებით მიმდინარეობდა. ძვ.წ. 218-16 წწ-ში კართაგენელთა მეთაურმა — ჰანიბალმა კინალამ დაიპყრო იტალია, მაგრამ ძვ.წ. 211 წლიდან მოყოლებული კართაგენელები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, ბოლოს ძვ.წ. 202 წელს რომაელთა მხედართმთავარმა სციპიონმა მათ ზამასთან დიდი დამარცხება აგემა. ამის შემდეგ კართაგენმა არა მარტო დაკარგა თავისი ყველა სამფლობელო აფრიკის გარეთ, არამედ დიდი იმპერიის სახელიც.

კალპურნია

კალპურნია იულიუს კეისრის მესამე ცოლი იყო. ტრადიციის მიხედვით იგი ლამაზი მოკრძალებული, გონიერი ქალი გახლდათ, რომელიც ძველ ავტორებს ქალური სათნოების და მაღალი ზნეობის საუკეთესო მაგალითად ესახებოდათ.

კალპურნიას შესახებ, ისევე როგორც კეისრის პირველ ორ ცოლზე, წყაროები ცოტას მოგვითხრობენ. ალბათ იმიტომ, რომ ამ გენიალური პიროვნების ცხოვრებაში ცოლებს მცირე ადგილი ეჭირათ. კეისრის შესახებ მოსათხრობი ისედაც ძალზე ბევრი იყო. შესაძლებელია იმიტომაც, რომ თავად ეს ქალები, ქმრის გვერდით მყოფნი, არ ან ვერ ერეოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში ისე, როგორც ამას შემდგომ უმაღლეს ხელისუფალთა ცოლების უმეტესობა აკეთებდა. კალპურნიას, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ამის სურვილი არც უნდა ჰქონოდა. მაგრამ ცნობების სიმწირის მიუხედავად, რომის მმართველთა მეუღლეებზე თხრობას ჩვენ მაინც კალპურნიათი დავიწყებთ, თუნდაც იმიტომ, რომ იგი დიდი რომაელის — იულიუს კეისრის ცოლი გახლდათ.

ჩვენ არ ვიცით, როდის და სად დაიბადა კალპურნია. ვიცით მხოლოდ ის, რომ იულიუს კეისარზე იგი ძვ.წ. 59 წელს დაქორწინდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც პომპეუსმა, კრასუსმა და კეისარმა — რომის ამ სამმა ყველაზე გავლენიანმა პირმა ე.წ. I ტრიუმვირატი შექმნეს, არისტოკრატიას დაუპირისპირდნენ და ამით რომში, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს.

მაშინ განსაკუთრებით პოპულარული გახდა დანათესავების მეშვეო-

ბით პოლიტიკური ალიანსების განმტკიცება. ასე მაგალითად, კეისარმა თავისი ერთადერთი ქალიშვილი — იულია თავის მოკავშირეს — იულიაზე ბევრად უფროს პომპეუსს მიათხოვა. ამის კიდევ ერთი მაგალითი — თავად კეისარი გახლდათ; მას იმხანად ძალზე სჭირდებოდა კავშირი ლუციუს კალპურნიუს პიზონ ცეზონიუსთან,[1] რომის ერთ-ერთ ფრიად გავლენიან ფიგურასთან. სწორედ ამ მიზნით, მან ცოლად პიზონის ქალიშვილი — კალპურნია შეირთო. მომდევნო წელს კალპურნიუს პიზონი კეისარმა კონსული გახადა. კატონ უმცროსი, გადმოგვცემს პლუტარქე, ამან საშინლად აღაშფოთა. „აუტანელი ამბავია მაჭანკლობის შემწეობით ძალაუფლების მოპოვება და ქალების საშუალებით პროვინციათა და მხედრობათა გამგებლობაში ერთმანეთის გაყვანაო" (პლუტარქე, „იულიუს კეისარი", 14). ხმამაღლა განუცხადებია მაშინ კატონ უმცროსს,[2] რომელიც რომში ცუდი ამბების წინასწარმეტყველად იყო ცნობილი.

ქორწინებიდან მცირე დრო იყო გასული, როდესაც ძვ.წ. 58 წელს იულიუს კეისარმა სამართავად გალიის პროვინცია მიიღო და იტალია დატოვა. დატოვა მან რომში თავისი ცოლი კალპურნიაც. ცოლ-ქმრის განშორება ხანგრძლივი აღმოჩნდა. კეისარმა გალიაში თითქმის ათი წელი დაჰყო. განსაკუთრებით მძიმე კალპურნიასთვის ძვ.წ. 52 (თუ 53 წ.) გამოდგა. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა კეისრის ქალიშვილი და პომპეუსის მეუღლე — იულია. კეისარსა და პომპეუსს შორის ისედაც უკიდურესად დაძაბული მდგომარეობა ამან კიდევ უფრო გაართულა. კეისარი ჯერ ისევ გალიაში იმყოფებოდა, პომპეუსი კი, ფაქტობრივად, რომის ერთპიროვნული მმართველი გახლდათ. იულიუს კეისარს კვლავ ესაჭიროებოდა პომპეუსის მოკავშირეობა. მათი ნათესაობა როგორმე უნდა აღდგენილიყო. და აი, კეისარმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს იგი ჯერ კიდევ კალპურნიას ქმრად ითვლებოდა, გადაწყვიტა, გაყროდა ცოლს და პომპეუსის ქალიშვილი ეთხოვა. უნდა ითქვას, რომ პომპეუსის ქალიშვილი უკვე დანიშნული იყო. მიზეზთა და მიზეზთა გამო კეისრის დაგეგმილი ქორწინება არ შედგა, მაგრამ კალპურნია და იულიუს კეისარი ამ ამბავმა ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორა. თუმცა, როგორც ტრადიცია გვიმოწმებს, მიყენებული ტრავმის მიუხედავად, კალპურნიას იულიუს კეისარი მაინც ძალიან უყვარდა.

ამ ჭკვიან და ღირსეულ ქალს კარგად ესმოდა, რომ მისი ქმარი სრულიად გამორჩეული პიროვნება იყო, ყველასაგან განსხვავებული თავისი ძლიერებით და გაქანებით. შეუძლებელი იყო, ამ კაცს ჩვეულებრივად ეცხოვრა და რიგითი, ორდინალური ქმარი ყოფილიყო. ჩვეულებრივი, იული-

უს კეისარს, რომელიც გამუდმებით პირველობისკენ მიისწრაფოდა, არც არაფერი აკმაყოფილებდა. კალპურნია ალბათ იმითაც იმშვიდებდა თავს, რომ პომპეუსის ქალიშვილის თხოვნა კეისარს მხოლოდ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე სჭირდებოდა. იგი ხვდებოდა, რომ როგორც ქალი, ეს უკანასკნელი მისი მეტოქე არ იყო. სამწუხაროდ, წყაროები დუმან იმაზე, ითვლებოდა თუ არა კალპურნია იულიუს კეისრის ცოლად იმ წლებში, როდესაც კეისარი ეგვიპტეში იმყოფებოდა და ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას ჰყვარობდა. ჩვენ არც იმის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რას უფრო განიცდიდა კალპურნია — იმას, რომ კეისარი მასთან გაყრას და პომპეუსის ქალიშვილის შერთვას აპირებდა, თუ იმას, რომ ეგვიპტის დედოფალმა დიდი რომაელი მოაჯადოვა და კარგა ხნით დაიტოვა ეგვიპტეში. ალბათ არანაკლებ მტკივნეული უნდა ყოფილიყო კალპურნიასთვის ისიც, რომ შემდგომში კეისარმა კლეოპატრა რომში ჩამოიყვანა და თავის ვილაზე დაასახლა. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ კეისარს კლეოპატრამ ვაჟიშვილი გაუჩინა, ვაჟიშვილი, რომელიც მას არცერთ ცოლთან არ ჰყოლია. კალპურნიას შესახებ უკანასკნელად კეისრის მკვლელობის ამბიდან ვიტყობთ.

იულიუს კეისარმა — კაცმა, რომელმაც ამდენი სამოქალაქო ომი მოიგო, ხალხს ერთი მხრივ ისეთი შიში შთაუნერგა, მეორე მხრივ კი — თავის დიდებაში ისე დაარწმუნა, როგორც აქამდე არც ერთ რომაელს არ გაუკეთებია.

სწორედ ამგვარი განწყობილების გამოხატულება იყო ის, რომ ყოველგვარ ზღვარს გადაცილებით ცდილობდნენ კეისრის გულის მოგებას და მას ყოველნაირ პატივს მიაგებდნენ — ისეთსაც კი, ადამიანისთვის დასაშვებს რომ სცილდებოდა. ყველა ტაძარსა თუ საზოგადო ადგილას კეისარს მსხვერპლს სწირავდნენ. მის პატივსაცემად სამხედრო თამაშობებს აწყობდნენ, კეისრის გამოსახულებებს მუხის ფოთლებისაგან დაწნული გვირგვინებით რთავდნენ (სიმბოლო, რომლითაც გადარჩენილები თავიანთი მხსნელისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ). ბოლოს მას სამშობლოს მამა უწოდეს, ათი წლის ვადით კონსულის წოდება მიანიჭეს და სიკვდილამდე დიქტატორად აირჩიეს. ამასთან კეისრის პიროვნება წმინდად და ხელშეუხებლად გამოაცხადეს.

ბუნებრივია, ყოველივე ეს რომის მბრძანებლის თანხმობით ხდებოდა. ერთადერთი, რაც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა — ეს მეფის ტიტული გახლდათ, ტიტული, რომელიც კეისარს მთელი არსებით სწადდა, თუმცა გარეგნულად ცდილობდა, თავი ისე მოეჩვენებინა, რომ ამ წოდების მიღებას არც აპირებ-

და. უფრო მეტიც, ყოველნაირად აღუდგებოდა წინ მისთვის ამ ტიტულის მინიჭების მცდელობას (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", II, 106-109).

მაგრამ კეისარმა მაინც ვერ მოახერხა თანამოქალაქეები მოეტყუებინა. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ხალხის თვალში კეისრის უმთავრესი დანაშაული სწორედ მისი მეფობისკენ სწრაფვა იყოო (პლუტარქე, „იულიუს კეისარი", 60). სენატორთა აღშფოთებას იწვევდა უპირველესად ის, რომ დიქტატორმა რომის რესპუბლიკა ფაქტობრივად მონარქიად აქცია.

და აი, ძვ.წ. 44 წელს კეისრის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულების ორგანიზატორები უმთავრესად ორნი იყვნენ — მარკუს ბრუტუსი და გაიუს კასიუსი. ისინი ადრე კეისრის მტრის — პომპეუსის მხარეზე იბრძოდნენ, შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი დამარცხდა, იულიუსმა ბრუტუსი და კასიუსი შეიწყნარა, ნდობა გამოუცხადა და სამსახურიც უბოძა. განსაკუთრებით იგი მარკუს ბრუტუსს სწყალობდა. ამბობდნენ იმასაც, რომ ბრუტუსი კეისრის შვილი იყო, რამეთუ კეისარს მის დედასთან — სერვილიასთან ჰქონდა თურმე ურთიერთობა.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ბრუტუსი წინ აღუდგა კეისარს. სხვა გარემოებათა შორის ამის მიზეზი, როგორც აპიანოსი ასკვნის, ალბათ ისიც იყო, რომ მარკუსი იმ დიდი ბრუტუსის მემკვიდრე გახლდათ, რომელმაც ოდესღაც რომიდან მეფეები გააძევა. სწორედ ამის გამო მას ყველაზე მეტად აქებდა და აღაგზნებდა ხალხი... მის სავარძელზე, თუ მისი წინაპრის ბრუტუსის ქანდაკებაზე დრო და დრო ასეთი წარწერები ჩნდებოდა: „ბრუტუს, შენ ცოცხალი აღარა ხარ?" — „არა, შენ, ბრუტუსი არა ხარ", — „ბრუტუს, რატომ აღარ ხარ ახლა ცოცხალი!..." ასეა თუ ისე, მაგრამ ბევრი რამ აღანთებდა ჭაბუკს იმ საქმისთვის, რომელსაც იგი წინაპართა ანდერძად მიიჩნევდა (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", II, 112).

გადაწყდა, კეისარი მარტის იდებში — 15 მარტს სენატის სხდომაზე უნდა მოეკლათ.

როგორც ამბობენ, მკითხავს კეისრისთვის დიდი განსაცდელის შესახებ უწინასწარმეტყველია და ურჩევია მარტის იდებს გაფრთხილებოდა. კეისრის ცოლს, კალპურნიასაც წინა ღამით ავისმომასწავებელი სიზმარი უნახავს. ერთი ძველი ავტორის ცნობით, კალპურნიას ეზმანა, თითქოს მოკლული ქმარი ჰყავდა მკლავებზე გადასვენებული და დასტიროდაო. სხვა ისტორიკოსთა გადმოცემით, კალპურნიას სიზმრად უხილავს, თითქოს სახლის თავზე დადგმული ქონგური გადმონგრეულიყო, ამიტომაც მოთქვამდა და ტიროდა ძილშიო. გათენდა 15 მარტის დილა. „დილით

კალპურნიამ კეისარს ხვეწნა-მუდარა დაუწყო. თუ შესაძლებელია, დღეს გარეთ ნუ გახვალ და სენატის სხდომა გადადეო. თუ ჩემს სიზმარს არაფრად აგდებ, მაშინ სხვა სახის წინასწარმეტყველებით და მსხვერპლშენირვით მაინც შეიტყვე შენი მომავალიო. როგორც ჩანს, რაღაც ეჭვი და შიში კეისარს თვითონაც ჰქონდა იმ დღეს. მას აქამდე არასოდეს არ შეენიშნა კალპურნიასთვის ქალური ცრუმორწმუნეობა. მაშინ კი მეუღლე მეტისმეტად შეშინებული იყო. ამიტომ როდესაც კეისარს მრავალი მსხვერპლის შენირვის შემდეგ მკითხავებმაც ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველეს, გადაწყვიტა, ანტონიუსი გაეგზავნა და სენატის სხდომა დაეშალა" (პლუტარქე, „იულიუს კეისარი", 63).

მაგრამ შეთქმულებმა კეისრის სახლიდან გამოყვანა მაინც მოახერხეს. მასთან დეციმუს ბრუტუსი მივიდა და ამცნო, რომ სენატორები დღეს აპირებდნენ, მისთვის სამეფო გვირგვინის ტარების უფლება მიეცათ. თუმცა კეისარს მეფის ტიტული მხოლოდ იტალიის გარეთ მდებარე და რომისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ექნებოდა.[3] როცა მან დაინახა, რომ კეისარი მაინც ყოყმანობდა, სახლიდან გამოსულიყო, მაშინ დიქტატორს ასე მიმართა: „აბა, რას იტყვიან შენი მტრები, ან შეკრებილთ სენატორთ რომ ვინმემ გამოუცხადოს: ახლა დაიშალენით და მაშინ შეიკრიბეთ, როცა კალპურნია უკეთეს სიზმრებს იხილავსო?" (პლუტარქე, „იულიუს კეისარი", 64). დეციმუს ბრუტუსმა სთხოვა კეისარს, ნუ მისცემდა საბაბს, მისთვის ქედმაღლობა დაებრალებინათ, ამიტომ თავად წასულიყო სენატში და სხდომის გადადება თავადვე ეცნობებინა. კეისარი სახლიდან გამოვიდა. ის იყო გასცდა სახლს, რომ მისკენ ვიღაც მონა გამოემართა, მაგრამ მას ხელი ჰკრეს და კეისართან ახლოს არ მიუშვეს. მაშინ იგი დიქტატორის სახლში ძალით შეიჭრა და სთხოვა კალპურნიას: „კეისრის მოსვლამდე დამაცდევინე, ვინაიდან მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმე მაქვს საუწყებელიო" (პლუტარქე, „იულიუს კეისარი", 64). სვეტონიუსის გადმოცემით, ვიღაც შემხვედრს, სწორედ მაშინ გადაუცია წერილი კეისრისთვის, როცა იგი სენატის სხდომაზე შედიოდა. ამ ბარათში იგი იულიუსს შეთქმულების შესახებ ატყობინებდა. კეისრის სავალალოდ, მას წერილის წაკითხვა ვერ მოუსწრია.

კეისარმა არც მსხვერპლშენირვის ავისმომასწავებელი ნიშნები, არც მკითხავთა რჩევა, არც კალპურნიას ხვეწნა-მუდარა არ გაითვალისწინა. იგი სენატში მაინც შევიდა. „რამეთუ ის, რაც კეისარს მოუვიდა, უნდა მომხდარიყო," — ასკვნის აპიანოსი (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", II, 118).

იმ დღეს კეისარი შეთქმულებმა მოკლეს.

დიდი დიქტატორის სიკვდილის შემდეგ ქმრის საქმიანი ქაღალდები და მისი ქონება კალპურნიამ კეისრის უახლოეს მეგობარს და თანამზრახველს — მარკუს ანტონიუსს გადასცა.

მეტს კალპურნიას შესახებ წყაროებში ვერაფერს ვხვდებით, ისიც კი არ ვიცით, რამდენ ხანს იცოცხლა მან კეისრის მკვლელობის შემდეგ.

შენიშვნები:

[1] ლუციუს კალპურნიუს პიზონ ცეზონიუსი — ძვ.წ. 70 წლიდან მოყოლებული ეკავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობა. ხშირად დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუამავლის როლს ასრულებდა. შემდგომში, როცა კეისარი მისი სიძე გახდა, კეისრის ავტორიტეტმა პიზონის პოლიტიკურ წინასვლას დიდად შეუწყო ხელი. პიზონმა ყველაფერი იღონა, რათა რომს სამოქალაქო ომი თავიდან აეცილებინა, ხოლო, როცა ომი დაიწყო, იგი მხარეთა მიმართ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. სამშვიდობო პოლიტიკურ კურსს იგი კეისრის მკვლელობის შემდეგაც აგრძელებდა.

[2] მარკუს პორციუს კატონი, რომელსაც მეტსახელად უტიკელს, ან უმცროსს უწოდებდნენ. კატონი იბრძოდა არისტოკრატიული წყობის შესანარჩუნებლად. იგი კეისარში მეტად საშიშ მტერს ხედავდა, ამიტომაც თავი მის მოწინააღმდეგედ გამოაცხადა. ძვ.წ. 49 წელს, როდესაც სამოქალაქო ომები დაიწყო, კატონი იძულებული იყო, იტალიიდან გაქცეულიყო და უტიკისთვის (ჩრდ. აფრიკა) შეეფარებინა თავი. ძვ.წ. 46 წელს მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მისი გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ თავად კეისარი იძულებული იყო კატონის და მის მომხრეთა წინააღმდეგ ორი პამფლეტი დაეწერა.

[3] როგორც ტრადიცია გადმოგვცემს, რამდენიმე დღეში კეისარი ჯერ გეთების, შემდეგ კი პართელების წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას. სწორედ ამ დროს გავრცელდა ხმა, თითქოს სიბილას წიგნები წინასწარმეტყველებდნენ, რომ რომაელები პართელებს მხოლოდ მაშინ დაამარცხებდნენ, როდესაც მათ წინააღმდეგ ბრძოლას მეფე წარმართავსო. ამიტომაც ამბობდნენ ზოგიერთები, რომ კეისრისათვის ისეთი ტიტულების მიცემა იყო საჭირო, რომლებსაც რომაელები მეფის ტიტულის ნაცვლად იყენებდნენ, ხოლო იმ ხალხებმა, რომლებიც რომს ექვემდებარებიან, კეისარს მეფე უნდა უწოდონო (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", II, 110). ფაქტიურად, ამასვე ადასტურებს პლუტარქეს ცნობა, რომლის მიხედვითაც სენატი კეისარს სწორედ ამ ლაშქრობისათვის ანიჭებდა მეფის ტიტულს, მაგრამ ეს ტიტული კეისარს მხოლოდ იტალიის ფარგლებს გარეთ ეძლეოდა.

ფულვია

ფულვია წარმოშობით რომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, კეთილშობილი და მდიდარი ოჯახიდან იყო, როგორც მამის, ისე დედის მხრიდანაც. იგი მარკუს ფულვიუს ბამბალიოს[1] და სემპრონიას ქალიშვილი გახლდათ.

ფულვიას გარეგნობაზე წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი. თუმცა მონეტებზე არსებული მისი გამოსახულებები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან მასზე. ამაყად ზეაღმართული თავი, მოკუმული ტუჩები, წაწვეტებული, წინ წამოწეული ნიკაპი, სწორი და წვეტიანი ცხვირი, დაბალი შუბლი — აი, ასეთად წარმოგვიდგება მათზე ფულვია. ის, რომ ფულვია ლამაზი ქალი არ ყოფილა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას. თუმცა მისი პორტრეტი ალბათ გარკვეული ზნის ქალს წარმოაჩენს — ქედმაღალს და ამაყს, სწორედ ისეთს, როგორადაც იგი წყაროებშია დახასიათებული. დავუმატებდით, რომ ანტიკური ავტორები ფულვიას სხვა ეპითეტებითაც ამკობდნენ. მათი მიხედვით, იგი ძალაუფლების დიდად მოყვარული, ამასთან ენერგიით აღსავსე და ერთობ მზაკვარი ქალი გახლდათ.

ფულვია რომაელ მატრონათა იმ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ყველა ჯურის პოლიტიკური ინტრიგებით ცხოვრობდნენ და რომლებიც ყველანაირ საშუალებას იყენებდნენ, რათა იმ გვარის, თუ პოლიტიკური დაჯგუფების გავლენა გაეძლიერებინათ, რომლებსაც იმ ხანად ისინი ემხრობოდნენ. ამგვარი ქალები განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ძვ.წ. I ს-ის შუა წლებში. ციცერონის თხზულებებში მკითხველი მათ არაერთგზის შეხვდება.

პირველად ფულვია სახალხო ტრიბუნზე — კლოდიუს პულხერზე დაქორწინდა, რომელიც რომის იმჟამინდელი პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ ფიგურას წარმოადგენდა.

კლოდიუს პულხერის სახელს ერთი ფრიად სკანდალური ამბავი უკავშირდებოდა. იულიუს კეისრის სახლში კეთილი ღვთაებისადმი მიძღვნილ რელიგიურ ზეიმს — Bona Dea-ს დღესასწაულობდნენ. ეს საკუთრივ ქალთა რელიგიური დღესასწაული იყო და, ბუნებრივია, მასზე მხოლოდ ქალები იყვნენ წარმოდგენილნი. უეცრად აქ ქალად გადაცმული კლოდიუს პულხერი შენიშნეს. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, კლოდიუსი აქ კეისრის ცოლის სიყვარულმა მოიყვანაო. ქალთა დღესასწაულზე მამაკაცის ყოფნა რომში დიდ მკრეხელობად ითვლებოდა, შესაბამისად ტრიბუნის წინააღმდეგ საქმე სასამართლოშიც იქნა აღძრული. მაგრამ კლოდიუსმა მოსამართლეები მოისყიდა და თავის გამართლებაც მოახერხა. ამის შემდეგ ეს სკანდალური პიროვნება ერთი ხანობა პლებსის წინამძღოლი ბრძანდებოდა და ერთობ მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდა პოლიტიკურ სარბიელზე მანამ, სანამ პომპეუსი და მილონი არ გადაიკიდა. ძვ.წ. 52 წელს იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.

კლოდიუსსა და ფულვიას ორი შვილი ჰყავდათ — ვაჟიშვილი პუბლიუსი და ქალიშვილი კლოდია. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ფულვია მეორედ დაქორწინდა, ამჯერად გაიუს სკრიბონიუს კურიონზე. მასთან ფულვიას ერთი ვაჟიშვილი შეეძინა.[2] მალე, ძვ.წ. 49 წელს კურიონი დაიღუპა. მეორედ დაქვრივებული ფულვია რამდენიმე წელიწადში კვლავ გათხოვდა (ძვ.წ. 45 წ.). ეს მესამე ქორწინება ქვრივისთვის ძალზე სახარბიელო იყო, მისი ქმარი გამოჩენილი მხედართმთავარი, სახელოვანი მარკუს ანტონიუსი გახლდათ. კეისრის ერთგული თანამზრახველი მარკუს ანტონიუსი ამ დროისთვის უკვე უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა და იულიუს კეისრის შემდეგ რომში ფაქტობრივად მეორე კაცი იყო. ანგარებიან და ძალაუფლებისმოყვარე ფულვიას, ბუნებრივია, ანტონიუსის ცოლობა ძალიან უნდოდა. პლუტარქეს განცხადებით, მარკუს ანტონიუსის ცოლს სრულებით არ აინტერესებდა სართავი და სახლის მოვლა-პატრონობა. მისთვის არც ის იყო საკმარისი — მორჩილი, მოკრძალებული და შეუმჩნეველი ქმარი ჰყოლოდა. არა, მას სურდა, რომ თავად მბრძანებლის მბრძანებელი და მეთაურის მეთაური ყოფილიყო (პლუტარქე, „ანტონიუსი", X). უნდა ითქვას, რომ ფულვიამ დასახელებულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. მან იმდენად ოსტატურად გამონვრთნა მარკუს ანტონიუსი და ასწავლა მას ქალების ნებას დაქვემდებარებოდა, რომ სრული უფლება ჰქონდა, ამგვარი გაკვეთილებისთვის საფასური კლეოპატრასგან მოეთხოვა, რომელმაც მისგან უკვე სრულიად თვინიერი და ქალების მორჩილებას ჩვეული ანტონიუსი მიიღოო (პლუტარქე, „ანტონიუსი", X).

დასაწყისში წყვილი შეხმატკბილებულად ცხოვრობდა. ფულვიამ ქმა-

რი ისეთად მიიღო, როგორიც ანტონიუსი სინამდვილეში იყო. გამოჩენილი მხედართმთავარი ჩვეულებრივ ყოფაში არც თუ ადვილი ასატანი უნდა ყოფილიყო. ენერგიული, გიჟმაჟი, მფლანგველი და მოქეიფე — აი, ის ძირითადი შტრიხები, რომლითაც ანტონიუსს ტრადიცია ახასიათებს. ანტონიუსიც მშვენივრად გრძნობდა თავს ფულვიასთან და ცდილობდა, ცოლი თავისი ოინბაზობითა და ბავშვური გამოხტომებით გამოეცოცხლებინა. პლუტარქეს ერთი მაგალითი მოჰყავს. როდესაც კეისარი ესპანეთის ლაშქრობიდან ბრუნდებოდა, გავარდა ხმა, თითქოს კეისარი მტრებს მოეკლათ, რომლებიც ახლა რომის ასაღებად მოდიოდნენ. ამ დროს კი ანტონიუსი სწორედ კეისართან იყო წასული. როგორც ჩანს, მითქმა-მოთქმამ ანტონიუსს გზაში მიუსწრო და მაშინ იგი უკან, რომში გამობრუნდა. რომში ჩამოსულმა მან ფულვიას გამოცდა გადაწყვიტა. ანტონიუსმა მონად გადაიცვა და შუაღამისას ცოლს ეახლა, ვითარცა ანტონიუსისაგან გამოგზავნილი შიკრიკი. როცა თავიდან ფეხებამდე მოსასხამში გახვეული ანტონიუსი ფულვიასთან შეიყვანეს, აღელვებული და მწყობრიდან გამოსული ქალი, პირველ ყოვლისა, შეეკითხა მას, ცოცხალი იყო თუ არა მისი ქმარი. პასუხად შიკრიკმა ქალს მდუმარედ გაუწოდა წერილი. ფულვიამ ახსნა ბეჭედი და ბარათის კითხვა დაიწყო. აი, მაშინ კი მოეხვია ანტონიუსი ცოლს და გადაკოცნა (პლუტარქე, „ანტონიუსი", X).

კეისრის მკვლელობის შემდეგ (ძვ.წ. 44 წ.) ანტონიუსი და ოქტავიანუსი რომის პოლიტიკური სცენის მთავარი ფიგურები ხდებიან. ცამეტი წლის განმავლობაში ისინი გამუდმებით იყოფდნენ ძალაუფლებას. ანტონიუსს და ავგუსტუსს შორის პირველი გარიგება ძვ.წ. 43 წლის ნოემბერში შედგა. რადგან გარიგებაში მესამე წევრიც მონაწილეობდა, ისტორიაში ეს დაზავება II ტრიუმვირატის (სამთა კავშირის) სახელით შევიდა.[3] ხელშეკრულების თანახმად მათ ხელისუფლება ხუთი წლის ვადით ოფიციალურად აიღეს ხელში. დაზავების შემდეგ ტრიუმვირებმა ერთობლივი მოქმედების გეგმა შეიმუშავეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გასწორებოდნენ მათ, ვინც თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად მიიჩნიეს — ცალკეულ სენატორებსა და მხედრებს. გამარჯვებულებმა შეადგინეს სიკვდილმისჯილთა ე.წ. სახელმწიფოს მტრების სიები, რომლებშიც თავდაპირველად დაახლოებით 300-მდე სენატორი და 2000 მხედარი ჩაწერეს. სიების შედგენის შემდეგ კი რომისკენ გამოემართნენ, რათა განზრახვა სისრულეში მოეყვანათ.

სამი დღის განმავლობაში ტრიუმვირები რომში თავიანთი მხედრების თანხლებით რიგ-რიგობით შედიოდნენ. პირველმა ოქტავიანუსმა შეაბიჯა, მას ანტონიუსი და ლეპიდუსი მიჰყვნენ. ქალაქი მეომრებით გაივსო.

რომაელებს ახლა ტრიუმვირთა მმართველობა უნდა აეტანათ. მოსახლეობას უმძიმესი დღეები დაუდგა. გამარჯვებულთა შურისძიება მონინააღმდეგეებზე აქამდე უპრეცენდენტო სისასტიკითა და ულმობლობით გამოირჩეოდა.

შენობათა კედლებზე ე.წ. პროსკრიპციები — სიკვდილმისჯილთა სიები იყო გაკრული. თავდაპირველ სიებს თანდათანობით ახალ-ახალი მსხვერპლთა გვარები ემატებოდა. არავინ იცოდა, ხვალ სიაში ახალი ვინ აღმოჩნდებოდა. როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, სიკვდილმისჯილნი თავის გადარჩენას ყოველნაირი ხერხით ცდილობდნენ. ყველაფერი თავდაყირა დადგა. სენატორები საკუთარ მონებს შესთხოვდნენ, არ გაეცათ ისინი — მათი ბატონები, ქმრები — ცოლებსა და შვილებს იმავეს ემუდარებოდნენ. საყოველთაო პანიკას კიდევ უფრო ამძაფრებდა ტრიუმვირთა მიერ გავრცელებული ახალი განკარგულება. გამარჯვებულები აცხადებდნენ, რომ თითოეული, ვინც მათ მოწინააღმდეგეს დაასმენდა, დიდ გასამრჯელოს მიიღებდა, ხოლო ის, ვინც სიკვდილმისჯილს შეიფარებდა, სამაგალითოდ იქნებოდა დასჯილი. შედეგად ადამიანებზე აქამდე გაუგონარი ნადირობა დაიწყო. აპიანოსის შეფასებით, ამ დღეებში რომში დატრიალებული უბედურება გაცილებით უფრო დიდი, ყოვლისმომცველი და საზარელი იყო, ვიდრე ის ბოროტება, აჯანყებას ან ქალაქის აღებას რომ მოჰყვება ხოლმე (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", IV, 13-14).

პროსკრიპციების შედგენაში აქტიურად მონაწილეობდა ფულვია. ტრიუმვირები დიდხანს ბჭობდნენ, დაესაჯათ თუ არა სიკვდილით ციცერონი. საბოლოოდ მას განაჩენი ცოლ-ქმრის დაჟინებული მოთხოვნით გამოუტანეს. პლუტარქე გადმოგვცემს, თუ როგორ უბრძანა ანტონიუსმა მკვლელებს მისთვის დიდი ორატორის თავი და მარჯვენა ხელი მოეტანათ, სწორედ ის ხელი, რომლითაც ციცერონი თავის სიტყვებს წერდა. „როდესაც მკვლელებმა ანტონიუსს ნადავლი წინ დაუდეს, ის ბედნიერი შესცქეროდა ამას, დიდხანს იცინოდა გახარებული, ხოლო მას შემდეგ რაც გული მოიოხა, ბრძანა, რომ ციცერონის თავი ფორუმზე იმ ადგილას შემოედგათ, რომელიც ორატორთათვის იყო განკუთვნილი" (პლუტარქე, „ანტონიუსი", XX).

არსებობს სხვა ვერსიაც. მისი ავტორის — დიო კასიუსის მიხედვით ციცერონის გვამი ფულვიამ შეურაცხყო. გაცოფებულმა ქალმა ორატორის მოკვეთილი თავიდან ენა გამოაძრო და იგი ქინძისთავებით დაჩხვლიტაო (დიო კასიუსი, 47, 8, 2).

ოქტავიანუსისა და ანტონიუსის შერიგება ტრადიციულად ნათესაური კავშირით უნდა განმტკიცებულიყო. ამიტომაც დათქვეს, რომ ოქტავიანუსს ცოლად კლოდია — ფულვიას ქალიშვილი უნდა შეერთო.

მაგრამ მეტოქეებს შორის ზავი მალე დაირღვა.

ძვ.წ. 41 წლის დასასრულს რომში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ამდენი ომების შემდეგ იტალია უკვე სულს ღაფავდა. ტრიუმვირთა დაუძინებელ მტერს პომპეუსის ვაჟს — სექსტუსს ქვეყანა ზღვიდან ჰყავდა ჩაკეტილი. სურსათ-სანოვაგე ვერც გარედან შემოჰქონდათ და ვერც შიგნით აწარმოებდნენ. ყაჩაღების მთელი ხროვა აწიოკებდა ქვეყანას. დანაშაულისთვის არც არავინ ისჯებოდა. „იფიქრებდით, რომ ამ გაუბედურებულ და გაძარცულ ქალაქში აღარავინ იყო საჭირო, არც ხელოსნები და აღარც სახელმწიფო მოხელეები," — დიდი გულისტკივილით აღნიშნავს აპიანოსი (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", V, 18).

უმაღლესი ხელისუფალი კი რომში ამ დროს მხოლოდ ოქტავიანუსი იყო. მარკუს ლეპიდუსი ასპარეზზე არ ჩანდა, ანტონიუსი — კი აღმოსავლეთში იმყოფებოდა. არეულობით, უკანონობით, დაუსჯელობით და შიმშილით გაწამებული მოსახლეობის მთელი ზიზღი და აღშფოთება ოქტავიანუსს დაატყდა თავს. და აი, ოქტავიანუსის მიმართ ხალხის განწყობით ისარგებლა ფულვიამ. მან მოახერხა, რომ თავის მხარეზე გადმოებირებინა საკუთარი მაზლი — კონსული ლუციუს ანტონიუსი. რომაელთა ჩვეულების საპირისპიროდ, რომელიც ქალის სახლში ყოფნას მოითხოვდა, ფულვია ხალხის წინ ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. წელზე მახვილშემორტყმული ფულვია ვეტერან მეომართა წინაშე სიტყვით გამოდიოდა და ლუციუს ანტონიუსთან ერთად თავის გარშემო იკრებდა ყველას, ვინც კი ოქტავიანუსით იყო უკმაყოფილო (დიო კასიუსი, 48, 10). და თუმცა მარკუს ანტონიუსი ამ დროს შორს, აღმოსავლეთში იმყოფებოდა, ფულვიამ და ლუციუსმა ანტონიუსის ნათესავების სახელი ამოიფარეს და ისე მოქმედებდნენ, თითქოს ანტონიუსის საქმეს იცავდნენ.

ფულვიას ახალი სამოქალაქო დაპირისპირების გასაჩაღებლად რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთი მხრივ, მტრობას ოქტავიანუსის მიერ მისთვის მიყენებული პიროვნული შეურაცხყოფა ედო საფუძვლად. ოქტავიანუსმა ხომ მათი ოჯახის სახელი ლაფში ამოსვარა, როცა პირობის თანახმად ფულვიას ქალიშვილი — კლოდია ჯერ ცოლად შეირთო, შემდეგ კი ხელუხლებელი დედას უკან დაუბრუნა.

მაგრამ ამაზე უფრო ფულვიას ქმართან გაბზარული ურთიერთობა აწუხებდა. ანტონიუსი უკვე მეტისმეტად ყოვნდებოდა აღმოსავლეთში, სადაც მას კლეოპატრასთან რომანი ჰქონდა, ანტონიუსის ურთიერთობა ეგვიპტის დედოფალთან ფულვიასათვის მეტად საშიში ხდებოდა. ბუნებრივია, ცოლი ყოველნაირად ცდილობდა, ანტონიუსი კლეოპატრას სასიყვარულო ბადიდან როგორმე გამოეხსნა. ანტონიუსის რომში უკან დასაბრუ-

ნებლად, ეს სამოქალაქო დაპირისპირება, ფულვიას აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო.

ამბობდნენ იმასაც, რომ ფულვია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქმრის ეჭვიანობა გამოეწვია და ამით მაინც ჩამოეყვანა უკან, რომში ანტონიუსი. ბოროტი ხმები ჰყვებოდნენ, რომ გამწარებულ ცოლს თავისი თავი ოქტავიანუსისთვისაც კი შეუთავაზებია. ერთ-ერთ ეპიგრამაში მარციალისი ამის თაობაზე ხუმრობს, მასთან პირველ პირში ოქტავიანუსი ლაპარაკობს: „ფულვია მოითხოვს დავწვე მასთან, თითქოსდა ჩემი ბრალი იყოს ანტონიუსს გლაფირასთან რომ აქვს რომანი — ან იყავი ჩემთან, ან შემებრძოლე, — აი, ასე მეუბნება ფულვია," — იძახის ავგუსტუსი და დასძენს, — „არა, სიცოცხლე ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არაა. დაე, დასცენ ბუკსა და ნალარას, მე ბრძოლისთვის ვემზადები" (მარციალისი, „ეპიგრამები", XI, 20).

ფულვიასა და ლუციუსის მიერ წამოწყებული პოლიტიკური კამპანია ძვ.წ. 41 წლის დასასრულს გაჩაღდა. იგი ისტორიაში „პერუზიის ომის" სახელწოდებით შევიდა. აჯანყება ერთდროულად იტალიის რამდენიმე ქალაქში დაიწყო, მაგრამ ოქტავიანუსის მთავარსარდალმა აგრიპამ მოახერხა სამხედრო კამპანიის ერთ ადგილას მოქცევა და ქალაქ პერუზიაში აჯანყებულებს ალყა შემოარტყა. ალყამ რამდენიმე თვეს გასტანა. ძვ.წ. 40 წლის გაზაფხულზე მეამბოხენი იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ.

რას აკეთებდა ამ დროს ანტონიუსი?

როგორც ვიცით, იგი ეგვიპტეში კლეოპატრასთან სრულ განცხრომას ეძლეოდა. კლეოპატრას სასიყვარულო ტყვეობიდან იგი მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდა, როცა შეიტყო, რომ პართელებმა რომაელთა აზიურ პროვინციებს შეუტიეს. მაშინ, ძვ.წ. 40 წლის გაზაფხულზე, ანტონიუსმა პართელებთა წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. მაგრამ როცა ტიროსში ჩამოდგა, იგი მიხვდა, რომ მისი მცირერიცხოვანი ფლოტი ამ ომისთვის საკმარისი არ იყო. საბერძნეთიდან და იტალიიდან მას მნიშვნელოვანი შევსება ესაჭიროებოდა. ამიტომ გეზი შეცვალა და საბერძნეთისკენ გაემგზავრა, გზად მცირე აზიის ქალაქ ეფესოსში შეჩერდა. წყაროების ცნობით, სწორედ ეფესოსში შეიტყო პირველად ანტონიუსმა, თუ რა მოხდა პერუზიაში და რა დღეში აღმოჩნდნენ მისი თანამზრახველნი ქალაქის დაცემის შემდეგ. მისი ცოლი — ფულვია 3000 მხედრის თანხლებით ბრუნდიზიუმისაკენ გაიქცა. იქედან საბერძნეთში აპირებდა გამგზავრებას. სხვებმა სექსტუს პომპეუსთან — ოქტავიანუსის მოსისხლე მტერთან იპოვეს თავშესაფარი. მათ რიცხვში იყო ანტონიუსის ხანდაზმული დედა — იულიაც.

ანტონიუსი სასტიკად განრისხდა. რას ნიშნავდა ყოველივე ეს?

როგორ გაბედეს, მას არ დაეკითხნენ და ისე წამოიწყეს ომი, ომი, რო-

მელიც მას ამჟამად არა თუ არ სჭირდებოდა, პირიქით — სასტიკად უშლიდა ხელს. წინ ხომ პართელებთან ვეებერთელა კამპანია ჰქონდა ჩასატარებელი. გაბრაზებულმა ანტონიუსმა შეუთვალა ცოლს, რომ საბერძნეთში ჩამოსული მას, ანტონიუსს ათენში დალოდებოდა (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", V, 50). შემდეგ თვითონაც ათენისკენ გამოემართა. ამის შემდეგ მოვლენათა განვითარებას წყაროები განსხვავებულად მოგვითხრობენ. ასე მაგალითად, პლუტარქეს მიხედვით, ფულვია, რომელიც ქმრის შესახვედრად მოცურავდა, ავად გახდა და ქალაქ სიკიონში გარდაიცვალა (პლუტარქე, „ანტონიუსი", XXX). სხვა ვერსიით, ცოლ-ქმარის საბოლოოდ შეხვედრა ათენში შედგა. შეხვედრა ორივე მათგანისთვის მძიმე გამოდგა. ფულვია და ანტონიუსი ერთმანეთს გამალებულნი ჰკიცხავდნენ. ანტონიუსი სასტიკად ადანაშაულებდა ცოლს იმაში, რომ მან ქმრის უკითხავად სამოქალაქო ომი წამოიწყო, ეს ხომ სრული უგუნურობა, ნამდვილი სიგიჟე იყო (აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", V, 52). ფულვია კი ანტონიუსს კლეოპატრასთან ღალატში სდებდა ბრალს. თან არც იმისი შეხსენება ავიწყდებოდა, როგორ იჯდა ანტონიუსი უქმად აღმოსავლეთში, როცა ის — ქალი მის საქმეს იცავდა. ასე იყო თუ ისე, საერთო აზრით, ცოლ-ქმრის შეხვედრა ოქტავიანუსთან ომის დაწყებას მოასწავებდა. ანტონიუსი სამზადისს შეუდგა, რათა მოწინააღმდეგის დასახვედრად მზად ყოფილიყო. მაგრამ ამასთან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ომს პირველი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებდა. ლოდინისთვის საუკეთესო ადგილად მან ბრუნდიზიუმი აირჩია და თავის ფლოტთან ერთად იქ ჩამოდგა.

ბრძოლისთვის არც მეორე მხარე იყო მზად. ოქტავიანუსს დასავლეთის პროვინციებში ბევრი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი. ამიტომაც, ბუნებრივია, ძალიან ანყობდა, რომ როგორმე ანტონიუსს მოლაპარაკებოდა. მაგრამ არც ერთ მათგანს არ სურდა გარიგება პირველს დაენყო. როგორც ჩანს, კონფლიქტში მესამე მხარის ჩართვა იყო საჭირო. აი, სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. საბერძნეთში, ქალაქ სიკიონში მოულოდნელად გარდაიცვალა ფულვია (დიო კასიუსი, XLVIII, 28; აპიანოსი, „სამოქალაქო ომები", V, 50). ფულვიას სიკვდილმა მოწინააღმდეგეებს დაზავება გაუადვილა, რადგან ახლა შეიძლებოდა ყველაფერი ამ ქალისთვის დაებრალებინათ. და მართლაც, ანტონიუსმა ოქტავიანუსს განუცხადა, ვაღიარებ, რომ ჩემი ცოლი ფულვია არასწორი იყოო. ოქტავიანუსმაც მეტოქეს ასეთივე თავაზიანობით უპასუხა. მან შეუთვალა ანტონიუსს, რომ იგი პირადად მას არაფერში ადანაშაულებდა და რომ ყველა ბრალდებას, რომელსაც მოწინააღმდეგენი ანტონიუსს უყენებდნენ, იგი — ოქტავიანუსი მხოლოდ ფულვიას მიაწერდა (პლუტარქე, „ანტონიუსი", XXX). დამ-

თავრდა სამოქალაქო დაპირისპირება, რომელშიც, ფაქტობრივად, ყველა ფულვიას სდებდა ბრალს. ძვ.წ. 40 წლის ნოემბერში ბრუნდიზიუმში ოქტავიანუსსა და ანტონიუსს შორის ახალი ხელშეკრულება დაიდო.

ასე დაასრულა ცხოვრება ფულვიამ, რომელიც ტრადიციის მიხედვით განსაკუთრებულად ხარბი, ანგარებიანი, სასტიკი და ძალაუფლების უზომოდ მოყვარული ქალი გახლდათ, ამასთან იგი გამჭრიახი და უზომოდ მიზანსწრაფული პიროვნებაც იყო.

ილბლიანი არც მისი და ანტონიუსის შვილების ბედი გამოდგა. ორი ვაჟიშვილთაგან, უფროსი — „ანტილუსად" წოდებული, აქციუმთან ანტონიუსის განადგურების შემდეგ ოქტავიანუსმა სიკვდილით დასაჯა. უმცროსი — იულიუს ანტონიუსი რომში მარკუს ანტონიუსის ცოლმა — ოქტავია უმცროსმა გაზარდა და ამასთან მის პოლიტიკურ წინსვლას ყოველმხრივ შეუწყო ხელი. მან იულიუს ანტონიუსს თავისი ქალიშვილი — მარკელა გააყოლა. მაგრამ ამ ანტონიუსმაც უბედურად დაასრულა სიცოცხლე. ძვ.წ. 2 წელს იგი ავგუსტუსის ქალიშვილთან — იულიასთან სიძვაში დაადანაშაულეს და სიკვდილი მიუსაჯეს. იულიუს ანტონიუსმა განაჩენის აღსრულებას დაასწრო და სიცოცხლე თავად მოისწრაფა.

შენიშვნები:

[1] მარკუს ფულვიუს ბამბალიო — ე.წ. „ენაბლუ". ფულვიუსების ცნობილი გვარის ეს წარმომადგენელი წყაროებში ნაკლებად მოიხსენიება.

[2] გაიუს სკრიბონიუს კურიონი — იმ პერიოდის აქტიური პოლიტიკური ფიგურა. ძვ.წ. 50 წელს გადავიდა ოპტიმატების მხარეზე, ეკავა ტრიბუნის თანამდებობა და უპირისპირდებოდა კეისარს. მაგრამ როცა ოპტიმატებმა არ გაიზიარეს მისი წინადადებები და ამასთან ქრთამად კეისარმა დიდძალი თანხა შესთავაზა, კურიონი კეისრის მხარეზე გადავიდა. ძვ.წ. 49 წელს იგი აფრიკაში იუბას მიერ იქნა მოკლული. კურიონისა და ფულვიას ვაჟი ოქტავიანუსმა აქციუმთან ბრძოლის შემდეგ სიკვდილით დასაჯა.

[3] II ტრიუმვირატში (სამთა კავშირში) — შედიოდნენ ოქტავიანუს ავგუსტუსი, მარკუს ანტონიუსი და მარკუს ემილიუს ლეპიდუსი. ეს უკანასკნელი კეისრის აქტიური თანამზრახველი იყო და მის დროს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა. კეისრის მკვლელობის შემდეგ ლეპიდუსი მარკუს ანტონიუსს მიემხრო, შეთანხმების თანახმად მას სამართავად აფრიკის პროვინციები ჩააბარეს. ძვ.წ. 36 წელს ოქტავიანუსმა იგი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორა და ამის შემდეგ მარკუს ემილიუს ლეპიდუსს არავითარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქცია აღარ ჰქონია.

ლივია

ლივია ოქტავიანუს ავგუსტუსის ცოლი იყო. ოქტავიანუსი თავის მიერ შექმნილი სახელმწიფოს — პრინციპატის პირველი პრინცეპსი, რომის უმაღლესი ხელისუფალი გახლდათ. შესაბამისად, ლივიათი იწყება იმ ქალთა რიგი, რომლებიც რომის სახელმწიფოს პირველ ქალბატონებს წარმოადგენდნენ. დღეს ტრადიციის შესაბამისად ჩვენ ოქტავიანუს ავგუსტუსს — პირველ იმპერატორს ვუწოდებთ, ლივიას კი — პირველ იმპერატრისას; თუმცა, უნდა ითქვას, რომ „იმპერატორი" ოქტავიანუსისა და ლივიას დროს მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლის ტიტულს აღნიშნავდა.

ლივია ლამაზი, ჭკვიანი და ენერგიული ქალი იყო. ძალაუფლების უზომო სიყვარულს ეს ეშმაკი ქალი ქველი და დარბაისელი მატრონას ნიღაბქვეშ ოსტატურად მალავდა. პირმოთნეობით აღსავსე ლივია გაცილებით აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

როცა ლივიას შესახებ მოგვითხრობენ, უმთავრესად მისი ცხოვრების მეორე ნაწილი არის ყურადღების ცენტრში — ის წლები, როცა იგი ავგუსტუსის ცოლი იყო, თუმცა მან იქამდეც საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრების გავლა მოასწრო.

ლივია წარმოშობით წარჩინებული რომაული ოჯახიდან იყო. მამამისი — აპიუს კლავდიუს პულხერი მარკუს ლივიუს დრუზუსმა იშვილა[1] და შესაბამისად ამის შემდეგ იგი მარკუს ლივიუს დრუზუს კლავდიანუსად ინოდებოდა. დედას ალფიდიას სახელით ვიცნობთ. ლივია ძვ.წ. 58 წელს დაიბადა. ძვ.წ. 43 თუ 42 წელს იგი კლავდიუს ტიბერიუს ნერონზე დაქორწინდა. ეს უკანასკნელი ამ დროისთვის უკვე სახელგანთქმული მეომარი იყო. იგი იულიუს კეისრის გვერდით იბრძოდა და კეისრის მიერ წარმოებულ

ალექსანდრიულ ომში მის ფლოტს წინამძღოლობდა. მისმა პროფესიონალიზმმა და სამხედრო ნიჭიერებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ ომში კეისრის წარმატება. ამ დამსახურებისთვის ტიბერიუს კლავდიუს ნერონი პონტიფექსად[2] დანიშნეს და გალიაში კოლონიების მოსაწყობად გაგზავნეს. მისი აღმავალი კარიერა კეისრის მკვლელობით (ძვ.წ. 44) ფაქტობრივად დასრულდა.

კეისრის მკვლელობის შემდგომ რომს საშინელი წლები დაუდგა. აღსრულდა კეისრის წინასწარმეტყველება — მე თუ რაიმე მომივა, სახელმწიფო სიმშვიდეს ვეღარ ნახავს და კიდევ უფრო საშინელი სამოქალაქო ომების ცეცხლში გაეხვევაო.

თავისუფლება, რომლის მოტანასაც კეისრის მკვლელები იმედოვნებდნენ, ეფემერული აღმოჩნდა. „ისე მოჩანდა, თითქოს კეისრის და პომპეუსის მკვლელობის შემდეგ, რომაელი ხალხი უწინდელ თავისუფლებას დაუბრუნდა და ის, მართლაც დაუბრუნდებოდა, პომპეუსს შვილები რომ არ დაეტოვებინა, კეისარს — კი მემკვიდრე, და რაც ყველაზე დამლუპველი იყო, რომ არ გადარჩენილიყო ანტონიუსი, ოდესღაც კეისრის მეგობარი, მოგვიანებით — მისი მეტოქე, მომდევნო წლების ქარიშხალი და ჩირაღდანი," — შენიშნავდა ისტორიკოსი ლუციუს ანეუს ფლორუსი (ფლორუსი, IV, 3, 1-2).

ამ ნაწყვეტში ჩამოთვლილი პირები, მართლაც ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც კეისრის შემდგომ რომის პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდნენ. ამათგან მარკუს ანტონიუსს ყველა იცნობდა. კეისრის უპირველესმა მეგობარმა მომხდარის გამო ხალხის აღშფოთებით ისარგებლა, მაგრამ ამავდროულად მოახერხა, მორიგებოდა კეისრის მკვლელებს, რომელთა წინააღმდეგაც იგი იმ ხანად გალაშქრებას არ აპირებდა და, ფაქტობრივად, რომის ბატონი გახდა. ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც მას უპირისპირდებოდა, სახელგანთქმული ორატორი — ციცერონი გახლდათ.

მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ასპარეზზე ოქტავიანუსი გამოჩნდა. როდესაც კეისრის ანდერძი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ყოფილი დიქტატორი სწორედ ამ ახალგაზრდა ყმაწვილს — თავისი დის შვილიშვილს აცხადებდა თავის მემკვიდრედ და ქონების უდიდეს ნაწილსაც მას უტოვებდა. თავად ოქტავიანუსმა ამის შესახებ რომიდან შორს — ილირიის ქ. აპოლონიაში შეიტყო და დაუყოვნებლივ გამოემართა იტალიისაკენ, თუმცაღა კარგად ხედებოდა, რომ კანონიერი მემკვიდრეობის მიღება ერთობ რთული საქმე იქნებოდა.

რომში ჩამოსული იგი ოფიციალურად გამოცხადდა კეისრის შვილად და იულიუს კეისარ ოქტავიანუსად იწოდა. შემდეგ იგი კუთვნილი მემკვიდრეობის მისაღებად ანტონიუსთან გაემართა, რომლის სახლშიც, კეისრის ცოლმა კალპურნიამ ქმრის მთელი ქონება გადაიტანა.

ბუნებრივია, ისედაც დაძაბულ სიტუაციაში ანტონიუსს ახალი მეტოქის გამოჩენა არაფრად ეპიტნავა, თუმცალა პირველ ხანებში კეისრის ახლადგამომცხვარ მემკვიდრეს — 19 წლის ყმაწვილს, სერიოზულად არც კი აღიქვამდა. მემკვიდრეობის მიცემაზე მან ოქტავიანუსს უარი განუცხადა.

მაგრამ დიდმა მთავარსარდალმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ვერც ოქტავიანუსის პატივმოყვარეობა და ვერც ის დიპლომატიური ნიჭი, რომლითაც ეს ახალგაზრდა იყო დაჯილდოებული. და მართლაც, ოქტავიანუსმა ყველაფერი გააკეთა, რათა ანტონიუსისათვის თავისი ძალა დაემტკიცებინა. უპირველეს ყოვლისა, მან დიდი ორატორის — ციცერონის მხარდაჭერა მოიპოვა, რომელმაც დაარწმუნა სენატი, რომ მათ არა მარტო უნდა გაეძევებინათ რომიდან ანტონიუსი, არამედ აუცილებელი იყო მის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გაგზავნაც. სენატის ჯარებთან ბრძოლაში ანტონიუსი დამარცხდა, არმია კი ოქტავიანუსის მხარეზე გადავიდა. აი, მაშინ იზეიმა კეისრის მემკვიდრემ თავისი პირველი გამარჯვება ანტონიუსზე. შემდეგ კი ციცერონის დახმარებით კონსულიც გახდა და ჯარიც შეინარჩუნა. და როდესაც ყველაფერი მიიღო, რაც კი სურდა, „ამ ყმაწვილმა" თავად ციცერონიც გააცურა, რომელსაც თანაკონსულობას ჰპირდებოდა და სენატს მეორე კონსულად საკუთარი ნათესავი აარჩევინა.

ოქტავიანუსმა ისე სწრაფად მოიპოვა უზარმაზარი ძალაუფლება, რომ ირგვლივ მყოფნი გონსაც ვერ მოეგნენ. სულ ცოტა ხნის წინ ხომ ამ ყმაწვილს თითქმის არავინ იცნობდა. ახლა კი კეისრის მემკვიდრემ ყველას დაუმტკიცა, რომ მისთვის სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიათ. ოქტავიანუსს მოკავშირე ესაჭიროებოდა. და რადგან ანტონიუსს ჯერ კიდევ დიდი ძალა ჰქონდა, ხოლო მას კეისრის მკვლელები უპირისპირდებოდნენ, რომლებზეც კეისრის შვილობილს შურისძიების აღთქმა ჰქონდა დადებული, ოქტავიანუსმა ჯეროვნად შეაფასა ვითარება და მოკავშირედ ანტონიუსი აირჩია. ანტონიუსმა, ოქტავიანუსმა და მარკუს ემილიუს ლეპიდუსმა გააერთიანეს თავიანთი ძალები და უმაღლესი ხელისუფლება გაიყვეს. ამის შედეგი იყო სწორედ მეორე ტრიუმვირატის შექმნა.

ძვ. წ. 42 წლის შემოდგომაზე ტრიუმვირებმა კეისრის მკვლელებზე იძიეს შური და ფილიპოსთან (მაკედონიაში) ბრუტუსის და კასიუსის არმია დაამარცხეს. ამის შემდეგ ანტონიუსი აღმოსავლეთისკენ გაემართა.

მაგრამ თავიდანვე ნათელი იყო, რომ ტრიუმვირთა შორის დაზავება მხოლოდ დროებითი შეიძლებოდა ყოფილიყო. განსაკუთრებით დაძაბული იყო ურთიერთობა ამ კავშირის ორ მთავარ წევრს — ოქტავიანუსსა და ანტონიუსს შორის. ჩასაფრებულები, ისინი ერთმანეთის წარუმატებლობას ხელიდან არ უშვებდნენ. ეს კი არც თუ იშვიათად, უკეთეს შემთხვევაში სამოქალაქო დაპირისპირებას წარმოქმნიდა. თითქოს ანტონიუსი შორს, აღმოსავლეთში იმყოფებოდა და რომში მყოფ ოქტავიანუსისთვის დაბრკო-

ლება არ უნდა შეექმნა. მიუხედავად ამისა, როგორც კი ძვ.წ. 41 წლის ბოლოსთვის რომში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, როდესაც ხალხის ზიზღი და აღშფოთება დედაქალაქში მყოფ ერთადერთ ხელისუფალს — ოქტავიანუსს დაატყდა თავს, ამით მაშინვე ისარგებლეს ანტონიუსის უახლოესმა ნათესავებმა — ცოლმა ფულვიამ და ძმამ — ლუციუს ანტონიუსმა და ოქტავიანუსის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია წამოიწყეს.

ასეთი იყო მდგომარეობა ქვეყანაში, როდესაც ლივიას ქმარი — კლავდიუს ტიბერიუს ნერონი, ისევ ჩნდება ასპარეზზე. ამ სამოქალაქო დაპირისპირებაში იგი ოქტავიანუსის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდა და ლუციუს ანტონიუსს პერუზიაში გაპყვა. ძვ.წ. 40 წლის გაზაფხულზე, როცა აჯანყებულები ოქტავიანუსს დანებდნენ, ტიბერიუს ნერონმა დამარცხებულთა ხვედრი არ გაიზიარა და ბრძოლა მარტომ განაგრძო. ამ კამპანიის დროს მას თან ახლდა ცოლი — ლივია და მცირენლოვანი ვაჟიშვილი ტიბერიუსი, სწორედ ის ტიბერიუსი, რომელსაც ეწერა, რომ მომავალში რომის იმპერატორი გამხდარიყო. მაშინ ხომ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ოჯახმა ბევრი იწანწალა, ყოველ წუთს მათ სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდათ, მტერი ფეხდაფეხ მოსდევდა. როგორც იქნა, ნეაპოლში მდევარს ერთი ფეხით გაუსწრეს და გემზე ასვლა მოახერხეს. მაგრამ აქაც ძლივს გადაურჩნენ განსაცდელს, — პატარა ტიბერიუსი ატირდა, მგზავრთა ყურადღება მიიპყრო და კინაღამ გასცა მშობლები. შემდეგ ერთხანს ისინი სიცილიაში იმალებოდნენ, აქედან კლავდიუს ტიბერიუსი ოჯახთან ერთად საბერძნეთში გადავიდა. იქ მათ კიდევ ერთი ხიფათი ელოდათ. ღამით, როდესაც ისინი საბერძნეთიდან მოემგზავრებოდნენ, ტყეს უეცრივ ყოველი მხრიდან ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლის ალი მგზავრებსაც მისწვდა, ლივიას თმებსა და ტანსაცმლის კიდეზე მოედო. ღმერთის წყალობით ამ განსაცდელსაც გადაურჩნენ. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი ხეტიალი, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი არ შერიგებულიყვნენ. ძვ.წ. 39 წელს საყოველთაო ამნისტია გამოცხადდა და ყველანი თავიანთი სახლებისკენ გაემგზავრნენ. ტიბერიუს ნერონიც ოჯახთან ერთად რომში დაბრუნდა (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 4, 6).

კლავდიუს ტიბერიუს ნერონს აწ უკვე ყოფილი პოლიტიკური მოწინააღმდეგე — ოქტავიანუსი — ახლა პირად ცხოვრებაში მოევლინა მეტოქედ. წყაროები დეტალებს არ გვიყვებიან და მოკლედ გვამცნობენ, რომ რომში დაბრუნებული ლივია მალე ავგუსტუსმა ცოლად შეირთოო. „ამის შემდეგ ავგუსტუსი დაქორწინდა ლივია დრუზილაზე, რომელიც ორსული, ქმარს — ტიბერიუს ნერონს წაართვა. და ეს ქალი, როგორც არავინ სხვა, ისე უყვარდა და პატივს მიაგებდა, ვიდრე სიკვდილამდე" (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 62). და თუმცა განქორწინებული თუ ქვრივი ქალისთვის ახალი ქორწინება ათი თვის განმავლობაში აკრძალული იყო, ოქტავიანუსის

მოთხოვნით ლივიასათვის გამონაკლისი იქნა დაშვებული. ამასთან ოქტავიანუსმა და ტიბერიუს ნერონმაც მოახერხეს შეთანხმება და იმასაც კი ამბობდნენ, ეს უკანასკნელი თავისი ცოლის საქორწინო ნადიმსაც ესწრებოდაო. შესაძლოა, მას სწყდებოდა გული ლივიაზე, მაგრამ იმასაც მშვენივრად ხვდებოდა, რომ ოქტავიანუსთან, უმაღლეს ხელისუფალთან ვერაფერს გახდებოდა. თან იმის დავიწყებაც ძნელი იყო, რომ ოქტავიანუსმა იგი სულ რამდენიმე თვის წინ შეიწყალა. ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ ლივიას მეორე ვაჟი — დრუზუსი გაუჩნდა. გავრცელდა ჭორი, რომელიც ამგვარი პიკანტური სიტუაციებისთვის ტიპიურია — თითქოს ახალშობილის მამა ლივიას პირველი ქმარი კი არა, თავად ოქტავიანუსი ყოფილიყო. „ილბლიანები მესამე თვეზე მშობიარობენო", — ქილიკობდნენ რომაელები ოქტავიანუსსა და ლივიაზე (სვეტონიუსი, „კლავდიუსი", 1). მაგრამ ჭორს ოფიციალური სტატუსი არა აქვს და ბავშვის მამად, ბუნებრივია, ლივიას პირველი ქმარი ითვლებოდა.

ოქტავიანუსსა და ლივიას საკუთარი შვილი არ ჰყოლიათ, თუმცა ავგუსტუსი ყველაზე მეტად ამაზე ოცნებობდა. ლივია მხოლოდ ერთხელ იყო ფეხმძიმედ ავგუსტუსისაგან, მაგრამ ბავშვი დროზე ადრე, უდღეური დაიბადა (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 63).

ლივიასა და ოქტავიანუსის ქორწინება გამორჩეულად ილბლიანი გამოდგა. უპირველეს ყოვლისა, ამას, ალბათ, მათი ხასიათთა მსგავსება განაპირობებდა. ავგუსტუსის რკინისებურ პატივმოყვარეობას, გასაოცარ ქვეშ-ქვეშობასა და გულქვაობას კარგად ეთავსებოდა ლივიასეული ძალაუფლების სიყვარული, მისი გამჭრიახი გონება და თანდაყოლილი ტაქტი. ცოლის თვისებათაგან ავგუსტუსს ყველაზე უფრო ის მოსწონდა, რომ ლივიას შეეძლო თავისი ჭეშმარიტი ზრახვები შეენიღბა და გარეგნულად ყველაფერი ისე წარმოეჩინა, როგორც ეს ოქტავიანუსს — მის ქმარს სურდა. ქმართან ურთიერთობის ტაქტიკა ლივიას ზედმიწევნით კარგად ჰქონდა გააზრებული. ერთხელ ვიღაცას ლივიასათვის უკითხავს, თუ როგორ მოახერხა მან ავგუსტუსზე ესოდენ დიდი ზეგავლენის მოპოვება, რაზედაც ლივიას ასეთი პასუხი გაუცია: „დავიწყოთ იმით, რომ ქმრისთვის არასოდეს მიღალატნია, ამის გარდა სიხარულით ვაკეთებდი ყველაფერს, რაც კი მას სიამოვნებას მოჰგვრიდა, არასოდეს ვყოფდი ცხვირს მის საქმეებში, მაგრამ ყველაზე მეტად ამას იმით მივაღწიე, რომ ქმარს მუდამ ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს არც ოდესმე გამეგოს რაიმე და არც ოდესმე მენახოს ისინი, ვინც მისი გატაცების ობიექტები იყვნენო" (დიო კასიუსი, 58, 2, 5). ჩამონათვალთაგან ლივიას განაცხადი იმის თაობაზე, რომ იგი ქმრის საქმეებში არ ერეოდა, სინამდვილისაგან შორს არის, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ლივია ამას მეტად მარჯვედ და ოსტატურად აკეთებდა.

რაც შეეხება ლივიას ნათქვამს, რომ იგი ქმრის სასიყვარულო თავგადასავლებს არ იმჩნევდა, ეს ნამდვილად შეესაბამებოდა სიმართლეს, ყოველ შემთხვევაში, სხვა წყაროებიც ამასვე გვიდასტურებენ. ავგუსტუსი დიდი მექალთანე იყო. ანტიკური ავტორები მოგვითხრობენ, თუ როგორ ეძებდნენ მეგობრები მისთვის საყვარლებს. ისინი ჯერ საგანგებოდ გამოიკითხავდნენ ლამაზი ქალების შესახებ, შემდეგ კი ავგუსტუსის საყვარლობის კანდიდატებს გულდასმით დათვალიერებას უწყობდნენ. ასაკში მყოფ ავგუსტუსს, განსაკუთრებით თურმე ახალგაზრდა ქალიშვილები მოსწონდა. სვეტონიუსის გადმოცემით, იმპერატორისთვის ქალწულთა მოძიებით თავად ლივიაც კი ყოფილა დაკავებული. ცნობილია ანტონიუსის წერილი ავგუსტუსისადმი მიწერილი იმ წერილის საპასუხოდ, რომელშიაც ოქტავიანუსი ანტონიუსს ოქტავიას — მისი კანონიერი ცოლის — ღალატის გამო პკიცხავდა: „ოქტავიანუს, ნეტავ რამ აღგაშფოთა ასე? ნუთუ იმან, რომ დედოფალთან ვცხოვრობ? მაგრამ იგი ხომ ჩემი ცოლია და ეს ამბავი გუშინ არ დაწყებულა, აგერ უკვე ცხრა წელია, რაც მასთან ვარ. შენ რისი თქმა გინდა, ნუთუ იმისი, რომ მხოლოდ ლივია დრუზილასთან ცხოვრობ? ჭირმა წამიღოს, თუ ამ წერილის კითხვისას არ ინვე ტერტულასთან, თუ ტერენტილასთან, რუფილასთან, თუ სალვია ტიტიზენიასთან, შეიძლება ყველასთანაც — კი. და საერთოდ, განა სულ ერთი არ არის, ვისთან და სად დაეხეტები?" (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 69; 71). ოქტავიანუსის გატაცებას ლამაზმანებით ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ბზარი არ შეპქონდა. ლივიამ მშვენივრად იცოდა, რომ მისი რეალური მეტოქე ოქტავიანუსის საყვარლებიდან არავინ იყო.

კრიტიკულ მდგომარეობაში ლივია მუდამ ოქტავიანუსის გვერდით იდგა და არა მხოლოდ მორალურად. და თუმცა სამხედრო ბანაკში ცოლის თანხლება იმ პერიოდის რომაული საზოგადოებისთვის უცხო და ახალი იყო, ლივია ხშირად დაპყვებოდა ქმარს ლაშქრობებში, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში (ტაციტუსი, „ანალები", III, 4).

ამასობაში ლივია, როგორც რომის ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალის ცოლი, თავისი სტატუსის ოფიციალურ გამოხატულებებს ნელ-ნელა იღებს. მას აძლევენ უფლებას, რომ მეურვის გარეშე, პირადად განკარგოს საკუთარი ფინანსები — სიახლე რომაული სინამდვილისთვის. ამასთან ლივიას „ხელშეუხებლობას" ანიჭებენ, რაც ერთგვარ იმუნიტეტს ნიშნავდა და აქამდე ტრიბუნის პრივილეგიას წარმოადგენდა. ლივია ხდება ისეთივე დაცული პერსონა, როგორც მისი ქმარი — ოქტავიანუსი. რომში აღმართავენ ლივიას ქანდაკებას, რაც უნდა ითქვას, რომ იმ ხანად ქალისთვის უნიკალური პატივი იყო, თუნდაც იგი ხელისუფლის მეუღლე ყოფილიყო.

ავგუსტუსის ცოლის არაოფიციალური, რეალური ძალაუფლება კიდევ უფრო დიდი იყო. ლივიას ირგვლივ სხვადასხვა პროფესიის და საქმიანო-

ბის ადამიანთა ფართო წრე იყო შემოკრებილი. ლივია ხშირად ეხმარებოდა მათ წინსვლაში. მას შესწევდა ძალა თავისი პროტეჟე გაეხადა სენატორი, თვით კონსულიც კი. ამასთან ლივია აქტიურად ერეოდა თავისი მეგობრების თუ დაახლოებული პირების პირად ცხოვრებაშიც. მაგალითად, ცნობილია, რომ მისმა შვილიშვილმა კლავდიუსმა ლივიას პროტეჟეს — პლავტიუს სილანუსის ქალიშვილი — ურგულანია ბებიის გულმოდგინე მეცადინეობის შედეგად ითხოვა. ტაციტუსი ლივიას ზედმიწევნით ზუსტად და ლაკონურად ახასიათებს: „ლივია კერიის სიწმინდეს მტკიცედ იცავდა, ისე, როგორც ეს წინაპართა ადათებს შეეფერებოდა. მაგრამ ამავე დროს იგი უფრო ალერსიანი ქალი გახლდათ, ვიდრე ტრადიციულად ქალებისთვის იყო მიღებული. ლივია უზომოდ მოყვარული დედა და შემწყნარებელი ცოლი იყო. ამასთან იგი მშვენივრად ახერხებდა მისადაგებოდა ქმრის ქვეშ-ქვეშობას და შვილის თვალთმაქცობას“ (ტაციტუსი, „ანალები“, V, I).

როდესაც ოქტავიანუსმა ლივია შეირთო, მას ერთპიროვნული მმართველობა არ ჰქონდა, წინ გრძელი და რთული გზა ედო. მას ჯერ კიდევ უნდა დაემარცხებინა თავისი მოწინააღმდეგენი თუ დროებითი მოკავშირეები. და აი, ოქტავიანუსი თანდათანობით იშორებს თავიდან მეტოქეებს — ძვ.წ. 36 წელს მარკუს ემილიუს ლეპიდუსს ჩამოაცილებს პოლიტიკურ ასპარეზს, ძვ.წ. 35 წელს ილუპება სექსტუს პომპეუსი — გნეუს პომპეუსის ვაჟი, ხოლო ძვ.წ. 31 წელს აქციუმთან გამართულ ისტორიულ ბრძოლაში ოქტავიანუსი საბოლოოდ ანადგურებს თავის მთავარ მოწინააღმდეგეს — მარკუს ანტონიუსს.

როგორც იქნა სამოქალაქო ომი დამთავრდა და რომმაც თავისუფლად ამოისუნთქა. სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად ოქტავიანუსის ხელთ აღმოჩნდა. კეისრის მემკვიდრე ფრიად საპასუხისმგებლო არჩევნის წინაშე დადგა. დიო კასიუსი მოგვითხრობს, რომ ოქტავიანუსი ორჭოფობდა, ხომ არ ეთქვა უარი ძალაუფლებაზე და მმართველობა სენატისა და ხალხისთვის ხომ არ გადაეცა. ამ მიზნით იგი თავის უახლოეს გარემოცვას — მეცენატსა და აგრიპას მოეთათბირა.

აგრიპამ შესთავაზა ოქტავიანუსს ერთმმართველობაზე უარი განეცხადებინა, მეცენატი კი პირიქით ურჩევდა მას, რომ ხელისუფლების სათავე ხელში მტკიცედ აეღო. ორივე მხარემ ფრიად საგულისხმო არგუმენტები მოიყვანა. ავგუსტუსმა უპირატესობა მეცენატის სიტყვებს მიანიჭა, რომელიც, აი, რას ეუბნებოდა კეისარს: „თუ შენ სამშობლოზე ზრუნავ, რომლისთვისაც ამდენს ომობდი და რომლისთვისაც სულსაც კი გაიღებდი, მაშინ გარდაქმენი იგი და ყველაზე რაციონალური გზებით წესრიგში მოიყვანე. შესაძლებლობა იმისა, რომ თითოეულმა ადამიანმა თქვას და აკეთოს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს — საყოველთაო კეთილდღე-

ობის წყაროა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე კეთილგონიერ პიროვნებებთან გაქვს. მაგრამ ამავე შესაძლებლობას უბედურება მოაქვს, თუკი ირგვლივ უგუნური ადამიანები არიან, ამიტომ ის, ვინც უგუნურთ ანიჭებს თავისუფლებას, იმავეს სჩადის — ბავშვს ან ჭკუასუსტს რომ აძლევდეს მახვილს. ხოლო ის, ვინც თავისუფლებას კეთილგონიერ მოქალაქეებს გადასცემს, მას ყველასთვის ხსნა მოაქვს, მათ შორის შეშლილთათვისაც, მათივე ნების სანინააღმდეგოდ...

დაე, ნუ იფიქრებ იმას, თითქოს მე გირჩევდე ტირანი გახდე და სენატი და ხალხი მონად აქციო. ამას ჩვენ ვერასოდეს გავბედავთ — ვერც მე, რომ ვთქვა და ვერც შენ, რომ გააკეთოო" (დიო კასიუსი, 52, 14-15).

როგორც დიო კასიუსი გვამცნობს, ოქტავიანუსმა უპირატესობა თუმცა მეცენატის რჩევას მიენიჭა, სინადვილეში მისი ყველა მოსაზრება კეისარმა დაუყოვნებლივ არ განახორციელა, რადგან ეშინოდა, თუ ძალზე სწრაფად შეუდგებოდა ხალხის გარდაქმნას, შესაძლოა, საქმე გაეფუჭებინა (დიო კასიუსი, 52, 41).

ოქტავიანუსს კარგად ახსოვდა, თუ როგორ არ მოსწონდა რომაელ ხალხს იულიუს კეისრის წადილი ერთმმართველი ყოფილიყო, ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ წინაპრის შეცდომა არამც და არამც არ უნდა გაემეორებინა. ამიტომაც მან უარი განაცხადა მთელი ცხოვრება დიქტატორად და კონსულად დარჩენილიყო. როგორც იგი შემდეგ თავის ავტობიოგრაფიაში ჩაწერს: „...მქონდა რა საყოველთაო თანხმობით გადმოცემული უმაღლესი ძალაუფლება, მე ერთპიროვნულ მმართველობაზე უარი განვაცხადე და სენატსა და რომაელ ხალხს სახელმწიფოს მმართველობა ჩავაბარე. ამ ჩემი დამსახურების გამო და სენატის დადგენილებით, მომანიჭეს კიდეც ავგუსტუსის ტიტული" (ღას, 34). ეს წოდება სენატმა მას ძვ.წ. 27 წელს უბოძა.[3] საპატიო ტიტულთაგან ოქტავიანუსი მხოლოდ ერთს — „პრინცეპსის" ტიტულს დასთანხმდა.[4] ეს მისი უმაღლესი ტიტულატურა გახლდათ. არსად, არც ერთ დოკუმენტში ოქტავიანუსი მონარქად არ ყოფილა წოდებული. ბრძნულად განმსჯელი და საუკეთესო დიპლომატი, იგი ყოველმხრივ ცდილობდა რომის სახელმწიფო გარეგნულად რესპუბლიკისთვის დაემსგავსებინა, ამიტომ ფორმალურად მან ყველა ძველი რესპუბლიკური ინსტიტუტი შეინარჩუნა. უაღრესად პატივმოყვარეს, ავგუსტუსს ეყო იმისი ჭკუა, რომ თავისი სახელობის ტაძრები არ აეშენებინა. მეტიც, მის პატივსაცემად ჩამოსხმული ვერცხლის ქანდაკებები პრინცეპსის ბრძანებით მონეტებად გადაადნეს და ამ თანხით გაკეთებული ორი ოქროს სამფეხა აპოლონს შესწირეს. ამ გარეგნული მოკრძალებულობის მიღმა, თქმა არ უნდა, ავგუსტუსს ფაქტობრივად, მონარქის ძალაუფლება ჰქონდა.

იმ პატივს, რომელსაც მას სენატი და რომაელი ხალხი მიაგებდა „სიმა-

მაცის, სამართლიანობის, გულმოწყალების და ღვთისმოსაობის“ გამო, როგორც თავადვე აღნიშნავს ავგუსტუსი ავტობიოგრაფიაში, პრინცეპსი დიდად აფასებდა, და მიაჩნდა, რომ ამას იგი უდავოდ იმსახურებდა. რომაელებს მან ახლა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — მშვიდობა და სტაბილურობა მისცა. სწორედ ამით ავგუსტუსი გამორჩეულად ამაყობდა და ამის აღსანიშნავად დაანესა კიდეც მშვიდობიანობის ღვთაების განსაკუთრებული კულტი, რომელსაც ავგუსტუსის მშვიდობა ეწოდებოდა.[5] ახლა ოქტავიანუსს მართლაც შეეძლო განეცხადებინა ის, რასაც მრავალი წლის შემდეგ სიცოცხლის მიმწუხრს იგი თავის ავტობიოგრაფიაში ჩაწერს: „დაბადებიდან 19 წლის ასაკში, მე ჩემი გადაწყვეტილებით და საკუთარი სახსრებით შეეკრიბე ჯარი და დავუბრუნე თავისუფლება სახელმწიფოს, რომელიც შეთქმულთა ბანდას ჰყავდა დაჯაბნილი“ (ღას, 1).

მაგრამ იმ სიკეთისა და კეთილდღეობის მიუხედავად, რომელიც ავგუსტუსმა რომაელ ხალხს მოუტანა, მათ კარგად ახსოვდათ, რა ფასად დაუჯდათ ეს, არც რესპუბლიკური რომის სახელოვანი წარსული ჰქონდათ უკვე საბოლოოდ მივიწყებული. ამიტომ იყო ავგუსტუსისთვის აუცილებელი, რომ საზოგადოებრივი აზრი თავის სასარგებლოდ განეწყო. ამას ემსახურებოდა გამოჩენილ პოეტთა და ინტელექტუალურ მოღვაწეთა მოზიდვა, მათთვის მფარველობის გაწევა. ამ პოეტებს შემდგომ ავგუსტუსისთვის სასურველი იდეოლოგია უნდა გაეტარებინათ. სასახლის კარზე ამგვარი ატმოსფეროს შექმნას დიდად უწყობდა ხელს ლივიას გულმოდგინე მცდელობანი. ამ ჭკვიანმა ქალმა, რომელმაც მოახერხა, რომ სენატის განსაკუთრებული სიყვარული დაემსახურებინა, მშვენივრად იცოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ავგუსტუსისათვის ხალხის კეთილგანწყობა და სენატორთა მხარდაჭერა.

დიო კასიუსი გადმოგვცემს ცოლ-ქმრის დიალოგს ერთ ფრიად საგულისხმო მოვლენასთან დაკავშირებით, რომელშიც მსჯელობას ძირითადად ლივია წარმართავს. როგორც მონათხრობიდან ჩანს, ამ ქალს თავისი შეხედულებები ჰქონია მონარქიის არსზე და მის ბედზე, თავისი წარმოდგენები — მონარქის ფუნქციაზე, მის გზაზე, მონარქის პიროვნულ თავისუფლებაზე. ეს სწორედ ის თემები იყო, რომლებიც იმ დროს ტრიალებდა ჰაერში, ის კითხვები იყო, დაუსრულებლივ რომ აწუხებდა ავგუსტუსს, აშკარად იმ საკითხების გამოძახილს წარმოადგენდა, აგრიპასთან და მეცენატთან იმპერატორის საუბრისას რომ მოვისმინეთ. მთელ ამ პასაჟში ლივიას მსჯელობა დასაბუთებული, ღრმად არგუმენტირებული, დაფიქრებული ადამიანის განსჯის ნიმუშია. თანამედროვე მეცნიერები საეჭვოდ მიიჩნევენ, რომ ლივიას პირით გადმოცემული ფილოსოფიური ნააზრევი თავად ლივიას ეკუთვნოდეს (მათი მოსაზრებით მსჯელობის არსი თავად ისტორიკოსის — დიო კასიუსის კრედოს შეესაბამება), მაგრამ ჩვენთვის

ამ ფრაგმენტის ჭეშმარიტი ავტორის დადგენა არაა არსებითი. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ტრადიცია ამ ნააზრევს სწორედ ლივიას მიაწერს და არა სხვა ვინმეს, ლივიას მიაწერს უნარს, დაერწმუნებინა ავგუსტუსი, სწორედ ის პოლიტიკური გეზი აეღო, რომელსაც იგი ურჩევდა. ეს კი ნამდვილად არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი მოვლენა. უნდა ითქვას ისიც, რომ დიო კასიუსი სრულიადაც არ არის გამონაკლისი ანტიკურ ავტორთა შორის, ვინც ლივიას გონიერებას ხაზგასმით აღნიშნავს. ტრადიციის თანახმად, ცოლის ჭკუას ავგუსტუსი დიდად აფასებდა. თითქოს საოცარია, მაგრამ ავგუსტუსი — ეს უდიდესი მოღვაწე, წინასწარ კონსპექტებს ადგენდა, ჩაინიშნავდა არსებითს და მხოლოდ შემდეგ იწყებდა საუბარს ცოლთან მნიშვნელოვან თემებზე. მას არ სურდა, რომ შეცდომით ან ძალზე ბევრი ეთქვა, ან პირიქით, ცოლისთვის საჭიროზე ნაკლები მოეყოლაო (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 84). ლივიას ჭკუას თვით ციცერონი კალიგულაც კი აღნიშნავდა, განსაკუთრებით კი მის ეშმაკობას უსვამდა ხაზს. დიდ ბებიას კალიგულა Ulixes Stolatus — ანუ ქალის კაბაში გამონყობილ ოდისევსს ეძახდა (ოდისევსი ხომ ბერძენ გმირთა შორის ეშმაკობით ყველას აღემატებოდა) (სვეტონიუსი, „კალიგულა", 23).

ავგუსტუსისა და ლივიას ზემოთნახსენები დიალოგი მართლაც ერთ ფრიად მნიშვნელოვან ამბავს უკავშირდებოდა. პომპეუსის შვილიშვილი, წარჩინებული დიდგვაროვანი გნეუს კორნელიუს ცინა ავგუსტუსის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა. შეთქმულება დროულად იქნა გამოვლენილი. მაგრამ დილემა ამით არ გადაწყვეტილა. პრინცეპსი დაიბნა, არ იცოდა, დაესაჯა შეთქმულნი თუ პირიქით, შეენყალებინა. ერთი მხრივ იგი ხედავდა, რომ შეთქმულთა განადგურება სიმშვიდეს არ მოუტანდა, მეორე მხრივ ეშინოდა იმისაც, რომ შენყალებას სხვათა გადიდგულება და მის წინააღმდეგ ამხედრება არ გამოეწვია.

კეისარმა სიმშვიდე დაკარგა. ცოლი დადარდიანების მიზეზს შეეკითხა. ავგუსტუსმა უპასუხა, რომ მას უზომოდ ანუხებდა მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა — იგი ხომ ხან ერთი, ხან მეორე ჯგუფის მხრიდან შეთქმულების ობიექტი იყო. საუბარი კონკრეტულ მოვლენას დაშორდა, განზოგადდა, გამოიკვეთა პრობლემაც — უმაღლესი ხელისუფლისა და მის ქვეშევრდომთა ურთიერთობა.

ერთპიროვნული მმართველის ხვედრი ასეთია: გარეშე მყოფნი მუდამ მისით უკმაყოფილონი იქნებიან — ვერ შეძლო ცოლმა ავგუსტუსის დამშვიდება, რადგან ეს აუცილებლობითაა განპირობებული. მმართველს არ ძალუძს, რომ ყველას ასიამოვნოს, ყოველთვის უფრო მეტი იქნება მისით უკმაყოფილო, ვიდრე საკუთარი ბედით კმაყოფილი ადამიანები. — აუცილებლობას ვერ შეებრძოლები, თუმცა ხელისუფლების შენარჩუნება შეიძლება. მაგრამ ხელისუფლების შენარჩუნება უნდა მოხდეს არა სასჯელ-

თა მეშვეობით, რომლითაც შენ დასჯი დამნაშავეებს, არამედ იმ სიმკაცრის საშუალებით, რომლითაც ხელისუფლების დამცველი იქნებიო, — უთხრა ქმარს ლივიამ.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, იმპერატორს საფრთხეზე მეტად სხვა რამ აწუხებდა — ის, რომ მონარქს მტრების გარდა, მეგობრებისაც უნდა შინებოდა. საშინელებაა, როცა ადამიანი მუდამჟამს შურისძიებისთვის მზად უნდა იყოს და საშინელებაა, რომ ამ გარდაუვლობის წამალი არ არსებობსო, — გულის ტკივილით აღნიშნა იმპერატორმა.

„თუ ასეა, მე შემიძლია რჩევა მოგცე, თუკი ნებას დამრთავ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ქალი გირჩევს, ამის თქმას ჩემს მეტი ვერავინ გაბედავს", — შეპბედა ლივიამ. კეისარმა მოსმენის მზადყოფნა გამოთქვა.

„ვფიქრობ, ჩვენი პოლიტიკა უნდა შევცვალოთ და შეთქმულთაგან ზოგიერთები შევიწყალოთ, რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევაში, თუ სამი რამ, რასაც მე ახლა ჩამოვთვლი, სწორია და სინამდვილეს შეესაბამება. პირველი, თუ მართალია ის, რომ ადამიანის ბუნებას ძირეულად მაინც ვერ გარდაქმნი, მეორე, თუ სწორია, რომ უდანაშაულო ადამიანებს სიმდიდრე და ღირსება არ უნდა წაართვა და ბოლოს, თუ სინამდვილეს შეესაბამება კიდევ ერთი რამ. კერძოდ კი ის, რომ მმართველის მიერ გატარებული თავდაცვის, გნებავთ, თავდასხმის აცილების პოლიტიკა მასვე გამუდმებით აღიზიანებს და ამასთან ცუდ სახელსაც უმკვიდრებსო.

შენ, ავგუსტუს, რომელიც ადამიანებს მართავ, უნდა მოახერხო მუდამ და ყველა საშუალებით დაარწმუნო ისინი იმაში, რომ არავის გაუკეთებ ცუდს, არც მიზანმიმართულად და არც უნებურად. მათ დარწმუნებას თუ მოახერხებ, ამით დიად საქმეთა გაკეთებას შეძლებ. შენ შეძლებ იმას, რომ ხალხს შეუყვარდე, რამეთუ ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეუყვარდეს მეორე ადამიანი, როდესაც მას ერწმუნება...

ასეთივე დიდი ძალა აქვს შენწყალებასაც. და თუ დამნაშავეებს შევიწყალებთ, ამით მხოლოდ მოვიგებთ. მოვიგებთ კი, ჩემი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანს:

ჩვენ მოვიმკით არა მარტო შენწყალებულთა სიყვარულს, არამედ დავიმსახურებთ ყველა სხვა დანარჩენთა პატივისცემასაც, რადგან მათ არ მოუნდებათ, რომ ამგვარ მმართველს ზიანი მიაყენონ. შენწყნარებულნი კი ამ მმართველის საუკეთესო ქვეშევრდომნი გახდებიან, რამეთუ გამუდმებით ექნებათ იმედი იმისა, რომ მათი მხსნელი მათდამი კიდევ უფრო მეტ ქველმოქმედებას გამოიჩენს, ბუნებრივია, თუ ისინი თავიანთი მხრივ მცდელობას არ დააკლებენ.

ლივია

ის ხელისუფალი კი, რომელიც არ დათმობს თავის პოზიციას და მუდმივად სასტიკი და აღშფოთებული იქნება, არა მხოლოდ იმ ადამიანთა ზიზღს დაიმსახურებს, რომელთაც უნდა ეშინოდეთ მისი, არამედ ვერც

იმას მიაღწევს, რომ დანარჩენთ მაინც მოსწონდეთ. ბოლოს კი იმას მოიმ-კის, რომ მის წინააღმდეგ ამხედრდებიან, რათა დაღუპვას გადაურჩნენ", — ეს უთხრა ქმარს ლივიამ და შეწყალების რჩევა ერთი ფრიად დამაჯე-რებელი არგუმენტით დაასრულა. „შეუძლებელია, — ამბობდა ლივია — რომ ერთმა ადამიანმა ასეთი დიდი სახელმწიფო დემოკრატიიდან ერ-თმმართველობაზე გადაიყვანოს ისე, რომ ამას სისხლისღვრა არ მოჰყვეს. ეს გარდაუვალია. მაგრამ თუ ახლა შეიცვლი გეზს და შეინყალებ დამნაშა-ვეებს, მაშინ ხალხში გაჩნდება იმის რწმენა, რომ ყველა შენი ქმედება, რო-მელმაც უკმაყოფილება გამოიწვია, აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მაგ-რამ თუ შენ ძველ პოლიტიკას განაგრძობ, მაშინ, დამიჯერე, იფიქრებენ, რომ ყველა წარსულში მომხდარი აუტანელი საქმენი, შენ, შენივე ნება-სურვილით ჩაიდინე" (დიო კასიუსი, 55, 14-22).

ლივიას მთელი მსჯელობა სწორედ იმ კურსის არჩევისკენ იყო მიმარ-თული, რომელსაც ავგუსტუსისთვის ბრძენი და მოწყალე მმართველის სა-ხელი უნდა მოეტანა.

როგორც ჩანს, ავგუსტუსისათვის ცოლის მოსაზრებები სარწმუნო აღ-მოჩნდა. დიო კასიუსის ცნობით, მან ლივიას რჩევა შეისმინა და ყველა ბრალდებული გაათავისუფლა. კორნელიუს ცინას კეისარმა კონსულობაც კი უბოძა.

ლივიას წინასწარმეტყველება ასრულდა. შეწყალებულნი ავგუსტუსის უერთგულესი ქვეშევრდომები შეიქნენ. როგორც გვატყობინებს დიო კა-სიუსი, ამის შემდეგ არც მათ და არც სხვა დანარჩენთ ავგუსტუსის წინა-აღმდეგ შეთქმულება არ მოუწყვიათ, მცდელობაშიც კი არ ყოფილა ვინმე ეჭვმიტანილი. ავგუსტუსიც ილვწოდა ისე ემართა სახელმწიფო, რომ კე-თილმოწყალე, გონიერი, ქვეშევრდომებზე მზრუნველი და სამართლიანი მმართველის სახელი ჰქონოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლივია ყოველმხრივ ცდილობდა სათნო და დარ-ბაისელ ქალად წარმოჩენილიყო და რაც შეეძლო ნიღბავდა თავის ინტრი-გებს, მაინც იყვნენ ისეთნი, რომლებიც იმპერატრისას უარყოფითად აფა-სებდნენ. ასე მაგალითად, ისტორიკოსები — ტაციტუსი და დიო კასიუსი ლივიას მიმართ მტრულად არიან განწყობილნი. და თუმცა თანამედროვე მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პრინცეპსის ცოლისთვის წა-მოყენებული ბრალდებები სერიოზულ წყაროებს არ უნდა ეყრდნობოდნენ, ალბათ, ამ წყაროთა სრული იგნორირება გაუმართლებელი იქნებოდა.

უდავო ფაქტია ის, რომ ლივიას ავგუსტუსის მემკვიდრედ თავისი შვი-ლი — ტიბერიუს ნერონი უნდოდა. მაგრამ ეს რთული იყო, რადგან ავგუს-ტუსს მეორე ცოლისგან საკუთარი ქალიშვილი — იულია ჰყავდა. ბუნებ-რივია, სანამ იულია და მისი მემკვიდრეები ცოცხლები იყვნენ, ტიბერიუსი იმპერატორობას ვერ ეღირსებოდა.

ეტყობა, ტიბერიუსს მართლაც ეწერა იმპერატორი გამხდარიყო, რადგან ყველა პირდაპირი შთამომავალი, რომელიც ავგუსტუსმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, ან დაიღუპა, ან თავად პრინცეპსმა გადაასახლა. სრულიად ახალგაზრდანი გარდაიცვალნენ მარკელუსი — იულიას ქმარი, შემდეგ კი იულიას ვაჟები — გაიუს და ლუციუს კეისრები. ამ უკანასკნელთა უდროო სიკვდილი, ბუნებრივია, ეჭვს ბადებდა. მაგრამ მათ დაღუპვაში ლივიას თვით ტაციტუსიც კი ვერ ადებს ხელს და მხოლოდ ამას შენიშნავს: „ძნელია იმის თქმა, ბედისწერამ დააჩქარა მათი სიკვდილი, თუ დედინაცვლის ბოროტმა ხრიკებმაო“ (ტაციტუსი, „ანალები“, I, 3).

ბოლოს ასპარეზს ჩამოაცილეს აგრიპა პოსტუმუსი — ავგუსტუსის უკანასკნელი ღვიძლი შვილიშვილი, რომელიც პრინცეპსმა ტიბერიუსთან ერთად თავის მემკვიდრედ დაასახელა. პოსტუმუსი პლანასიას კუნძულზე გადაასახლეს. ტიბერიუსისთვის საიმპერატორო გზა თითქმის თავისუფალი იყო, მაგრამ არა საბოლოოდ. აგრიპა პოსტუმუსი ხომ მხოლოდ გადასახლებული იყო და არა მკვდარი.

სწორედ ამ „მაგრამზეა“ აგებული ტაციტუსის ვერსია, რომელიც ავგუსტუსის გარდაცვალებას აგრიპა პოსტუმუსთან აკავშირებს და აი, რას მოგვითხრობს: ავგუსტუსის ჯანმრთელობა თანდათანობით სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, ზოგიერთები იმასაც ფიქრობდნენ, ამაში ლივიას ხელი ურევიაო. ასეთი ხმაც გავრცელდა, თითქოს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ავგუსტუსს რამდენიმე რჩეული პირისთვის გაენდო, შვილიშვილის მონახულება განმიზრახავსო. შემდეგ კი ერთადერთი მხლებელი ფაბიუს მაქსიმუსი წაუყვანია და კუნძულ პლანასიასკენ გაუცურავს. შვილიშვილის და ბაბუის შეხვედრა ერთობ გულისამაჩუყებელი აღმოჩნდა. ორივემ მდუღარე ცრემლები ღვარა და ერთმანეთს სიყვარული აუხსნა. ამიტომაც გაჩნდა იმედი, რომ აგრიპა პოსტუმუსს გადასახლებიდან დააბრუნებდნენ. საუბედუროდ, საიდუმლო ავგუსტუსის თანამგზავრმა მაქსიმუსმა თავის ცოლს გაუმჟღავნა, ამ უკანასკნელმა კი ლივიას გაანდო. ეს ცნობილი გახდა კეისრისთვისაც. ძალიან მალე მაქსიმუსი გარდაიცვალა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, — ასკვნის ტაციტუსი — , რომ ეს თვითმკვლელობა იყო, ფაბიუს მაქსიმუსის დაკრძალვაზე მისი ცოლი საკუთარ თავს იდანაშაულებდა და ქმრის სიკვდილის მიზეზად თავს აცხადებდაო (ტაციტუსი, „ანალები“, I, 5).

ლივია

მოვლენათა შემდგომი განვითარება ჩვენთვის უცნობია. ტაციტუსი მხოლოდ ერთ რამეს გვამცნობს. ილირიაში მყოფი ტიბერიუსი ლივიამ სასწრაფოდ იხმო. ისტორიკოსის თქმით, არაა ბოლომდე გარკვეული, ჩაუსწრო თუ არა ტიბერიუსმა ავგუსტუსს ცოცხალს. ლივიამ ისე მოაწყო საქმე, რომ არავინ იცოდა სინამდვილეში, როგორ გრძნობდა თავს პრინცეპსი. სახლი გარედან მცველებით იყო გამაგრებული, შიგნითაც არავის უშვებდნენ, რა-

თა საკუთარი თვალით ნანახი გარეთ გამოეტანა. ამასთან დრო და დრო ლივია ავგუსტუსის ჯანმრთელობის შესახებ სასიხარულო ცნობებს იუწყებოდა. უეცრად კი ერთდროულად ორი ხმა გავრცელდა — ერთის თანახმად ავგუსტუსმა სული განუტევა, მეორის მიხედვით კი მმართველობა ტიბერიუსმა — ლივიას შვილმა ჩაიბარა (ტაციტუსი, „ანალები", I, 5).

სწორედ ამის მოთხრობის შემდეგ იტყვის ტაციტუსი იმ ფრაზას, რომელიც ლივიას შესახებ ყველაზე ცნობილ გამონათქვამად გადაიქცა: „ლივია იყო დედა, სახიფათო სახელმწიფოსთვის და ავი დედინაცვალი კეისრის ოჯახისთვისო" (ტაციტუსი, „ანალები", I, 10).

ავგუსტუსის გარდაცვალების თაობაზე სხვა მონათხრობიც არსებობს. იგი სვეტონიუსს ეკუთვნის. მისი გადმოცემით, ხანდაზმული პრინცეპსი ბუნებრივად, სწრაფად და უწვალებლად გარდაიცვალა — ისე, როგორც მას ყოველთვის სურდა. წინა დღით იგი ტიბერიუსთან განმარტოვდა და დიდხანს ესაუბრებოდა მას. ეს მისი უკანასკნელი მნიშვნელოვანი საქმე იყო. სიკვდილის დღეს ავგუსტუსმა სარკე მოითხოვა და მსახურებს თავი მოაწესრიგებინა. როცა მის მოსანახულებლად მეგობრები მოვიდნენ, ოქტავიანუსი შეეკითხა, როგორ ფიქრობდნენ ისინი, კარგად გაითამაშა თუ არა მან ცხოვრების კომედია. შემდეგ კი ის სტროფები წარმოთქვა, კომედიის ბოლოს მსახიობი რომ აცხადებს ხოლმე:

„თუ კარგად ვითამაშეთ, მაშ ტაში დაგვიკარით
და გზა დაგვილოცეთ!"

მერე მან ყველანი დაითხოვა. ამ დროს ვიღაც ჩამოვიდა რომიდან. ავგუსტუსი მას დრუზუსის შეუძლოდ მყოფი ქალიშვილის შესახებ ეკითხებოდა, როცა უეცრად ლივიას მკლავებში ჩაესვენა და სული განუტევა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ლივია, გახსოვდეს როგორ ვიცხოვრეთ ერთად! იცოცხლე და მშვიდობით" (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 99).

რომაელმა ხალხმა ავგუსტუსს გრანდიოზული დაკრძალვა მოუწყო. სენატში საზეიმოდ გახსნეს მისი ანდერძი. ავგუსტუსი პირველი რიგის მემკვიდრეებად — ტიბერიუსსა და ლივიას აცხადებდა, ლივია იულიუსების გვარში გადაჰყავდა და ავგუსტას ტიტულს უბოძებდა. აქედან მოყოლებული ლივია ოფიციალურად იულია ავგუსტად იწოდებოდა.

ბოლოს და ბოლოს ლივიამ მიაღწია იმას, რისკენაც მთელი სიცოცხლე მიისწრაფოდა, ტიბერიუსი იმპერატორის ტახტზე აიყვანა. მაგრამ ცხოვრების კომედია მისთვის ბედნიერად არ დასრულდა. ძალაუფლების უზომო სიყვარული, რომლითაც მოცული იყო ლივია, ვერა და ვერ ერგებოდა მისი შვილის ხასიათს. თუმცა თავდაპირველად დედა-შვილის მტრობა შეფარული იყო. ლივიას ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა. როდესაც ავ-

გუსტუსის კულტმსახურება დაწესდა, მისი ქერივი ქურუმად დანიშნეს და მსახურების აღსრულების დროს მას ვესტას ქურუმი ქალების დარად ლიქტორის ყოლის უფლება მიანიჭეს. თეატრში ავგუსტას საკარძელიც ვესტას ქურუმი ქალების გვერდით იდგა. ხალხს ლივია უყვარდა და მას პატივს მიაგებდა. როდესაც ახ.წ. 22 წელს იგი მძიმე ავადმყოფობისგან განიკურნა, დაადგინეს, რომ ავგუსტას გამოჯანმრთელების გამო ღმერთებისთვის მადლობის ნიშნად საგანგებო ლოცვა-კურთხევა აღევლინათ, დიდი თამაშობებიც გამართეს. ისიც კი ითქვა, რომ ლივიას განკურნების აღსანიშნავად საკურთხეველი აეგოთ (ეს საკურთხეველი არ აღმართულა). ერთი ხანობა ოფიციალური წერილები ლივიას და ტიბერიუსის სახელზე ინერებოდა ისე, თითქოს იგი ტიბერიუსის თანამმართველი ყოფილიყო. ასევე იყო წაწერილი მისი სახელი იმ დოკუმენტებზეც, რომელთაც იმპერატორი აგზავნიდა. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად ლივიას მდგომარეობა ისეთი აღარ იყო, როგორც ადრე. უმაღლეს ხელისუფალს იგი მრჩევლად არ სჭირდებოდა. ამის გარდა, ტიბერიუსს კატეგორიულად არ სურდა, ძალაუფლება დედასთან გაეყო. ლივიას მცდელობებს შვილზე გაელენა მოეხდინა, ტიბერიუსის მხრიდან ნყენა და სიცივე მოჰყვებოდა ხოლმე. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ ტიბერიუსს გაუჩნდა ერთობ დაახლოებული პირი — პრეტორიანელთა პრეფექტი — ლუციუს სეიანუსი. ასე რომ, როდესაც რჩევა სჭირდებოდა, ტიბერიუსი სეიანუსს მიმართავდა და არა დედას.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდი იყო. უზომოდ ეჭვიან ტიბერიუსს გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ ლივია მისი დიდების დაკნინებას ცდილობდა. ასე მაგალითად, როდესაც ლივიამ ავგუსტუსის ქანდაკების წარწერაში ჯერ თავისი, შემდეგ კი ტიბერიუსის სახელი ჩაწერა, იმპერატორმა ეს უდიდეს შეურაცხყოფად მიიღო და ბოლმა ღრმად ჩაიდო გულში (ტაციტუსი, „ანალები", III, 64). მერე და მერე ლივია ტიბერიუსისთვის უფრო აუტანელი და მძიმე ხდებოდა. იმპერატორი ლივიასთან ხშირ შეხვედრებს და პირისპირ საუბრებსაც ერიდებოდა, რამეთუ ეშინოდა, ვინმეს არ ჰგონებოდა, რომ პრინცეპსი დედის რჩევებით ხელმძღვანელობსო. როდესაც სენატმა შესთავაზა ტიბერიუსს, მისთვის „ავგუსტუსის შვილის" თანაბრად „ლივიას შვილიც" ეწოდებინათ, პრინცეპსმა თავი უზომოდ შეურაცხყოფილად ჩათვალა. მეტიც, მან უარი განუცხადა სენატს, რომ ლივიასთვის „მშობლის" და „სამშობლოს დედის" ტიტული ებოძებინათ და სახელმწიფოს სახელით გამორჩეული პატივი მიეგოთ. თავის მხრივ, იგი ხშირად აფრთხილებდა დედას, რომ მნიშვნელოვან საქმეებში არ ჩარეულიყო, რამეთუ ეს ქალებს არ შეეფერებოდათ.

ბოლოს ისინი სრულიად აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საბაბი შემთხვევითი იყო. ტიბერიუსმა დედას თხოვნა არ შეუსრულა და მეტიც,

ირონიულად უპასუხა. მაშინ ლივიას მოთმინება ამოიწურა. ავგუსტამ სამალავიდან ამოიღო და სააშკარაოზე გამოიტანა ქმრის რამდენიმე ძველი წერილი, რომელშიც იგი ტიბერიუსის სიჯიუტეზე და მის სასტიკ ზნეზე ჩიოდა. ეს მეტისმეტი იყო. ახ.წ. 27 თუ 26 წელს ტიბერიუსმა რომი დატოვა. ზოგიერთი მიიჩნევდა, რომ დედა-შვილს შორის მომხდარი განხეთქილება ტიბერიუსის გამგზავრების მთავარი მიზეზი იყო. „ყოველ შემთხვევაში, ტიბერიუსის გამგზავრებიდან ლივიას სიკვდილამდე — ანუ მთელი სამი წლის განმავლობაში, პრინცეპსმა დედა ერთხელ, ისიც რამდენიმე საათით ნახა. იგი არც მაშინ მოინახულა, როცა ავგუსტა ავად გახდა. ლივიას გარდაცვალების შემდეგ ტიბერიუსმა ამაოდ აიძულა ხალხი, მის ჩამოსვლას დალოდებოდნენ. ასე რომ, ლივიას გახრწნილი ცხედარი მხოლოდ მრავალი დღის შემდეგ მიაბარეს მიწას" (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 51).

ტაციტუსის ცნობით, ლივიას გარდაცვალების შემდეგ ტიბერიუსმა წერილობით მიმართა სენატს და შეატყობინა მათ, რომ საქმეებით უზომოდ იყო დაკავებული და ამიტომაც დედის დასაფლავებას ვერ დაესწრებოდა. ამასთან მან, ვითომცდა მოკრძალებულობის საბაბით, მნიშვნელოვნად შეკვეცა პატივისცემის ის ნიშნები, რომლებიც სენატმა ავგუსტას სამახსოვროდ დაადგინა და მხოლოდ რამდენიმე მათგანი დატოვა (ტაციტუსი, „ანალები", V, 2). გარდა ამისა, ტიბერიუსმა აკრძალა გაეღმერთებინათ ლივია იმ მიზეზით, თითქოს ეს თავად ავგუსტას არ სურდა. მან ლივიას ანდერძიც კი ბათილად გამოაცხადა. ლივიას გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნავს ტაციტუსი, სრულიად უსაზღვრო და განუკითხავი ერთმმართველობის ხანა დადგა. „ავგუსტას ცხოვრების დროს ჯერ კიდევ არსებობდა დევნილთათვის რაღაც თავშესაფარი, რამეთუ ტიბერიუსი ოდითგანვე ჩვეული იყო დედის მორჩილებას" (ტაციტუსი, „ანალები", V, 13).

გარდაიცვალა ლივია ახ.წ. 29 წელს, ღრმად მოხუცებული — 86 წლის ასაკში. მისი ანდერძი ლივიას შვილიშვილის შვილმა — იმპერატორმა კალიგულამ მოიყვანა სისრულეში, კალიგულას შემდეგ გამეფებულმა ლივიას შვილიშვილმა კლავდიუსმა კი ავგუსტა ოფიციალურად გაღმერთა.

შენიშვნები:

[1] მარკუს ლივიუს დრუზუსი — ძვ.წ. 50 წელს ეკავა პრეტორის თუ მოსამართლის თანამდებობა, აწარმოებდა საქმიან ურთიერთობებს ციცერონთან. ძვ.წ. 43 წელს იგი სენატის პარტიის მხარეზეა. ლივიუს დრუზუსი მოხვდა ე.წ. „პროსკრიპციებში", მაგრამ გადაურჩა სიკვდილს. ძვ.წ. 42 წელს იგი ფილიპოში ბრუტუსისა და კასიუსის მხარეზე იბრძოდა და მათი დამარცხების შემდეგ სიცოცხლეს გამოესალმა. იმის წყალობით, რომ მან აპიუს კლავდიუს პულხერი იშვილა, ლივია ორი ცნობილი გვარის — კლავდიუსებისა და ლივიუსების შთამომავალი შეიქნა. რაც შეეხება ლივიას დედას, იგი ერთ-ერთი იტალიური ქალაქის მაგისტრატის ქალიშვილი იყო და ამდენად ნარჩინებული შთამომავლობით არ გამოირჩეოდა.

[2] პონტიფექსი — რელიგიური წოდება რომში. პონტიფექსთა კოლეგიას რომის კულტმსახურებაში ცენტრალური ადგილი ეკავა. ეს კოლეგია ქურუმთა სხვა კოლეგიებს ზედამხედველობდა.

[3] ავგუსტუსი — ის, ვინც განადიდა თავისი სახელმწიფო. ზმნიდან augere — გაზრდა, გაძლიერება. ამის შემდეგ ოქტავიანუსი ოფიციალურად იმპერატორ კეისარ ავგუსტუსად იწოდებოდა. იმპერატორის საპატიო ტიტული მას ოცდაერთხელ მიანიჭეს.

[4] პრინცეპსი — პირველი სენატორთა შორის. პრინცეპსს უფლება ჰქონდა სენატში საკუთარი მოსაზრება პირველს განეცხადებინა. დასახელებულ პერიოდში იგი უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენდა. ავგუსტუსის მიერ შექმნილ სახელმწიფოს კი პრინციპატი ეწოდებოდა.

[5] Pax Augusta — ავგუსტუსის მშვიდობა. ამ მოვლენის პატივსაცემად ძვ.წ. 9 წელს მარსის ველზე აღმართულ იქნა საკურთხეველი.

ოქტავია
უმცროსი

ოქტავია უმცროსი რომის ორ უმაღლეს ხელისუფალთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. იგი კეისარ ავგუსტუსის დ̣ და ამასთან ტრიუმვირ მარკუს ანტონიუსის ცოლი გახლდათ. მას უმცროსი უწოდეს, რათა თავისი ნახევარდის — ოქტავია უფროსისაგან გაერჩიათ.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ოქტავია მისაბაძი იყო, როგორც სილამაზის, დიდსულოვნებისა და ქველმოქმედების განსახიერება.

მისმა პიროვნულმა თვისებებმა და ცხოვრების წესმა ერთგვარად გაანაპირობა ქველი და დარბაისელი რომაელი მატრონას იმ ხატის ჩამოყალიბება, რომელიც რომაელებს იდეალად ჰყავდათ დასახული და რომლის მსგავსიც ასე უნდოდათ თავიანთი ოჯახის ქალთა შორის ეხილათ. პლუტარქეს შეფასებით, ეს ჭკვიანი და ღირსეული ქალი „ქალთა შორის ნამდვილი საოცრება“ ყოფილა (პლუტარქე, „ანტონიუსი“, XXXI).

პირველად ოქტავია გაიუს კლავდიუს მარკელუსზე დააქორწინეს. გაიუსსა და ოქტავიას სამი შვილი შეეძინათ — მარკელა უფროსი, მარკელა უმცროსი და ვაჟიშვილი — მარკელუსი.

ოქტავიას მთელი ცხოვრება ზედმიწევნით მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ იყენებდნენ რომაელი ხელისუფალნი საქორწინო კავშირებს პოლიტიკურ ალიანსთა დასამყარებლად ისე, რომ თავშიაც არ მოსდიოდათ თავად ქალისთვის ეკითხათ, რამდენად სასურველი იყო მისთვის ეს ქორწინება. საოჯახო ცხოვრება რომაელთათვის მხოლოდ პოლიტიკის ნაწილი იყო. თავად ოქტავია, როგორც ჩანს, იზიარებდა ამას და საკუთარ ცხოვრებას ნებაყოფლობით სწირავდა სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს.

ალბათ გახსოვთ, როგორ ცდილობდა იულიუს კეისარი კვლავ დანა-

თესავებოდა პომპეუსს, როცა მისი ქალიშვილი და პომპეუსის ცოლი — იულია უეცრად გარდაიცვალა. და რადგანაც მას სჭირდებოდა პომპეუსი მოკავშირედ ჰყოლოდა, ერთი ხანობა პომპეუსს თავი სიძეადაც შესთავაზა. როდესაც ეს ვარიანტი ჩაიშალა, იულიუს კეისარმა გადაწყვიტა, პომპეუსზე ახლა ოქტავია — თავისი დის შვილიშვილი დაექორწინებინა. არ დაგვავიწყდეს, რომ ოქტავიას ამ დროს გვერდით ცოცხალი ქმარი ჰყავდა. მაგრამ შემდგომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და პომპეუსისა და ოქტავიას ქორწინება არ შედგა.

თუმცა გავა დრო და ოქტავია მაინც იქნება იარაღი მხარეთა შორის პოლიტიკური კავშირის განმტკიცებისთვის.

ძვ.წ. 40 წელს გაიუს მარკელუსი გარდაიცვალა. ოქტავიაც დაქვრივდა. ამჯერად მის ცხოვრებაში მისი ძმა ოქტავიანუსი, რომის ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალი ჩაერია, რომელმაც გადაწყვიტა, დაქვრივებული ოქტავია მისთვის ამჟამად უაღრესად საჭირო პოლიტიკური ალიანსის გასამყარებლად გამოეყენებინა. ახლაც, ისევე როგორც უწინ, მისთვის ყველაზე მთავარი მარკუს ანტონიუსთან ურთიერთობის მოგვარება იყო. ძვ.წ. 40 წელს ჯერ კიდევ არც ერთი მხარე არ იყო მზად გადამწყვეტი შერკინებისთვის, ამდენად, უნდოდათ თუ არა, მარკუს ანტონიუსს და ოქტავიანუსს როგორმე, დროებით მაინც, საერთო ენა უნდა გამოენახათ. „პერუზიის ომის" შემდეგ ძვ.წ. 40 წელს მათ დადეს კიდევაც ხელშეკრულება — ე.წ. ბრუნდიზიუმის პაქტი. სწორედ ამ დაზავების განსამტკიცებლად ოქტავიანუსმა ანტონიუსს დის ხელი შესთავაზა.

ამ დროისთვის ოქტავიას ქვრივობის დაწესებული ვადა ჯერ კიდევ არ იყო გასული. რომაელი კანონების მიხედვით დაქვრივებულ ქალებს ათი თვის განმავლობაში ხელახლა გათხოვება ეკრძალებოდათ. მაგრამ ამ შემთხვევისთვის სენატმა საგანგებო დადგენილება გამოიტანა და ოქტავიას ქვრივობის სავალდებულო ვადა შეუმცირა. ძნელია დაუშვა, რომ ზნესრულ და მოკრძალებულ ოქტავიას, შესაძლოა, ქმრად მარკუს ანტონიუსი მოსწონებოდა, რომელიც თავაშვებული ცხოვრების ნირით რომაელ დიდგვაროვნებში ყველასგან გამოირჩეოდა. მაგრამ ოქტავია უდიდეს პატივს სცემდა ძმას და მიაჩნდა, რომ ოქტავიანუსის ეს გადაწყვეტილება — მისი ქორწინება ანტონიუსთან სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნებოდა.

მთელი რომაელი ხალხი ამასვე ფიქრობდა. ისინი მათ შეუღლებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, რადგან ეგონათ, რომ ოქტავიასა და ანტონიუსის ქორწინება რომს სამოქალაქო ომს თავიდან ააცილებდა.

„ყველა იღწვოდა ანტონიუსის და ოქტავიას დასაქორწინებლად. მათ იმედი ჰქონდათ, რომ როდესაც ოქტავია ანტონიუსზე დაქორწინდებოდა და მოიპოვებდა იმ სიყვარულს, რომელიც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ოქტავიას არაჩვეულებრივ სილამაზეს, შერწყმულს მის ღირსებასა და ჭკუ-

ასთან, მაშინ ეს ქალი სახელმწიფოს ერთიანობას და კეთილდღეობას მოუტანდა" (პლუტარქე, „ანტონიუსი", XXXI).

ამ ორი პოლიტიკური მეტოქის ურთიერთკავშირში თავისი როლი ოქტავიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და ამიტომ ოქტავია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქმარს და ძმას შორის ნორმალური ურთიერთობა ყოფილიყო. ანტონიუსის ჭირვეული ხასიათიდან გამომდინარე ამის მოგვარება, რასაკვირველია, იოლი საქმე არ გახლდათ. მათ ცოლ-ქმრობასაც ბევრი სირთულე ახლდა. მაგრამ ქმართან დამოკიდებულებაში ოქტავიას პირადული მეორე რიგის მოვლენად მიაჩნდა და ისე იქცეოდა, როგორც ეს სახელმწიფოს ინტერესებისთვის იყო საჭირო.

სწორედ ოქტავიას ერთ-ერთი აქტიური ჩარევის შედეგად თავიდან იქნა აცილებული ანტონიუსსა და ავგუსტუსს შორის ფრიად სახიფათო დაპირისპირება. ოქტავიანუსზე განანყენებული ანტონიუსი გემებით ტარენტუმში ჩამოდგა. საქმეს ცუდი პირი უჩანდა. მაშინ ოქტავია ფეხებში ჩაუვარდა ანტონიუსს და შეევედრა, ძმასთან მოსალაპარაკებლად გაეშვა. როგორც იქნა ანტონიუსი დაეთანხმა. კეისარი დას გზაში შეხვედა. მაგრამ ვიდრე ძმას დაელაპარაკებოდა, ოქტავიამ ჯერ მისი უახლოესი მეგობრების — აგრიპასა და მეცენატის მხარდაჭერა გაინაღდა. მხოლოდ ამის შემდეგ წარდგა ოქტავია კეისრის პირისპირ, ახლა მას როგორმე უნდა დაერწმუნებინა ძმა, რომ ანტონიუსთან შერკინება ყველას მხოლოდ უბედურებას მოუტანდა. და ოქტავიას ძმისთვის მუდარით მიუმართავს: „ახლა, — ეუბნებოდა ქალი ოქტავიანუსს, — ყველა მას შესცქერის იმედით — მას, ოქტავიას, რომელიც ერთი იმპერატორის და და მეორის ცოლია. მაგრამ თუ ბოროტება იზეიმებს და საქმე ომზე მიდგება, არავინ იცის მათ შორის რომელს უწერია გამარჯვება, რომელს — კი დამარცხება, ის კი ყველა შემთხვევაში უბედური იქნება" (პლუტარქე, „ანტონიუსი", XXXV). დის სიტყვებით გულაჩუყებული კეისარი ტარენტუმში მშვიდობიანად შევიდა და მხარეებმა ერთმანეთთან მოილაპარაკეს. ეს შეთანხმება, რომელიც ძვ.წ. 37 წელს შედგა, ტარენტუმის პაქტის სახელითაა ცნობილი.

ოქტავიასა და ანტონიუსს ორი შვილი შეეძინათ — ქალიშვილები — ანტონია უფროსი და ანტონია უმცროსი. მაგრამ გადიოდა დრო და ოქტავიას თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, ანტონიუსსა და ავგუსტუსს შორის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. ეს კი ახალი სამოქალაქო ომის საფრთხეს მოასწავებდა.

ოქტავია უმცროსი

ურთიერთობა ცოლსა და ქმარს შორისაც გართულდა. ლომის წილი ამაში, რასაკვირველია, კლეოპატრასი — ანტონიუსის ყოფილი საყვარლისა იყო. ეგვიპტის დედოფალი არც ეშმაკობასა და არც პატივმოყვარეობაში ოქტავიანუსს ტოლს არ უდებდა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ანტონიუსი უკან დაებრუნებინა.

კლეოპატრა შიშობდა. იგი მშვენივრად ხვდებოდა, რომ ოქტავიამ მას ბრძოლა გამოუცხადა, თუმცა ეს აშკარად არ ხდებოდა. ეს ქალი ქმრის შენარჩუნებას იმით ცდილობდა, რომ ყველაფერში მას ექვემდებარებოდა, თავს არ ზოგავდა, რომ ანტონიუსის გული მოეგო, რას არ აკეთებდა, რომ ქმრისთვის ეამებინა. ამას ოქტავიას ღირსებით აღსავსე მოკრძალება და ოქტავიანუსის სიძლიერე ემატებოდა. ყველაფერი ეს კლეოპატრას ძალიან აფრთხობდა. ვაი თუ, მან, კლეოპატრამ ოქტავიას ვერ აჯობოს, ხომ შეიძლება, რომ ამ ქალმა ანტონიუსი მთლიანად თავის ნებას დაუმორჩილოს. და აი, კლეოპატრა ყოველ ღონეს ხმარობს. იგი ოსტატურად თამაშობს თავდავიწყებით შეყვარებული და ამ სიყვარულისაგან გათანგული ქალის როლს. წარმატებით მოქმედებენ დედოფლის ქვეშევრდომებიც, ისინი ანტონიუსს უგულობის გამო ჰკიცხავენ, აბრალებენ, რომ იგი ღუპავს იმ ქალს, რომელსაც მხოლოდ მისით თუ უდგას პირში სული.

„ოქტავია, — ეუბნებოდნენ ისინი, — მასზე — ანტონიუსზე ძმის ნებასურვილით და პოლიტიკური ანგარებით დაქორწინდა და ტკბება კიდეც კანონიერი ცოლის მდგომარეობით, მაშინ, როდესაც კლეოპატრა ანტონიუსის საყვარლის სახელს სჯერდება, თუმცა მას არც რცხვენია და არც უარყოფს ამას, კლეოპატრას ხომ მხოლოდ ერთი რამ სურს — უცქერდეს ანტონიუსს და მასთან ერთად იყოს, მაგრამ თუ ამასაც წაართმევენ, მაშინ კლეოპატრა მოკვდებაო" (პლუტარქე, „ანტონიუსი", LIII).

ეგვიპტის დედოფლის და მის ქვეშევრდომთა მცდელობამ მიზანს მიაღწია და მარკუს ანტონიუსიც გაემართა ალექსანდრიაში, სერიოზულად შეშფოთებული, რომ კლეოპატრას სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაესრულებინა.

ეს ამბები ძვ.წ. 35 წელს ხდებოდა.

მაშინ ოქტავიამ ძმას ნებართვა გამოსთხოვა და ქმართან გაეშურა. იგი გზად, ათენში იმყოფებოდა, როცა ანტონიუსისგან მკაცრი შეტყობინება მოუვიდა — ქმარი მასთან ჩამოსვლას უკრძალავდა. ოქტავია იძულებული გახდა უკან, რომში დაბრუნებულიყო. ამ ამბავმა ოქტავიაზე მეტად მისი ძმა შეურაცხყო. განრისხებულმა კეისარმა შესთავაზა ოქტავიას ქმრის სახლი დაეტოვებინა და ცალკე დასახლებულიყო. „მაგრამ ოქტავიამ კეისრის შეთავაზებაზე უარი განაცხადა, უფრო მეტიც, იგი ემუდარებოდა ძმას, რომ თუ მას არ ჰქონდა განზრახული ანტონიუსთან ომი სხვა მიზეზთა გამო დაეწყო, მაშინ ნუ ჩააგდებდა სათვალავში ოქტავიასათვის მიყენებულ შეურაცხყოფას, რამეთუ გაგონებაც კი საზარელია იმისა, რომ ორ უდიდეს მხედართმთავარს რომაელები სამოქალაქო ომის საშინელებისკენ მიჰყავდეს, პირველს — ქალის სიყვარულის, მეორეს — კი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის გამო" (პლუტარქე, „ანტონიუსი", LIV). თავისი დიდსულოვნება ოქტავიამ საქმით დაამტკიცა. ის კვლავ ანტონიუსის

სახლში ცხოვრობდა და განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა არა მარტო მათ საერთო შვილებს, არამედ ანტონიუსის შვილებს წინა ქორწინებიდან. „თუმცა ამით ოქტავია თავისდა უნებურად ვნებდა ანტონიუსს," — ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ასე მიიჩნევედნენ ძველად, რამეთუ პლუტარქეს მიხედვით ოქტავიას საქციელი ბადებდა სიძულვილს იმ კაცისადმი, რომელიც „ასეთ არაჩვეულებრივ ქალს ამგვარი შავი უმადურობით პასუხობდა" (პლუტარქე, „ანტონიუსი", LIV).

ანტონიუსი მაინც გაშორდა ოქტავიას (არ ვიცით დანამდვილებით როდის). მან გაყრის განაცხადი ოქტავიას წერილობით გაუგზავნა და ამასთან უბრძანა, მისი სახლი დაეტოვებინა. ოქტავიამ შეასრულა ქმრის მოთხოვნა, თან წაიყვანა ანტონიუსის ყველა შვილი (ფულვიასთან გაჩენილი უფროსი ვაჟის გარდა, რომელიც თან ახლდა ანტონიუსს). მწარედ მოსთქვამდა ოქტავია, როდესაც ქმრის სახლს ტოვებდა, მოგვითხრობს პლუტარქე, იგი წყევლიდა თავის ბედს, რამეთუ რომაელები ახლა მასაც ჩათელიდნენ მომავალი ომის მიზეზად. მაგრამ რომაელებს ეცოდებოდათ არა იმდენად ოქტავია, რამდენადაც ანტონიუსი. მათგან განსაკუთრებით კი იმათ, რომლებსაც ნანახი ჰყავდათ კლეოპატრა და იცოდნენ, რომ ეგვიპტის დედოფალი ოქტავიაზე არც უფრო ლამაზი და არც უფრო ახალგაზრდა იყო (პლუტარქე, „ანტონიუსი", LVII).

მალე ოქტავიანუსსა და ანტონიუსს შორის მართლაც სასტიკი და საბოლოო სამოქალაქო ომი დაიწყო. მაგრამ რომაელ ხალხს არსად და არასოდეს განუცხადებია, რომ ერთ-ერთი დამნაშავე ამ ომის დაწყებისა ოქტავიაც იყო. პირიქით, ისინი უსაზღვროდ აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ამ დიდებულ ქალს. საყოველთაო სიყვარულით მოცული ოქტავია ძვ.წ. 11 წელს რომში გარდაიცვალა.

იულია
უფროსი

იულია იმპერატორ ოქტავიანუს ავგუსტუსის ერთადერთი შვილი იყო. იგი ძვ.წ. 39 წელს დაიბადა. სწორედ მისი დაბადების დღეს გასცილდა ავგუსტუსი თავის მეორე ცოლს — სკრიბონიას, „გაბეზრდა რა მისი ცუდი ხასიათით", როგორც ოქტავიანუსი თავად აცხადებდა (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 62). ორი წლის იულია ავგუსტუსმა თავისი იმჟამინდელი პოლიტიკური მოკავშირის — მარკუს ანტონიუსის უფროს ვაჟზე — „ანტილუსად" წოდებულ მარკუს ანტონიუსზე დაწინდა, მაგრამ როდესაც მათ შორის კვლავ უთანხმოება ჩამოვარდა, ოქტავიანუსმა ნიშნობა გააუქმა. შემდეგ მან თავისი ქალიშვილი გეთების (დაკების) მეფე — კოტიზონზე დანიშნა. ეს ამბავი დაახლოებით ძვ.წ. 30-იანი წლების მეორე ნახევარში მოხდა, სწორედ იმ ხანად, როდესაც ავგუსტუსს გეთები მოკავშირედ სჭირდებოდა. საბოლოოდ იულიას ეს ნიშნობაც ჩაიშალა.

იულია ავგუსტუსისა და ლივიას ოჯახში იზრდებოდა. 14 წლის ასაკში მამამ იგი თავისი დის — ოქტავიას ვაჟზე — მარკელუსზე გაათხოვა. ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ დროისთვის მხოლოდ 18 წლისა იყო, რომაელთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა. გარეგნობით უმშვენიერესი ვაჟკაცი, მარკელუსი ზნეკეთილობით, გულისხმიერებით და პატიოსნებით გამოირჩეოდა. პრინცეპსი ყოველმხრივ უწყობდა ხელს, რომ ახალგაზრდა მარკელუსს ბრწყინვალე მომავალი ჰქონოდა. ამიტომაც რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნა, შემდეგ კი იშვილა და თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. კეისარს იგი გამორჩეულად მოსწონდა და ამასთანავე ძალიან უყვარდა.

იულიასა და მარკელუსის ქორწილი რომში განსაკუთრებით საზეიმოდ გადაიხადეს, მაგრამ ქორწინება დღეკეთილი არ გამოდგა, ორი წლის შემდეგ მარკელუსი მოულოდნელად გარდაიცვალა და სრულიად ახალგაზრდა იულია 16 წლის ასაკში დაქვრივდა.

არ გასულა დიდი დრო, რომ ავგუსტუსმა იულია კვლავ გაათხოვა, ამჯერადაც იგი პოლიტიკური ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მას აუცილებლად უნდა შემოერიგებინა მარკუს აგრიპა, მისი ჯარების მთავარსარდალი და უპირველესი თანამზრახველი, რომელიც იმუამად მასთან უბრად იყო. პატივმოყვარე აგრიპა ვერ პატიებდა კეისარს იმას, რომ მან თავის მემკვიდრედ მარკელუსი აირჩია და არა ის. კეისარზე განაწყენებულმა, მან საერთოდ დატოვა რომი და ლესბოსის ქალაქ მიტილენში გადასახლდა. მარკელუსის გარდაცვალების შემდეგ პრინცეპსის მემკვიდრის ასპარეზი განთავისუფლდა და ავგუსტუსს ხელსაყრელი დრო დაუდგა, რომ აგრიპასთან მეგობრობა ახლა დანათესავებით განემტკიცებინა. სწორედ ამიტომ იულია მარკუს აგრიპაზე გაათხოვეს. აგრიპა ამ დროს ცოლიანი კაცი იყო, მეტიც, იგი თავად კეისრის დის — ოქტავიას სიძე გახლდათ, მაგრამ ამ გარემოებას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, როცა ქორწინება პოლიტიკური ალიანსის გასამყარებლად იყო საჭირო. ავგუსტუსმა უბრალოდ სთხოვა თავის დას, რომ სიძე მისთვის დაეთმო. როგორც ყოველთვის, ოქტავია ახლაც დასთანხმდა.

ქორწინება ძვ.წ. 21 წელს შედგა და 9 წელინადს — მარკუს აგრიპას გარდაცვალებამდე — გაგრძელდა. აგრიპასა და იულიას ხუთი შვილი შეეძინათ: გაიუსი, ლუციუსი, იულია, აგრიპინა უფროსი და აგრიპა პოსტუმუსი. ძვ.წ. 17 წელს კეისარმა იულიას უფროსი ვაჟები — გაიუსი და ლუციუსი იშვილა. ნაშვილობა ძველი რომაული ადათ-წესების სრული დაცვით ჩაატარეს — ავგუსტუსმა ისინი მამისაგან შეისყიდა. სრულიად პატარებს, კეისარი მათ ისე ზრდიდა, როგორც ეს ტახტის მემკვიდრეებს შეეფერებოდათ. შემდეგ კი სახელმწიფო საქმეებში აცნობიერებდა, ავალებდა პროვინციებში განლაგებულ ჯარებთან ურთიერთობის მოგვარებას (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 64).

ოქტავიანუსი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისი შთამომავლები ზნეობით და მოკრძალებით გამორჩეული ყოფილიყვნენ. საერთოდაც უნდა ითქვას, რომ პრინცეპსი ზნეობის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. კეისარს სურდა, წინაპართა ჩვეულებები აეღორძინებინა და ფუფუნებისაგან უკვე გადაგვარების გზაზე დამდგარი რომი რესპუბლიკის მკაცრ ნორმებთან დაებრუნებინა. სწორედ ამ მიზნით მიიღეს კანონები, რომლებიც გარყვნილებისა და განცხრომით ცხოვრების წინააღმდეგ

იყო მიმართული. ამასთან ერთად დაადგინეს ის კანონებიც, რომლებსაც ოჯახის განმტკიცებისთვის უნდა შეენყო ხელი. ეს წესები ძვ.წ. 9 წელს კონსულებმა მარკუს პაპიუსმა და კვინტუს პოპეუსმა გაატარეს და შესაბამისად, ისინი შემდგომში სწორედ მათი სახელებით გახდა ფართოდ ცნობილი — lex Papia Poppaea.[1] დასახელებული კანონები იმდენად მკაცრი იყო, რომ მომავალში მათი უფრო შერბილებული ვარიანტით შეცვლაც კი მოუხდათ.

ცხადია, პირველ რიგში სანიმუშო პრინცეპსის ოჯახი უნდა ყოფილიყო. თუმცა თავად ავგუსტუსი არ გახლდათ მაღალი ზნეობის ადამიანი (ღალატობდა ცოლს, საყვარლებად ჰყავდა მეგობრების მეუღლეები და ა.შ.), თავის ქალიშვილს და შვილიშვილებს იგი მკაცრად ზრდიდა და საერთოდაც მათ აღზრდას თავად ხელმძღვანელობდა. ავგუსტუსმა იმაზეც კი იზრუნა, რომ მისი ოჯახის ქალებს — ქალის უპირველესი საქმე — lanificium — მატყლის დართვა სცოდნოდათ. „ავგუსტუსი უკრძალავდა მათ ყველაფერს, რისი თქმაც, ან გაკეთებაც საჯაროდ არ შეიძლებოდა. იგი იმდენად იყო მოწადინებული, რომ თავისი ქალები უცხოებთან ურთიერთობისთვის მოერიდებინა, რომ კეისარმა წერილობით გაიცხა ლუციუს ვინიციუსი, წარჩინებული და ღირსეული კაცი, რომელმაც სათანადო მოკრძალება არ გამოიჩინა და ბაიეში მის ქალიშვილთან მისასალმებლად მივიდა“ (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი“, 64, 2).

მაგრამ ავგუსტუსის მცდელობა იულია კდემამოსილებისა და სათნოების განსახიერებად აღეზარდა, სრული კრახით დასრულდა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს თავად იულიას არ სურდა. მას სულაც არ მოსწონდა, რომ მამიდამ თავისი თავი ოქტავიანუსის პოლიტიკურ მიზნებს შესწირა მსხვერპლად. იულია ბრწყინავდა სილამაზით. განთქმული იყო, როგორც განსაკუთრებულად მოხდენილი და ეშხიანი ქალი და ამასთან მშვენივრად ფლობდა კეკლუცობის ხელოვნებასაც. ძლიერ სქესს მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. გარდა ამისა, იულია საინტერესო ქალი იყო — საუბრობდა რამდენიმე ენაზე, განსწავლული იყო ლიტერატურაში. ძველი მწერლები მის გამჭრიახობას, ჭკუის სიმახვილეს და ენამოსწრებულობას ადასტურებენ. როგორც მაკრობიუსი გადმოგვცემს, ვიღაც რომაელს, იულიას აღვირახსნილი ზნის მშვენივრად მცოდნეს, გაკვირვებია, როგორ ჰგავდა იულიას სამივე ვაჟიშვილი თავიანთ მამას — აგრიპას. როცა მას ეს აღუნიშნავს, იულიას უპასუხნია: „მე მგზავრებს მხოლოდ მაშინ ვიყვან, როცა ჩემი ტრიუმი სავსეაო“ (ე.ი. საყვარლები მარტო მაშინ მყავს, როცა უკვე ორსულად ვარო — ქ.ნ.) (მაკრობიუსი, „სატურნალიები“, II, 5). მაგრამ, პირველ რიგში, მას ავგუსტუსი იმიტომ

ვერ დაიმორჩილებდა, რომ იულია საოცრად თავნება იყო და ვერავინ აიძულებდა, საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ ემოქმედა.

ბუნებრივია, ასეთი ზნისა და დაუდეგარი სულის სრულიად ახალგაზრდა 18 წლის იულია 40 წლის მარკუს აგრიპას ერთგული ცოლი არ იქნებოდა. მით უფრო, რომ მას ეს ქორწინება სულაც არ სურდა. ის ჯერ კიდევ აგრიპას ცოლი იყო, როდესაც საყვარლად ძალზე ცნობილი რომაელი დიდგვაროვანი სემპრონიუს გრაკქუსი ჰყავდა. ამბობდნენ იმასაც, რომ იულიას თვალი ავგუსტუსის გერზე — ტიბერიუსზეც ეჭირა და ძალიან ცდილობდა, როგორმე ეს უკანასკნელი ეცდუნებინაო.

ძვ.წ. 12 წელს გარდაიცვალა აგრიპა. უქმროდ დარჩენილმა ქალმა თავისი ავხორცობა უფრო აშკარად გამოავლინა. ახლა მისი შეკავება ერთობ რთული შეიქნა. მამამისი ხედავდა, რომ აუცილებელი იყო იულიას მოთოკვა, მისი ხელახალი გათხოვება. იგი დიდხანს არჩევდა იულიას მომავალი ქმრის კანდიდატურას და ბოლოს და ბოლოს თანხმობა განაცხადა, იულია ტიბერიუსისთვის მიეთხოვებინათ (ძვ. წ. 11 წ.). იმ ხანად ტიბერიუსიც დაქორწინებული იყო, მაგრამ ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ეს დამაბრკოლებელი გარემოება არ გახდებოდა. ტიბერიუსის ცოლი — ვიპსანია აგრიპინა იულიას ქმრის — მარკუს აგრიპას ქალიშვილი იყო, რომელიც დიდ მხედართმთავარს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა. ტიბერიუსი და ვიპსანია აგრიპინა სრულ თანხმობაში ცხოვრობდნენ. ერთი ვაჟი მათ უკვე ჰყავდათ, ახლა მეორეს ელოდებოდნენ. მაგრამ ავგუსტუსის ბრძანებით მათ ბედნიერ ცხოვრებას ბოლო მოეღო. ტიბერიუსი იძულებული გახდა, საყვარელ ცოლს სამუდამოდ დაშორებოდა.

„ცოლთან განშორება ტიბერიუსს უსაზღვროდ ტანჯავდა. აგრიპინა მას მხურვალედ უყვარდა, ღრმად იყო მიჯაჭვული, იულია კი — მისი ზნის გამო ეზიზღებოდა. ტიბერიუსს მშვენივრად ახსოვდა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იულიას ქმარი ჰყავდა, ეს ქალი მასთან სიახლოვეს ეძებდა და ამის შესახებ ჭორაობდნენ კიდეც. აგრიპინა კი ტიბერიუსს გაყრის შემდეგაც ენატრებოდა. როდესაც ერთხელ შემთხვევით შეხვდა აგრიპინას, ტიბერიუსმა მას ისეთი მზერა გააყოლა, ისეთი ხანგრძლივი და ცრემლიანი, რომ ყველაფერი ილონეს იმისთვის, რომ ტიბერიუსი ცოლს მეტი ალარასოდეს გადაჰყროდა" (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 7, 2).

პირველ ხანებში ტიბერიუსსა და იულიას მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. მაგრამ შემდეგ მათ ჩვილი ბავშვი დაეღუპათ. ეს პატარა, როგორც ჩანს, მათი ერთად ყოფნის საწინდარი იყო. ცოლი და ქმარი სრულიად გაუცხოვდნენ ერთმანეთისაგან. და ტიბერიუსიც ცალკე საძინებელში განცალკევდა, ცოლთან სარეცელი გაჰყო. ამას ემატებოდა

ისიც, რომ იულია აბუჩად იგდებდა ქმარს, რადგან იგი წარმომაელობით თავის სწორად არ მიაჩნდა (ტაციტუსი, „ანალები", I, 53). რთული ხასიათი ჰქონდა ტიბერიუსსაც. უკმეხ, კუშტ და გულჩათხრობილ ტიბერიუსთან საერთოდაც არ იყო ადვილი ურთიერთობა, მით უფრო ძნელი ასატანი იყო იგი ისეთი თავნება ქალისთვის, როგორიც იულია გახლდათ.

და იულიას დაუდეგარმა ზნემ ისევ იჩინა თავი. საყვარელთა სია ამჯერად გაცილებით ვრცელი გახდა, მათ რიცხვში გამოჩნდა იულიას ყოფილი საყვარელი — სემპრონიუს გრაკქუსი. ეს შეუპოვარი კაცი იულიას თაენებობას კიდევ უფრო აღვივებდა. ამასთან ცდილობდა, რომ თავის საყვარელში ქმრისადმი სიძულვილი გაემძაფრებინა. გრაკქუსს იულიაზე ერთობ დიდი გავლენა ჰქონდა და ამიტომაც თვლიდნენ, რომ სწორედ მან შეთხზა ის წერილი, რომელიც ავგუსტუსის ქალიშვილმა მამას მისწერა და რომელშიც იგი თავის ქმარს მკაცრად ესხმოდა თავს (ტაციტუსი, „ანალები", I, 53).

ტიბერიუსი დუმილს არჩევდა. პირმოთნე და იდუმალი, იგი ჯერ კიდევ ახერხებდა, დაემალა ის სისასტიკე, რომელიც ბუნებით დაჰყვა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ჯერ მისი დრო არ დამდგარიყო. სირთულეებისთვის თავი რომ აერიდებინა, ძვ.წ. 6 წელს მომავალმა იმპერატორმა არჩია, დაეტოვებინა რომი და კუნძულ როდოსზე დასახლებულიყო.

ქმრის გამგზავრების შემდეგ იულიას თავაშვებულმა საქციელმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ეს ძალზე ვნებდა ავგუსტუსის სახელს და ღირსებას. რა გამოდიოდა — კეისარი, საყოველთაო ზნეობის დამცველი, ვერ ახერხებდა იმას, რომ თავისი ქალიშვილისთვის მოევლო?

და აი, ავგუსტუსმა ადულტერის შესახებ თავის მიერვე შემუშავებული კანონი საკუთარი ქალიშვილის მიმართ გამოიყენა და იულია კუნძულ პანდატერიაზე გადაასახლა. ეს ძვ.წ. 2 წელს მოხდა.

ავგუსტუსს იულიას საქციელის ძალიან რცხვენოდა. ღირსებაშელახული იგი სენატში თავად ვერ გამოცხადდა, რომ სენატორებისთვის იულიას თაობაზე მოეხსენებინა. მან ქალიშვილის შესახებ სენატს წერილობით ამცნო. შემდეგ კი დიდხანს სირცხვილით იტანჯებოდა, ხალხს გაურბოდა და იმასაც კი ფიქრობდა, იულია სიკვდილით ხომ არ დავსაჯოო. ყოველ შემთხვევაში ცნობილია ის, რომ, როდესაც ფებეს (იულიას გააზატებულ თანამზრახველს) თავი ჩამოუხრჩვია, ავგუსტუსს უთქვამს — მერჩია, ფებეს მამა ვყოფილიყავიო.

კეისარმა აკრძალა გადასახლებაში მყოფი იულიასათვის ღვინო მიეცათ და ადამიანური პირობები შეექმნათ. მის უკითხავად არავის — არც მონას და არც თავისუფალს — არ ჰქონდა უფლება იულია მოენახულებინა.

ავგუსტუსი ყოველთვის დეტალურად აზუსტებდა იმ პირის ასაკს, სიმაღლეს, თუ გარეგნობას, რომელიც იულიას სანახავად მიდიოდა, მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გადმოიყვანა მან იულია კუნძულიდან მატერიკზე (რეგიუმში) და ცოტაოდენ შეუმსუბუქა გადასახლების პირობები. მაგრამ მუდარა იმის თაობაზე, რომ იულია მას შეეწყალებინა, უსარგებლო იყო. რომაელი ხალხი ხშირად და დაჟინებით სთხოვდა ავგუსტუსს მიეტევებინა იულიასთვის შეცოდებანი, რაზედაც პრინცეპსი პასუხობდა, რომ იგი ყველას უსურვებდა, იულიასნაირი ცოლები და ქალიშვილები ჰყოლოდათ (სვეტონიუსი, „ავგუსტუსი", 65).

ტიბერიუსის სახელით ავგუსტუსმა იულიას განქორწინება მისცა. თავად ტიბერიუსმა იულიას გადასახლებისა და თავისი განქორწინების შესახებ როდოსზე შეიტყო. თუმც ამ ცნობამ იგი ფრიად გაახარა, მან მაინც თავის მოვალეობად ჩათვალა, რომ მამის წინაშე ქალიშვილს გამოსარჩლებოდა. ამასთან იულიას ყოფილმა ქმარმა მის მიერ ბოძებული ყველა საჩუქარი დაუტოვა, თუმცალა ეს უკანასკნელი ამას არ იმსახურებდა (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 11, 4). მაგრამ ყოველივე ტიბერიუსის დამახასიათებელი პირფერობა იყო. თავის ნამდვილ დამოკიდებულებას ცოლისადმი იგი მომავალში გამოავლენს, აი მაშინ, როცა რომის ერთპიროვნული მმართველი გახდება.

იულიას უფროსი ვაჟიშვილები — გაიუს და ლუციუს კეისრები მისი გადასახლებაში ყოფნის დროს დაილუპნენ. სწორედ ისინი ჰყავდა დასახელებული ავგუსტუსს თავის მემკვიდრეებად. ამათგან გაიუს კეისარი ახ.წ. 2 წელს გარდაიცვალა ლიკიაში, ჩვიდმეტი თვის შემდეგ კი გზაში დაილუპა არმენიიდან მომავალი დაჭრილი ლუციუს კეისარიც. მაშინ ახ.წ. 4 წელს ავგუსტუსმა კიდევ ორი იშვილა — ესენი გახლდნენ იულიას უმცროსი ვაჟიშვილი, ავგუსტუსის მამრობითი სქესის უკანასკნელი პირდაპირი შთამომავალი — აგრიპა პოსტუმუსი და ტიბერიუსი, პრინცეპსის გერი და აწ უკვე ყოფილი სიძე. მაგრამ ახ.წ. 7 წელს აგრიპა პოსტუმუსზე ავგუსტუსმა უარი განაცხადა და იგი ჯერ სორენტოში, შემდეგ კი კუნძულ პლანასიაზე გადაასახლა. ტაციტუსის ინტერპრეტაციით, რომელიც ლივიას მიმართ მტრულად იყო განწყობილი, აგრიპას ბედში ლივიას ხელი ერია, რადგან აგრიპა პოსტუმუსს გიჟმაჟი ზნისა და გაუთლელობის მიუხედავად, ბრალი არაფერში ედებოდა (ტაციტუსი, „ანალები", I, 3). ახ.წ. 8 წელს კეისარმა გადაასახლა აგრიპა პოსტუმუსის დაც — იულია უმცროსი, რომელსაც მისდა საუბედუროდ დედის ზნე დაჰყვა. დედის მსგავსად, იგიც სიძვაში დაადანაშაულეს და პატივაყრილს რომი დაატოვებინეს. იულია უმცროსის შვილი, რომელიც მას გადასახლებაში გაუჩნდა, ავგუსტუსმა

არ სცნო. ახლა ტიბერიუსს მართლაც ვერავინ გადაეღობებოდა წინ, პრინცეპსი გამხდარიყო. და როდესაც ახ.წ. 14 წელს ავგუსტუსი გარდაიცვალა, ტიბერიუსი რომის იმპერატორად გამოაცხადეს. ზუსტად იმ ხანად მოკლულ იქნა გადასახლებაში მყოფი აგრიპა პოსტუმუსიც.

მამის გარდაცვალების შემდეგ ყოფილი ქმრის ხელში იულიას მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი შეიქნა. მას შემდეგ, რაც მმართველობა ჩაიგდო ხელთ, გულდახურულმა და მუდმივად ნიღაბაფარებულმა ტიბერიუსმა ერთხელ და სამუდამოდ გამოაელინა თავისი პირქუში, კარგა ხანს დაფარული სისასტიკე. მან იულიას სახლიდან ნაბიჯის გადადგმა და ხალხთან შეხვედრაც კი აუკრძალა. ამასთან ტიბერიუსმა ყოფილ ცოლს წაართვა ის ქონებაც, რომელიც ქალიშვილს ავგუსტუსმა გამოუყო და მეტიც, მოუსპო ყოველწლიური სარჩო. თავისი სისასტიკის გასამართლებლად იგი კანონს იმოწმებდა — ავგუსტუსს ხომ ამის შესახებ თავის ანდერძში არ მოუხსენებიაო (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 50, 1).

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ტიბერიუსი, რომელიც თავისი ყოფილი ცოლის ზნეს უჩიოდა და გადასახლებულის მიმართ ასეთი ულმობელი იყო, ყოველთვის გამოირჩეოდა მანკიერებითა და ბინიერებისკენ მიდრეკილებით. მაგრამ რომში იგი თავის მოთოკვას ასე თუ ისე მაინც ახერხებდა. მოგვიანებით კი, როცა იმპერატორი კუნძულ კაპრიზე დასახლდა, მან თავის თავს უკვე ყველაფრის უფლება მისცა.

„...მაგრამ კაპრიზე, მას შემდეგ რაც განმარტოებულ გარემოში მოხვდა, იგი იქამდე მივიდა, რომ საიდუმლო გარყვნილების ბუდეები, განსაკუთრებული საძინებლები მოაწყო. აქ ყოველი მხრიდან მოპყავდათ გოგონები და ბიჭუნები — მათ შორის იყვნენ გარყვნილებაში დაოსტატებულნიც, რომელთაც ტიბერიუსი „სპინტრიებს" ეძახდა. ამ ოთახებში შეკრებილნი ისინი დასწრებაზე იყვნენ და სამ-სამად დაყოფილნი, მის წინაშე ერთმანეთს ვნებიანად თანაეყოფოდნენ, რათა იმპერატორის მიფერფლილი ლტოლვა აღენთოთ.

აქა-იქ მიმოფანტული საძინებლები მან ყველაზე უხამსი სურათებით და ქანდაკებებით მორთო და იქ ელეფანტინეს წიგნებიც დააწყო, რათა ორგიის თითოეულ მონაწილეს მისაბაძი ნიმუში ხელთ ჰქონოდა. ტყეებსა და კორომებში, ყველგან, იგი ე.წ. „ვენუსის ადგილებს" აწყობდა, სადაც მღვიმეებსა თუ კლდეებში ახალგაზრდები მის წინაშე სატირებსა და ნიმფებს განასახიერებდნენ...

მაგრამ მის სულში კიდევ უფრო საზარელი და სამარცხვინო ბინიერება გიზგიზებდა... მან შემოიკრიბა თავის გარშემო სრულიად პატარა ბიჭუნები, რომელთაც თავის „ლიფსიტებს" ეძახდა და რომლებთანაც საწოლში ნებივრობდა[2] (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 43-44).

ტაციტუსი იულიას სიკვდილსაც ტიბერიუსს აბრალებს: „ახლა, როდესაც ძალაუფლება მიიღო, ტიბერიუსმა შიმშილით და ხელმოკლეობით სული ამოხადა იულიას — გადასახლებულსა და პატივაყრილს, რომელმაც შვილის — აგრიპა პოსტუმუსის მკვლელობის შემდეგ უკანასკნელი იმედიც დაკარგა. ამის გამკეთებელი ტიბერიუსი ვარაუდობდა, რომ იულიას მოკვდინება გადასახლების ხანგრძლივობის გამო შეუმჩნეველი დარჩებოდა" (ტაციტუსი, „ანალები", I, 53). იულია გარდაიცვალა ახ.წ. 14 წელს. ავგუსტუსმა თავის ანდერძში აკრძალა, რომ მისი ქალიშვილის ნეშთი მის მავზოლეუმში დაეკრძალათ.

შენიშვნები:

[1] ამ სახელწოდებით ცნობილი კანონი ავგუსტუსის ორ კანონს შეიცავს, რომლებიც თავისი არსით ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ამ კანონთა თანახმად რომაელებს ქორწინებაში უნდა ეცხოვრათ 25-დან 60 წლის ასაკამდე (ქალებს — 20-დან 50 წლის ასაკამდე) და არანაკლებ სამი შვილი უნდა გაეჩინათ. ქვრივები და განქორწინებულნი, როგორც მამაკაცები, ისე ქალები, ხელახლა უნდა დაქორწინებულიყვნენ: ქვრივები — 2 წლის განმავლობაში, განქორწინებულნი კი — 18 თვის მანძილზე. თავისუფალ რომაელს მოქალაქეებს — ingenui-ს არ ჰქონდათ „შეუფერებელი ქორწინების" უფლება არაპატიოსან ქალებთან — meretrix — მეძავთან, lena — მაცთუნებელთან და adultera — ცოლ-ქმრული ერთგულების დამრღვევთან. რაც შეეხება სენატორებს და მათ შთამომავლებს, მათ ქორწინება გააზატებულ ქალებთან და მსახიობებთანაც ეკრძალებოდათ. მოქალაქეები, რომლებიც ამ კანონებს აღასრულებდნენ, სხვადასხვა მემკვიდრეობითი პრივილეგიით სარგებლობდნენ, მათ ასევე ენიჭებოდათ უპირატესობა თანამდებობათა მიღებისას. ის მამაკაცები და ქალები, რომლებიც მათთვის დაწესებულ ასაკობრივ პერიოდში ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, კარგავდნენ მემკვიდრეობის უფლებას (იგულისხმება ანდერძით გათვალისწინებული მემკვიდრეობა). ის დაქორწინებული მამაკაცები, რომლებთაც შვილები არ ჰყავდათ, მემკვიდრეობის მხოლოდ ნახევარს იღებდნენ. ასევე იღებდნენ მემკვიდრეობის ნახევარს ის გათხოვილი ქალები, რომლებსაც სამ შვილზე ნაკლები ჰყავდათ.

[2] ამონარიდი მოგვყავს სვეტონიუსის თხზულების რუსული თარგმანის მიხედვით, რომელიც ორიგინალთან შედარებით შემოკლებულიცაა და საგრძნობლად შერბილებულიც. სპინტრიები — პროსტიტუტი მამაკაცები. ელეფანტინეს წიგნები — ამ სახელწოდებით ანტიკური მწერლები მოიხსენიებდნენ ტრაქტატთა ორ ჯგუფს: ერთში ჩამოთვლილი იყო კოსმეტიკური საშუალებები, მეორეში — ე.წ. „ვენუსის ფიგურები". ეს უკანასკნელი, კინიარის შენიშვნით, „კამასუტრას" ანტიკურ ანალოგს წარმოადგენდა. Паскаль Киньяр, Секс и Страх, Москва, „Текст", 2000, 112.



აგრიპინა
უფროსი

აგრიპინა უფროსი მარკუს აგრიპას და იულია უფროსის ქალიშვილი, ავგუსტუსის შვილიშვილი და გერმანიკუსის ცოლი იყო.

აგრიპინა მტკიცე ხასიათის, უდრეკი სულის და უშიშარი ქალი გახლდათ, ამასთან იგი პატიოსნებით და მაღალი ზნეობრიობით გამოირჩეოდა. მას არც დათმობა სჩვეოდა, არც პირფერობა და მლიქვნელობა. აგრიპინა განსაკუთრებით ამაყობდა იმით, რომ იგი ღვთაებრივი ავგუსტუსის შვილიშვილი იყო და მის ძარღვებში დიდი რომაელის სისხლი ჩქეფდა. იგი არ უშვებდა შესაძლებლობას, ყველასთვის შეეხსენებინა ეს და ამასთან გამუდმებით ცდილობდა, პირადი მაგალითით დაემტკიცებინა, რომ ავგუსტუსის მემკვიდრეთა შორის მისი ჭეშმარიტი შთამომავლის სახელს ყველაზე მეტად სწორედ იგი იმსახურებდა.

ბედმა ის ახ.წ. 5 წელს გერმანიკუსთან დააკავშირა. გერმანიკუსი ლივიას ვაჟის — დრუზუს უფროსისა და ოქტავია უმცროსის ქალიშვილის — ანტონია უმცროსის შვილი იყო.[1] აგრიპინა იყო გერმანიკუსის არა მარტო უსაყვარლესი და უერთგულესი ცოლი, არამედ ქმრის სულიერი თანამზრახველი და ნამდვილი მეგობარი. ტრადიციაც აგრიპინა უფროსს უპირველესად გერმანიკუსის ცოლად მოიაზრებს.

რომს ცოტა ჰყავდა ისეთი ღირსებით დაჯილდოებული დიდგვაროვანი, როგორიც გერმანიკუსი იყო. კიდევ უფრო მცირე იყო იმ ნარჩინებულთა რიცხვი, რომელიც ხალხს ისე უყვარდა, როგორც გერმანიკუსი. ფიზიკურად მშვენიერი, ახოვანი ვაჟკაცი, იგი უმამაცესი მებრძოლი გახლდათ. ამასთან ინტელექტითაც გამოირჩეოდა — კარგად იცოდა მეცნიერების

ყადრი, მშვენივრად იყო განაფული ორატორულ ხელოვნებაში, თავადაც ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

მაგრამ არსებითი მის პიროვნებაში მაინც სხვა რამ იყო — გერმანიკუსი გამუდმებით ესწრაფოდა, თავისი ხალხის კეთილგანწყობა მოეპოვებინა და უნდა ითქვას, რომ ამას იგი წარმატებით ახერხებდა. ამასთან ის სიყვარული, რომელსაც თანამოქალაქეთაგან ილებდა, ნამდვილად დამსახურებული გახლდათ.

საკუთარ ნათესავებსაც გერმანიკუსი ძალიან უყვარდათ, რაც ელიტარულ რომაელთა წრეში მაინც და მაინც ჩვეული რამ არ იყო. თავად ავგუსტუსიც ყოყმანობდა მემკვიდრედ გერმანიკუსი ხომ არ დაესახელებინა, მაგრამ ლივიამ მოახერხა, ქმარი თავის ნებას დაეყოლებინა და ტახტი ტიბერიუსისთვის გადაეცა. თუმცაღა ავგუსტუსმა გერმანიკუსი საბოლოოდ არ მიივიწყა და ტიბერიუსს უბრძანა, გერმანიკუსი ეშვილებინა.

გერმანიკუსსა და აგრიპინას ცხრა შვილი გაუჩნდათ, მაგრამ ზრდასრულობას მათგან მხოლოდ ექვსმა მიაღწია. ესენი იყვნენ: ნერონ კეისარი, დრუზუს კეისარი, გაიუს კალიგულა, აგრიპინა უმცროსი, დრუზილა და იულია ლივილა. ახ.წ. 13 წელს გერმანიკუსი უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნეს. მისი ლეგიონები მდ. რაინზე იდგნენ. ამ დროიდან მოყოლებული იგი რომისგან შორს, უმთავრესად სამხედრო ბანაკებში ცხოვრობდა. მას თან ახლდა თავისი მეუღლე — აგრიპინა. მაგრამ ეს ქალი მხოლოდ ცოლობას როდი უწევდა მას. როცა საჭირო იყო, სამხედრო საქმეშიც აქტიურად ერეოდა. ისტორიამ ორი საგულისხმო ამბავი შემოგვინახა სამხედრო ასპარეზზე აგრიპინას მონაწილეობის შესახებ.

გერმანიკუსის ჯარში აჯანყებამ იფეთქა. მდგომარეობა ძალზე რთული იყო, იმდენად რთული, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, თავად გერმანიკუსმაც კი, რომელიც ჯარისკაცთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა, ამბოხებულებთან ვერაფერი გაანყო. ცოლ-შვილის ბანაკში გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა, თანაც აგრიპინა ფეხმძიმედ იყო. მიუხედავად ამისა, გერმანიკუსის ცოლს წასვლა არ სურდა. მას მიაჩნდა, რომ ავგუსტუსის შვილიშვილს უკან დახევის უფლება არ ჰქონდა, პირიქით, იგი საფრთხეს პირისპირ უნდა შეგებებოდა. ბოლოს გერმანიკუსმა აგრიპინას დაყოლიება მოახერხა და ქალი დაითანხმა გამგზავრებაზე.

მწუხარე ქალების ჯგუფი ბანაკიდან დაიძრა. ისინი უცხო ტომის ხალხთან მიემართებოდნენ, სადაც დახმარების და კეთილმოწყალების იმედი ჰქონდათ. სასონარკვეთილი ქალები მწარედ გოდებდნენ. მათ შორის იყო ფეხმძიმე აგრიპინა, რომელსაც ხელში მცირენლოვანი ბიჭუნა ჰყავდა ატატებული. ქალებს არავინ ახლდათ — არც ცენტურიონები, არც მცველები,

არც ახლობლები — არაფერი მოგვაგონებდა მთავარსარდლის ცოლის გამგზავრებას. მეტიც, აგრიპინა უფრო მეტად ლტოლვილს ჩამოპგავდა, ლტოლვილს, რომელიც უცხოსთან თავშესაფრის საძიებლად მიდიოდა. როგორც ჩანს, კენესის და მოთქმის ხმა ძლიერი იყო, ყოველ შემთხვევაში, გოდებამ აჯანყებულ მეომრებამდე მიაღწია. ამბოხებული ჯარისკაცები ქალებისკენ გამოემართნენ. და როცა ისინი იხილეს, მათში სიბრალულის და სირცხვილის გრძნობამ გაიღვიძა. ლტოლვილი აგრიპინას დანახვამ გაახსენა მათ, თუ ვისი მოდგმისა იყო ეს ქალი. გაიხსენეს ისიც, თუ რაოდენ უმნიკელო იყო მისი სახელი, რაოდენ პატიოსანი იყო იგი თავისი ზნით. მეხსიერებაში ამოტივტივდა აგრიპინას პატარა ვაჟი, რომელიც მან ბანაკში გააჩინა და რომელსაც ჯარისკაცთა გულის მოსაგებად დედა უბრალო ფარაჯაში და პატარა სამხედრო ჩექმებში გამოაწყობდა ხოლმე და ისე დაატარებდა მათ რიგებში. ამ პატარა ბიჭს ხომ სწორედ ამიტომ შეარქვა ჯარმა სიყვარულით კალიგულა (Caliga — სამხედრო ჩექმა). მაგრამ ყველაზე მეტად მეომრები შეაშფოთა და აეჭვიანა იმან, რომ ქალები ტრევერებისკენ მიემართებოდნენ, რომელთაც მათთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ. და მაშინ, სიბრალულის და დანაშაულის გრძნობით მოცული მეომრები შედრკნენ, ორად გაიყვნენ. ნაწილი აგრიპინასთან გაემართა და შეეეედრა ქალს, მათთან დარჩენილიყო, ნაწილი კი — გერმანიკუსს ჩაუვარდა ფეხებში და შენყალება შესთხოვა (ტაციტუსი, „ანალები", I, 40-43).

„კეთილმოსურნეებმა" არ დააყოვნეს, შეეტყობინებინათ ტიბერიუსისთვის, თუ როგორ იქნა აჯანყება ჩახშობილი, არც ის დაავიწყდათ, რომ იმპერატორის ყურადღება აგრიპინასადმი მეომრების კეთილგანწყობაზე გაემახვილებინათ. ტიბერიუსსაც სამომავლოდ კარგად დაამახსოვრდა, რომ ამ ქალმა შეძლო ჩაეხშო აჯანყება, რომლის წინააღმდეგაც თავად ტიბერიუსის სახელი უძლური გამოდგა (ტაციტუსი, „ანალები", I, 63).

აგრიპინას მორიგმა აქტიურობამ რომის იმპერატორი კიდევ უფრო გააღიზიანა. რომაელთა ბანაკში ხმა გავრცელდა, რომ ისინი ალყაში იყვნენ მოქცეულნი და რომ გერმანელთა უზარმაზარი ლაშქარი მათ წინააღმდეგ მოდიოდა. მეომრები შიშმა მოიცვა, ისინი საბედისწერო და სამარცხვინო საქციელისთვის იყვნენ მზად — ფიქრობდნენ, მდ. რაინზე აღმართული ხიდი დაეშალათ, რათა მტერი მათ მხარეს არ გადმოსულიყო. მაშინ აგრიპინამ თავის თავზე აიღო მთავარსარდლის ფუნქცია და ხიდიც დანგრევას გადაარჩინა. ამასთან იგი მეომრებს ყოველგვარ დახმარებას უნევდა — აძლევდა მათ ტანსაცმელს, უხვევდა ჭრილობებს. ხოლო იმ ლეგიონებს, რომლებიც ბანაკში ბრუნდებოდნენ, აგრიპინა ხიდის თავში ხვდებოდა და მადლიერების გრძნობით აღვსილი შექებით აცილებდა (ტაციტუსი, „ანალები", I, 69).

ტიბერიუსისთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო. იმპერატორს ვერავინ დაარწმუნებდა, რომ აგრიპინა მხოლოდ მტრის დამარცხებას ესწრაფოდა. არა, ამ ქალს სურდა ჯარისკაცთა ერთგულება მოეპოვებინა. სწორედ ამიტომ სტუმრობდა აგრიპინა არმიის ქვედანაყოფებს, ამიტომ ანყობდა იგი აღლუმებს, ამიტომ ეპირფერებოდა მეომრებს. პატარა სამხედრო ჩექმებში გამოწყობილი კალიგულას ტარებაც მეომრებში ხომ სწორედ ამას ემსახურებოდა. არმიაში აგრიპინას უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ლეგატებსა და მთავარსარდლებსო — ასე მიაჩნდა ტიბერიუსს, თუ რასაკვირველია, ტაციტუსს ვერწმუნებით. იმპერატორის ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებდა გავლენიანი სეიანუსი, რომელიც იმ ხანად ტიბერიუსთან ერთობ ახლოს იყო. ამ კაცს გერმანიკუსის ოჯახი სასტიკად სძულდა, ამასთან კარგად იცნობდა იმპერატორს. მან მშვენივრად გათვალა, თუ რა ნაყოფს გამოიღებდა მომავალში იმპერატორის სულში ჩათესილი ეჭვიანობის მარცვალი (ტაციტუსი, „ანალები", I, 69).

მაგრამ საქმე მარტო აგრიპინას სიძულვილში არ იყო. განდიდების სენით შეპყრობილ იმპერატორს განსაკუთრებით აღიზიანებდა რაინზე გერმანიკუსის სამხედრო წარმატებები. ყველაზე მეტად კი ის უდიდესი სიყვარული და პოპულარობა, რომელიც ჯარისკაცთა შორის მოეპოვებინა გერმანიკუსს. და სწორედ იმიტომ, რომ გერმანიკუსს საბოლოოდ არ დაემარცხებინა გერმანელები და ამით დიდი სახელი არ მოეხვეჭა (როგორც ამბობდნენ, გერმანელებზე გამარჯვებისთვის ერთი საზაფხულო კამპანიაღა იყო საჭირო), ტიბერიუსმა გერმანიკუსი რაინიდან გამოიხმო და სალაშქროდ აღმოსავლეთში გაგზავნა.

აღმოსავლეთში, კერძოდ სირიის პროვინციაში ნაცვლის მოვალეობას გნეუს კალპურნიუს პიზონი ასრულებდა, კაცი, რომელსაც გერმანიკუსი არ მოსწონდა. ეს ტიბერიუსმა კარგად იცოდა. სირიაში ჩასვლის შემდეგ გერმანიკუსს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა პიზონთან და მის მეუღლე — პლანტინასთან. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, გერმანიკუსი თავიდან მოეცილებინა. ისინი გერმანიკუსს ისეთ საწამლავს აპარებდნენ, რომელიც ნელი და ხანგრძლივი მოქმედებისა იყო. გერმანიკუსი ჯერ ლოგინად ჩავარდა, შემდეგ კი გარდაიცვალა. ამბობდნენ, ავადმყოფი მშვენივრად ხვდებოდა, თუ ვისი ხელი ერია მის მოწამვლაში. სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულმა მეგობრებს მან მტრებზე შურისძიება დაავალა. მაგრამ გერმანიკუსს ეჭვი ღრღნიდა, რომ მასსა და მის ოჯახს პიზონებზე ბევრად უფრო ძლიერი, ფარული მტერი ჰყავდა. მომაკვდავმა გერმანიკუსმა ცოლთან განმარტოება მოითხოვა და აგრიპინასთან პირისპირ დარჩენილმა გაუმხილა ცოლს ის საფრთხე, რომელიც მას ტიბერიუსის მხრიდან ემუქ-

რებოდა. ამ საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ ოცდათოთხმეტი წლის სახელგანთქმული მთავარსარდალი, იმპერატორის ტიტულის ორგზის მფლობელი გერმანიკუსი გარდაიცვალა. ეს ანტიოქიაში, ახ.წ. 19 წელს მოხდა.

ქმრის ნეშთი აგრიპინამ იტალიაში ჩამოასვენა. იმის შესახებ, თუ როგორი დახვედრა მოუწყო რომაელმა ხალხმა თავისი საყვარელი გმირის ჩამოსვენებას, ტაციტუსს მოვუსმინოთ:

„გემი ბრუნდიზიუმს მიადგა. ხომალდს მრავალრიცხოვანი ბრბო მიეგება. წინასწარ არავის ჰქონდა დაგეგმილი, როგორ უნდა შეხვედროდნენ გერმანიკუსის ქვრივს — ხმაამოუღლებლივ, მდუმარედ, თუ შეძახილით. ყველაფერი თავისით მოხდა. ურნით ხელში აგრიპინა ორი შვილის თანხლებით ხომალდიდან ჩამოვიდა. უბედურმა ქალმა მზერა მიწას მიაპყრო და უეცრივ გოდების ერთიანი ხავილი გაისმა. ვერავინ გაარჩევდა, ვინ მოსთქვამდა — ახლობლები, თუ უცნობები, ქალები, თუ მამაკაცები" (ტაციტუსი, „ანალები", III, 1).

ნეშთი ავგუსტუსის სამლოცველოში დაასვენეს. ასეთი გლოვა რომს ჯერ არ ენახა. რომი დაილუპა, არაფრის იმედი აღარ უნდა გვქონდესო, — მოთქვამდა ხალხი. გერმანიკუსის დასაფლავებას ტიბერიუსი არ დასწრებია, უკანასკნელ გზაზე თავისი შვილიშვილი არც ლივიას გაუცილებია. ხალხი გლოვას არ წყვეტდა. ტიბერიუსი ძალიან გაბეზრდა ამით და სპეციალური დადგენილება გამოსცა, დატირება შეეწყვიტათ. მაგრამ ხალხის მწუხარებაზე მეტად ტიბერიუსს სხვა რამ აცოფებდა — იგი ხედავდა, თუ როგორი სიყვარული გაჩნდა რომაელებში გერმანიკუსის ქვრივის მიმართ. „ხალხი აგრიპინას სამშობლოს მშვენებას და ტრადიციული ზნეობის განუმეორებელ მაგალითს უწოდებდა. მას მიაჩნდა, რომ აგრიპინა ერთადერთი იყო, ვის ძარღვებშიც ჭეშმარიტად დიდი ავგუსტუსის სისხლი ჩქეფდა. ისინი ღმერთს ევედრებოდნენ, რომ ამ ქალის შთამომავლები უვნებელნი დარჩენილიყვნენ და თავიანთ მტრებზე უფრო ხანგრძლივად ეცოცხლათ" (ტაციტუსი, „ანალები", III, 4).



ტიბერიუსის სასახლეში აგრიპინას მძიმე ცხოვრება ელოდა. იგი სრულიად დაუცველი დარჩა. თავი რომ დავანებოთ ტიბერიუსს, მას არც ლივია წყალობდა, რომელიც სასახლის კარზე ჯერ კიდევ დიდი გაელენით სარგებლობდა. აგრიპინას და ტიბერიუსს შორის მეტ-ნაკლებად ასატანი ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლიდა აგრიპინას ხასიათი. ამ ქალს სასტიკი განრისხება სჩვეოდა. გაგულისებული იგი მოწინააღმდეგეს ყველაფერს პირში ახლიდა, არაფერს თმობდა. ცოლის ხასიათი, ბუნებრივია, კარგად იცოდა გერმანიკუსმა, რომელმაც სიკვდილის წინ ანდერძად დაუტოვა აგრიპინას, მოედრიკა ქედმაღლობა, სასტიკი ბედის წინაშე თავი

მოეხარა და რომში დაბრუნებულს ძალაუფლებაში შეჯიბრით ძლიერნი მეტად აღარ განერისხებინა (ტაციტუსი, „ანალები", II, 72). მაგრამ ყოველივე ამაო იყო.

სასახლის კარზე აგრიპინას წინააღმდეგ გალაშქრება მაშინ დაიწყო, როდესაც სასამართლოში მისი ბიძაშვილის — კლავდია პულხრას წინააღმდეგ აღძრეს საქმე. ამ უკანასკნელს ბრალი ედებოდა სიძეაში, ქურდობასა და ასევე პრინცეპსის წინააღმდეგ ბოროტად განზრახულ ქმედებაში. კლავდია პულხრა დიდ პატივს სცემდა აგრიპინას. იგი მისი კერპი იყო. მაშინ აგრიპინა ტიბერიუსთან გაემართა და ბიძაშვილს გამოესარჩლა. მომჩივანი ქალისთვის ტიბერიუსს დიდხანს არ უსმენია, ხელი დაუვლია მისთვის და ბერძნული ლექსით ასე მიუმართავს: „შენ რა, ქალიშვილო, შეურაცხყოფად ხომ არ მიიჩნევ იმას, რომ მმართველი არა ხარო?" (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 53). მათი ურთიერთობის გამწვავებაში თავისი წილი, ბუნებრივია, სეიანუსმაც შეიტანა.

მან აგრიპინას წინააღმდეგ მოქმედების გეგმა შეიმუშავა.

სეიანუსმა, პირველ ყოვლისა, გააერცელა ჭორი, რომ ტიბერიუსს აგრიპინას მოწამვლა ჰქონდა განზრახული. შემდეგ იზრუნა იმაზეც, რომ ეს ჭორი აგრიპინას ყურამდე მისულიყო.

მეორე მხრივ, სეიანუსის მეცადინეობით ტიბერიუსსაც შეატყობინეს, რომ ასეთი ხმა დადიოდა და რაც მთავარია, ეს აგრიპინამ უკვე იცოდა.

იმპერატორმა გადაწყვიტა გამოეცადა, რამდენად სჯეროდა ამ ჭორისა აგრიპინას. ამიტომაც ერთ-ერთ წვეულებაზე გერმანიკუსის ქვრივს მან თავისი ხელით მიაწოდა ხილი. აგრიპინამ ვერ გაბედა იმპერატორის მიცემული ვაშლი გაესინჯა და იგი თავის მსახურს გადასცა. ტიბერიუსმა თვალნათლივ დაინახა, რომ აგრიპინა მას არ ენდობოდა და ეჭვობდა, რომ იმპერატორი მის მოწამვლას აპირებდა. ამას გარდა აგრიპინას უნდობლობა სხვებმაც მშვენივრად შენიშნეს. ტიბერიუსსაც ხომ სწორედ ეს სურდა.

მაშინ ტიბერიუსი ლივიასთან გაემართა და უამბო, რაც მოხდა — კერძოდ კი ის, რომ გერმანიკუსის ცოლი მას — რომის იმპერატორს მოწამვლის განზრახვაში სდებდა ბრალს. ამასთან ისიც განუცხადა, რომ თუ იგი ამ ქალის მიმართ უმკაცრეს ზომებს მიიღებდა, დაე, ეს ნურავისთვის საკვირველი ნუ იქნებოდა.

ამის შემდეგ კი გავრცელდა ხმა, სასახლის კარზე აგრიპინას დასალუპად ემზადებიანო, ოღონდ იმპერატორს არ სურს, ეს აშკარად გააკეთოს და მის მოსაკვდინებლად საიდუმლო ხერხებს ეძიებსო (ტაციტუსი, „ანალები", IV, 54).

ამასობაში გარდაიცვალა ლივიაც და ტიბერიუსს როგორც იქნა გაეხსნა ხელ-ფეხი, რათა თავისი ოდინდელი ოცნება აღესრულებინა. მან სე-

ნატს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იმპერატორი აგრიპინას და მის ვაჟს — ნერონს ადანაშაულებდა. აგრიპინას იგი ქედმაღლობისა და ჭირვეული ხასიათის გამო სდებდა ბრალს, ნერონს — კი გარყვნილებაში.

უნდა ითქვას, რომ სენატორთა შორის აგრიპინას მიმართ ერთნაირი განწყობილება არ იყო. ამასთან, როცა სენატის სხდომაზე ეს საკითხი განიხილებოდა, კარებთან ხალხი შეგროვდა. ისინი აგრიპინას გამართლებას მოითხოვდნენ. მაგრამ იმპერატორის მხრიდან უმაღლეს ორგანოზე ზეწოლა დიდი იყო, და ცოტა ხნის შემდეგ სენატმა გამოაცხადა, რომ თავად იგი მზად იყო დამნაშავეთა დასასჯელად და მას მხოლოდ პრინცეპსის ნება აბრკოლებდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ რა ვითარებაში გამოუტანეს აგრიპინას კუნძულ პანდატერიაზე გადასახლების განაჩენი. დაკარგულია ტაციტუსის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ახ.წ. 29-30 წლების და 31 წლის პირველი ათი თვის ამბებს მოგვითხრობს.

უკვე შემდეგ, როცა ისტორიკოსი აგრიპინას სიკვდილის ამბავს გვამცნობს, იგი აღნიშნავს, რომ განრისხებულ ტიბერიუსს აგრიპინას წინააღმდეგ უსაზიზღრესი ბრალდებები წამოუყენებია — კერძოდ კი ის, რომ გერმანიკუსის ქვრივი აზინიუს გალუსს ეტრფოდა და ისეთი ლტოლვა ჰქონდა, რომ მისი დაღუპვის შემდეგ სიცოცხლეც კი გაბეზრებია. ტაციტუსისავე ინტერპრეტაციით, ყველასთვის იმთავითვე იყო ნათელი, თუ რაოდენ შორს იდგა სიმართლისგან ეს ბრალდება. „აგრიპინა, რომელიც არასოდეს კმაყოფილდებოდა მოკრძალებული ხვედრით, რომელიც დაუსრულებლივ მიისწრაფოდა ძალაუფლებისკენ და მამაკაცური საზრუნავით იყო მოცული, ქალური სისუსტეებისგან თავისუფალი იყო" (ტაციტუსი, „ანალები", VI, 25). ტრადიციასაც აგრიპინა სწორედ ამგვარ ქალად ჰყავს დახატული.

ჩვენ ვერც სვეტონიუსისგან ვიგებთ, თუ რა ბრალდების საფუძველზე გაასამართლეს აგრიპინა. ისტორიკოსი მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ ტიბერიუსმა ცილი დასწამა აგრიპინას, თითქოსდა ეს ქალი თავშესაფარს ავგუსტუსის ქანდაკებასთან თუ ჯარისკაცთა შორის ეძიებდა. ამიტომაც იმპერატორმა აგრიპინა კუნძულ პანდატერიაზე გადაასახლა (სვეტონიუსი, „ტიბერიუსი", 53). არც იმის თქმა შეგვიძლია დაზუსტებით, თავად მოიკლა აგრიპინამ შიმშილით თავი, თუ ვერსია თვითმკვლელობის შესახებ შეთხზეს, სინამდვილეში კი პატიმარი იმპერატორის სურვილით შიმშილით მოაკვდინეს.

აგრიპინას მიმართ საოცარი სიძულვილი ტიბერიუსს არც მისი სიკვდილის შემდეგ განელებია. მან თავის დამსახურებადაც კი მიითვალა ის,

რომ აგრიპინა არც ჩამოახრჩო და არც ჰემონიაში[2] ჩააგდო. რამხელა ირონიაა ტაციტუსის სიტყვებში, როცა იგი გვამცნობს, რომ იმპერატორს ამგვარი გულმოწყალებისთვის სენატმა მადლობა გამოუცხადა. სენატმა დაადგინა ისიც, რომ აგრიპინას გარდაცვალების დღეს — მეთხუთმეტე დღეს ნოემბრის კალენდებამდე — ყოველწლიურად იუპიტერისთვის მადლიერების ნიშნად ძღვენი მიერთმიათ (ტაციტუსი, „ანალები", VI, 25).



შენიშვნები:

[1] ამდენად გერმანიკუსი ლივიას შვილიშვილი იყო (ამასთან ოქტავიანუსის დის შვილიშვილიც), აგრიპინა უფროსი კი — ავგუსტუსის. გერმანიკუსისა და აგრიპინას შვილები ღვთაებრივი წყვილის — ოქტავიანუსისა და ლივიას საერთო შვილთაშვილები იყვნენ.

[2] პემონია — „გოდების კიბე" — ჩასასვლელი კაპიტოლიუმის ბორცვიდან მდ. ტიბერისისკენ (თან. ტიბრი), რომლითაც სიკვდილმისჯილთა ცხედრებს მდინარეში კაუებით მიათრევდნენ.

მესალინა

მესალინას დიახაც შეეძლო თავისი წარმომავლობით ეამაყა. იგი ოქტავია უმცროსის შვილიშვილის შვილი იყო, ამასთან მისი დედაც და მამაც ოქტავიას შვილიშვილები გახლდნენ, ოღონდ სხვადასხვა ქორწინებიდან. მესალინას მამა — მარკუს ვალერიუს მესალა ბარბატუსი — ოქტავიას ქალიშვილის — მარკელას შვილი იყო. დედა — დომიცია ლეპიდა კი ანტონია უფროსის ქალიშვილი გახლდათ, რომელიც ოქტავიას მეორე ქორწინებიდან შეეძინა.

ასეთი გამორჩეული გვარიშვილობის 14 წლის მესალინა ცოლად გააყოლეს იმპერატორ კლავდიუსს, რომელიც მას გარე ბიძაშვილად მოუდიოდა. ამ ხანად კლავდიუსი უკვე 48 წლისა იყო. მათ ორი შვილი შეეძინათ — ვაჟიშვილი ბრიტანიკუსი და ქალიშვილი ოქტავია.

მტკიცე ხასიათის, მბრძანებლობის მოყვარული და სასტიკი მესალინა გასაოცარი გარყვნილებით და თავაშვებულობით გამოირჩეოდა. სიძვის სიყვარული იმდენად მოჭარბებული იყო ამ ქალში, რომ სახელი მესალინა საზოგადო სახელად იქცა და გარყვნილების სიმბოლოდ დამკვიდრდა. სპეციალურ ლიტერატურაში, როდესაც სექსუალურ გადახრებზე, კერძოდ სექსუალურ დაუკმაყოფილებლობაზე ლაპარაკობენ, ამგვარი გადახრის, ანუ ნიმფომანიის კლასიკურ მაგალითად სწორედ მესალინას ასახელებენ.

და თუ რატომ, სჯობს თავად რომაულ წყაროს, სატირიკოს იუვენალისს მოვუსმინოთ. თქმა არ უნდა, რომ მისი გადმოცემა მესალინას შესახებ აშკარად ჰიპერბოლიზებულია, მაგრამ ეტყობა იგი მართლაც იმდენად თავაშვებული ქალი იყო, რომ თანამედროვენი კლავდიუსის ცოლს უმთავრესად ასეთად მოიაზრებდნენ:

„რის კერძო სახლი, რა აპიასაგან ჩადენილი საქმენი!
შენ ისინი ნახე, ღმერთებს რომ ეტოლებიან, კლავდიუსისა
მოისმინე, რაცა სჭირდა. ცოლი მას, როგორც კი მძინარეს დაიგულებდა,
უშიშრად მიატოვებდა პალატინურ სარეცელს ჯვალოს სანოლისათვის,
ხელს დასტაცებდა ღამის პირსაბურავს ამძუვნებული ავგუსტა,
თავის შავ თმას ქერა პარიკში ჩამალავდა,
ერთადერთ მოახლესთან ერთად გაეცლებოდა იქაურობას
და ძონძებით შემოსილი ახურებულ ლუპანარიუმში შევიდოდა,[1]
იქ, თავის ცარიელ ოთახში, ლიცისკას სახელით რომ ჰქონდა აღებული,
გაშიშვლდებოდა, მოოქროვილ ძუძუ-მკერდს გადაშლიდა,
საშოს გადახსნიდა, რომელმაც შენ გშობა, კეთილშობილო ბრიტანიკუს!
მაცდურად შეიხმობდა შემომსვლელს, მერე საფასურს მოსთხოვდა,
გულაღმა დაწოლილი უამრავ დარტყმას შეირგებდა,
ბოლოს, როცა მაჭანკალი თავის კახპებს გაისტუმრებდა,
ნაღელიანი მიდიოდა, ოთახს უკანასკნელი ტოვებდა,
გადაღლილი ბრუნდებოდა, მაგრამ კაცთაგან ჯერ ისევ
დაუკმაყოფილებელი".
(იუვენალისი, „სატირა" VI, 114-130)
თარგმანი მანანა ღარიბაშვილისა

მაგრამ თავი დავანებოთ სატირიკოს იუვენალისს და ისტორიკოსს მოვუსმინოთ. და თუმცა ტაციტუსი არას გვიამბობს იმაზე, რომ იმპერატრისა საროსკიპოში მსახურობდა, სამაგიეროდ გვიყვება, თუ როგორ მოპყავდათ მესალინასთვის გამოძახებით ახალგაზრდა მამაკაცები, სნორედ ისინი, რომელთაც ქალი ხელს დაადებდა. ამის შემდეგ კი პალატინუსის სასახლეში აქამდე უნახავი და გაუგონარი ორგიები ეწყობოდა.

ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა, თუ რას აკეთებდა ამ დროს მესალინას ქმარი — იმპერატორი კლავდიუსი და საერთოდაც, როგორი იყო იგი პიროვნულად.

ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ იძლეოდნენ ანტიკური წყაროები, ერთმნიშვნელოვნად კლავდიუსს ვერც თანამედროვე მეცნიერები აფასებენ. იგი, ალბათ, რომის ყველაზე იდუმალი და ამოუცნობი იმპერატორი გახლდათ. დოყლაპიად მიჩნეული, მორჩილი და გაუბედავი კლავდიუსი ამავე დროს მეტად განსწავლული, სიღრმისეული პიროვნება იყო, წერდა მეცნიერულ შრომებს, კარგად ერკვეოდა ისტორიოგრაფიაში, გონივრული და გააზრებული ლაპარაკი ხელეწიფებოდა. თუმცა ის, რომ

იგი შეიძლებოდა იმპერატორი გამხდარიყო, ვერავის წარმოედგინა. მიუხედავად ამისა, როცა უმაღლესი ხელისუფალი გახდა, კლავდიუსმა არა ერთი სასარგებლო საქმე გააკეთა და საერთოდაც, მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ფართო სპექტრისა იყო. მაგრამ კლავდიუსის პიროვნებაში, როგორც ჩანს, მაინც ორი თვისება სჭარბობდა დანარჩენთ — უნდობლობა და სიმხდალე, ამას კი არაერთხელ ერთობ სავალალო შედეგი მოუტანია და არა მარტო მისთვის.

იმპერატორის გარემოცვა მშვენივრად სარგებლობდა კლავდიუსის ლაჩრობით, შანტაჟს უწყობდა მას, არწმუნებდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და წარმატებასაც აღწევდა. ინტრიგანი, შურიანი, მზაკვარი ხელქვეითნი კი სასახლის კარზე ბლომად იყვნენ. მაგრამ ყველაზე დიდი გავლენა იმპერატორზე მასთან დაახლოებულ ადამიანებს ჰქონდათ — მის ოთხივე ცოლს და იმ სამ აზატს,[2] რომლებმაც კლავდიუსის მმართველობის დროს საიმპერატორო კარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლება იგდეს ხელთ.

მესალინა, რომელიც ძლიერი და მზაკვარი ქალი იყო, ქმარს თავის ნებაზე დაატარებდა. ბუნებით ინტრიგანი ეს ქალი წარჩინებულ და გამოჩენილ ადამიანებს გამორჩეულად ერჩოდა და თავის მიზანს წარმატებით აღწევდა, რადგან მეუღლე — იმპერატორი მის სურვილებს მორჩილად ასრულებდა. მესალინას მეცადინეობით არაერთი დიდგვაროვანი რომაელი სიკვდილით იქნა დასჯილი, ვინც ამას გადაურჩა, რომიდან განდევნეს. სხვებთან ერთად გადაასახლეს ცნობილი ფილოსოფოსი სენეკა.

მესალინას გამორჩეულად სძულდა კლავდიუსის ძმისშვილი აგრიპინა უმცროსი. ეს ქალი ხომ კლავდიუსმა გადასახლებიდან დააბრუნა. მტრობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ აგრიპინას შვილი ნერონი მესალინას თავისი ვაჟის — ბრიტანიკუსის მეტოქედ მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში წყაროები ასე მოგვითხრობენ. სხვა საკითხია, თუ რატომ უნდა გასჩენოდა მესალინას ამისი შიში, წესით ბრიტანიკუსის მემკვიდრეობა ეჭვქვეშ არ უნდა დამდგარიყო. ნუთუ მესალინამ რაღაც ქვენა გრძნობით იგრძნო ის, რომ მოვლენები სწორედ ასე განვითარდებოდა? ლოგიკურ ახსნას ეს არ ექვემდებარებოდა. მაგრამ მივყვეთ ფაქტების მსვლელობას.

მესალინა უსათუოდ მოიცილებდა აგრიპინას თავიდან, მაგრამ ამ უკანასკნელის საბედნიეროდ იმპერატრისამ მისთვის ვერ მოიცალა. ახალმა სასიყვარულო ვნებამ მესალინა აქამდე გამოუცდელი ძალით მთელი არსებით მოიცვა. ეს სიყვარული, ტაციტუსის თქმით, სიგიჟეს უტოლდებოდა (ტაციტუსი, „ანალები", XI, 12).

მესალინას საყვარელი ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული რომაელი, გამორჩეული გარეგნობის ახალგაზრდა ვაჟკაცი — გაიუს სილიუსი იყო. რათა მხოლოდ მისი საკუთრება ყოფილიყო, იმპერატრისამ იგი ცოლს გააშორა. მათი ურთიერთობა სრულიად აშკარად, ყველას თვალწინ წარმართებოდა. სილიუსს კარგად ესმოდა, თუ რაოდენ სარისკო იყო ასეთი თვალნათელი ადულტერი, მაგრამ გამოსავალი არ ჰქონდა — მესალინასთვის უარის თქმა სიკვდილის ტოლფასი იყო. თანაც, სილიუსი იმასაც მშვენივრად განჭვრეტდა, რომ იმპერატორის მეუღლესთან ასეთი ვნებიანი და სიგიჟემდე მისული რომანი მას ახალი, ცოტა ხნის წინათ სრულიად წარმოუდგენელი შესაძლებლობისაკენ უხსნიდა გზას. სასიყვარულო ურთიერთობა იმპერატრისას, მართალია, აქამდე არაერთ მამაკაცთან ჰქონოდა, მაგრამ მისი თავაშვებულობა და უტიფრობა ასე აშკარად არასოდეს გამომზეურებულიყო, — ასე ფიქრობდა სილიუსი და გეგმებს აწყობდა. ამასობაში მესალინა თანდათან სულ უფრო მეტი გაშმაგებით ეძლეოდა სიძვას. ამასთან ის, რასაც იგი აკეთებდა, გამოწვევასაც წააგავდა, თითქოს იგი ებრძოდა სასახლის კარზე მიღებულ ნორმებს. აბა სხვა რაღა უნდა დაერქვას იმას, როცა იმპერატრისა ამალის თანხლებით მიბრძანდებოდა სილიუსის სახლში, გვერდიდან არ სცილდებოდა, უხვად ასაჩუქრებდა თავის საყვარელს ფულით, თუ სხვა ძვირფასეულობით. მესალინა იმ ზომამდე გათავხედდა, რომ იმპერატორის ნივთები სილიუსის სახლში გადაიტანა და საყვარლის პალატი მისთვის ჩვეულ გარემოს დაამსგავსა — გაიუს სილიუსის სახლში ნახავდით კლავდიუსის მონებს, მსახურებსა თუ აზატებს.

თუ ტრადიციას ვერწმუნებით, ცოლის ამ სკანდალური რომანის თაობაზე ქმრისთვის არაფერი იყო ცნობილი. შესაძლებელია,,მეუღლეები ხომ საერთოდ ყველაზე გვიან იგებენ თავიანთი მეორე ნახევრის ღალატის შესახებ, გარდა ამისა, კლავდიუსი მართლაც განსაკუთრებულად დაუდევარი ადამიანი გახლდათ და სავსებით დასაშვები იყო მისგან, რომ თვალწინ მომხდარისთვის ყურადღება არც კი მიექცია.

ბოლოს მესალინას მობეზრდა მიღნეული და ახალი, აქამდე გამოუცდელი სიამოვნების ძიება იწყო. სილიუსს კი, როგორც ვთქვით, თავისი გეგმები ჰქონდა და ოცნების აღსასრულებლად შესაფერის მომენტს უცდიდა. მისი გათვლით, სწორედ ახლა დადგა დრო, რომ ჩანაფიქრი მესალინასთვის გაენდო. — მოდი, შევწყვიტოთ თვალთმაქცობა — ეუბნებოდა იგი საყვარელს. — ჩვენ ხომ ვერ დაველოდებით იმას, სანამ კლავდიუსი ბუნებრივად, სიბერით არ მოკვდებაო. კეთილგონიერებას ზიანი უდანაშაულოთათვის ნამდვილად არ მოაქვს, მაგრამ აშკარა უზნეობამ საყ-

რდენი მხოლოდ თავზე ხელის აღებაში შეიძლება ნახოსო — არწმუნებდა სილიუსი ქალს. — მე უცოლო ვარ, არც შვილები მყავს, მინდა ცოლად მოგიყვანო, შენი შვილი ბრიტანიკუსი — კი ვიშვილოო. თუ მიმნდობ და დაუდევარ კლავდიუსს დავასწრებთ, შენ უწინდელ ძალაუფლებას შეინარჩუნებ, მაგრამ ამას უსაფრთხოებაც დაემატება, არ დაგავიწყდეს, შენს ქმარს რომ საშინელი განრისხება სჩვევიაო. — ასეთი იყო სილიუსის არგუმენტები, რომელსაც იგი გამუდმებით აწვეთებდა თავის საყვარელს.

„მესალინა სილიუსის სიტყვებს გულგრილი უსმენდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ქმარი უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ ეშინოდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ სილიუსი მისადმი არ განელებულიყო და სათანადოდ არ შეეფასებინა ის ბოროტება, რომელსაც სახიფათო ვითარებაში ასე დადებითად განიხილავდა", — შენიშნავს ტაციტუსი (ტაციტუსი, „ანალები", XI, 26).

და მაინც, მესალინას ახალი ქორწინების პერსპექტივა მოენონა, ალბათ, მას ყველაზე მეტად სწორედ ამ საქციელის გაუგონარი სითავხედე ხიბლავდა, ყველაფერი დანარჩენი მას უკვე მოყირჭებული ჰქონდა. და მართლაც, როგორც კი კლავდიუსი ოსტიაში დაიგულა, იმპერატრისამ ქორწილი ყველა წესის დაცვით, საზეიმოდ რომში გადაიხადა. პირ-სახე საქორწინო საბურველით დაიფარა, საქორწინო ხელშეკრულებას მოწმეების თანდასწრებით მოაწერა ხელი, აღასრულა საზეიმო მსხვერპლშეწირვაც. ბოლოს, ცოლ-ქმარი მოქეიფეთა შორის გაშლილ საქორწინო სარეცელზე წამოწვნენ და ღამეც ცოლქმრულ ნებივრობაში გაატარეს (ტაციტუსი, „ანალები", XI, 26-27).

ამ გაუგონარმა ამბავმა სასახლის კარი ფრიად შეაშფოთა. სახელმწიფო გადატრიალებისა კი ყველაზე მეტად იმათ ეშინოდათ, ვინც კლავდიუსის კარზე თბილ და რბილ სავარძლებში ისხდნენ. ის, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამ ქორწინებას, ყველა მშვენივრად ხვდებოდა. სასწრაფოდ რაღაც უნდა ელონათ. და აი, სამი აზატი — ნარცისი, პალასი და კალისტოსი, სასახლის კარის ყველაზე გავლენიანი პირები შეთანხმდნენ, რომ ცოლის ქორწინება ოსტიაში მყოფი კლავდიუსისთვის შეეტყობინებინათ. ამ საქმის მოგვარება ნარცისმა ითავა. თავდაპირველად კლავდიუსს მისმა მოახლეებმა ამცნეს მესალინას გათხოვების შესახებ, შემდეგ კი ოთახში ნარცისი შევიდა. მან იმპერატორს ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ამასთან მკაცრად გააფრთხილა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ ილონებდა რამეს, მესალინას ახალი ქმარი რომის მმართველი გახდებოდა.

მომხდარმა გააოგნა კლავდიუსი. იგი ისე დაიბნა, რომ იმასაც ვერ ხვდებოდა, იყო თუ არა იგი კვლავ იმპერატორი, თუ რომს უკვე სილიუსი მარ-

თავდა. გონებაწართმეულ იმპერატორს წინ შემუშავებული გეგმა დაუდეს. ახლა მთავარი იყო, პრინცეპსს არმიის მხარდაჭერა გაენაღდებინა, არმია ხომ ასეთ ვითარებაში, ფაქტობრივად, ყველაფერს წყვეტდა. შემდეგ კი დამნაშავენი სასტიკად უნდა დაესაჯა.

რა ხდებოდა ამასობაში რომში? როგორც ჩანს, მექორწინეებმა რეალობის შეგრძნება დაკარგეს. შემოდგომა იდგა და მესალინამ გადაწყვიტა, ყურძნის აღებასთან დაკავშირებით წარმოდგენა მოეწყო. სასახლის კარზე ნამდვილი ბაკქანალია გაიმართა. ყურძენს საწნახელში წურავდნენ, როფებში ყურძნის ტკბილი მოედინებოდა... აქვე გამალებით ხტოდნენ და ცეკვავდნენ თმაგაშლილი, ცხოველთა ტყავით შემოსილნი, ბაკქური სიგიჟით მოცული ქალები. მესალინაც მათ შორის იყო, თმაგაძეძილი, იგი კოტურნებზე იდგა, თირსოსს იქნევდა და გახელებული მენადას მსგავსად თავს უკან ისროდა.[3] სუროში გახვეული მისი ქმარი კი მის გვერდით როკავდა და ცოლთან ხმაშეწყობით უწმაწურ სიმღერებს მღეროდა. სწორედ ამ დღეში იყვნენ მექორწილენი, როცა რომში ხმა გავარდა, კლავდიუსმა ყველაფერი შეიტყო და რომში შურის საძიებლად მოემართებაო.

მესალინას ახლა თავის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა. მისი ვარაუდით, კლავდიუსს ყველაზე მეტად ის აუჩუყებდა გულს, თუ შვილებთან ერთად თავადვე ეახლებოდა. ამასთან იმპერატრისამ ქურუმი ქალიც წაიყვანა თან. ამ უკანასკნელს კლავდიუსისთვის უნდა მოეთხოვა, რომ ცოლისთვის მოესმინა. ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ საქმე გაჭირდებოდა. თუმცა მესალინას თავისი ხიბლის და ქმარზე უწინდელი ზეგავლენის იმედი ჰქონდა.

და აი, გადამწყვეტი შეხვედრაც შედგა. მესალინა კლავდიუსს მოსმენას ევედრებოდა, — ყური დამიგდე, შენი შვილების — ოქტავიას და ბრიტანიკუსის დედას და შემდეგ გამომიტანე განაჩენიო, — და კლავდიუსიც ალბათ დაყაბულდებოდა, ნარცისს რომ არ შეეშალა ხელი. მან კლავდიუსს ქაღალდი მიანოდა, სადაც მისი ცოლის სასიყვარულო თავგადასავლები იყო ჩამოთვლილი. ნარცისს როგორმე უნდა მოეხერხებინა, რომ ცოლ-ქმრის მზერა ერთმანეთს არ შეხვედროდა, რათა არ განმეორებულიყო უკვე მრავალგზის მომხდარი — მესალინას ხიბლს კლავდიუსი კვლავ არ დაეჯაბნა. ამავე დროს ნარცისი იმპერატორს მისი ცოლის ქორწინებას ახსენებდა. როგორც იქნა, აზატის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. კლავდიუსმა მესალინას ლაპარაკი შეაწყვეტინა.

ახლა იმპერატორს საკუთარი თვალით უნდა ეხილა მესალინას დანაშაულის მამტკიცებელი საბუთები. ამიტომ ნარცისმა იგი სილიუსის სახლში მიიყვანა. იმპერატორმა თავისი ნივთები იცნო.

შემდეგი ნაბიჯი ჯარისკაცთა ბანაკი იყო. სამხედროებმა კლავდიუსს დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვეს. უკვე დატუსალებული სილიუსი და მისი მომხრეები სიკვდილით იქვე დასაჯეს. სიცოცხლეს გამოასალმეს ის რომაელი დიდებულებიც, რომელთაც მესალინას საყვარლობა ბრალდებოდათ.

და ბოლოს ყველაზე რთული საქმე უნდა მოეყვანათ სისრულეში — მესალინა უნდა დაესაჯათ. ეს მართლაც ყველაზე საძნელო რამ იყო, იმპერატრისას ფარ-ხმალი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაყრილი და თავის გადასარჩენად ყოველ ღონეს ხმარობდა. ნარცისს ცოტათი რომ დაეყოვნებინა, ეს ქალი თავის ბრალმდებელს თავად დაღუპავდა.

კლავდიუსიც ნელ-ნელა ტყდებოდა, რისხვაც უნელდებოდა. ერთხელაც ნასვამმა იმპერატორმა ბრძანება გასცა, გადაეცათ უბედური ქალისთვის (როგორც ამტკიცებენ, მან სწორედ ასე მოიხსენია ცოლი), რომ მეორე დღეს მასთან თავის სამართლებლად მისულიყო (ტაციტუსი, „ანალები", XI, 97). სასწორი მესალინას მხარეს გადაიხარა. ნარცისმა ეს დაუყოვნებელი მოქმედების ნიშნად ჩათვალა და მესალინას სიკვდილით დასჯის განაჩენი თავად გამოუტანა. იმათ კი, ვისაც ამის გაკეთება უბრძანა, განუცხადა, რომ ასეთი იყო იმპერატორის ნება.

მესალინა ლუკულუსის ბაღებში განმარტოებულიყო. ჯალათნი მას აქ გამოეცხადნენ. მათ დანახვაზე იმპერატრისამ პირველად გააცნობიერა, რომ აღარაფერი უშველიდა და ხანჯალს სტაცა ხელი. აკანკალებული ხელით ქალს ხანჯალი ხან გულთან მიჰქონდა, ხან ყელს უშვერდა, მაგრამ დარტყმას ვერა და ვერ ბედავდა. მაშინ ტრიბუნმა აღარ დააყოვნა და თავად ჩასცხო მესალინას მახვილი.

როგორც გადმოგვცემენ, როცა ცოლის სიკვდილის ამბავი იმპერატორს შეატყობინეს, იგი სუფრას უჯდა და ქეიფობდა. მისთვის არ უთქვამთ, იძულებითი იყო მესალინას სიკვდილი, თუ თავად მან ისურვა ასე. კლავდიუსსაც არაფერი უკითხავს, მან მხოლოდ ღვინო მოითხოვა და ნადიმი წესისამებრ განაგრძო. მას ვერც მომდევნო დღეებში შეატყობდით რაიმეს — არავითარი ნიშან-წყალი არ ჩანდა არც სიხარულის, არც სიძულვილის, არც რისხვის, არც სასოწარკვეთის, ან თუნდაც სხვა ადამიანური ემოციისა.

ვერ მიხვდებოდით, თუ რას განიცდიდა იმპერატორი ვერც მაშინ, როდესაც ის გამარჯვებულ ბრალმდებელთ უყურებდა, და ვერც მაშინ, როცა უბედურებით განგმირულ შვილებს უცქერდა.

სენატმა დაადგინა, რომ მესალინას სახელი შენობებზე გაკეთებული

წარწერებიდან ამოეშალათ. ბრძანება გასცეს, აეღოთ მისი ქანდაკებებიც. ფიქრობდნენ, ეს იმპერატორს ცოლის დავიწყებას გაუადვილებსო. დაჯილდოვეს ნარცისიც — მას კვესტორობა უბოძეს, რაც ტაციტუცის შეფასებით, ძალზე მცირე ჯილდო იყო იმასთან შედარებით, რასაც თავად ნარცისი მოელოდა — ამ საქმეში ხომ მისი დამსახურება ბევრად მეტი იყო ვიდრე პალასის, ან თუნდაც კალისტოსისა.

„დიახ, ნარცისის განზრახვა პატიოსანი იყო, მაგრამ ამან საქმე ყველაზე უარეს შედეგებამდე მიიყვანაო", — ასრულებს მესალინას ამბის თხრობას ტაციტუსი (ტაციტუსი, „ანალები", XI, 38).



შენიშვნები:

[1] ლუპანარიუმი — საროსკიპო.

[2] ტერმინ „აზატით“ ვთარგმნეთ ჩვენ თავისუფლებამოპოვებული ყოფილი მონების სოციალური ფენა (ლათ. libertus, libertinus). საბერძნეთისაგან განსხვავებით, ამ სოციალურ ფენას რომში მაღალი სახელმწიფო თანამდებობებიც ეკავა, განსაკუთრებით კლავდიუსის მმართველობისას. იმპერიის პერიოდში აზატების შვილებს შეეძლოთ გამხდარიყვნენ არა მარტო მხედრები, არამედ თავად იმპერატორებიც (ა.მ. პერტინაქსი ან თუნდაც დიოკლეტიანე). თუმცა ძირითადად ისინი მიეკუთვნებოდნენ წვრილ მეწარმეთა კლასს და იყვნენ თავიანთი პატრონების ნდობით აღჭურვილნი პირნი სამეწარმეო თუ პოლიტიკურ საქმიანობაში. კლავდიუსის კარზე ყველაზე გავლენიანი აზატები იყვნენ — ნარცისი, პალასი და კალისტოსი.

[3] კოტურნი — მაღალი დახურული ჩექმა რბილი ტყავისგან. იყო ყოველდღიურ მოხმარებაშიც. კოტურნები ეცვათ მსახიობებს — ისინი ამაღლებდნენ მსახიობს და მის პერსონას დიდებულებას ანიჭებდნენ. კოტურნები ძალიან წააგავს თანამედროვე ე.წ. „პლატფორმიანი ძირის“ ფეხსაცმელს.
თირსოსი — ჯოხი, რომელიც სუროთი და ვაზის ფოთლებითაა შემოხვეული. თავში გირჩა აქვთ წამოცმული. დიონისური პროცესიების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი, დიონისესა და მის თანმხლებთა კვერთხი.
მენადა — დიონისეს თანმხლები ქალი. დიონისეს ასევე ბაკქუსი ეწოდებოდა. შესაბამისად მენადებს ასევე ბაკქ ქალებსაც ეძახდნენ. ისინი გამოწყობილნი იყვნენ ირმის ტყავში, იქნევდნენ მაშხალებსა და თირსოსებს და გიჟური ცეკვით ტყეებსა და მთებში მიპქროდნენ. იქ ექსტაზის მდგომარეობაში მენადები ხოცავდნენ მხეცებს და ნაწილ-ნაწილ კუწავდნენ. თავის უკან გადასროლა მენადას რიტუალის დამახასიათებელი ელემენტია.



აგრიპინა

უმცროსი

რომის საიმპერატორო კარის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამორჩეულ და ამასთანავე განსაკუთრებულად ტრაგიკული ბედის პიროვნებად აგრიპინა უმცროსი შეიძლება დავასახელოთ.

ის ხვედრი, რომელიც აგრიპინას ერგო წილად, ალბათ ორი გარემოებით იყო გამოწვეული. ერთი იყო ამ ქალის სრულიად არაორდინალური ზნე და ხასიათი. მეორე კი ის, რომ ბედმა მას არგუნა მთელი ცხოვრების განმავლობაში რომის საიმპერატორო კარის პირველი ქალბატონი ყოფილიყო — აგრიპინა ხომ ბავშვობიდან მოყოლებული ვიდრე სიკვდილამდე — რომის უმაღლეს ხელისუფალთა უახლოესი ნათესავი გახლდათ. აკი ხაზგასმით აღნიშნავს კიდეც ტაციტუსი, რომ რომის ისტორიაში აგრიპინა უმცროსი წარმოადგენდა ერთადერთ ქალს, რომელიც იყო იმპერატორის ქალიშვილიც და პრინცეპსების — დაც, მეუღლეც და დედაც (ტაციტუსი, „ანალები", XII, 42).

და მართლაც აგრიპინა უმცროსს სრულიად გამორჩეული სანათესაო ჰყავდა. მამამისი — გერმანიკუსი, იმპერატორ ტიბერიუსის ძმისშვილი რომაელთა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი იყო, რომელსაც იმპერატორის საპატიო ტიტული ორჯერ მიანიჭეს. აგრიპინას ძმა — კალიგულა 37-41 წწ.-ში რომის პრინცეპსი[1] გახლდათ. აგრიპინას ქმარი — კლავდიუსი საიმპერატორო ტახტზე კალიგულას მკვლელობის შემდეგ ავიდა და ცამეტი წელი მართავდა რომის სახელმწიფოს (41-54 წწ.). აგრიპინას შვილი — ნერონი ასევე რომის იმპერატორი იყო, რომელსაც უმაღლესი ხელისუფლება კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ ერგო (54-68 წწ.).

თუ აგრიპინას შესახებ ძველები მართალს მოგვითხრობენ, გამოდის, რომ თითქმის არ დარჩენილა არანაირი მანკიერება, რომელიც ამ ქალის-

თვის უცხო ყოფილიყო. ჯერ კიდეე სრულიად ახალგაზრდა იგი საკუთარ ძმას — კალიგულას ჰყავდა საყვარლად. შემდგომ მას კალიგულასვე ნინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა. უკვე ზრდასრულ აგრიპინას თავისი ქმრის და იმავდროულად ბიძის — კლავდიუსის მოწამვლაში სდებენ ბრალს. და ბოლოს, უკვე სიცოცხლის მიმწუხრს აგრიპინა დაჟინებით მიისწრაფოდა თურმე საკუთარ ვაჟიშვილთან — ნერონთან სასიყვარულო ურთიერთობისკენ. ალბათ საინტერესოა ის, რომ ამ ცოდვებში აგრიპინას თითქმის ყველა ძველი ავტორი ადანაშაულებს. როგორც ჩანს, დასახელებული ქმედებანი აგრიპინას ხასიათსა და ზნეს, მათი აზრით, სავსებით შეესატყვისებოდა. აი, ერთ-ერთი მათგანის არგუმენტი იმის თაობაზე, თუ რატომ არ იყო გასაკვირი აგრიპინას ამგვარი გაუგონარი გარყვნილება. „რადგან აგრიპინას ძალაუფლების ხელში ჩაგდების იმედი აცდუნებდა, იგი ჯერ კიდეე ყმაწვილქალობაში ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ლეპიდუსის[2] საყვარელი გახდა, მოგვიანებით თავიც დაიმცირა და პალასთან[3] გაბა სასიყვარულო ურთიერთობა, ხოლო მას შემდეგ კი, რაც საკუთარი ბიძის ცოლიც გახლდათ, აგრიპინა მზად იყო, ნებისმიერი სისაძაგლე ჩაედინა და სრულიად არ ჰქონდა მნიშვნელობა მისთვის, თუ რა იქნებოდა ეს" (ტაციტუსი, „ანალები", XIV, 2). იგივე ტაციტუსი სხვაგან, როცა აგრიპინა უმცროსსა და დომიცია ლეპიდას[4] შესახებ გვიყვება, ამ ორი ცნობილი მატრონას შეფასებისას განსაკუთრებით უსვამს ხაზს მათ სამარცხვინო სახელს, საოცარ გარყვნილებასა და აღვირახსნილობას. „ისინი, — ამტკიცებს ისტორიკოსი, — ერთმანეთს უფრო მეტად ეჯიბრებოდნენ მანკიერებაში, ვიდრე იმ მცირერიცხოვან დადებით თვისებებში, რომელიც, შესაძლოა, მათ ბედმა არგუნა წილად" (ტაციტუსი, „ანალები", XII, 64).

მაგრამ აგრიპინას ერთადერთი მახასიათებელი მხოლოდ ავხორცობა არ ყოფილა. თავისი ოცნების აღსასრულებლად — ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მას სხვა, ამისთვის საჭირო თვისებები ჰქონდა. აგრიპინა იყო გამჭრიახი, სხარტი გონებით დაჯილდოებული ქალი. იყო ეშმაკიც, მშვენივრად შეეძლო, ემლიქვნელა და ეპირფერა. ყოველ შემთხვევაში, მას იმისი ჭკუა ყოფნიდა, რომ კლავდიუსის მესამე ცოლის — მესალინას მსგავსად ყველა თავისი ქმედება სააშკარაოზე არ გამოეტანა. „სახალხოდ ის მკაცრი იყო, უფრო მეტად კი ქედმაღლობას ავლენდა ხოლმე", — შენიშნავს ტაციტუსი (ტაციტუსი, „ანალები", XII, 7). ყოველივე ამას კიდეე ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ემატებოდა — აგრიპინა, როგორც გადმოგვცემენ, გამორჩეულად ლამაზი ქალი ყოფილა.

აგრიპინა უმცროსი რომის კოლონიაში Ara Ubiorum-ში (უბიების ქალაქში) — ახ.წ. 15 წელს დაიბადა. იმპერატორმა ტიბერიუსმა აგრიპინა მარკუს ანტონიუსის შვილიშვილზე — გნეუს დომიციუს აჰენორბარბუს-

ზე დააქორწინა. აპენობარბუსი სასტიკი, გარყვნილი და უპატიოსნო კაცი იყო „ადამიანთა შორის ყველაზე საზიზღარი თავისი ცხოვრების ნებისმიერ მონაკვეთში" (სვეტონიუსი, „ნერონი", 5). აგრიპინას და დომიციუსს ერთადერთი შვილი ჰყავდათ — ლუციუს დომიციუს აპენობარბუსი, რომელიც შემდგომ იმპერატორი გახდება და რომის ისტორიაში ნერონის სახელით შევა. ამბობენ, თითქოს შვილის გაჩენის გამო მოსალოცად მისული მეგობრებისთვის აპენობარბუსს განუცხადებია, რომ მისგან და აგრიპინასაგან სხვა არა შეიძლება იშვას, თუ არა არსება, რომელიც კაცობრიობას საშინელებას და დიდ განსაცდელს მოუტანსო (სვეტონიუსი, „ნერონი", 6, 1). უნდა ითქვას, რომ რომის სახელმწიფოსთვის სავალალოდ, აპენობარბუსი არ ცდებოდა. აგრიპინამ მართლაც რომ ურჩხული შვა. შვილის გაჩენიდან მალე, სამიოდე თვის შემდეგ აგრიპინა დაქვრივდა.

ახ.წ. 37 წელს რომის საიმპერატორო ტახტზე კალიგულა ავიდა. თითქოს ან უკვე გარდაცვლილი იმპერატორის — ტიბერიუსის მიერ შერისხული აგრიპინას ოჯახისთვის უკეთესი დღეები უნდა დამდგარიყო. მართლაც, თავისი მმართველობის დასაწყისში კალიგულა — კიდევ ერთი საზარელი იმპერატორი — შედარებით ზომიერად იქცეოდა, მეტიც, ცდილობდა, ხალხი თავისი პიროვნების მიმართ კეთილად განეწყო. საზოგადოების გულის მოსაგებად მან ძველი რომაული ადათების შესაბამისად გარდაცვლილ ნათესავთა ხსოვნას პატივი მიაგო, ცოცხლების მიმართ კი პატივისცემა გამოხატა. დების მიმართ პატივისცემის გამოვლინება იყო ის ფიცი, რომლითაც მოსახლეობა იმპერატორის სახელს იფიცებდა. ხალხს კალიგულასთან ერთად ამ ფიცში მისი დებიც უნდა მოეხსენიებინა. „დაე, ნუ მეყვარება მე საკუთარი თავი და შვილები უფრო მეტად, ვიდრე გაიუსი და დანი მისნი", ან „დაე, წარმატება ხვდეთ და ხარობდნენ გაიუსსა და მის დათ" (სვეტონიუსი, „კალიგულა", 15, 3).

პატივი, რომელსაც კალიგულა დებს მიაგებდა, თქმა არ უნდა, მხოლოდ გარეგნული იყო. სინამდვილეში კი, როგორც გადმოგვცემენ, კალიგულას ყველა მათგანთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. წვეულებებზე კალიგულას დები ჩვეულებისამებრ იმპერატორის ტახტრევანის ქვევით გაშლილ სარეცლებზე განისვენებდნენ.

არ გასულა დიდი ხანი კალიგულას გამეფებიდან, როცა მის წინააღმდეგ შეთქმულება გამოაშკარავდა. მას მარკუს ლეპიდუსი — კალიგულას ან უკვე ყოფილი სიძე მეთაურობდა. ამბობდნენ, თითქოს იმპერატორის წინააღმდეგ ჩათრეულნი იყვნენ კალიგულას დებიც — აგრიპინა და ლივილა, რომლებიც იმავდროულად ლეპიდუსის საყვარლებად იყვნენ ცნობილნი. რამდენად მართალია ეს მიეთ-მოეთი, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია ის, რომ უზომოდ ეჭვიანი კალიგულას დამოკიდებულება დებისადმი უმალ შეიცვალა. საქმე ორივე მათგანის მიმართ აღიძრა. აგრიპინასა და ლივილას

ორი ბრალდება წაუყენეს — ცხოვრების გარყვნილი ნირი და იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ ისინი დამნაშავედ სცნო და პონტიას კუნძულებზე გადასახლება მიუსაჯა. სვეტონიუსის გადმოცემით, იმისთვის, რომ დების ბრალეულობა დაემტკიცებინა, კალიგულამ მზაკვრობით და ცდუნებით აგრიპინასა და ლივილას მათივე ხელით დაწერილი წერილები გამოსტყუა და სააშკარაოზე, სახალხოდ გამოიტანა. გადასახლებაში აგრიპინა კალიგულას მკვლელობის შემდეგაც იმყოფებოდა, სანამ ახალმა იმპერატორმა და მისმა ბიძამ — კლავდიუსმა იგი უკან, რომში არ დააბრუნა.

ახ. წ. 48 წელს რომი წარმოუდგენელმა სკანდალმა მოიცვა. ჯერ არ გაგონილ გარყვნილებაში მხილებული კლავდიუსის მესამე ცოლი — მესალინა დასჯილ იქნა. ახლა აგრიპინას გზა გაეხსნა, თავისი ოცნება აღესრულებინა — ბოლოს და ბოლოს ძალაუფლება მოეპოვებინა. კლავდიუსი ამჯერად ხომ უცოლო იყო და აგრიპინამ მტკიცედ დაისახა მიზნად, რადაც არ უნდა დასჯდომოდა კლავდიუსის, ანუ საკუთარი ბიძის ცოლი და შესაბამისად რომის პირველი ქალბატონი გამხდარიყო. მესალინას გაუგონარი ღალატით თავლაფდასხმულმა კლავდიუსმა, მართალია, საჯაროდ განაცხადა, რომ მეტი ცოლს აღარასოდეს მოიყვანდა, მაგრამ რომში ყველამ კარგად იცოდა, რომ კლავდიუსი, რომელიც ცოლებზე დიდად იყო დამოკიდებული, ეულად ყოფნას ვერ აიტანდა. მორჩილება და სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნა იმპერატორის უმთავრესი ნაკლი გახლდათ. განსაკუთრებით თვინიერი კი კლავდიუსი თავისი ცოლების და ყოფილი მონების, აწ უკვე ფრიად გავლენიანი პირების — აზატების მიმართ იყო. ესენი იმპერატორს თავიანთ ჭკუაზე დაატარებდნენ, რაც თავისთავად სამწუხარო მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს სახელმწიფოსთვის იყო სახიფათო. მისი საქებარი თვისებების ჩამოთვლის შემდეგ, ამიტომაც შენიშნავს ასე დანანებით სვეტონიუსი: „ამ ადამიანებს იმდენად ჰყავდათ მოქცეული კლავდიუსი თავიანთი გავლენის ქვეშ, რომ ხშირად იგი მსახურს უფრო ნაადგავდა, ვიდრე იმპერატორსო" (სვეტონიუსი, „კლავდიუსი", 25).

კლავდიუსისთვის ცოლის ამორჩევა ფრიად საპასუხისმგებლო საქმე იყო. საპატარძლოს შერჩევაში ერთმანეთს სამი აზატი დაუპირისპირდა. თითოეულ მათგანს თავისი კანდიდატურა ჰყავდა. პალასს, საიმპერატორო კარის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირს, მიაჩნდა, რომ კლავდიუსისთვის ყველაზე შესაფერისი ცოლი აგრიპინა იქნებოდა, რადგან ამ ქორწინებით აგრიპინა იულიუსებისა და კლავდიუსების გვარებს ერთმანეთთან დააკავშირებდა და კლავდიუსების სახლში რომაელთა სათაყვანებელი გმირის — გერმანიკუსის შვილიშვილს შემოიყვანდა.[5] სრულიად დაუშვებელია, ამტკიცებდა პალასი, რომ ახალგაზრდა და ჯიშიანმა ქალმა კეისრების სახელი და დიდება სხვა საგვარეულოში წაიღოსო (ტაციტუსი,

„ანალები“, XII, 2). დანარჩენი კანდიდატები — კლავდიუსის ყოფილი ცოლი (რიგით მეორე) ელია პეტინა და კალიგულას ყოფილი ცოლი — ლოლია პაულინა იყვნენ. შეჯიბრში აგრიპინამ გაიმარჯვა. „ხშირად სტუმრობდა რა თავის ბიძასთან, ვითარცა ახლო ნათესავი, აგრიპინამ აცდუნა იგი და მას შემდეგ, რაც სხვებს აჯობა, იგი იმპერატორის ცოლის შესაფერისი ძალაუფლებით სარგებლობდა, თუმცაღა კლავდიუსზე დაქორწინებული ჯერ არც კი იყო“ (ტაციტუსი, „ანალები“, XII).

მაგრამ ქორწინებისთვის საიმპერატორო წყვილის — კლავდიუსისა და აგრიპინას სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ შეუღლებას რომაული ადათები ეწინააღმდეგებოდა — ბიძასა და ძმისშვილს შორის ქორწინება რომაელთათვის გაუგონარი რამ იყო, ეს სისხლის აღრევად ითვლებოდა. საქმე უკვე ჩიხში იყო შესული, როდესაც რომაელმა წარჩინებულმა, სახელად ვიტელიუსმა, ამისი მოგვარება თავის თავზე აიღო. თავდაპირველად მან დაითანხმა სენატორები, რომ პრინცეპსს სახელმწიფოსვე სასარგებლოდ ცოლი აუცილებლად უნდა მოეყვანა. შემდეგ დაიყოლია იმაზეც, რომ მომავალი იმპერატრისა აუცილებლად გამორჩეული ქალი უნდა ყოფილიყო, გამორჩეული გვარიშვილობით და ზნესრულობით. ასეთი ქალი, ვიტელიუსის მტკიცებით, მხოლოდ და მხოლოდ აგრიპინა თუ იქნებოდა. მაგრამ ახსენა თუ არა აგრიპინა, ორატორი მთავარ დაბრკოლებას მიადგა. დიახ, განაცხადა მან, ბიძასა და ძმისშვილს შორის ქორწინება მართლაც უცხო ხილი იყო რომაელებისთვის, თუმცაღა ისიც დაუმატა, რომ სხვებთან, ასე მაგალითად, ბერძნებში ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. მაგრამ ახლა ეს არ იყო მთავარი. ამჯერად აგრიპინასა და კლავდიუსის ქორწინება სახელმწიფოსთვის იყო საჭირო, ამ საჭიროების წინაშე კი ყველა დაბრკოლება უკან იხევდა, სწორედ ამიტომ, ისინი, პატივცემული სენატორები, სამშობლოს მამები, ამაზე უნდა დაყაბულებულიყვნენ. ჩვენ არ ვიცით, პყავდა თუ არა ვიტელიუსს სენატორები წინასწარ შემზადებული, ფაქტი ერთია, მისი სიტყვის შემდეგ გარეთ თანდათანობით იწყო შეგროვება ხალხმა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა იმპერატორისაგან, რომ იგი აგრიპინაზე დაქორწინებას დათანხმებოდა. შედეგი ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. კლავდიუსმა ხალხის სურვილი შეისმინა. თავის მხრივ, სენატმა შეიმუშავა დადგენილება და ბიძასა და ძმისწულს შორის ქორწინება კანონიერი გახადა. კლავდიუსმა და აგრიპინამ ქორწილი დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს. ტაციტუსი აღნიშნავს: „პრინცეპსის ეს ქორწინება სახელმწიფოსთვის გადამწყვეტ ცვლილებათა მიზეზი შეიქმნა: ყველაფრის მოთავე გახდა ქალი, რომელიც მესალინასაგან განსხვავებით, რომის იმპერიის საქმეებს ლაგამაშვებული თავნებობით სრულიადაც არ განაგებდა. აღვირი აგრიპინას მტკიცედ ჰქონდა დაჭიმული ისე, თითქოს იგი მამაკაცის ხელში ყოფილიყო“ (ტაციტუსი, „ანალები“, XII, 7).

და მართლაც, აგრიპინას მთელი შემდგომი მოღვაწეობა იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ქალმა მართოს სახელმწიფო ისე, რომ სახელად მას მხოლოდ იმპერატორის ცოლი ერქვას. აგრიპინა წყვეტდა, თუ ვინ უნდა დაენიშნათ, ან ვინ უნდა გაეთავისუფლებინათ ამა თუ იმ თანამდებობიდან. მისი მითითებების შესაბამისად აძევებდნენ ცენტურიონებს თუ ტრიბუნებს და ნიშნავდნენ ახლებს. სენატორები და ელჩები აგრიპინას აბარებდნენ ანგარიშს. მისი ძალაუფლება იმდენად დიდი იყო, რომ მან პრეტორიანელთა კოპორტის უფროსის დანიშვნაც კი შეძლო, თუმცა ეს თანამდებობა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი საკვანძო გახლდათ. და მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიას ფაქტობრივად ტახტის უკან მდგარი აგრიპინა მართავდა, როგორც ჩანს, ამგვარი ძალაუფლება მისი პატივმოყვარეობისთვის საკმარისი არ იყო. ეს ქალი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა იმის დასამტკიცებლად, რომ თავისი ქმრის ჭეშმარიტ თანამმართველს წარმოადგენდა. ამის დასტურად ტაციტუსის ერთი გადმოცემა გამოდგება. პრეტორიანელთა ბანაკის წინ კლავდიუსმა ტყვედ ჩავარდნილ ბრიტანელ კარატაკუსს და მის ოჯახს საჯაროდ სიცოცხლე აჩუქა. როდესაც მათ ბორკილები აჰყარეს, ტყვეები მადლიერების გამოსახატავად იმპერატორისკენ გაემართნენ. საგულისხმოა, რომ კლავდიუსის თანაბრად ქება-დიდება და სამადლობელო სიტყვები მათ აგრიპინასაც ალუვლინეს, როცა იმპერატრისა იქვე აღმართულ ტრიბუნაზე შენიშნეს. ქალის გამოჩენა რომაელთა სამხედრო წყობის წინ უცხო იყო, მაგრამ თავად აგრიპინა შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რათა ეჩვენებინა, რომ იგი სახელმწიფოს ქმართან ერთად მართავდა, იყოფდა რა მასთან წინაპართა მიერ მოპოვებულ ძალაუფლებას (ტაციტუსი, „ანალები", XII, 37).

ამასთან აგრიპინა ცდილობდა, მისი ძლიერება რომის მოკავშირეებსაც ეგრძნოთ. ამიტომ მან თავის მშობლიურ ქალაქში ვეტერანთა კოლონია შეიყვანა და თავისი სახელი Colonia Agrippina უწოდა (თანამედროვე კოლნი).

ჩაიგდო თუ არა ხელში რეალური ძალაუფლება, აგრიპინამ გადაწყვიტა, თავისი მეტოქე ქალები მოეშორებინა თავიდან. განსაკუთრებული სიმკაცრით იგი ლოლია პაულინას გაუსწორდა. ეს ქალი დაადანაშაულეს იმაში, რომ მან იმპერატორის მომავლის განჭვრეტა განიზრახა. ბუნებრივია, ეს იურიდიულ ბრალდებად ვერ გამოდგებოდა. მაშინ აგრიპინამ ხერხს მიმართა და პაულინას ბრალმდებლად თავად იმპერატორი გამოიყვანა. იმპერატორის სიტყვას განსაკუთრებული წონა ჰქონდა. კლავდიუსის ლოგიკა ასეთი იყო — პაულინა მისი, იმპერატორის მომავლის გაგებას ცდილობდა, მაგრამ იმპერატორის ბედ-იღბალი ხომ მჭიდროდ იყო სახელმწიფოს მომავალთან დაკავშირებული, ამდენად ბრალდებული თავისი ქმედებით თავად ქვეყანას უქმნიდა საფრთხეს. შესაბამისად, პაულინასთვის

მისი საქმიანობა უნდა აეკრძალათ და ბოროტმოქმედი იტალიიდან უნდა გაესახლებინათ. სენატი დაეთანხმა კლავდიუსს და ლოლია პაულინა გადაასახლეს. მაგრამ აგრიპინა არც ამას დასჯერდა. მან პაულინასთან ტრიბუნი გაგზავნა, რომელმაც აიძულა ქალი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. აგრიპინას შემდეგი მსხვერპლი წარჩინებული გვარიშვილობის მატრონა — კალპურნია უნდა ყოფილიყო. კალპურნიას დანაშაული ის იყო, რომ კლავდიუსმა მისი სილამაზე შეაქო. თუმცაღა იმან, რომ კლავდიუსმა ეს ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე და ისიც შემთხვევით საუბარში განაცხადა, შეაკავა აგრიპინა შურისძიების უკიდურესი ზომებისთვის მიემართა (ტაციტუსი, „ანალები", XII, 22).

მაგრამ ხანი გადიოდა. კლავდიუსი თანდათანობით ასაკში შედიოდა. ბუნებრივია დადგებოდა ის დროც, როდესაც იმპერიის ტახტზე სხვა ავიდოდა. ვინ იქნებოდა იგი? — ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევდა აგრიპინას.

კლავდიუსს საკუთარი შვილები ჰყავდა — ბრიტანიკუსი და ოქტავია, რომელიც მას მესალინამ გაუჩინა. აგრიპინასაც ჰყავდა თავისი შვილი — ნერონი, და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სწორედ ის უნდა გაეხადა იმპერატორად. ეს რომ ადვილი არ იქნებოდა, აგრიპინამ თავიდანვე იცოდა. ამიტომაც იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანმიმართულად მოქმედებდა.

კლავდიუსთან ნერონის უფრო ახლო დანათესავების საუკეთესო გზა დასაწყისისთვის მისი ჩასიძება იყო. და, მართლაც აგრიპინა ყველა საშუალებას იყენებს, რომ ნერონი ოქტავიაზე დააქორწინოს. მერე რა, რომ ოქტავია უკვე დანიშნული იყო ლუციუს სილანუსზე. განა ამ ნიშნობის ჩაშლა არ შეიძლებოდა? და, აი სილანუსს თავის დასთან — იულია კალვინასთან ინცესტში ადანაშაულებენ, სილანუსი თავს იკლავს. ოქტავიას ნერონზე ნიშნავენ.

და მაინც, აგრიპინასთვის ნერონის მომავალი არც ამის შემდეგ იყო საიმედო. აუცილებელი იყო, ნერონსა და კლავდიუსს შორის კავშირი კიდევ უფრო მტკიცე გამხდარიყო. როგორმე უნდა დაარწმუნონ კლავდიუსი, რომ მან ნერონი შვილად აღიაროს. უნდა დაჯერონ, რომ ეს სახელმწიფოსთვისაა აუცილებელი. ამას აგრიპინა თავის უერთგულეს ქვეშევრდომს — პალასს ავალებს, რომელიც ამასთან კლავდიუსის დიდი ნდობით სარგებლობდა. პალასი ითანხმებს იმპერატორს და აი, აგრიპინას ვაჟი ლუციუს დომიციუსი კლავდიუსების გვარში გადადის და ამიერიდან ტიბერიუს კლავდიუს დომიციანუს დრუზუსად იწოდება. სახელს — ნერონს იგი მომავლში მიიღებს, მაშინ, როცა რომის იმპერატორი გახდება.

აგრიპინა უმცროსი

აგრიპინა არც ამან დაამშვიდა. ერთხელ მთვრალ კლავდიუსს ასეთი რამ წამოსცდა: „ასეთია ჩემი ბედი, მოვითმინო ცოლების ღალატი, შემდეგ კი დავსაჯო ისინიო." როგორც ამბობენ, ქმრის სიტყვებმა აგრიპინა

ძლიერ შეაშფოთა. მესალინას დასჯა მას კარგად ახსოვდა. დადგა დრო, რომ ემოქმედა, და ამასთან ემოქმედა სწრაფად.

თავდაპირველად მან თავისი ყოფილი მული დომიცია ლეპიდა მოიცილა თავიდან, რომელიც, როგორც მამიდა, ცდილობდა ნერონზე ერთპიროვნული გავლენა ჰქონოდა და შესაბამისად აგრიპინას შვილზე ზეგავლენაში ეცილებოდა. შემდეგ კი როდესაც ნარცისიც გაისტუმრა რომიდან, ადამიანი, რომელიც ბრიტანიკუსის ყველაზე საიმედო საყრდენი და ამასთან მისი — აგრიპინას დაუძინებელი მტერი გახლდათ, აგრიპინამ განზრახულის სისრულეში მოყვანა გადაწყვიტა. მის ხელთ იყო ყველაფერი, რაც კლავდიუსის მოსაკვდინებლად იყო საჭირო — მას ჰყავდა ერთგული მსახურები, რომლებიც ამ საქმის აღსრულებაში დაეხმარებოდნენ, ჰყავდა მჩხიბავიც, რომელიც გაწაფული იყო მოწამვლაში.

ერთხელაც, სადილობის ჟამს საჭურისმა გალოტუსმა, რომელიც იმპერატორისთვის განკუთვნილ საჭმელს სინჯავდა, კლავდიუსს სოკოს შეჭამანდი მიაწოდა.[6] შეჭამანდი მოწამლული იყო. საწამლავმა უცბად არ იმოქმედა, იმპერატორი ცუდად კი შეიქმნა, მაგრამ არ იქნა და არ კვდებოდა. შეთქმულები შეშფოთდნენ, ვაი თუ სასიკვდილო აგონია ზედმეტად გაგრძელებულიყო და მათი ბოროტმოქმედება გამჟღავნებულიყო. მაშინ საქმეში ექიმი ქსენოფონი ჩაერია და ვითომცდა ღებინების გამოსაწვევად, მან სულთმობრძავ იმპერატორს ყელში მოწამლული ფრთა ჩაჩხირა. კლავდიუსმაც სული უმალ განუტევა (ტაციტუსი, „ანალები", XII, 66-67). ამის შემდეგ ერთიღა დარჩა გასაკეთებელი, ნერონი იმპერატორად უნდა გამოეცხადებინათ. როცა იგი სასახლის მცველთა კოჰორტის წინაშე გამოიყვანეს, ჯარისკაცებმა ნერონი საზეიმო შეძახილებით ხელში აიტაცეს და პრეტორიანელთა ბანაკში მიიყვანეს. უკვე ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული და ჯარმაც ნერონი იმპერატორად გამოაცხადა. კლავდიუსი კი დიდი პომპეზურობით დაასაფლავეს და ღმერთების შესაფერი პატივი მიაგეს.

აგრიპინამ თავის მიზანს მიაღწია. ახლა იგი მტრების ჩამოცილებას დაიწყებს. მან სიკვდილით დასაჯა იუნიუს სილანუსი — იმ სილანუსის ძმა, რომელიც ოქტავიაზე იყო დანიშნული, რამეთუ ეშინოდა, რომ იუნიუსს, რომლის ძარღვებშიც ავგუსტუსის სისხლი სჩქეფდა, იმპერატორობაზე არ განეცხადებინა პრეტენზია. შემდეგი მსხვერპლი ნარცისი გახლდათ, აგრიპინას დაუძინებელი მტერი. და ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ აგრიპინას მისივე პროტეჟეები — ბურუსი და სენეკა არ აღდგომოდნენ წინ.[7]

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, აგრიპინას მთავარი პრობლემა შვილთან ურთიერთობა იყო. თუმცაღა მმართველობის დასაწყისში ნერონი ცდილობდა, ძალაუფლება დედასთან გაეყო, მას უნდოდა, რომ ხალხს ის და

აგრიპინა თანამმართველებად დაენახა. ნერონმა აგრიპინას თავისი საზოგადოებრივი და პირადი საქმეები მიანდო (სვეტონიუსი, „ნერონი", 9). მაგრამ დედა-შვილის იდილიური ურთიერთობა მალე დაირღვა. ნერონს მობეზრდა დედის მკაცრი კონტროლის ქვეშ ყოფნა. პირველად დედას იგი მაშინ გაუძალიანდა, როცა აგრიპინამ მოისურვა, ნერონი აქტეას (გააზატებულ ქალს) დაშორებოდა. აგრიპინა მალე მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და შვილთან ურთიერთობის ნირი შეცვალა. მაგრამ ნერონი კლავდიუსი არ იყო და მისი მოტყუება ადვილი არ გახლდათ, გარდა ამისა, მეგობრები ნერონს აფრთხილებდნენ, რომ ეს მზაკვარი და სასტიკი ქალი მას მახეს უგებდა. და მართლაც, აგრიპინამ მალე გამოაჩინა თავისი კლანჭები. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ნერონმა პალასი — აგრიპინას უერთგულესი ქვეშევრდომი რომიდან გააძევა.

აი, ახლა კი განუცხადა აგრიპინამ შვილს, რომ მან — ნერონმა მხოლოდ მისი წყალობით მოიპოვა მმართველობა. ამასთან ახსენებდა იმასაც, რომ ბრიტანიკუსი — კლავდიუსის ღვიძლი შვილი, უკვე გაიზარდა და ცხადია, სწორედ მას ეკუთვნოდა ის ძალაუფლება, რომლითაც ამჟამად მამამისის ნაშვილები, უცხო გვარის ნაშიერი სარგებლობდა. ამგვარ გაფრთხილებას მუქარაც ემატებოდა — აგრიპინა მზად არის, რომ ხალხმა მათი ოჯახის უბედურება გაიგოს, პირველ რიგში კი ის, როგორ მონამლა მან, აგრიპინამ თავისი ქმარი. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ნერონს ძალზე აშფოთებდა. ამასთან ახლოვდებოდა ის დღეც, როცა ბრიტანიკუსი თოთხმეტი წლისა გახდებოდა. ამიტომაც, რათა მომავალში გართულება თავიდან აეცილებინა, ნერონმა განიზრახა ორივე საფრთხე ახლავე მოეცილებინა თავიდან — სიცოცხლეს გამოესალმებინა ბრიტანიკუსიც და საკუთარი დედაც. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე ბრიტანიკუსი მონამლეს. იქ იმყოფებოდა აგრიპინაც — „აგრიპინას ნაკვთებში ისეთი შიში და ელდა გამოკრთა, რომ ყველასთვის ნათელი გახდა, მისთვის, ისევე როგორც ბრიტანიკუსის დის — ოქტავიასთვის, მომხდარი სრული მოულოდნელობა იყო. აგრიპინას ხომ გარკვეეით ესმოდა, რომ ფეხქვეშ უკანასკნელი საყრდენი ეცლებოდა და რომ ეს მკვლელობა მისი მომავალი ხვედრის პირველსახე იყო" (ტაციტუსი, „ანალები", XII, 16).

აგრიპინა უმცროსი

მალე აგრიპინა სასახლიდან გამოასახლეს. დედა-შვილს შორის ახალ დაძაბულობაში თავისი როლი ნერონის ახალმა საყვარელმა — პოპეა საბინამ ითამაშა, რომელიც ცდილობდა იმპერატორის კანონიერი ცოლი გამხდარიყო. იგი მშვენივრად ხვდებოდა, რომ აგრიპინა ყველანაირ ღონეს იხმარდა, რათა მათი დაქორწინებისთვის ხელი შეეშალა. ამიტომაც პოპეა ნერონს გამუდმებით აქეზებდა დედის წინააღმდეგ, დაცინვით ეუბნებოდა, რომ მას — იმპერატორს არც ძალაუფლება ჰქონდა და არც თავის ნებაზე მოქმედება შეეძლო. თითოეულ მის საქციელს აგრიპინა ნარმარ-

თავდა, რომლის ხელშიაც იყო რეალური ძალაუფლება. არც არავინ აცხადებდა პროტესტს ამგვარი სიტყვების მიმართ, რამეთუ ტაციტუსის თქმით, „ყველას სურდა, აგრიპინას ძალაუფლება შერყეულიყო, მაგრამ ამასთან არავის ეგონა, რომ სიძულვილი შვილს დედის მკვლელობამდე მიიყვანდაო" (ტაციტუსი, ანალები, XII, 1).

ძალაუფლების შესანარჩუნებლად აგრიპინამ კიდევ ერთი ახალი ხერხი მოსინჯა — იგი შეეცადა შვილი ეცდუნებინა. ზოგიერთის ვერსიით, ინცესტისკენ თავად ნერონი მიისწრაფოდა. მაგრამ წყაროთა უმეტესობა წერს, რომ ნერონი ხაზგასმით არიდებდა თავს დედასთან მარტო დარჩენილიყო. მან ახლა უკვე დაბეჯითებით გადაწყვიტა, დედა თავიდან სამუდამოდ მოეცილებინა. ერთი პირობა განიზრახეს, ამისთვის საწამლავი ეცადათ. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს, რადგან საწამლავი უეცარ სიკვდილს გამოიწვევდა, ამას კი შემთხვევითობას ვერ მიაწერდნენ.

შემდეგ იარაღით მოკვდინების შესახებაც ითათბირეს. თუმცა არც ეს ვარიანტი გამოადგებოდათ, რადგან ვერც ამ შემთხვევაში დამალავდნენ, რომ აგრიპინას სიკვდილი ძალადობრივი ხასიათისა იყო.

ბოლოს ფლოტის უფროსმა ნერონს თავისი გეგმა შესთავაზა. ნერონი სწორედ მის ვერსიაზე შეჩერდა, რამეთუ იგი ყველაზე ნაკლებად ჩამოჰგავდა განზრახ მოწყობილ მკვლელობას.

გეგმა თითქოს მარტივი იყო — ხელოვნურად უნდა ჩაეძირათ ის ხომალდი, სადაც აგრიპინა ღამის გათევას აპირებდა.

და აი, ნერონი იწვევს დედას ბაიეში, თბილად იღებს მას, იკრავს გულში და საღამო ჟამს თავად მიაცილებს გემთან. იგი იმედოვნებს, რომ ღამით ყველაფერი დამთავრდება.

მაგრამ მარტივი გეგმა რთული განსახორციელებელი აღმოჩნდა. დიდი არეულ-დარეულობის შემდეგ გემი, როგორც იქნა დააზიანეს. ჩამოიშალა აგრიპინას კაიუტის ჭერიც, მაგრამ იმპერატრისა და მისი მსახური ქალი საწოლის მაღალმა კედლებმა გადაარჩინა. მაშინ მენიჩბეებს უბრძანეს, რომ ხომალდი ერთ მხარეს გადაეხარათ და ამგვარად ჩაეძირათ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შემსრულებლები შეთანხმებულად არ მოქმედებდნენ, რის გამოც ქალები ზღვაში უეცარი ბიძგით კი არ გადაცვივდნენ, არამედ წყალში ნელა ჩასრიალდნენ.

მსახური ქალი ვერ მიხვდა, რომ ყოველივე ეს განზრახ იყო მოწყობილი. იგი ხმამაღლა ყვიროდა — აგრიპინა ვარო, რადგან ფიქრობდა, რომ მას პირველ ყოვლისა გადაარჩენდნენ. უგუნურს თავში ნიჩბები ჩასცხეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. აგრიპინა კი ჩუმად იყო და ამიტომაც ვერ ამოიცნეს. იგი ჯერ ცურვით გავიდა, ხოლო შემდეგ მეთევზეთა შემხვედრ ნავზე ავიდა და ნაპირს მშვიდობით მიაღწია.

შეთქმულებმა ვერც გეგმის მეორე ნაწილი გათვალეს სწორად — ისი-

ნი იმედოვნებდნენ, რომ ხომალდის ჩაძირვას ყველა ბუნებრივ მოვლენად აღიქვამდა. მაგრამ მათ იმდენად უნიჭოდ შეასრულეს დავალება, რომ მომხდარი აგრიპინასთვის ერთობ ადვილი მისახვედრი აღმოჩნდა. იგი კარგად იცნობდა საკუთარ პირმშოს და მაშინვე გაიცნობიერა, რომ კატასტროფა განგებ, მის მოსაკვდინებლად იყო დაგეგმილი. თუმცა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთი რჩებოდა, აგრიპინას როგორმე უნდა დაერწმუნებინა ნერონი, თითქოს ის — აგრიპინა ვერაფერს მიხვდა. მისი რეაქციებიც, რაც შეიძლება, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. ამიტომ დედამ შიკრიკი აფრინა შვილთან, რათა მას იმპერატორისთვის დედის გადარჩენა ეხარებინა.

აგრიპინას მსახურმა ამცნო ნერონს, რომ დედამისი ცოცხალი და უვნებელი იყო. ნერონი მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ მოელოდა და სასტიკად დაიბნა. დაბნეულმა იმპერატორმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა იმის გარდა, რომ ბრძანა, აგრიპინას მსახურისთვის წინ მალულად დაეგდოთ ხანჯალი, თითქოსდა ეს ხანჯალი ამ კაცმა აგრიპინას ბრძანებით მისი — ნერონის მოსაკლავად აღმართა, მაგრამ იმპერატრისას დავალება ვერ აღასრულა და მახვილი ხელიდან გააგდებინეს. შემდეგ კი ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც შეთქმულების გახსნას მოჰყვება ხოლმე. აგრიპინას შიკრიკი დაიჭირეს და შებორკეს. ახლა სიცოცხლეს უნდა გამოესალმებინათ აგრიპინა — მისი სიკვდილი კი თვითმკვლელობად წარმოედგინათ. მიზეზიც გასაგები იქნებოდა — იმპერატრისამ შვილის მკვლელობა განიზრახა, მაგრამ, როცა წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დანაშაულში ამხილეს, აგრიპინამ თავადვე მოისწრაფა სიცოცხლეო (სვეტონიუსი, „ნერონი", 34, 3).

აგრიპინას სიცოცხლის უკანასკნელ წამებს ტაციტუსი ასე გადმოგვცემს: „ოთახი ოდნავ იყო განათებული — აგრიპინას, რომელთანაც ერთი მოახლე იმყოფებოდა, მღელვარება თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობდა: არ ჩანს შვილის გამოგზავნილი, არც აგერინუსი — მისი შიკრიკი ბრუნდება უკან. მშვიდობა რომ ყოფილიყო, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა; ახლა კი სამარისებური სიჩუმეა. უეცარი ხმაური ყველაზე უარესს მოასწავებს. და აი, როდესაც მონა ქალიც კი გაემართა გასასვლელისკენ, აგრიპინა ჩაილაპარაკებს: „შენც მტოვებ", შემდეგ ირგვლივ მიმოიხედავს და დაინახავს რა ანიკეტუსს, რომელსაც ტრიერარქოსი ჰერკულეუსი და ფლოტის ცენტურიონი ობარიტუსი ახლდნენ თან, ეუბნება ამ უკანასკნელს: თუ იგი — აგრიპინას მოსანახულებლად მოვიდა, მაშინ დაე, გადასცეს ნერონს, რომ დედამისი უკეთ გრძნობს თავს. ხოლო თუ იგი იმიტომაა მოსული, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინოს, მაშინ იცოდეს, რომ მას — აგრიპინას არ სჯერა, რომ ასეთია მისი შვილის ნება: ნერონს მისი მოკვდინება არ უბრძანებია. ამასობაში მკვლელები გარს

აგრიპინას სარეცელს ეხვევიან. პირველმა მას თაეში ჯოხი ტრიერარქოსმა ჩაარტყა, ხოლო როდესაც ცენტურიონმა მის მოსაკლავად მახვილის ამოძრობა იწყო, აგრიპინამ მიუშვირა მას მუცელი და შესძახა: „საშოში ჩამცხე!" ამ უკანასკნელმაც მახვილი მრავალგზის ჩასცა და სიცოცხლეს გამოასალმა აგრიპინა" (ტაციტუსი, „ანალები", XIV, 8).

ასეთი ტრაგიკული იყო აგრიპინას აღსასრული. არანაკლებ საზარელი იყო ის, რაც ნერონმა დედის მოკვლის შემდეგ მოიმოქმედა. მან სენატს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი სენატორებს აგრიპინას მკვლელობის შესახებ თავის შეთხზულ ვერსიას ამცნობდა. იგი სწერდა მათ, როგორ ეცადა ბოროტმოქმედი აგრიპინა მოეკლა ნერონი, ხოლო როდესაც ვერ განახორციელა ჩანაფიქრი, როგორ დაასრულა მან თვითმკვლელობით სიცოცხლე. ნერონი ბრალდებას არ დასჯერდა და ამას წარსულში დედამისის მიერ ჩადენილ ცოდვათა ჩამონათვალიც დაურთო. კლავდიუსის იმპერატორობის ჟამს მომხდარ ყველა სისაძაგლეში ნერონმა აგრიპინა დაადანაშაულა. ამით იგი ერთი რამის დამტკიცებას ცდილობდა — კერძოდ კი იმისა, რომ დედამისის სიკვდილი რომსა და მის ხალხს კეთილდღეობას მოუტანდა.

ნერონის განაცხადს სენატმა მხარი დაუჭირა. სენატმა ორი დადგენილება გამოიტანა. პირველის მიხედვით, ის დღეები, როდესაც აგრიპინას შეთქმულება იქნა გახსნილი, რომაელ ხალხს სახალხო თამაშობებით უნდა აღენიშნა და ამით ღმერთებისათვის გადარჩენის გამო მადლიერება უნდა აღევლინათ. მეორე დადგენილების თანახმად კი, აგრიპინას დაბადების დღე რომის სახელმწიფოსთვის უბედურ დღეთა რიცხვში უნდა შეეტანათ.



შენიშვნები:

[1] უკვე აღვნიშნეთ, რომ ტრადიციის შესაბამისად ამ პერიოდის რომის უმაღლეს ხელისუფალს ჩვენ იმპერატორს ვუწოდებთ, თუმცა მათი ოფიციალური ტიტული არის პრინცეპსი. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მაინც ვიყენებთ ტერმინ — პრინცეპსს. ეს ამონარიდი სწორედ ის შემთხვევა გახლავთ, როდესაც დასახელებული ტიტულები თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობებით არის ნახმარი და ამდენად სხვადასხვა თანამდებობას აღნიშნავს.

[2] მარკუს ემილიუს ლეპიდუსი — ამ სახელწოდებით რამდენიმე ისტორიული პიროვნებაა ცნობილი. ჩვენ შემთხვევაში მარკუს ემილიუს ლეპიდუსი იყო კალიგულას უსაყვარლესი დის — დრუზილას ქმარი. დრუზილას სიკვდილის შემდეგ მარკუს ლეპიდუსი სათავეში ჩაუდგა კალიგულას წინააღმდეგ ჩაფიქრებულ შეთქმულებას.

[3] კლავდიუსის დედის — ანტონიას მიერ გააზატებული პირი, რომელმაც შემდგომში სასახლის კარზე დიდი გავლენა მოიპოვა, იყო კლავდიუსის მრჩეველი. პალასი დიდი გავლენით სარგებლობდა აგრიპინა უმცროსის დროსაც. ნერონის ბრძანებით იგი მოკლულ იქნა.

[4] დომიცია ლეპიდა — ანტონია უფროსის ქალიშვილი, აგრიპინა უმცროსის პირველი ქმრის — გნეუს დომიციუს აპენობარბუსის და, ნერონის მამიდა.

[5] ანუ თავის ვაჟიშვილს ლუციუს დომიციუს აპენობარბუსს — ნერონს.

[6] როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, ნერონმა ყველაფერი იცოდა და ამას არც მალავდა. თეთრ სოკოს ის ამის შემდეგ ბერძნული ანდაზის მიხედვით „ღმერთების საჭმელს“ უწოდებდა, რადგანაც სწორედ თეთრი სოკოს შეჭამანდი იყო გაზაევებული საწამლავით (სვეტონიუსი, „ნერონი“, 33, 1). ამბობენ, რომ სოკო კლავდიუსის ყველაზე საყვარელი კერძი ყოფილა.

[7] ბურუსი — პრეტორიანელთა კოჰორტის უფროსი; ლუციუს ანეუს სენეკა — ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. ისინი ნერონის აღმზრდელებად აგრიპინამ დანიშნა.



პლოტინა

პლოტინა პომპეა იმპერატორ ტრაიანეს ცოლი იყო, იმ იმპერატორისა, რომელსაც შთამომავლობამ რომის „საუკეთესო იმპერატორი" უწოდა.[1] ყოველგვარი ღირსებით შემკულ იმპერატორს, ყოველ შემთხვევაში, ასეთად მიაჩნდათ იგი ძველებს, ცოლიც ერთობ ღირსეული ჰყავდა. პლოტინა იყო განსახიერება იმ ქალური უბიწოებისა, რომლითაც, რომაელთა იდეალის მიხედვით, ყველა უმაღლესი სახელმწიფო პირის — მით უმეტეს, იმპერატორის ოჯახი უნდა ყოფილიყო შემკული. საყურადღებოა, რომ სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი პლინიუს უმცროსი ტრაიანესადმი მიძღვნილ თავის პანეგირიკში პლოტინას უპირველესად იმიტომ აქებს, რომ იგი იმპერატორ ტრაიანეს ღირსეული თანამეცხედრე იყო. ისტორიკოსი ახმოვანებს რომაულ საზოგადოებაში გამეფებულ წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რაოდენ თვალნათლივ წარმოაჩენს მამაკაცის ღირსებას მის მიერ არჩეული მეუღლე. ამიტომაც, მრავალი პატივდებული კაცისთვის სამუდამოდ სამარცხვინო ლაქად დარჩება ის, რომ მან ნაჩქარევად და დაუფიქრებლად, ერთობ თავქარიანად ამოირჩია მეუღლე, ანდა თუნდაც ის, რომ იგი ზედმეტად რბილი და შემწყნარებელი იყო ცოლის მიმართ. და მართლაც, მრავალი სახელოვანი ადამიანი ღირსეული მოქალაქე მხოლოდ იმიტომ ვერ გახდა, რომ ისინი ოჯახში ძალზე სუსტები აღმოჩდნენ, მათ ვერ გამოავლინეს ის თვისებები, რაც ქმარს, ოჯახის მმართველს, რომაული იდეალების თანახმად, აუცილებლად უნდა ჰქონოდა. აქედან გამომდინარე, ალბათ, გასაკვირიც აღარ იქნება რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტრაიანეს თანამედროვეები იმას, რომ იმპერატორს ღირსეული

და კეთილშობილი თანამეცხედრე ჰყავდა. ეს ხომ ტრაიანეს სიქველეთ კიდევ უფრო აღმატებულს ხდიდა.

„შენი მეუღლე, კეისარო, შენ დიდებას კარგად მიესადაგება. იგი შენი სამკაულია. შესაძლებელია კი, რომ ადამიანთაგან ვინმე პლოტინას სინმინდით და უბინოებით აღემატებოდეს? ანდა მასზე უფრო მეტად იყოს მარადისობის ღირსი? შენი ცოლი, ტრაიანეკ, მთელი შენი ბედისა და დიდებისგან ხომ თავის წილ მხოლოდ პირად ბედნიერებას მიითვლის! მას ხომ საოცარი სიმტკიცით უყვარხარ და პატივს მოგაგებს შენ და შენთან ერთად შენს სიძლიერესაც!... ...რაოდენ მომჭირნეა, ტრაიანეკ, შენი ცოლი პირად ცხოვრებაში, რაოდენ მოკრძალებულია იგი მხლებლებთან, რაოდენ უბრალოა იგი ურთიერთობაში!... განა პლოტინა მოკრძალებული და ჩუმი იმიტომ არ არის, რომ ხედავს, ტრაიანეკ, კარგად ხედავს, რომ შენ გარშემო არც შიში არის დასადგურებული და არც პატივმოყვარეობაა გამეფებული. განა პლოტინა არ ცდილობს მიბაძოს ფეხით მოსიარულე თავის ქმარს,[2] რამდენადაც ქალური ძალა მას ამის საშუალებას აძლევს? ...ქმრის ამგვარი მოკრძალებულობის დროს, ცოლი მას იმ ზომით მიაგებს პატივს, რა ზომითაც ეს ქალი საკუთარ თავსაც სცემს პატივს" (პლინიუს უმცროსი, „პანეგირიკი ტრაიანესადმი", 83).

პლოტინას ბიოგრაფიიდან ჩვენთვის არც თუ ბევრი რამაა ცნობილი. ვიცით, რომ იგი ქ. ნემაუსუსში (დღ. ნიმი) ცხოვრობდა, იყო შეძლებული ოჯახიდან და ცოლად გაჰყვა ტრაიანეს, ვიდრე ეს უკანასკნელი იმპერატორი გახდებოდა. ტრაიანეს და პლოტინას შვილი არ ჰყოლიათ. ერთგული პლოტინა ხშირად დაჰყვებოდა ტრაიანეს ლაშქრობებში, იყო მის გვერდით პართელებთან და აღმოსავლეთში წარმოებული სამხედრო კამპანიების დროს. პლოტინას ტრაიანეს დასთან — მარკიანასთან გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ჰქონდა. რძალსა და მულს შორის ამგვარი თბილი და თანხმობით აღსავსე ურთიერთობა კი რომაელ იმპერატორთა კარზე ფრიად იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა.

ჭკვიანი და წინდახედული პლოტინა სახელმწიფოს საქმეებშიც ერეოდა, ამასთან ძველების შეფასებით, მისი ყველა ნაბიჯი, როგორც წესი, სწორი და ბრძნული იყო და ქმრის სახელის განმტკიცებას ემსახურებოდა. პლოტინას ერთ-ერთი გონივრული საქციელის შესახებ ავრელიუს ვიქტორი მოგვითხრობს. პლოტინა ტრაიანეს პროკურატორების (ფინანსური მოხელეების) წინააღმდეგ გამოვიდა, როდესაც ამ უკანასკნელებმა მოქალაქეთა შევიწროება და მათი ქონების უკანონო კონფისკაცია დაიწყეს. პლოტინა არ მოერიდა ქმრის გაკიცხვას, რომელიც არ კრძალავდა მოხე-

ლეთა თავგასულ საქმიანობას და აუხსნა ტრაიანეს, რაოდენ დიდ ზიანს აყენებდა იმპერატორის კეთილ სახელს მისი ხელქვეითების უზნეობა. ისტორიკოსის გადმოცემით, „პლოტინას იმგვარი ზემოქმედება მოუხდენია ქმარზე, რომ შემდგომში ტრაიანეს ქონების უკანონო ამოღება საერთოდ აუკრძალავს. თავად სახელმწიფო ხაზინისთვის კი იმპერატორს „ლიანა" შეურქმევია, — იმ მცენარის სახელი, რომლის აყვავებაც ყველა დანარჩენი მცენარის გახმობას იწვევს ხოლმე" (ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XLIII). ეს ამბავი ალბათ ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდი სარგებელი შეეძლო მოეტანა საზოგადო საქმისთვის ჭკვიანი და ღირსეული ქალის დროულ ჩარევას. როგორც ჩანს, ამგვარი საქციელის საწინააღმდეგო არც რომაელებს ჰქონდათ, პირიქით, ისინი სათანადო შეფასებას აძლევდნენ ქალის სწორ და ბრძნულ გადაწყვეტილებებს.

სამეფო კარზე პლოტინას დიდ გავლენას ჰადრიანეს ნარმატებაც მოწმობს. სწორედ მისი მეცადინეობით დანიშნეს ჰადრიანე ლეგატად პართელებთან ომის დროს (აცა, „ჰადრიანე", IV, 1). პლოტინას ხელი ერია იმაშიც, რომ იგი კონსულად მეორედ აირჩიეს. ტრაიანეს ცოლმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჰადრიანეს დაქორწინებაშიც. მას უნდოდა, რომ მისი რჩეული ჰადრიანე, რომელიც ტრაიანეს შორეული ნათესავი იყო, იმპერატორს უფრო ახლოს დანათესავებოდა. ამ მიზნით პლოტინამ ჰადრიანეს იმპერატორის დის შვილიშვილი — ვიბია საბინა შერთო. შემდეგ, ფაქტობრივად, ჰადრიანე იმპერატორად პლოტინამ გამოაცხადებინა. ისტორიკოსთა გადმოცემით, არავინ იცოდა, თუ ვინ იქნებოდა რომის მომავალი იმპერატორი, ტრაიანეს ხომ შვილი არ ჰყავდა. ერთნი ამბობდნენ, თითქოს ტრაიანე აპირებდა სენატისთვის იმპერატორობის კანდიდატთა სია გადაეცა, რათა შემდგომ რომის სენატს იმპერატორი ამ სიიდან თავად აერჩია.

პლოტინა

მაგრამ აი, გარდაიცვალა ტრაიანე და მის შვილობილად ჰადრიანე დაასახელეს. რომში ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა. იმასაც ჰყვებოდნენ, თითქოს ტრაიანეს მემკვიდრედ არავინ დაუსახელებიაო. სხვების თქმით, გარდაიცვალა თუ არა ტრაიანე, პლოტინამ საქმე შემდეგნაირად მოაწყო: მან ვიღაცას უბრძანა მისი მეუღლის როლი შეესრულებინა — ანუ ამ უკანასკნელს დაევალა მიკნავებული ხმით, ვითარცა მომაკვდავ ტრაიანეს, რომის იმპერატორად ჰადრიანე გამოეცხადებინა (აცა, „ჰადრიანე", IV, 10).

იმპერატორი ტრაიანე 117 წელს კილიკიაში — მცირე აზიაში გარდაიცვალა. რომში მისი ნეშთი პლოტინამ და ტრაიანეს დისშვილმა — მატიდეამ ჩამოასვენეს.

ჯერ კიდევ ქმრის გარდაცვალებამდე, 100 წელს, სენატმა პლოტინას „ავგუსტას" ტიტული შესთავაზა. თავდაპირველად პლოტინამ უარი თქვა ამ წოდებაზე, მაგრამ შემდეგ მიიღო იგი. პლოტინას წყალობით გამეფებული ჰადრიანე მას დიდ პატივს მიაგებდა. როდესაც 129 წელს პლოტინა გარდაიცვალა, ჰადრიანემ იგი გააღმერთა და მის სახელზე ორი ტაძარი ააგო, აქედან — ერთი რომში, ტრაიანეს ფორუმზე, მეორე კი — პლოტინას მშობლიურ ქალაქ ნემაუსუსში.

„საუკეთესო იმპერატორის" მეუღლე პლოტინა შთამომავლობამ საუკეთესო ცოლის შარავანდედით შემოსა.



შენიშვნები:

[1] იმპერატორ ტრაიანეს მმართველობის წლები — 98-117. 96 წელს მოკლეს რომის იმპერატორი დომიციანუსი. მისი სიკვდილის შემდეგ რომის სენატმა იმპერატორად წარჩინებული სენატორი — 66 წლის ნერვა დაასახელა. ამით ფაქტობრივად რომის იმპერიაში ახალი დინასტიის მმართველობის ეპოქა იწყება. ამ დინასტიას ხშირად „ანტონინუსების დინასტიას" უწოდებენ და მის წარმომადგენლებად ასახელებენ ნერვას (96-98), ტრაიანეს (98-117), ჰადრიანეს (117-138), ანტონინუს პიუსს (138-161), მარკუს ავრელიუსს (161-180) და კომოდუსს (180-192). უნდა ითქვას, რომ ტერმინი „ანტონინუსთა დინასტია" პირობითი ტერმინია, რადგან სახელი ანტონინუსი, ფაქტობრივად, ამ დინასტიის მეოთხე იმპერატორს ერქვა (ამიტომაცაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგან ტერმინ „ანტონინუსთა დინასტიის" ქვეშ მხოლოდ ანტონინუს პიუსს, მარკუს ავრელიუსს და კომოდუსს შეხვედებით). ამ დინასტიას წინამორბედ დინასტიათაგან ერთი მთავარი გარემოება განასხვავებს. მისი იმპერატორები ერთმანეთს მემკვიდრეობითი წესით კი არ სცვლიდნენ (გამონაკლისია კომოდუსი — მარკუს ავრელიუსი კომოდუსის მამა იყო), არამედ თითოეული მათგანი თავის სიცოცხლეშივე ასახელებდა შვილობილს, რომელიც შემდგომ ტახტის მემკვიდრე გახდებოდა. ასე იყო გამოცხადებული ნერვას მიერ ტრაიანეც თავის მემკვიდრედ. საქმე ის იყო, რომ ნერვას ძალაუფლება ჯარს არ ეყრდნობოდა, რომელსაც ხელისუფლის მიმართ თავისი პრეტენზიები ჰქონდა. ნერვა იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა ჯარისკაცთა მოთხოვნები და ერთ-ერთი თავისი მხედართმთავარი — მარკუს ულპიანუს ტრაიანე ეშვილებინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრაიანე რომში არ დაბადებულა. იგი ესპანეთში რომაული ქალაქის — იტალიკას მკვიდრი იყო. ანტონინუსთა დინასტიის კიდევ ერთი მახასიათებელია ის, რომ რომის იმპერატორები წარჩინებული პროვინციული ოჯახებიდან იყვნენ გამოსულნი. საიმპერატორო ხელისუფლება ტრაიანემ ნერვას გარდაცვალების შემდეგ — 98 წელს მიიღო. ამ დროს იგი 45 წლისა გახლდათ. დიდი ხნის მანძილზე „ანტონინუსთა დინასტიის" მმართველობის ეპოქა რომის იმპერიის „ოქროს ხანად" ითვლებოდა, შემდეგ მას „დროებითი სტაბილიზაციის პერიოდი" უწოდეს. ასე თუ ისე, ეს ეპოქა რომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კეთილისმყოფელი ხანა იყო. ტაციტუსი ნერვასა და ტრაიანეს მმართველობის წლებს ასე ახასიათებს: „ეს იყო იშვიათი ბედნიერების წლები, როდესაც თითოეულს შეეძლო ეფიქრა, რაც სურდა და ეთქვა, რასაც ფიქრობდა" (ტაციტუსი, „ისტორია", I, 1).

[2] ტრაიანე რომში ფეხით დადიოდა. ეს სიახლე იყო, რამეთუ მის წინამორბედებს, როგორც წესი, საკაცით დაატარებდნენ.



საბინა

საბინა — ლუციუს ვიბიუს საბინუსისა და ტრაიანეს დისშვილის — მატიდეა უფროსის ქალიშვილი იყო. ახ.წ. 100 წელს იგი ჰადრიანეზე დააქორწინეს. და თუმცა იმპერატორ ტრაიანეს ეს ქორწინება მაინც და მაინც არ ნდომებია, როგორც ჩვენ უკვე მოგითხრეთ, იგი ტრაიანეს ცოლს — პლოტინას სურდა და მისი დიდი მეცადინეობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ღრმად განსნავლული, ხელოვნების დიდად მოყვარული, ცნობილი ესთეტი და ელინოფილი ჰადრიანე უაღრესად რთული ხასიათის ადამიანი იყო. ირგვლივ მყოფთ იმპერატორის ცვალებად და წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნებასთან უჭირდათ შეგუება. დაძაბული იყო ჰადრიანეს ურთიერთობა ცოლთანაც, რომელიც არ უყვარდა და რომელსაც ხშირად ღალატობდა, მაგრამ რომელზედაც მაინც ეჭვიანობდა. სწორედ ეჭვიანობის გამო გაათავისუფლა თანამდებობიდან ჰადრიანემ საბინასთან დაახლოებული ადამიანები — პრეტორიის პრეფექტი სეპტიკუს კლარუსი და სახელმწიფო მდივანი — ისტორიკოსი სვეტონიუსი, საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოების „თორმეტი კეისრის ცხოვრების" ავტორი. თავისი საქციელის მოტივად კი ჰადრიანემ მათი არასათანადო მოქცევა გამოაცხადა. იმპერატორის თქმით, დათხოვილი პირები „საბინას პალატში იმაზე მეტი თავისუფლებით მოქმედებდნენ, ვიდრე ეს იმპერატორის კარის პატივისცემას შეეფერებოდაო" (აცა, „ჰადრიანე", XI, 3). ცოლ-ქმრის დაძაბულ ურთიერთობას, თუ ჰადრიანეს ვერწმუნებით, საბინას ხასიათი განაპირობებდა. იმპერატორი თვლიდა, რომ მისი მეუღლე მეტად უყმური ვინმე იყო და აცხადებდა კიდეც, რომ აუცილებლად გასცილდებოდა საბინას, იმპერატორი რომ არ ყოფილიყო, იმდენად რთული იყო მისთვის ცოლის პირქუში და ჭირვეული ხასიათის ატანა (აცა, „ჰადრიანე", XI, 3). თავის მხრივ არც საბინას უყვარდა ჰადრიანე და იგიც თვლიდა, რომ მათ ურთიერთობას სწორედ ქმრის აუტანელი ზნე აფუჭებდა.

თავისი დროის კვალობაზე საბინა განათლებული ქალი იყო და ირგვლივ განსწავლული ადამიანები — ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და პოეტები ჰყავდა შემოკრებილი. მათ ნრეში უნდა ყოფილიყო პოეტი ქალი იულია ბალბილა.

ცოლ-ქმარს შორის ციკი ურთიერთობის მიუხედავად, საბინა ხშირად დაჰყვებოდა ჰადრიანეს სამოგზაუროდ. ჰადრიანე ხომ ცნობილი მოგზაური იყო, რომის არც ერთ იმპერატორს არ ჰქონდა მოვლილი იმდენი ქვეყანა, რამდენიც ჰადრიანეს.

ჰადრიანესთან ერთად საბინას უმოგზაურია საბერძნეთში — კერძოდ ელევსინსა და ოლიმპიაში, მცირე აზიაში და ეგვიპტეში. სამეფო წყვილს ეგვიპტეში პოეტი ქალი იულია ბალბილა ახლდა. პოეტესას შემოქმედებიდან სნორედ ის ეპიგრამებია შემორჩენილი, რომლებიც ამ მოგზაურობას გადმოგვცემენ. იულია ბალბილა წერს, თუ როგორ მოინახულა მან ჰადრიანესა და საბინასთან ერთად ეგვიპტის თებეში მემნონის კოლოსი. ამ ეპიგრამებში პოეტი ქალი საბინას „ლამაზ" და „სათნო" ქალს უწოდებს:

„შენს ხილვად მეუფის მეუღლე, ლამაზი საბინა მოვიდა,
დუმილით მიიღე, მემნონ, ლამაზი საბინა გუშინ,
გენვია სურვილით, ესმინა შენი ღვთაებრივი სიმღერა,
რათა დამტკბარიყო მზერით მართლაც დიდებული სახის".[1]

128 წელს საბინამ „ავგუსტას" ტიტული და თავისი გამოსახულებიანი მონეტის მოჭრის უფლება მიიღო.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საბინას ქმართან ურთიერთობა განსაკუთრებით გაუფუჭდა. წყაროები გადმოგვცემენ, რომ ჰადრიანე დიდხანს ებრძოდა თავს და ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა ის სისასტიკე, რომელიც ბუნებით დაჰყვა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მძიმედ დაავადდა, იმპერატორმა თავი მიუშვა და მისი დაფარული ზნეც სააშკარაოზე გამოვიდა. ჰადრიანეს ბრძანებით არაერთი ადამიანი დასაჯეს სიკვდილით, ზოგი აშკარად, ზოგი — ფარულად. არ დაინდო მან მოხუცი, ოთხმოცდაათი წლის სერვიანუსი, რადგან იგი თავის მეტოქედ მიაჩნდა. ამ დროს — 136 თუ 137 წელს გარდაიცვალა მისი ცოლი — საბინაც. რომში ხმა დაირხა, რომ მის სიკვდილში ჰადრიანეს ხელი ერიაო — საბინა ან ჰადრიანეს ბრძანებით მოწამლეს, ანდა თვითმკვლელობამდე მიიყვანესო (აცა, „ჰადრიანე", XXIII, 10). თუ რამდენად შეეფერებოდა ეს ხმა სიმართლეს, ძნელი სათქმელია. სიკვდილის შემდეგ საბინა გააღმერთეს და 139 წელს ჰადრიანეს მავზოლეუმში დაკრძალეს.

შენიშვნები:

[1] იულია ბალბილა, „დღე პირველი, ოდეს არ გვესმა ხმა მემნონისა", საფოდან კასიამდე, ძველი სამყაროს პოეტი ქალები, თარგმანი და კომენტარები ნანა ტონიასი, თბილისი, 1990.



დომიცია
ლუცილა

დომიცია ლუცილა იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დედა იყო. მის წინაპრებს საიმპერატორო კარზე მაღალი თანამდებობები ეკავათ. დომიცია ლუცილას პაპა — კატილიუს სეევერუსი რომის პრეფექტი იყო, მამამისი — კალვიზიუს ტულუსი კი ორგზის კონსული გახლდათ. დომიცია ცოლად გაჰყვა წარჩინებული გვარიშვილობით ასევე გამორჩეულ ანიუს ვერუსს, რომის პრეფექტს. დომიციას და ანიუს ვერუსს ორი შვილი შეეძინათ — ვაჟიშვილი მარკუსი და ქალიშვილი — ანია კორნიფიცია ფაუსტინა. დომიციას ოჯახს რომის გარეუბანში კრამიტის დიდი სანარმო ეკუთვნოდა. შემდგომ ეს წარმოება მარკუს ავრელიუსს ერგო და კეისრის სამემკვიდროს კუთვნილებაში გადავიდა. დომიცია ლუცილას აღზრდილად მოიხსენიებენ დიდიუს იულიანუსს, რომელიც შემდგომ რომის იმპერატორი გახდა.

ცნობები დომიცია ლუცილას შესახებ რომაულ წყაროებში ძალზე მწირია. მარკუს ავრელიუსის აღმზრდელის — კორნელიუს ფრონტონის წერილთა კრებულში ორი წერილი დომიციასადმია მიწერილი. დედას ახსენებს მარკუს ავრელიუსი თავის თხზულებაში ორიოდე ადგილას. სიცოცხლის მიმწუხრს იმპერატორი უსაზღვრო მადლიერებით იგონებს ყველას, ვისაც კი მის აღზრდაში რაიმე წვლილი შეუტანია. პაპებისა და მამის შემდეგ იგი დედის დამსახურებაზე საუბრობს: „დედის წყალობით ვეზიარე ღვთისმოსაობას, გულუხვობას და თავმოზღუდულობას არა მარტო ბოროტის ქმნის, არამედ ბოროტის ზრახვათაგანაც. აგრეთვე უბრალოებას და სიძულვილს ყოველგვარი ფუფუნების მიმართ"[1] (მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები", 1, 3).

ასეთი იყო შვილის თვალით დანახული დედა — დომიცია ლუცილა. ეს ქალი ჩვენ უპირველესად გვაინტერესებს, როგორც რომაელთა უწარჩინებულესი იმპერატორის მარკუს ავრელიუსის დედა, ქალი, რომელმაც ასე-

თი სრულქმნილი შვილი აღზარდა. და მაინც, ვინ იყო ეს იმპერატორი? და თუმცა მარკუს ავრელიუსზე მოკლედ ლაპარაკი ერთობ ძნელია, ჩვენ მაინც შევეცდებით ამ დიდი იმპერატორის პორტრეტის უმთავრესი შტრიხები გაგაცნოთ.

რომის სახელმწიფოს „ოქროს ხანად" წოდებული ეპოქა მარკუს ავრელიუსის ტახტზე ასვლის დროისთვის (161 წ.) თანდათან წარსულს ბარდება. მარკუს ავრელიუსს მძიმე ჟამს მოუწია სახელმწიფოს მართვა. მისი იმპერატორობის პერიოდი აღინიშნა დამანგრეველი მინისძვრებით მცირე აზიაში, უზარმაზარი წყალდიდობებით საკუთრივ იტალიაში და ამასთან არანაკლებ საზარელი უბედურებით — ჟამიანობით, რომელიც დროდადრო მეორდებოდა და რომელმაც ათიათასობით იტალიელს მოუსწრაფა სიცოცხლე. ამასთან არ იქნა და აღარ დადგა მშვიდობიანი დრო. მარკუს ავრელიუსმა, რომელსაც მთელი არსებით სძულდა ომი, თავისი პრინციპატობის 19 წლიდან თხუთმეტი გამუდმებულ ლაშქრობებში გაატარა, იმპერატორმა სამეფო მოსასხამი გაიძრო და ჯარისკაცის უბრალო ფარაჯა ჩაიცვა. სიცოცხლეც მან, როგორც ჯარისკაცმა, თავის პოსტზე — სამხედრო ბანაკში დაასრულა.[2]

„მარკუს ავრელიუსი შემკული იყო ყოველგვარი სიქველითა და ღვთაებრივი გონებით. იგი საერთო უბედურების ჟამს ხალხს დამცველად ევლინებოდა. მარკუსი იმ ხანად რომ არ მოვლენოდა ქვეყნიერებას, მთელი რომაული სამყარო ერთი დარტყმით დაიშლებოდა", — გვამცნობს ისტორიკოსი (ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XVI).

და თუმცა ისტორიას მარკუს ავრელიუსი არ შეურაცხავს საუკეთესო იმპერატორად, როგორც ტრაიანე, არც ავგუსტუსის დარად უწოდებია მისთვის ყველაზე ბედნიერი იმპერატორი, მაგრამ აღიარა იგი, ვითარცა ყველაზე ღირსეული რომის ხელისუფალთა შორის. მარკუს ავრელიუსის ზნეობრივმა სრულქმნილებამ, სამართლიანობამ, სიმამაცემ და სინმინდემ იგი ერთგვარ წმინდანად აქცია.[3] და მართლაც, მისი ცხოვრების ჟამთააღმნერელი წერდა: „მარკუს ავრელიუსს ჩვენ დრომდე უყურებენ, ვითარცა ღმერთს" (აცა, „მარკუსი", XIX), სხვა ადგილას კი შენიშნავდა, რომ „თავად უზომო ხოტბასაც არ ძალუძდა ასეთი იმპერატორი შეექმნაო" (აცა, „ვერუსი", XI).

ძნელია ითქვას, თუ რამ განაპირობა კონკრეტულად მარკუს ავრელიუსის ამგვარი სახელი და მისადმი ასეთი პატივისცემა. შესაძლოა, იმანაც, რომ სიყრმითგანვე იმპერატორი ზნეობრივი სრულქმნილებისკენ მიისწრაფოდა, საკუთარ თავს აჩვევდა ზომიერებას, შრომისმოყვარეობას, სიმტკიცეს, ასწავლიდა აუმღვრევლობასა და შინაგან სიმშვიდეს. მარკუს ავრელიუსი სტოიკური ფილოსოფიის ჭეშმარიტი მიმდევარი, ანუ პრაქტიკოსი ფილოსოფოსიც იყო — სტოიციზმი ხომ თავის მიმდევრებს პრაქტიკულად ასწავლიდა, თუ როგორ მიეღწიათ ზნეობრივი სრულყოფისათვის, როგორ გაწაფულიყვნენ სიქველეში. უკვე თორმეტი წლიდან, როგორც მარკუს ავრელიუსის ჟამთააღმნერელი მოგვითხრობს, მარკუსი ფილოსოფოსობის გზას შეუდგა, იცვამდა, როგორც ფილოსოფოსი, ეძინა მინა-

ზე. დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა დედამისს — დომიცია ლუცილას, რომ დაეთანხმებინა მარკუსი ტყავით გადაფენილ სანოლზე დაწოლილიყო. მარკუს ავრელიუსი ამ ხანად თაეის ასაკთან შედარებით ნაადრეევად დაბრძენებული ბიჭუნა იყო, უზომო ცნობისწადილით შეპყრობილი, იგი საფუძვლიანად სწავლობდა რომაულ თუ ბერძნულ მწერლობას, ისტორიას, ფილოსოფიას. იმპერატორი ჰადრიანეც დაინტერესებულა ამ ზომაზე მეტად დინჯი ბიჭუნათი და ყმაწვილისთვის „ვერისიმუსი“ — უმართლესი უნოდებია. ჰადრიანე კარგა ხანს აკვირდებოდა ჭაბუკს, ეტყობა, იმპერატორს, რომელსაც საკუთარი შვილი არ ჰყავდა, მარკუს ავრელიუსი თვალში ძალზე მოსდიოდა და მომავალში რომის მბრძანებლადაც ესახებოდა.[4] 138 წელს გადაწყდა კიდეც მარკუს ავრელიუსის ბედი, ჰადრიანემ იგი კეისრად გამოაცხადა. და მარკუს ავრელიუსსაც სწორედ მაშინ უბრძანეს, რომ ჰადრიანეს ერთ-ერთ კერძო სახლში გადასულიყო. დედისეული მამული მომავალ იმპერატორს სურვილის გარეშე დაუტოვეთია.

მას შემდეგ რაც მარკუს ავრელიუსი იმპერატორი გახდა, ფართო ასპარეზი მიეცა, რათა თავისი ფილოსოფიურ-მორალისტური პრინციპები ცხოვრებაში განეხორციელებინა. ალბათ გახსოვთ, რომ პლატონისთვის ქვეყნის იდეალურ მმართველს — ფილოსოფოსი-მეფე წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში არსად ისე მკაფიოდ არ განხორციელებულა მმართველის პლატონისეული იდეალი, როგორც მარკუს ავრელიუსის შემთხვევაში. თავად იმპერატორიც გამუდმებით იმეორებდა თურმე პლატონის გამონათქვამს: „სახელმწიფონი გაფურჩქნილნი იქნებოდნენ ან მაშინ, ფილოსოფოსები მმართველნი რომ ყოფილიყვნენ, ანდა იმ შემთხვევაში, ხელისუფალნი ფილოსოფოსები რომ იყვნენო“ (აცა, „მარკუსი“, XXVII). მარკუს ავრელიუსი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ინდივიდუალურ ღირსებათ და მის განსწავლულობას აფასებდა. ამიტომაც იყო, რომ იგი პლატონისეულ იდეალს პრაქტიკაში ნერგავდა — მისი პრინცეპსობის პერიოდში გვაროვნულ არისტოკრატიას თანდათანობით ცვლიდა ინტელექტუალური არისტოკრატია. თანამდებობებს განსწავლული ადამიანები იკავებდნენ. კონსულებად და პროკონსულებად ხშირად ფილოსოფოსები და რიტორები ხდებოდნენ.

და აი, მარკუს ავრელიუსი იღებს იმ უმაღლეს შექებას, რომელიც კი ძველებს ბრძენი მმართველის მიმართ გამოუთქვამთ. „მარკუს ავრელიუსი ხალხს ისე მართავდა, როგორც ეს თავისუფალ სახელმწიფოში იყო მიღებული. იგი განსაკუთრებულად ტაქტიანი კაცი იყო, მაშინ, როცა საჭირო იყო ბოროტის ქმნისაგან ადამიანთა შეკავება და მაშინაც, როცა საქმის ინტერესები მათი სიკეთისაკენ წარმართვას მოითხოვდა. ასეთსავე თავდაჭერილობას ამჟღავნებდა იმპერატორი, როდესაც მდიდრულად ასაჩუქრებდა ზოგს, ხოლო სხვათა მიმართ შემწყნარებლობას იჩენდა. მარკუს ავრელიუსი ცუდ ადამიანებს კარგებად ხდიდა, კარგებს — კი საუკეთესოებად, ამასთან ზოგიერთების მხრიდან დაცინვასაც კი მშვიდად იტანდა“ (აცა, „მარკუსი“, XII).

მარკუს ავრელიუსი გარდაიცვალა 180 წლის 17 მარტს დუნაის ნაპირზე — ვინდობონეში (თან. ვენა) სამხედრო ბანაკში. მისი სიკვდილი რომაელმა ხალხმა გულწრფელად დაიტირა. „ყველა თავისი ასაკის მიხედვით — ძმას, მამას, თუ შვილს ეძახდა მას" (აცა, „მარკუსი", XVIII).

იმპერატორის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა მის მიერ ბერძნულად დაწერილი ფილოსოფიური თხზულება „საკუთარი თავისადმი". ეს ნაწარმოები დღემდე მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის ირიცხება. ის ყველა სხვა ავტობიოგრაფიისაგან განსხვავდება უპირველესად იმით, რომ მისი ავტორი ჩანაწერებს საკუთარი თავისთვის აკეთებდა. „ზამთრის გულისგამაწვრილებლად გრძელსა და ნაღვლიან ღამეებში თავის საზამთრო ბანაკში ჩაკეტილი ეს მარტოსული სენეკას მოძღვრის — სექსტიუსის მსგავსად თითოეული განვლილი დღის ანგარიშს აბარებდა საკუთარ სინდისს... წერდა თავისი სულიერი ცხოვრების ინტიმურ დღიურს — „წარმართული სამყაროს ამ სახარებას" (ვ. დიური)[5]. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ უკვდავმა თხზულებამ განაპირობა ის, რომ მარკუს ავრელიუსი ისტორიაში შევიდა, როგორც იმპერატორი-ფილოსოფოსი. „ფილოსოფოსი მსოფლიო იმპერიის ტახტზე", როგორც მას უწოდებენ, მარკუს ავრელიუსის არსს ყველაზე ლაკონურად გამოხატავს.

სიცოცხლის მიმნუხრს დაწერილ „ფიქრებში" იმპერატორი-ფილოსოფოსი ჩამოთვლის იმას, თუ რას მიიჩნევდა იგი ცხოვრებაში ღმერთების მოვლენილ წყალობად. და აქ მარკუს ავრელიუსი კვლავ მოიხსენიებს დედას — ღმერთებმა მას კეთილი მშობლების ყოლა უწყალობეს. და აქვე აკეთებს იგი დედის მისამართით თავის უკანასკნელ ჩანაწერს: „ღმერთების შეწევნითაა ისიც... რომ დედაჩემმა, რომელსაც ეწერა სრულიად ახალგაზრდა მომკვდარიყო, ჩემს გვერდით გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლებიო" (მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები", 1, 17, 15).

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენი წელი იცოცხლა დომიცია ლუცილამ. მეცნიერთა ვარაუდით, იგი 155-161 წწ-ის ფარგლებში უნდა გარდაცვლილიყო.

შენიშვნები:

[1] მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, 1984. თარგმანს წინ უძღვის ვრცელი და უაღრესად საინტერესო წინასიტყვაობა, რომლის ცალკეულ მოსაზრებებს ჩვენ მარკუს ავრელიუსის პორტრეტის ამ ჩანახატისთვის ვიყენებთ სათანადო დამოწმებითურთ.

[2] ბ. ბრეგვაძის დასახელებული წინასიტყვაობა, 41.

[3] ე. რენანი, მარკუს ავრელიუსი და ანტიკური სამყაროს დასასრული, პარიზი, 1882, 468. მოგვყავს ბ. ბრეგვაძის დასახელებული წინასიტყვაობის მიხედვით, 45.

[4] შესაბამისად, როდესაც ტახტის მემკვიდრედ ჰადრიანემ ცეიონიუს კომოდუსი (ისტორიაში ელიუს ვერუსის სახელით შესული კეისარი) გამოაცხადა, მან მარკუს ავრელიუსი ცეიონიუსის ასულზე დაწინდა. სრულიად მოულოდნელად 138 წელს კომოდუსი გარდაიცვალა. მარკუს ავრელიუსი ამ დროისთვის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა — მხოლოდ 17 წლისა იყო იმისთვის, რომ ჰადრიანეს იგი თავის პირდაპირ მემკვიდრედ დაესახელებინა. ამიტომ იმპერატორმა, რომელიც უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, იშვილა 52 წლის ანტონინუს პიუსი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი თავის მხრივ იშვილებდა მარკუს ავრელიუსს და გარდაცვლილი ცეიონიუს კომოდუსის შვილს — ლუციუს ვერუსს. ამ ამბიდან ექვსი თვის შემდეგ ჰადრიანე მართლაც გარდაიცვალა და რომის ტახტზე ანტონინუს პიუსი ავიდა (138 ნ.).

[5] ბ. ბრეგვაძე, დასახელებული წინასიტყვაობა, 30.

ფაუსტინა

უმცროსი

ფაუსტინა უმცროსი — იმპერატორ ანტონინუს პიუსისა და ანია გალერია ფაუსტინა უფროსის ქალიშვილი[1] იყო. იგი მარკუს ავრელიუსის ცოლი გახლდათ. ისტორიას ყოველთვის განსაკუთრებულად აინტერესებდა, თუ როგორი მეუღლე ჰყავდა მარკუს ავრელიუსს, რომელთა ამ უთვალსაჩინოეს იმპერატორს, რომელიც თავისი ზნესრულობით ლამის ადამიანის იდეალს უტოლდებოდა.

ფაუსტინას დაბადების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა. ვიცით, რომ იგი დაახლოებით 125-130 წლების ფარგლებში უნდა დაბადებულიყო. ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ პატარა ფაუსტინას ყელის სერიოზული დაავადება ჰქონდა და მას ცნობილი ექიმი გალენუსი მკურნალობდა. შესაძლოა, ეს ჩიყვიც ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, თუ ფაუსტინას პორტრეტს დავუკვირდებით, ამ დაავადებისთვის დამახასიათებელ გამობურცულ თვალებს უდავოდ შევნიშნავთ.

იმპერატორმა ჰადრიანემ, რომელმაც ფაუსტინას მამა — ანტონინუსი სამეფო ტახტზე აიყვანა, ბრძანა, რომ ანტონინუს პიუსს, თავის მხრივ, მარკუს ავრელიუსი და ლუციუს ვერუსი ეშვილა, რომლებიც შემდგომში რომის მბრძანებლები უნდა გამხდარიყვნენ. მანვე იზრუნა პატარა ფაუსტინას მომავალზე და ქალიშვილი ტახტის მომავალ მემკვიდრეზე — ლუციუს ვერუსზე დანიშნა. ჰადრიანემ დაწინდა მარკუს ავრელიუსიც. მას ლუციუს ვერუსის და — ფაბია უნდა ეთხოვა. მაგრამ არცერთი დათქმული ნიშნობა ქორწინებაში არ გადაზრდილა. ჰადრიანეს გარდაცვალების შემდეგ იმ მოსაზრებით, რომ ფაუსტინა თავის საქმროზე — ვერუსზე უფროსი იყო, ანტონინუსმა ქალიშვილის ნიშნობა გააუქმა და ფაუსტინას ხელი მარკუს ავრელიუსს შესთავაზა. მარკუსი ფაუსტინას მამიდაშვილად მოუდიოდა, მარკუსის მამა — ანიუს ვერუსი ფაუსტინა უფროსის ძმა იყო.

მარკუს ავრელიუსმა ანტონინუსის წინადადებაზე ცოტა ხანს იფიქრა და შემდეგ მამობილს დასთანხმდა. ფაუსტინა უმცროსისა და მარკუს ავრელიუსის ქორწინება 145 წელს შედგა, იმპერატორმა ქალიშვილის ქორწილი განსაკუთრებით საზეიმოდ გადაიხადა — მეომრებს ფულადი საჩუქრებიც კი დაურიგა (აცა, „ანტონინუს პიუსი", 10, 2). მალე ფაუსტინამ პირველი შვილი გააჩინა და „ავგუსტას" ტიტული მიიღო. როგორც გადმოგვცემენ, ქორწინების პირველი წლები ფაუსტინას და მარკუსისთვის ბედნიერი წლები იყო. თავად მარკუსის წერილებიდან ჩანს, როგორ ხარობს მარკუს ავრელიუსი თავისი შვილების კარგად ყოფნით, როგორ უელის მათ, როგორ წუხს მათი ავადმყოფობის გამო. მარკუსსა და ფაუსტინას დიდი ოჯახი ჰქონდათ — მათ თორმეტი შვილი ჰყავდათ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ანტიკური ავტორები, რომლებიც ფაუსტინას გამორჩეულ სილამაზეზე მოგვითხრობენ, ხაზგასმით აღნიშნავენ მის თავნება ხასიათს, განსაკუთრებით კი იმპერატრისას დაუოკებელ ტემპერამენტზე ამახვილებენ ყურადღებას. ამ ქალის ირგვლივ რომაული საზოგადოებაში გამუდმებით იყო მითქმა-მოთქმა. „ზოგიერთები ამბობენ — და ეს, ალბათ, მართალიც არის, რომ კომოდუს ანტონინუსი, [მარკუსის] მემკვიდრე და შვილი, მარკუსისაგან კი არ ჰყავდა ფაუსტინას, არამედ ამ ქალის მრუშობის ნაყოფი იყო," — გვიამბობს მარკუს ავრელიუსის ცხოვრების უამთააღმწერელი და განაგრძობს: „ამას ხალხში გავარდნილ ასეთ ზღაპრულ ამბავსაც ურთავენ: ერთხელ, როდესაც ფაუსტინა მის წინაშე გამოსულ გლადიატორებს უცქერდა, გული ერთ-ერთ მათგანზე შეევარდნია. მას დიდხანს უტანჯია ამ ენების გამო, ბოლოს კი ქმრისთვის გაუნდია თავისი სატკივარი. მაშინ იმპერატორმა ქალდეებს მიმართა. მათ მარკუსს გლადიატორის მოკვლა ურჩიეს, მაგრამ მხოლოდ ეს ფაუსტინას საშველად საკმარისი არ იქნებოდა. ფაუსტინა მოკლულის სისხლში უნდა განბანილიყო და მხოლოდ ამის შემდეგ დაწოლილიყო ქმართან. რიტუალი ჩატარდა. ფაუსტინა სიყვარულისგან კი განიკურნა, მაგრამ ქვეყანას მოევლინა კომოდუსი, რომელიც თავისი ბუნებით გაცილებით მეტად ჩამოჰგავდა გლადიატორს, ვიდრე იმპერატორს" (აცა, „მარკუსი", XIX). ისტორიკოსის თქმით, ეს ამბავი თანამედროვეთ სიმართლედ ეჩვენებოდათ, რამეთუ კომოდუსი, ეგზომ უმნიკელო მმართველის ვაჟიშვილი ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, იმპერატორის შთამომავალი კი არა ვინმე მდაბიორის — მსახიობის ან გლადიატორის ჩამომავალი იყო. სხვა ვერსიით, ფაუსტინა საყვარლებს მეზღვაურთა და გლადიატორთაგან ირჩევდა და კომოდუსიც მისი სიძვის ნაშიერი იყო (აცა, „მარკუსი", XIX, 4).

ამგვარი ჭორების გავრცელებაში არც რომაულ კომედიას დაუკლია ხელი. ერთ-ერთ პიესაში, რომლის სახელწოდებაც ჩვენთვის არაა ცნობილი, კალამბურის მეშვეობით მსახიობი ფაუსტინას საყვარლის სახელს — ტერტულუსს წარმოსთქვამდა. ამ ეპიზოდში სულელი ბატონი მონას თა-

ვისი ცოლის საყვარლის სახელს ეკითხებოდა. მონაც მას ზედიზედ სამჯერ უმეორებდა სახელს — „ტულუსს", ხოლო, როცა ბატონი ისევ აგრძელებდა გამოკითხვას, მონა უპასუხებდა: „მე ხომ უკვე გითხარი სამჯერ — ტულუსი — მისი სახელიაო" (აცა, „მარკუსი", XXIX, 1-3). ლათინურად: სამჯერ ტულუსი — არის Ter Tullus, რაც ულერს, როგორც Tertullus-ი, ანუ ფაუსტინას საყვარლის სახელი. წყაროები გადმოგვცემენ, რომ მარკუს ავრელიუსს ეს სპექტაკლი ნანახი ჰქონია.

ასეა თუ ისე, მარკუს ავრელიუსისთვის ამგვარი ჭორები დაფარული არ უნდა ყოფილიყო. ხალხს არ მოსწონდა, რომ მათი სათაყვანებელი იმპერატორი ამ მითქმა-მოთქმას უპასუხოდ ტოვებდა. ამიტომაც პრინცეპსის მრავლისმომთმენას ჰკიცხავდა. „როდესაც მარკუს ავრელიუსს თავისი ცოლის ამორალურ საქციელთა შესახებ ამცნობდნენ და სთავაზობდნენ გაჰყროდა მაინც ცოლს, თუკი მისი დასჯა არ სურდა, მარკუსი ასე უპასუხებდა: „თუ ცოლს გავეყრები, მას მზითვიც უნდა დავუბრუნოო". მზითვი კი სხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა საიმპერატორო ძალაუფლება, რომელიც მან სიმამრისაგან — ანტონინუს პიუსისაგან მიიღო, რომელმაც მარკუსი ჰადრიანეს ნებით იშვილა" (აცა, „მარკუსი", XIX).

სჯეროდა კი მარკუსს ფაუსტინას ღალატი? იქნებ მისი უმოქმედობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა ეჭვიანობისგან თავი მოეზღუდა. ფილოსოფოსი-იმპერატორი თავის თხზულებაში აკი ერთგან წერდა კიდეც: „ნურასოდეს ნუ მიიჩნევ შენი თავის სასარგებლოდ მას, რაც ოდესმე დაგარღვევინებს აღთქმას, დაგავიწყებს სირცხვილს, შეგაძულებს ვისმე, ან გაიძულებს იეჭვიანოო"[2] (მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები", III, 7). ხომ შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ იმპერატორს, რომელიც მთელი ცხოვრება ზნეობრივი სრულყოფისაკენ მიისწრაფოდა, ეჭვიანობა უფრო დიდ ბოროტებად მიაჩნდა, ვიდრე ცოლის შესაძლო, თუ რეალური ღალატი. ამიტომ ხომ არ ერჩია, რომ უბრალოდ გაჩუმებულიყო?

მაგრამ, როგორც ჩანს, ცოლის ღალატისადმი მარკუს ავრელიუსის დამოკიდებულება ასეთი ერთმნიშვნელოვანი არ უნდა ყოფილიყო. იმპერატორი არა მარტო უპასუხოდ ტოვებდა ჭორებს, არამედ პირველ რიგში თავის თავს უმტკიცებდა, რომ საქმე ასე არ უნდა ყოფილიყო, რომ ფაუსტინას შესახებ ამბები მოგონილი იყო და რომ მას ღირსეული ცოლი ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, ამას გვაფიქრებინებს ის ფრაზა, რომელიც ფილოსოფოსმა-იმპერატორმა ფაუსტინას შესახებ ავტობიოგრაფიაში ჩაწერა: „ღმერთებს უნდა ვუმადლოდე..., რომ აგრერიგად მორჩილი ცოლი მყავს, უბრალო და ვნებაულეველი" (მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები", 1, 17, 18).

„ამაოდ ცდილობდნენ მოტყუებულ ქმრად გამოეყვანათ იგი, ამაოდ გაჰყვიროდენ კომედიანტები ფაუსტინას საყვარლების სახელებს, იმპერატორს არაფრის გაგონება არ სურდა. თვით ცოლის სიკვდილის შემდეგაც კი ვერავინ შეძლო მისი გამოყვანა ამ წმინდა თვითმოტყუებიდან".[3]

ანტიკური ავტორები განსაკუთრებით ფაუსტინას ერთ მზაკვრობაზე

ამახვილებენ ყურადღებას. ეს ღალატი უბრალო, მორიგი ადულტერი არ იყო და სახელმწიფო ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდებოდა.

მარკუს ავრელიუსი გერმანელებთან წარმატებით იბრძოდა. იმპერია ბარბაროსთა შემოსევას გადაურჩა. ბრძენ იმპერატორს გრანდიოზული გეგმის განხორციელება ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ უეცრად მოულოდნელი რამ მოხდა — იმპერიის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მთავარსარდალი — ავიდიუს კასიუსი აჯანყდა. ავიდიუს კასიუსი სწორედ ის მხედართმთავარი იყო, რომელმაც წლების წინ რომის სახელმწიფოს უდიდესი სამსახური გაუწია — დაამარცხა და უკუაქცია პართელები რომაელთა აღმოსავლეთი პროვინციებიდან. მას განსაკუთრებით ენდობოდა იმპერატორი და ამიტომაც დანიშნა იგი სირიის პროკონსულად (მმართველად). წლების მანძილზე ავიდიუს კასიუსი იმპერატორის უმთავრესი დასაყრდენი ძალა იყო. ახლა კი არმიის მხარდაჭერით ავიდიუსმა თავი იმპერატორად გამოაცხადა. საუბედუროდ, იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციათა მეტი წილი სწორედ მას მიემხრო. ეს 175 წელს მოხდა. რომი საშინელმა პანიკამ მოიცვა, რომაელები შიშით მოელოდნენ ავიდიუს კასიუსის წინამძღოლობით ქალაქის ქუჩებში სირიული ლეგიონების გამოჩენას და ახალი სამოქალაქო ომის დაწყებას. სენატმა ავიდიუს კასიუსი ხალხის მტრად გამოაცხადა, მარკუს ავრელიუსმა ბარბაროსებთან ომი შეწყვიტა, ზავი დადო და აღმოსავლეთში ავიდიუსთან საომრად გაემართა. საბედნიეროდ, საქმე ომამდე არ მივიდა. იმპერატორად გამოცხადებიდან სამი თვის შემდეგ ავიდიუს კასიუსი თავისსავე ცენტურიონებმა მოკლეს.

და მაინც, რითი უკავშირდებოდა სახელმწიფო გადატრიალების ეს მცდელობა იმპერატორის ცოლის სახელს?

ანტიკურ ავტორთა გადმოცემით, ფაუსტინა მთავარსარდალთან მალულად იყო შეკრული. „ავიდიუსმა აღმოსავლეთში იმპერატორად გამოაცხადა თავი, როგორც ზოგიერთები ამბობენ, ფაუსტინას სურვილით, რომელსაც უკვე აღარ ჰქონდა იმის იმედი, რომ მარკუსი დიდხანს იცოცხლებდა. ქალს ეშინოდა, რომ მარტოდ დარჩენილი, იგი თავისი მცირეწლოვანი შვილების დაცვას ვერ შესძლებდა და ის, ვინც იმპერატორობას ჩაიგდებდა ხელში, მის არასრულწლოვან ბავშვებს გზიდან ჩამოიცილებდა" (აცა, „ავიდიუს კასიუსი", VII, 1). იმავეს იმეორებს მარკუს ავრელიუსის ისტორიკოსიც (აცა, „მარკუსი", 24). მაგრამ ეს სხვა ისტორიკოსებს იმ ხანადაც მცდარად მიაჩნდათ და ამ ამბის მთხრობელებს უკვე მაშინ ეკამათებოდნენ. ასე მაგალითად, ავიდიუს კასიუსის ისტორიკოსს ფაუსტინას უდანაშაულობის მტკიცებულებად ცოლ-ქმრის მიმოწერა მოაქვს. ამ ავტორის მიხედვით მარკუს ავრელიუსი მომხდარის შესახებ ცოლს თავად ატყობინებს და მასთან ჩამოსვლას სთხოვს, რათა ამის თაობაზე მშვიდად მოისაუბრონ. საპასუხო წერილში ფაუსტინა ქმრისგან ავიდიუსის სასტიკად

დასჯას მოითხოვს: „თუ შენ შენი შვილები გიყვარს, მაშინ, რაც შეიძლება, მკაცრად გაუსწორდი მეამბოხეებს," — წერს იგი მარკუს ავრელიუსს. მეორე წერილში ფაუსტინა კიდევ ერთხელ ემუდარება მეუღლეს, დასაჯოს აჯანყებულები, რამეთუ თვლის, რომ ამგვარი ზომები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ოჯახზე ზრუნვით არის გამოწვეული. „ხომ ვერ უწოდებ მოყვარულს იმ იმპერატორს, რომელიც საკუთარ ცოლ-შვილზე არ ფიქრობს?.. ნუ შეიბრალებ იმათ, რომლებმაც შენ არ შეგიცოდეს და რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში არც მე დამინდობდნენ და არც ჩემს შვილებს".

ისტორიკოსის აზრით, ეს წერილები მოწმობენ იმას, რომ ფაუსტინამ არა თუ არაფერი იცოდა ავიდიუს კასიუსის აჯანყების შესახებ, არამედ იგი აქეზებდა კიდეც მეამბოხეთა მიმართ მშვიდად განწყობილ და მათი შეწყალების მოსურნე მარკუს ავრელიუსს. იგი ეეედრებოდა მეუღლეს, რათა მას დამნაშავეთა მიმართ დასჯის უმკაცრესი ზომებისთვის მიემართა და ამგვარი სასჯელის აუცილებლობას მისგან ჯიუტად მოითხოვდა (აცა, „ავიდიუს კასიუსი", VII-XI).

დღეს მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ფაუსტინას ამორალურ ქალად წარმოდგენა, შესაძლებელია, სწორედ იმ ცნობიდან მომდინარეობს, რომელიც ფაუსტინას ავიდიუსის აჯანყების თანამონაწილედ სახავს.[4] მეცნიერთა ერთ ნაწილს უსაფუძვლოდ მიაჩნია ფაუსტინას მიმართ წაყენებული ბრალდებათა უმეტესობა. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ერთიც უდავოა, არც ერთი წყარო ფაუსტინას სიქველეთა შესახებ არ მოგვითხრობს. ისინი არას გვეუბნებიან არც ფაუსტინას დადებით თვისებებზე, არც იმის თაობაზე, რომ იგი ღირსეული ცოლი იყო. პირიქით, თუ რამეს გვამცნობენ ანტიკური ავტორები ამ ქალის შესახებ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფითს. ფაქტი ერთია, ფაუსტინა ვერ იქცა მარკუს ავრელიუსის — ამ უდიდესი პიროვნების და მოღვაწის ჭეშმარიტ მეგობრად და თანამზრახველად.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მარკუს ავრელიუსს ამგვარი ცოლი ჰყავდა, წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იმპერატორის დიდება ვერაფერმა დაჩრდილა. თუმც რომაელთა იდეალის თანახმად, ცოლი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ქმრის ღირსებასა და მისადმი პატივისცემას, როგორც ჩანს, რომაელებს თავიანთი უსაყვარლესი იმპერატორის მიმართ გამონაკლისი დაუშვიათ. „მაგრამ ქველი მეფის ცხოვრებას, მის უმწიკვლობას, განონასწორებულობას და ღვთისმოსაობას ისეთი ძალა გააჩნია, რომ სიძულვილს, რომელსაც მისი ახლობლები იწვევენ, არ ძალუძს დაჩრდილოს მისი დიდება. ასე რომ, მარკუს ავრელიუსს ჩირქს ვერ მოსცხებდა ვერც მისი გლადიატორი-ვაჟიშვილი, ვერც მისი გარყვნილი ცოლი, რამეთუ მარკუსი ყოველთვის საკუთარი თავის ერთგული რჩებოდა და არავის ჩაგონებას არ შეეძლო, იგი შეეცვალა," — გვატყობინებს მისი ჟამთააღმწერელი (აცა, „მარკუსი", XIX, 10).

გავიდა ხანი. სახელმწიფოში მდგომარეობა გამოსწორდა. მარკუს ავრელიუსმა პირველად ამოისუნთქა შვებით, პირველად გაემართა სამოგზაუროდ — ენვია საბერძნეთს, ანტიოქიასა და ალექსანდრიას. ამ მოგზაურობისას მას თან ცოლიც ახლდა. როდესაც ისინი უკან ბრუნდებოდნენ, გზაში — კაპადოკიაში მოულოდნელად გარდაიცვალა ფაუსტინა.

მეუღლის გარდაცვალება იმპერატორმა მძიმედ განიცადა. „მე ყოველდღე ვლოცულობ ფაუსტინასათვის და უკვდავ ღმერთებს ვავედრებ მას", წერდა იმპერატორი თავის აღმზრდელსა და თავისი წერილების მთავარ ადრესატს — ფრონტონს. მარკუს ავრელიუსმა თხოვნით მიმართა სენატს, რომ ფაუსტინასთვის ღვთაებრივი პატივი მიეგოთ და მისი სახელობის ტაძარი აღემართათ. მან ფაუსტინას ხოტბა აღუვლინა, თუმცა მითქმა-მოთქმა მის გარდაცვლილ ცოლს გარყვნილებაში ჯიუტად ადანაშაულებდა... „მარკუს ავრელიუსმა მადლობა გადაუხადა სენატს ფაუსტინას ღვთაებრივად გამოცხადებისთვის. ფაუსტინა თან ახლდა ქმარს ყველა მისი საზაფხულო კამპანიების დროს, ასე რომ მარკუს ავრელიუსი ფაუსტინას „სამხედრო ბანაკთა დედას" ეძახდა" (აცა, „მარკუსი", XXVI).

მარკუს ავრელიუსმა მეუღლის პატივსაცემად ფაუსტინელი ქალიშვილების ახალი ორგანიზაცია დაარსა. ხოლო ის ადგილი, სადაც იმპერატრისა გარდაიცვალა, პრინცეპსმა ფაუსტინას სახელობის კოლონიად გამოაცხადა და იქ მისი სახელობის ტაძარი ააგო.

ფაუსტინას შესახებ მითქმა-მოთქმასთან ერთად ისტორიამ ერთი ხელშესახები დოკუმენტიც შემოგვინახა. ერთ-ერთ ბარელიეფზე გამოსახულია დედოფალი, რომელიც მის მფარველ გენიას ცაში აჰყავს. „ხოლო იქვე მჯდარი იმპერატორი სიყვარულით და სასოებით სავსე მზერას აყოლებს „თავისი ძვირფასი ფაუსტინას" აპოთეოზს."[5]

ეს ბარელიეფი ამჟამად რომში, კაპიტოლიუმის მუზეუმში ინახება.

შენიშვნები:

[1] ანტონინუს პიუსის მმართველობის წლები — 138-161 წწ. წარმოშობით იგი გალიის მსხვილ მიწათმფლობელთა სენატორული გვარიდან იყო (ქ. ნემაუსუსიდან). წყაროების თანახმად ანტონინუსი განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩეოდა.
„პიუსი" — მისი ზედწოდებაა, რაც ღვთისმოსავს ნიშნავს.
მისი ცოლის — ანია გალერია ფაუსტინა უფროსის შესახებ ანტიკური ავტორები საპირისპიროს მოგვითხრობენ. ბევრს ლაპარაკობენ ისინი ამ ქალის ძალზე თავისუფალი და თავქარიანი ცხოვრების ნირის თაობაზე. „იმპერატორმა ეს მითქმა-მოთქმები ალაგმა, თუმცაღა სულის სიღრმეში ამის გამო ძალზე იტანჯებოდა" (აცა, „ანტონინუს პიუსი", III).

[2] მარკუს ავრელიუსი, ფიქრები. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, 1984. მარკუს ავრელიუსის თხზულების ციტირებისას ჩვენ ყველგან დასახელებულ თარგმანს ვიყენებთ.

[3] ი. რენანი, დასახ. ნაშრომი, 470-71, მოგვყავს ბ. ბრეგვაძის წინასიტყვაობის მიხედვით, 41.

[4] K. P. в. II, 1583-1584, სტატია ფაუსტინა უმცროსზე — Annia Galeria F. (II).

[5] ბ. ბრეგვაძის დასახელებული წინასიტყვაობა, 40.



ლუცილა

ანია ლუცილა მარკუს ავრელიუსის უფროსი ქალიშვილი იყო (წყაროები მას ავრელია გალერიადაც მოიხსენიებენ). ლუცილა 148 თუ 149 წელს დაიბადა. მისი პირველი ქმარი იმპერატორი ლუციუს ვერუსი გახლდათ. ეს სწორედ ის ლუციუს ვერუსი იყო, რომელიც ანტონინუს პიუსმა ჰადრიანეს მოთხოვნით მარკუს ავრელიუსთან ერთად იშვილა და რომელიც ასევე მომავალი იმპერატორი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, სენატმა ანტონინუს პიუსის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ მარკუს ავრელიუსს გადასცა საიმპერატორო ხელისუფლება. მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოისურვა ჰადრიანეს ნება დაერღვია და თავის თანამოსაყდრედ ლუციუს ვერუსი დაისვა. 161-169 წწ-ში ვერუსი მარკუს ავრელიუსთან ერთად მართავდა რომის იმპერიას. ორი იმპერატორის ერთობლივი მმართველობა რომის სახელმწიფოს ისტორიაში პირველი შემთხვევა გახლდათ.

როგორც კი ტახტზე ავიდა, მარკუს ავრელიუსმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თანამმართველთან ან „ძმასთან", როგორც ვერუსს ჟამთააღმწერლები მოიხსენიებენ, კეთილი ურთიერთობა კიდევ უფრო საიმედო კავშირით განემტკიცებინა. ჩვენ უკვე არაერთგზის გავხდით იმის მოწმეები, რომ რომაელები პოლიტიკურ მოკავშირესთან ურთიერთობის დამყარების საუკეთესო საშუალებად დანათესავებას მიიჩნევდნენ. და მარკუს ავრელიუსმაც თავისი ქალიშვილის — ლუცილას ხელი ვერუსს შესთავაზა. ლუცილა ამ დროს მხოლოდ თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა. ვერუსმა თავი შეიკავა, შესაძლოა, საპატარძლოს ასაკის გამოც... მაგრამ მარკუს ავრელიუსს თანამოსაყდრესთან დანათესავება მყარად ჰქონდა განზრახული და ამიტომაც გარკვეული დროის შემდეგ მან ვერუსს წერილობით კვლავ შეახსენა თავისი ადრინდელი წინადადება. ამჯერად ვერუსმა ყველაფერი

კარგად ანონ-დანონა და მარკუს ავრელიუსს შემოთავაზებაზე დაეთანხმა. თავად ლუციალას ვერუსის ცოლობა არ სურდა. თუ ჭორებს ვერწმუნებით, ქორწინების წინ ლუციალას ფსიქიური აშლილობა დამართნია. იმ ხანად ამას ბოროტ ძალებს აბრალებდნენ. ქალწული ეპისკოპოსს განუკურნავს, რომელსაც ლუციალას სულში ჩაბუდებული ეშმაკი განუდევნია და საპატარძლოც ქორწინებისთვის მოამზადეს.

რაც შეეხება სიძეს, იგი ამ დროს სირიაში იმყოფებოდა. იქ ვერუსი მარკუს ავრელიუსმა გაგზავნა, რათა პართელებთან ომში რომაულ ჯარს სათავეში ჩასდგომოდა. მაგრამ ბრძოლის მაგივრად ლუციუს ვერუსი სირიაში განცხრომით ცხოვრებას მიეცა, მის ნაცვლად კი მისი ლეგატები იბრძოდნენ. იმპერატორი და რომელთა უმაღლესი მთავარსარდალი იმდენად თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, რომ მისი გარყვნილების ამბავი ფართოდ მოედო მთელ რომაულ სამყაროს. მარკუს ავრელიუსთანაც, ბუნებრივია, მოდიოდა ხმები ქვეყნისთვის ამ მეტად საპასუხიმსგებლო ჯამს მისი თანამოსაყდრის და სასიძოს საქციელის შესახებ. მაგრამ იგი მაინც თავისსაზე იდგა — ლუციალასა და ვერუსის ქორწინება მას, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივ აუცილებლობად ესახებოდა. შესაძლოა, მარკუს ავრელიუსს ქორწინების შემდეგ სიძის გამოსწორების იმედიც ჰქონდა. ამიტომაც აღარ დაახანა, არ დაუცადა პართიის ომის დამთავრებას და ლუციალა მომავალ ქმართან გააგზავნა. თავისი ქალიშვილი მარკუს ავრელიუსმა მდიდრულად გაამზითვა, ბრუნდიზიუმამდე მიაცილა, ხოლო შემდეგ სასიძოსთან მისაყვანად ლუციუსის ბიძას და თავის დას — კორნიფიციას ჩააბარა. მექორწინენი ერთმანეთს ეფესოსში (მცირე აზიაში) შეხვდნენ, იქვე გადაიხადეს მათ მდიდრული ქორწილიც (164 წ.). ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ეფესოსში დაქორწინება ხელს აძლევდა ვერუსსაც. მას ნამდვილად არ უნდა სდომოდა, ქალიშვილის დასაქორწინებლად მარკუს ავრელიუსის ჩამოსვლა სირიაში. იქ ხომ მარკუს ავრელიუსი საკუთარი თვალით ნახავდა, რასაც ჭორად ამბობდნენ. ამიტომაც ვერუსი თავად გამოემართა ეფესოსში ლუციალას ცოლად შესართავად (აცა, „ვერუსი", XX).

გათხოვების შემდეგ ლუციალამ „ავგუსტას" ტიტული მიიღო. ქორწინება ბედნიერი არ გამოდგა. ვერუსი სირიიდან ჩამოსვლის შემდეგაც არ „გამოსწორებულა". „ძმებს" — მარკუს ავრელიუსსა და ლუციუს ვერუსს შორის უზარმაზარი სხვაობა იყო. ზნეობრივად თითქმის სრულქმნილი იმპერატორის გვერდით ლუციუსი ხაზგასმით მანკიერი ჩანდა.

როგორც ამბობდნენ, სირიიდან დაბრუნებული ვერუსი ისეთ გარყვნილებას მიეცა, რომ საკუთარ სახლში ნამდვილი სამიკიტნო მოაწყო და მსახურებად ყოვლად საძაგელი ადამიანები დააყენაო. ამ სამიკიტნოში მარკუსის სიძე მთელი ღამის განმავლობაში კოჭს აგორებდა, რასაც სი-

რიაში დაეჩვია. ისტორიკოსის თქმით, თავისი აღვირახსნილობით ლუციუსს შეეძლო გაიუს კალიგულას, ნერონისა და ვიტელიუსისთვისაც კი გაენია მეტოქეობა. იმპერატორი ღამით სამიკიტნოებსა და საროსკიპოებში დაეხეტებოდა, გამვლელ-გამომვლელებთან ქეიფობდა, ქუჩაში დებოშებს ტეხდა. თუმცა ვერუსი ცდილობდა, რომ მისი პიროვნება არ გამჟღავნებულიყო და ამიტომაც თავზე მოსასხამჩამოფხატული დაიარებოდა, თავის დამალვას იგი მაინც ვერ ახერხებდა და ხშირად სახლში ჩალურჯებული, დაშავებული სახით, ნაცემ-ნაგვემი ბრუნდებოდა (აცა, „ვერუსი", V).

რომში არაკებს ჰყვებოდნენ ლუცეუსის მიერ მოწყობილ ერთ ღრეობაზე, რომელიც 6 000 000 სესტერციუმი დაჯდა და რომელზედაც მხოლოდ თორმეტი სტუმარი იყო მიპატიჟებული. ისინი ლუციუსმა ენით უთქმელი საჩუქრებით დაასაჩუქრა. როდესაც მარკუს ავრელიუსს ამ ნადიმის შესახებ ამცნეს, ამბობენ, იმპერატორს ოხვრა აღმოხდა და რომის სახელმწიფო შეებრალაო (აცა, „ვერუსი", V).

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ვერუსისთვის უცხო იყო ნერონის გულმხეცობა, სისასტიკე და ადამიანთა სადისტური დაცინვა. „ვერუსი ეშმაკი კაცი არ იყო და არაფრის დამალვა არ შეეძლო" (აცა, „ვერუსი", I). ამასთან იგი დიდ პატივს მიაგებდა თანამოსაყდრეს და სიმამრს და სახელმწიფოსთვის საბედნიეროდ არ ცდილობდა მარკუს ავრელიუსისთვის ინტრიგები მოეწყო, ანდა მის წინააღმდეგ გამოსულიყო. მისი ძალაუფლება ფაქტობრივად ნომინალური იყო.

169 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც მარკუს ავრელიუსმა და ვერუსმა ავიდიუს კასიუსის აჯანყების გამო გერმანელებთან ზავი შეკრეს და რომისკენ გამოემართნენ, ლუციუს ვერუსი გზაში მოულოდნელად გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ვერუსს გზაში აპოპლექსიის მწვავე შეტევა დაემართა და სამი დღის შემდეგ სული განუტევა.

მაგრამ ვერუსის გარდაცვალებაზე ჭორებსაც ჰყვებოდნენ. ამბობდნენ, თითქოს ლუციუს ვერუსს თავის სიდედრთან — ფაუსტინა უმცროსთან ჰქონოდა სასიყვარულო ურთიერთობა, შემდგომ კი ღალატში თავის ცოლს — ლუციალს გამოტყდომოდა. როდესაც ფაუსტინამ ამის შესახებ შეიტყო, მან სიძეზე შური იძია და ლუციუსს ხამანწკებში მზაკვრულად ჩაუყარა სანამლავი. სხვა რამესაც ლაპარაკობდნენ, კერძოდ კი იმას, რომ ლუციუს ვერუსი საკუთარმა ცოლმა მოწამლაო. ლუციალმ ვერ აიტანა ვერუსის მოწინება საკუთარი დის მიმართ, რომელსაც ამის წყალობით დიდი ძალაუფლება ჰქონდა ხელში მოგდებული. ჰეროდიანოსის მიხედვით კი თანამოსაყდრე თავად მარკუს ავრელიუსმა მოაკვლევინა, რომელმაც სიძის თავაშვებულობა ვეღარ აიტანა და იგი თავიდან მოიცილაო (ჰეროდიანოსი, IV, 5). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ვერსია უკვე მაშინ მარკუსის უმწიკვლო პიროვნებიდან გამომდინარე საფუძველმოკლებულად მიაჩნდათ.

დაქვრივებული ლუცილა მამამ მალე ისევ გაათხოვა, თანაც არც გლოვის დაწესებული ვადის გასელისთვის დაუცდია. ამჯერად მან ლუცილას ქმრად ხანდაზმული კლავდიუს პომპეიანუსი შეურჩია, რომელიც წარმოშობით ანტიოქიელი მხედრის შვილი იყო და წარჩინებული გვარიშვილობით არ გამოირჩეოდა. შემდეგში მარკუს ავრელიუსმა იგი ორჯერ გახადა კონსული (აცა, „მარკუსი", XX, 6). ლუცილას საშინლად არ უნდოდა ასაკოვან პომპეიანუსს გაჰყოლოდა ცოლად, არც დედამისს — ფაუსტინა უმცროსს მოსწონდა თურმე ეს ქორწინება.

მარკუს ავრელიუსი გარდაიცვალა. ტახტზე ლუცილას ძმა — კომოდუსი ავიდა. კომოდუსის მმართველობის დროს ლუცილას პატივისცემის ნიშნებს კვლავ ალუვლენდნენ. მის წინ მიჰქონდათ ჩირაღდანი, თეატრშიც იგი კვლავ იმპერატორის საკარძელში განისვენებდა. მაგრამ გავიდა ხანი და კომოდუსი დაქორწინდა, მისი ცოლი — კრისპინა, ბუნებრივია, რომის პირველი ქალბატონი გახდა. ლუცილამ კრისპინა შეიძულა. როგორც ჩანს, მარკუს ავრელიუსის ქალიშვილის ხასიათის განმსაზღვრელი თვისება იყო პატივმოყვარეობა, რომელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ამიტომ კრისპინას პირველობას და ამ ქალისთვის მიგებულ პატივს, ლუცილა საკუთარი პიროვნების დამცირებად მიიჩნევდა. სწორედ ეს შეიქნა იმ დიდი უბედურების მიზეზი, რომელიც მარკუს ავრელიუსის ოჯახში დატრიალდა. ლუცილამ კომოდუსის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. ბედის მწარე დაცინვა გახლდათ ის, რომ ზნესრულობით ესოდენ აღმატებული იმპერატორის შვილები ასეთი ზნედაცემული პიროვნებები გამოდგნენ. და მართლაც რა უნდა ყოფილიყო უფრო საშინელი და ტრაგიკული მარკუს ავრელიუსისთვის ვიდრე ის, რაც მისმა შვილებმა ჩაიდინეს. ერთმა — მეორის მოკვლა გადაწყვიტა, იმან კი, რომელიც ცოცხალი გადარჩა, პირველს ღალატი არ აპატია და სიცოცხლეს გამოასალმა.

შეთქმულების შესახებ ანტიკური ავტორები შემდეგს გვიამბობენ: ლუცილა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მისი ქმარი კომოდუსის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, პომპეიანუსს თავის გეგმებს არ ანდობდა, არ ეუბნებოდა, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ჰქონდა განზრახული. სამაგიეროდ, ის განუწყვეტლივ ჩიოდა პირველობის თაობაზე კოდრატუსთან — წარჩინებულ და მდიდარ ახალგაზრდა კაცთან, რათა გაერკვია, რას ფიქრობდა იგი ამის შესახებ. თანდათან ლუცილამ ჩააგონა ამ ვაჟკაცს ის აზრი, რომელიც გამოდგა დამღუპველი. კოდრატუსი შეეთქვა რამდენიმე ნარჩინებულს და შეაგულიანა ერთი თავზეხელაღებული და გაბედული სენატორი — სახელად კვინციანუსი, რომ მას შესაფერისი დრო შეერჩია, კომოდუსს თავს დასხმოდა და მოეკლა — დანარჩენს იგი ფულის დარიგებით თავადვე მოაგვარებდა. მოვლენები ასე განვითარდა: კვინციანუსი ყველასთვის შეუმჩნევლად ამფითეატრის შესასვლელთან დად-

გა, იქ ბნელოდა, და მანაც იფიქრა, რომ ვერავინ დაინახავდა. შემდეგ იშიშვლა მახვილი, კომოდუსს ჯიქურ მიეჭრა და ხმამაღლა შეპყვირა, რომ ეს მას სენატმა გამოუგზავნა. მაგრამ კვინციანუსმა სიტყვის წარმოთქმასა და იარაღის ჟღარუნში იმდენი დრო დაკარგა, რომ მცველებმა მისი შეპყრობა მოასწრეს, ვიდრე იგი იმპერატორს მახვილს ჩასცემდა (პეროდიანოსი, I, 8). შეთქმულება საგულდაგულოდ გამოიძიეს, დამნაშავენი შეიპყრეს და სასტიკად გაუსწორდნენ. კომოდუსმა ლუცილა კუნძულ კაპრიზე გადაასახლა, სადაც მისივე ბრძანებით, ქალი სიცოცხლეს გამოასალმეს (183 წ.). მოგვიანებით იმპერატორ კარაკალას ბრძანებით მოკლეს ლუცილას ვაჟიშვილი პომპეიანუსიც.

ამგვარი აღსასრული ხვდა წილად მარკუს ავრელიუსის ქალიშვილს — ლუცილას. მისით ჩვენ „ანტონინუსთა დინასტიის" ქალების პორტრეტებს ვასრულებთ.

ვალერია

ვალერია იმპერატორ დიოკლეტიანეს[1] და პრისკას ქალიშვილი იყო. ვალერიას და პრისკას ცხოვრების ბოლო წლები მძიმე, ტანჯვით და განსაცდელით აღსავსე გამოდგა. ეს პერიოდი რომის იმპერიისათვის ერთობ რთულ ხანას დაემთხვა. 305 წლიდან მოყოლებული 18 წლის განმავლობაში სახელმწიფო სასტიკი შინაომებით იყო მოცული. ერთმანეთის მეტოქე სახელმწიფოს მმართველნი განსაკუთრებით ულმობელნი და სასტიკნი ვალერიას და პრისკას მიმართ აღმოჩნდნენ. ბედის ირონიით კი ამ მმართველთა არსებობა და აღზევება გარკვეულწილად სწორედ იმ რეფორმამ განაპირობა, რომლითაც დიოკლეტიანემ არსებული სახელისუფლებო სისტემა შეცვალა.

რეფორმა თავდაპირველი ჩანაფიქრით სახელმწიფოს განმტკიცებისკენ იყო მიმართული. მართლაც, როდესაც დიოკლეტიანე მმართველი შეიქნა, ქვეყანა ერთობ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმპერიას ყოველი მხრიდან და ამასთან განუწყვეტლივ ბარბაროსთა ტომები უტევდნენ.

დიოკლეტიანე ჭკვიანი კაცი გახლდათ და მშვენივრად უწყოდა, რომ ერთი ადამიანი ამ ვეებერთელა იმპერიის საზღვრებს ვერ დაიცავდა. ამიტომაც თავდაპირველად მან სახელმწიფო ორ ნაწილად დაჰყო, რომელიც ორ ავგუსტუსს — ორ უმაღლეს ხელისუფალს უნდა ემართა, შემდეგ კი დამატებით ორი კეისრის თანამდებობაც შემოიღო, რომლებიც მომავალში ავგუსტუსები გახდებოდნენ, მანამდე კი კეისრებს სამართავად გარკვეული, შედარებით მცირე ტერიტორიები გადაეცემოდათ. მმართველობის ამ იერარქიული სისტემის შემოღებასთან ერთად დიოკლეტიანემ ხელისუფალთა მმართველობის ვადებიც განსაზღვრა. ავგუსტუსებს ოცი წე-

ლი უნდა ემეფათ, შემდეგ კი უნდა გადამდგარიყვნენ და უმაღლესი ხელისუფლება კეისრებისთვის გადაეცათ. თავის მხრივ, ახლად გამოცხადებულ ავგუსტუსებს თავიანთი მომავალი მემკვიდრეები — კეისრები უნდა დაესახელებინათ და ა.შ. რათა უმაღლეს ხელისუფალს და მის მემკვიდრეს — კეისარს მყარი კავშირურთიერთობა ჰქონოდათ, დიოკლეტიანეს რეფორმით თითოეულ ავგუსტუსს თავისი მემკვიდრე უნდა ეშვილებინა, მაგრამ ამას გარდა, შვილობილს კიდეც უნდა დანათესავებოდა.

დიოკლეტიანეს სახელისუფლო რეფორმა ისტორიაში ტეტრარქიის — ოთხმმართველობის სახელწოდებით შევიდა.[2]

ტახტზე ასელიდან ძალიან მალე, 286 წელს დიოკლეტიანემ მეორე ავგუსტუსად მაქსიმიანუს ჰერკულესი გამოაცხადა და სამართავად მას იმპერიის დასავლეთი გადასცა, აღმოსავლეთი კი, როგორც უფრო მდიდარი ნაწილი, თავად დაიტოვა.

293 წელს დასახელებულ იქნენ კეისრებიც — კონსტანტიუს ქლორუსი და გალერიუსი. ამათგან გალერიუსი დიოკლეტიანემ თავის მემკვიდრედ დანიშნა, კონსტანტიუს ქლორუსი კი — მაქსიმიანუს ჰერკულესს გადაულოცა. მიღებული წესის შესაბამისად, გალერიუსი დიოკლეტიანემ ჯერ იშვილა, შემდეგ კი დაინათესავა, მას თავისი ქალიშვილი — ვალერია მიათხოვა და სამართავად ბალკანეთის ნახევარკუნძული გადასცა (თრაკიის გამოკლებით). ზუსტად ასევე მაქსიმიანუს ჰერკულესმა იშვილა კონსტანტიუს ქლორუსი, შემდეგ ჩაისიძა და მას პროვინცია გალია (ბრიტანეთი-თურთ) ჩააბარა.

უნდა ითქვას, რომ დასაწყისში იმპერიის ამგვარმა განაწილებამ საკურველი შედეგი გამოიღო — რომმა მტრები დაამარცხა, საზღვრებზე სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დროებითი იყო. დიოკლეტიანეს ჩანაფიქრი ერთი იყო, რეალობა კი — მეორე. მართლაც, მხოლოდ დიოკლეტიანე გამოდგა ის ერთადერთი მმართველი, რომელიც ოცი წლის შემდეგ — 305 წელს საკუთარი ნებით გადადგა და მას შემდეგ ხელისუფლებაში უკან აღარ დაბრუნებულა. დანარჩენებმა არც თანამდებობრივი იერარქია დაიცვეს და არც მმართველობის განსაზღვრულ ვადებს დასჯერდნენ. დიოკლეტიანეს გადადგომის შემდეგ ავგუსტუსებისა და კეისრების მმართველობა გამუდმებულ ქიშპობასა და შინაომებში წარიმართებოდა, მანამ, სანამ საბოლოოდ იმპერია სრულ ქაოსში არ გაახვიეს.

დიოკლეტიანეს ცოლი — პრისკა ქრისტიანი იყო და შვილსაც ქრისტიანული წესებით ზრდიდა. სხვათაგან ვალერია განსაკუთრებული სათნოებით გამოირჩეოდა. მაღალი ზნეობით შემკული ქალისთვის გალერიუსის ცოლობა იოლი არ გახლდათ. გალერიუსი უბრალო წარმომავლობის, გაუნათლებელი კაცი იყო, ამასთან ქრისტიანები სასტიკად სძულდა. როგორც

წყაროები გადმოგვცემენ, სიმამრს, დიოკლეტიანეს საკუთარი სიძის თურმე სასტიკად ეშინოდა. სანამ გალერიუსის დახასიათებას შემოგთავაზებდეთ, ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი. იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ქრისტეს რწმენის მიმდევრები სამწერლობო მოღვაწეობას შეუდგნენ, ერთსა და იმავე მოვლენის, თუ პიროვნების მიმართ, როგორც წესი, ორ განსხვავებულ შეფასებას ვხვდებით. ქრისტიანი ისტორიკოსი არაქრისტიანი ხელისუფლისადმი გაცილებით მკაცრია, მაშინ, როდესაც წარმართი ჟამთააღმწერელი, შესაძლოა, იმავე პიროვნების მიმართ მეტი ლმობიერებით გამოირჩეოდეს. გალერიუსის პიროვნების განსხვავებული შეფასება ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი ტიპიური ნიმუშია. ასე მაგალითად, ავრელიუს ვიქტორის აზრით, „თუმცა გალერიუსი უხეში ვინმე იყო, იგი ამასთან სამართლიანი ადამიანი გახლდათ და ქებასაც იმსახურებდა" (ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XL). მაშინ, როდესაც ქრისტიანი ისტორიკოსი ლაქტანციუსი იმავე გალერიუსს მკვეთრად უარყოფით პიროვნებად წარმოგვიდგენს: „გალერიუსისთვის მხეცის ველურობა და სისატიკე იყო ნიშანდობლივი, ისეთი, როგორიც რომაელებს საერთოდ არ ახასიათებდათ... გარეგნული იერი მის ხასიათს სავსებით შეესაბამებოდა. იგი მაღალი და უზომოდ გათქვირული კაცი იყო. დასასრულ, ხმით, ჟესტებით და მთელი თავისი გარეგნობით გალერიუსი ყველაში შიშსა და ძრწოლას იწვევდა" (ლაქტანციუსი, „მწვალებელთა სიკვდილის შესახებ", IX). დიოკლეტიანეს სიძე აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა და მეძავებსაც ხშირად სტუმრობდა. ვალერიასთვის განსაკუთრებით მძიმე იყო ქრისტიანების მიმართ საკუთარი ქმრის სასტიკი დამოკიდებულება, მათი დევნა. ამას ქრისტიანი ქალი ვერაფრით ვერ ეგუებოდა. და მაინც, ვალერია ყოველმხრივ ცდილობდა თავი ხელში აეყვანა და როგორც ძველები გადმოგვცემენ, იგი გალერიუსისთვის კარგი ცოლი იყოო. მათ შვილი არ ეყოლათ, ამიტომ ვალერიამ ქმრის უკანონო შვილი კანდიდიანუსი იშვილა და მას ღირსეული დედობა გაუწია.

ვალერია

304 წელს დიოკლეტიანეს მეფობის ოცი წელი შესრულდა. იმპერატორმა 20 წლის იუბილე რომში საზეიმოდ გადაიხადა. შემდეგ წელს კი, მიღებული შეთანხმების თანახმად, ორივე ავგუსტუსი ერთსა და იმავე დღეს — 1 მაისს მმართველობიდან გადადგა. დიოკლეტიანე მშობლიურ დალმატიაში, სალონეში გაემგზავრა და იქ, ვითარცა კერძო პირი, ისე ცხოვრობდა.

დიოკლეტიანეს ადგილი — გალერიუსმა დაიკავა, მაქსიმიანუს ჰერკულესის კი — კონსტანტიუს ქლორუსმა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მხოლოდ ერთი წელი იმეფა, 306 წელს იგი გარდაიცვალა. აი, მაშინ კი გაეხსნა ხელფეხი გალერიუსს, ხელისუფლება მთლიანად მოიგდო ხელთ და მრავალი უკანონო საქმეც ჩაიდინა. მას ხომ თავისი თავი მთელი სამყაროს ერთა-

დერთ მბრძანებლად მიაჩნდა. 308 წელს გალერიუსმა ყოველგვარი წესების დარღვევით თავისი ძველი მეგობარი ლიცინიუსი ავგუსტუსად დაასახელა, ხოლო მომდევნო წელს ავგუსტუსის ტიტული ასევე უკანონოდ თავის დისშვილს — მაქსიმინუს დაზას უბოძა. ასე აღმოჩნდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ერთდროულად სამი ავგუსტუსი. სიმშვიდე არც დასავლეთ ნაწილში სუფევდა, არც აქ უჩიოდნენ ავგუსტუსთა სიმცირეს. შედეგი მკითხველისთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ამდენი უმაღლესი ხელისუფლის ხელში, რომლებიც ერთმანეთს არათუ არ ეთათბირებოდნენ, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდნენ, რომის იმპერია შინაომების ასპარეზად, მათი პოლიტიკური ამბიციების პოლიგონად გადაიქცა.

გადიოდა დრო. გალერიუსი უკურნებელი სენით დაავადდა. იმპერატრისა ვალერია მეუღლის სარეცელს წუთითაც არ სცილდებოდა, ცდილობდა, ავადმყოფი ქმრისთვის ტკივილი და ტანჯვა რამენაირად შეემსუბუქებინა. მაგრამ იმპერატორს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. 311 წელს გალერიუსი გარდაიცვალა. მისი იმპერიაც შესაბამისად ორ ავგუსტუსს — გალერიუსის დისშვილს მაქსიმინუს დაზასა და მის ძველ მეგობარს ლიცინიუსს გადაეცა. ნამდვილად ბედის დაცინვა გახლდათ ის, რომ ორივე მათგანი, რომლებსაც, როგორც აღვნიშნეთ, მათი ტიტულები თავად გალერიუსმა უბოძა, განსაკუთრებული სისასტიკით მოეპყრო ვალერიას, მათი მწყალობლის ქვრივს. თუმცა თითოეულს ამგვარი საქციელისთვის თავისი მიზეზი ჰქონდა.

გალერიუსი ახალი გარდაცვლილი იყო, როცა მაქსიმინუს დაზას გული ახალგაზრდა ქვრივზე — ვალერიაზე შეუვარდა. არ დაგვავინყდეს, რომ განსაცვიფრებელი სილამაზის ვალერია მისი ბიცოლა გახლდათ. მაღალი ზნეობით გამორჩეული ქალისთვის მაქსიმინუსის გრძნობები სრულიად მიუღებელი იყო. ამ ახალგაზრდა კაცში ვალერია, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქმრის დისშვილს ხედავდა და სერიოზულად ვერც კი აღიქვამდა ახლადმოვლენილი ავგუსტუსის გულისთქმას. მის ქმარსაც ხომ დაზა საკუთარ შვილად მიაჩნდა. ამას გარდა, ქალისთვის მაქსიმინუს დაზა პიროვნულადაც უცხო იყო. შედარებით მშვიდი ზნის იმპერატორი ღვინოს განსაკუთრებით ხარბად ეწაფებოდა ხოლმე და აი, მაშინ გონებაარეული სასტიკ განკარგულებებს გასცემდა. გამოფხიზლებული კი თავის სიმხეცეს ძალზე განიცდიდა თურმე (ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XL). ლაქტანციუსის ცნობით, მაქსიმინუს დაზა უმეცარი და სასტიკი ადამიანი იყო (ლაქტანციუსი, „მწვალებელთა სიკვდილის შესახებ", XIX). თავდაპირველად დაზას არც კი სურდა დაეჯერებინა, რომ მისი — იმპერატორის სიყვარული უარყვეს. იგი მაინც თავისას ცდილობდა, ამიტომაც გასცილდა მეუღლეს და ვალერიას ცოლობა შესთავაზა. ვალერიას უკანდასახევი გზა მოეჭრა და მაქსიმინუსს მან საბოლოო უარი განუცხადა.

უარყოფილი იმპერატორი საშინლად განრისხდა. მან ურჩი ქალი სასტიკად დასაჯა. იმპერატრისას მთელი ქონება ჩამოართვა, მის ახლობლებს კი ათასგვარი ბრალდება წაუყენა. მაგრამ არც ეს იკმარა, ვალერია და დედამისი დაატყვევა. დასაწყისში უბედური ქალები სირიის რომელიღაც მივარდნილ სოფელში პყავდათ გამოკეტილი, შემდეგ კი ერთი ადგილიდან მეორეში გადაპყავდათ და წანწალში ხდიდნენ სულს.

ვალერიას მამა — იმპერატორობიდან გადამდგარი დიოკლეტიანე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სალონეში თავის გემოზე ცხოვრობდა. როდესაც მას შეატყობინეს, თუ როგორ მოექცა მაქსიმინუს დაზა მის ცოლ-შვილს, ყოფილი იმპერატორი სასტიკად აღშფოთდა. ვის ვის და დიოკლეტიანეს კარგად ახსოვდა, რომ ყველასთვის უცნობი დაზა დიოკლეტიანემ სნორედ გალერიუსის დაჟინებული მოთხოვნით გამოაცხადა კეისრად. მოხუცმა თავმოყვარეობა დაივიწყა და დაზას შეევედრა, მისი ცოლ-შვილი გაეთავისუფლებინა. ამაოდ. მას ხომ იმხანად არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა, ამიტომაც მის თხოვნას ბარბაროსმა მაქსიმინუს დაზამ ყურიც არ ათხოვა. თავისი შექმნილი სისტემა დიოკლეტიანეს თავისსავე საპირისპიროდ შემოუტრიალდა.

ამასობაში მოვლენები იმპერიაში დრამატულად განვითარდა. აღმოსავლეთი ნაწილის ორმა ავგუსტუსმა — დაზამ და ლიცინიუსმა ხელისუფლება ვერ გაიყვეს. დაზამ ლიცინიუსს ომი გამოუცხადა, მაგრამ დამარცხდა, ბრძოლის ველიდან გაიქცა და გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა (313 წ.). დაზას გარდაცვალების შემდეგ ტყვეებზე — ვალერიასა და პრისკაზე ზედამხედველობა, ეტყობა, შესუსტდა. პატიმრებმა გაქცევა მოახერხეს. ისინი ლიცინიუსთან ჩავიდნენ. ახლა წესით მათ ტანჯვას ბოლო უნდა მოღებოდა — ლიცინიუსი ხომ გალერიუსის მეგობარი იყო, მისი წყალობით აღზევებული. ლტოლვილები ლიცინიუსმა თავდაპირველად კარგად მიიღო. მაგრამ საუბედუროდ, იგი დაზაზე კეთილშობილი არ აღმოჩნდა. ბუნებით ეჭვიანი ლიცინიუსი მაქსიმინუსზე ნაკლები ბარბაროსი როდი იყო. მას კიდევ უფრო მძიმე და სასტიკი ზნე ჰქონდა. „სიხარბით ლიცინიუსი ყველას აღემატებოდა, არც ძალაუფლების წრეგადასული სიყვარული იყო უცხო. პირქუშ და გულფიცხ ლიცინიუსს გამორჩეულად სძულდა მეცნიერება, რომელსაც თავისი უზომო უცოდინრობის გამო საზოგადოების ჭირს და საწამლავს ეძახოდა" — ასე ახასიათებს მას სხვა ისტორიკოსებთან შედარებით ლმობიერი და ზომიერი ავრელიუს ვიქტორი (ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XLI). როგორც ძალაუფლებისმოყვარე და იმავდროულად ეჭვიან ადამიანებს ახასიათებთ, ლიცინიუსს მუდმივად ელანდებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას ტახტიდან გადმოაბრძანებდნენ. ალბათ, ამიტომაც აითვალწუნა ვალერიასთან ერთად მის კარს შეკედლებული კანდიდიანუსი — ვალერიას შვილობილი. ლიცინიუსმა მასში

მომავალი მეტოქე დაინახა. მალე მასთან დაპირისპირების მიზეზიც იპოვა — კანდიდიანუსი ჩემს მიმართ მტრულად არის განწყობილიო, განაცხადა და მისი მოკვლის ბრძანება გასცა. ამასთან დასძინა, რომ კანდიდიანუსი მარტო არ იყო — მის წინააღმდეგ შეთქმულებას ვალერია და პრისკაც აწყობდნენ. დედა-შვილს სიკვდილი მიესაჯათ.

ვალერია და პრისკა გაიქცნენ. თერთმეტი თვის განმავლობაში ისინი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადიოდნენ და გადაცმულები ლიცინიუსის გამოგზავნილ მდევრებს ემალებოდნენ. ბოლოს ლიცინიუსის მსტოვრებმა ლტოლვილები თესალონიკში შეიპყრეს, დედა-შვილს თავები მოჰკვეთეს, ცხედრები კი ზღვაში გადაყარეს.

შენიშვნები:

[1] დიოკლეტიანე — 284-305 წწ. ჩვენ მიერ მოთხრობილ ე.წ. „ანტონინუსთა დინასტიის" შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. ანტონინუსთა დინასტია სეევერუსთა დინასტიამ შეცვალა (193-238 წწ.), ეს უკანასკნელი კი ე.წ. „ჯარისკაცთა იმპერატორების" მმართველობის ეპოქამ. იწყება იგი გორდიანუს I (238 წ.) და გრძელდება, ვიდრე დიოკლეტიანემდე (284 წ.). „ჯარისკაცთა იმპერატორები" პირობითი სახელია. „ჯარისკაცთა იმპერატორობის" ხანა რომის იმპერიის იმ პერიოდს მოიცავდა, როცა უმაღლესი ხელისუფალნი ხდებოდნენ არა მემკვიდრეობითი წესით, ან შვილად გამოცხადების საფუძველზე, არამედ ჯარის მოთხოვნით და მასზე დაყრდნობით. დიოკლეტიანეც, შეიძლება, „ჯარისკაცთა იმპერატორად" მივიჩნიოთ, რამეთუ იგი სასახლის ჯარების მეთაური — იმპერატორად არმიამ გამოაცხადა (284 წ.), მაგრამ რადგან დიოკლეტიანემ მმართველობის ახალი სისტემა შემოიღო, მისი მმართველობა რომის ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისად მოიაზრება.
დიოკლეტიანეს ნამდვილი სახელი იყო დიოკლე. წარმოშობით იგი ილირიელი, თუ დალმატინელი აზატის შვილი გახლდათ. შემდგომში მას რომაული წესის მიხედვით დიოკლეტიანუსი ეწოდა — C. Valerius Aurelius Diocletianus. ტეტრარქიის შემოღების გარდა, მისი მმართველობის დროს სახელმწიფო სისტემის კიდევ ერთ

მნიშვნელოვან ცვლილებას აქვს ადგილი. პრინციპატი — სახელმწიფო ხელისუფლების ფორმა იცვლება დომინანტით (ლათინური სიტყვიდან დომინუს — ბატონი). ეს ნიშნავდა იმას, რომ ის მონარქია, რომელიც ფაქტობრივად მთელი III საუკუნის განმავლობაში არსებობდა, დიოკლეტიანეს დროს გათავისუფლდა პრინციპატის უკანასკნელი გადმონაშთისაგან — რესპუბლიკურის გარეგნული ფორმისგან და ამიერიდან წმინდა სახის დომინანტად მოგვევლინა. ა.მ. აღსანიშნავია, რომ, როდესაც ჯარებმა იმპერატორად კარუსი გამოაცხადეს (282-283 წწ.), მან არც კი მიმართა სენატს, როგორც ეს მანამდე ხდებოდა, რომ მისი ტიტული სენატს ოფიციალურად დაემტკიცებინა. ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის დაკარგვით სენატი სახელმწიფო დაწესებულებიდან ფაქტობრივად უბრალო საქალაქო საბჭოდ გადაიქცა. იმპერატორის კარზე აღმოსავლური წეს-ჩვეულებები დამკვიდრდა. იმპერატორს ამიერიდან ეთაყვანებოდნენ, როგორც ბატონს და როგორც ღმერთს. დიოკლეტიანე შეიმოსა პორფირით, ფარჩისა და აბრეშუმის სამოსით, თავი ძვირფასი ქვებით მოირთო. სასახლის კარზე ცერემონიები წარიმართებოდა აღმოსავლური ეტიკეტის შესაბამისად — მეფის წინაშე ქვეშევრდომები პირქვე ემხობოდნენ და მისი ტანსაცმლის კიდეებს კოცნიდნენ.

[2] ტეტრარქიის დასაწყისად ერთხმად მიიჩნევენ დიოკლეტიანეს გამეფებას — 284 წელს. ტეტრარქიის პერიოდის მმართველნი არიან: დიოკლეტიანე და მაქსიმიანუს ჰერკულესი, კონსტანტიუს I ქლორუსი და გალერიუსი, ფლავიუს სევერუსი, მაქსენციუსი, ლიცინიუსი, მაქსიმინუს დაზა. კონსტანტინე I მმართველად გამოცხადებიდან — 306 წ-დან ახალი დინასტიის ათვლას იწყებენ, რომელსაც ფლავიუსთა II დინასტია, ან კონსტანტინეს დინასტია ეწოდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ 306 წელს კონსტანტინე იმპერიის ერთმმართველი ჯერ არ არის, როგორც აღვნიშნეთ, იმპერიას ამ პერიოდში რამდენიმე ავგუსტუსი მართავს (გალერიუსი — 305-311; მაქსენციუსი — 306-312; ლიცინიუსი — 308-324; მაქსიმინუს დაზა — 309-313). კონსტანტინე I ერთმმართველობა, ფაქტობრივად, 324 წლიდან იწყება.

ზენობია

„ზენობია აღმოსავლეთის ყველაზე გამოჩენილი ქალი გახლდათ. კორნელიუს კაპიტოლინუსის მტკიცებით, იგი ქალთა შორის ყველაზე ლამაზი ყოფილა“ — აი, ასეთია ის მოკლე დახასიათება, რომელსაც მის შესახებ ავგუსტუსების ცხოვრებათა ერთ-ერთი ჟამთააღმწერელი ტრებელიუს პოლიონი გვთავაზობს (აცა, „ოცდაათი ტირანი“, XV, 8).

და მართლაც ზენობია საკვირველი ქალი იყო. ჯერ ერთი — იგი თავად განაგებდა თავის სამეფოს, მეორეც, თავის მთავარსარდლებთან ერთად საკუთრივ წარმართავდა საომარ ოპერაციებს. ზენობიას მოღვაწეობას და მის გამორჩეულ პიროვნებას აღფრთოვანებაში მოუყვანია უკვე მისი თანამედროვე მსოფლიო. საბედნიეროდ, ამ ქალს ხშირად მოიხსენიებენ ანტიკური წყაროები, რომლებიც საგულისხმო ცნობებს გვანვდიან არა მარტო ზენობიას ცხოვრების და მოღვაწეობის, არამედ მისი პიროვნების შესახებაც. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია მკითხველს წარმოვუდგინოთ თავად ანტიკური სამყაროს თვალით დანახული სახელმწიფოს მმართველი ქალის პორტრეტი, რომელიც, ვფიქრობთ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ანტიკურ სამყაროს ქალთა გალერეაში.

და მაინც ვინ იყო ზენობია?

267-271/272 წწ-ში იგი აღმოსავლეთში პალმირას სამეფოს[1] განაგებდა. მისი წარმომავლობის შესახებ დაზუსტებით ლაპარაკი ჭირს, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ზენობია არაბული წარმოშობისა იყო. არამეულ ენაზე მას „ბატ ზაბბაი“ ეწოდებოდა. ვიცით მისი რომაული სახელიც. ზენობია — თავდაპირველად იულია ავრელია ზენობიად, მოგვიანებით კი სეპტიმია ზენობიად იწოდებოდა. შესაძლოა, რომ ზენობიას მამა იყო სწორედ ის იულიუს ავრელიუს ზენობიუსი, რომელიც რომის იმპერატორ ალექსანდრე სევერუსთან[2] ერთად სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდა. მისი ქმარი პალმირას მეფე — ოდენატუსი იყო. თავად ზენობია თავს კლეოპატრას შთამომავლად მიიჩნევდა.

პალმირას დედოფალი განსაცვიფრებელი სილამაზის ქალი გახლდათ. „კანის ფერით ზენობია უფრო შავგვრემანი იყო. მისი შავი თვალები არაჩვეულებრივი სიკაშკაშით ბრწყინავდნენ. სული მისი — ღვთაებრივი იყო, მომხიბლაობა — წარმოუდგენელი. მისი ქათქათა კბილები ისე ელავდნენ, რომ ბევრს ეგონა, ზენობიას კბილები კი არა, მარგალიტები ჰქონდა ჩასმული. მისი ხმა მკაფიო და მამაცური იყო (აცა, „ზენობია", XXX, 15).

ზენობიას ქმარს — ოდენატუსს ანტიკური ისტორიკოსები ზოგჯერ ე.წ. ოცდაათ ტირანთა რიცხვს მიაკუთვნებენ, რომლებიც ახ.წ. III საუკუნის შუა წლებში რომის იმპერიაში ასე მომრავლდნენ. თუმცა ხელისუფლების ამ უზურპატორთა შორის ოდენატუსი მაინც გამოირჩეოდა, რამეთუ რომმა ბოლოს მისი ძალაუფლება ოფიციალურად აღიარა. რაც შეეხება ოდენატუსის წარსულს, ვიცით მხოლოდ ის, რომ ისიც არაბული წარმომავლობის იყო და ვითარცა არაბთა მეთაური, რომის წინააღმდეგ იბრძოდა. შემდეგ ოდენატუსმა თავისი პოლიტიკური სიმპათიები რადიკალურად შეცვალა და რომაელებს მიემხრო.

ამ დროს სპარსთა მეფე საპორი (შაპური) განუწყვეტლივ ავიწროებდა რომის იმპერიას, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს უტევდა. ვითარცა რომელთა მოკავშირემ, ოდენატუსმა იმპერიის ამ ნაწილთა დაცვა თავის თავზე აიღო და საქმეს წარმატებულადაც გაართვა თავი. რომ არა ოდენატუსი, რომის იმპერია თავისთვის ესოდენ მნიშვნელოვან აღმოსავლეთის პროვინციებს, ალბათ, დაკარგავდა კიდეც. ამასობაში ოდენატუსმა პალმირას მეფის ტიტული მიიღო. მისი ამბიციები უფრო გაიზარდა. მან გადაწყვიტა, სპარსეთის შემოსევათაგან კი არ დაეცვა თავი, არამედ მათ წინააღმდეგ თავად გაელაშქრა. ოდენატუსმა შეკრიბა ჯარი და თავის ცოლთან — ზენობიასთან ერთად სპარსელთა წინააღმდეგ დაიძრა. ლაშქრობა ერთობ წარმატებული აღმოჩნდა. 261 წელს მდინარე ევფრატზე მათ სპარსთა მეფეს სასტიკი დამარცხება აგემეს და საპორს გაქცევა აიძულეს. შემდეგ ისინი დაედევნენ დამარცხებულებს, გზად ტყვედ აიყვანეს მეფის მხევლები და საკმაოდ დიდი ტერიტორია — ვიდრე ქტესიფონამდე სპარსელებისგან განმინდეს. ეს დიდი გამარჯვება იყო და საკმაოდ ძნელიც. ქვეყნის რელიეფი და ბუნებრივი პირობები სპარსელების საუკეთესო მოკავშირე იყო. ბევრ მტერს სწორედ მათ აგემეს დამარცხება. სპარსეთის მიწაზე თაკარა მზისა და უდაბნოს მტვრის ატანას დიდი ფიზიკური გამძლეობა ესაჭიროებოდა. ამჯერად სპარსელებს ისეთი მოწინააღმდეგე შეხვდათ, რომელიც ასეთ გარემოს მშვენივრად ეგუებოდა. დიდი ფიზიკური ამტანობის მქონე ოდენატუსი ბავშვობიდან მიჩვეული იყო ტყეში და მთაში ცხოვრებას, ნადირობის ჟინით ანთებულმა, მან კარგად იცოდა, თუ როგორ გამკლავებოდა რთულ ბუნებრივ პირობებს.

საინტერესოა, რომ ზენობიაც, რომელიც ამ უმკაცრეს პირობებში ქმრის მხარდამხარ იბრძოდა, ამ გასაჭირთა დათმენას ასევე ჩვეული იყო. ბევრის აზრით, იგი ლაშქრობაში ოდენატუსზე გაბედულიც კი იყო (აცა, „ოდენატუსი", XV, 8).

ცოლ-ქმრის წარმატებულ სამხედრო კამპანიებს რომის იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა უკვე შეიძლებოდა, რომ რომს თავისი აღმოსავლეთი საზღვრები მეტ-ნაკლებად დაცულად ჩაეთვალა. რომის იმპერატორმა გალიენუსმა პალმირას მეფის დამსახურება აღიარა და 265 წელს ოდენატუსს ავგუსტუსის ტიტული უბოძა, რითაც ოდენატუსი გალიენუსის თანამმართველად ოფიციალურად გამოცხადდა. მაგრამ ეს ახალი ტიტული ოდენატუსისთვის დღეგრძელი არ აღმოჩნდა. მისმა ავგუსტუსად ყოფნამ მხოლოდ ორ წელს გასტანა, შემდეგ კი ოდენატუსი მოკლეს. ტრადიცია ოდენატუსის და ზენობიას საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა და მეფის მკვლელობას ღმერთების მიერ რომისთვის მოვლენილ რისხვად თვლიდა. „თქმა არ უნდა, რომ ოდენატუსს თავის ცოლთან ზენობიასთან ერთად შეეძლო წესრიგი დაემყარებინა არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოს ყველა სხვა ნაწილში. აღმოსავლეთში მან უწინდელი მდგომარეობა აღადგინა“ (აცა, „ოცდაათი ტირანი“, XV, 7). როგორ ვხედავთ, ქალის ღვაწლს — მისი ქმრის — იმპერატორის ღვაწლის თანასწორ აფასებენ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი შეფასებები ერთობ უპრეცენდენტო მოვლენაა ანტიკური სამყაროს ისტორიაში.

ოდენატუსის მკვლელობის შემდეგ მმართველობა ხელში ზენობიამ აიღო. მაშინ, როდესაც გალიენუსი უკანასკნელი ნაძირალასავით ცხოვრობდა, ისტორიკოსთა შეფასებით „იმპერიას მშვენივრად მართავდნენ ქალები, და თანაც უცხოელები. უცხოელმა ქალმა, სახელად ზენობიამ, რომელიც ამაყობდა იმით, რომ კლეოპატრასა და პტოლემაიოსის შთამომავალი იყო, ქმრის გარდაცვალების შემდეგ თავზე გვირგვინი დაიდგა, მხარზე იმპერატორის სამხედრო მოსასხამი მოიცვა და დიდონას სამოსში გამოწყობილი თავისი შვილების სახელით ქვეყანას უფრო მეტხანს მართავდა, ვიდრე ეს ქალთა მოდგმას შეეფერებოდა“ (აცა, „ზენობია“, XXX, 1-2). მაგრამ ახლა პალმირას მიმართ რომის დამოკიდებულება შეიცვალა. იმპერატორმა გალიენუსმა აღარ მოისურვა პალმირას მმართველთან და მით უმეტეს ქალთან მმართველობის გაყოფა და დედოფლის წინააღმდეგ თავისი მთავარსარდალი ჰერაკლინუსი გაგზავნა. რომაელი მხედართმთავრის არმია დედოფალმა დაამარცხა, მეტიც — გაანადგურა.

ამასობაში ზენობიამ, რომელიც სახელმწიფოს ფაქტობრივი მმართველი იყო (ოფიციალურად ოდენატუსის დაღუპვის შემდეგ პალმირას მმართველობა მისი შვილის — ვაბალატუსის ხელში გადავიდა), გადაწყვიტა, ახალი ტერიტორიები დაეპყრო. 269-270 წწ-ში ჩატარებული სამხედრო ლაშქრობებით მან პალმირას სამეფოს მესოპოტამიის, სირიის, არაბეთის და ეგვიპტის ნაწილი შემოუმატა. ჩრდილოეთით ზენობია ანკირამდეც[3] კი მივიდა. ახლა რომს ზენობიასთვის არ ეცალა. ამასთან კლავდიუს II გოთიკუსი, რომელიც ტახტზე გალიენუსის შემდეგ ავიდა, ჭკვიანი კაცი იყო და სავსებით სწორად მიაჩნდა, რომ პალმირაზე უწინ იმპერიას სხვა, უფრო საშიში მტრები ჰყავდა დასამარცხებელი. ის მდგომარეობა, რომელიც რომის სახელმწიფოში შეიქმნა, ზენობიას პოლიტიკისთვის ფრიად კეთილისმყოფელი აღმოჩნდა.

ზენობია

ზენობიას მხოლოდ ტერიტორიების შემატება არ აინტერესებდა, დედოფალი ამავე დროს თავისი სამეფოს აღშენებასა და განმტკიცებაზე ზრუნავდა. საქარავნო გზაზე მდებარე ძველი პალმირა უძვირფასესი ტაძრებით მოირთო და კეთილმოწყობილი ქუჩებით და ნაგებობებით გაშენდა. ზენობიას მმართველობის დროს პალმირას ელინისტური მონარქია მთელი აღმოსავლეთის კულტურულ და სავაჭრო მეტროპოლიად იქცა. თუ აქამდე ჩვენ უმთავრესად ზენობიას სამხედრო და პოლიტიკურ ნიჭიერებაზე ვლაპარაკობდით, ახლა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზენობია განათლებული მონარქი იყო. იცოდა ბერძნული და ლათინური ენები, თუმცა ლათინური უჭირდა. სრულყოფილად ფლობდა ეგვიპტურ და სირიულ ენებს. ზენობია იმდენად განსწავლული ყოფილა აღმოსავლეთის ისტორიაში და ისე ზედმიწევნით და ღრმად სცოდნია ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობაც, რომ, როგორც ამბობენ, მას ალექსანდრე დიდის ცხოვრების შემოკლებული ვარიანტიც კი დაუწერია. რომის ისტორიას ზენობია ბერძნულად კითხულობდა (აცა, „ზენობია", XXX, 21). განათლებულ ქალს კარგად ესმოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, სამეფო კარზე იმ დროის ინტელექტუალები მოეზიდა და ამით ხელსაყრელი გარემო შეექმნა პალმირაში მეცნიერების და ხელოვნების აყვავებისთვის. პალმირას სამეფო კარზე ზენობიას მოწვევით იმყოფებოდა გამოჩენილი ფილოსოფოსი — კასიუს ლონგინუსი (სწორედ იგი ასწავლიდა დედოფალს ბერძნულ ლიტერატურას).

ამასობაში იმპერატორი კლავდიუს გოთიკუსი გარდაიცვალა. რომის ტახტზე ავრელიანუსი ავიდა. ახალმა იმპერატორმა ზენობიას შვილს — ვაბალატუსს 270 წელს აღმოსავლეთის მმართველობა ოფიციალურად გადასცა. მაგრამ ზენობიას ეს არ აკმაყოფილებდა, ამიტომაც 271 წელს მან თავისი ვაჟიშვილი ავგუსტუსად გამოაცხადა, თავისი თავი კი ავგუსტადეს, ფაქტობრივად, პალმირას სამეფოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავდა. რომი ამას ზენობიას არ დაუთმობდა. თანაც, იმპერიის სათავეში ახლა ახალი იმპერატორი იდგა, რომელიც თავისი სამხედრო ნიჭით უკვე სახელგანთქმული იყო. ამავე დროს ავრელიანუსი არც თუ ურიგო პოლიტიკოსი გახლდათ.

და აი, 271 წელს რომის იმპერატორმა ზენობიას წინააღმდეგ საკმაოდ რთული ომი წამოიწყო. მცირე აზია ავრელიანუსმა შედარებით უმტკივნეულოდ იგდო ხელთ. პალმირას დედოფალს გადამწყვეტი ბრძოლა მან ემესას მისადგომებთან გაუმართა, მოწინააღმდეგე დაამარცხა და გააქცია (წყაროები ზენობიას გვერდით მოიხსენიებენ ზაბდას — ზენობიას მხედართმთავარს, თუ მოკავშირეს). ამის შემდეგ ავრელიანუსი დედოფლის რეზიდენციის — პალმირას ასაღებად გაემართა.

გზა პალმირასაკენ ძალიან ძნელი აღმოჩნდა, სხვა სირთულეებს ემატებოდა ყაჩაღების გაუთავებელი პარტიზანული თავდასხმები. აი, რას წერდა თავად იმპერატორი ამ ომის შესახებ ერთ-ერთ წერილში: „რომაელები ახლა ლაპარაკობენ, რომ მე ომს ქალის წინააღმდეგ ვაწარმოებ, თით-

ქოს მხოლოდ ერთი ზენობია მებრძოდეს და ისიც მებრძოდეს მხოლოდ თავისი ძალებით, არა, აქ იმდენი მტერია, რომ იფიქრებდით, ვითომც მე ალყაში მამაკაცის მოქცევა მიხდებოდეს. მაგრამ მოწინააღმდეგეს ქალი მართავს. გადმოცემაც კი შეუძლებელია, თუ რა ხდება აქ — რამდენი ისარი, შუბი, ქვა აქვთ. ანდა როგორი საომარი აღჭურვილობა. კედელზე ერთი ადგილიც კი არაა, რომ ორი ან სამი ბალისტი არ იყოს დადგმული... თუმცა რა საჭიროა მეტის მოყოლა? ზენობიას ეშინია, როგორც ქალს და იბრძვის, როგორც კაცი, რომელიც დასჯას უფრთხის" (აცა, „ავრელიანუსი", XXVI, 2). ჟამთააღმწერელი შენიშნავს, რომ ამ წერილში იმპერატორი თავის სიამაყეს ივინყებს და აღიარებს იმ სირთულეებს, რომლის გადატანაც მას — მამაკაცს ქალის წინააღმდეგ ომის დროს უხდებოდა.

ომით გამწარებულმა და დაღლილმა იმპერატორმა ზენობიას წერილი გაუგზავნა. იგი დედოფალს დანებებას და სიცოცხლის შენარჩუნებას სთავაზობდა: „ავრელიანუსი, რომის სახელმწიფოს იმპერატორი, რომელმაც აღმოსავლეთი ბრძოლით დაიბრუნა, მიმართავს ზენობიას და ყველა სხვას, ვინც მასთან ერთად იბრძვის.

თქვენ თავად უნდა გაგეკეთებინათ ის, რასაც ახლა თქვენგან ამ წერილში მოვითხოვ.

მე გიბრძანეთ დამნებდეთ და გპირდებით, რომ სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ. ამასთან შენ, ზენობია, შენიანებთან ერთად იცხოვრებ იქ, სადაც ბრწყინვალე სენატის გადაწყვეტილებით მე მოგათავსებ. ძვირფასი ქვები, ოქრო, ვერცხლი, აბრეშუმი, ცხენები და აქლემები რომის სახელმწიფოს ხაზინას უნდა გადასცეთ. პალმირას მცხოვრებლებს თავიანთი უფლებები შეუნარჩუნდებათ".

როდესაც ზენობიამ წერილი მიიღო, მან რომის იმპერატორს უფრო ამაყად და დიდგულად უპასუხა, ვიდრე ამის უფლებას მისი მდგომარეობა აძლევდა. ცხადია, იმისთვის, რომ მტერი დაეშინებინა. ყოველი შემთხვევისთვის, ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ამბავს იმპერატორის ჟამთააღმწერელი.

„ზენობია — ალმოსავლეთის დედოფალი — ავრელიანუს ავგუსტუსს.

არავის, შენს გარდა, აქამდე წერილით არ უთხოვია ჩემთვის ის, რასაც შენ მოითხოვ. ომში ყველაფერს სიმამაცე წყვეტს. მთავაზობ დაგნებდე, თითქოს არ იცოდე, რომ დედოფალმა კლეოპატრამ განურჩეველ პატივში ცხოვრებას სიკვდილი არჩია. სპარსელები უარზე არ არიან ჩემს დასახმარებლად ჯარი გამოაგზავნონ. ჩვენც მათ ველოდებით. ჩვენს მხარეს არიან სარკინოზები, ჩვენს მხარეს არიან სომხები. შენი ჯარი კი, ავრელიანუს, სირიელმა ყაჩაღებმა დაამარცხეს. და მერე რა? ის, რომ თუ შეგროვდება ყველა სამხედრო ძალა, რომელსაც ყოველი მხრიდან ველოდებით, მაშინ შენ მოგიწევს უარი თქვა იმ მედიდურობაზე, რომლითაც ახლა დამორჩილებას მიბრძანებ, თითქოსდა შენ მართლაც საბოლოოდ გამარჯვებული იყო".

ალყაშემორტყმული დედოფლისგან ამგვარი წერილის მიღებამ ავრე-

ზენობია

ლიანუსი არ შეაშფოთა. გაბრაზებულმა მან დაუყოვნებლივ შეკრიბა თავისი ჯარი და პალმირა ყოველი მხრიდან ალყაში მოაქცია. იმპერატორმა სპარსელების დამხმარე ძალები გზად დაიჭირა, სომხების და სარკინოზთა ცხენოსანი რაზმები კი მოისყიდა და თავის მხარეზე გადმოიბირა. „და ბოლოს, მას შემდეგ, რაც დიდი ძალები გამოიყენა, იმპერატორმა დაამარცხა ეს ყველაზე ძლევამოსილი ქალი ქალთა შორის" (აცა, „ავრელიანუსი", XXVIII, 2).

მაშინ დამარცხებული ზენობია გაიქცა. აქლემზე ამხედრებული დედოფალი სპარსელებთან მირბოდა, როცა იგი გზაში მდევრებმა შეიპყრეს. პალმირას დედოფალი რომის იმპერატორს მიჰგვარეს. ჯარი ზენობიას სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, მაგრამ ავრელიანუსმა დედოფალი არ გაასამართლა. ჯერ ერთი, იგი უღირს საქციელად მიიჩნევდა, რომ ქალი სიკვდილით დაესაჯა, მეორეც — მას ზენობია რომში სჭირდებოდა, მაშინ, როდესაც გამარჯვების აღსანიშნავად ტრიუმფს გამართავდა.

მაგრამ იმპერატორმა სიკვდილით დასჯა ყველა ის, ვისი ნაქეზებითაც ამ ქალმა ომი წამოიწყო. სხვებთან ერთად იმპერატორის ბრძანებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ფილოსოფოს ლონგინუსს, რადგან ამბობდნენ, რომ მედიდური ტონით აღსავსე წერილი დედოფალმა სწორედ მისი რჩევით დაწერაო.

მოგვიანებით ავრელიანუსმა რომის მოწინააღმდეგენი დასავლეთშიც დაამარცხა, გალია და ესპანეთი ისევ შემოუერთა იმპერიას და 274 წელს რომში დიდი ხნის ნანატრი, გრანდიოზული ტრიუმფი გადაიხადა. მისი ჟამთააღმწერელი სიამაყით, დიდი მონდომებით და ამასთან დეტალურად აღგვიწერს ამ უდიდეს სანახაობას, რომელიც მართლაცდა წარმოუდგენელი პომპეზურობით გამოირჩეოდა. ტრიუმფში მონაწილეობას იღებდნენ ოცამდე ტომის რჩეული პირები, რომლებიც თავისი ლაშქრობის დროს ავრელიანუსს ტყვედ ჰყავდა აყვანილი. მაგრამ მათ შორის ორი ადამიანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი — გალების თვითმარქვია იმპერატორი ტეტრიკუსი და პალმირას მბრძანებელი — ზენობია.

ზენობიას გამოსვლა ისეთი დიდებული სანახაობა იყო, როგორიც რომაელებს აქამდე არ ენახათ. ეს ულამაზესი ქალი უზარმაზარი ძვირფასი ქვებისაგან გაკეთებული სამკაულებით იყო მორთული, სამკაულები კი, თურმე ისეთი მოზრდილი ყოფილა, რომ მათი სიმძიმე თავად ზენობიასაც კი წყვეტდა წელში. ამბობდნენ იმასაც, რომ ეს ფიზიკურად ძლიერი ქალი ხშირად ჩერდებოდა, რადგან ამ ძვირფასი ტვირთის ტარება მეტად უმძიმდა. ამასთან, ზენობიას ფეხებზე ოქროს ხუნდები ედო, ხელებზე კი ოქროსვე ჯაჭვები ჰქონდა ასხმული. კისერზეც კი ეკიდა ოქროს ჯაჭვი, რომელიც იმდენად მძიმე იყო, რომ იგი დედოფლის წინ მიმავალ სპარსელ ხუმარას მიჰქონდა (აცა, „ოცდაათი ტირანი", XXX, 24-26).

იმპერატორმა ავრელიანუსმა ზენობიას სიცოცხლე აჩუქა და რომის შემოგარენში ტიბურთან ახლოს მამული უბოძა. თუმცა ამის შემდეგ ზენობიას დიდი ხანი აღარ უცოცხლია.

სხვათა შორის ყოფილან ისეთებიც, რომლებიც საყვედურობდნენ ავრელიანუსს იმას, რომ მან თავის ტრიუმფზე ქალი გამოიყვანა, თითქოს ეს ქალი ვინმე სახელოვანი მთავარსარდალი ყოფილიყო.

მაშინ მათ საპასუხოდ იმპერატორმა სენატს წერილი გაუგზავნა, რომელშიც იგი თავის საქციელს განმარტავდა: „სენატორნო, ჩემამდე მოვიდა ხმები, თუ როგორ მძრახავენ მე იმის გამო, რომ ტრიუმფში ზენობიას მივაღებინე მონაწილეობა, რადგან ტრიუმფზე ქალის გამოყვანა, მათი აზრით, მამაკაცის საკადრისი საქმე არ იყო. სინამდვილეში კი ჩემი დამძრახავნი, თავად ვერც კი შეძლებდნენ შესაფერისი საქებარი სიტყვების მოძებნას, რომც იცოდნენ, როგორი ქალია ზენობია, როგორი გონივრულია მისი გეგმები თუ ჩანაფიქრნი, რომ იცოდნენ, როგორი მტკიცე და ურყევი არის ეს ქალი განკარგულებათა გაცემის დროს, როგორი მომთხოვნია თავის ჯარისკაცთა მიმართ, როგორი გულუხვია, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს და როგორი უმოწყალოა, როცა სიმკაცრეა საჭირო. მე ისიც კი შემიძლია ვთქვა, ზენობიას დამსახურება იყო ოდენატუსმა სპარსელები რომ დაამარცხა, გააქცია მათი მეფე და თვით ქტესიფონტამდეც კი მიიდა.

შეუძლიათ ამტკიცონ ისიც, რომ აღმოსავლეთის ყველა ხალხს და ეგვიპტელებს ისე ეშინოდათ ამ ქალისა, რომ არც არაბებს, არც სარკინოზებს და არც სომხებს მის წინააღმდეგ თითის განძრევაც არ გაუბედავთ.

რაც შემეხება მე, ზენობიას სიცოცხლეს არ შევუნარჩუნებდი, რომ არ ვიცოდე, თუ რაოდენ დიდი სარგებლობა მოუტანა მან რომის სახელმწიფოს, როდესაც აღმოსავლეთში ხელისუფლება დაიცვა და შეუნარჩუნა თავის შვილებს. ხოლო იმათ, რომელთაც ვერაფრით ასიამოვნებ, უმჯობესია, მწარე ენა გააჩერონ. თუ ქალის დამარცხება და მისი ტრიუმფში გამოყვანა მამაკაცისთვის შეუფერებელი საქციელია, მაშინ რას იტყვის ეს ხალხი გალიენუსის შესახებ, რომლის აბუჩად აგდებით ზენობია კარგად მართავდა იმპერიას?

რას იტყვიან ეს ადამიანები ღვთაებრივ კლავდიუსზე, ჩვენ უმნიკვლო და პატივცემულ წინამძღოლზე, რომელმაც ნება დართო ზენობიას შეუნარჩუნებინა ხელისუფლება, როცა იგი თავად გოთების წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული? ეს იმპერატორმა გონივრულად და ბრძნულად გააკეთა. მან ხომ ამით საშუალება მისცა ზენობიას მოევლო და დაეცვა იმპერიის აღმოსავლეთი, თავად კი შეძლო მშვიდად აღესრულებინა თავისი ჩანაფიქრი" (აცა, „ოცდაათი ტირანი", XXX, 4-12).

აი, ასე იმართლებდა თავს იმპერატორი და ასე აფასებდა იგი თავის მოწინააღმდეგეს — ზენობიას.

ზენობია

საგულისხმოა, რომ ზენობიას იმპერატორისეულ შეფასებას ძირითადად იზიარებს მთელი ანტიკური ისტორიოგრაფია. სხვადასხვა ისტორიკოსთა მიერ დახატული ზენობიას პორტრეტები ფაქტობრივად ამ გამორჩეული ქალის შექებას — ენკომიებს წარმოადგენენ. მას შემდეგ, როცა ისინი დაგვისურათხატებენ დედოფლის ჭკუას, განათლებას და სილამა-

ზეს, ყოველი მათგანი განსაკუთრებით აღნიშნავს ზენობიას სამხედრო საქმეში გაწაფულობას, ოსტატობას, მის ფიზიკურ ამტანობას, გამძლეობას, რომელიც უმთავრესად მამაკაცებს ახასიათებთ. ალბათ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჟამთააღმწერელნი ყურადღებას ამახვილებენ დედოფლის უმწიკვლო და ამასთან მკაცრ ზნეობრივ ნორმებზე. ზენობია თურმე თავის ქმართანაც კი მხოლოდ შთამომავლობის გასაჩენად წვებოდა. მას შემდეგ რაც ქმართან სარეცელს ერთხელ გაიზიარებდა, დედოფალი თავს იკავებდა სექსუალური ურთიერთობისაგან, თუკი ფეხმძიმედ შეიქნებოდა (აცა, „ზენობია", XXX, 12). ისტორიკოსები აღნიშნავენ იმასაც, რომ დედოფალს, რომელიც ღვინოს საერთოდ არ სვამდა, თუ საჭირო იყო ბელადებთან ღვინის მირთმევაც შეეძლო და სასმელსაც მშვენივრად იტანდა. ფიზიკურად ძლიერ ზენობიას შეეძლო უმკაცრეს ბუნებრივ პირობებში ებრძოლა და „ქმარზე მამაციც" ყოფილიყო. მაგრამ ამასთან ერთად, პალმირას მბრძანებელს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დიდი ნიჭი ჰქონდა. მან მოახერხა, რომ თავისი სამეფო მთელ აღმოსავლეთში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მონარქიად ექცია.

დღევანდელი გადასახედიდან პალმირას დედოფლის მოღვაწეობას კრიტიკულადაც შეიძლება მივუდგეთ და გავიზიაროთ თანამედროვე მეცნიერის ამგვარი შეფასება: „თავისი მშობლიური სამეფოს ბედნიერება ზენობიამ პიროვნულ ამბიციებს შესწირა მსხვერპლად, მაშინ როდესაც ოდენატუსმა იმპერიისადმი ერთგულების წყალობით მოახერხა ქვეყნის კეთილდღეობა შეენარჩუნებინა".[4]

და მაინც, უფრო საინტერესოდ მოჩანს ის ფაქტი, რომ ზენობიას როლსა და დამსახურებას თავად ანტიკურ სამყაროში ყველა ერთხმად აღიარებდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ ის ქალი იყო, ქალი, რომლის ამგვარ დაფასებას, ძველები მაინცდამაინც არ იყვნენ ჩვეულნი.

შენიშვნები:

[1] პალმირა — არამეულად პალმის ქალაქი თანამედროვე ტადმორის მახლობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში საქარავნო ვაჭრობის და ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი. I საუკუნიდან პალმირა რომის გავლენის სფეროში მოექცა, შემდეგ იმპერატორმა კარაკალამ პალმირას რომის კოლონიის სტატუსი მიანიჭა.

[2] ალექსანდრე სეევერუსი — რომის იმპერატორი 222-235 წწ-ში, წარმოშობით სირიელი. 232-33 წწ-ში სეევერუსი სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა სომხეთსა და მესოპოტამიაში.

[3] ანკირა — თანამედროვე ანკარა.

[4] OCD, სტატია „ზენობია".

ელენე

ფლავია იულია ჰელენა კონსტანტინე I დიდის დედა იყო. მისი ნარმომავლობის თაობაზე არაფერი ვიცით. ასევე ჭირს მისი დაბადების თარიღის დაზუსტებით დადგენა. ერთი ცნობის მიხედვით ელენე 257 წელს დრეპანონში (ბითვინიაში) დაიბადა (ევსებიოსი, „კონსტანტინეს ცხოვრება", 3, 46). სხვა წყაროებზე დაყრდნობით ელენეს დაბადებას მეცნიერები 244 წლის ფარგლებში ვარაუდობენ.[1] ტრადიციის მიხედვით ელენე ხან მედუქნის ქალიშვილად, ხანაც სამიკიტნოს დიასახლისად წარმოგვიდგება.

ელენე კონსტანტიუს ქლორუსის ნახევრად კანონიერი ცოლი იყო. იმ ხანად მომრავლებული კეისრებისაგან კონსტანტიუსს წარჩინებული ნარმომავლობა გამოარჩევდა. იგი რომის იმპერატორის — კლავდიუს II გოთიკუსის ძმის შვილიშვილი გახლდათ.[2] კონსტანტიუსი რბილი და თავაზიანი ადამიანი ყოფილა და განსაკუთრებით მოკრძალებულად ცხოვრობდა. არც მას შემდგომ შეუცვლია ზნე, როცა 293 წელს კეისრად გამოაცხადეს. თუმცაღა ტიტულის მიღებისთანავე მისი უწინდელი ცხოვრება დასრულდა. იგი იძულებული გახდა, გაყროდა ელენეს. მიღებული წესის თანახმად კონსტანტიუსი რომის იმპერიის ავგუსტუსმა — მაქსიმიანუს ჰერკულესმა ჯერ იშვილა და თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, ხოლო შემდეგ მას თავისი გერი თეოდორა მოათხოვა. სანამ კონსტანტინუსი ელენეს გაცილდებოდა, მათ ვაჟიშვილი — კონსტანტინე შეეძინათ. მომავალში იგი იმპერატორი გახდება.

306 წელს კონსტანტიუს ქლორუსი გარდაიცვალა. მალე მისმა ვაჟმა — კონსტანტინემ ავგუსტუსის წოდება მიიღო. გამეფებისთანავე იმპერატორმა დედა სამეფო კარზე წაიყვანა. ელენემ მთელი ცხოვრება სასახლის კარზე გაატარა. აქ მას დიდ პატივს მიაგებდნენ. იმპერატორის დედა

განსაკუთრებული ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. ამას, რა-საკვირველია, ისიც განაპირობებდა, რომ კონსტანტინეს და-ძმები, რომ-ლებიც მას მამის მეორე ქორწინებიდან ჰყავდა, სასახლეში არ ცხოვრობ-დნენ. ელენეს დაჟინებული მოთხოვნით ისინი სამეფო კარს ჩამოაცილეს.

ტრადიციის თანახმად, კონსტანტინეს დედა ძალიან უყვარდა, დიდად სცემდა პატივს და მის რჩევებს ხშირად ყურად იღებდა. გადმოგვცემენ, რომ სწორედ ელენემ მოაქცია კონსტანტინე ქრისტეს რწმენაზე. ევსებიოსის მიხედვით ეს 312 წელს მომხდარა (ევსებიოსი, „კონსტანტინეს ცხოვრება", 3, 47, 2).

სწორედ 312 წელს ემზადებოდა კონსტანტინე თავის მთავარ მოწინააღმდეგესთან — მაქსენციუსთან[3] საბრძოლველად. მაშინ მან მფარველობისთვის ქრისტეს სჯულს მიმართა. შემდგომში თავად კონსტანტინემ ფიცით დაადასტურა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის წინ მას საოცარი ხილვა ჰქონდა. მის წინ ცაზე ჯვარი გამოისახა, ჯვარი კი ნიშაში იყო ჩასმული, რომელსაც ეწერა: „ამით სძლიო". კონსტანტინემ ხილვა ღვთაებრივ ნიშნად მიიღო, ირწმუნა ჯვრის ძალა და მტერი სასტიკად დაამარცხა. ზოგიერთი ავტორის თანახმად მაქსენციუსზე ამ გამარჯვების შემდეგ კონსტანტინე ქრისტიანულ რელიგიას მიემხრო, თუმცა ქრისტიანად იგი მხოლოდ 337 წელს, სიკვდილის წინ მოინათლა.[4]

ელენეს დიდი გავლენა ჰქონდა კონსტანტინეზე. ამიტომაც შვილის ცხოვრებაში ხშირად და აქტიურად ერეოდა. დედოფალმა თავის რძალს საყვარელი შვილიშვილის სიკვდილი არ შეარჩინა, კონსტანტინე ცოლის ცრუ ბრალდებათა დაჯერებისთვის უმკაცრესად გაკიცხა. შედეგი იმპერატორის მიერ ცოლის მოკვდინება იყო (ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XLI, 12).

ელენე თავგამოდებით იღვწოდა ქრისტიანული რელიგიის გასავრცელებლად. ამას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ის პოლიტიკა, რომელსაც მისი შვილი ატარებდა. იმპერატორმა ქრისტიანობა თავდაპირველად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიათა რიცხვში შეიყვანა, შემდეგ კი საეკლესიო დასი მუნიციპალური გადასახადისაგან გაათავისუფლა და მისი შენახვა სახელმწიფო ხაზინას დააკისრა. თანდათანობით, განსაკუთრებით კი ლიციინიუსზე გამარჯვების შემდეგ (324 წ.), კონსტანტინეს იმპერიაში ქრისტიანობის გაბატონებულ რელიგიად აღიარება ხდება. ელენე დედოფალი დიდ შესანირავს უგზავნიდა ეკლესიებს, გულუხვად გასცემდა მონყალებას. ელენესა და კონსტანტინეს თაოსნობით კონსტანტინოპოლში წმინდა მოციქულთა სახელობის ეკლესია იქნა აგებული.

326 წელს კონსტანტინემ დედა იერუსალიმს მიაელინა, რათა მოეძიათ ის ძელი, რომელზედაც ქრისტე იყო გაკრული. ამასთან ელენეს ჩაფიქრებული ჰქონდა, იერუსალიმში ის ადგილებიც მოეხილა, რომლებიც ქრის-

ტეს ამქვეყნიურ ცხოვრებას უკავშირდებოდა და რომლებიც იმ ხანად იავარქმნილი იყო. მონახულებასთან ერთად დედოფალს უნდოდა, წმინდა ადგილები მათზე აღმართული წარმართული ტაძრებისაგან განეწმინდა და ხელახლა ეკურთხებინა. ამ დროისთვის ელენე უკვე ხანში იყო შესული, თუმცა ასაკს დედოფლისთვის ხელი არ შეუშლია.

იერუსალიმში ჩასვლისთანავე მან დახმარებისთვის პატრიარქ მაკარის მიმართა. ჯვრის ადგილსამყოფელს დიდი ხნის ძებნისა და მრავალი გასაჭირის შემდეგ მიაგნეს. გადმოცემის თანახმად უფალმა მხცოვანი იუდეველის, იუდას მეშვეობით განაცხადა თავისი ნება და მაძიებლებმა, როგორც იქნა, იპოვეს მიწითა და ლოდებით დაფარული მაცხოვრის საფლავი. საფლავთან სამი ჯვარი და სამსჭვალები იხილეს. აქვე იყო ის დაფაც, რომელზედაც პილატეს ბრძანებით სამენოვანი წარწერა იყო გაკეთებული. მაგრამ არავინ იცოდა ამ სამი ჯვარიდან რომელზე იყო ქრისტე გაკრული. ამის გასაგებად სამივე ჯვარი რიგ-რიგობით შეახეს ახლადგარდაცვლილ მიცვალებულს. ლეგენდის თანახმად, ქრისტეს ჯვრის შეხებაზე მიცვალებული გაცოცხლდა. საოცრების სანახავად უამრავი მორწმუნე შეგროვდა. ზღვა ხალხში, ბუნებრივია, ყველას არ შეეძლო, ქრისტეს ჯვარი თავისი თვალით ეხილა. მაშინ პატრიარქმა ჯვრის აღმართვა დაიწყო, ხალხი კი ხადილით „უფალო, შეგვიწყალენ" უფლის ჯვარს თაყვანს სცემდა. ებრაელთა ნაწილმაც ირწმუნა ქრისტე და ქრისტიანად მოინათლა.[5] ჯვრის აღმართვამ შემდგომში ჯვართამაღლების უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს ჩაუყარა საფუძველი (ჯვართამაღლება 14(27) სექტემბერი). აღმოჩენილი წმინდა ჯვრის ნაწილი ელენე დედოფალმა პატრიარქს გადასცა, ნაწილი კი შინ — კონსტანტინოპოლში წამოიღო. კონსტანტინემ იერუსალიმიდან ჩამოატანინა სამსჭვალებიც, რომლებითაც უფალი ძელზე იყო გაკრული.

შემდეგ ელენეს მოთხოვნით წმინდა ადგილები აკურთხეს. გადმოგვცემენ, რომ სიწმინდეთა შელანძღვით შეურაცხყოფილმა ელენემ ბრძანა, დაემსხვრიათ ვენუსის ქანდაკებები და გაენადგურებინათ მისი საკურთხეველები.

ელენე

ელენეს თაოსნობით წმინდა მიწაზე ოთხმოცზე მეტი ეკლესია აშენდა. სწორედ იმ ხანად კონსტანტინე დიდმა ბრძანება გასცა, რომ გოლგოთასა და ქრისტეს საფლავის ადგილას ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა დაეწყოთ. ტაძრის განსრულებას ელენე დედოფალი ვერ მოესწრო. ტაძარი ათი წლის შემდეგ, 335 წლის 13 სექტემბერს იკურთხა.

დედისადმი პატივისცემა კონსტანტინემ რამდენიმე ოფიციალური აქტით გამოხატა. 325 წელს მან ელენეს „აუგუსტას" ტიტული უბოძა და საიუბილეო მედლის მოჭრის ნება დართო. მალე იმპერატორმა დედას თავზე დიადემაც დაადგა. კონსტანტინემ ბრძანა, მოეჭრათ ელენეს სახელო-

ბის მონეტები. რამდენიმე ქალაქს იმპერატორმა ელენეს სახელი მიანიჭა (დრეპანონს, სადაც ელენე დაიბადა, ელენოპოლისი ეწოდა).

იერუსალიმიდან დაბრუნებული ელენე მალე გარდაიცვალა, სავარაუდოდ, რომში 327 წელს. იგი ვია ლაბიკანაში დაკრძალეს (მისი სამეფო სარკოფაგი ვატიკანში ინახება), შემდგომ დედოფლის ცხედარი კონსტანტინემ კონსტანტინოპოლში გადმოასვენა. IX ს-ში ელენეს წმინდა ნაწილები ჰაუპტვილთა სააბატოში იქნა გადასვენებული.

ცხოველმყოფელი ჯვრის აღმოჩენისა და იმ უდიდესი დამსახურებისთვის, რომელიც დედოფალს ეკლესიის წინაშე ჰქონდა, ელენეს ეკლესიამ „მოციქულთსნორი" უწოდა და წმინდანად აღიარა. მართლმადიდებლური ეკლესია მისი ხსოვნის დღეს 21 მაისს, კათოლიკური ეკლესია კი — 18 აგვისტოს აღნიშნავს.

ქართულ საეკლესიო ტრადიციაში წმინდა ელენე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წმინდანია. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ერთ-ერთ მთავარ ფრესკაზე გამოსახულნი არიან ელენე და კონსტანტინე ჯვრით ხელში. ქრისტეს ძელის ერთი სამსჭვალავი დღეს სიონის საკათედრო ტაძარში ინახება. ეს წმინდა ნაწილი ქრისტეს დაფასთან ერთად საქართველოსთვის გაქრისტიანების შემდეგ კონსტანტინესა და ელენეს გადმოუციათ (სამწუხაროდ დაფა დაკარგულია).

როგორც ქართულ საისტორიო წყაროებში, ისე ლიტურგიკულ საკითხავებში ნანა დედოფალი და მირიან მეფე ელენესა და კონსტანტინესთან არიან შედარებულნი, რამეთუ როგორც რომის იმპერიაში, ისე ქართლში მათი — უმაღლეს ხელისუფალთა ნებით მოხდა უწინდელი კერპთაყვანისმცემლობის ნაცვლად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება.

შენიშვნები:

[1] Xp., т. I, სტატია „ელენე".

[2] კლავდიუს II გოთიკუსი — რომის იმპერატორი 268-270 წლებში, წარმოშობით ილირიელი, აღმოსავლეთ ადრიატიკიდან.

[3] მაქსენციუსი — მაქსიმიანუს ჰერკულესის ვაჟი, დაქორწინებული იყო გალერიუსის ქალიშვილზე, თუმცაღა გალერიუსმა იგი კეისრად არ დაასახელა. როდესაც 306 წელს რომში მღელვარებამ იფეთქა, მაქსენციუსმა დაძაბული მდგომარეობით ისარგებლა და თავი იმპერატორად გამოაცხადებინა. 307 წელს მან ავგუსტუსის წოდებაც მიიღო, მაგრამ რადგან მისი მმართველობა ტირანული იყო, რომაელებმა კონსტანტინესთან მოლაპარაკება დაიწყეს, რათა იგი მათ დახმარებოდა. კონსტანტინემ მათი თხოვნა შეისმინა და ჯარები რომისკენ დაძრა. ცნობილი ბრძოლა რომის მახლობლად შედგა, მაქსენციუსი დამარცხდა და გაიქცა, მაგრამ მულვიუსის ხიდის მახლობლად თავის მიერ დაგებულ მახეში მოჰყვა და მდინარე ტიბერისში (თან. ტიბრი) დაიღუპა.

[4] ქრისტიანული ტრადიცია კონსტანტინეს ქრისტიანად უკვე ბავშვობიდან წარმოგვიდგენს. ეპისკოპოსმა ევსებიოსმა კონსტანტინეს გარდაცვალებისთანავე დაწერა მისი ბიოგრაფია — კონსტანტინეს ცხოვრება, რომელიც ამგვარი სულისკვეთებითაა განმსჭვალული.

[5] წმინდანთა ცხოვრება, ტომი III, შედგენაზე მუშაობდნენ დეკანოსი ზაქარია მაჩიტაძე, მაკა ბულია, მარინე ჩხეიძე, თბილისი, 2001.

ფაუსტა

ფლავია მაქსიმა ფაუსტა იმპერატორ მაქსიმიანუს ჰერკულესისა და ევტროპია I ქალიშვილი იყო. მაქსიმიანუს ჰერკულესი, როგორც გახსოვთ, იმპერიის დასავლეთი ნაწილის ავგუსტუსი გახლდათ. ფაუსტას დაბადებას 293-298 წლებს შორის ვარაუდობენ. ფაუსტას გარდა მაქსიმიანუსს და ევტროპიას უფროსი ვაჟიშვილი — მაქსენციუსი ჰყავდათ, რომელიც შემდგომ რომის იმპერატორი გახდა.

307 წელს მამამ ფაუსტა პოლიტიკური მოსაზრებით კონსტანტინე პირველზე დააქორწინა. ქორწინება უპირველესად თავად კონსტანტინეს აძლევდა ხელს. იმ ხანად მაქსიმიანუს ჰერკულესი და მისი ვაჟი ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ (თუმცაღა არაკანონიერად. მაქსიმიანუსი უკვე გადამდგარი ავგუსტუსი იყო და მას კერძო პირის სტატუსით უნდა ეცხოვრა. რაც შეეხება მაქსენციუსს, მან რომში მომხდარი არეულობით ისარგებლა და ჯარზე დაყრდნობით თავი ავგუსტუსად გამოაცხადა). კონსტანტინე მამა-შვილთან მოლაპარაკებას სიამოვნებით დასთანხმდა. მას იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის მბრძანებლის — გალერიუსის წინააღმდეგ მოკავშირეები ესაჭიროებოდა. გალერიუსი ხომ მას განსაკუთრებით ემტერებოდა... თავის მხრივ არც მაქსიმიანუს ჰერკულესს და მაქსენციუსს აწყობდათ, იმ დაძაბულ ვითარებაში კონსტანტინე I სახით ახალი მოწინააღმდეგე შეეძინათ. ყოველივე ამის საფასურად კონსტანტინე I თავისი სიმამრისაგან არა მარტო ქალიშვილი, არამედ ავგუსტუსის ნანატრი ტიტულიც მიიღო.

კონსტანტინესა და ფაუსტას ექვსი შვილი ეყოლათ — სამი ვაჟი და სამი ქალი. საუბედუროდ, დიდი იმპერატორის შვილები უღირსი ადამიანები გამოდგნენ. მისმა ვაჟიშვილებმა — კონსტანტინე მეორემ, კონსტან-

ტიუს მეორემ და კონსტანსმა ერთმანეთთან გამალებული შუღლით და ქიშპობით რომს არაერთი უბედურება და განსაცდელი მოუტანეს.

იმ ხანად რომის იმპერიაში ისეთი არეულობა სუფევდა, მას იმდენი ოფიციალური ხელისუფალი განაგებდა (307 წლისთვის იმპერიას ერთდროულად ხუთი აუგუსტუსი მართავდა), რომ არც ერთ პოლიტიკურ მოკავშირეს შორის დადებული შეთანხმება მყარი და ხანგრძლივი არ იყო. ამის ერთ-ერთ მაგალითად დაზავებულ მხარეთა — კონსტანტინესა და მაქსიმიანუს ჰერკულესის ურთიერთობა გამოდგება. ყოფილი ავგუსტუსი, რომელიც თავის ვაუს მაქსენციუსს წაეჩხუბა, სიძეს — კონსტანტინეს სტუმრობდა. კონსტანტინემ სიმამრი დიდი პატივით მიიღო, გულთბილად უმასპინძლა, სასახლეში დატოვა, თვითონ კი საომრად გაემართა... მაგრამ გაიგულა თუ არა სიმამრმა სიძე საბრძოლველად, მის წინააღმდეგ ამხედრდა, ხმა გაავრცელა, კონსტანტინე გარდაიცვალაო და მმართველობა იგდო ხელთ. უზურპატორის ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. კონსტანტინეს მალე მიუვიდა ამბავი მომხდარის შესახებ, დაუყოვნებლივ გამობრუნდა უკან და მოღალატე სიმამრი — მაქსიმიანუს ჰერკულესი ბრძოლაში დაამარცხა. ამ უკანასკნელმა, მართალია, მოახერხა გაქცევა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ იგი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

ორი წლის შემდეგ კონსტანტინე თავის ცოლისძმას — მაქსენციუსსაც დაუპირისპირდა და გადამწყვეტ ბრძოლაში რომის მახლობლად იგი სასტიკად გაანადგურა. ასე ჩამოიშორა კონსტანტინემ თავისი ყოფილი მოკავშირეები — სიმამრი და ცოლისძმა.

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე I, რომელიც შთამომავლობამ კონსტანტინე დიდად შერაცხა, მისი თანამედროვე ისტორიოგრაფია არც ერთგვაროვნად ახასიათებს და არც ერთმნიშვნელოვნად აფასებს. უდავოდ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კონსტანტინემ შინაომებისაგან გაწამებულ რომის იმპერიას მშვიდობა მოუტანა, მშვიდობა მთელი იმ სიკეთით, რაც საზოგადოდ სამოქალაქო ომების შეწყვეტას სდევს თან. ფასდაუდებელი გახლდათ კონსტანტინეს ღვანლი ქრისტიანობის გავრცელებაში, თუმცა ამ დამსახურებათა მიუხედავად ანტიკური ავტორები თავს არ არიდებენ უარყოფითად შეაფასონ მიზნის მისაღწევად იმპერატორის მიერ გამოყენებული გზები. ისინი აღიარებენ კონსტანტინეს პიროვნების დადებით მხარეებს — იმპერატორის ენერგიულობას, სიმამაცეს, მისთვის ნიშანდობლივ სიფრთხილეს, არც იმას ივინყებენ, როგორ სცემდა პატივს კონსტანტინე განსწავლულობასა და ცოდნას, მაგრამ ამასთან ნყაროები ავგუსტუსის უარყოფით თვისებებსაც არ ჩქმალავენ. მათი გადმოცემით კონსტანტინე I იყო ხარბი, მფლანგველი, იყო სასტიკიც, თუმცაღა მის პიროვნებაში ყველაზე მეტად გამოკვეთილი იყო დაუოკებელი სწრაფვა ძალაუფლებისკენ. მანკიერმა მხარემ განსაკუთრებით მისი მმართველობის მეორე ნახევარში

იჩინა თავი, უფრო ზუსტად კი მას შემდეგ, რაც იმპერატორმა უკანასკნელი მეტოქე დაამარცხა და საბოლოო გამარჯვება იზეიმა. „მას შემდეგ რაც კონსტანტინე ერთპიროვნული მმართველი შეიქმნა, იგი უკვე აღარ მალავდა ბუნებით თანდაყოლილ მანკიერებათ. პირიქით, იმპერატორი თავს უფლებას აძლევდა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც კი მოეხასიათებოდა... როდესაც ზვიადი და ქედმაღალი კონსტანტინე რომში ჩავიდა, მან აუცილებლად ჩათვალა ბიწიერება თავისი ოჯახური კერიით დაეწყო", — მოგვითხრობს ისტორიკოსი ზოსიმოსი (ზოსიმოსი, 2, XXIX, 1).

და მაინც რა მოხდა რომში, რაზე მიგვანიშნებს ისტორიკოსი?

კონსტანტინემ რომში თავისი პირველი მსხვერპლი — საკუთარი შვილი კრისპუსი მოაკვდინა, პირველ მსხვერპლს მალე მეორეც მოჰყვა... კრისპუსის სიკვდილის შესახებ წყაროები არეულად მოგვითხრობენ, მაგრამ თითქმის ყველა მათგანში ფაუსტას — კრისპუსის დედინაცვლის სახელი ფიგურირებს.

კრისპუსი კონსტანტინეს მინერვინასაგან ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის არაა ცნობილი, რა სტატუსი ჰქონდა მინერვინას, ერთი რამ უეჭველია, კონსტანტინეს კრისპუსი კანონიერ შვილად მიაჩნდა. ყმაწვილი ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ავგუსტუსმა მამამ მას კეისრის ტიტული უბოძა და სამართავად გალიის პროვინციები გადასცა. სამოქალაქო ომში, რომელსაც კონსტანტინე I ლიციინიუსთან აწარმოებდა, კრისპუსმა ფრიად ისახელა თავი. ჯარისკაცებში ახალგაზრდა კეისარი დიდი მონონებით სარგებლობდა. ამასთან თვინიერი ზნის და პატიოსნების გამო, იგი ხალხსაც ძალიან უყვარდა. როგორც ჩანს, კონსტანტინეს, რომელსაც ძალაუფლების უზომო სიყვარულმა გონება დაუბნელა, შვილის პოპულარობა ერთობ აღიზიანებდა, ეშინოდა, კრისპუსი მისი მეტოქე არ გამხდარიყო. ამიტომ იყო რომ დაამთავრა თუ არა ომი, იმპერატორმა ვაჟიშვილს ყოველგვარი ძალაუფლება ჩამოართვა და ამასთან გვერდიდან არ იცილებდა, მუდამ თან იახლებდა.

ფაუსტა

ყოველივე ამას ემატებოდა ის, რომ სასახლეში კრისპუსს გავლენიანი მტერი ჰყავდა — დედოფალი ფაუსტა. ამ ქალს გერი საკუთარი ვაჟიშვილების ტახტის მოცილედ მიაჩნდა. მაგრამ მტრობის მიზეზი, თუ ჭორებს ვერწმუნებით, მარტო ეს არ იყო. გერით მოხიბლული დედოფალი ცდილობდა, იგი როგორმე ეცდუნებინა. ახოვანი და ბრგე ვაჟკაცი, კრისპუსი მართლაც გამორჩეული გარეგნობით იყო დაჯილდოებული. მაგრამ მან დედინაცვალს სიყვარულზე უარი განუცხადა. მაშინ თავმოყვარეობაშელახულმა ფაუსტამ გადაწყვიტა, გერზე შური ეძია და ამისთვის ნაცად ხერხს მიმართა — ცილი დასწამა კრისპუსს, თითქოს იგი შეეცადა, დედინაცვლისთვის პატივი აეყარა. კონსტანტინეს, რომელსაც შვილზე გული ისედაც აღარ მიუდიოდა, მეტი არც უნდოდა. ეჭვით ანთებულმა ავგუს-

ტუსმა ირწმუნა, რომ კრისპუსს მასთან არა მარტო ხელისუფლების გაყოფა სურდა, არამედ — სარეცლისაც. და მაშინ მამამ შვილი სასიკვდილოდ განირა. რომში თავის ტრიუმფზე განგებ წაიყვანა, რადგან ეშინოდა, რომ კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე კრისპუსის მოკვლას მღელვარება არ გამოეწვია. რომში ვაჟიშვილს ჯერ ბორკილი დაადო, შემდეგ კი მისი მოკვლაც ბრძანა.

ელენე დედოფალი დიდად განიცდიდა უდროოდ დალუპული საყვარელი შვილიშვილის სიკვდილს. ამასთან იგი აღშფოთებული იყო კონსტანტინეს განაჩენით, რადგან ისიც უწყოდა, კრისპუსი უდანაშაულო რომ იყო და ფაუსტას მზაკვრულ ჩანაფიქრს შეეწირა. მალე ელენეს ამბავი მიუვიდა, რომ მისი რძალი მეჯინიბეს ჰყვარობდა. მაშინ დედოფლის მოთმინება ამოიწურა და აღშფოთებულმა დედამ ყველაფერი კონსტანტინეს განუცხადა. სიბრაზისგან და შეურაცხყოფისაგან გონდაკარგული კონსტანტინე ცოლს სასტიკად გაუსწორდა. იმპერატორმა ბრძანა, მაგრად გაეხურებინათ აბანო, სადაც ფაუსტას უნდა ებანავა. როდესაც დედოფალი საბანაოდ შევიდა, აბანო ისე იყო გავარვარებული, რომ ფაუსტა ორთქლმა მოგუდა. სხვა ვერსიით, იმპერატორმა ცხელი წყლის ავზში ცოლი თავად ჩაგდო. ეს ამბავი 326 წელს მომხდარა (ზოსიმოსი, 2, XXIX, 2; სოზომენოსი, 1, 5; ავრელიუს ვიქტორი, „ეპიტომე", XLI, 11; ფილოსტორგიოსი, 12, 4).

თუმცა კრისპუსის მოკვდინებისა არ იყოს, ანტიკური მწერლები ფაუსტას აღსასრულის შესახებაც ისე აბნეულად მოგვითხრობენ, რომ დაზუსტებით ჭირს იმის თქმა, მართლა დაიღუპა თუ არა ფაუსტა. არსებობს ვერსიაც, რომლის მიხედვითაც, ფაუსტა კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ჯერ ისევ ცოცხალი იყო.[1]

შენიშვნები:

[1] Федорова Е. В.,
Императорский Рим
в лицах, Москва, 1979, 205.



კონსტანტინა

კონსტანტინა — იმპერატორ კონსტანტინე I და ფაუსტას ქალიშვილი იყო (სავარაუდოდ უფროსი). იგი 320 წელს დაიბადა.

მამამისი — კონსტანტინე დიდი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც კონსტანტინა თავის ბიძაშვილს — ანიბალიანუს უმცროსს მიათხოვეს (335 წ.). იგი კონსტანტინე I ნახევარძმის — დალმაციუს უფროსის ვაჟიშვილი გახლდათ. კონსტანტინე დიდს მემკვიდრეებად საკუთარ ვაჟიშვილებთან ერთად დალმაციუს უფროსის ორივე შვილი — დალმაციუს უმცროსი და ანიბალიანუს უმცროსი ჰყავდა დასახელებული. კონსტანტინემ ანიბალიანუსს „rex nobilissimus"-ის (უწარჩინებულესი მმართველის) ძველთაძველი ტიტული უბოძა და სამართავად პონტოს პროვინცია (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) გადასცა. გათხოვების შემდეგ კონსტანტინამ დიადემის ტარების უფლება და „ავგუსტას" ტიტული მიიღო.[1]

მათი ქორწინებიდან ორი წელიც არ იყო გასული, როდესაც კონსტანტინე დიდი გარდაიცვალა. კონსტანტინეს სამ ვაჟს — კონსტანტინე მეორეს, კონსტანსს და კონსტანტიუს მეორეს, რასაკვირველია, არ სურდა ხელისუფლება საკუთარ ბიძაშვილებთან გაეყო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი იყო მათი მამის — კონსტანტინე დიდის ნება. ამიტომაც, რათა ძალაუფლება მხოლოდ კონსტანტინეს შვილებს ჰქონოდათ, სასახლის კარზე საზარელი ხოცვა-ჟლეტა მოეწყო. შეთქმულებმა კონსტანტინეს თითქმის ყველა მამაკაცი ნათესავი ამოხოცეს, პირველ რიგში კი დალმაციუს უფროსი და მისი ვაჟიშვილები — კონსტანტინეს მემკვიდრეები მოკლეს.

კონსტანტინა დაქვრივდა და დიდხანს აღარ გათხოვილა. მისი სახელი წყაროებში ერთი ხანობა საერთოდ არ მოიხსენიება. ასპარეზზე იგი მხოლოდ 350 წელს ჩნდება, როდესაც მისი მეცადინეობით ვეტრანიონი ილირიაში იმპერატორად გამოაცხადეს.[2]

350 წელს კონსტანტიუს II — კონსტანტინე დიდის შუათანა ვაჟი რომის იმპერიის ერთმმართველი გახდა.[3] ქვეშ-ქვეშა და ცბიერი კონსტანტიუს II ამავე დროს უნებისყოფო ადამიანი იყო და სხვების, განსაკუთრებით კი მის კარზე მომრავლებულ საჭურისთა გავლენის ქვეშ ხშირად ექცეოდა. როცა ერთპიროვნული მმართველი შეიქნა, კონსტანტიუს II გადაწყვიტა, რომ რომის იმპერიას ახალი კეისარი ესაჭიროებოდა. ამიტომ მან თავისი ბიძაშვილი — გალუსი (კონსტანტინე დიდის ნახევარძმის იულიუს კონსტანტიუსის ვაჟიშვილი) კეისრად გამოაცხადა, მას თავისი ქვრივი და კონსტანტინა მიათხოვა და სამართავად ანტიოქია გადასცა. კონსტანტინას და გალუსის ქორწინება 351 წელს შედგა. ახალგაზრდა გალუსი ცოლზე ბევრად უმცროსი იყო.

როგორც იქნა, კონსტანტინამ დიდი ხნის ნანატრ საწადელს მიაღწია — მმართველობის სადავეები ჩაიგდო ხელში. ქვეშევრდომთათვის სავალალოდ, ის და მისი ქმარი პირწავარდნილი ტირანები აღმოჩნდნენ. ამასთან, როგორც ძველი ავტორები გადმოგვცემენ, გადამწყვეტი სიტყვა სწორედ კონსტანტინას ეკუთვნოდა. ისტორიკოსი ამიანუს მარცელინუსი ამ ქალს „ადამიანში განსხეულებულ მეგერას" უწოდებს: „გალუსის სასტიკ ინსტინქტებს კონსტანტინა გამუდმებით აქეზებდა და კაცის სისხლი ქმარზე ნაკლებ არ სწყუროდა. ბორბოტის ქმნაში გამოწვრთნილმა ცოლ-ქმარმა ჭორების შეკრებას მიჰყო ხელი. ამას ისინი მეჭორეთა მეშვეობით აკეთებდნენ. ამ ხალხს ხომ საძაგელი ჩვევა აქვს — ფუქსავატური გამონაგონი თავიანთ მოძიებულთ წაუმატონ. სწორედ ამგვარ მასალაზე დაყრდნობით ცოლ-ქმარმა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ცილი დასწამა და მათ მიმართ საქმე სასამართლოში აღძრა. ისინი ბრალს სდებდნენ უცოდველთ, თითქოსდა ისინი ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ და ამისთვის ჯადოქრობას მიმართავდნენ" (ამიანუს მარცელინუსი, XIV, 1, 2).

გალუსის საბრძანებელში სასტიკი ტერორი დაიწყო. ადამიანებს უბრალო ეჭვის საფუძველზე ასამართლებდნენ. მერე და მერე კონსტანტინა და გალუსი ისე გათავხედდნენ, რომ თავსაც აღარ ინუხებდნენ ცრუ ბრალდებები მოეძიათ და მოჩვენებითი სასამართლო პროცესი მაინც მოეწყოთ. ყველაფერი, რაც სასტიკ კეისარს მოეპრიანებოდა, მაშინვე სისრულეში მოჰყავდათ. ხალხს სიკვდილით სჯიდნენ, მდიდრებს ქონებას ართმევდნენ და სახლიდან ქუჩაში ყრიდნენ.

მაგრამ კონსტანტინას და გალუსის მმართველობის დროს, როგორც ამიანუს მარცელინუსი შენიშნავს, ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ შიშს სრულიად მიზანმიმართულად თესდნენ. ადამიანებს კედლებისაც უნდა ეშინოდეთო — ასეთი იყო სამეფო წყვილის კრედო. ამისთვის მათ ჯაშუშთა საგანგებო ქსელი შექმნეს. სისტემა შემდეგნაირად მუშაობდა — სრულიად უცნობი, ყველასთვის შეუმჩნეველი ადამიანები მთელ ანტიო-

ქიაში იყვნენ დაგზავნილნი. მათ ევალებოდათ სახელმწიფო მოხელეთა გარემოში ყოფნა და მათი ნდობის მოპოვება. მალულად უნდა შეეღწიათ მათ მდიდართა სახლებშიც და გამოეკვლიათ, თუკი რამე იყო დაფარული. შემდეგ ინფორმაცია სასახლეში მიდიოდა. რასაკვირველია, ჯაშუშები გაგებულს გამონაგონსაც უმატებდნენ. ხოლო თუ რაიმე საეჭვოს, ან საზიანოს შეამჩნევდნენ, იმას ხომ აზვიადებდნენ და აზვიადებდნენ. მათი საქმე იყო, ნებისმიერი ამბავი იმაზე მეტად გაემუქებინათ, ვიდრე ეს სინამდვილეში ხდებოდა. მათ ავგუსტუსისთვის უნდა შთაენერგათ, რომ იგი ყოველი მხრიდან მტრებით და შეთქმულებით იყო გარემოცული. ამით ისინი, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ მნიშვნელოვანებას და დამსახურებას წარმოაჩენდნენ — მოსალოდნელი საფრთხე ხომ მათი წყალობით იქნა გამოაშკარავებული! შესაბამისად, სამეფო წყვილის კეთილდღეობაც დიდად ხდებოდა მათზე დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ აქ ახალი არაფერი იყო. ტერორის დანერგვის და მის შესანარჩუნებლად საჭირო საჯაშუშო ქსელი ყველა დროში დაახლოებით ამ მექანიზმით მუშაობდა და მუშაობს.

„იმპერატრისას წახალისების წყალობით გალუსს თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობდა ჯიუტი მისწრაფება, გამოეაშკარავებინა დამალული. ეს კი მას უფსკრულისკენ მიაქანებდა. მაშინ, როდესაც კონსტანტინას, ქალური ბუნებისთვის დამახასიათებელი სირბილის გამო, პირიქით, შეშვენოდა, რომ ქმრისთვის სასარგებლო რჩევები მიეცა და იგი სამართლიანობისა და ადამიანურობისაკენ მოებრუნებინა," — შენიშნავს ამიანუს მარცელინუსი (ამიანუს მარცელინუსი, XIV, 1, 8).

ამასობაში იმპერატორმა კონსტანტიუს II კონსტანტინასა და გალუსის სისხლიანი მმართველობის შესახებ შეიტყო. როგორც ჩანს, საიმპერატორო კარზე ეშინოდათ იმისაც, რომ გალუსს სახელმწიფო გადატრიალება არ განეზრახა. სისხლიანი კეისარი სასწრაფოდ ანტიოქიიდან უნდა გამოეხმოთ და აქ, მედიოლანში (თან. მილანი) სასახლის კარზე გასწორებოდნენ. მაგრამ ამ საქმეში სიფრთხილე იყო საჭირო. თუ კონსტანტიუს II წყვილს მედიოლანში ჩამოსვლას მოსთხოვდა, შესაძლებელია, ცოლ-ქმარს ეჭვი გასჩენოდა. ამიტომ იმპერატორმა კონსტანტინას გულთბილი წერილი გაუგზავნა. იგი არწმუნებდა დას, რომ ძალიან მოენატრა და მისი ნახვა სურდა — ამიტომაც სთხოვდა, მასთან ჩამოსულიყო. ძმის შეთავაზებამ კონსტანტინა დააფიქრა. კონსტანტიუსის სასტიკი და ულმობელი ზნის შესახებ მან მშვენივრად იცოდა, ამასთან ეჭვობდა, ვაითუ იმპერატორს მათ წინააღმდეგ რაღაც უკვე ჰქონდა განზრახული. მაგრამ ამავე დროს კონსტანტინას საკუთარი თავის იმედიც ჰქონდა, ეგონა, ძმის მორბილებას მოახერხებდა. ამიტომაც ყოყმანისა და აწონ-დაწონის შემდეგ საბოლოოდ სასახლის კარზე გამგზავრება გადაწყვიტა. და-ძმის საბედისწერო შეხვედრა არ შედგა. განგებამ სხვაგვარად ინება — კონსტანტინას გზაში

კონსტანტინა

მალარია შეეყარა და ბითვინიაში გარდაიცვალა (354 წ.). ამ დროისთვის კონსტანტინა 40 წლისა იყო. რაც შეეხება გალუსს, კონსტანტიუს II ბრძანებით იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.

კონსტანტინა რომში ბრწყინვალე მავზოლეუმში დაკრძალეს, რომელიც ჩვენს დრომდე შემორჩა. შუა საუკუნეებში მავზოლეუმი სანტა კონსტანცას ეკლესიად იქნა გადაკეთებული. „XIII საუკუნისთვის რომის მცხოვრებნი იმდენად ღრმად ჩაეფლენ უცოდინრობის ჭაობში და იმდენად დაივიწყეს საკუთარი ისტორია, რომ კონსტანტინე დიდის მძვინვარე ქალიშვილს წმინდანის დარად პატივსაც მიაგებდნენ, უნებლიედ შეცვალეს რა მისი სახელი — კონსტანცათი“.[4]

შენიშვნები:

[1] დიადემა — სამეფო გვირგვინი თავზე პირველად კონსტანტინე I დაიდგა.

[2] ვეტრანიონი — ილირიაში (ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) განლაგებული რომაული ლეგიონების მეთაური. 350 წელს ჯარმა იგი იმპერატორად გამოაცხადა. ვეტრანიონი გამოცდილი მეომარი იყო, მაგრამ ცხოვრებაში უეშმაკო და უბრალო ადამიანი გახლდათ. 350 წელს კონსტანტიუს II და ვეტრანიონმა ქ. სერდიკას მახლობლად შეხვედრა დათქვეს. ორივე იმპერატორი თავისი ჯარის თანხლებით მივიდა. ცბიერმა კონსტანტიუს II მოახერხა ვეტრანიონის ქვეშევრდომები თავის მხარეზე გადმოებირებინა. ამის შემდეგ ჯარმა უზურპატორ ხელისუფალთა განდევნა და მმართველობის კონსტანტიუსისთვის გადაცემა მოითხოვა. ვეტრანიონმა იმპერატორის ტიტულზე ნებაყოფლობით განაცხადა უარი.

[3] კონსტანტინე დიდის შუათანა ვაჟი — კონსტანტიუს II — ძმებში ყველაზე ეშმაკი და მოხერხებული იყო. ბედიც ყველაზე მეტად მას წყალობდა. თანდათანობით მან ორივე ძმა ჩამოიცილა, შემდეგ კი ახლადმოვლენილი უზურპატორებიც განდევნა პოლიტიკური სარბიელიდან. ყველაზე ადრე კონსტანტინე დიდის უფროსი ვაჟი — კონსტანტინე II დაიღუპა უმცროსი ძმის — კონსტანსის წინააღმდეგ ბრძოლაში (340ნ.). შედეგად ამ უკანასკნელის ხელში იმპერიის მთელი დასავლეთი ნაწილი აღმოჩნდა. კონსტანსისა და კონსტანტიუს მეორის დაპირისპირება, რომელიც იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდა, მთელი ათი წელი გრძელდებოდა. 350 წელს კონსტანსი თავისივე მთავარსარდალმა მაგნენტიუსმა მოკლა. რომის იმპერიას კიდევ ერთი, წარმოშობით ფრანგი უზურპატორი — მაგნენტიუსი მოევლინა. კონსტანტიუს II მაგნენტიუსს პანონიაში ომი გამოუცხადა. უზარმაზარ ბრძოლაში, რომელშიაც 54 000 მეომარი დაიღუპა, მაგნენტიუსი დამარცხდა. 353 წელს მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გზა ერთმმართველობისაკენ კონსტანტიუს მეორისთვის თავისუფალი გახდა.

[4] Федорова Е. В., Императорский Рим в лицах, Москва, 1979, 209.

გალა პლაციდია

გალა პლაციდია რომის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და საინტერესო ფიგურაა. ოცდახუთი წლის მანძილზე მართავდა იგი დასავლეთ რომის იმპერიას. ეს პერიოდი სახელმწიფოსთვის, ალბათ, ყველაზე რთული და მძიმე ხანა იყო. დასავლეთ რომის იმპერია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. გალა პლაციდიას გარდაცვალებიდან 26 წლის შემდეგ, ახ.წ. 476 წელს იმპერია შეწყვეტს თავის არსებობას.

გალა პლაციდია აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველის — თეოდოსიოს I და გალას ქალიშვილი იყო. იგი 390 წელს დაიბადა. ოჯახში კიდევ ორი ვაჟიშვილი იზრდებოდა — არკადიუსი და ჰონორიუსი, შემდგომში ერთი — აღმოსავლეთ რომის იმპერიის, მეორე კი — დასავლეთ რომის იმპერიის მბრძანებელი გახდა.

თეოდოსიოს I მმართველობის დროს (IV ს-ის დასასრულს) უკვე აშკარად იჩინა თავი იმ წინააღმდეგობებმა, რომლებიც კარგა ხანია ღრღნიდა იმპერიას. საშინაო მდგომარეობა სახელმწიფოში ერთობ რთული იყო. საშინელი საფრთხე ემუქრებოდა გარედანაც. ამ ორი ბოროტებიდან უფრო არსებითი შინაგანი კრიზისი იყო, რომელმაც ყველაფერი მოიცვა. საგრძნობლად შესუსტდა იმპერიის ინტელექტუალური ძლიერება. ეცემოდა ზნეობა, ხდებოდა ტრადიციულ ღირებულებათა ძირეული გადაფასება. აღარავის აინტერესებდა მეცნიერება, სერიოზული ლიტერატურა, ფილოსოფია. ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა სასწავლებლები და ბიბლიოთეკები. არც დიდი პოეტები და დიდი ისტორიკოსები ჩანდნენ სადმე. ამიანუს მარცელინუსი იყო რომის უკანასკნელი ღირსშესანიშნავი ჟამთააღმწერელი. დიადისა და ამაღლებულის სანაცვლოდ ხალხი მდაბიურ თეატრალურ სანახაობას მიეტანა, პოპულარობა მოცეკვავეებმა, მუსიკოსებ-

მა, მიმიკურმა მსახიობებმა მოიპოვეს. ყოფილმა ინტელექტუალურმა ელიტამ კი ფუქსავატური ცხოვრება იწყო. ღირებულებათა ცვლამ უსაქმურობა, ამპარტავნობა და ცუდმედიდურობა დაამკვიდრა. ფართოდ მოიკიდა ფეხი ათასგვარი ჯურის ცრურწმენებმა. სახე იცვალა წარჩინებულთა წრემაც, მასში ეთნიკურად ბარბაროსი დიდგვაროვანთა ფენა მომძლავრდა.

საგარეო თვალსაზრისით იმპერიის მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული იყო. ბარბაროსთა ტომები ქვეყანას გამუდმებით, თითქმის ყოველი მხრიდან უტევდნენ. სახელმწიფოს სამხედრო ძალა სულს ღაფავდა. ჯარის სისუსტეს ერთგვარად ძველი ღირებულებების დაკარგვაც განაპირობებდა. პატრიოტიზმის ცნება რომაელებში აღარ არსებობდა. წარჩინებული რომაელები არა თუ თავად არ მიდიოდნენ სამომრად, ჯარში თავიანთ მონებსაც აღარ უშვებდნენ. ამგვარ ვითარებაში გამოსავალი ერთადერთი იყო — იმპერიის არმია უცხო ტომელებისგან უნდა შეექმნათ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რომის იმპერია ბარბაროსებისაგან თავს თავად ბარბაროსთა მეშვეობით იცავდა. სახელმწიფოს ყველა სტრუქტურაში და არა მარტო ჯარში, მძლავრად იკიდებდნენ ფეხს ეთნიკურად ბარბაროსული წარმომავლობის ადამიანები. IV საუკუნის ბოლოსთვის ეს პროცესი, რომელიც გაცილებით ადრე დაიწყო, ნათლად გამოკვეთილი და ყოვლისმომცველი გახდა. ამასთან იგი რომაულ სამყაროში ბარბაროსული ელემენტის უკიდურესი მომძლავრების უკანასკნელი ეტაპი გახლდათ. ცოტაც და რომი ბარბაროსთა ხელით დაეცემა...

თეოდოსიოს I ენერგიული, კარგი მთავარსარდალი და საკმაოდ გამჭრიახი ადამიანი იყო. იგი დროულად მიხვდა, რომ იმპერიას მხოლოდ ერთი პოლიტიკური კურსი გადაარჩენდა — ბარბაროსებთან საერთო ენის მოძებნა. მართლაც იგი მოელაპარაკა გოთებს და მათი დახმარებით იმპერიის საზღვრებთან მრავალრიცხოვანი მღელვარება ჩაახშო. ამასთან თეოდოსიოსმა გოთები თავის ჯარში შეიყვანა და ვითარცა ფედერატები, დუნაის ქვედა წელში დაასახლა. ეს რომ ბრძნული პოლიტიკა იყო, განსაკუთრებით ნათლად მისი მემკვიდრეების დროს გამოვლინდა.

395 წელს თეოდოსიოს I გარდაიცვალა. მცირე ხნით გაერთიანებული იმპერია მან ისევ ორად გაპყო, და თითოეულ შვილს იმპერიის თითო ნაწილი გადასცა სამართავად. არკადიუსის — აღმოსავლეთის ნაწილის მბრძანებლის სამეფო რეზიდენცია კონსტანტინოპოლში იყო, ჰონორიუსის — დასავლეთ რომის იმპერიის მმართველის კი — რავენაში (ამ დროისთვის დასავლეთ რომის იმპერიის სამეფო რეზიდენცია უკვე რავენაში და არა რომში მდებარეობდა). ჰონორიუსისა და არკადიუსის და — გალა პლაციდია კი რომში ცხოვრობდა.

გალა პლაციდიას აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვოდა სერენას. იგი

მისი ბიძაშვილი — თეოდოსიოს პირველის ძმის — ჰონორიუსის ქალიშვილი იყო. თავგამოდებული ქრისტიანი სერენა რომში წარმართობის დასამხობად იღვწოდა. ქრისტიანმა ქალმა დიდი გავლენა იქონია გალას რელიგიური მრწამსის ჩამოყალიბებაში. მის მსგავსად გალამ ქრისტეს სჯული აღიარა. თეოდოსიოსის ქალიშვილის რელიგიურმა მსოფლმხედველობამ განსაკუთრებული როლი ითამაშა შემდგომში, მაშინ, როცა გალა პლაციდიას ხელში ქვეყნის მმართველობა აღმოჩნდა.

სერენას მეუღლე, ეთნიკურად გერმანელი სტილიქონი, სასახლის კარზე უპირველესი მნიშვნელობის ფიგურა იყო — მას იმპერატორ ჰონორიუსის მეურვეობა ჰქონდა დაკისრებული. მამის გარდაცვალების დროისთვის ჰონორიუსი ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა იყო, ამიტომაც სახელმწიფოს რეალური მართვა სტილიქონს უხდებოდა. კარგი ორგანიზატორი სტილიქონი, უპირველეს ყოვლისა, უძლიერესი მთავარსარდალი გახლდათ. მისი წყალობით ახერხებდა რომის იმპერია ბარბაროსთა შემოსევებისგან თავის დაცვას. მაგრამ ბედის ირონიით სწორედ ეს უნიჭიერესი მხედართმთავარი ემსხვერპლა სასახლის კარზე მოწყობილ ინტრიგებს. რომაელთა საკალაღოდ, სტილიქონი შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. რომმა თავისი უკანასკნელი დამცველი დაკარგა. საფრთხე იმისა, რომ რომს ბარბაროსები დაიპყრობდნენ, ახლა სრულიად რეალური შეიქნა.

ბარბაროს ტომთა შორის რომაელებისთვის ყველაზე სახიფათო ამ დროისთვის ვესტგოთთა ტომი გახლდათ. ეს გოთების სწორედ ის ტომი იყო, რომელთანაც თეოდოსიოს I ასე კარგად ჰქონდა მოგვარებული ურთიერთობა. მაგრამ მისმა შვილებმა, თავიანთი თავის და სახელმწიფოსდა საუბედუროდ, მამის ბრძნული პოლიტიკა აღარ გააგრძელეს. „მისი ვაჟიშვილები, რომლებიც განცხრომით ცხოვრობდნენ, იმპერიის ორივე ნაწილის დაღუპვას შეუდგნენ. მათ დამხმარე ჯარებს (ე.ი. გოთებს) გაუუქმეს ჩვეული ძღვენი. გოთებმაც მალე შეიძულეს ისინი და იმის შიშით, რომ ხანგრძლივ მშვიდობას მათი ძალები არ დაესუსტებინა, მბრძანებლად ალარიხი აირჩიეს," — გვამცნობს ისტორიკოსი იორდანისი (იორდანისი, „გეთიკა", 146).

ალარიხმა მტკიცედ დაისახა მიზნად, რომი დაეპყრო. სტილიქონის გარდაცვალებამ მას ხელ-ფეხი გაუხსნა — მართლაც, ალარიხმა ორჯერ მოაქცია რომი ალყაში, მაგრამ მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკების შემდეგ ორივეჯერ უკან გაბრუნდა. ბოლოს იგი მიხვდა, რომ ჰონორიუსთან თათბირი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, ამიტომ მესამედ დალაშქრა რომი. ამჯერად მან აიღო მარადიული ქალაქი. რომის ქუჩებში ბარბაროსთა ჯარებმა შეაბიჯეს. ეს 410 წლის 10 აგვისტოს მოხდა. იმპერატორ ჰონორიუსს, როგორც გადმოგვცემენ, რომის დაპყრობა მაინცდამაინც არც

გალა
პლაციდია

ანაღვლებდა. იგი ამ დროს თავის სატახტო ქალაქში — რავენაში იმყოფებოდა.[1] ქალაქის გასაძარცვად მეომრებს ალარიხმა სამი დღე მისცა, მაგრამ ხალხის დახოცვა და წმინდა ადგილების შებილწვა აუკრძალა. სამი დღის შემდეგ ბარბაროსებმა მართლაც დატოვეს ქალაქი. თან წაიღეს უზარმაზარი ნაალაფევი, წაასხეს ათასობით ტყვე. მათ შორის იყო იმპერატორის და — ოცდაერთი წლის ულამაზესი გალა პლაციდია. თუ ტრადიციას ვერწმუნებით, ბარბაროსები მას ღირსეული პატივით ეპყრობოდნენ.

ამასობაში მოვლენები საოცარი სისწრაფით განვითარდა. იმავე — 410 წელს ალარიხი გარდაიცვალა. ხელისუფლება მისი ნათესავის — ატაულფის ხელში გადავიდა. ამჯერად ატაულფი გაემართა რომისკენ, დაიპყრო ქალაქი და მკალივით გადაუარა მას. მძარცველნი ამჯერადაც ულმობელნი აღმოჩნდნენ.

მალე გოთების ბელადს — ატაულფს ტყვედ აყვანილი გალა პლაციდია შეუყვარდა და მისი ცოლად მოყვანა განიზრახა. წყაროების მიხედვით, თავდაპირველად გალა პლაციდიას ვესტგოთის ცოლობა არ უნდოდა, მას, ვითარცა რომაელ იმპერატორთა შთამომავალს, ბარბაროსის ცოლად თავი ვერ წარმოედგინა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დაქორწინდა ატაულფზე. შემდეგ კი, როგორც გადმოგვცემენ, გოთთა ბელადი შეუყვარდა კიდეც. ატაულფი „გარეგნულადაც და ჭკუითაც სხვებისაგან გამოირჩეოდა, რამეთუ იგი ალარიხს ჩამოჰგავდა და თუმცა მისი სიმაღლე არ იყო, სხეული მასავით მშვენიერი, ხოლო სახე ალარიხივით სათნო ჰქონდა" (იორდანისი, „გეთიკა", 158).

ატაულფი რომის მიმართ ალარიხისგან განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა. მან იმპერიასთან მშვიდობიანი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა არჩია. ვესტგოთები იტალიიდან გაიყვანა და თავადაც არ მოისურვა იმპერატორი გამხდარიყო. რატომ? რა იდგა ამის უკან?

ოროზიუსის გადმოცემით, თავდაპირველად ატაულფს, დიახაც სნადდა, რომი გოთების იმპერიად ექცია, თავად კი ოქტავიანუს ავგუსტუსის დარი მოღვაწე გამხდარიყო. მაგრამ შემდეგ იგი მიხვდა, რომ გოთებს თავიანთი თანდაყოლილი ველური ზნის გამო არ ძალუძდათ კანონმორჩილნი ყოფილიყვნენ. კანონების გარეშე კი, აბა, რა სახელმწიფო შეეძლო აეშენებინა. ამიტომ ატაულფმა საბოლოოდ უარი თქვა თავის სურვილზე და არჩია ისტორიაში ამაღორძინებლის სახელით შესულიყო. იგი ფიქრობდა, რომ რომის სახელმწიფოს გოთების მეშვეობით ააღორძინებდა და შთამომავლობის მეხსიერებაში იმპერიის აღორძინების მოთავედ დარჩებოდა (ოროზიუსი, „ისტორია", VII, 43, 2-8). იმავე ისტორიკოსის აზრით, ატაულფის პოლიტიკას დიდწილად მისი ცოლი — გალა პლაციდია წარმართავდა. „ეს ძალზე ჭკვიანი და საკმარისად რელიგიური ქალი ატაულფს კეთი-

ლი საქმეებისკენ უბიძგებდა“ (ოროზიუსი, „ისტორია“, VII, 43, 2-8). იქნებ გალას გავლენა გადამწყვეტიც კი იყო...

ატაულფთან დანათესავებით ყველაზე მეტად ჰონორიუსმა იხეირა. ატაულფის დახმარებით იმპერატორმა რომს დაუბრუნა პროვინცია გალია, რომელიც ამ დროს უზურპატორმა იოვინმა იგდო ხელთ. ამის შემდეგ დაუღალავი ატაულფი ესპანეთის დასალაშქრად გაემგზავრა. რომისთვის ეს უმნიშვნელოვანესი პროვინცია ნელა-ნელა იმპერიის გავლენის სფეროდან გამოდიოდა. მან აიღო ქალაქი ბარცელონა და იქ გალასთან ერთად დასახლდა. აქვე გარდაიცვალა მათი ჩვილი ვაჟიშვილი — თეოდოსიოსი. მაგრამ ცოლ-ქმარს ერთად ცხოვრება აღარ ეწერა. 415 წელს ატაულფი თვისტომებმა მოკლეს. მიზეზი მისი მკვლელობისა ერთი იყო — ბელადის პოლიტიკა ვესტგოთებს არ მოსწონდათ — რომის იმპერიასთან მშვიდობიანი ურთიერთობა მათ არაფრით არ სურდათ. „რამეთუ ატაულფი თავისი ცოლის რჩევებსა და წინადადებებს, დაეცვა მშვიდობა, დიდი გულმოდგინებით ასრულებდა, სწორედ ამიტომ მოკლეს იგი ესპანელთა ქალაქ ბარცელონაში. ატაულფი მისივე თვისტომებმა მზაკვრულად გამოსალმეს სიცოცხლეს,“ — ასკვნის ოროზიუსი (ოროზიუსი, „ისტორია“, VII, 43, 8).

ქმრის მკვლელობის შემდეგ ვესტგოთთა რომაელ დედოფალს უმძიმესი დღეები დაუდგა. უზურპატორმა სინგერიხმა — ვესტგოთების ახალმა წინამძღოლმა — გალა არა მარტო გააძევა სასახლიდან, არამედ აიძულა, სხვა ტყვეებთან ერთად ფეხით 12 მილი გაევლო.[2] თავად სინგერიხი მას ცხენზე ამხედრებული გვერდით მიჰყვებოდა.

გალა პლაციდია

სინგერიხის მმართველობა მხოლოდ შვიდი დღე გაგრძელდა. მერე დღეს იგი მოკლეს. ვესტგოთების მბრძანებელი ვალია გახდა. იმპერატორმა ჰონორიუსმა ვალიასთან მოლაპარაკება გადაწყვიტა. ბუნებრივია, რომის იმპერატორს ძალიან უნდოდა, რომ ვესტგოთთა ახალ ბელადს არ დაერღვია ის ხელშეკრულება, რომელიც მას ატაულფთან ჰქონდა დადებული. გარდა ამისა, ჰონორიუსი მოწადინებული იყო, თავისი და — გალა ბარბაროსთა სამარცხვინო ტყვეობიდან გამოეხსნა. ვალიასთან მოსალაპარაკებლად მან თავისი მხედართმთავარი კონსტანტიუსი გააგზავნა, რომელიც გალა პლაციდიას კარგა ხანია, ჯერ კიდევ გათხოვებამდე ჰყვარობდა. იმპერატორმა პირობა მისცა კონსტანტიუსს, რომ თუ იგი მისი დის სამშობლოში დაბრუნებას რამენაირად მოახერხებდა, გალას ცოლად აუცილებლად შერთავდა. კონსტანტიუსმა იმპერატორის ორივე დავალებას წარმატებით გაართვა თავი. გადაწყდა, ვესტგოთები კვლავ იმპერიის მოკავშირეებად დარჩებოდნენ. მაგრამ, უფრო მთავარი კონსტანტიუსისთვის მეორე დავალების აღსრულება იყო — მან გოთებისგან გალა პლაციდია გამოისყიდა. ვესტგოთების ახალმა ბელადმა რომაელი ქალი 600 000 ფუთ[3] ხორბალში გაცვალა.

როგორც იქნა დასრულდა ვესტგოთთა ყოფილი დედოფლის ტყვეობა და იგი ძმასთან — რავენაში დაბრუნდა. მალე, 417 წელს ჰონორიუსმა მიცემული პირობის თანახმად გალა პლაციდია კონსტანტიუსს გააყოლა. ქორწინება გალას არ სურდა. მაგრამ შემდგომში ცოლ-ქმარს ცუდი ურთიერთობა არ ჰქონიათ. როგორც წყაროები მოგვითხრობენ, ამას მათი მსგავსი პოლიტიკური შეხედულებანი განაპირობებდა. უმთავრეს საკითხებში ისინი მორიგებას ახერხებდნენ. კონსტანტიუსს და გალას ორი შვილი ეყოლათ — ვაჟიშვილი ვალენტინიანუსი და ქალიშვილი ჰონორია. 421 წელს ჰონორიუსმა თავისი სიძე ავგუსტუსად გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კონსტანტიუსი მან თანამმართველად დანიშნა. ამიერიდან მას კონსტანტიუს III ეწოდა. შესაბამისად გალა პლაციდიამაც „ავგუსტას" ტიტული მიიღო. მაგრამ კონსტანტიუს III მმართველობა უდღეური გამოდგა. იმავე წლის სექტემბერში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ულამაზესი გალა პლაციდია მეორედ დაქვრივდა. ერთხანს ქვრივი დედოფალი შვილებთან ერთად ჰონორიუსის კარზე ცხოვრობდა. პიროვნულად ძალზე სუსტი და სრულიად უნიათო ჰონორიუსი მალე ჭკვიანი და პრაქტიკული გალას გავლენის ქვეშ მოექცა. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს ყოველივე ეს ძალიან არ მოსწონდათ. ამიტომაც ყველაფერი იღონეს, რომ იმპერატორი დისადმი მტრულად განეწყოთ. ჩვენ არ ვიცით, როგორ მიაღწიეს მათ მიზანს, მაგრამ ფაქტი ერთია, 423 წელს გალა იძულებული გახდა რავენას სასახლის კარი დაეტოვებინა და შვილებთან ერთად კონსტანტინოპოლში წასულიყო (ოლიმპიოდოროსი, ფრ. 40). ჰყვებოდნენ სხვაგვარადაც. ჰონორიუსმა გალა საკუთარი ნების წინააღმდეგ გაუშვა რავენადან, რამეთუ დაირხა ხმა, თითქოს იგი დის მიმართ არაჯანსაღმა ვნებამ შეიპყრო. გალას გამგზავრების შემდეგ ჰონორიუსი მალე გარდაიცვალა. მას მემკვიდრე არ დარჩენია.

კონსტანტინოპოლის სამეფო ტახტზე თეოდოსიოს II — გალას ძმისშვილი იჯდა. თეოდოსიოსი ჰონორიუსის მსგავსად ასევე სუსტი ნებელობის ადამიანი იყო. მას საყვარლები და მაღალჩინოსანი მოხელენი თავიანთ ნებაზე დაატარებდნენ, თავად იმპერატორი მხოლოდ მარიონეტის როლს თუ ასრულებდა. ჰონორიუსის გარდაცვალების შემდეგ ერთი პირობა თეოდოსიოს II ორივე იმპერიის გაერთიანება მოუხდა. გალა პლაციდია ენერგიულად ჩაერია სასახლის ინტრიგებში. ამ ზედმინევნით გონიერმა ქალმა სწორად გათვალა, რომ ახლა ჩამოკრა მისმა ჟამმა, მას რეალური შანსი ეძლეოდა, დასავლეთ რომის იმპერიის ფაქტობრივი მმართველი გამხდარიყო. მაგრამ ამისთვის გალას უნდა დაერწმუნებინა თეოდოსიოს II, რომ მას გალას ვაჟიშვილი — ვალენტინიანუსი ავგუსტუსად გამოეცხადებინა. ამით თეოდოსიუსი ხომ ვალენტინიანუსს დასავლეთ რომის მბრძანებლობას მისცემდა. მართლაც გალამ მოახერხა თეოდოსიოსის და-

თანხმება და ვალენტინიანუსი ავგუსტუსად იქნა დასახელებული (424-25 წწ.). თავად მან კვლავ მიიღო „ავგუსტას" ტიტული, ამჯერად თეოდოსიოს მეორისგან. ახლა გალა პლაციდიას თამამად შეეძლო, რომში დაბრუნებულიყო. და მართლაც, რომში 425 წელს შვიდი წლის ვალენტინიანუსი იმპერატორად აკურთხეს, გალა კი მის მეურვედ დანიშნეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ იმპერიის დასავლეთი ნაწილის ფაქტობრივი მმართველი გალა პლაციდია შეიქნა.

დღეს მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ გალა პლაციდიას არ გააჩნდა არც საკმარისი ჭკუა და არც ხასიათის ის თვისებები, რომლებიც დანგრევის პირას მდგომი რომის სახელმწიფოს გადასარჩენად იყო აუცილებელი. მართლაც, ქვეყანაში არსებული უმძიმესი მდგომარეობა გალასთვის დაუძლეველი გამოდგა. საქმეს განსაკუთრებით ართულებდა სასახლის კარის გამუდმებული ინტრიგები. ინტრიგებს ორი ძალა წარმართავდა — აქ ორი გამოჩენილი მთავარსარდალი — ბონიფატიუსი და აეტიუსი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. უფრო ძლიერი ფიგურა უდავოდ აეტიუსი იყო. გოთებთან და ჰუნებთან მძევლობაში გაზრდილი აეტიუსი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ბარბაროსთა სამხედრო ხელოვნებას. სწორედ ამ ცოდნის მეშვეობით 30 წლის მანძილზე მან ბარბაროსთა ტომები არაერთხელ დაამარცხა და ბრწყინვალე სამხედრო კარიერა გაიკეთა. სამხედრო ოპერაციებს აეტიუსი უმთავრესად გალიაში წარმართავდა და საკმაოდ წარმატებულადაც. სწორედ მისი წყალობით დარჩა გალიის პროვინცია ისევ იმპერიის შემადგენლობაში.

ბონიფატიუსი კი აფრიკაში ლაშქრობდა. გოთ-ფედერატებთან ერთად ისიც წარმატებით ატარებდა იმპერიის ინტერესებს. მაგრამ 427 წელს იმპერიამ რატომღაც ბონიფატიუსის წინააღმდეგ ჯარები გადმოისროლა. მიზეზების შესახებ წყაროები დუმან. არ არის გამორიცხული, რომ ამაში მისი მეტოქის — აეტიუსის ხელი ერია. ამ დროს აფრიკაში ვანდალებიც გამოჩნდნენ. საბრძოლო ასპარეზზე მათი გამოსვლის შესახებ ორი ვერსია არსებობს. ზოგი წყაროს თანახმად, შეურაცხყოფილმა ბონიფატიუსმა დასახმარებლად ესპანეთში მყოფ ვანდალთა ტომს უხმო და აფრიკაში გადმოიყვანა. სხვების გადმოცემით, ბონიფატიუსს ვანდალებისთვის არ მიუმართავს და მათი გადმოსვლა აფრიკაში უბრალოდ დროში დაემთხვა რომაელთა ჯარის ჩამოსვლას. ფაქტი ერთია, ბონიფატიუსი ვანდალებს ბრძოლით შეეგება. მაგრამ ვერც მან, ვერც რომაელების არმიამ ვანდალები ვერ დაამარცხა. შედეგი კი სავალალო იყო — რომმა თავისი უმნიშვნელოვანესი პროვინცია — აფრიკა დაკარგა. თანამედროვე მეცნიერთა შეფასებით ამ უზარმაზარი მარცხის მიზეზი გალა პლაციდიას არასწორი და უნიათო პოლიტიკა გახლდათ. კერძოდ კი ის, რომ გალამ ვერ შეძლო აელაგმა თავისი მხედართმთავრების ამბიციები, წერტილი დაესვა მათი

გალა
პლაციდია

ურთიერთქიშპობისთვის და მათი ნიჭი რომის იმპერიის საკეთილდღეოდ წარემართა. 432 წელს ბონიფატიუსს რომში უხმეს. ამჯერად ავგუსტა თავდაუზოგავად იღვწოდა, რომ დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნონასნორობა დაემყარებინა. ყოველადძლიერ აეტიუსს, მისი გავლენის შესამცირებლად, იმპერატრისამ ბონიფატიუსი დაუპირისპირა. მაგრამ გალას პოლიტიკამ კელავ მარცხი განიცადა და მხარეთა განონასნორების ნაცვლად მათი შეტაკება გამოიწვია. შეტაკება ლამის ომში გადაიზარდა. ომში ბონიფატიუსი დამარცხდა და 432 წელს გარდაიცვალა. ამჯერად აეტიუსის ხელში მართლაც მმართველობის ყველა სადავე აღმოჩნდა. საბოლოოდ, აეტიუსის მოღვაწეობამ რომის იმპერიას სარგებელი მოუტანა — მისმა სამხედრო დიდოსტატობამ იმპერიას სიცოცხლე გაუხანგრძლივა. მაგრამ ამასთან ერთად სახელმწიფო მმართველობაში გალას ძალაუფლება შეასუსტა.

გალა პლაციდიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ეკლესიასთან. რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილს, მას ეკლესიისთვის დასახმარებლად არაერთხელ მიუმართავს. ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებით ავგუსტა საქმეების მოგვარებას და სახელმწიფოს დაცვას ცდილობდა. ამასთან ერთად გალა პლაციდია საკანონმდებლო საქმიანობითაც იყო დაინტერესებული.

437 წელს გალას ვატიშვილი ვალენტინიანუს III ევდოქსია მეორეზე დაქორწინდა. ამის შემდეგ გალა პლაციდია შედარებით ჩამოსცილდა სახელმწიფო სარბიელს და უფრო მეტად საეკლესიო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მან არაერთი ეკლესია ააშენა და მორთო რავენასა და რომში. გალა 450 წელს რომში გარდაიცვალა. მისი ცხედარი შემდეგ რავენაში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს.

რომის იმპერიის გადარჩენა, ალბათ, უკვე აღარავის შეეძლო — არც გალა პლაციდიას და არც სხვას. 476 წლის 23 აგვისტოს რომის იმპერიის უკანასკნელ დღედ მიიჩნევენ.

შენიშვნები:

[1] ამბობენ, თითქოს ჰონორიუსს რომის დალუპვის შესახებ ფრინველების მომვლელმა ამცნოო.
„რას ამბობ, ჩემი ხელით ცოტა ხნით წინ ვაჭამე მას," — წამოიძახა ჰონორიუსმა (ჰონორიუსს ჰყავდა მამალი სახელად რომი. ლათ. Roma, როგორც ერქვა ქალაქ რომს). საჭურისი მიხვდა, რომ იმპერატორი თავის მამალზე ლაპარაკობდა, ამიტომ დაუზუსტა, რომ იგი ქალაქი რომის დაცემის შესახებ ატყობინებდა. მაშინ ჰონორიუსმა შეებით ამოისუნთქა და როგორც ამბობენ, განაცხადა: „ჩემო მეგობარო, მე კი გავიფიქრე, რომ ჩემი მამალი დაიღუპაო".

[2] მილი — mille passuas = 1480, 00 მ.

[3] ფუთი — რუსული ხალხური საწყაო მარცვლეულის და მისთ. = 16, 3 კგ.

ჰონორია

ჰონორია გალა პლაციდიასა და კონსტანტიუს III ქალიშვილი იყო. დაიბადა რავენაში 417 წელს. 433 წელს მას „ავგუსტას“ ტიტული უბოძეს.

ჰონორია ლამაზი, მომხიბლავი და კეკლუცი ქალი გახლდათ. მამრობით სქესსაც განსაკუთრებით სწყალობდა. მაგრამ მისი მდგომარეობა ხელს უშლიდა, უბრალო მოკვდავს გაჰყოლოდა ცოლად. ასე მაგალითად, როდესაც ჰონორიას სასახლის საქმეთა განმკარგავი ევგენიუსი შეუყვარდა, დედამისმა გალა პლაციდიამ არ დაუშვა, რომ მისი ქალიშვილი უბრალო მოხელის ცოლი გამხდარიყო და ამიტომ არასასურველი ქორწინების თავიდან ასაცილებლად იგი კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე გააგზავნა. იქ იმ დროს გალას ძმისშვილი — თეოდოსიოს II მეფობდა. თეოდოსიოსის ხელში კარგა ხანს ჰონორია განსაკუთრებულად მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ზედამხედველის გარეშე მას ერთი ნაბიჯის გადადგმასაც უკრძალავდნენ. ბუნებრივია, მამაკაცებთან ურთიერთობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ჰონორიას ამგვარი „ტყვეობა“ დაახლოებით ათ წელს გაგრძელდა. მაგრამ წლების მიუხედავად, ავგუსტას ზნის მოდრეკა მაინც ვერ მოახერხეს. თავისუფლებისმოყვარე ჰონორიას პრინციპულად არ სურდა, მთელი სიცოცხლე შინაბერად დარჩენილიყო. და როდესაც საბოლოოდ ყველაფერი ყელში ამოუვიდა, „რომის პრინცესამ“ ძალზე გაბედული, თუმცაღა ფრიად გაუაზრებელი ნაბიჯი გადადგა.

ჰონორიამ ჰუნების ბელადთან — ატილასთან საჭურისი გააგზავნა. საჭურისმა ჰუნთა მეფეს ჰონორიას ნიშნობის ბეჭედი გადასცა და განუცხადა, რომ ავგუსტა მას თავის ხელს და შესაბამისად, მზითვსაც — რომის იმპერიის მის კუთვნილ წილს სთავაზობდა (444 წ.).

ატილას დიდი ძალაუფლება ჰქონდა. მისი მმართველობის ქვეშ ბევრი

ბარბაროსი ტომი იყო გაერთიანებული. იგი რომის იმპერიის დაუძინებელი და ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მტერი იყო. მან რამდენჯერმე დალაშქრა აღმოსავლეთ რომის პროვინციები ბალკანეთში და საბოლოოდ აიძულა თეოდოსიოს II მისთვის ყოველწლიურად უზარმაზარი ხარკი ეხადა. ჰუნთა ძლევამოსილი მეფის ყველას ეშინოდა. აი, როგორ გვიხასიათებს მას ისტორიკოსი იორდანისი: „ეს იყო კაცი, რომელიც ამ ქვეყანას იმისთვის მოევლინა, რომ ხალხისთვის თავზარი დაეცა. უკლებლივ ყველა ხედავდა, თუ რა საშინელება იყო. არავინ იცის, რა განგების ძალით, თესდა იგი ირგვლივ ძრწოლასა და შიშს. მისი საზარელი სახელი შორს იყო გავარდნილი. ატილას მედიდური სიარული სჩვეოდა, ამ დროს იგი მზერას მრავალმნიშვნელოვნად ხან აქეთ, ხან იქით ტყორცნიდა ხოლმე. მისი სხეულის ყოველი მოძრაობა გამოხატავდა ძლევამოსილებას. ომის მოყვარული ატილა ბრძოლაში ზომიერებას იჩენდა, ამასთან მას განსაკუთრებულად საღად აზროვნება ახასიათებდა. კაცი სათხოვნელად ადვილად მიუდგებოდა. იგი ყოველთვის სწყალობდა იმათ, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ერწმუნა. ტანდაბალი, მკერდგანიერი, დიდთავა და ნვრილთვალება ჰუნთა მეფე თავისი ჭაღარაგარეული მეჩხერი წვერით, ჩაჭყლეტილი ცხვირითა და კანის უსაზიზღრესი ფერით — მოკლედ, მთელი თავისი გარეგნობით საკუთარი წარმომაელობის ყველა ნიშან-თვისებას აელენდა“ (იორდანისი, „გეთიკა“, 182-183).

უნდა ითქვას, რომ ატილას პიროვნება მხატვრული შთაგონების წყაროდ იქცა. იგი ორი დიდი ეპოსის — ნიბელუნგებისა და ედების — გმირების ეტცელის და ატლის პროტოტიპი შეიქნა.

„რომის პრინცესას“ შემოთავაზება ატილას ფრიად გაუხარდა. ეს ხომ მას იმის საბაბს აძლევდა, რომ იმპერიის მინებზე პრეტენზია თამამად განეცხადებინა. პასუხად მან კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე შიკრიკები წარგზავნა და საცოლის გადაცემა მოითხოვა, ამასთან არც ხარკის შეხსენება დაავიწყდა. სამეფო კარმა ატილას წარგზავნილებს ჰონორიას მიცემაზე უარი განუცხადა. მაგრამ შეშინებულებმა, რამეთუ საკუთარ ტყავზე კარგად ჰქონდათ გამოცდილი ჰუნთა ბელადის ძალა, „პრინცესა“ სასწრაფოდ უკან, რავენაში გაისტუმრეს. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, იქ იმპერატორმა ვალენტინიანუს III ურჩი და სასწრაფოდ გაათხოვა და საიმედოდ გამოკეტა. იორდანისის თანახმად კი „ჰონორია მისი ძმის ნებით უბინოების მდგომარეობაში სასახლის ღირსების გამო ჰყავდათ გამომწყვდეული“. იორდანისის კომენტარით ჰონორია ჰუნთა მეფეს იმიტომ დაუკავშირდა, რომ ატილას იგი ძმის ძალადობისგან ეხსნაო. მაგრამ ვალენტინიანუსის სისასტიკის გაკიცხვასთან ერთად, ისტორიკოსი არც ჰონორიას ამართლებს და მის ნამოქმედარსაც ერთობ უღირს საქციელად მიიჩნევს. ჰონორია ხომ ავხორცობის უფლებას სახელმწიფოსთვის ბო-

როტის ქმნის საფასურად ყიდულობდაო, — ასკვნის იორდანისი (იორდანისი, „გეთიკა"", 224).

სამეფო კარის უარმა ატილას ფარ-ხმალი ვერ დააყრევინა. 451 წელს მან რომს კვლავ განუცხადა, რომ საცოლე და მისი მზითვი დაუყოვნებლივ გადმოეცათ და ჰუნთა ჯარები მათ წინააღმდეგ დაძრა. რომაელთა და ვესტგოთთა გაერთიანებულმა არმიამ ატილა კატალაუნიკის ველზე გამართულ უზარმაზარ ბრძოლაში დაამარცხეს. მაგრამ ატილა ცოცხალი გადარჩა და იტალიაში შემოიჭრა. მას შემდეგ რაც ჰუნთა ბელადმა იტალიის პროვინციები სასტიკად ააოხრა, იგი რომს მიადგა. რომში იმპერატორი ვალენტინიანუს III იმყოფებოდა.

შეშინებულმა იმპერატორმა სასწრაფოდ გაგზავნა ატილასთან ელჩობა. ელჩობაში თავად რომის პაპი — ლეო I იღებდა მონაწილეობას. რაფაელის ცნობილ ტილოზე სწორედ მათი — პაპისა და ატილას შეხვედრაა გამოსახული. მოწინააღმდეგეებმა მოილაპარაკეს და რომი ბარბაროსთაგან აოხრებას გადაურჩა. ატილა ყოველწლიურ ხარკზე დაყაბულდა, თუმცა კვლავ დაემუქრა იმპერატორს, რომ იტალიას კიდევ უფრო დიდ უბედურებას მოუტანდა, თუ მას ჰონორიას მისთვის კუთვნილ საგანძურთან ერთად არ გადასცემდნენ.

სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ატილა თავის მუქარას და საცოლეს დაუინებით ითხოვდა. დასავლეთ რომის იმპერია აოხრებას მხოლოდ მისმა უეცარმა სიკვდილმა გადაარჩინა (453 წ.). ჰუნთა მეფე ქორწინების ღამეს იქნა მოკლული. გადმოცემის თანახმად სიცოცხლეს იგი თავად მისმა ახალგაზრდა ცოლმა — გერმანელმა ილდიკამ გამოასალმა და ამით ატილას მიერ ამოჟლეტილ თვისტომებზე იძია შური.

ჰონორია კი 454 წლის შემდეგ გარდაცვლილა.

ასპასია

❦❦❦

არსინოე მეორე

❦❦❦

კლეოპატრა

❦❦❦

ლესბია

❦❦❦

კალპურნია

ქალები

რომლებიც

უყვარდათ

ასპასია

ათენის ისტორიის ბრწყინვალე ხანა ილეოდა. პერიკლე, ამ ხანის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი, მძიმე სენს შეეპყრო. ძვ.წ. 429 წელი იდგა და ათენში შავი ჭირი მძვინვარებდა. სამოც წელს გადაცილებულ მეუღლეს ასპასია უვლიდა. რა არ ილონა, მაგრამ ძალაც კი სცადა, მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წლის წინ კინაღამ უღმერთოების მსჯავრი დასდეს. ლოგინად მივარდნილ პერიკლეს კისერზე თილისმა ეკიდა და როდესაც ოთახში შემოვიდნენ მისი მეგობრები, მან უმნეო ღიმილით დაანახა მათ ეს თილისმა. საუბრობდა იგი ჩურჩულით, და ისიც მძიმედ. მალე ყველას მოეჩვენა, რომ პერიკლემ გონება დაკარგა, ხოლო ოთახში თანატოსის სუსხმა დაჰბერა; მაგრამ საუბარს აგრძელებდნენ, ოღონდაც ისე, თითქოს პერიკლე უკვე მოკვდა. ისინი დანანებით მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა დიდებული ადამიანი ტოვებდა ამ ქვეყანას, იგონებდნენ მის მიერ მოგებულ ბრძოლებს, დაწესებულ დღესასწაულებს, აგებულ ტაძრებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იქ მყოფნი ემზადებოდნენ დიპილონის კარიბჭის მიღმა არსებულ სახელოვან მოქალაქეთა სამაროვანთან სიტყვის სათქმელად.

პერიკლე კი ცოცხალი იყო და ყურს უგდებდა მათ საუბარს. მის მინავლებულ გონებაში ერთმა შეკითხვამ გაიელვა: „რა შეიძლება ითქვას შენზე, პერიკლე?“ იგი დაფიქრდა. მეხსიერებაში მდინარესავით ჩაიქროლეს მოგონებებმა — ნათელმაცა და ქაოსურმაც. პერიკლეს პირადი ცხოვრების სურათები კი არ დაუდგა თვალწინ მხოლოდ, არამედ მთელი ქალაქისაც, იმ ქალაქისა, რომლის კეთილდღეობასაც ემსახურა თითქმის ნახევარი საუკუნე და რომლის დიდებასაც ისტორიამ მისი სახელი დაუკავშირა: ეს იყო ათენი — გამარჯვებულიც, დამარცხებულიც, სამართლიანიც, უსამართლოც, მაგრამ ათენი! თუმცა ეს მოხდა მოგვიანებით, ხოლო ახლა მისი სიცოცხლე ილეოდა... იბინდებოდნენ მოგონებებიც. წამით პერიკლემ გაახილა თვალები და ირგვლივ მყოფთა გასაგონად აღმოთქვა: „თქვენ

დაგავიწყდათ უმთავრესი... არცერთ ათენელ მოქალაქეს ჩემს გამო რომ არ ჩაუცვამს შავი სამოსი“.

იმ ხანად სამგლოვიარო სამოსს იცვამდა არა მხოლოდ ის, ვინც ახლობელს კარგავდა, არამედ ისიც, ვინც საკუთარ თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევდა. ეს კარგად იცოდა პლუტარქემ, რომელმაც ესოდენ ხატოვნად აღწერა პერიკლეს ცხოვრება, ხოლო ნათქვამი ასე განმარტა: „დიახ, ამ კაცში საოცარია არა მხოლოდ უბრალოება და სისადავე, რომელიც მან შეინარჩუნა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, არამედ აზროვნების სათნოებაც; მას ხომ ყველაზე დიდ დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ ეკავა რა უმაღლესი თანამდებობა, არასოდეს დაუფლებია შური თუ რისხვა და არასოდეს მიუჩნევია ვინმე შეურიგებელ მტრად. ვფიქრობ, მისი ცნობილი ზეწოდება, ესოდენ უშუალო და საამაყო, მან თავად დაიმსახურა და არც არავის აღძვრია შური მხოლოდ იმიტომ, რომ „ოლიმპიელი“ უწოდეს კაცს, რომელიც იყო უკეთილშობილესი სულით და რომლის ცხოვრებაც, მიუხედავად ძალმოსილებისა, დარჩა სუფთა და შეუბღალავი“ („პარალელური ბიოგრაფიები“, პერიკლე, XXXIX).

აი, ასეთი იყო პერიკლე, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე უყვარდა ჰეტერა ასპასია. ძნელი სათქმელია, შემორჩებოდა თუ არა ისტორიას მისი სახელი, რომ არ შეხვედროდა ამ დიდებულ ათენელს.

ასპასია, აქსიოქოსის ასული, წარმოშობით არ იყო ათენელი, თავდაპირველად მილეტოსში სახლობდა. პლუტარქეს თანახმად, იგი ერთ იონიელ დიაცს, ვინმე თარგელიას ჰბაძავდა და ყველაზე გავლენიან მამაკაცებს ეძლეოდა. თარგელია, გარეგნული მშვენიერებით აღსავსე და დიდი გაქანების ქალი, მრავალ ელინ კაცთან ცხოვრობდა და ყველას, ვისაც კი ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, სპარსთა მეფის მხარეზე იბირებდა. მათი მეშვეობით კი, რადგან ისინი ჩინოსანნი და დიდგვაროვანნი იყვნენ, იზრდებოდა სპარსელთა გავლენა ელინურ ქალაქებში.

რაც შეეხება ასპასიას, იგი დანარჩენ ჰეტერათაგან გამოირჩეოდა თავისი გონიერებით, სიბრძნითა და სახელმწიფო საქმეებში განსწავლულობით. მასთან მრავალი განათლებული ათენელი საუბრობდა სიამოვნებით. და უფრო მეტიც: კაცებს თურმე ასპასიასთან თავიანთი ცოლებიც კი მიჰყავდათ, რათა მათაც მოესმინათ ამ ბრძენი ქალის სჯა-ბაასი.

პლატონი თავის „მენექსენეში“ აღნიშნავს, რომ მჭევრმეტყველებით სახელმოხვეჭილ ასპასიასთან ურთიერთობის დამყარებას ათენში მრავალი კაცი ცდილობდა (235 e). მალე იგი ისეთი ცნობილი და სახელოვანი გახდა, რომ სპარსეთის მეფისწულმა კიროსმა თავის უსაყვარლეს ხასას, უწინ რომ მილეტოს ეძახდნენ, ასპასია შეარქვა. მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ასპასიას „საქმიანობა სულაც არ იყო მშვენიერი და ღირსეული: იგი მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა სახლს განაგებდაო“ (პლუტარქე, „პერიკლე“, XXIV).

აი, ასეთი იყო ასპასია, როცა პერიკლემ შეიყვარა. ხოლო მისი სიყვარული აღმოჩნდა მძაფრი და ხანგრძლივი, უკანასკნელიც. ათენის ოლიმპიელად შერაცხულ მბრძანებელს, მთელი ელადის ბედის განმგეს, რომელსაც ცოლიც ჰყავდა და ორი შვილიც, იმ დროისათვის ალბათ მობეზ-

რდა ოჯახური საზრუნავები. იგი უკვე 50 წლისა იყო და, როგორც ყოველი მამაკაცი ამ ასაკში, ახლებურ განცდებს ეძიებდა. ცოლთან გაყრა კი ათენში ერთობ იოლი საქმე იყო, თუკი ეს ორმხრივ სურვილს ეფუძნებოდა. როგორც კი პერიკლემ მეუღლისაგან თანხმობა მიიღო, უმალ იზრუნა მის გათხოვებაზე — მოუნახა მდიდარი კაცი, ახლობელი, და გააყოლა. თავად კი შინ მოიყვანა ასპასია, თუმცა მასზე დაქორწინება ვერ შეძლო: ათენის მოქალაქეს მხოლოდ ათენის მოქალაქე უნდა შეერთო. ასე რომ, ასპასია პერიკლეს უკანონო ცოლად დარჩა ისტორიაში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პერიკლეს ინიციატივით ძ.წ. 451 წელს (სულ რაღაც ხუთი წლით ადრე ასპასიას შინ მოყვანამდე) გამოიცა კანონი, რომლის თანახმადაც მხოლოდ ის პიროვნება ჩაითვლებოდა სრულუფლებიან მოქალაქედ, რომელსაც დედაც და მამაც ათენელი ეყოლებოდა. აქედან გამომდინარე, ასპასიას წარმომავლობა შეუძლებელს ხდიდა კანონიერ ქორწინებას, რადგანაც მისი მემკვიდრე ვერ იქნებოდა ათენის სრულუფლებიანი მოქალაქე. და არც პერიკლე ესწრაფოდა ამ ქორწინებას, უპირველეს ყოვლისა, ასპასიას მდაბიო წარმომავლობის გამო: მისი მამა იყო ვაჭარი, რომელმაც დაქვეითების გზაზე მდგარი მილეტოსიდან ბედის საცდელად გადმოინაცვლა ე.წ. საზღვაო კავშირის დედაქალაქში. ხოლო ათენში, ისევე როგორც ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, დიდად აფასებდნენ არისტოკრატიულ წარმომავლობას. ხალხი არასდროს აპატიებდა თავის ბელადს მდაბიო ქალზე დაქორწინებას.

ჰეტერასთან ერთად ცხოვრება კი სულ სხვა რამ იყო. ამას ათენელები, ისევე როგორც ძველი სამყაროს სხვა ხალხები, სრული შემწყნარებლობით ეკიდებოდნენ. ამიტომ დიდსა და ხალხმრავალ ათენში სხვადასხვა ჯურის ჰეტერათა სიმრავლე იყო. ზოგი მათგანი დიდად განათლებული იყო, რის გამოც მასთან საუბარი საყოველთაო ინტერესსაც კი ინვევდა. ცნობილია, რომ სოკრატე ხშირად და სიამოვნებით საუბრობდა ასპასიასთან. და არა მხოლოდ სოკრატე. მთელი ათენი მიიჩნევდა მას ბრძენ ქალად. სწორედ ამიტომ ეშინოდა ყველას, რომ იგი თავისი გავლენის ქვეშ მოიქცევდა პერიკლეს. ეს შიში კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ასპასიამ შვა უკანონო შვილი და მას პერიკლე შეარქვა.

„ყველას თვალწინ ეამბორება პერიკლე ასპასიას, როდესაც მიდის სახლიდან და როცა ბრუნდება", — ჩურჩულებდნენ დაინტერესებული პირები და ავრცელებდნენ ხმას, თითქოს დემოკრატიის ბელადს ასპასია უწერდა სიტყვებს, აძლევდა რჩევებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი პრობლემის გადასაწყვეტად. განსაკუთრებით დაეწაფა ამ თემას ატიკური კომედია, რომელსაც საზოგადოებრივ სამასხარაოზე გამოჰყავდა აღმატებულად პატივდებული მოქალაქეებიც კი. კომედიოგრაფოსმა კრატინოსმა ასპასიას „ახალი დედოფალი ომფალეც" კი უწოდა, რაც საკმაოდ შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო პერიკლესათვის. მითოსის თანახმად, გმირი ჰერაკლე ემსახურებოდა რა ჰერას ბრძანებით დედოფალ ომფალეს, მრავალ შეურაცხყოფას იტანდა, მათ შორის — ეცვა ქალის სამოსი და დედოფლის ფეხებთან მატყლს რთავდა.



ასპასია

იმავე კრატინოსის ერთ-ერთი კომედიით კი ასეთი სიტყვები გაისმო-

და: „საზიზღარმა ავხორცობამ შვა მისი ჰერა — ასპასია, ძაღლისთვალეობა ხასა" (The Fragments of Attic Comedy, Leiden, 1957, fr. 241). ძველი ბერძნები ქალღმერთ ჰერას დიდი მოწიწებითა და სიყვარულით უწოდებდნენ „ხარისთვალებას", რადგან მიაჩნდათ, რომ ხარის თვალები იყო სევდიანი და ულამაზესი. ხოლო ასპასიას მოხსენიება „ძაღლისთვალება ხასად" მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება პერიკლეს, იგი ყურადღებას არ აქცევედა ამგვარ გამოსვლებს. ათენელებს ღრმად სწამდათ, რომ „ისეგორია" („სიტყვის თავისუფლება") დემოკრატიის ფუნდამენტი იყო.

ის, თუ რა გავლენა იქონია ასპასიამ პერიკლეზე, ზუსტად არავინ იცოდა. არც ის იქნება მართებული, ამ საკითხზე ვისაუბროთ მას შემდგომ, რაც ოცდახუთმა საუკუნემ განვლო. ისე კი, ყურადღებას იმსახურებს ერთი ფაქტი: როდესაც მეგარის კავშირის ორი მონაწილე — სამოსი და მილეტოსი ერთმანეთს ეომებოდა მცირე აზიის სანაპიროზე მდებარე პატარა სახელმწიფოსთვის და გამარჯვება სამოსელების მხარეს იხრებოდა, ათენელებმა ბრძანეს, შეეწყვიტათ ომი, რათა სადაო საკითხები სამედიატორო სასამართლოზე განეხილათ. სამოსელებმა ყურად არ იღეს ეს ბრძანება. მაშინ პერიკლემ სახალხო საბჭოს მიაღებინა კუნძულ სამოსზე დამსჯელი რაზმების გაგზავნის დადგენილება. ახლა ათენიც ჩაება ომში.

ხალხში ხმა დაირხა, პერიკლემ იმიტომ წამოიწყო ეს ომი, რომ ასპასიას თავი უნდა მოაწონოსო. ხმას ძირითადად დემოკრატიის მოწინააღმდეგენი ავრცელებდნენ და ოლიმპიელის სიყვარულს პოლიტიკურ ელფერს ჰმატებდნენ. განსაკუთრებით კომედიოგრაფოსები გააქტიურდნენ. მათი თავდასხმები იმდენად უწმაწური და მიუღებელი იყო, რომ ათენში არნახული რამ მოხდა: აიკრძალა ჯერ კიდევ ცოცხალ პიროვნებათა გამასხრება თეატრის სცენიდან. კანონი მალე შეიცვალა, ამიერიდან თეატრის მმართველი არქონტი და თავად ხალხი უნდა ყოფილიყო შეუხებელი. მაგრამ არც ამ კანონს იცავდნენ კომედიოგრაფოსები.

ერთი შეხედვით, პერიკლე მართლაც მილეტელებს თანაუგრძნობდა. მილეტოსი კი ასპასიას სამშობლო იყო. ამ ბრძოლაში მილეტოსმა იმიტომ გაიმარჯვეო — ასე ამბობდნენ — რადგანაც მან დასახმარებლად მიმართა თავის მშვენიერ ასულს, რომელიც მართავედა პერიკლეს, ხოლო მისი საშუალებით ათენსაც და მთელ საზღვაო კავშირს.

ათენის შუამავლობის მთავარი მიზეზი კი, მარტივად რომ ვთქვათ, ის იყო, რომ კუნძულ სამოსს განაგებდნენ არისტოკრატები. პერიკლეს კარგად ესმოდა, თუ ათენსა და სპარტას შორის ომი დაიწყებოდა (და ომი უკვე მზადდებოდა), არისტოკრატები სპარტას მიემხრობოდნენ. სამოსის დაპყრობის შემდეგ ყველამ კარგად დაინახა, რომ სულ რაღაც ცხრა თვის განმავლობაში პერიკლემ შეძლო დაემორჩილებინა საბერძნეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც კინაღამ წაართვა ათენს ზღვაზე ბატონობის უფლება.

პერიკლესა და ასპასიას სახლში თავს იყრიდნენ იმ დროის ბრწყინვალე და ნიჭიერი ადამიანები. ასპასიას მეოხებით მათთვის უფრო იოლი იყო

ოლიმპიელთან მოხვედრა და საუბარი. სტუმართა შორის გამოირჩეოდნენ ანაქსაგორა, პროტაგორა, სოკრატე, ფიდიასი და სხვები. მართალია, პერიკლე მათ ადრეც იცნობდა, მაგრამ მათი მეგობრობა უფრო განმტკიცდა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემათა გარდა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ფილოსოფიური საუბრები სამყაროს წარმოშობაზე, სიქველეზე, ადამიანის დანიშნულებაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე და ძირითადად ამ საუბართა წარმმართველი სწორედ ასპასია იყო. პერიკლეს მტრები კი ფხიზლობდნენ. ესენი იყვნენ დემოკრატიის მონინააღმდეგე არისტოკრატები, რომელთაც მოსვენებას არ აძლევდა პერიკლეს წარმატებები. მათ ეშინოდათ ოლიმპიელის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის და ამიტომ დევნა დაუწყეს მის მეგობრებს. ფიდიასი, რომელიც აკროპოლისის აღმშენებლობით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, დაადანაშაულეს ქალწულ ათენას ქანდაკებისთვის განკუთვნილი ოქროს ნაწილის მითვისებაში. ხოლო როდესაც არ გამართლდა ცილისწამება, მკრეხელობაში დასდეს ბრალი. ფიდიასი საპყრობილეში გარდაიცვალა.[1] ასე ამბობენ, ეს უდიდესი ხელოვანი პერიკლეს მტრებმა მოწამლესო.

შემდეგ პერიკლეს მოწინააღმდეგეებმა დევნა დაუწყეს მის მოძღვარს, ანაქსაგორას. აიძულეს სახალხო კრება, მიეღო დადგენილება იმათი დასჯის თაობაზე, რომლებიც არ სცნობდნენ ღმერთებსა და სწავლობდნენ ციურ მოვლენებს. ნათელი იყო, ეს დადგენილება ანაქსაგორას წინააღმდეგ იყო მიმართული, სწორედ იმიტომ, რომ იგი პერიკლესთან მეგობრობდა. ხოლო პერიკლემ იმდენი შეძლო, რომ გააპარა თავისი მოძღვარი ათენიდან.

მალე ცალთვალა კომედიოგრაფოსმა ჰერმიპოსმა, პერიკლეს დაუოკებელმა მტერმა, დიოპიტოსის კანონის მოშველიებით ასეთი ბრალდება წამოაყენა: „ასპასია, აქსიოქოსის ასული, არის ღმერთების უარმყოფელი და კეთილშობილ ქალთა გამრყვნელი. მის სახლში ათენის მოქალაქე გათხოვილი ქალები ხვდებიან პერიკლეს“.

რამდენადაც კანონი კრძალავდა ქალის საჯაროდ გამოსვლას, სამსჯავროს წინაშე წარდგა პერიკლე. იგი ლაპარაკობდა დიდხანს და დინჯად. გაოცებულმა მსაჯულებმა და ხალხმა მის თვალზე ცრემლიც შენიშნეს. არასოდეს უნახავთ იგი ასე აღელვებული. დიდ ოლიმპიელს მუდამ შეეძლო საკუთარი გრძნობების დაოკება, მაგრამ ასპასიას საქმემ შეძრა და შეაძრწუნა იგი. თუმცა ბრალდება არც ყოფილა სერიოზული. რა იგულისხმებოდა ასპასიას „უღმერთობაში“, ნუთუ ის, რომ მეგობრობდა ანაქსაგორასთან, რომელიც ციურ სხეულებს აკვირდებოდა და ქადაგებდა, რომ მოვლენებს განაგებს არა ღმერთები, არამედ „გონება“, რომლის ძალითაც შესაძლებელია მთელი გარემომცველი სამყაროს შეცნობა? ან იქნებ ის, რომ თავის ასულებს მუზათა სახელები შეარქვა?! რაც შეეხება მის უზნეობას, ეს უკვე ორმხრივი შეურაცხყოფა იყო, რამეთუ ეხებოდა არა მხოლოდ ასპასიას, არამედ მის სახლში შემოსულ ყველა ქალს და მათ ქმრებსაც. — ასე მსჯელობდა პერიკლე და ბრალდებებიც უმალ მოიხსნა.

ასპასია

დრო გადიოდა, მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე. ბიოგრაფოსები ერთხელ კიდევ გაიხსენებენ ასპასიას, როდესაც პერიკლეს საზარელი სე-

ნი წაართმევს კანონიერ ვაჟებს. გადარჩება მისი უკანონო ძე, რომელიც შვა ასპასიამ, მასაც პერიკლე ერქვა. მაშინ ათენის დიდი სტრატეგოსი თხოვნით მიმართავს ხალხს, დაუშვან გამონაკლისი „უკანონოდ შობილთა განჩინებაში" და ასპასიას მიერ შობილი მისი ძე სრულუფლებიან ათენელად ცნონ. აღასრულეს მისი სურვილი. მაგრამ პერიკლეს გახარება აღარ ეწერა. შავი სენი მასზე ძლიერი აღმოჩნდება.

პერიკლეს გარდაცვალების შემდეგ, სულ მალე, ასპასიამ თავისი ბედი დაუკავშირა კაცს, რომელსაც მიიჩნევდნენ დემოკრატთა მომავალ ბელადად. მისი სახელი იყო ლისიკლესი. პლუტარქე, ეყრდნობოდა რა ფილოსოფოს ესქინოსის ნათქვამს, აღნიშნავდა: „პირუტყვთა დალალი, მდაბიო წარმომავლობის ეს უბადრუკი ლისიკლესიც კი პირველი კაცი გახდა ათენში მხოლოდ იმიტომ, რომ პერიკლეს გარდაცვალების შემდეგ ასპასიასთან ცხოვრობდა. პლატონის „მენექსენეში", რომელიც, მართალია, სახუმარო კილოთი ინყება, ის ისტორიული სიმართლეა გადმოცემული, რომ მჭევრმეტყველებით სახელგანთქმულ ამ ქალთან მრავალი კაცი ლამობდა დაახლოებას. ხოლო პერიკლეს მისწრაფება ასპასიასადმი, ჩანს, მაინც რაღაც განსაკუთრებული ვნებიანი სიყვარულით იყო გამოწვეული" (XXIV). ასპასიას პერიკლესადმი დამოკიდებულებაზე ძველი ბიოგრაფოსები დუმან. ჩვენ კი შევეცადოთ გამართლება მოვუძებნოთ მის ლისიკლესსთან დაკავშირების სისწრაფეს: ასპასია მარტო დარჩა იმ ქალაქში, სადაც ომის პირობებში სულ უფრო რთულდებოდა ცხოვრება. გარდა ამისა, იგი იყო უცხოელი, რომელიც ბევრს სძულდა. თუმცა მთავარი მიზეზი ამ გადაწყვეტილებისა შეიძლებოდა ყოფილიყო ახალგაზრდა პერიკლესის მომავალზე ზრუნვა. მამის გარდაცვალებისას ის თვრამეტი წლის სრულდებოდა.

ასე იყო თუ ისე, ისტორიაში ასპასია დარჩა თავისი დროის უგანათლებულეს ქალად, რომელსაც მიმადლებული ჰქონდა სილამაზისა და მშვენიერების ღრმად აღქმის ნიჭი, საღი აზროვნება და ნაფიქრალის დიდებულად წარმოთქმის უნარი. და კიდევ ერთი: იგი უყვარდა დიდ ოლიმპიელს.

შენიშვნები:

[1] დაინტერესებულ მკითხველს გვსურს შევახსენოთ: პერიკლეს რჩევით ფიდიასმა ისე შეამკო ქანდაკება ოქროთი, რომ იოლი ყოფილიყო მისი მოხსნა. ეს ოქრო ტონაზე მეტს იწონიდა და სახელმწიფოს საგანძურის ნაწილი იყო. როდესაც შემონმებამ ცხადყო დიადი მოქანდაკის პატიოსნება, ცილისმწამებლებმა სხვა ბოროტება ჩაიდინეს. მათ ღმერთების უბრწყინვალესი ქანდაკებების შემოქმედი მკრეხელობაში დაადანაშაულეს, რისთვისაც ასეთი რამ მოიგონეს: ათენას ფარზე გამოსახული იყო ბრძოლა ამორძალებთან. მითოსის თანახმად, ამორძალები (მებრძოლი ქალები) თავს დაესხნენ ატიკას. მათზე გამარჯვება ათენის ლეგენდარული მეფის, თესევსის, უდიდეს გმირობად ითვლებოდა. ამბობდნენ, რომ ფიდიასმა მებრძოლთა შორის გამოსახაო თავისი მფარველი პერიკლეც და საკუთარი თავიც მელოტი მოხუცის სახით, რომელსაც ქვა ეპყრა ცისკენ აღმართულ ხელში (ათენას ეს ქანდაკება ჩვენამდე არ შემორჩენილა, მაგრამ მოგვეპოვება მისი ასლები. ზოგიერთ მათგანზე შესაძლებელია ფიდიასისა და პერიკლეს პორტრეტების გარჩევა). ახლა კი უკვე ვეღარ შეძლო ფიდიასმა თავის მართლება. იგი საპყრობილეში ჩასვეს, სადაც სულ მალე გარდაიცვალა.



არსინოე
მეორე

ელინისტური სამყაროს მაკედონურ-ბერძნული სახელისუფლო დინასტია პტოლემაიოსთა სახელს უკავშირდება (ძვ.წ. 323-30 წწ.). არსინოე მეორე პტოლემაიოსთა იმპერიის მეორე თაობის წარმომადგენელია. იგი თავის ძმასთან, პტოლემაიოს II ფილადელფოსთან ერთად მართავდა ქვეყანას და, ისტორიკოსთა აღიარებით, გადამწყვეტი როლი შეასრულა პტოლემაიოსთა იმპერიაში. რა თქმა უნდა, თანამედროვენი კარგად აცნობიერებდნენ ამ სამეფო წყვილის მოღვაწეობის მნიშვნელობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი დიდხანს იყვნენ შეპყრობილნი დისა და ძმის ქორწინებით მიღებული შთაბეჭდილებით, რაც, თავის თავად, უპრეცენდენტო მოვლენა იყო ადრეულ ელინისტურ ეპოქაში.

არსინოე ორმოც წელს იყო მიღწეული, როდესაც იქორწინა თავის რვა წლით უმცროს ძმაზე. მანამდე კი საკმაოდ დაძაბული და მღელვარე ცხოვრება განვლო.

არსინოეც და პტოლემაიოს მეორეც ერთი დედ-მამის, პტოლემაიოს პირველისა და ბერენიკეს შვილები იყვნენ. პტოლემაიოს პირველს კიდევ ჰყავდა ერთი ძე ყოფილი ცოლისგან, ევრიდიკესგან, რომელსაც პტოლემაიოს კერავნოსი (მქუხარე) ერქვა და, რომელიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს არსინოეს ცხოვრებაში.

ძვ.წ. დაახლოებით 300 წელს თექვსმეტი წლის არსინოეს დააქორწინებენ თრაკიისა და მაკედონიის მეფე ლისიმაქოსზე, რომელიც იმ ხანად 60 წელს მიღწეული მოხუცი იყო. ლისიმაქოსისათვის ეს მეოთხე ქორწინება, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. პირვე-

ლი ქორწინებიდან მას ჰყავდა ქალიშვილი სახელად არსინოე, რომელიც ისტორიაში არსინოე პირველად არის ცნობილი და ვაუი, სახელად აგათოკლესი, რომელმაც ახალგაზრდულ ასაკშივე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა და სტრატეგოსმა. სწორედ მას გადაეცემოდა მემკვიდრეობით ძალაუფლება, რომ არ მოსვლოდა საბედისწერო უთანხმოება თავის დედინაცვალთან — არსინოე მეორესთან. სამეფო კარზე დიდხანს ერცელდებოდა მიეთ-მოეთი იმაზე, თუ როგორ უყვარდა არსინოეს აგათოკლესი, რომელმაც უპასუხოდ დატოვა მისი გრძნობა. ისტორიკოსები ასახელებენ უთანხმოების სხვა მიზეზსაც, უფრო სარწმუნოს: არსინოე მეორემ ლისიმაქოსს სამი ძე უშვა — პტოლემაიოსი, ლისიმაქოსი და ფილიპოსი. მან შეძლო ისე მოენუსხა მოხუცი მეფე, რომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა აგათოკლესისათვის, რომელიც ითვლებოდა ტახტის მემკვიდრედ. გადმოცემის თანახმად, ეს შემზარავი განაჩენი აღასრულა ციხის კედლებში პტოლემაიოს კერავნოსმა. მაშინ აგათოკლესი 30 წლის იყო და ცოლად ჰყავდა არსინოე მეორეს ღვიძლი და ლისანდრე. ვერც მეუღლის პატივისცემამ, ვერც დის სიყვარულმა, ვერც სხვა რამ გრძნობამ, რომელიც შვილობილისადმი უნდა ჰქონოდა, ვერ შეაჩერა ძალაუფლებისადმი ლტოლვით შეპყრობილი არსინოე. ხოლო თავბრუდახვეული და მონუსხული ლისიმაქოსი, თანაც ბებერი, ბრმად მიენდო მეუღლის ნებას. ეს იმ ხანადაც კი არნახული ბოროტება იყო. მწარედ დაისჯება არსინოე ამ მზაკვრობისთვის, თანაც უმოკლეს ხანში.

სასახლის კარზე დატრიალებული უბედურებით შეძრწუნებულმა აგათოკლესის მეგობრებმა განიზრახეს შურისძიება. მათ შორის იყო სელევკოს I. ყველაფერთან ერთად მას ლისიმაქოსის წინააღმდეგ პოლიტიკური ზრახვებიც ამოძრავებდა. შეთქმულები აუმხედრდნენ ლისიმაქოსს. 281 წლის თებერვალში შედგა გადამწყვეტი ბრძოლა. ლისიმაქოსი დაიღუპა, მისი სამეფო მცირე აზიაში განადგურდა, ხოლო ქვრივმა არსინოემ ძლივს უშველა თავს გაქცევით. მან მაკედონურ კესანდრიას შეაფარა თავი.

მძიმე დღეები დაუდგა არსინოეს. ლისიმაქოსის იმპერიის ევროპული ნაწილიც შერყეული იყო. უფროსი ძის, პტოლემაიოსის გამეფებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ის მეტისმეტად პატარა იყო იმისთვის, რომ გამკლავებოდა მემკვიდრეობით მიღებულ სირთულეებს. და რაც მთავარია, მაკედონიის სამხედრო საბჭო ჯერ სელევკოს I მიემხრო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — პტოლემაიოს კერავნოსს. ისტორიკოსები ვერ ხსნიან ამ პარადოქსულ ფაქტს.

ახლა საჭირო იყო პტოლემაიოს კერავნოსისა და არსინოე მეორეს დაკავშირება. მამით ერთი და დედით სხვადასხვა და-ძმის შეუღლება რთული არ იყო, არც სკანდალური. პირველი ნაბიჯი კერავნოსმა გადადგა. იგი ვარაუდობდა, რომ ამ ქორწინებით არსინოეს სამ ძეს მემკვიდრეობის უფლებას ჩამოათმევდა; პირდებოდა არსინოეს, რომ ქორწინება იქნებოდა ფორმალური და რომ სამეფოს მის შვილებთან ერთად მართავდა. ალბათ არსინოე მიუხვდა განზრახვას. მან თავისი ნახევარძმის წინადადება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ყველა ღმერთი დააფიცა. ფიცის თანახმად, არსინოე უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი კანონიერი ცოლი, ხოლო მისი ვაჟიშვილები — ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეები სამეფო ტახტისა. შემდეგ, როგორც გვაუწყებს იუსტინე,[1] გადაიხადეს მდიდრული ქორწილი. მთელი მაკედონური არმიის წინაშე პტოლემაიოს კერავნოსმა თავის ნახევარდასა და მეუღლეს თავს დაადგა სამეფო გვირგვინი და თაყვანი სცა, ვითარცა დედოფალს.

არსინოემ, დაბრუნებული ძალაუფლებით აღფრთოვანებულმა, თავისი მეუღლე მიიწვია კესანდრიაში. ბრძანება გასცა, საზეიმოდ მოერთოთ ქალაქი, ტაძრები და საკურთხეველები შეემკოთ ყვავილების გირლიანდებით. ხოლო ყვავილწნულებით დამშვენებული თავისი ვაჟები — თექვსმეტი წლის ლისიმაქოსი და ცამეტი წლის ფილიპოსი — მეუღლის შესახვედრად გაგზავნა. პტოლემაიოსმა თითქოს კეთილად მიიღო ისინი. ამის შემდეგ კი თავისი ტრაგიზმით ჯერარნახული რამ მოხდა: პტოლემაიოსმა, შეაბიჯა რა ამალით ქალაქის კარიბჭეში, ციხე-სიმაგრის დაკავებისა და არსინოეს შვილების მოკვლის ბრძანება გასცა. შეძრწუნებულმა ბავშვებმა დედისკენ ისწრაფეს. არსინოემ დაინყო მოთქმა და გოდება. გაოგნებული ეძიებდა პასუხს კითხვაზე: რა ჩაიდინა ისეთი, რომ ასეთი სასჯელი დაიმსახურა. ამაო იყო მისი ყველა ცდა, გადაერჩინა ბავშვები. ამაო იყო მისი სურვილი, თავად მიეღო სიკვდილი, ოღონდაც ეხსნა შვილები. მაგრამ სასტიკი იყო ბედის რისხვა. მას იმის ნებაც კი არ მისცეს, დაეტირებინა ისინი, მონანილეობა მიეღო მათ დაკრძალვაში. ჩამოხეული კაბითა და გაშლილი თმებით, მხოლოდ ორი მონა-ქალის თანხლებით დატოვა არსინოემ კესანდრია და გაძევებულმა თავი შეაფარა კაბირთა ტაძარს სამოთრაკეში. ყველაზე დიდი სასჯელი იმ ხანად მისთვის ის იყო, რომ არ მოკლეს შვილებთან ერთად.

არსინოე მეორე

არსინოეს უფროსმა შვილმა, პტოლემაიოსმა, მოახერხა ილირიაში გაქცევა. ასე რომ, პტოლემაიოს კერავნოსმა ვერ ამოძირკვა ლისიმაქოსის გვარი სამუდამოდ.

არსინოემ უკვე ორგზის დაკარგა დიადემა და აღარავის ეგონა, რომ იგი კვლავ დაიბრუნებდა სამეფო ძალაუფლებას. მაგრამ მოვლენები მის სასარგებლოდ დატრიალდა.

მიიღო თუ არა მიწევეა უმცროსი ძმისგან, ეგვიპტის მეფე პტოლემაიოს მეორესაგან, მან სასწრაფოდ დატოვა სამოთრაკე და გაეშურა ალექსანდრიისაკენ. არსინოეს არასოდეს მიუტოვებია ოცნება სამეფო ტახტზე. ახლა იგი 37 წლის იყო და როგორც უფროსი და მმართველი მონარქისა, განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. მისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ის, რომ პტოლემაიოსის მეუღლე იყო ლისიმაქოსის ასული არსინოე I. მან მოახერხა თავისი უმცროსი ძმის მონუსხვაც. არავინ იცის, რა მოიმოქმედა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პტოლემაიოსმა თავისი მეუღლე, დედოფალი არსინოე I, დაადანაშულა მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში და ქალაქიდან გააძევა. ზემო ეგვიპტის ერთ უკაცრიელ და უდაბურ მხარედ მიუსაჯა წასვლა, შორს ყოველგვარი ცივილიზაციისაგან. დედოფალს ეს არ დაუმსახურებია. მან პტოლემაიოს II სამი შვილი გაუჩინა: პტოლემაიოს III — ტახტის მემკვიდრე, ლისიმაქოსი და ბერენიკე, რომელიც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა სელევკიდ ანტიოქოს II.

არსინოე მეორე ჩქარობდა. დაუოკებელი იყო მისი სწრაფვა სამეფო ძალაუფლებისაკენ. უმცროსი ძმა კი წინ ვერ აღუდგა. და აი, 277 წელს მათ იქორწინეს და ამ ქორწინებით გააოცეს მთელი იმდროინდელი სამყარო. პტოლემაიოსი 31 წლის იყო, არსინოე — 8 წლით უფროსი, თანაც ღვიძლი და. რა ერქვა ამას? სიყვარული თუ პოლიტიკური შეთანხმება? ძველი დროის ისტორიკოსები დუმილს არჩევენ. თანამედროვენი ვარაუდობენ, რომ ქორწინებას პოლიტიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა. ჩვენ კი შევეცადოთ მივყვეთ ისტორიულ მოვლენებს.

პტოლემაიოსი, როგორც ითქვა, უკვე 31 წლის იყო. ეს მოწიფული ასაკია, თუ გავიხსენებთ ალექსანდრე მაკედონელს, რომელმაც ცხოვრება 33 წლისამ უკვე დაასრულა. რაც შეეხება სამეფოს, არც აქ ჰქონია ცუდად საქმე პტოლემაიოსს. მაკედონიის უფლებააყრილი დედოფალი სამარცხვინო სახელის გარდა მას ვეღარაფერს შესთავაზებდა. აქედან გამომდინარე კი, ვერც სამეფო კარს დაარწმუნებდა თავისი არჩევანის სისწორეში. მით უმეტეს, რომ ბერძენთა და მაკედონელთათვის ერთი დედ-მამის შვილთა შორის ქორწინება სრულიად მიუღებელი იყო. და მართლაც, სამეფო კარი აღშფოთდა. განსაკუთრებით ღელავდა პოეტი სოტადესი, რომელიც ისედაც გამოირჩეოდა თავისი ირონიული და გესლიანი ლექსებით. არ გაუ-

მართლა. ის დაიჭირეს კრეტასთან მდებარე ერთ პატარა კუნძულზე, ჩატენეს ტყვიის კასრში და ტალღებში გადაუძახეს. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ მეფისა და დედოფლის შეურაცხყოფა აღარავის მიეტევებოდა.

მართალია, ბერძენთათვის უჩვეულო იყო ერთი დედ-მამის შვილთა შორის ქორწინებები, მაგრამ ეგვიპტეში, განსაკუთრებით ფარაონების ეპოქაში, ეს არც თუ ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. თუმცა ამ ძველი წესის აღორძინებაც არ იქნებოდა გამეფებული წყვილის მიზანი. ისინი ალბათ უფრო სხვა იდეით იყვნენ შეპყრობილები. ეს იყო იმპერიის ერთპიროვნული მმართველობისაკენ სწრაფვა. ამ კონცეფციის თანახმად, მეფე იმდენად მაღლა იდგა თავის ქვეშევრდომებზე, რომ მისი ღირსი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მისიანი ოჯახის წევრი მეუღლე, მისი სისხლი და ხორცი. რა თქმა უნდა, ამ აზრს არ იზიარებდა იმდროინდელი საზოგადოება, რომლისთვისაც წარმოუდგენელი იყო დაწერილ და დაუწერელ კანონებზე მაღლა მოკვდავი ადამიანის აღზევება. მაგრამ დასა და ძმას არად მიაჩნდათ საზოგადოებრივი აზრი. პირიქით, ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მოკვდავთა სფეროს დიდი ხანია გასცდნენ და უკვდავთა სფეროში გადაინაცვლეს. იქ კი ყველაფერი ნებადართული იყო. ზევსმაც ხომ თავის დაზე იქორწინა და ამ მოვლენას „წმინდა ქორწინება" ეწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ არსინოემ და პტოლემაიოსმა ჩაუყარეს საფუძველი ერთი დედ-მამის შვილთა ქორწინებას, ანუ ოჯახურ ქორწინებას, რომელიც შემდგომ მოიწონეს დანარჩენმა პტოლემაიოსებმაც. გავიხსენოთ პტოლემაიოს IV (221-204 წწ.), რომელმაც ცოლად შეირთო თავისი ღვიძლი და — არსინოე III; პტოლემაიოს VIII (145-116 წწ.), რიგით მეორე კლეოპატრას მეუღლე; და ბოლოს, ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი — კლეოპატრა VII, რომელსაც ნომინალურად, მაგრამ მაინც რიგრიგობით შერთეს მცირეწლოვანი ძმები. ასე რომ, „წმინდა ქორწინება" ტრადიციად დამკვიდრდა პტოლემაიოსთა დინასტიაში. ვარაუდობენ, რომ ამ იდეის შემოქმედი, ისევე როგორც სხვა იდეებისა, სწორედ არსინოე მეორე უნდა ყოფილიყო. იგი დიდად აღემატებოდა ძმას თავისი ენერგიით, გამოცდილებით, შესაძლოა, გამჭრიახობითაც, რამაც საშუალება მისცა ემართა არა მხოლოდ მეფე, არამედ სახელმწიფოც. არ არის ყურადღების გარეშე დასატოვებელი ის ფაქტიც, რომ ეს იდეები მეფური პატივმოყვარეობის გრძნობას ეხმაურებოდნენ.

ამ სამეფო წყვილმა ძალაუფლების განსამტკიცებლად კიდევ რამდენიმე ტრადიციას დაუდო სათავე. მათი მმართველობის პერიოდში დანეს-

და ე.წ. სამეფო კულტი, რაც გულისხმობდა ქვეყნის მბრძანებლის ღვთაებრივ დონეზე წარმოჩენას. რა თქმა უნდა, ამ კულტის იდეა უცხო არ იყო ეგვიპტური სამყაროსათვის, სადაც ფარაონს ღვთაებრივი სტატუსი ოდითგან ჰქონდა მინიჭებული. ეს კულტი ბერძნული სამყაროსთვისაც არ იყო უცხო, მაგრამ განსხვავებით ეგვიპტურისაგან, მისი არსი მარტივად ასე გამოითქმოდა: ადამიანურ ძალისხმევას აღმატებულ საქმეთა შემოქმედ მბრძანებელს ღვთაებრივი პატივი მიეგებოდა. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ალექსანდრე მაკედონელი.

პტოლემაიოს II (ალბათ არსინოეს კარნახით) მბრძანებლის ელინისტური კულტის დაწესება განიზრახა (აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ გარდაცვლილთა და ცოცხალთა კულტები). მან, უპირველეს ყოვლისა, მამამისის — პტოლემაიოს I გაღმერთება სცადა იმით, რომ უწოდა საკულტო სახელი — „მხსნელი ღმერთი". ამას არ მოჰყოლია მღელვარება ბერძენთა მხრიდან, რადგანაც პტოლემაიოს I სიცოცხლეშივე აღსრულებულ საქმეთა გამო ისედაც უწოდეს „მხსნელი". ეს ჯერ კიდევ არ გულისხმობდა მეფის ოფიციალურ კულტს. მაგრამ შემდეგი ნაბიჯი პტოლემაიოს მეორისა ამ კულტის ოფიციალურად აღიარებას ნიშნავდა: 279-278 წლებში მშობელთა პატივსაცემად მან დააწესა ზეიმი სახელწოდებით „პტოლემაიოსები", რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გამართულიყო.

პტოლემაიოს II ცოცხალ მეფეთა კულტიც დააწესა, სახელწოდებით „და-ძმა ღმერთები" („theoi adelphoi"). ბუნებრივია, ცოცხალ მბრძანებელთა კულტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა იყო და მას დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ ალექსანდრიის ერთ-ერთ ტაძარში. იმიტომ, რომ ამ კულტს საყოველთაო აღიარება მოეპოვებინა, პტოლემაიოს II „theoi adelphoi"-ის სხვა ტაძრებში დამკვიდრების ბრძანებაც გასცა სახელწოდებით „theoi synnaoi" (სიტყვასიტყვით: „ერთ ტაძრად დავანებული ღმერთები"). ეს ღვთისმსახურება უნდა აღსრულებულიყო როგორც ბერძნულ, ასევე ეგვიპტურ ტაძრებში. აქ ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ცოცხალ მეფეთა კულტის აღიარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო და იგი ძალაუფლების თეოკრატიულობის იდეას გულისხმობდა.

მრავალი დიდებული საქმე განახორციელა პტოლემაიოს II, რომელიც 283 (თუ 282) წლიდან მოყოლებული ერთპიროვნული, გაღმერთებული მბრძანებელი იყო და რომელიც უზარმაზარ იმპერიას განაგებდა ეგეიდადან ნილოსური ნუბიის ნაპირებამდე. ჟამთააღმწერლები ერთხმად აღია-

რებენ, რომ მისი მმართველობის პერიოდი აპოგეაა პტოლემაიოსთა ისტორიაში, თავად მბრძანებელი კი — აღმატებულად ღირსეული დინასტიაში. ხოლო არსინოე პტოლემაიოსის მიერ განხორციელებული მრავალი საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელი იყო. მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს საქვეყნოდ ცნობილი მუსეიონი, რომელიც ალექსანდრიაში სახელმწიფოებრივ საწყისებზე დაარსდა და რომელიც იყო არა მხოლოდ მუზეუმი, არამედ ე.წ. კვლევითი ცენტრი, სადაც იმ პერიოდისთვის უმაღლეს დონეზე მიმდინარეობდა მუშაობა პოეზიის, ფილოსოფიის, ასტრონომიის, მათემატიკის, ბოტანიკის, ზოოლოგიისა თუ სხვა სფეროებში. სწორედ არსინოემ მოიწვია მუსეიონში თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანები, რომლებთან ერთადაც ანყობდა დისკუსიებს სხვადასხვა საკითხებზე. სწორედ ამ მუსეიონში დაედო დასაბამი ცნობილ ალექსანდრიულ ბიბლიოთეკას, სადაც გარდა შეკრებითი სამუშაოებისა, მიმდინარეობდა მთარგმნელობითი მოღვაწეობაც.

პტოლემაიოსმა სცადა გაეტარებინა რელიგიური გარდაქმნებიც, რაც დასავლურ და აღმოსავლურ რელიგიათა ელემენტების შერწყმით ახალი, უნივერსალური რელიგიის შექმნას გულისხმობდა. ამ ურთულეს საქმეშიც მას არსინოე ედგა გვერდით. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ პტოლემაიოს II იდეები ძალაუფლების თეოკრატიულობის თაობაზე ჩამოყალიბდა მისი მეუღლისა და დის გავლენით.

როდესაც არსინოე გარდაიცვალა (ძვ.წ. 270 წლის 9 ივლისს) პტოლემაიოსმა იგი ღმერთთა პლეადის კუთვნილებად გამოაცხადა და უწოდა „thea philadelphos", ანუ „ძმისმოყვარე ღვთაება". მას დაუნიშნა ქურუმი, სახელწოდებით „კანეფორა" („კალათს ვინც ატარებს"). ეს იყო ალექსანდრიის უწარჩინებულესი ოჯახის შვილი, ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც მთელი სიცოცხლე გარდაცვლილი დედოფლის ღვთისმსახურებაში უნდა გაეტარებინა. ამ კანეფორას მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა დიდ დღესასწაულსა და ოფიციალურ პროცესიაში, რომელიც კი ალექსანდრიაში ჩატარდებოდა.



არსინოე მეორე

პტოლემაიოს II კიდევ მრავალი რამ განახორციელა არსინოეს სახელის უკვდავსაყოფად. დააარსა ქალაქები სახელწოდებით არსინოა და ფილოტერა („უსაყვარლესი"), რომლებიც უძღვნა თავის ძვირფას დასა და მეუღლეს. მასვე მიუძღვნა უბრწყინვალესი საკურთხეველი პროვინცია ფაიუმის დედაქალაქში. უწინ ჭაობად ქცეულ ადგილზე გააშენა ქალაქი — ბაღი და მასაც არსინოეს სახელი უწოდა.

როდესაც არსინოე გარდაიცვალა, პტოლემაიოსი 38 წლის იყო და ისტორიული წყაროების თანახმად, მთელი არსებით მიეცა სიყვარულის სიხარულს. მას მრავალი საყვარელი ქალი ჰყოლია, რომელთაც ფუფუნებაში აცხოვრებდა, მაგრამ ტახტი კი არავისთვის შეუთავაზებია.

ზოგი ისტორიკოსი არსინოეს „ეპოქის რჩეულ ქალად მიიჩნევდა", ზოგიც პატივმოყვარეობას სდებდა ბრალად და აღნიშნავდა, რომ იგი მზად იყო ჩაედინა უღირსი საქციელი, ოღონდაც დაეკმაყოფილებინა ძალაუფლებისადმი სწრაფვის წადილი. რა თქმა უნდა, პატივმოყვარეობა მაკედონელ დედოფალთა სისხლში იყო გამჯდარი. ეს გრძნობა არც არსინოესთვის იყო უცხო. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი სასტიკად დაისაჯა უღირსი საქციელისთვის. შემდეგ კი... მოხდა ისე, რომ ელინიზმმა, როგორც მსოფლიო ისტორიულმა მოვლენამ, თავის მწვერვალს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროებში სწორედ ამ არსინოეს პერიოდში მიაღწია. არსინოესი, რომელიც, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უყვარდა პტოლემაიოსთაგან გამორჩეულ პტოლემაიოსს.



შენიშვნა:

[1] Юстин. Эпитома сочинения Помпея Трога „Historiae Philipicae". — ВДИ, 1954. # 2-4.

კლეოპატრა

„ნილოსის გველი“

ტრადიცია ერთხმად აღიარებს, რომ კლეოპატრა სულაც არ ბრწყინავდა კლასიკური სილამაზით. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოულწევია ეგვიპტის დედოფლის ზუსტ გამოსახულებას. ისტორიას შემორჩა ერთმანეთისგან განსხვავებული ორიოდე პორტრეტი, სადაც აშკარად გამოიყოფა კეხიანი ცხვირი და წინ წამოწეული ნიკაპი. მაგრამ იგივე ტრადიცია გვარწმუნებს, რომ კლეოპატრა ფლობდა მომხიბლაობის საოცარ ძალას, მელოდიურ და საამო ხმას; ბრწყინავდა თავისი გონიერებითა და განათლებით, ნიჭიერებით; თავისუფლად საუბრობდა რამდენიმე ენაზე. კლეოპატრას ღრმად სწამდა, და ეს მრავალგზის დაამტკიცა კიდეც, რომ პოლიტიკურ მიზანთა მისაღწევად სერიოზულ მოლაპარაკებათა გარდა სხვა გზებიც არსებობდა.

ანტიკური ხანის მრავალი ავტორი მიგვანიშნებს იმასაც, რომ კლეოპატრა გამოირჩეოდა არაჩვეულებრივად მგზნებარე ტემპერამენტით. გადმოცემები დედოფლის უზნეობაზე კი ალბათ მაინც უნდა მივიჩნიოთ გამონაგონად, რადგანაც ეგვიპტის განმგებლის დაკნინებას მრავალი ცდილა. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სატახტო ქალაქი ალექსანდრია განთქმული იყო არა მხოლოდ ბრწყინვალებით, არამედ ბიწიერებითაც. სამეფო კარი ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენდა. და აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვისთან იზიარებდა სარეცელს დედოფალი. აქ სხვა რამ არის მთავარი: როდესაც განიხილებოდა სახელმწიფოებრივი საქმეები, კლეოპატრა არასოდეს ექცეოდა თავის ენებათა ტყვეობაში.

განათლებულობით იგი არ ჩამოუვარდებოდა თავის რომაელ დიდებულებს. მის გარემოცვას ამშვენებდნენ იმ დროის სახელოვანი ფილოსოფოსები, სწავლულები თუ მუსიკოსები. თუმცა მეცნიერება არც ყოფილა

მისი სტიქია. ის დედოფალი იყო თხემით ტერფამდე და მთელი არსებით ესწრაფოდა განუზომელ ძალაუფლებას. კლეოპატრა ოცნებობდა პტოლემაიოსთა სახელმწიფოს ახალ, უდიდეს აღმავლობაზე. მისი „მეფეთა დედოფლად" (basilissa basileon) აღიარება სწორედ ამ აღმავლობის საწინდარი უნდა ყოფილიყო. იდეალური და რეალური მის ცხოვრებაში ერთმანეთს ეჯაჭვებოდა. მან მეტისმეტი მოინდომა და მიაღწევდა ალბათ კიდეც, სათანადოდ რომ შეეფასებინა რომაელთა ძალმოსილება. თუმცა ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს. ქრონოლოგია ასეთია:

კლეოპატრა და პტოლემაიოსები

კლეოპატრა პტოლემაიოს XII-ს ასული იყო. პტოლემაიოსები კი უკვე სამი საუკუნის მანძილზე განაგებდნენ ელინისტურ ეგვიპტეს. მათ ძარღვებში მაკედონური და ბერძნული სისხლი ჩქეფდა. ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული ალექსანდრია სატახტო ქალაქად ითვლებოდა. სასახლის კარი, სპა და თანამდებობის პირნი ბერძნულად ბაასობდნენ, თავად ქალაქშიც ბერძნული მოსახლეობა ჭარბობდა. ბერძენ პოეტებსა და სწავლულებს განსაკუთრებული მზრუნველობითა და პატივისცემით ექცეოდნენ. ეგვიპტის მეფენი ძალასა და სახსრებს არ იშურებდნენ ელინური ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლთა შესაგროვებლად.

პტოლემაიოს XII-ს მეფობის მძიმე ხანა დაუდგა. ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო მონარქიის ნანგრევებზე ორას ორმოცდაათი წლის წინ აღმოცენებულ სახელმწიფოთაგან შემორჩა ერთი — პტოლემაიოსთა ეგვიპტე. თუმცა ისიც აღარ მიიჩნეოდა ჭეშმარიტად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მას რომი განაგებდა.

ძვ.წ. 60 წლის ზაფხულმა ცუდი ამბავი მოიტანა ალექსანდრიაში: ერთ-ერთ კონსულად 59 წლისთვის დაინიშნა კეისარი! მცირეოდენი იმედიც კი აღარ დარჩა იმისა, რომ პტოლემაიოსს ეგვიპტის კანონიერ მეფედ სცნობს რომი. ამის ფიქრს აღძრავდა კეისრის სურვილი — კონსულად არჩევისთანავე რომის პროვინციად ექცია ეგვიპტე. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. პომპეუსმა, კრასუსმა და კეისარმა საიდუმლოდ მოილაპარაკეს, არ მიეღოთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი ერთმანეთის თანხმობის გარეშე. ეს მოლაპარაკება ისტორიაში ცნობილია სახელწოდებით „პირველი ტრიუმვირატი".

მალე, 59 წლის ადრეულ გაზაფხულზე, კეისარი გამოვიდა სენატისა და სახალხო კრების წინაშე წინადადებით, ეცნოთ პტოლემაიოს XII ეგვიპტის კანონიერ მეფედ, აგრეთვე რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად. ეს პატივი, კონსულის აზრით, ეგვიპტელებმა დაიმსახურეს იმ დახმარების წილ, რაც მათ პომპეუსს გაუწიეს იუდეაში წარმოებულ ბრძოლათა ჟამს. კეისრის წინადადება მიიღეს, ხოლო რომაულ-ეგვიპტური თან-

ხმობის ტექსტი საზეიმოდ ჩაბარდა კაპიტოლიუმის არქივს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს თერთმეტი წლის შემდეგ, მაშინ როდესაც კეისარი ალექსანდრიაში შეხვდება კლეოპატრას.

ამგვარად, პტოლემაიოსმა მიიღო ის, რისთვისაც მთელი ოცი წელი იღვწოდა, მაგრამ რის ფასად? რომში ეს ყველამ კარგად იცოდა: მეფემ გადაიხადა (ან პირობა დადო, რომ გადაიხდიდა) უზარმაზარი თანხა — ექვსი ათასი ტალანტი. ეს იყო მთელი ეგვიპტის წლიური შემოსავალი, იმ ეგვიპტისა, რომლის ხაზინაც თითქმის ცარიელი იყო. პტოლემაიოსმა მდიდარი რომაელისგან ისესხა ფული, რომელსაც დიდი ნამატით ისტუმრებდა თავისი ხალხის ძარცვის ხარჯზე. ეგვიპტელებმა შეიძულეს პტოლემაიოსი. სამეფო კარი კი მას ბრალად სდებდა კვიპროსის სამეფოს დაკარგვასაც. იმ ხანად კვიპროსს განაგებდა კიდევ ერთი პტოლემაიოსი (პტოლემაიოს მეთორმეტეს უმცროსი ძმა), რომელმაც მალე, ვერ აიტანა რა რომაელთა ზენოლა, თავი მოიკლა. ამ და, ალბათ, სასახლის კარზე დატრიალებულ სხვა დახლართულ ამბავთა გამო პტოლემაიოს XII იძულებული გახდა ეგვიპტიდან გაქცეულიყო. მან იტალიას შეაფარა თავი. ყველა ხვდებოდა, რომ მეფე დაბრუნდებოდა, მაგრამ უკვე რომაელთა თანხლებით, რათა მათი დახმარებით გაემყარებინა თავისი ძალაუფლება. ალექსანდრიაში სცადეს ამ გეგმის ჩაშლა: უმეფოდ დარჩენილ ტახტზე დასვეს ბერენიკე, პტოლემაიოსის ოცი წლის ქალიშვილი. იმ დროისათვის კლეოპატრა თერთმეტი წლის იყო (იგი დაიბადა 69 წელს), არსინოე კიდევ უფრო პატარა; რაც შეეხება ვაჟებს, უფროსი პტოლემაიოსი 61 წელს იყო დაბადებული, ხოლო უმცროსი — სულაც 58 წელს.

ალექსანდრიელები ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი დედოფლის უფლებათა განმტკიცებას. ტრადიციის ძალით, დაუშვებელი იყო, რომ ეგვიპტე ქალს მარტო ემართა. ამიტომ აუცილებელი იყო სასწრაფოდ მოენახათ ღირსეული ქმარი ბერენიკესთვის: პტოლემაიოსთა მოდგმის მეფისწული. აღმოჩნდა კიდეც ასეთი ჭაბუკი. იგი შერთეს ბერენიკეს, მაგრამ რამდენიმე დღის თანაცხოვრების შემდეგ დედოფალმა მისი მოკვლის ბრძანება გასცა.

კლეოპატრა

მხოლოდ 56 წლის ბოლოს მიაგნეს ალექსანდრიელებმა თავიანთი აზრით ღირსეულ მეფისწულს, არქელაოსს, რომელიც მცირე აზიაში, ღმერთების დიადი დედის ერთ-ერთ ტაძარში, უზენაესი ქურუმი იყო. ჩამოიყვანეს ალექსანდრიაში და ბერენიკეზე დაქორწინებულს ეგვიპტის ტახტი ჩააბარეს.

რომაელები კარგად ხედავდნენ, რომ ეგვიპტის დამორჩილება მათთვის დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. გალაშქრება ეგვიპტის წინააღმდეგ დაევალა სირიაში მყოფ გაბინიუსს, რომლის ერთ-ერთი მთავარსარდალი იყო მარკუს ანტონიუსი. 55 წლის მარტში ისინი ეგვიპტეში შეიჭრნენ.

არქელაოსი ბრძოლის ველზე დაეცა. რაც შეეხება ბერენიკეს, იგი საკუთარი მამის ბრძანებით მოკლეს — ერთხმად გვამცნობენ წყაროები ამ საშინელ ფაქტს. და ახლა უკვე პტოლემაიოსთა მოდგმიდან ყველაზე უფროსი იყო თოთხმეტი წლის კლეოპატრა.

ანტონიუსი და კლეოპატრა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს სწორედ იმ ხანად. ზოგი ძველი ავტორის ცნობით, ახალგაზრდული ასაკისდა მიუხედავად, კლეოპატრას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რომაელ მხედართმთავარზე, რომელიც მაშინ ოცდაათი წლის იქნებოდა. ამ ცნობის ეჭვქვეშ დაყენება უაზრობაა. მაგრამ ერთი რამ უდავოა: ალექსანდრიით მართლაც უზომოდ მოიხიბლა ანტონიუსი, რომელმაც კარგად იცოდა დიდი ქალაქის მშვენების ფასი.

სურდათ თუ არა, რომაელ მხედართმთავრებს მალე მოუხდათ ალექსანდრიის დატოვება სირიაში დაწყებული მღელვარებების გამო. სირიიდან ანტონიუსმა ტყიან გალიას მიაშურა, რათა კეისრის არმიას შეერთებოდა.

ალექსანდრიაში კი დაბრუნდა პტოლემაიოს XII, რომელიც მცირეხნოვანი მმართველობის შემდეგ, 51 წლის მაისის თვის ბოლოს გარდაიცვალა. როგორც გვამცნობენ წყაროები, თავისი ცხოვრების ბოლო თვეებში მის გვერდით სამეფო ტახტზე იჯდა კლეოპატრა.

გარდაცვალებიდან დიდი ხნით ადრე პტოლემაიოს XII-მ შეადგინა ანდერძი, რომლის შინაარსი არავისთვის ყოფილა საიდუმლო. ამ დოკუმენტის ერთი ასლი რომში გაიგზავნა, მეორე კი — ალექსანდრიაში უნდა დარჩენილიყო. თავისი უკანასკნელი ნების აღმსრულებლად ეგვიპტელი მონარქი ასახელებს რომაელ ხალხს, რომელსაც ანდობს ოჯახსა და მთელ ქვეყანას. ერთის მხრივ, ეს იყო დამოუკიდებლობის უარყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყნის მომავალზეც ფიქრი. სწორედ რომაელ ხალხს უნდა დაეცვა ეგვიპტე მისი ხელში ჩაგდების მსურველ ცალკეულ პოლიტიკოსთაგან.

თავის მემკვიდრედ მეფემ დანიშნა უფროსი ვაჟიშვილი, პტოლემაიოს XIII, რომელიც მაშინ 10 წლის იყო და უფროსი ქალიშვილი, თვრამეტი წლის კლეოპატრა, პტოლემაიოსთა დინასტიის ამ სახელით წოდებულ დედოფალთაგან მეშვიდე. და და ძმა უნდა დაქორწინებულიყვნენ, რათა ეგვიპტე ერთად ემართათ.[1]

51 წლის მარტის თვეში, მამასთან თანამეფობის ჟამს, კლეოპატრამ იმოგზაურა სამხრეთ ეგვიპტეში, მოინახულა თებე, რომელიც მრავალი საუკუნის წინ ფარაონთა დიადი ქვეყნის სახელოვანი დედაქალაქი იყო, დიდებული და ბრწყინვალე. ღვთაება ამონის ხელთუქმნელი და უძველესი ტაძრები იმ ხანად ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული და ისინი, ძველი ქალაქის გარდასული დიდების მონმენი, ამაყად გადაჰყურებდნენ მათ გარშემო გაშენებულ უბადრუკ შენობებს. კლეოპატრას დროს თებე ჯერ კიდევ

უძველესი ეგვიპტური სიბრძნის დიად საგანძურად მიიჩნეოდა. თებელი ქურუმები მრავალ მეცნიერებათა მცოდნენი იყვნენ. მათ მოსასმენად შორეული ქვეყნებიდან მოისწრაფოდნენ განათლებას მონადინებულნი. არ არის გამორიცხული, რომ კლეოპატრაც იყო მათ რიცხვში.

50 წლის შემოდგომა უბედობას უქადდა ეგვიპტეს. მდინარე ნილოსმა ვერ დაფარა უწინდებურად მინდვრები, რაც საყოველთაო შიმშილის მომასწავებელი იყო. ეს მოვლენა ღვთის რისხვად მიიჩნეოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ სახელმწიფო მარცვალსაცავი ცარიელი აღმოჩნდა: მთელი მარაგი რომაელებმა მიითვისეს. ხალხი ღელავდა. სამეფო კარის ყურადღება რომისკენ იყო მიმართული. იქ ერთმანეთს ექიშპებოდა ორი ტრიუმვირი — პომპეუსი და კეისარი (კრასუსი 53 წელს გარდაიცვალა).

49 წლის დასაწყისში ალექსანდრიაში შემაშფოთებელი ამბები მოვიდა: იტალიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. კეისარმა გადალახა მდინარე რუბიკონი და ნახევარკუნძულის სამხრეთისაკენ დაიძრა. პომპეუსი უკან იხევდა.

ალექსანდრიის სამეფო კარი საგონებელში ჩავარდა. ნათელი იყო, რომ ორთავე მხარე ეგვიპტისაგან მოითხოვდა დახმარებას. ხოლო ეგვიპტე ცდილობდა, არ ჩაბმულიყო ამ ბრძოლაში და მოთმინებით დალოდებოდა სამოქალაქო ომის დასასრულს იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგენი სისხლისგან დაიცლებოდნენ, ერთმანეთს გაანადგურებდნენ, ხოლო რომის სახელმწიფო შეირყეოდა და ბოლოს, დაიმსხვრეოდა კიდეც. მაშინ ეგვიპტე მოიპოვებდა დამოუკიდებლობასა და დაიბრუნებდა წართმეულ ტერიტორიებს. ასეთი ფიქრები უტრიალებდათ ალბათ თავში ეგვიპტელ დიდებულებს, შესაძლოა, კლეოპატრასაც. მაგრამ ხმამაღლა მათ წარმოთქმას ვერვინ ბედავდა. ხოლო მოვლენები ამასობაში კიდევ უფრო დრამატულად ვითარდებოდა.

49 წლის დასაწყისში პომპეუსი და სენატორთა უმრავლესობა საბერძნეთსა და მაკედონიაში აღმოჩნდა. მხედართმთავარი იმედს არ კარგავდა და ბრძოლის გასაგრძელებლად აგროვებდა ხალხს, ხომალდებს და სახსრებს. დასახმარებლად მიმართა მოკავშირეებსაც, პირველ რიგში კი ეგვიპტეს. ალექსანდრიაში ჩავიდა მხედართმთავრის უფროსი ვაჟი, მამის სახელით წოდებული — გნეუს პომპეუსი. ჩვენთვის უცნობია, თუ რას ითხოვდა იგი, მაგრამ ცნობილია ის, თუ რა მიიღო: ორმოცდაათი საბრძოლო ხომალდი, რომლის გემბანზეც ხუთასი მეომარი იმყოფებოდა, ისიც არაეგვიპტური წარმოშობისა. ამას გარდა, რამდენიმე ხომალდს მიჰქონდა პური. საოცარია ასეთი მცირედი დახმარება ისეთი მდიდარი ქვეყნისაგან, როგორიც იყო ეგვიპტე. იმ მძიმე დროს პომპეუსის წარგზავნილებს ქვეყნებიდან მიჰყავდათ ყველა და მიჰქონდათ ყველაფერი. გამონაკლისი იყო ეგვიპტე.

კლეოპატრა

თუკი პლუტარქეს დაეუჯერებთ, კლეოპატრა სიამოვნებით იგონებდა გნეუს პომპეუსს, რამეთუ შეძლო ამ ახალგაზრდა კაცის მოხიბვლა. ალ-

ბათ, ეს იყო კიდეც მიზეზი ეგვიპტის დანდობისა. დედოფლით მოხიბლულმა პომპეუსმა თანაგრძნობით მოისმინა ნილოსის წყალვარდნის ამბავი და გულწრფელად დაიჯერა, რომ მოუსავლიანობა დაღუპვით ემუქრებოდა ეგვიპტეს. ასე იყო თუ ისე, ახალგაზრდებმა ერთმანეთს გაუგეს.

პომპეუსი იყო ოცდახუთი წლის, კლეოპატრა კი — ოცის.

48 წლის შუა ზაფხულში ეგვიპტის ფლოტი ალექსანდრიაში დაბრუნდა. ამის მიზეზი პომპეუსის დამარცხება იყო. სწორედ იმ ხანად ეგვიპტეში იფეთქა სამოქალაქო ომმა. პტოლემაიოს მეცამეტემ ქვეყნიდან განდევნა თავისი და და მეუღლე. კლეოპატრამ პალესტინას შეაფარა თავი. აქ შეაგროვა ჯარი და ეგვიპტისკენ დაიძრა. მეფე და მისი მრჩეველები მას საზღვართან ელოდებოდნენ, პელუსიუმის ციხე-ბურჯთან. სამეფო კარის ინტრიგები უცხო არ იყო ალექსანდრიისათვის. პტოლემაიოსთა დინასტია ჩვეული იყო მკვლელობებს, ომებს. მაინც რა მოხდა? ისტორიკოსთა გადმოცემით, ასაკობრივი სხვაობა დიდი იყო კლეოპატრასა და მის ძმას შორის. ცამეტი წლის ბიჭუნაზე მეურვეობა სამმა დიდებულმა ითავა: საჭურისმა პოტინოსმა, რიტორიკის მასწავლებელმა თეოდოტოსმა და ჯარების წინამძღოლმა აქილამ. კლეოპატრამ კი არ ისურვა მრჩეველთა ყოლა, რადგანაც თვლიდა, რომ მათ გარეშეც დიდებულად წარუძღვებოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებს. ეს უკვე აღარ მოეწონათ მეურვეებს და პტოლემაიოსი წააქეზეს დის წინააღმდეგ. უაზრობაა იმის ძიება, თუ რომელ მხარეს უფრო დიდი ბრალი მიუძღვის ამ პაექრობაში. იმ ხანად ყველა თვლიდა, რომ სამოქალაქო ომი დაიწყო დედოფალმა, რომელიც მეტისმეტად პატივმოყვარე იყო და რომელიც შეეცადა არა მხოლოდ მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, არამედ საკუთარი ძმის (და მეუღლის, თუ მას შეიძლებოდა რქმეოდა მეუღლე) მოკვლასაც. ამაზე მიგვანიშნებენ ანტიკური წყაროები. მომდევნო წლების მოვლენებიც დაამტკიცებენ, რომ კლეოპატრას შეეძლო ეს ჩაედინა.

დედოფალი არ სარგებლობდა სიყვარულით თავის სახელმწიფოში. ეგვიპტეს უბედობის ხანა ედგა და ბუნებრივია, ხალხის მრისხანება დედოფლისაკენ იქნებოდა მიმართული. მისი ბრძანებით დაცარიელდა სახელმწიფო მარცვალსაცავი, მისი ბრძანებით გაიგზავნა ფლოტი პომპეუსის დასახმარებლად, იგი ცდილობდა ახალგაზრდა პომპეუსის მოხიბვლას ყველას თვალწინ და სხვაც მრავალი რამ ბრალდებოდა ახალგაზრდა, თუმცა პატივმოყვარე და ძალაუფლების მოსურნე ქალბატონს.

მაინც სად გაიქცა დედოფალი? სად და ვისგან ითხოვდა დახმარებას, ანდა როგორ მოახერხა მისი მიღება? წყაროები უპასუხოდ ტოვებენ ამ კითხვებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კლეოპატრა ეგვიპტეს მოუახლოვდა დიდძალი ჯარით პალესტინიდან. მეფის მრჩეველებმა მას ეგვიპტის მთელი არმია დაახვედრეს.

მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში ქალაქ პელუსიუმთან ერთმანეთის პირისპირ იდგნენ მონინააღმდეგენი უმოქმედოდ, ზღვის ქვიშიანი ნაპირის გასწვრივ.

ამასობაში საბერძნეთის ფარსალიაში იულიუს კეისარმა დაამარცხა პომპეუსის დიდი არმია. უკუქცეულმა პომპეუსმა ეგვიპტეს მიაშურა. აი, როგორ აღწერს შემდეგ განვითარებულ მოვლენებს დიო კასიუსი „რომაულ ისტორიაში“: „ამბავმა იმის თაობაზე, რომ პომპეუსი ეგვიპტისკენ მიცურავდა, შეაძრწუნა კეისარი. მას ეშინოდა, რომ დამარცხებული მხედართმთავარი ხელში ჩაიგდებდა ამ ქვეყანას და თავის ძალებს აღიდგენდა. ამიტომ იგი დაუყოვნებლივ დაედევნა მას, დაენია, მაგრამ ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. კეისარი დაუყოვნებლივ და გაბედულად გაემართა ალექსანდრიისაკენ. მას მცირერიცხოვანი ამალა ახლდა და რადგანაც სწრაფად მიცურავდა — თავისი ჯარი შორს მოიტოვა. იგი პელუსიუმიდან მომავალ პტოლემაიოსზე ადრე მიადგა ქალაქს. ალექსანდრია უკვე მღელვარებას მოეცვა სამეფო კარზე დატრიალებული ამბების გამო. ამიტომ კეისარმა ვერ გაბედა ხომალდიდან გადმოსვლა. მხოლოდ მას შემდეგ მიაყენა ნაპირს ხომალდი, როცა იხილა პომპეუსის თავი და ბეჭედი, მეფის მიერ გამოგზავნილი...

მხედართმთავარი დიდხანს დარჩა ეგვიპტეში. იგი აგროვებდა ფულს და ცდილობდა პტოლემაიოსისა და კლეოპატრას შერიგებას. ალექსანდრია აღშფოთებული იყო მისი საქციელით. განსაკუთრებულ რისხვას იმსახურებდა ის, რომ კეისარი არა მარტო ხალხს, არამედ ტაძრებსაც ძარცვავდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხთა შორის ეგვიპტელები გამოირჩევიან თავიანთი ღმერთებისადმი განსაკუთრებული ერთგულებითა და თავდადებით.

ეგვიპტელები იმასაც შიშობდნენ, რომ მათი მბრძანებელი შეიქნებოდა კლეოპატრა, რომელიც ძლიერ მოსწონდა კეისარს“ („რომაული ისტორია“, LI, 5-6).

კლეოპატრა

კლეოპატრა და კეისარი

აი, როგორ მოგვითხრობს იგივე დიო კასიუსი კლეოპატრასა და კეისრის შეხვედრის ამბავს: „თავდაპირველად კლეოპატრა შუამავალთა საშუალებით ცდილობდა კეისართან დაკავშირებას. ხოლო შემდეგ, როცა შეიტყო, თუ როგორ იხიბლებოდა იგი ქალური მშვენიერებით, ასეთი რამ შეუთვალა:

— ასე მგონია, ჩემი მეგობრები ზუსტად ვერ გადმოგცემენ ჩემს დანაბარებს. ვფიქრობ, ჩვენ უნდა შეეხვედეთ პირისპირ.

იგი მშვენიერი იყო და ბრნყინავდა ახაგაზრდული სილამაზით. მას ჰქონდა მომხიბლავი ხმა და შეეძლო, ყველას აღფრთოვანება. მთელი ნე-

ტარება იყო მისი მზერა და სმენა. ის ნებისმიერს აჯადოებდა, იმ კაცებსაც კი, ხანში შესულთ, ვინც სიყვარულით გაბეზრებულნი იყვნენ უკვე.

მას უფლება მისცეს, წარმდგარიყო დიქტატორის წინაშე. დედოფალი ამ შეხვედრისათვის საგანგებოდ მოემზადა და საგულდაგულოდ გამოეწყო — ისე, რომ წარმოეჩინა მოდგმის ღირსებაც, იმავდროულად თანაგრძნობაც გამოეწვია, ვით გაძევებულს. ქალაქსა და სასახლეში მან ფარულად შეაღწია, ღამით, შეპარვით, პტოლემაიოსსა და მის მომხრეებს რომ არ ეხილათ. როგორც კი თვალი მოჰკრა კეისარმა დედოფალს და მოისმინა მისი ხმა, უმალ მოიხიბლა. არ დაელოდა გათენებას და ბრძანა, მოეყვანათ პტოლემაიოსი. კეისარი შეეცადა, შეერიგებინა და-ძმა. სულ ცოტა ხნის წინ კლეოპატრას განმკითხავი უმალ მის ქომაგად იქცა. სამაგიეროდ ახალგაზრდა მეფე გაგიჟდა. იწყო ყვირილი, რომ უღალატეს, იხმო დიდებულნი, თავიდან მოიგლიჯა დიადემა და ძირს მოისროლა...“ (დიო კასიუსი, „რომაული ისტორია“, XLII, 7-8; 34-37).

კეისრისა და კლეოპატრას შეხვედრის ამავე ამბავს უფრო ზუსტად აღწერს პლუტარქე: „...საჭურისი პოტინოსი ურჩევდა კეისარს, დაეტოვებინა ეგვიპტე და თავისი დიადი საქმეებისთვის მიეხედა... კეისარმა კი მიუგო, რომ მას სულაც არ სჭირდება ეგვიპტელი მრჩეველი და მალულად იხმო გაძევებული კლეოპატრა.

კლეოპატრამ თან წამოიყვანა მხოლოდ ერთი მეგობარი. ეს იყო აპოლოდოროს სიცილიელი. ისინი ჩასხდნენ პატარა ნავში და შეღამებისას მიუახლოვდნენ მეფის სასახლეს. შეუმჩნეველი რომ ყოფილიყო, კლეოპატრა გაეხვია ბარდანაში. აპოლოდოროსმა გარს შემოაკრა ბარდანას თასმები, მოიგდო ზურგზე და კეისართან შეიტანა სასახლეში. ასე ამბობენ, კლეოპატრას ამ თამამმა და ოინბაზურმა საქციელმა თავიდანვე მოხიბლაო კეისარი. ხოლო მისი სილამაზითა და დიდებულებით საბოლოოდ მონუსხულმა იგი მეფესთან შეარიგა, რათა ერთად ემართათ სახელმწიფო“ (პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები“, იულიუს კეისარი, 49).

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ ამბავთა აღმწერნი ზოგჯერ ტენდენციურნი არიან და ეს ბუნებრივიცაა. მრავალ გადმოცემათა შორის ისინი თავად ირჩევენ თავიანთი აზრით მართალსა და უფრო მნიშვნელოვან ფაქტებს. რაც შეეხება კლეოპატრასა და კეისრის შეხვედრის ამბავს, დიო კასიუსისა და პლუტარქეს ვერსიათა შორის უმნიშვნელო შეუთანხმებლობა შეინიშნება. კერძოდ, კასიუსის მიხედვით, შეხვედრას ითხოვდა კლეოპატრა, პლუტარქე კი აღნიშნავს, რომ კეისარმა თავად იხმო დედოფალი, მაგრამ სულაც არ არის ეს არსებითი. საინტერესო აქ სხვა რამ არის: კლეოპატრამ გამოიჩინა გასაოცარი სიმამაცე. კარგად ესმოდა რა, რომ სიცოცხლეს იგდებდა საფრთხეში, სრულიად უშიშრად, თითქმის მარტომ, შეაბიჯა ქალაქში და შეაღწია იმ სასახლეში, რომელიც მისი მტრებით იყო სავ-

სე. მას შემჩნევისთანავე შეიპყრობდნენ, იქვე მოკლავდნენ და სამუდამო დავიწყებას მიეცემოდა მისი სახელი. მაგრამ ხედებოდა დედოფალი, რომ გამოუვალი იყო მისი მდგომარეობა, რომ კეისარი სულ უფრო მეტად იხრებოდა პტოლემაიოსისა და მისი ამალის მხარეს. კლეოპატრას კი ჯერ არ იცნობდა, მისი ბედი არც აღელვებდა. პტოლემაიოსმა და მისმა მომხრეებმა კი უკვე მოასწრეს მისთვის სათანადო პატივის მიგება. სნორედ მათ მიართვეს კეისარს პომპეუსის თავი და ბეჭედი. და სინანულის რა განცხადებებიც არ უნდა ეკეთებინა დიდ დიქტატორს, პომპეუსის სიკვდილი მისთვის მხოლოდ დიდების მომტანი იყო. კლეოპატრას ეს კარგად ესმოდა. ამიტომაც ხსნის ერთადერთ გზად კეისართან პირისპირ საუბარი ესახებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებით დედოფალმა ყველას დაუმტკიცა, რომ ძალაუფლება მისთვის სიცოცხლეზე ძვირფასი იყო.

იმ ხანად კლეოპატრა მხოლოდ ოცდაორი წლის იყო, კეისარი კი ორმოცდათორმეტის. და სულაც არ არის გასაოცარი, რომ ამ ასაკში იგი სრულიად ახალგაზრდა და მშვენიერი ეგვიპტელით მოხიბლულიყო. იმ წამიდან კეისარი იქცა კლეოპატრას არა მხოლოდ ძვირფას პატრონად, არამედ დიად საყვარლადაც.

ამ ამბავს წარმოუდგენელი მღელვარება მოპყვა. ალექსანდრია ბრძოლის ჟინმა შეიპყრო. ბრბო მოკვლით ემუქრებოდა კეისარს. მაგრამ რომაელი არ შემდრკალა, ხალხის წინაშე წარსდგა და პტოლემაიოს XII ანდერძი წაიკითხა. შემდეგ ყოველნაირი წესის დაცვით ეგვიპტის მბრძანებლად აღიარა და-ძმა ერთად. ბრბოს გულის მოსაგებად კი კუნძულ კვიპროსის განმგებლებად გამოაცხადა მომდევნო და-ძმა — არსინოე და პტოლემაიოს XIV. იმ დროს სულაც არ აღელვებდა კეისარს, რომ კვიპროსი უკვე ათი წლის წინათ ჩაიბარეს რომაელებმა. მაგრამ ამანაც არ უშველა. არ ცხრებოდა საჭურისი პოტინოსი, რომელსაც ხელთ ეპყრა ეგვიპტის შიდა საქმეების სადაველები. იგი კეისარს თავის რეალურ მეტოქედ მიიჩნევდა და სურდა მისი გაძევება ქვეყნიდან. თავის თანამოაზრე აქილასთან ერთად პოტინოსი პტოლემაიოსთა არმიით საბრძოლველად ემზადებოდა. როდესაც ეს კეისარმა შეიტყო, საჭურისის დასჯა განიზრახა.

უპირველეს ყოვლისა, მან ორი ელჩი მიავლინა პტოლემაიოსთა არმიის სტრატეგოს აქილასთან. მღელვარება ისე დიდი იყო, რომ აქილამ ისინი არა თუ მიიღო, არამედ მათი მოკვლის ბრძანება გასცა. შემდეგ დაიძრა ალექსანდრიისაკენ და იოლად აიღო დედაქალაქი. იულიუს კეისარმა კუნძულ ფაროსს შეაფარა თავი, რითაც შეინარჩუნა ზღვასთან კავშირი და ფაქტიურად მოიგო ომი. გამარჯვებამდე კი ოთხი უმძიმესი თვე ელოდა წინ. მისი, და ალბათ, კლეოპატრას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ამ ხნის მანძილზე მრავალგზის მდგარა კეისარი სასიკვდილო საფრთხის წინაშე, მაგრამ ბედი, როგორც ყოველთვის, მის მხარეს იყო.

კლეოპატრა

კეისარმა დასახმარებლად უხმო მითრიდატე პერგამოსელს, რომელმაც არ დააყოვნა და მემფისის გაელით მიუხლოვდა ალექსანდრიას. გადამწყვეტი ბრძოლის ადგილი არ არის ცნობილი. თუმცა წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ამ ბრძოლაში ნილოსის ზვირთებში ჩაიძირა პტოლემაიოს XIII და მასთან ერთად პტოლემაიოსთა დინასტიის მთელი ეპოქა. ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვით 47 წლის 27 მარტს. იმიერიდან ალექსანდრიასა და მთელს ეგვიპტეში კეისრის ნება ზეიმობდა.

უპირველეს ყოვლისა, მან დაადასტურა, რომ პტოლემაიოს XII ანდერძს პატივს სცემს რომაელი ხალხი და მისი უპირველესი წარმომადგენელი — კეისარი. შემდეგ კი ბრძანა, რომ კლეოპატრას თანამეტახტედ დანიშნულიყო, ძველი ადათის წესით, ათი წლის პტოლემაიოსი; რომ საკუთარი დის წინააღმდეგ მებრძოლ არსინოეს დაეტოვებინა ეგვიპტე და რომის გზას დასდგომოდა; შემდეგ კი განაცხადა, რომ რამდენიმე თვის წინ დადებული პირობის თანახმად, კვიპროსს ეგვიპტეს უბრუნებდა.

ეს მოვლენები თანამიმდევრულად არის აღწერილი წიგნში, რომლის სახელწოდებაცაა „Bellum Alexandrinum" („ალექსანდრიის ბრძოლა"). მართალია, იგი წარმოდგენილია კეისრის თხზულებათა შორის, მაგრამ მის ავტორად ასახელებენ კეისრის მეგობარს, ავლუს ჰირციუსს. საინტერესოა, რომ ამ თხზულებაში კლეოპატრა მოიხსენიება მხოლოდ ერთ ადგილას, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ კეისარმა ეგვიპტის ტახტი ჩააბარა პტოლემაიოსის უმცროს ვაჟსა და უფროს ქალიშვილს — კლეოპატრას, „რომელიც მისი ერთგული იყო და სამუდამოდ შეინახა ეს ერთგულება" („ალექსანდრიის ბრძოლა", 33, — წიგნში: „იულიუს კეისრის ჩანაწერები", გვ. 377). ცხადია, კლეოპატრა ვერ იქნებოდა ამ დრამატული მოვლენების შორით მზირალი. ბრძოლა მის გამო დაიწყო და მის ბედს წყვეტდა. თუმცა გასაგებია „ალექსანდრიის ბრძოლის" ავტორის დელიკატური მდუმარეობაც.

ვინ გაამტყუნებს იულიუს კეისარს იმის გამო, რომ ამ საშინელი ომის შემდეგ, როდესაც მისი სიცოცხლე მრავალგზის ეკიდა ბეწვზე, იგი მთლიანად მოექცა კლეოპატრას ტყვეობაში და მდინარე ნილოსზე ბრწყინვალე დღესასწაული მოიწყო? არ არის ძნელი წარმოსადგენი ის, თუ რა მდიდრული ხომალდით გაემგზავრებოდა კეისარი დედოფალთან ერთად და როგორ მიეცემოდა ახალგაზრდული სიყვარულის ნათელ სიხარულს. არც ის არის ძნელი წარმოსადგენი, რომ კლეოპატრა მთელი თავისი მომხიბლაობით შეეცდებოდა დიდებული რომაელის დატყვევებას.

ეგვიპტელთათვის დედოფალი იყო არა მხოლოდ განმგებელი სახელმწიფოსი, არამედ ცოცხალი ღვთაება, ისისის განსახიერება. მას ისეთივე თაყვანს სცემდნენ, როგორც სხვა დიად ღმერთებს. მის პატივსაცემად აღესრულებოდა მსხვერპლშეწირვები და იკმეოდა გუნდრუკი, მას აღუვ-

ლენდნენ ლოცვებსა და საგალობლებს ქურუმები. ვინ იცის რა გრძნობა ეუფლებოდა ღმერთად აღიარებული საყვარელი ქალის გვერდით მდგომ იულიუსს. იქნება სურდა, ღვთაებრივი შარავანდედით შეემოსა თავისი სახელიც?! ასეც მოხდება, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, ახლა კი კეისრის ეგვიპტური მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა. 47 წლის ივნისის დასაწყისში დატოვებს იგი ამ ქვეყანას და ვეღარასოდეს იხილავს მას. და თუ ოდესმე მოიგონებს იქ ყოფნის ხანას, ტკბილი განცდის სიხარული დაეუფლება. მოვლენები მცირე აზიაში მოითხოვდნენ, რომ სწორედ კეისარი ყოფილიყო იქ.

კეისრის გამგზავრებიდან სულ რამდენიმე კვირის შემდეგ კლეოპატრას შეეძინა ვაჟი. სტელა, რომელიც აღმოჩნდა სერაპეუმში (იგი პარიზის ლუვრშია ახლა), გვამცნობს, რომ ეს მოხდა 47 წლის 23 ივნისს. ტრადიციისამებრ, მას პტოლემაიოსი უწოდეს. იგი დინასტიის მეთხუთმეტე წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ჰქონდა ახალშობილს მეორე სახელიც — კეისარი. ალექსანდრიელები კი მას უბრალოდ კესარიონად (პატარა კეისრად) მოიხსენიებდნენ. დიქტატორის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ მარკუს ანტონიუსი განაცხადებს სენატში, რომ კეისარმა კლეოპატრას ძე თავის შვილად სცნო. ეს აუცილებელი იყო, რადგანაც ოფიციალური პროპაგანდა ცდილობდა, კლეოპატრა რომის მტრად გამოეცხადებინა. გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და რომში გამოჩნდება საბუთი, რომლის თანახმადაც კეისარი არ უნდა ყოფილიყო მეთხუთმეტე პტოლემაიოსის მამა. დიდი პოლიტიკისთვის საჭირო გახდება იმის დამტკიცება, რომ დიდ დიქტატორს ვერ მოხიბლავდა ეგვიპტის დედოფალი. მაგრამ თარიღები და ფაქტები სრულ სიმართლეს აღიარებენ. ისინი გვამცნობენ, რომ ვერც ომის საშინელებამ, ვერც სასახლის კარის ინტრიგებმა ვერ შეუშალეს ხელი კეისრისა და კლეოპატრას სიყვარულს. ეს გრძნობა დაიბადა იმ წამს, როდესაც გაოცებული დიქტატორის წინ ბარდანადან გამოსრიალდა სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი.

 კლეოპატრა

კესარიონის დაბადებამ კლეოპატრას ძალაუფლების განმტკიცებას შეუწყო ხელი. ბოლოს და ბოლოს ყოვლისშემძლე დიქტატორმაც შეიძინა ძე, რომელიც ვერა და ვერ აღირსა მისმა კანონიერმა მეუღლემ — კალპურნიამ. სწორედ ეს ვაჟიშვილი გახდა ფარაონების ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ასე დაუკავშირა კლეოპატრამ თავისი საყვარელი პტოლემაიოსების დინასტიას. ეგვიპტეში კეისრის მამობა უსიტყვოდ მიიღეს. ქურუმები ამტკიცებდნენ, რომ კლეოპატრას ძე ჩაუსახა ღმერთმა რამ, რომელიც მას კეისრის სახით მოევლინა. ამგვარად დააკანონეს მათ კეისრისა და კლეოპატრას კავშირი სამყაროში. რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ რომაელები და არც არავის შეუშლია მათთვის ხელი, ამ მოვლენის აღსანიშნავად შეექმნათ ფრივოლური ლექსები და ხმამაღლა ეკითხათ ქუ-

ჩებში. არც კეისარი ბრაზდებოდა, ის კეისარი, რომელმაც ალექსანდრიიდან გამგზავრების შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა ჯერ მცირე აზიაში, დაამარცხა რა ფარნაკესის უძლიერესი არმია, შემდეგ აფრიკაში, მოიგო რა გაჭიანურებული ომი, და რომელიც 46 წლის გაზაფხულზე ტრიუმფით დაბრუნდა რომში. ერთი თვის განმავლობაში მან ოთხი ტრიუმფი იზეიმა. კეისარი ხალისით ისმენდა მასზე შეთხზულ სახუმარო ლექსებს. მაგრამ, როგორც ჩანს, კლეოპატრას ეს სულაც არ ხიბლავდა. თანაც აცნობეს, რომ აფრიკაში დიქტატორი გატაცებული იყო მავრიტანელი მეფის ასულით. ეს უფრო მეტად აღელვებდა ეგვიპტის დედოფალს, ვიდრე ის, რომ კეისარს ჰყავდა კანონიერი მეუღლე, რომელსაც მთელი თავისი არსებით უყვარდა მოღალატე ქმარი. კალპურნია მეტისმეტად განსხვავდებოდა იმ რომაელი მატრონებისგან, რომლებიც ხშირად იცვლიდნენ ქმრებს და უფრო ხშირად კი საყვარლებს.

46 წლის ზაფხულში კლეოპატრა თავის ნომინალურ მეუღლედ აღიარებულ პტოლემაიოს XIV-სთან ერთად რომს გაემგზავრა. თან წაიყვანა პატარა კეისარიც. ამ ვიზიტის ოფიციალური მიზანი იყო ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ხელშეკრულების დადება.

სამეფო ოჯახი რომში ღირსეულად მიიღეს. დიქტატორმა მათ დაუთმო თავისი ვილა ტიბერისის სანაპიროზე გაშენებულ დიდებულ პარკში. აქ იღებდა ეგვიპტის დედოფალი თავის მფარველს და სხვა წარჩინებულ რომაელებს. აღშფოთებას ვერ ფარავდნენ ჭეშმარიტი რესპუბლიკელები. განსაკუთრებული სიძულვილით მოიხსენიებდა მას ციცერონი თავის წერილებში. კლეოპატრა ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო რომში და ამიტომაც შეიქნა მოწმე 44 წლის მარტის იდებში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიისა: კეისარი ბრუტუსისა და კასიუსის ავადსახსენებელ შეთქმულებას ემსხვერპლა. ისტორიკოსები ხშირად სვამენ კითხვას: იყო თუ არა ეგვიპტის დედოფლის რომში ყოფნა კეისრის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მიზეზი? ეს სავსებით დასაშვებია, რადგანაც ძველი თაობის რომაელებს, ტრადიციების მესვეურებს რომ უწოდებდნენ, დედოფალი თვალში ეკალივით ესობოდათ. კეისარი კი გაწირეს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი დაუსრულებლად ეწინააღმდეგებოდა ძველრომაულ ტრადიციებს. მისი აშკარა კავშირიც ეგვიპტის დედოფალთან ამ ტრადიციების შელახვად აღიქმებოდა. ამის პატიება არ შეეძლოთ რომაელებს, რადგანაც შიშობდნენ, რომ იმპერიის დედაქალაქი ტიბერისის სანაპიროდან ნილოსის სანაპიროზე, ალექსანდრიაში არ გადაეტანა დიდ დიქტატორს.

თავისი მფარველის გარდაცვალების შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანი დაჰყო კლეოპატრამ რომში. ამასობაში მას კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ამბის მოსმენა მოუხდა. კეისრის საზეიმო დაკრძალვისას ანტონიუსმა ფორუმზე საჯაროდ გაახმიანა გარდაცვლილის ანდერძი: კეისარმა იშვილა

დის შვილიშვილი, ცხრამეტი წლის გაიუს ოქტავიუსი და დანიშნა მთავარ მემკვიდრედ.

თავისი ღვიძლი შვილი, სამი წლის პტოლემაიოსი, კესარიონი, დიქტატორს არც კი გახსენებია. ასე რომ, ეგვიპტის დედოფალს ისღა დარჩენოდა, რომიდან გაქცეულიყო.

რომში კი სამოქალაქო ომი მწიფდებოდა. მიზანი — კეისრის მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება. შესაძლებელი იყო მთავარი ძალების დასახელებაც: უპირველეს ყოვლისა, ესენი იყვნენ კეისრის მკვლელები და სენატის მომხრეები; შემდეგ ის პოლიტიკოსები, რომლებიც სიტყვით უწინდელი სახელმწიფო წყობის მომხრენი იყვნენ, ისე კი — ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მხოლოდ; და ბოლოს, კეისრის შვილობილი, გაიუს ოქტავიუსი, რომელსაც უკვე ოქტავიანუსად უხმობდნენ.

კლეოპატრას რომში დაბრუნებიდან სულ მცირე ხნის შემდეგ, 14 წლის ასაკში, გარდაიცვალა მისი ძმა და თანამეტახტე პტოლემაიოს XIV. მართალია, ეგვიპტის დედოფლის დაუძინებელი მტერი, ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი აღნიშნავდა, რომ მეფე კლეოპატრამ მოწამლა, მაგრამ ეს არავის დაუმტკიცებია. ასე იყო თუ ისე, ტრადიციის წესით, საჭირო იყო ახალი თანამეტახტის არჩევა. და აირჩიეს კიდეც — სამი წლის კესარიონი. ასე იქცა მფარველის გარეშე დარჩენილი კლეოპატრა ერთპიროვნულ მმართველად. ცივი გონებით უკვირდებოდა იგი რომში დატრიალებულ ამბებს, ღრმად უფიქრდებოდა სახელოვან მებრძოლთა მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს. ერთ-ერთი პიროვნება, რომელსაც დახმარების ხელი გაუწოდა დედოფალმა, იყო კეისრის ყოფილი მხედართმთავარი, ციცერონის სიძე — გნეუს დოლაბელა. მაგრამ სირიის ბრძოლაში დამარცხებულმა (მას მებრძოლებმა უღალატეს), თავი მოიკლა. ასე დაიღუპა მესამე სახელოვანი რომაელი (პომპეუსის ძისა და კეისრის შემდეგ), რომელიც კლეოპატრას დაუკავშირდა.

42 წლის ოქტომბერი ეგეოსის ზღვის მაკედონურ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ფილიპოსთან მომხდარი ბრძოლებით აღინიშნა. საბოლოო გამარჯვება იზეიმეს ანტონიუსმა და ოქტავიანუსმა. კეისრის მკვლელებმა — ბრუტუსმა და კასიუსმა — სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.

ანტონიუსმა დიდების სახელი მოიხვეჭა. ეს მისმა მხედართმთავრულმა ნიჭმა გატეხა მოწინააღმდეგის ძლიერება. მებრძოლები აღმერთებდნენ ანტონიუსს; ქალებს უყვარდათ ეს გულუხვი, კეთილშობილი, უდარდელი და გრძნობებს აყოლილი კაცი. გულწრფელი სიხარულით ანიჭებდა იგი თავისუფლებას ქალაქებსა და ადამიანებს. მის გარშემო მასავით უდარდელი ხალხი იკრიბებოდა: მსახიობები, მოცეკვავეები, მუსიკოსები; ანტონიუსის სახით მათ კეთილმონყალე პატრონი ეგულებოდათ, ხოლო იგი თავდავიწყებით ეძლეოდა სიამოვნებებს.

ᲙᲚᲔᲝᲠᲐᲢᲠᲐ

კლეოპატრა და ანტონიუსი

ანტონიუსი საზეიმო სვლით მოემართებოდა მცირე აზიიდან, როგორც ღვთაება დიონისეს მიწიერი განსახიერება. მას ქედს უხრიდნენ, სიყვარულით ეგებებოდნენ და ღმერთივით განადიდებდნენ. მცირე სახელმწიფოთა მეფენი და დესპანები ისწრაფოდნენ, რათა საკადრისი პატივი მიეგოთ ძლევამოსილი რომაელი მხედართმთავრისთვის. მხოლოდ ეგვიპტის უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფოს წარგზავნილი არ ჩანდა ამ ორომტრიალში. კლეოპატრა ისე იქცეოდა, თითქოს არც არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი, რომ ტრიუმვირი, რომელიც აწარმოებს რომის საქმეებს, ვალდებულია თავად ეახლოს მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს სკიპტრის მპყრობელს.

და მართლაც, მალე კლეოპატრას წინაშე წარსდგა ანტონიუსის წარგზავნილი, დახვეწილი არისტოკრატი კვინტუს დელიუსი. მისი მისია არ იყო იოლი, მაგრამ იცოდა ანტონიუსმა, ვის აგზავნიდა. დელიუსს უნდა დაერწმუნებინა თავნება დედოფალი, პირადად ხლებოდა ანტონიუსს და აეხსნა თავისი მიყუჩების მიზეზი. აი, როგორ დატრიალდა ბედის ბორბალი: დედოფალი, რომელიც სულ მცირე ხნის წინ ძლევამოსილ კეისართან ერთად მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა, თავის მართლებით უნდა ხლებოდა მის ქვეშევრდომს! რა თქმა უნდა, ანტონიუსისათვის მთავარი იყო ის, რომ მშვენიერი დედოფალი, უძლიერესი სახელმწიფოს მმართველი, მორჩილად გამოცხადებულიყო მასთან და ქედი მოეხარა მისი დიდებულების წინაშე. კლეოპატრა კარგად ხვდებოდა ამას, შეეძლო კიდეც მოენახა გამოსავალი და არ ხლებოდა ანტონიუსს, მაგრამ დაჰყვა დელიუსის რჩევას, რომელიც თითქოს სხვათაშორის წამოსცდა დესპანს. მან ჰომეროსის ორი კარედი შეახსენა დედოფალს:

„ჰერას ეს აზრი მოეწონა: დამშვენებული
ზევსთან იდაზე ასულიყო და მოეხიბლა".
„ილიადა", XIV, 161-162

დაფიქრდა კლეოპატრა, მასაც მოეწონა ეს აზრი.

41 წლის გაზაფხულის მზით გაბრწყინებულ ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ ტარსოსს მიუახლოვდა ხომალდი, რომლის ცხვირიც ბზინავდა ოქროთი, ხოლო აფრები ფრიალებდნენ მეწამულ ფერად. დაევრცხლილი ნიჩბები, ფლეიტისა და კითარის მუსიკობის რიტმს აყოლილნი, ეხლებოდნენ მდინარე კიდნოსის ზედაპირს. აფროდიტეს სამოსით მორთული დედოფალი ისვენებდა ოქროცურვილი კარვის ჩრდილში. მის ირგვლივ მდგომი ბიჭუნები, რომელთაც ხელთ ეპყრათ უზარმაზარი, ნაირფერადი მარაოები, წარმოსახავდნენ სიყვარულის ღვთაების თანხმლებ ეროსებს. გემბანზე

ცეკვავდნენ მშვენიერი გოგონები, რომლებიც ნერეიდებს, ზღვის ნიმფებსა და აფროდიტეს მოახლე ქარიტებს განასახიერებდნენ.

კლეოპატრა, ვით აფროდიტე, ზღვის ქაფიდან ამომავალი, გამოეცხადა ანტონიუსს, რომელიც თავად, სულ ცოტა ხნის წინ ახალი დიონისესავით მოეელინა ქალაქ ეფესოს. მათ საქმიანი შეხვედრა უნდა ჰქონოდათ და ამის ნაცვლად კი მოაწყვეს დიდებული სანახაობა ღმერთების მომხიბლავი თამაშით.

ამ ეპოქალური სპექტაკლის მომსწრე ისტორიკოსი გადმოგვცემს: „რა არ იღონა კლეოპატრამ აფროდიტეს ზეიმის ბრწყინვალებით რომ მოეხიბლა ანტონიუსი. ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს ჭურჭელი დიდებული ხელოვნებით იყო ნაკეთი. დარბაზის კედლებს ამშვენებდნენ ხალიჩები, რომლებიც ოქროს ძაფებით იყო ნაქსოვი, ძოწის ფერში რომ გადადიოდა. დედოფალმა ბრძანა, გაეწყოთ თორმეტი სანადიმო სარეცელი და მოიწვია ანტონიუსი მის რჩეულ მეგობრებთან ერთად. ამ ბრწყინვალების მხილველი ტრიუმვირი ერთხანს შეყოვნდა გაოგნებული. მაშინ მას ღიმილით მიმართა კლეოპატრამ:

— გიძღვნი ყველაფერს, რასაც ხედავ!

მეორე დღესაც მოიწვია დედოფალმა ანტონიუსი მეგობრებთან და მხედართმთავრებთან ერთად. დღევანდელი დიდმშვენიერების წინაშე გაფერმკრთალდა გუშინდელი ფუფუნება. და დედოფალმა კვლავაც უძღვნა ყველაფერი მოწვეულ სტუმარს. მან ისურვა აგრეთვე, რომ მხედართმთავრებს თან წაეღოთ მდიდრულად მორთული სანადიმო სარეცლები და საუკეთესო ჭურჭელი საკუთარი მაგიდებიდან. როდესაც წარჩინებული რომაელები ტოვებდნენ დარბაზს, ყოველ მათგანს მიაცილებდა მებარგული ჯალამბარითურთ. ანტონიუსის ზოგიერთმა მეგობარმა ძღვნად მიიღო ცხენი ვერცხლის აღსაკაზმავით. სტუმრებს შინისკენ მიმავალ გზას უნათებდნენ ჩირაღდნებით ეთიოპელი ბიჭუნები. შემდეგი დღისთვის დედოფალმა აღურაცხელი ვარდების მოტანა ბრძანა. იატაკები სანადიმო დარბაზებში წყრთის სიმაღლემდე მოიფინა ვარდთა ფურცლებით, ხოლო ზემოდან გადაფენილი იყო მარმაში" (Socrates Rhodius. Fragmenta Historium Graecorum, III Parisiis, 1849, გვ. 326).

ᲙᲚᲔᲝᲞᲐᲢᲠᲐ

დაახლოებით ერთნაირად წარმოგვიდგენენ თვითმხილველი თუ გვიანი დროის ისტორიოგრაფოსები კლეოპატრას და ანტონიუსის საოცარი შეხვედრის ამბავს. გაიცლიან საუკუნეები. კიდევ მრავალგზის იქცევა ეს თეატრალიზებული შეხვედრა მწერლებისა თუ პოეტების შთამაგონებელ წყაროდ. სხვადასხვაგვარად გაგებული, სხვადასხვაგვარად აღქმული, მაგრამ მაინც ფერადოვანი და ბრწყინვალე. ამ ამბებიდან 20 საუკუნის შემდეგ „პარნასელთაგან ყველაზე უფრო პარნასელი" ჟოზე მარია დე ჰერედია ასეთ სონეტს დაწერს:

„ტრიერებს ამკობს მოელვარე სხივების ხვევნა,
შავ მდინარეზე მოსრიალებს და სტოვებს უკან
თეთრი ზოლებით ამოქარგულ, ცვალებად რუკას,
სალამურის ჰანგს, იალქნების კამკამს და რხევას.

ბაქნიდან ქორის ქანდაკება უცქერის მხევალს,
ტახტრევანიდან გამოსული ზღვასავით სუნთქავს.
ვით მტაცებელი ოქროსფერი, რომ უცდის ლუკმას,
დგას კლეოპატრა და ნაპირებს სანუკვარს ხედავს.

გამოჩნდა ტარსაც, მეომარი იქ უცდის უხმლო,
ლაგიდის ქალი, შავგვრემანი, შლის მკლავებს უხმოდ,
პეშვებზე სხივის ანარეკლი უბრწყინავს შორი.

ის ვერ ხედავდა ბედის ნიშნებს, ღვთაებრივ გზირებს:
სიკვდილს და სურვილს, — იდუმალი აჩრდილი ორი,
როგორ ფურცლავდა ყვავილებს და ატანდა ზვირთებს".

(Le Cydnus, კრებულიდან „ტროფეები".
თარგმ. მ. პატარიძის)

საბედისწერო აღმოჩნდა რომაელი მთავარსარდლისთვის ეს შეხვედრა. ანტონიუსი თავადაც ვერ ხვდებოდა, როგორ ექცეოდა კლეოპატრას ტყვეობაში. იგი მზად იყო, ერწმუნა მისი ყოველი სიტყვა და აღესრულებინა ყველა სურვილი. კლეოპატრას თხოვნით მოკლეს მისივე ღვიძლი და არსინოე, რომელიც ეფესოს ტაძარს აფარებდა თავს. ეს იყო სრულიად გაუგონარი და მკრეხელური მკვლელობა. მაგრამ არც კლეოპატრა და არც ანტონიუსი დაფიქრებულან იმაზე, რომ უკანონოდ იქცეოდნენ. ადამიანის ცხოვრება მათთვის აღარაფერს წარმოადგენდა. ვინც გაბედავდა მათ წინააღმდეგ ხმის ამაღლებას, ყველა ქრებოდა. სიყვარული და მძვინვარება, მგრძნობელობა და სისასტიკე, კეთილგანწყობა და სიძულვილი ერთდროულად თანაარსებობდა დედოფლის სულში. და შეეძლო მას ნებას მიეშვა სწორედ ის გრძნობა, რომელიც სჭირდებოდა თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად. არასოდეს ყოფილა იგი თავდავიწყებით შეყვარებული კეისარზე, მით უმეტეს — ანტონიუსზე, მაგრამ დახვეწილი და გამჭრიახი გონებით სამუდამო ტყვეობაში ამყოფებდა თავის საყვარლებს, რომლებიც უკვე ვეღარ აღწევდნენ თავს მისი ენების მომხიბლავ ძალას. არ უნდა იყოს შემთხვევითი მათი დაღუპვაც...

41-40 წლის ზამთარი შეყვარებულებმა ალექსანდრიაში გაატარეს. ეს

იყო დრო აღსავსე მხიარულებით, თავაშვებული გართობითა და ზეიმებით, რომლის მოწყობაც მთელი თავისი ბრწყინვალებით შესაძლებელი იყო ანტიკური სამყაროს ამ დიდებულ ცენტრში. წამყვან როლს თამაშობდა დედოფალი, ანტონიუსი კი მთლიანად ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ. დაუსრულებლად იგონებდა კლეოპატრა ახალ გასართობებს და არ წყდებოდა მხიარულება დღისით თუ ღამით. კლეოპატრა მონანილეობდა კოჭის თამაშში; ბოლომდე ესწრებოდა ხანგრძლივ ნადიმებს; თან დაჰყვებოდა ანტონიუსს ნადირობისას; ფარიკაობა მოსწონდა განსაკუთრებით; შებინდებისას უბრალო სამოსით შემოსილი შეყვარებულები ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდნენ და წარმოუდგენელი ხუმრობებით ანცვიფრებდნენ ქალაქის მცხოვრებთ. ხშირად ეს ხუმრობები ჩხუბითაც მთავრდებოდა, რადგან საბრალო მოქალაქეებმა არ იცოდნენ, ვის ებრძოდნენ, რომ მათთვის უცხო ნიღაბთა ქვეშ იმალებოდნენ ანტონიუსი და კლეოპატრა. პლუტარქეს აზრით, ალექსანდრიელებს სულაც არ აღიზიანებდა შეყვარებულთა თამაში. პირიქით, ეს მათთვის ერთგვარი გასართობიც კი იყო. ისინი ამბობდნენ, რომ რომაელებს ანტონიუსი თავის ტრაგიკულ სახეს უჩვენებდა, მათ კი — კომიკურს („პარალელური ბიოგრაფიები", ანტონიუსი, 29).

ამასობაში იტალიაში კვლავ იფეთქა სამოქალაქო ომმა, რომელიც წამოიწყეს ანტონიუსის ცოლმა ფულვიამ და ძმამ — ლუკიუსმა. ბევრს მიაჩნდა, რომ ეს ქაოსი ფულვიამ ქმრის დასაბრუნებლად ჩაიფიქრა. ოქტავიანუსმა მოახერხა ამ ამბოხების ჩახშობა. ფულვია საბერძნეთში გაიქცა. იქ შეხვდა იგი ანტონიუსს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა ალექსანდრია. სასოწარკვეთილი მეუღლე დამშვიდების ნაცვლად მისთვის ჩვეული სისასტიკით შერისხა ანტონიუსმა — როგორ გაბედა ომის წამოწყება და, რაც მთავარია, მისი წაგება!

მალე ფულვია გარდაიცვალა სიკიონში. ანტონიუსი კი უკვე იტალიას უახლოვდებოდა.

დაიწყო ორი ტრიუმვირის დიპლომატიური ომის ხანგრძლივი პერიოდი. ბოლოს მათ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, იმპერიის დასავლეთი უნდა ემართა ოქტავიანუსს, აღმოსავლეთი — ანტონიუსს. აღმოსავლეთში კი კვლავ ახალი ომი მზადდებოდა. საჭირო იყო პართიის დამორჩილება.

მსოფლიოს ორი ძლევამოსილი კაცის შეთანხმება გაამყარა საქორწინო კავშირმა: ანტონიუსმა იქორწინა ოქტავიაზე, ოქტავიანუსის დაზე. ანტიკური წყაროების თანახმად, ოქტავია დაჯილდოებული იყო გარეგნული და სულიერი მშვენიერებით და მან დროებით დაავიწყა ანტონიუსს ეგვიპტის დედოფალი.

კლეოპატრა

კლეოპატრას კი ანტონიუსის თავაწყვეტილი სიყვარულის მოსაგონებლად დარჩა ტყუპი ქალ-ვაჟი.

არავინ იცის, რა ხდებოდა კლეოპატრას სულში იმ ხანად, როცა ანტონიუსი წასული იყო ეგვიპტიდან. მათი განშორება თითქმის ოთხი წელი გაგრძელდა. წყაროებში კლეოპატრა არ მოიხსენიება. ანტონიუსის შესახებ კი მრავალი ავტორი მოგვითხრობს.

რომის სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდნენ პართიის დამორჩილებას; ტრიუმვირმა ჩაიფიქრა განეხორციელებინა ის, რაც ვერ შეძლო კეისარმა — რომის ლეგიონების ვერცხლის არწივებით მიეღწია ინდოეთამდე.

37 წლის შემოდგომით ანტონიუსმა დატოვა იტალია და იქ აღარასდროს დაბრუნებულა. იგი ხვდებოდა, რომ ეგვიპტის დახმარების გარეშე რომის წამოწყება შეუძლებელი იყო. სირიაში დაბანაკებულმა დესპანი გაგზავნა კლეოპატრასთან. რომის სახელმწიფოს მთავარსარდალი მოსალაპარაკებლად იხმობდა ეგვიპტის დედოფალს, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა არ მიეღო მისი მონვევა. მაგრამ კლეოპატრა დათანხმდა. იგი შეეცადა სირიაში გაემეორებინა ის, რაც ასე ბრწყინვალედ შეძლო ტარსოსში — კვლავ მოეხიბლა რომაელი.

ამჯერად მას აღარ განუსახიერებია აფროდიტე. უბრალოდ, ანტონიუსისაგან გაჩენილი ტყუპი ქალ-ვაჟის თანხლებით წარდგა იგი რომაელი მხედართმთავრის წინაშე. თუ ძველი ავტორები მთელი თავისი ბრწყინვალებით აღწერენ ანტონიუსისა და კლეოპატრას ტარსოსში შეხვედრის ამბავს, გასაოცარი ერთსულოვნებით სდუმან სირიულ შეხვედრაზე. არავინ იცის, თუ რა საუბარი გაიმართა მათ შორის, მაგრამ მთავარი — ცნობილია: ანტონიუსმა ხელში აიყვანა და ზე-აღმართა კლეოპატრას შვილები. რომაული ადათის წესით, ეს იმის მიმანიშნებელი იყო, რომ მან ოფიციალურად სცნო ისინი თავის შვილებად. სავარაუდოა, რომ სწორედ მაშინ მიიღეს ტყუპებმა ახალი სახელები: ალექსანდრე — ჰელიოსი ანუ მზე და კლეოპატრა — სელენე ანუ მთვარე. ადვილი მისახვედრია, რომ მათ სახელებს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა: ისინი განასახიერებდნენ მარადიულ მეუფებას სამყაროში, ისევე, როგორც მარადიულად არსებობენ მზეცა და მთვარეც.

37-36 წლის ზამთარი ანტონიუსმა და კლეოპატრამ ერთად გაატარეს დიადოქოსების ძველ რეზიდენციაში — ანტიოქიაში. ოქტავია სამუდამოდ გაქრა ანტონიუსის თვალსაწიერიდან. კვლავ აფეთქებული ვნება გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. რომაელმა ბოლოს და ბოლოს სცნო კლეოპატრა თავის კანონიერ მეუღლედ. „Uxor mea est" („ის ჩემი ცოლია") — განაცხადა ანტონიუსმა (სვეტონიუსი, „თორმეტი კეისრის ცხოვრება", ავგუსტუსი, 69), თუმცა ამ სიტყვებს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. კლეოპატრასთან ქორწინება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ანტონიუსი უნდა გაჰყროდა ოქტავიას. რომაელ მოქალაქეს უცხოელზე დაქორწინე-

ბის უფლება ეძლეოდა ერთადერთ შემთხვევაში: თუ მისი ქვეყანა ე.წ. jus connubii[2] -ით იყო დაკავშირებული რომთან. ეგვიპტესა და რომს შორის კი ასეთი ხელშეკრულება არ არსებობდა. ამიტომ ოქტავიანუსი და მისი და არ სცნობდნენ ამ ქორწინებას და მიიჩნევდნენ მას ანტონიუსის მორიგ თამაშად.

რაც შეეხება ეგვიპტეს, აქ ყველამ იცოდა, რომ ღმერთები და მეფეები კანონზე მაღლა დგანან, რომ მათი ნება უზენაესია. თუმცა ისიც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ანტონიუსი ეგვიპტის მეფედ აღიარეს, იგი მხოლოდ „სამეფო მეუღლე" იყო. 36 წელს კლეოპატრამ ანტონიუსს კიდევ ერთი ვაჟიშვილი გაუჩინა. მას პტოლემაიოს ფილადელფოსი უწოდეს. ეს იყო დინასტიური სახელი, რომელსაც უნდა აღედგინა პტოლემაიოსთა გარდასული დიდება. ასე იყო თუ ისე, კლეოპატრა, თავისი ბავშვებით გარემოცული (მათ შორის იყო კესარიონიც), ერთპიროვნულად განაგებდა დიდ სამეფოს. ანტონიუსის ბრძანებით, რომაული მონეტების მეორე მხარეს აღბეჭდეს კლეოპატრას გამოსახულება, რითაც მთელმა სამყარომ გაიგო მათი კავშირის ამბავი. გარდა ამისა, ეგვიპტის დედოფალმა დიდებული საჩუქრები მიიღო: ფინიკიური სანაპირო მდინარე ელევთერიდან სიდონამდე, კუნძული კვიპროსი, კილიკიის ზღვისპირა მხარე. აგრეთვე მინები კრეტაზე, იუდეასა და ნაბატეელთა სამოსახლოებში.

ანტონიუსმა გაუგონარი გულუხვობა გამოიჩინა რომაული იმპერიის ხარჯზე, რამაც საშინლად განარისხა არა მხოლოდ ოქტავიანუსი. ამ შემთხვევაშიც ანტონიუსს სულ არ აწუხებდა პოლიტიკური თუ იურიდიული ზრახვები. ეს ძვირადღირებული ძღვენი მისთვის ჩვეული ხელგაშლილობის შედეგი იყო. კლეოპატრამ დიდი სიხარულით მიიღო ეს ტერიტორიები. ისინი პტოლემაიოსთა სახელმწიფოს კიდევ უფრო დიდსა და ძლევამოსილს ხდიდნენ მთელს წინა აზიაში. ძღვენს კლეოპატრამ იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ ძვ.წ. 36 წლიდან დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა მთელს ეგვიპტეში. მას მიიჩნევდნენ პირველ წლად. კლეოპატრასთვის დაიწყო ახალი ეპოქა, იგი ზეიმობდა სრულ ტრიუმფს, ვითარცა ქალი და ვითარცა დედოფალი. უდავოა, მას სურდა პტოლემაიოსთა სახელმწიფოს აღმავლობისა და დიდების მომსწრე ყოფილიყო. შესაძლოა, ასეც მომხდარიყო, მაგრამ მოვლენები საბედისწეროდ დატრიალდა.

კლეოპატრა

36 წლის გაზაფხულზე ანტონიუსის უზარმაზარი არმია აღმოსავლეთისკენ დაიძრა. დასამორჩილებელი იყო პართია. კლეოპატრამ საყვარელი მხედართმთავარი ევფრატის ნაპირებამდე მიაცილა; შემდეგ ეწვია იუდეას, რათა გადასახადი აეკრიფა. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი, რომელიც კლეოპატრასადმი არაკეთილგანწყობით გამოირჩეოდა, საოცარ ამბებს გადმოგვცემს: იუდეაში მას დახვდა ჰეროდე იუდეველი „... მისთვის ჩვეულ ენებებს აყოლილმა

კლეოპატრამ მეფის ცთუნება მოიწადინა. შესაძლოა, მას გულწრფელად შეუყვარდა იუდეველი, მაგრამ უფრო სარწმუნოა ის, რომ დედოფალი ამ გზით ცდილობდა თავის ვერაგულ განზრახვათა აღსრულებას. ჰეროდეს ადრეც არ უყვარდა იგი, ახლა კი ამ უმსგავსო საქციელის გამო, კიდევ უფრო შეიძულა და მისი მოკვლა განიზრახა. თანაც ფიქრობდა, რომ ამით ანტონიუსსაც დაიხსნიდა კლეოპატრას მზაკვრული ღალატისაგან. ამ ჩანაფიქრის განხორციელება მეგობრებმა არ დაანებეს... რადგანაც, მათი აზრით, ჰეროდე ვერასოდეს დაასაბუთებდა იმას, თუ რატომ გაბედა აღემართა ხელი იმ ქალზე, რომელიც თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო...." (Иосиф Флавий, Иудейские древности, т. 2, СПБ., 1900, გვ. 141-142).

ანტონიუსის ლაშქრობა პართიაში რამდენიმე წარმატებული ბრძოლის შემდეგ კრახით დამთავრდა. 36 წლის ბოლოს იგი დაბრუნდა სირიაში და კლეოპატრა იხმო. როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა მას დედოფალი, ელოდა საოცარი მოუთმენლობით. ამ დროს მათ ცხოვრებაში ერთურთს შეერწყა სიყვარული და პოლიტიკა. ტრიუმვირისთვის ამ ურთულეს სიტუაციაში კლეოპატრასგან მიღებული წყალობა ღვთის ძღვენი იყო. მხოლოდ ეგვიპტის დედოფალს შეეძლო მისი ხსნა. როდესაც ანტონიუსს აცნობეს, რომ მისკენ საშველად ოქტავია მოემართება ორი ათასი მებრძოლითა და სხვა აუცილებელი მარაგით, უბრძანა უკან დაბრუნება, იტალიაში. მისი მეტოქე ოქტავიანუსი მეტისმეტად ძუნწი აღმოჩნდა. ანტონიუსს უფრო დიდი დახმარება ესაჭიროებოდა. თუმცა ისტორიკოსები გვარწმუნებენ, რომ კლეოპატრა თავის მოკვლით ემუქრებოდა ანტონიუსს, თუ ოქტავიას მიიღებდა. არ უნდა იყოს სიმართლეს მოკლებული ეს გადმოცემა, რადგანაც ამის დასტურია ის მოვლენები, რომლებიც შემდგომ განვითარდა. 35 წელი იდგა. ოქტავიანუსი და ანტონიუსი საბოლოოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. იმპერია ორ ნანილად გაიყო. დასავლეთს თავისი გზა ჰქონდა გასავლელი, აღმოსავლეთს — თავისი.

ეგვიპტის დედოფალმა საბოლოოდ გაიმარჯვა, როგორც იქნა ანტონიუსი დაისაკუთრა. მათი ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც ანტონიუსმა, უარი თქვა რა პართიის წინააღმდეგ ჩაფიქრებულ ლაშქრობაზე, დასაჯა არმენიის მეფე არტაბაზდი, რომელსაც თავისი მარცხის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევდა. ვერაგობით შემოტყუებულ მეფეს ოქროს ბორკილები დაადო და ალექსანდრიაში ჩაიყვანა. აქ მას უნდა დაემშვენებინა ანტონიუსის ტრიუმფალური სვლა. არმენიის მეფე კარგა ხანს ჰყავდათ დატყვევებული ალექსანდრიაში. თავისი ბატონობის დასასრულს კლეოპატრამ მისი დასჯაც მოასწრო.

ანტონიუსის ეს ტრიუმფი იყო პირველი, რომელიც რომში არ ჩატარებულა, რაც თავისთავად რომის ტრადიციების უარყოფას მოასწავებდა.

მთელს წინა აზიაში ამან უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. რომი კი ბობოქრობდა. ყველაფერი ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ანტონიუსმა თავისი დაფნის გვირგვინი ალექსანდრიის უზენაეს ღვთაებას, სარაპისს, უძღვნა: რომაელი მხედართმთავარი დიდი ალექსანდრეს მემკვიდრეობას იჩემებდა და აღმოსავლეთში დამკვიდრებით მსოფლიოს მეუფის სახელის მოხვეჭას ესწრაფოდა. კლეოპატრა ყოველნაირად ცდილობდა მის გამხნევებასა და მხარში დგომას.

რომის ტრადიციების უგულებელყოფა იყო ისიც, რომ ტრიუმფალურ სვლას ესალმებოდა უცხო ქვეყნის დედოფალი, მდიდრული აღსაკაზმავითა და დიდებულების ამალით გარემოცული. გზად ჩამწკრივებული აღურაცხელი მაყურებლის წინ მიაბიჯებდნენ ლეგიონერები, რომელთაც წინ მიუძღოდა ოთხთვალა ეტლზე აღზევებული ტრიუმფატორი. ამ საზეიმო პროცესიას „ამშვენებდნენ“ ოქროს ჯაჭვებით შებორკილი ტყვეები: არმენიის სამეფო ოჯახის წევრები, რომლებმაც, მიუხედავად დიდი ზეწოლისა, არ მოიდრიკეს ქედი ეგვიპტის დედოფლის წინაშე. ძვირად დაუჯდათ მათ ეს სიამაყე.

რამდენიმე დღის შემდეგ გიმნასიონის უზარმაზარ დარბაზში შედგა ბრწყინვალე საზეიმო ცერემონია. ამაღლებულ ადგილას დასხდნენ ანტონიუსი და კლეოპატრა. დედოფალი შემოსილი იყო ისისის წმინდა სამოსით. ოდნავ ქვევით მოთავსდნენ ბავშვები. მათ შორის იყო კესარიონიც. შეკრებილთა წინაშე წარდგა ანტონიუსი და განაცხადა, რომ ამიერიდან კლეოპატრას „მეფეთა დედოფლის“ (basilissa basiléon) ტიტული მიენიჭება, ხოლო მის შვილებს „მეფეებად“ მოიხსენებენ. იქვე ანტონიუსმა, მისთვის ჩვეული გულუხვობით, სამართავად მათ რომის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიები უძღვნა. ყველამ იცოდა, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო, რომ მხედართმთავრის ძალმოსილება წარსულს ჩაბარდა. თუმცა, ერთი შეხედვით, ამ საოცრად შთამბეჭდავი სპექტაკლის დროს ანტონიუსმა დიდებულად ითამაშა პტოლემაიოსთა ყოვლისშემძლე პატრონის როლი. მას მოსწონდა მდიდრული და ბრწყინვალე სცენები, ხოლო ალექსანდრიელებს — მისი წარმოსადეგი გარეგნობა და მეფური მანერები. ალექსანდრიელებს დედოფალიც მოეწონათ ისისის როლში და ამიერიდან მას ოფიციალურად უწოდეს „ახალი ისისი“. ამგვარად, კლეოპატრამ ადამიანური სფეროდან ღვთაებრივში გადაინაცვლა და ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ცოცხალი იყო.

კლეოპატრა

სავარაუდოა, რომ ამ ტრიუმფისა და საჩუქრების ამბავმა რომში მხოლოდ 33 წლის დამდეგს ჩააღწია. რომი აღშფოთდა. რაც შეეხება ოქტავიანუსს, ამ ამბავს იგი მხოლოდ უნდა გაეხარებინა, რადგანაც ანტონიუსმა თავად გამოჭედა ის იარაღი, რომელიც მის წინააღმდეგ უნდა აღმართულიყო.

ალექსანდრიულ ნადიმებზე რომში საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ. ხმას ავრცელებდნენ, თითქოს იქ რომაელი წარჩინებულებიც ილხენდნენ. თუნდაც მუნაკიუს პლანკუსი, რომელიც მოგვიანებით ავგუსტუსის უახლოესი მეგობარი გახდა. იგი თურმე ზღვის მითიური მოხუცის, გლავკოსის სამოსში გამოწყობილი ასრულებდა უხამს ცეკვებს ეგვიპტელ დიდებულთა წინაშე; სწორედ ამ პლანკუსს შეუსრულებია მსაჯულის როლი, როდესაც კლეოპატრას, გამხიარულების მიზნით, ანტონიუსთან სანაძლეო დაუდევს, რომ ერთ ჯერზე გადაყლაპავდა ათ მილიონ სესტერციუსს (რომაული ვერცხლის მომცრო მონეტას). რა თქმა უნდა, კლეოპატრამ მოიგო, რადგანაც თურმე ძმარში გახსნა ფასდაუდებელი მარგალიტი და ის ჩაყლაპა (პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია", IX, 179). რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ ანტიკურ წყაროებს, რომლებიც გვიამბობენ უძვირფასეს ამეთვისტოს თილისმებზე, რომლებიც თრობისგან იცავდნენ მოქეიფეებს, ან კლეოპატრას სუფთა ოქროთი ნაკეთებ საიგავო ჭურჭელზე, თვალ-მარგალიტით დამშვენებულ სასმისებზე და ათასგვარ განძზე. მით უმეტეს, რომ თავად რომში სჯეროდათ ამის, რადგანაც თვლიდნენ: ალექსანდრიაში, ამ ანტიკურ ბაბილონში, ყველაფერი შესაძლო იყო.

მაშინ, როდესაც უსაქმურთა და მლიქვნელთა ამალით გარემოცული ანტონიუსი თავდავიწყებით ეძლეოდა სიყვარულს, ლხინსა თუ ნადირობას, ალექსანდრიის თავზე საავდრო ღრუბელი იკრიბებოდა. 33 წელს ანტონიუსი კიდევ ერთხელ ეწვია არმენიას. პართიის წინააღმდეგ გალაშქრებას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც ახლა ოქტავიანუსმა გამოუცხადა ომი მეტოქეს. ანტონიუსი საყოველთაოდ ცნობილ ბერძნულ ქალაქ ეფესოში დაბანაკდა. მალე მასთან კლეოპატრაც ჩამოვიდა. ომს არ იწყებდა არცერთი მთავარსარდალი, ისინი მხოლოდ მამხილებელ წერილებს წერდნენ ერთმანეთს.

კლეოპატრამ მოახერხა ის, რომ ანტონიუსს მის გარეშე არსებობა აღარ შეეძლო. რას არ ჰყვებოდნენ მათზე. ავრცელებდნენ ხმას, თითქოს ანტონიუსი მოჯადოებული იყო, რომ მას უფლება არ ჰქონდა, ეტარებინა რომაელის სახელი. მას ბრალად სდებდნენ, რომ დედოფალს ყველაფერთან ერთად პერგამონის ბიბლიოთეკა აჩუქა, რომ საპატიო სტუმრების თვალწინ შეეძლო მის ფეხებს მოფერებოდა, რომ საქმიან საუბრებზე სასიყვარულო ბარათების კითხვით ერთობოდა. იმასაც ჰყვებოდნენ, რომ თურმე ერთხელ, ალექსანდრიაში, ანტონიუსს სამსჯავრო სხდომა მიჰყავდა. როცა დამცველი სიტყვით გამოდიოდა, შენობის ახლოს გამოჩნდა დედოფლის კორტეჟი. თვალი მოჰკრა თუ არა მას ანტონიუსმა, დატოვა დარბაზი და კლეოპატრას დაედევნა ფეხით.

მიუხედავად ამ მიეთ-მოეთისა, ანტონიუსს ჯერ კიდევ ჰყავდა რომში მეგობრები, რომლებიც წუხდნენ მის ბედზე. გონს მოსაყვანად მიუგზავ-

ნეს პემინიუსი, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდა. არ გამოპპარვია მისი ეიზიტი დედოფალსაც. ამბობენ, თითქოს პემინიუსმა კლეოპატრას თანდასწრებით სთხოვა ანტონიუსს, კვლავ ეგვიპტეში დაებრუნებინა დედოფალი. ანტონიუსის ნაცვლად ასე მიუგო მას კლეოპატრამ: „კარგია, პემინიუს, სიმართლე რომ თქვი, ჰოდა წამება არ აგცდება".

ეფესოში მრავალმა რომაელმა მოიყარა თავი. ყველა იმ აზრისა იყო, რომ კლეოპატრა უნდა გასცლოდა ანტონიუსს. მისი იქ ყოფნა ხელს აძლევდა მხოლოდ ოქტავიანუსს, რომელიც ყველას არწმუნებდა, რომ ანტონიუსი დაემონა ეგვიპტის დედოფალს, მის ყოველ სურვილსა და კაპრიზს ასრულებს, რაც მთავარია, მზად არის რომიც გადაულოცოს. ეს ორი დიდებული რომაელის შეხლა კი არ იყო მხოლოდ, არამედ წმინდა ომი იყო იტალიასა და აღმოსავლეთს შორის დაწყებული.

კლეოპატრას სურდა და დარჩა ეფესოში. რამდენად დამღუპველი იყო ეს გადაწყვეტილება, მალე გახდება ცხადი. იქნება ჯობდა, ანტონიუსს შეესმინა ჰეროდე იუდეველის რჩევა: „გინდა გაიმარჯვო? მოკალი კლეოპატრა!"

32 წლის გაზაფხულზე ანტონიუსმა ეფესოდან სამოსზე გადაინაცვლა. კუნძულზე გადმოსხეს არა მხოლოდ ჯარი, არამედ მსახიობებიც. „მაშინ, როდესაც მთელ სამყაროს იარაღის ჟღარუნი, დაჭრილთა კვნესა და მგლოვიარეთა გოდება ავსებს — ასე ამბობდნენ თურმე იმ ხანად — კუნძულ სამოსზე ფლეიტისა და კითარის ხმები გაისმის, ხოლო ხალხით გაჭედილ თეატრებში ქოროები გაბმით მღერიან". მსახიობები და დრამატურგები პირველობისთვის იბრძოდნენ ხელოვნების სფეროში. „მეფეები კი ერთმანეთს სჯობნიდნენ ფუფუნების გამოვლენაში, მდიდრული ძღვენის გაღებაში. გაოგნებული ხალხი ფიქრობდა: ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნება მათი გამარჯვების დღესასწაული, თუკი ისინი ასეთი დიდებულებით ზეიმობენ ომის სამზადისს!" (პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები", ანტონიუსი, 55-56).

მალე საომრად განწყობილმა თუმც მონადიმე სამეფო კარმა დატოვა სამოსი. ანტონიუსი და კლეოპატრა ათენს ესტუმრნენ და იქ განაგრძეს მხიარულება. კლეოპატრა ყოველნაირად ცდილობდა ათენელთა გულის მოგებას. თავის მხრივ, ათენელებიც კეთილად განეწყვნენ დედოფლისადმი. მადლიერების ნიშნად ქალაქმა გამოსცა რამდენიმე დეკრეტი, რომელთა წარდგენაც ეგვიპტის დედოფლის წინაშე დაევალათ წარჩინებულ ათენელებს. მათ შორის იყო ანტონიუსიც, როგორც ატიკის საპატიო მოქალაქე.

კლეოპატრა

სწორედ მაშინ გადაწყვიტა ანტონიუსმა ფორმალურადაც გაყროდა ოქტავიას. უბრძანა, დაეტოვებინა მისი სახლი რომში და თან წაეყვანა შვილებიც. მხოლოდ ანტილუსს (უფროსი ვაჟი ფულვიასაგან) ეძლეოდა უფ-

ლება დარჩენილიყო ანტონიუსის სახლში. როგორც ამბობენ, ასეთი იყო კლეოპატრას სურვილი.

რომში მიაჩნდათ, რომ ეგვიპტის დედოფლის მიერ მოჯადოებულ ანტონიუსს გონება ჰქონდა დაბინდული, რომ იგი რომაელი მოქალაქის წოდების ღირსი არ იყო. ამ და სხვა მიზეზთა გამო 32 წლის ბოლოს ოქტავიანუსი აირჩიეს უზენაეს მთავარსარდლად. მთელმა იტალიამ და მასთან ერთად ჩრდილოეთის პროვინციებმაც მას საზეიმო ფიცი დაუდეს. ამიერიდან კეისრის ძეს ყველა საფუძველი ჰქონდა ანტონიუსის წოდებათა გასაუქმებლად. 31 წლისთვის კონსულად დაინიშნა ოქტავიანუსის მეგობარი მესალა. ძველი რელიგიური ცერემონიალის აღსრულების შემდეგ კი ოქტავიანუსმა, ისარგებლა რა კლეოპატრას აღმოსავლური ლაშქრის მთავარ ბანაკში ყოფნით, სწორედ მას გამოუცხადა ომი.

ხანგრძლივი მანევრებისა და ჯართა გადაადგილების შემდეგ (რომელიც ვრცლად არის აღნერილი ისტორიულ წყაროებში), 31 წლის 2 სექტემბერს აქციუმის კონცხთან მოხდა გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა. ანტონიუსის ფლოტი დამარცხდა. ხომალდთა ნაწილმა, თავი დააღწია რა მძვინვარე ხანძარს, გეზი აიღო ალექსანდრიისაკენ. მათ შორის იყო ანტონიუსის და კლეოპატრას ხომალდიც. გამარჯვებული ნელა მიიწევდა წინ. ასე რომ, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ძალის მოკრება, მაგრამ საბედისწერო წყვილი ნადიმსა და მხიარულებას ვერ ელეოდა. მართალია, ანტონიუსიც და კლეოპატრაც ცდილობდნენ ოქტავიანუსთან ზავის დადებას, მაგრამ ეს უკანასკნელი მკაცრ პირობებს სთავაზობდა მათ. ის გრძნობდა ძალას და კომპრომისებს აღარ საჭიროებდა.

დამარცხების მიუხედავად ეგვიპტეში სიმშვიდე სუფევდა. ეგვიპტელები დახმარებას სთავაზობდნენ თავის დედოფალს, რადგანაც რომის ბატონობის საშიშროება შემზარავად ეჩვენებოდათ. მაგრამ დედოფალს არ სურდა ომი. მართალიც იყო. იგი კარგად ხედავდა რომაელთა უპირატესობას და გრძნობდა, რომ ომი დაანგრევდა ქვეყანას, ხოლო მის მემკვიდრეებს ნაართმევდა ძალაუფლების შენარჩუნების უკანასკნელ იმედს. კლეოპატრას ფიქრი მიმართული იყო მხოლოდ იმისკენ, რომ თავისი შვილებისათვის არ დაეკარგა ტახტი. სწორედ ამიტომ გაუგზავნა ოქტავიანუსს სკიპტრა, დიადემა და სთხოვა, ეგვიპტის მეფედ მისი ერთ-ერთი ძე დაენიშნა. „შიში ნუ გაქვსო!" — მალულად შემოუთვალა გამარჯვებულმა კლეოპატრას, მაგრამ გრძნობდა დედოფალი, რომ ეს ლიტონი სიტყვები იყო, რომ ამ რომაელს მიზნად ჰქონდა, დაუფლებოდა მის განძს, რომელსაც გაქცევისას თან გაიყოლებდა.

ავისმომასწავებელი წინათგრძნობით შეპყრობილი კლეოპატრა ამზადებდა ხომალდებს, რომლებითაც, თუ საბოლოოდ დამარცხდებოდა, ინდოეთისკენ უნდა აეღო გეზი თავის ოჯახთან ერთად. თუმცა ამასთანავე

სხვადასხვა შხამის (უმეტესწილად გველის შხამის) ზემოქმედებას აკვირდებოდა თავის მონებზე.

30 წლის 1 აგვისტოს ოქტავიანუსი ალექსანდრიის კედლებს მოუახლოვდა. ანტონიუსმა საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა და თავის ხომალდებს მტრისკენ დაძვრა უბრძანა. მაგრამ მოხდა საოცარი რამ: კლეოპატრამ ღალატის ფასად ეგვიპტის ხსნა განიზრახა. მან ანტონიუსისგან ფარულად ფლოტს და არმიას იარაღის დაყრა უბრძანა. მეომრები დანებდნენ. სასონარკვეთილი ანტონიუსი სასახლეში დაბრუნდა და მთელი მრისხანება კლეოპატრაზე გადმოაფრქვია. „შენ მიღალატე, თუმცა ომი შენთვის დავიწყე!" — ყვიროდა იგი. დედოფალი ისისის ტაძრის გვერდით აშენებულ თავის აკლდამაში ჩაიკეტა და ყველა კარი მაგრად ჩარაზა. ანტონიუსთან კი გაგზავნა მაცნე, რომელმაც დაარწმუნა მხედართმთავარი, თითქოს კლეოპატრამ თავი მოიკლა. მაშინ ანტონიუსი შევიდა თავის ოთახში, შემოიხსნა აღსაკაზმავი და ირგვლივ შემოკრებილ მეგობრებსა და მსახურებს ასე მიმართა მწარე ღიმილით: „რა მხედართმთავარი ვარ მე, თუკი ქალმა მაჯობა თავისი გამბედაობით!"

ანტონიუსმა სთხოვა თავის ერთგულ მონას, სახელად რომ ერქვა ეროსი, მახვილი დაეკრა მისთვის. ეროსმა აიღო მახვილი და თავად გაიპო მკერდი. ანტონიუსმა დახედა მის ფეხებთან უსულოდ დაცემულ მონას და აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „კარგად დამანახვე, როგორ უნდა მოვიკლა თავი!"

მაგრამ ანტონიუსმა ვერც ეს შეძლო. მახვილი მუცელზე მოიხვედრა და ისიც სუსტად. სისხლში მოთხვრილი საწოლზე დავარდა და ირგვლივ მყოფთ ევედრებოდა, ბოლო მოეღოთ მისთვის. ყველა გაიქცა. მიატოვეს ანტონიუსი ტკივილისა და სისხლის ამარა. ბოლოს მასთან მივიდა კლეოპატრას მდივანი დიომედესი და აუწყა, რომ დედოფალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ითხოვდა მასთან შეხვედრას.

დიომედესმა მონების დახმარებით გადაიყვანა ანტონიუსი აკლდამასთან. იქ კლეოპატრამ არ ისურვა ჩარაზული კარის გაღება. მან ზედა ფანჯრიდან ჩაუშვა თოკი და ორი მონა ქალის დახმარებით, რომელთაც მასთან ყოფნის უფლება ჰქონდათ, შეძლო სისხლისგან დაცლილი ანტონიუსი შეეტანა თავის ოთახში.

მომაკვდავი საწოლზე დააწვინეს. კლეოპატრა მწარედ მოთქვამდა და მკერდს და ღაწვებს იხოკავდა. ანტონიუსმა მოითხოვა ღვინო და საყვარელ ქალს დამშვიდება დაუწყო; სთხოვდა, სასო არ წარეკვეთა და საქმეებისთვის მიეხედა. თავის ცხოვრებას კი ბედნიერად მიიჩნევდა, რადგანაც იგი სავსე იყო ბრწყინვალე განცდებით; თავად კი კაცთაგან ძალმოსილებით გამორჩეული, ღირსეულად კვდებოდა, როგორც ეს შეეფერებოდა ჭეშმარიტ რომაელს დამარცხებულს რომაელისგან.

კლეოპატრა

განუტევა თუ არა სული ანტონიუსმა, აკლდამასთან გამოჩნდა გაიუს

პროკულეუსი. იგი ოქტავიანუსმა გამოგზავნა კლეოპატრასთან, სასახლეში დაბრუნების თხოვნით. პროკულეუსმა კიბე მიადგა იმ ფანჯარას, საიდანაც ანტონიუსი გადაიყვანეს და შეაღწია კლეოპატრას განსასვენებელში. თავის მსახურთა დახმარებით შეიპყრო ეგვიპტის დედოფალი და წაართვა დანა, რომლითაც თავს იკლავდა. ოქტავიანუსს სჭირდებოდა ცოცხალი კლეოპატრა, რათა დაემშვენებინა თავისი ტრიუმფალური სვლა მარადიული ქალაქისაკენ.

რა მოხდა შემდეგ?

ანტონიუსი ღირსეულად დაკრძალეს.

კლეოპატრას დახოკილ მკერდსა და ღანვებზე იარები დაუწყლულდა. იგი მაღალი სიცხით ლოგინად ჩავარდა, საჭმელს არ ჭამდა და ერთთავად სიკვდილს ნატრობდა. ოქტავიანუსი შვილების დახოცვით დაემუქრა, თუ კი არ შეწყვეტდა შიმშილს. მუქარამ გაჭრა. დედოფალი მომჯობინდა.

მალე ოქტავიანუსი თავად ეწვია კლეოპატრას, რომელიც ამ ვიზიტს დიდხანს ელოდა.[3]

მსუბუქი მოსასხამით ტანშემოსილი დედოფალი ისვენებდა დაბალ საწოლზე. ოქტავიანუსის შემოსვლისთანავე იგი წამოხტა და რომაელს მუხლებზე შემოეხვია. ოქტავიანუსმა დედოფალი წამოაყენა, ისევ საწოლზე დააწვინა და თავადაც იქვე ჩამოჯდა. უკანასკნელად კლეოპატრა მან თექვსმეტი წლის წინ იხილა რომში. მაშინ ახალგაზრდული ასაკითა და ძალმოსილებით მბრწყინავ დედოფალს არც მიუქცევია ყურადღება იმ ჭაბუკისთვის, რომელსაც შემდგომ მისი ბედი უნდა გადაეწყვიტა. არც ახლა ჰქონდა დაკარგული მიმზიდველობა დამწუხრებულ და თმამოუწესრიგებელ კლეოპატრას. თანდაყოლილი ხიბლი, საამო ხმა და მოწიფული სილამაზე ჯერ კიდევ არ გაჰქრობოდა. მის თითოეულ მოძრაობას, გამოხედვასა თუ ხმის ტემბრს გარდაუვალი დიდებულების სხივი დაჰკრავდა.

თავდაპირველად კლეოპატრა შეეცადა ანტონიუსის დადანაშაულებას. მაგრამ როგორც კი შეენინააღმდეგა ოქტავიანუსი, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. შემდეგ შვილების შეწყალება სთხოვა გამარჯვებულს და ახლა სცადა, თანაგრძნობა გამოეწვია, თავს აჩვენებდა ისე, თითქოს სიკვდილის ეშინოდა, სიცოცხლე სურდა. ბოლოს ოქტავიანუსს თავის ძვირფასეულობათა ნუსხა გადასცა და განრისხდა, როდესაც ერთ-ერთმა მსახურმა ძვირფას სამკაულთა გადამალვაში დასდო ბრალი. კლეოპატრა თავს იმართლებდა, არწმუნებდა ოქტავიანუსს, რომ ეს ნივთები ოქტავიასა და ლივიასათვის[4] უნდა მიეძღვნა. რომაელ მხედართმთავარს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ დედოფალი მართლაც ებღაუჭება სიცოცხლეს. მან დაამშვიდა იგი, შეპპირდა, მზრუნველობას არ მოაკლებდა და წავიდა დარწმუნებული, რომ მოახერხა მისი მოტყუება. სინამდვილეში თვით აღმოჩნდა მოტყუებული.

დიახ, არ სურდა კლეოპატრას რომში გამგზავრება ტრიუმფატორის სამშვენისად, როგორც ტყვეს. მას სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული:

დილით ადრე ანტონიუსის სამარე მოინახულა, ყვავილებით შეამკო იგი და დიდხანს იტირა. შემდეგ დაბრუნდა სასახლეში, ბრძანა, აბაზანა მოემზადებინათ მისთვის და სასადილოდ გაშლილ სუფრასთან დაიკავა თავისი ადგილი. ამ დროს სასახლის კარიბჭეს მოადგა გლეხი ხელში კალათით, რომელშიც ენყო არაჩვეულებრივი სიდიდის ლეღვები. დარაჯები გაოცდნენ. გლეხმა მათ რამდენიმე ცალი აჩუქა და დედოფლის ოთახისაკენ გასწია.

სადილის შემდეგ კლეოპატრამ წერილი დანერა და ოქტავიანუსს გაუგზავნა; მსახურები დაითხოვა, მასთან დარჩენის ნება დართო მხოლოდ ორ მხევალს და მათთან ერთად ჩაიკეტა თალამოსში.

წერილის მიღებისთანავე ოქტავიანუსი ყველაფერს მიხვდა და მსახურები გაგზავნა დედოფლის სადგომისაკენ. წერილში კი კლეოპატრა გამოთქვამდა ანტონიუსის სამაროვანის გვერდით დაკრძალვის სურვილს.

მსახურებმა დაიგვიანეს. როდესაც მათ კლეოპატრას მოსასვენებელი ოთახის კარი შელეწეს, ასეთი სურათი იხილეს: ოქროს ტახტზე სრული სამეფო აღკაზმულობით ესვენა დედოფალი. ერთი მხევალი, ირასი, თავისი ქალბატონის ფერხთით იწვა უსულოდ, ხოლო მეორე, ქარმიონი, ჯერ კიდევ იდგა და დიადემას უსწორებდა დედოფალს. როდესაც ვიღაცამ შესძახა: „განა კარგია ეს, ქარმიონ?" უკვე სიკვდილის წყვდიადში ჩაძირულმა მხევალმა ასე მიუგო: „დიახ, ასე უმჯობესია, იგი ხომ იმდენი მეფის მემკვიდრე იყო!" და ჩაიკეცა იატაკზე. ხოლო სიკვდილის საიდუმლო ამ სამმა ქალმა თან ჩაიტანა სამარეში. კლეოპატრას მარცხენა ხელზე ორი ნაკაწრი აღმოუჩინეს, მიამსგავსეს გველის ნაკბენებს, მაგრამ გველი ვეღარ იპოვნეს. გასრიალდაო ალბათ იმ კარში, ზღვის ნაპირზე რომ გადიოდა.

ასე ამბობენ, თითქოს გველი ჩამალული იყო იმ საოცარი ლეღვებით სავსე კალათაში. როდესაც კლეოპატრამ რამდენიმე ლეღვი ამოიღო, ხმადაბლა წართქვა: „აი, თურმე სად ყოფილხარ!" — გველს მიეფერა და საკბენად ხელი გაუწოდა.

თუ კლეოპატრა მართლა გველის ნაკბენისაგან გარდაიცვალა, ამას, შესაძლოა, ღრმა სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდეს. ფარაონთა სამეფო დიადემას ოდითგან ამშვენებდა გველის გამოსახულება. გველი იყო სამეფო ძალმოსილების სიმბოლო. ეგვიპტურ მითოსში გველი დაკავშირებული იყო მზის ღმერთთან. ითვლებოდა, რომ მისი ნაკბენით ადამიანს უკვდავება ენიჭებოდა, რითაც ხდებოდა ღვთაებათა თანაზიარი. ალბათ ეს სიმბოლიკა აისახა გალაკტიონის იმ მეტაფორაში, რომლითაც დავასათაურეთ დედოფლის პორტრეტი (ლექსიდან „იხდება ფარდა").

ᲙᲚᲔᲝᲞᲐᲢᲠᲐ

კლეოპატრა ღირსეულად დაკრძალეს, ისე, როგორც ეკადრებოდა დი-

ადი დინასტიის უკანასკნელ დედოფალს. ოქტავიანუსმა აღასრულა მისი სურვილი. მაშინ კლეოპატრა 39 წლისა იყო, იმეფა თითქმის 22 წელი, აქედან 12 წელი იყოფდა ძალაუფლებას ანტონიუსთან, რომელიც 56 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ეგვიპტეზე გამარჯვება რომში ძვ.წ. 29 წლის 15 აგვიტოს იზეიმეს. კლეოპატრას გარდაცვალებასთან ერთად ჩაესვენა უდიდეს ელინისტურ სახელმწიფოთაგან უკანასკნელის ძალმოსილება, თუმცა ეგვიპტურმა ცივილიზაციამ კიდევ მრავალი საუკუნე იარსება და მასთან ერთად ხსოვნამ იმ გასაოცარ დედოფალზე, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რათა გამარჯვებული რომაელის ტრიუმფალური სვლის ტყვედქმნილი სამშვენისი არ ყოფილიყო. ამ თვითმკვლელობით კლეოპატრამ კიდევ ერთხელ გააოცა თავისი თანამედროვე სამყარო. გაოცება ხომ მისი სტიქია იყო.

შენიშვნები:

[1] იხ. „Записки Юлия Цезаря и его продолжателей о галльской войне, о гражданской войне, об александрийской войне, об африканской войне", Москва-Ленинград, 1948, გვ. 350-353.

[2] jus connubii — თანხმობა, რომელიც ორი ქვეყნის მოქალაქეებს დინასტიური ქორწინების უფლებას აძლევს.

[3] კლეოპატრასა და ოქტავიანუსის შეხვედრის ამბავი დაწერილებით არის აღწერილი როგორც პლუტარქეს („პარალელური ბიოგრაფიები", ანტონიუსი, 83), ასევე დიო კასიუსის (Римская история. Конец Антония и Клеопатры (LI, 5-6), в кн.: „Памятники поздней античной научно-художественной литературы II-V века", Москва, 1964, стр. 126-133) თხზულებებში. ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდისთვის მათ ხელთ ჰქონდათ დედოფლის პირადი ექიმის, ოლიმპუსის ჩანაწერები (შდრ. Г. Бенгтсон, Правители эпохи эллинизма. М., 1982, стр. 365).

[4] ლივია, ოქტავიანუსის მეუღლე.

„MOECHA PUTIDA“

ოქსბია

ძვ.წ. I საუკუნეში, მაშინ როდესაც გაიუს ვალერიუს კატულუსი ცხოვრობდა, რომი ხმელთაშუაზღვისპირეთში ბატონობის სულ რაღაც ას წელს ითვლიდა, მაგრამ მას უკვე დიადი იმპერიის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. რომისკენ მოედინებოდა სიმდიდრე, რომელმაც ამ უზარმაზარი იმპერიის დედაქალაქში თავი მოუყარა ნიჭიერ ადამიანებსაც და მათ შემოქმედებითი ძალისხმევის წარმოსაჩენად მიანიჭა თავისუფალი დრო („otium“).[1] ხოლო თავისუფალ დროს მუდამ თან სდევდა მცონარობა. კატულუსის წინამორბედ თაობებს მოსაწყენად არ ეცალათ. ისინი იბრძოდნენ, მიწას ამუშავებდნენ ან საზოგადო საქმეებს განაგებდნენ — ეს სამი სფერო თავისუფალ მოქალაქეთა მოღვაწეობის ღირსეული ასპარეზი იყო. მაგრამ ახლა, რომის რესპუბლიკური ხანის დასასრულს, ომი პროფესიონალ ჯარისკაცთა საქმედ იქცა, მიწის დამუშავება — დატყვევებული მონებისა, ხოლო პოლიტიკა — ხელისუფლებისათვის ბრძოლის სარბიელს დაემსგავსა, სადაც გამარჯვებული დამარცხებისათვის იყო განწირული. თავისუფალი დრო ფიქრის საშუალებას იძლეოდა, ხოლო ფიქრი — საკუთარ სულში ჩაღრმავებისა. ამ დროის დიდი მოღვაწე ციცერონი ცდილობდა გაეაზრებინა, თუ როგორ შეიძლებოდა მოცალეობის ღირსეულად გამოყენება (otium cum dignitate, „სესტიუსისათვის“, 98) მაშინ, როდესაც ადამიანებს მოცალეობის არაღირსეულად გატარების სურვილი ჰქონდათ. ასაკოვანნი შინ ერთობოდნენ, ახალგაზრდები კი — ბოჰემურ სალონებში. მათი ცხოვრების შინაარსს წარმოადგენდა ღვინო, ქალები და პოეზია. რა თქმა უნდა, იმ რომაელებს, რომლებსაც მთელი ცხოვრება საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიეძღვნათ, ტრიუმვირატისა და იულიუს კეისრის ერთპიროვნული მმართველობის ხანა „რესპუბლიკური რომის მიმწუხრად“ (ციცერონი, „ბრუტუსი“) ეჩვენებოდათ. მაგრამ მომდევნო თაობას, რომელსაც აღარ აინტერესებდა ომები და ტრიუმფები, დასაწყისი პრინციპა-

ტისა ახალ სარბიელს სთავაზობდა. ყურადღების ცენტრში ექცეოდა პიროვნება თავისი ვნებებითა და განცდებით, თავისი დამოკიდებულებით გარემომცველი სამყაროსადმი. როგორც ყოველი მიჯნა ეპოქებისა, ასევე რომის რესპუბლიკიდან პრინციპატზე გარდამავალი პერიოდიც მეტისმეტად დაძაბული იყო და წინააღმდეგობებით აღსავსე, რაც თავისთავად აისახა კიდეც ლიტერატურულ ცხოვრებაში. გამოჩნდნენ ახალი თაობის პოეტები, რომლებმაც გადაუხვიეს მოქალაქეობრივი პათოსით განმსჭვალული ტრადიციული გზიდან და საკუთარ ემოციათა წარმოსახვა დაისახეს მიზნად. მათ თავი იგრძნეს ნოვატორებად, ხოლო ეს ნოვატორობა ეპოქით იყო განპირობებული. ერთი საუკუნის წინ რომაული საზოგადოების გემოვნება ერთფეროვანი იყო და კულტურაც ამ გემოვნების შესაბამისად ვითარდებოდა. პოეზიაში ბატონობდა სამოქალაქო ეპოსიცა და სახუმარო კომედიაც — უანრები, რომლებიც ერთნაირად აღელვებდა წარჩინებულებსაც და პლებსსაც. ახლა საზოგადოება ორად გაიყო: უბრალო ხალხად, რომელიც შრომობდა და რომელსაც არ ჰქონდა თავისუფალი დრო და ელიტად, რომელიც მოცალეობისაგან ამთქნარებდა. უბრალო ხალხის გასართობად დარჩა კომედია, ოღონდ უფრო გაუხეშებული, ხოლო მაღალმა საზოგადოებამ otium-ის შესავსებად მოითხოვა დახვენილი პოეზია, მიუწვდომელი დაბალი ფენებისათვის. და აი, შემოქმედებით სარბიელზე გამოჩნდნენ პოეტები, რომელთა ქმნილებები მცონარე რომაული ელიტის მოწონებას იმსახურებდა. მათ ციცერონი ირონიულად ნეოტერიკოსებს (οἱ νεώτεροι — ახალი მთხზველები, „ატიკუსისადმი", VII, 2), ანუ ჩვენი გაგებით, „მოდერნისტებს" უწოდებდა. უფრო ირონიულად კი — „ევფორიონის დამქაშებს", იმ ანტიოქიელი ევფორიონისა, რომელიც ალექსანდრიული ღვარჭნილი პოეზიის მიმბაძველად იყო ცნობილი. სწორედ ამ დროს გამოჩნდება რომის ბოჰემურ სალონებში სრულიად ახალგაზრდა პოეტი კატულუსი, რომელიც თავის ქმნილებათა საუკეთესო ნაწილს „უმშვენიერეს ლესბიას" მიუძღვნის. „Lesbia formosa est" (86)[2] — განაცხადებს იგი და ისეთ სიმძაფრეს მიანიჭებს საკუთარ განცდებსა და წარმოსახვებს, რომ უმალ მის თანამედროვე მსმენელთა აღტაცებას დაიმსახურებს. ხოლო ეს აღტაცება საუკუნეებს გაუძლებს. როდესაც მსმენელებს ვახსენებთ, მხედველობაში გვაქვს რომის პოეტურ სალონებში დამკვიდრებული დეკლამირების ტრადიცია. მოგვიანებით პლინიუს უმცროსი დაწერს: „ამ წელს პოეტთა დიდი მოსავალია. აპრილის თვეში დღეც არ გასულა სახალხო კითხვის გარეშე. გულწრფელად ვხარობ ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებითა და ნიჭიერ ადამიანთა გამოჩენით. მსმენელები კი უხალისოდ იკრიბებიან, მეტწილად პორტიკებში სხედან და უაზროდ მასლაათობენ. მხოლოდ დრო და დრო თუ იკითხავენ, რა ქნა პოეტმა, დაასრულა თუ არა შესავლის კითხვა, დაახვია თუ არა თავისი გრაგნილის დიდი ნაწილი. აი, მაშინ კი თავს მოიყრიან, თუმცა მალე, არ ელიან რა კითხვის დასრულებას, ისევ მიდიან, ზოგი ჩუმად მიიპარება, ზოგი კი მოურიდებლად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე" („წერილები", I, 13, § 1-2).

პოეტური სალონებისადმი ასეთი დამოკიდებულება თავს იჩენს ავგუსტუსის ეპოქის შემდეგ, როცა ბრწყინვალე პოეტთა დრო ჩაივლის. ხოლო მაშინ, კატულუსის ეპოქაში, რომაელ ყმაწვილთათვის სიყვარული და ვენუსისმიერ განცდებზე საუბარი სახალისო და საამური უნდა ყოფილიყო. დაუმთავრებელმა სამოქალაქო ომებმა, პოლიტიკურმა ინტრიგებმა, მჭევრმეტყველთა პაექრობებმა თავი მოაბეზრეს ახალგაზრდა რომაელებს. განა უფრო სასიამოვნო არ იყო მეგობართა წრეში ტრიალი და სატრფიალო თავგადასავლებით თავემოწონება? ურთიერთობათა ეს სფერო თანდათან უფრო იხვეწებოდა. მამაკაცები საინტერესონი, ქალები კი უფრო მომხიბლავნი ხდებოდნენ. ისინი თავად განაგებდნენ რა საკუთარ გრძნობებსა და სურვილებს, მამაკაცთა სრულუფლებიანი პარტნიორები იყვნენ ნებისმიერ სარბიელზე.

რომაულმა ელეგიამ განსაკუთრებული მომხიბლაობით წარმოაჩინა ის ქალები, რომელნიც დაჯილდოებულნი იყვნენ არა მხოლოდ ეროსის, არამედ მუზათა ძღვენითაც და რომელთაც შეეძლოთ მამაკაცთა აღფრთოვანება არა მხოლოდ სინაზითა და ქალურობით, არამედ ნიჭიერებითაც. ქალთა ამ ტიპებს საკმაოდ შთამბეჭდავად ხატავდნენ ელეგიკოსები და ჩვენთვის ამჟამად ძნელია იმის თქმა, ნამდვილად არსებობდნენ თუ არა ისინი. ვიტოვებთ შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი მათგანი პოეტის წარმოსახვის ნაყოფიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ვინ იყო ლესბია? ის ლესბია, რომლის ვნებითაც შეპყრობილმა კატულუსმა სამუდამოდ რომ დაიმკვიდრა რომანტიკოსი პოეტის სახელი. მისმა რომანმა წარჩინებულთა მოდგმის ამ მაცდური ლამაზმანისადმი საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. კატულუსის ქმნილებათა კრებული არ არის დიდი მოცულობის. მასში სულ 116 ლექსია წარმოდგენილი. ხოლო ლესბიას მხოლოდ 13 ლექსი ეძღვნება. ვარაუდობენ, რომ ეს კრებული პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა (კატულუსმა ხომ ორმოც წლამდეც ვერ იცოცხლა). მისმა შემდგენელმა კი ლექსები განალაგა არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ ფორმისა და საზომის მიხედვით. სწორედ ამიტომ ლიტერატურის მკვლევარნი და საერთოდ, პოეზიის მოყვარულნი თავს უფლებას აძლევენ ლესბიასადმი მიძღვნილი ლექსები ცალკე ამოკრიბონ და სამ ციკლად წარმოადგინონ ასეთი სახელწოდებებით: ბედნიერი სიყვარული; განხეთქილება და სინანული; განშორება. რა თქმა უნდა, კატულუსის ქმნილებათა კრებულში უფრო მეტია ლექსები, რომელთაც პოეტი უძღვნის ძმას, მეგობრებსა თუ სხვა მისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს, მაგრამ თანამედროვე მკითხველს განსაკუთრებით ხიბლავს ის ლექსები, რომლებიც მის სასიყვარულო რომანზე მოგვითხრობენ ესოდენი ემოციურობით.

ლესბია

შევეცადოთ, წარმოვიდგინოთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით კატულუსის სიყვარულის ისტორია: იტალიის პატარა ქალაქ ვერონაში დაიწყებს ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ყმაწვილი ლირიული ლექსების თხზვას სიყვარულზე. ასე ვკითხულობთ მის ოდაში (68, სტრ. 15-18). რომში ჩამო-

სული მოხვდება მასავით „უსაქმურ პოეტთა“ წრეში და დიდი გატაცებით გააგრძელებს ამ საქმეს. იმ ხანად ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა იგი, რომ ეს ახალგაზრდული გატაცება საფუძვლად დაედებოდა რომაული პოეზიის სრულიად ახალ ჟანრს, რომელიც დღემდე იარსებებდა თავისი პირველქმნილი სახით.

სწორედ ამ დიდსა და მარადიულ ქალაქში შეხვდება კატულუსი ლესბიას. ორი საუკუნის შემდეგ ორატორი აპულეუსი, „ოქროს ვირის“ ავტორი, რომელიც სამსჯავროს წინაშე წარდგება ბილწსიტყვაობისა და გარყვნილების ბრალდებით, თავის „აპოლოგიაში“ განაცხადებს: „ჩემს ქმნილებებში რეალური პირები ზუსტად ისევე მოვიხსენიე გამოგონილი სახელებით, როგორც კატულუსმა მოიხსენია კლოდია ლესბიად, მეტელა პერილად; პროპერციუსმა ჰოსტია კინთიად; ხოლო ტიბულუსმა პლანია დელიად“ („აპოლოგია“, 10). ასეთი იყო პოეტური ეთიკეტი: გამოგონილი სახელები აუცილებელი იყო უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არ „გაეთვალათ“ მიძღვნათა ადრესატები, კიდევ იმიტომ, რომ არ შეებღალათ მათი ღირსება. შესაძლოა, ეს ფსიქოლოგიური თამაშიც იყო, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ცხოვრება სხვა რამ იყო, ხოლო პოეზია — მისგან განსხვავებული, რომ პოეტი აღწერდა არა იმას, რაც რეალურად ხდებოდა, არამედ იმას, რაც სურდა, რომ მომხდარიყო.

ჩვენ არაფერი ვიცით მეტელას, კინთიასა თუ პლანიას ცხოვრებიდან, მაგრამ კლოდია ცნობილია. იგი ნარჩინებულთა მოდგმისა იყო. მის ერთ ძმას, კონსულს, მექრთამის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ხოლო მეორეს, სახალხო ტრიბუნს, დემაგოგისა. კონსული იყო მისი ქმარიც, მეტელუსი და განაგებდა წინაალპიურ გალიას. ერთი ღვიძლი და მხედართმთავარ ლუკულუსს ჰყავდა ცოლად, ხოლო მეორე, ნახევარდა, თავად პომპეუსს. სამივე დას უწესობით სახელი ჰქონდა შებღალული, ყველაზე მეტად კი — კლოდიას. როდესაც მისი ქმარი გარდაიცვალა, უკვე დაქვირვებულმა, ბრალი დასდო თავის საყვარელს, კელიუს რუფუსს (კატულუსის 58-ე ოდის ადრესატს), თითქოს მან ჯერ მისი ოქროები მიითვისა, ხოლო შემდეგ კი მისი მოწამვლა მოინდომა. კლოდიას არ გაუმართლა: კელიუსის დაცვა ითავა მისი ძმების მტერმა, სახელოვანმა ციცერონმა. თავის სიტყვაში „კელიუსისათვის“ ორატორმა უსინდისო და უზნეო, გარყვნილი და აღვირახსნილი კლოდიას ისეთი პორტრეტი დახატა, რომ გააოგნა მსაჯულები. ამისათვის არ დაიშურა თავისი ორატორული ნიჭი და ოსტატობა. კლოდიას გასაკიცხად მისი ნარჩინებული წინაპრის აჩრდილს მოუხმო, ვინმე აპიუს კლავდიუსს, „უსინათლოდ“ წოდებულს, ცენზორს და კონსულს, რომელსაც რომიდან კაპუამდე გაუჭრია არხი და გაუყვანია გზა, რითაც სახელი გაუთქვამს. „აპიუსი რომ აღმდგარიყო — ვკითხულობთ ციცერონის სიტყვაში — ასე ეტყოდა კლოდიას: ქალო, რა გესაქმება კელიუსთან, ამ უწვერულ უცხოელთან? რაზედ იყავი მასთან ისე ახლოს, რომ მიეცი ოქრო, ან რა უმტრე ისეთი, რომ გეშინია, არ მოგწამლოს? არ მოესწარი განა მამაშენს? არა გსმენია განა, რომ შენი პაპა, პაპის პაპა და სხვა პაპებიც

კონსულები იყვნენ? და ბოლოს, შენი მეუღლე ხომ სულ ახლახანს იყო კვინტუს მეტელუსი, სახელოვანი და მამაცი კაცი, სამშობლოს დიდად მოყვარული, რომელიც თავისი ღირსებებითა და დიდებით აღემატებოდა სხვა მოქალაქეებს? განა კელიუსი შენი მეუღლის ახლო მეგობარი იყო? არა და არა! მასთან კაშირს, მაშ, რა დავარქვათ, თუ არა უზნეობა და უგუნურება... განა იმისთვის ვიღვწოდით სახელოვანი წინაპრები, რომ შენ დღითი დღე სამარცხვინო სიყვარულის მორევში ჩაძირულიყავი? განა იმისთვის გავთხარე არხი, რომ წყალი მრუშობით დაგებინძურებინა? განა იმისთვის გავიყვანე გზა, რომ ამ გზაზე უცხო კაცებთან გეხეტიალა?.." კლოდიას სხვა ბრალმდებლებიც ჰყავდა. „ისინი — განაგრძობდა ციცერონი, — ერთხმად გდებენ ბრალს გარყვნილებაში, სამარცხვინო სიყვარულში, აღვირახსნილობაში, მრუშობაში, ღრეობებში, სიძვასა და ყველა უსაქციელობაში. ...რაღაც ძალიან გყვარობს შენი უმცროსი ძმა, უცნაურად მოკრძალებული. ღამეული შიშების გამო ლოგინში გიწევს, როგორც უფროს დას უმცროსი ძმა. ჰოდა, ეს ბიჭიც კი ასე გეტყოდა: „რამ გაგაგიჟა, რას ბობოქრობ?" სხვაც მრავალი რამ თქვა ციცერონმა, რათა კლოდიას უზნეობა ცხადეყო. საინტერესოა, რომ ამ სიტყვაში, რომელიც ძვ.წ. 56 წელს წარმოითქვა, კლოდიას მეტრფეთა შორის არ არის ნახსენები ვალერიუს კატულუსი. ამის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, ერთ-ერთი — ორატორის დელიკატობაც უნდა იყოს.

მოდით, დროებით დავივიწყოთ ის, რასაც აპულეუსი ან ციცერონი გადმოგვცემდნენ კლოდიას შესახებ და ისევ მივყვეთ ქრონოლოგიას: ის, თუ რამდენი წლის იყო კატულუსი, როდესაც იგი რომს ეწვია, ჩვენთვის უცნობია. ახ.წ. IV საუკუნის ქრონიკა გვამცნობს, რომ პოეტი ძვ.წ. 87 წელს დაიბადა. მიაღწია თუ არა სრულწლოვანების ასაკს, გარდაეცვალა ძმა (68, 19). ჩანს, ამის შემდეგ გადაწყვიტა მამამისმა დარჩენილი ეაჟიშვილის რომში გაგზავნა. კვინტუს მეტელუსი წინაალპიურ გალიას 62-57 წლებში მართავდა. ეს იყო სრულიად უსახო სენატორი ნარჩინებულთა წრიდან. ალბათ მის კარზე გაატანეს კატულუსს სარეკომენდაციო ბარათი. ყოველი შემთხვევისათვის, სწორედ ამ მეტელუსის სახლში იტრიალებს იგი, სწორედ ამ მეტელუსის მეუღლეა კლოდია, რომელსაც შეიყვარებს.

თავდაპირველად კატულუსი ვერ ბედავს საკუთარი ლექსი მიუძღვნას რჩეულ ლამაზმანს და ამიტომაც თარგმნის საპფოს იმ ოდას, რომელიც ყველაზე მეტად წარმოაჩენს მის განწყობილებას („ღმერთების ხვედრის მეჩვენება თანაზიარი კაცი, რომელიც შენს წინარე ზის მდუმარებით და გისმენს ტკბილად მოსაუბრეს, ნაზად მომღიმარს სულგანაბული..."). ოლონდ სულ მცირე შესწორებას შეიტანს თარგმანში. კაცი, რომელიც ლესბიას უსმენს, არა მხოლოდ თანასწორია ღმერთებისა, არამედ მათზე აღმატებულიც (51). ოდის ბოლოს პოეტი კიდევ ერთ განსხვავებულ კარედს გვთავაზობს, სადაც საკუთარ თავს მიმართავს. ხოლო მიმართვის შინაარსი ასეთია: „ეს სიყვარული უსაქმურობით გჭირს, ჩემო კატულუს. უქმად ყოფნა გაბედნიერებს, მაგრამ უქმობას დაულუპავს მეფეებიც და დი-

დებული ქალაქებიც!" თუმცა პოეტი ბედნიერია სწორედ იმიტომ, რომ უყვარს და რომ ეს სიყვარული ორმხრივია. ყველაზე მეტად ბედნიერების ეს განცდა აისახა იმ ლექსებში, რომელთაც პირობით „ამბორთა ციკლი" უწოდეს: „მოვეალერსოთ ერთმანეთს, ჩემო ლესბია,.. დაე, ჩავიდეს მზე, კვლავ აღმოხდეს... იცოდე, როგორც კი ჩაივლის ხანმოკლე დღე, სამარადისო ძილის ღამე დადგება. ჰოდა, მაჩუქე ათასი კოცნა და კიდევ ასი და ათასი და კიდევ ასი და ოდეს მრავალ ათასამდე მივაღწევთ ამ თვლით, მაშინ ავრიოთ სათვალავი, რომ ვერ გაგვთვალოს დამნავსველმა" (5). აი, როგორ უფრთხილდება თავის სიყვარულს კატულუსი. ეს თემა გრძელდება სხვა ლექსშიც, სადაც ცრუმორწმუნე პოეტი კვლავაც გაურბის ავთვალსა და ავბედით ენას; კატულუსი საკუთარ თავს „დაუოკებელს, დაუცხრომელს" („vesano Catullo", 7, 10) უწოდებს, რადგანაც ლესბიასგან იმდენი კოცნის მიღება უნდა, „რამდენი ვარსკვლავიც არის ცაზე ღამის სიმყუდროვეში". დიახ, ბედნიერია პოეტი, მაგრამ მისი ემოცია მაინც დაძაბულია, განცდა მძაფრი, სულიერი მდგომარეობა — მღელვარე. ეს განწყობილება გრძელდება სხვა ლექსებშიც, სადაც ლესბია წარმოდგენილია, როგორც ჭეშმარიტად მშვენიერი ქმნილება. და აქ იწყება აზროვნება. პოეტი მას უპირისპირებს ვიღაც კვინტიას: „ის ლამაზია — ამბობს კატულუსი — თეთრთოვლა კანით, მაღალიც არის, ჩამოსხმულიც და აი ასე, ცალ-ცალკე აღებული, მას ყველაფერი ლამაზი აქვს, ერთიანად კი ამას ვერ იტყვი, მას ვენუსის ხიბლი აკლია, უმარილოა. ლამაზია სწორედ ლესბია, ის ერთიანად მშვენიერია" (86). კატულუსი თავის ლესბიას არც შეადარებს ვიღაც სრულიად შეუხედავ ამეანეს, ან ვინ გაბედავს! აქ ემოცია შეუზღუდავია: „O saeclum insapiens et infacetum!" („ო, უგუნურო საუკუნევ და უგემოვნო!" 43) — წამოიძახებს პოეტი. ის, რომ კატულუსი შეყვარებულია მთელი არსებით, ცხადზე ცხადია. პოეტი გულწრფელია და მღელვარე. მაგრამ ლესბიასათვის მისი სიყვარული მხოლოდ გასართობი, წარმავალი გრძნობაა. ამას ხედება კატულუსი და განიცდის, იწყება ბრძოლა, პოეტი აფორიაქებულია, ეჭვიანობს, ემუქრება ლესბიას, რომ მიატოვებს: „მშვიდობით, მოლალატევ! განა რას ელი? ვინ მოვა შენთან, ვის მოხიბლავ გვიანი მშვენიერებით? ვის შეიყვარებ, ვის აკოცებ, ვის ბაგეს დაჰკბენ?" (8), მაგრამ საკმარისია, ლესბია შემოუბრუნდეს, რომ იგი ისევ ბედნიერია (107) და ამისათვის მადლობას სწირავს ღმერთებს, თან შესთხოვს, რომ გულწრფელი იყოს მისი საყვარელი არსება (109). მაგრამ კატულუსის ღრმა და ფაქიზი სიყვარული არ აკმაყოფილებს რომაელ ლამაზმანს, რომელიც გარემოცულია თაყვანისმცემლებით და მუდამ ახალ თავგადასავალთა ძიებაშია. ახლა უკვე შეძრწუნებულია პოეტი, „ლესბია, რომელიც ასე უყვარდა, თავსაც ერჩია, შარაგზაზე გამომდგარა და სახელოვანი რემუსის ჩამომავლებს დარევია" (58). ეს უკვე იმ შარაგზაზე გამომდგარი ლესბიაა, რომელიც გაუყვანია მის წინაპარს, კონსულ აპიუსს. გახსოვთ, მას უხმო ციცერონმა კელიუსის დასაცავ სიტყვაში. ამ შემთხვევაში ორატორის და პოეტის აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ახლა კი იცის კატულუსმა ვინც

შეიყვარა: „მე შენ მიყვარდი, ლესბია, არა როგორც საყვარელი არსება მხოლოდ, არამედ როგორც ჩემი სისხლი და ხორცი; ახლა კი ვიცი, ვინც ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ, თუმცა სხვაგვარად" (72); „მე შენ ისე გამამწარე, რომ უნდა მძულდე, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ მიყვარდე" (75).

კატულუსის ლირიკული ლექსების კრებულში ეკითხულობთ ისეთ სტრიქონებსაც, სადაც ლესბია არ არის დასახელებული, მაგრამ მისი სუნთქვა იგრძნობა. ეს ხდება მაშინ, როცა პოეტი ეფერება ლესბიას ბეღურებს: „საბრალო ჩიტო, აღარა ხარ, ჩემი ძვირფასი ქალის თვალებს ცრემლები ნამავს!" (3); ან: „ღმერთებო, მე ხომ წრფელი გულით მიყვარდა. მაშ, დამეხმარეთ და განმკურნეთ ამ სენისგან" (76); ან: „თუ არ უყვარხარ, ნუღარც შენ გეყვარება! მით უარესი მისთვის, კატულუს" (8). თავისი სულიერი მდგომარეობა კატულუსმა დიდებულად გამოხატა ორი სტრიქონით, რომელიც უმალ დაიზეპირა მისმა მსმენელმა საზოგადოებამ:

„Odi et amo. Quare Id faciam, fortasse requiris.
Nescio, sed fieri sentio et excrucior."
(85)

„კიდეც მძულს, კიდეც მიყვარს. როგორ, იკითხავ ალბათ,
აბა, რა ვიცი, მაგრამ ასეთი გრძნობა მტანჯავს."

ეს იყო შეყვარებული და ამასთანავე შეურაცხყოფილი პოეტის გულწრფელი აღიარება, მაგრამ ამ შეურაცხყოფილმა პოეტმა შეურაცხმყოფელი სიტყვები არ დაიშურა და ერთ გასაოცარი ექსპრესიულობით დაწერილ ლექსში „კახპა (moecha), უნამუსო, მრუში (turpis), ბილწი (lutea), ბოზი, როსკიპი (lupanaris), ბინძური, მყრალი (putida)" ლესბიას ისეთი პორტრეტი დახატა, როგორადაც წარუდგინა იგი ციცერონმა მსაჯულებს, როცა კელიუსს მის წინააღმდეგ აღძრული პროცესი მოაგებინა. ეს არის ლექსი (42), რომელიც ერთდროულად იტევს პოეტის ყველა გრძნობას — სიყვარულს, სიძულვილს, მძვინვარებას, რისხვას, სიავეს, ირონიას.... ხოლო პორტრეტმა ლესბიასი, იმ ლესბიასი, რომელსაც უწინ ქალური მომხიბლაობის სიმბოლოდ სახავდა კატულუსი (86), მეტამორფოზა განიცადა: „როცა ლესბია იღიმება, ახლა უკვე გალიურ ძაღლს ჰგავს დაკრეჭილი კბილებით"; „საძაგელია" ეს „მყრალი კახპა" („moecha putida", 42)...

ლესბია

მაგრამ დავუტოვოთ გაავებულ პოეტს თავისი სატრფო. ჩვენ დავუბრუნდეთ ქრონოლოგიას და ახლა უკვე ის გავარკვიოთ, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა კატულუსის სიყვარულის ისტორია. თუკი დავუშვებთ იმას, რომ პოეტი რომში ჩადის თავისი სრულწლოვანების შემდეგ, მაშინ როდესაც კვინტუს მეტელუსი წინაალპიურ გალიას მართავდა — ეს იყო ძვ.წ. 62-61 წლები. სწორედ ამ დროს შეხვდება იგი კლოდიას და შეიყვარებს. მალე მეტელუსი გარდაიცვლება, ხოლო კლოდია ახალ საყვარელს გაიჩენს — მარკუს კელიუს რუფუსს, რომელსაც შემდეგ უჩივლებს, ხოლო

სასამართლო პროცესი შედგება ძვ.წ. 56 წელს. ორი წლის შემდეგ კატულუსიც გარდაიცვლება. ასე რომ კატულუსისა და კლოდიას სიყვარული 61-57 წლებს შორის უნდა ვივარაუდოთ, თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ. კელიუსის პროცესის ნაგების შემდეგ კლოდიაც აღარ ჩანს რომში, თუმცა მისი სახელი მაინც არ ეძლევა დავიწყებას.

და აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ძვ.წ. VI საუკუნის ბერძენი პოეტი პინდაროსი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მხოლოდ პოეტს შეუძლია განადიდოს ან დააკნინოს ადამიანი, რომ ყოველი მოვლენა დავიწყების წყვდიადში ჩაიძირება, თუ მან ვერ ჰპოვა ღირსეული დამფასებელი (ისთმოსური VII, 16-19; აგრეთვე: ოლიმპიური VI, 82-83; ნემეური VII, 20; VIII, 25-35 და სხვა.). ჰოდა, კლოდიაც იმ მოკვდავთა შორის მოექცა, რომელსაც აღმოსჩენია თურმე მარადიული მეხოტბე. და აღარა აქვს მნიშვნელობა უკვე იმას, მშვენიერი იყო იგი თუ ზნედაცემული, ან რამდენი ხანი უყვარდა პოეტს. კატულუსი მომდევნო ეპოქების მკითხველებმა სწორედ მისდამი მიძღვნილი ლირიული ლექსებით შეიყვარეს. სწორედ ლესბიამ აიძულა პოეტი ჩასწვდომოდა სულიერი განცდების წარმოსახვის იმ საიდუმლოს, რომელიც შემდეგ სხვა ელეგიკოსებმა განავითარეს და შუასაუკუნეების გავლით ევროპულ ცივილიზაციას უანდერძეს. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ, ოცზე მეტი საუკუნის წინ შეთხზულ ლექსებს ისე ვკითხულობთ, თითქოს ისინი დღეს დაეწეროთ, ვიტოვებთ უფლებას, ლესბიას მივაგოთ მისი წილი პატივი, რადგანაც იგი უყვარდა პოეტს.

შენიშვნები:

[1] „Otium"-ისთვის იხ. М. Л. Гаспаров, Поэт и поэзия в римской культуре, в кн.: Культура древного Рима, Москва, 1985.

[2] კატულუსის ქმნილებათა ციტირებისას ვსარგებლობთ ნიგნით: Catull, Sämtliche Gedichte. Zweisprachig, Übertragen von W. Tilgner, Leipzig, 1958.

როგორ
უყვარდა

კალპურნია

პლინიუს უმცროსს

„საოცარია პირდაპირ, რომში ყოველდღე საქმიანობ, ან გგონია, რომ საქმიანობ, და თუ მოაგროვებ ერთად ასეთ დღეებს, აღმოჩნდება, რომ არც არაფერი შეგიქმნია. ჰკითხე ნებისმიერს: „დღეს რა აკეთე?" გიპასუხებს: „ვესსრებოდი სრულწლოვანების ზეიმს, ან ნიშნობას, ან ქორწინებას". ერთი გთხოვს, ხელი მოანერო ანდერძს, მეორე — დაიცვა სამსჯავროზე, მესამე — მიხვიდე სათათბიროში. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი იყო იმ დღეს, როდესაც ამით იყავი დაკავებული. მაგრამ, თუ დაფიქრდები, იგივე, რასაც მაშინ დღიდან დღემდე აკეთებდი, მოგეჩვენება უაზრობად, განსაკუთრებით, თუ რომიდან გახვედი. ხოლო საკუთარ თავთან დარჩენილს აღმოგხდება: ო, რა უსაქმოდ გამიფლანგავს ამდენი დროო". ეს სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის დაწერილსაც ჰგავს, ჩვ.წ. I საუკუნის რომაელი მოღვაწის პლინიუს უმცროსის „წერილებში" ამოვიკითხეთ (I, 9; § 1-3). იგი, მოდგმით არისტოკრატი და საკმაოდ შეძლებული მინათმფლობელი, საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელი იყო, რითაც ამაყობდა კიდეც და ცდილობდა სიკეთის ქმნით, მეცენატობით მოეხვეჭა დიდი სახელი, მიაჩნდა რა, რომ ეს იყო ყველაზე ღირსეული გზა ისტორიაში დასამკვიდრებლად.

პლინიუს უმცროსის ლიტერატურული მოღვაწეობიდან ჩვენამდე შემორჩა მისი წერილების კრებული 10 წიგნად და „იმპერატორ ტრაიანუსისადმი მიძღვნილი პანეგირიკი", ანუ სიტყვა, რომელიც მწერალს წარმოუთქვამს სენატში კონსულის თანამდებობაზე დანიშვნის დღეს.

პლინიუსის „წერილები", როგორც ლიტერატურული ღირსებებით, ასევე ეპოქალური მოვლენებისა და პიროვნებათა უაღრესად საინტერესო შეფასებებით, კულტურის ისტორიის მნიშვნელოვან დოკუმენტად გვევლინება. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას, როგორც ხედებით, იპყრობს ერთი რამ: როგორ გამოხატავდა იგი (არისტოკრატი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მეცენატი...) თავის სიყვარულს მეუღლისადმი. ეს იყო კალპურნია, თავისი ქმრის მესამე ცოლი და ბევრად უმცროსი მასზე.

ჩვენ შეგვეძლო პლინიუსის წერილების პერიფრაზირებით მოგვეთხრო კალპურნიაზე, ყურადღება გაგვემახვილებინა იმ საოცარი მზრუნველობითა და სიყვარულით გამთბარ სიტყვებზე, რომლებსაც არ იშურებდა წერილების ავტორი, მაგრამ ვიფიქრეთ, რომ თავად წერილები უფრო მეტყველნი იქნებოდნენ. წაიკითხეთ ეს წერილები და თქვენს წინაშე გაცოცხლდება კალპურნია, რომელიც ასე უყვარდა მის ქმარს.

პლინიუსი მეუღლის პაპას, ფაბატუსს,[1] მოგესალმები.

დიდი ხანია გსურს იხილო შვილიშვილი, მასთან ერთად კი მეც. ჩვენთვის ძვირფასია შენი სურვილი; ჩვენც გვენატრები, ეფიცავ ჰერკულესს. ჩვენ ისე ვდარდობთ თქვენზე, რომ დიდხანს ვერ გავძლებთ ამ დარდით: ბარგი უკვე ჩავალაგეთ და რამდენადაც გზა მოგვცემს ამის საშუალებას, თქვენკენ ვისწრაფებთ. მხოლოდ ერთხელ, სულ მცირე ხნით გადავუხვევ ეტრურიისკენ, არა იმიტომ, რომ შევავლო თვალი ჩემს მიწებს (ამას მერეც კი მოვახერხებ), არამედ იმიტომ, რომ ჩემი ვალი მოვიხადო.

ჩვენი მამულის მეზობლად მდებარეობს პატარა ქალაქი სახელწოდებით ტიფერნუმ ტიბერნიუმი.[2] ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, ამ ქალაქმა რომ თავის პატრონად ამირჩია. იქაურები თავიდანვე კეთილად განეწყვნენ ჩემდამი; ზეიმობენ, როცა ჩავდივარ და წუხან, როცა ვემშვიდობები; მუდამ ახარებთ ჩემი წარმატებები. მე კი, მადლიერების ნიშნად (სამარცხვინოა რომ გიყვარდეს უფრო ნაკლებად, ვიდრე უყვარხარ) ჩემი სახსრებით აღვუშენე მათ ტაძარი. მშენებლობა დასრულებულია, და უსინდისო უნდა ვიყო, რომ გადავდო მისი კურთხევა. უნდა დავესწროთ ამ ზეიმს. ჩემი სურვილით, დიდი ნადიმიც გაიმართება — ამ დღეს იქ გავატარებთ, შესაძლოა, მეორე დღესაც, ხოლო შემდეგ კი, თქვენკენ გამოვეშურებით.

ოღონდაც შენ და შენი ქალიშვილი დაგვიხვედით კარგად და ჯანმრთელად. და თქვენც გაიხარებთ ჩვენი ხილვით. იცოცხლე!

(წიგნი IV, 1)

პლინიუსი კალპურნია ჰისპულას[3] მოგესალმები.

ნათესაობაში სანიმუშო ხარ. შენ და შენს ძმას (დიდებული კაცი იყო) მხურვალედ გიყვარდათ ერთმანეთი. მისი შვილი კი საკუთარი შვილივით გიყვარს. შენ მხოლოდ მამიდა კი არ ხარ მისთვის, არამედ მამაც, რომელიც ასე ადრე დაეღუპა. მსურს გაგახარო — კალპურნია თავისი მამის, პაპის და შენი ღირსეული მემკვიდრეა. ის მეტისმეტად გონიერია, თავშეკავებული. მე ვუყვარვარ — აი, დასტურიც მისი უბიწოების.

ამას დაურთე ლიტერატურის სიყვარული, ჩემი შეწევნით რომ გაუჩნდა. მუდამ თან დააქვს ჩემი ჩანაწერები, კითხულობს და, შენ წარმოიდგინე, ზეპირადაც კი სწავლობს. როგორ ღელავს ჩემი გამოსვლების წინ და როგორ ხარობს ამ გამოსვლების შემდეგ! გამწესებული ჰყავს ხალხი, ვინც უნდა ამცნოს დარბაზში მსხდომთა განწყობილება, შეძახილები, სამსჯავროს მიერ გამოტანილი განაჩენი. როდესაც სიტყვით გამოვდივარ, იგი იქვე ზის, ფარდის უკან და ხარბად ისმენს ჩემს ყოველ ხოტბას. ჩემს ლექსებს ღიღინებს, ხანდახან ცდილობს, კითარაზეც კი დაამღეროს, თუმც

არასოდეს ჰყოლია სიმღერის მასწავლებელი. მას სიყვარული ასწავლიდა, საუკეთესო მოძღვარი.[4]

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვიცხოვრებთ მუდმივი ერთსულოვნებით, რომელიც დღითიდღე ძლიერდება. მას ჩემში ახალგაზრდობა და ხორციელი სილამაზე კი არ ხიბლავს — ისინი ხომ ასაკთან ერთად ჭკნებიან — არამედ დიდბუნებოვანობა. სხვაგვარი არც შეიძლება იყოს ის, ვინც შენ აღზარდე და დამოძღვრე; ვინც ცხოვრობდა შენს გვერდით და ხედავდა მხოლოდ მაღალი ზნეობის ზეიმს; ვინც მიეჩვია ჩემს სიყვარულს, რადგან ისმენდა, როგორ მაქებდი. შენ დედაჩემიც გიყვარდა, ვით ღვიძლი დედა.[5] ბავშვობიდან მზრდიდი, მაქებდი და ისეთ კაცად წარმომსახავდი, როგორიც ვარ, როგორიც ჩემს ცოლს ვგონივარ. ერთმანეთს ვასწრებთ, გამოვხატოთ მადლიერება შენდამი იმის გამო, რომ ერთმანეთისთვის შეგვარჩიე, რომ მისი თავი მე მაჩუქე, ჩემი კი — იმას. იცოცხლე!

(წიგნი IV, 19)

პლინიუსი მეუღლის პაპას მოგესალმები.

გსურდა გეხილა შვილთა შვილი! მძიმე იქნება შენთვის იმის გაგება, რომ შენს შვილიშვილს მოსწყდა მუცელი. სულ მთლად ბავშვია ჩემი ცოლი და ამ ბავშვური უვიცობით ვერ გაუფრთხილდა თავის თავს ისე, როგორც ორსულს მოეთხოვება. სწორედაც ისე იქცეოდა, როგორც არ უნდა მოქცეულიყო. ძვირად დაუჯდა ეს შეცდომა: კინაღამ მოკვდა. რა თქმა უნდა, ახლა გიმძიმს იმის მოსმენა, რომ სიბერეში რჩები უმემკვიდრეოდ, რომელსაც ბედი გიმზადებდა. მაგრამ მადლობა აღუვლინე ღმერთებს, რომლებმაც ახლა, მართალია, შვილთაშვილის გარეშე დაგტოვეს, მაგრამ შეგინარჩუნეს შვილიშვილი; შვილთაშვილებს კი სხვა დროს გიძღვნიან. ეს ფეხმძიმობა, რომელიც, მართალია, ასე სამწუხაროდ დასრულდა, მაიძულებს ისევ მათი შემწეობის იმედი ვიქონიო. მე შენ გამშვიდებ, გარწმუნებ და გაიმედებ ზუსტად ისევე, საკუთარ თავს რომ ვიმშვიდებ და ვივსებ იმედით. შენი სურვილი, გყავდეს შვილთაშვილები არ არის უფრო მძაფრი, ვიდრე ჩემი — მყავდეს შვილები. ვფიქრობ, მეც და შენც დავუტოვებთ მათ ფართო გზას დიდების მწვერვალებისკენ, სახელებს — სასიქადულოს და წინაპართა გამოსახულებებს,[6] არა გუშინდელს, არამედ ღრმა ნარსულიდან. ოღონდ კი იშვნენ და მწუხარება შეგვიცვალონ სიხარულებით. იცოცხლე!

(წიგნი VIII, 10)

ᲙᲐᲚᲐᲣᲠᲜᲘᲐ

პლინიუსი ჰისპულას მოგესალმები.

როდესაც ვფიქრობ, რომ შენი გრძნობა ძმისშვილისადმი დედობრივ გრძნობაზე უფრო სათუთია, ვხვდები: ჯერ სასიხარულო ამბავი უნდა გამცნო. დაე, ამ გრძნობამ განდევნოს მღელვარება შენი გულიდან. ვშიშობ, ბედნიერი უნყების შემდეგ ისევ შიშმა არ შეგიპყროს, არ დაგიჩრდილოს ის სიხარული, რაც მის ხსნას მოჰყვა, გამოიარა რა საბედისწერო განსაცდელი. ის ახლა უკვე გამხიარულდა, გონს მოეგო, მობრუნდა ჩემთან; გამომჯობინდა და ცდილობს გაიაზროს გადატანილი უბედურება. სიკვდილის პირას იდგა, მაგრამ გადარჩა, ღმერთმა კეთილად მისმინოს! ასაკის

გამო დაემართა, რაც დაემართა. მოსწყდა მუცელი — ასე სამწუხაროდ დასრულდა მისი პირველი შეხება ორსულობასთან, რომელზეც არც კი უფიქრია. ამიტომ, თუ კი არ გენერა შვილიშვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული დაკარგული ძმის სანაცვლოდ, გახსოვდეს, რომ ეს სიხარული კი არ განქარდა, არამედ მხოლოდ გადაიდო. არ განქარდა იმიტომ, რომ ცოცხალია ის, ვინც სასოება არის ჩვენი, ჩვენი იმედი. ამასთანავე, გაესაუბრე მამას და მწუხარება გაუიოლე. შემწყნარებლობა გჩვეოიათ ქალებს. იცოცხლე!

(წიგნი VIII, 11)

პლინიუსი კალპურნიას მოგესალმები.

არასოდეს ვყოფილვარ ასეთი გულაყრილი ჩემს საქმეებზე, რომლებმაც არ დამანებეს, გამოგყოლოდი კამპანიაში, საითაც გაემგზავრე გამოსაჯანმრთელებლად. ჩამოსვლაც კი ვერ მოვახერხე. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მენატრები, შენთან ყოფნა მსურს, რათა საკუთარი თვალით ვიხილო, როგორ მომძლავრდი, მოსულიერდი; როგორ მოქმედებს შენზე განმარტოების სიამე, კამპანიის დიდებული ჰავა.

ჯანმრთელადაც რომ იყო, მაინც ვიდარდებდი: არაფერი იცოდე მასზე, ვინც ასე ძლიერ გიყვარს — აუტანელია და სევდის მომგვრელი. ხოლო როდესაც ჩემგან შორს ხარ, თან ავადმყოფი, შიში მიპყრობს და ვეწამები. რაღას აღარ წარმოვიდგენ! ჩემი მშფოთვარე ხასიათის გამო იმაზე ვფიქრობ, რაც კი ყველაზე მეტად მაშინებს. უმორჩილესად გთხოვ, გამათავისუფლე ამ შიშისაგან. ყოველდღე გამომიგზავნე წერილი — ერთი კი არა, ორი წერილი. მათი კითხვისას დავმშვიდდები, ხოლო როცა კითხვას დავასრულებ, ისევ შემიპყრობს შიში. იცოცხლე!

(წიგნი VI, 4)

პლინიუსი კალპურნიას მოგესალმები.

ვერ წარმოიდგენ, როგორ ვდარდობ შენზე და როგორ მენატრები. სწორედ იმიტომ, რომ მიყვარხარ და რომ უსაზღვროა სიყვარული ჩემი შენდამი. ამ განშორებას ვერ ვეჩვევი. შენზე ფიქრებში უძილოდ ვათევ ღამეებს, ხოლო დღისით კი, იმ დროს, როდესაც, ჩვეულებრივ, შენ გვხდებოდი, ჩემი ფეხები, რომ იტყვიან, თავად მიმაქროლებენ შენი პალატებისკენ. მაგრამ იმედგაცრუებული, სევდიანი და თითქოსდა უკუგდებული ვცილდები კარის ზღურბლს. ამ სატანჯველისგან მხოლოდ იმ დროს ვთავისუფლდები, როცა ფორუმზე ვიმყოფები. დაფიქრდი ერთი, როგორია ჩემი ცხოვრება. მხოლოდ შენა ხარ ჩემი სიმშვიდე უმძიმესი განსაცდელის ჟამს, შენა ხარ ჩემი სიხარული მწუხარებაში. იცოცხლე!

(წიგნი VII, 5)

შენიშვნები:

[1] კალპურნიუს ფაბატუსი, მდიდარი მინათმფლობელი, ქალაქ კომოს მკვიდრი და მფარველი. პლინიუს უმცროსის მეუღლის პაპა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, მაშინ, როდესაც პლინიუსი ბითვინიას განაგებდა.

[2] ტიფერნუმ ტიბერნიუმი — პატარა ქალაქია უმბრიაში. ამ ადგილს ახლა ეწოდება Citta di Castello.

[3] კალპურნია ჰისპულა, კალპურნიუს ფაბატუსის ქალიშვილი. პლინიუს უმცროსის მეუღლის, კალპურნიას, მამიდა და აღმზრდელი.

[4] იმ ხანად რომში ქალიშვილებს ადრე ათხოვებდნენ, ასაკით უფროს კაცზე, სასურველი იყო — გავლენიანსა და მდიდარზე, კეთილშობილზე. და თუ იგი ჭეშმარიტად კეთილშობილი ადამიანი იყო, თავის მეუღლის მეგობარი და მოძღვარიც აღმოჩნდებოდა. მას უნდა მოემზადებინა ახალგაზრდა მეუღლე ახალი ცხოვრებისათვის, ეზიარებინა იმ სამყაროსთვის, რომელსაც თავად ეკუთვნოდა. პლინიუსი საინტერესო პიროვნება იყო და, ბუნებრივია, თავისი ნიჭით, განათლებით, ზნეობრიობით მალე მოხიბლა კალპურნია. თავად პლინიუსის დამოკიდებულება კი მისდამი ისეთი უნდა ყოფილიყო, რაც ზრდასრული რომაელი მამაკაცის ფსიქოლოგიას შეესაბამებოდა: რომაელისთვის მეუღლე იყო მეგობარი, მთელი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი. ეს კი შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ცოლ-ქმარს ექნებოდა საერთო ინტერესები, სულიერი თანხმობა. ალბათ ეს ჰქონდა პლინიუსს მხედველობაში, როდესაც „მუდმივ ერთსულოვნებაზე" საუბრობდა.

[5] იგულისხმება პლინია, პლინიუს უფროსის და.

[6] სახელოვან წინაპართა მემკვიდრეები ფლობდნენ უფლებას, ჰქონოდათ ამ წინაპართა ცვილის ნიღბები, ე.წ. კურულისები. ეს ნიღბები წამოცმული იყო ბიუსტებზე და მათ სასოებით ინახავდნენ.

ཀཁ་ཏ་ཀ་ས་ཏ་ཀ་ས

ტექსტები, გამოცემები

1. ავრელიუსი მარკუს, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, 1984.
2. არისტოფანე, კომედიები, ტ. I, შესავალი წერილი, თარგმანი და კომენტარები ლ. ბერძენიშვილისა, თბილისი, ლოგოს პრესი, 2002.
3. ევრიპიდე, მედეა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, წინასიტყვაობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა, თბილისი, 1996.
4. ესქილე, ორესტეა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გ. სარიშვილმა, თბილისი, 1974.
5. ოვიდიუსი, მეტამორფოზები, თარგმანი ლათინურიდან (ნ. მელაშვილი, ნ. ტონია, ი. გარაყანიძე), თბილისი, 1980.
6. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ა. ურუშაძემ, თბილისი, 1975.
7. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, II, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ა. ურუშაძემ, თბილისი, 1987.
8. საფო, ლირიკა, ბერძნულად და ქართულად გამოსცა ნ. ტონიამ, თბილისი, 1977.
9. საფოდან კასიამდე, ძველი სამყაროს პოეტი ქალები, თარგმანი და კომენტარები ნ. ტონიასი, თბილისი, 1990.
10. სოფოკლე, თებეს ტრაგედიები, შესავალი წერილი, თარგმანი და კომენტარები გ. ხომერიკის, თბილისი, 1988.
11. ფსევდო-ლონგინე, ამაღლებულისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1975.
12. ჰელიკონი, ძველი ბერძნული ლირიკა, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ტონიამ, თბილისი, ლოგოსი, 2002.
13. ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I-II, თბილისი, 1975-76.
14. Аврелий Виктор, Извлечения о жизни и нравах римских императоров, ВДИ, 1964, №1
15. Аврелий Виктор, О Цезарях, ВДИ, 1963, №4.
16. Авторы жизнеописаний Цезарей, в книге: Властелины Рима, Биографии Римских императоров от Адриана до Диоклетиана, Пер. С. П. Кондратьева под редакцией А. И. Доватура, Санкт-Петербург, 2001.
17. Аммиан Марцеллин, История, пер. Ю. Кулаковского и А. Сонны, Вып. I-III, Киев, 1906-1908.
18. Аппиан, Гражданские войны. Перевод С. А. Жебелева и О. О. Крюгера, Ленинград, Известия Государственной Академии истории материальной культуры, вып. 129, 1935.
19. Аристотель, Сочинения в четырех томах, пер. с древнегреч., Москва, 1976-1983.

20. Арриан, Поход Александра, пер. с древнегреческого М. Е. Сергеенко, Москва-Ленинград, 1962.
21. Геродиан, История императорской власти после Марка, перевод под ред. А. И. Доватура, ВДИ, 1972, №1-4.
22. Гесиод, О происхождении богов (Теогония), Работы и дни в сб.: Эллинские поэты, пер. В. В. Вересаева, Москва, 1962.
23. Деяния Божественного Августа — в книге: Хрестоматия по истории древнего Рима, Под ред. С. Л. Утченко, Москва, 1982.
24. Демосфен, Речи в трех томах, Москва, 1994-1996.
25. Дион Кассий, Римская история, в кн.: Памятники поздней античной научно-художественной литературы II-V века, Москва, 1964.
26. Записки Юлия Цезаря и его продолжателей о галльской войне, о гражданской войне, об александрийской войне, об африканской войне, перевод и комментарий М. М. Покровского, М.-Л., 1948.
27. Еврипид, Трагедии, т. I-II, Перевод И. Анненского, под общ. ред. С. Апта, М. Грабарь-Пассек, Ф. Петровского, А. Тахо-Годи и С. Шервинского, Москва, 1969.
28. Иордан, О происхождении и деяниях гетов, Getica, Вступительная статья, перевод и комментарий Е. Ч. Скржинской, Москва, 1980.
29. Катулл, Книга стихотворений, Издание подготовили С. В. Шервинский, М. Л. Гаспаров, Москва, 1986.
30. Ксенофонт Афинский, Сократические сочинения, перевод, статьи и комментарии С. И. Соболевского, Москва-Ленинград, Academia, 1935.
31. Лактанций, О смертях преследователей, перевод, вст. статья, комментарий В. М. Тюленева, СПБ., „Алетейя", 1998.
32. Ливий Тит, История Рима от основания города, т. I-III, отв. ред. Е. С. Голубцова, Москва, 1989-1991.
33. Лисий, Речи, перевод, статьи и комментарии С. И. Соболевского, Москва, 1994.
34. Марциал, Эпиграммы, пер. Ф. А. Петровского, Вст. статья В. Дурова, Санкт-Петербург, 1994.
35. Памятники поздней античной научно-художественной литературы II-V века, отв. ред. М. Л. Гаспаров, Москва, 1964.
36. Платон, Сочинения в трех томах, под общ. редакцией А. Ф. Лосева и В. Ф. Асмуса, Москва, 1968-1972.
37. Плиний Младший, Письма, изд. подготовили М. Е. Сергеенко, А. И. Доватур, Москва, 1984.
38. Плутарх, Сравнительные жизнеописания в трех томах, издание подготовили П. Маркиш и С. И. Соболевский, Москва, 1961-63.
39. Светоний Гай Транквилл, Жизнь двенадцати цезарей, издание подготовили М. Л. Гаспаров и Е. М. Штаерман, Москва, 1964.
40. Страбон, География в 17 книгах, перевод, статья и комментарий Г. А. Стратановского, под общей редакцией С. Л. Утченко, Изд. Наука, 1964.

41. Тацит Корнелий, Сочинения в двух томах, издание подготовили Бобович А. С., Боровский Я. М., Сергеенко М. Е., Ленинград, 1969.
42. Флавии Иосиф, Иудейские древности, пер. с греческого Г. Генкеля в 2-х томах, Ростов-на Дону, 1999.
43. Флор Луций Анней, Историк древнего Рима, — Немировский А. И., Дашкова М. Ф., Воронеж, 1977.
44. Фукидид, История, перевод и примечания Г. А. Стратановского, Москва, 1981.
45. Ювенал, Сатиры, Перевод Д. С. Недовича и Ф. А. Петровского, Москва, Ленинград, Academia, 1937.
46. Юстин, Эпитома сочинения Помпея Трога „Historiae Philipicae", ВДИ, 1954, N2-4.
47. Anthologia Graeca. Hrsg. von H. Beckby. 4 Bände. München, 1957-58. Anthologia Latina. Ed. A. Riese. Leipzig, 1869 ff.
48. Anthologia Lyrica. ed. E. Diehl. 2 Bände (6 fasc.), 2. Aufl., Leipzig, 1934-42.
49. Appian, Historia Romana, ed. L. Mendelssohn, Lipsiae, 1879-81.
50. Catull, Sämtliche Gedichte, Zweisprachig, Übertragen von W. Tilgner, Leipzig, 1958.
51. Catullus, Carmina, ed. R. Ellis, Oxonii, 1889²; C. J. Fordyce, 1961.
52. P. Chantraine, Dictionnaire étymologique de la langue grecque, Histoire des mots, t. I-IV-2, Paris, 1968-1980.
53. Clavdii Aeliani. Epistulae et fragmenta, ed. Douglas Domingo-Forasté. Stuttgardiae et Lipsiae, MCMXCIV.
54. Corinna, Fragments. ed. with commentary by D. L. Page. (Soc. for Promotion of Hellenic Studies. Supplem. Paper. No. 6) London, 1953.
55. Dio Cassius, Historia Romana, ed. L. Dindorf, recogn. I. Melber, I-III, Leipzig, 1890-1928; ed. E. W. Cary, 1914-27, Loeb Classical library.
56. Dionis Cassii Cocceiani, Historia Romana, Ed. I. Melber, Lipsiae, MDCCCXCIV
57. Eusebius, Vita Constantini, MPG, XIX-XXIV. ინგლისური თარგმანი კონსტანტინეს ცხოვრებისა იხ. წიგნში E. C. Richardson, Library of Nicene and Post-Nicene Fathers, I, 1895.
58. Frühgriechische Lyriker. 9. Teil. Hrsg. von Br. Snell. Dt. Übersetzung von Z. Franjo, Berlin, 1976. Schriften und Quellen der Antiken Welt. 24. 3.
59. Hesiod, ed. Rzach, Leipzig 1913³, mit Frg.
60. Hesiod, Theogony, ed. with Prolegomena and commentary by M. L. West, Oxford, 1966; -Works and Days, ed. with Prolegomena and commentary by M. L. West, Oxford, 1978.
61. Homerus, Odyssea, ed. P. v. d. Mühll, Lichtenhahn, 1962.
62. Hyperides, ed. Kenyon, Oxford, 1906; J. O. Burth, Minor Attic Orators 2, Lond. Cambr. Mass. 1954, 336 და შმდგ.

63. Juvenalis, Satura, ed. L Friedlaender, Leipzig, 1895.
64. Lactantius, De Mortibus Persecutorum, ed. S. Brandt, G. Laubmann, CSEL, XIX, XXVII.
65. Lloyd-Jones H. and P. Parsons, Supplementum Hellenisticum. Berlin: De. Gruyter, 1983, 186-189; 192-193.
66. E. Lobel, D. Page, Poetarum Lesbiorum Fragmenta, Oxford, 1955.
67. Lyra Graeca, Newly Edited and Translated by J. M. Edmonds, in three volumes, London, 1967.
68. Macrobius, Saturnalia, ed. I. Willis, Lipsiae, 1963, vol. I.
69. Martialis, Epigrammaton libri, recognovit W. Heraeus, ed. correctiorem curavit J. Borovskij, Leipzig, 1976.
70. Orosius Paulus, Historiae adversum paganos, ed. C. Zangemeister, Leipzig, 1889.
71. D. L .Page, Lyrica Graeca Selecta, Oxford, 1968.
72. D. L. Page, Poetae Melici Graeci, Oxford, 1962.
73. D. L. Page, Supplementum Lyricis Graecis, Oxford, 1974.
74. Philostorgius, Historia ecclesiastica, MPG 65; ed. J. Bidez, GCS, 21, Berlin, 1913.
75. Pindari carmina cum fragmentis, ed. B. Snell, H. Maehler, p. I, Epinicia, Leipzig, 1987[8]; P. II, Fragmenta, Indices, Leipzig 1989[8].
76. Plinii C. Caecilii Secundi. Epistularum ad Traianum liber panegiricus. Recensuit M. Schuster, editionem tertiam curavit R. Hanslik. Lipsiae in aedibus B. G. Teubneri, MCMLVIII.
77. Plinius Secundus, Naturalis Historiae. Ed. C. Mayhoff, Stuttgardt, 1985.
78. Plutarchus, Vitae parallelae, ed. K. Zigler, Leipzig, 1969.
79. Properz, Gedichte, Lateinisch und deutsch von R. Helm, Berlin, 1983.
80. Sallustius, De deis et mundo, ed. G. Rochefort, Paris, 1960.
81. Semonides, ed. M. L. West, Jambi et elegi Graeci, vol. 2. Oxford, 1972: 97-109, 111-112.
82. Socrates Rhodius, Fragmenta Historium Graecorum, III, Parisils, 1849.
83. Sozomenos, Historia ecclesiastica, ed. J. Bidez, G. C. Hansen, – GCS, 50, 1960.
84. Sulpicia, Satira, PLM.
85. The Fragments of Attic Comedy, Leiden, 1957.
86. The Greek Anthology. Ed. A.S.F. Gow and D. L. Page. Cambridge, 1965. 2 vols.
87. Tibull, Gedichte, Lateinisch und deutsch von R. Helm, Berlin, 1979.
88. M. Treu, Sappho, Griechisch und deutsch, München, 1968[IV].
89. E.-M. Voigt, Sappho et Alkaeus, Fragmenta, Amsterdam, 1971.
90. Xenophon, Opera omnia, ed. Marehant, Oxford, 3 vol. 1900-
91. Zosimus, Historia nova, ed. I. Bekker, – CSHB, Bonn, 1837; ed. L. Mendelssohn, Leipzig, 1887 (Nachdr. Hildesheim, 1963) .

სამეცნიერო ლიტერატურა

92. რ. გორდეზიანი, ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში, „მიმომხილველი", 4-5, 1968.
93. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, I, თბილისი, 1988.
94. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, II, თბილისი, 1997.
95. რ. გორდეზიანი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 2002.
96. ნ. ტონია, საპფოს ფენომენი და ანტიკური ხანის ქალთა პოეზია (დის.), თბილისი, 1993.
97. ნ. ტონია, საფოს პოეტური სამყარო, თბილისი, 1991.
98. რ. ცანავა, „მდედრ ღვთაებათა ზოგიერთი ფუნქციის ინტერპრეტაციისთვის მითსა და რიტუალში", მნემე, თბილისი, 2000.
99. წმინდანთა ცხოვრება, ტომი III, შედგენაზე მუშაობდნენ დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, მაკა ბულია, მარინე ჩხეიძე, თბილისი, 2001.
100. Ю. В. Андреев, Раннегреческий полис, Ленинград, 1976.
101. Античные мыслители об искусстве, Москва, 1938.
102. Г. Бенгтсон, Правители эпохи эллинизма, Москва, 1982.
103. Т. В. Блаватская, Из истории греческой интеллигенции эллинистического времени, Москва, 1983.
104. В. Г. Борухович, История древнегреческой литературы, Москва, 1962.
105. Е. Вардиман, Женщина в древнем мире, Москва, 1970.
106. Р. Вейман, История литературы и мифология, Москва, 1975.
107. Р. Виппер, Очерки истории римской империи, Москва, 1908.
108. Б. Р. Виппер, Искусство древней Греции, Москва, 1972.
109. М. Л. Гаспаров, Поэт и поэзия в римской культуре, в кн.: Культура древнего Рима, Москва, 1985.
110. Р. В. Гордезиани, Проблемы гомеровского эпоса, Тбилиси, 1978.
111. Древнегреческая литературная критика, изд. „Наука", Москва, 1975.
112. История римской литературы, I, II, под ред.: С. И. Соболевского и др., Москва, 1962.
113. П. Киньяр, Секс и Страх, Москва „Текст", 2000.
114. Ю. Д. Колпинский, Великое Наследие античной Эллады и его значение для современности, Москва, 1977.
115. С. И. Ковалев, История Рима, Ленинград, 1986.
116. А. Кравчук, Перикл и Аспазия, Москва, 1991.
117. А. Кравчук, Закат Птолемеев, Москва, 1973.
118. А. Ф. Лосев и др., Античная литература, Москва, 1973[II].
119. А. Ф. Лосев, История античной эстетики (ранняя классика), Москва, 1963.

120. А. Ф. Лосев, История античной эстетики (Софисты, Сократ, Платон), Москва, 1969.
121. А. Ф. Лосев, История античной эстетики (высокая классика), Москва, 1974.
122. А. Ф. Лосев, История античной эстетики (Аристотель и поздняя класика), Москва, 1975.
123. Е. М. Мелетинский, Поэтика мифа, Москва, 1976.
124. А. И. Немировский, Этруски. От мифа к истории. Москва, 1983.
125. И. В. Нетушил, Обзор римской истории, Харьков, 1912.
126. Б. Низе, Очерк Римской истории и источниковедения, С.Петербург, 1910.
127. А. Б. Ранович, Эллинизм и его историческая роль, Москва-Ленинград, 1980.
128. В. С. Сергеев, История древней Греции, Москва, 1963.
129. Дж. Томсон, Исследования по истории древнегреческого общества. Доисторический и Эгейский мир. Пер.: 2-го английского изд., Москва, 1959.
130. И. М. Тронский, История античной литературы, Москва, 1983.
131. Г. Ферреро, Величие и падение Рима, т. III, Москва, 1916.
132. Е. В. Федорова, Императорский Рим в лицах, Москва, 1979.
133. О. М. Фрейденберг, Миф и литература Древности, Москва, 1978.
134. Ф. Шахермайр, Александр Македонский (пер. с немец. яз.), Москва, 1984.
135. Н. А. Чистякова, Греческая поэтесса Эрина, Вопросы античной лит. и класс. филологии, с. 223-230, Москва, 1966.
136. В. Н. Ярхо, К. П. Полонская, Античная лирика, Москва, 1967.
137. W. Aly, Praxilla. RE,s XXII, Sp. 1762 ff., 1954.
138. W. Aly, Sappho, RE, 1 A2, p. 2357, 1920.
139. M. Arthur, "From Medusa to Cleopatra: Women in the Ancient World" in (edd.) R. Bridental and C. Koontz, Becoming Visible: Women in European History, Boston, 1977.
140. M. B. Arthur, "Early Greece: The Origins of the Western Attitude toward Women", WAW, 7-59.
141. J. J. Bachofen, Die Sage von Tanaquil: eine Untersuchung über den Orientalismus in Rom und Italien, Heidelberg: Mohr, 1870.
142. J. J. Bachofen, Das Mutterrecht: Eine Untersuchung über die Gynaikokratie der alten Welt nach ihrer religiösen und rechtlichen Natur, Stuttgart: Kreis und Hoffmann, 1861.
143. L. Bährens, De Sulpiciae quae vocatur Satira, Jena, 1873.

144. J. P. V. D. Baldson, Roman Women: Their History and Habits, Bodley Head, London, 1962.
145. S. Barnard, Hellenistic Women Poets, CJ 73, 1978, 204-213.
146. H. Bengtson, Die hellenistische Weltkultur, Stuttgart, 1988.
147. H. Bengtson, Griechische Geschichte, München, 1969.
148. H. Bengtson, Römische Geschichte. München, 1988.
149. Bibel Lexikon, hrsg. von H. Haag, St. Bennoverlay, Leipzig, 1969.
150. T. Birt, Frauen der Antike, Leipzig: Quelle und Meyer, 1932.
151. S. Blundell, Women in Ancient Greece, London, 1995.
152. J. Boardman, Greek Art, London, 1973.
153. L. Bonfante, The Women of Etruria, Arethusa 6, 1973, 91-101.
154. D. von Bothmer, Amazons in Greek Art, Oxford: Clarendon, 1957.
155. C. M. Bowra, Greek Lyrik Poetry, Oxford, 1961[8].
156. C. M. Bowra, The Greek Experience, New York, 1959.
157. O. Braunstein, Die politische Wirksmankeit der griechischen Frau, Leipzig: August Hoffman, 1911.
158. E. Burck, Die Frau in der griechisch-römischen Antike, Tusculum Schriften; Munich: Heimeran, 1969.
159. W. Burkert, Greek Religion, Archaic and Classical, Basil Blackwell Publishing, 1985.
160. A. K. Burn, The Pelikan History of Greece, Penguin Books, 1966.
161. K. Christ, Die Römer, Eine Einführung in ihre Geschichte und Zivilisation, München, 1984[11].
162. J. C. Cooper, Lexicon Alter Symbole, Leipzig, (Übers. aus dem Engl.), 1986.
163. E. Crusius, Erinna, RE II. Halbband. 1907. Sp. 455.
164. Dichterinnen des Altertums und des frühen Mittelalters, Zwelsprachige Textausgabe, eingeleitet, übersetzt und mit bibliographischem Anhang versehen von Helene Homeyer, Paderborn, München, Wien, Zürich, 1979.
165. A. Dihle, Griechische Literaturgeschichte, Stuttgart, 1967.
166. A. Dihle, Die griechische und lateinische Literatur der Keiserzeit, München, 1989.
167. V. Ehrenberg, The People of Aristophanes, Oxford, 1951[2].
168. H. P. Foley, "The Conception of Women in Athenian Drama", Reflections of Women in Antiquity, London, 1986[3].
169. E. Frenzel, Motive der Weltliteratur, Stuttgart, 1980.
170. J. Geffcken, Theosebeia, RE 2. Reihe, 10. Halbbd. Sp. 2245.
171. J. Gould, "Law, Custom and Myth: Aspects of the Social Position of Women in Classical Athens", JHS, 100, 1980.

172. J. P. Hallett, "The Role of Women in Roman Elegy: Counter-Cultural Feminism", WAW, 241-263.
173. A. R. W. Harrison, The Law of Athens, The Family and Property, Oxford, 1968.
174. J. Henderson, "Women and the Athenian Dramatic Festivals", TAPA, 1991, 121.
175. J. Heurgon, Die Etrusker, Stuttgart, 1971.
176. C. Hignett, A History of the Athenian Constitution to the End of the Fifth Century B. C., Oxford, 1952.
177. N. O. Ireland, Index to Women of the World from Ancient to Modern Times: Biographies and Portraits, Westwood, Massachusetts: Faxon, 1970.
178. W. K. Lacey, The Family in Classical Greece, Ithaca: Cornell University Press, 1968.
179. K. Latte, Erinna, Nachr. der Ak. Wiss, Göttingen. Phil.-Hist. Kl. 1953, 79...
180. M. R. Lefkowitz, Heroines and Mysteries, New York, 1981.
181. M. R. Lefkowitz, M. Fant, Women in Greece and Rome, Toronto, 1977.
182. J. Leipoldt, Die Frau in der antiken Welt und im Urchristentum, Leipzig: Köhler and Amerald, 1955".
183. A. Lesky, Geschichte der griechischen Literatur, München, 1971".
184. S. Lloyd, The Art of the Ancient Near East, London, 1977.
185. G. Luck, Dichterinnen der griech. Anthologie. Museum Helveticum, IX-XI, 1954.
186. P. Maas, Korinna, RE II. Bd. 1922, Sp. 1393.
187. P. Maas, Telesilla. RE 2. Reihe. 9. Halbbd. 1934, Sp. 384-385.
188. K. Marot, Die Anfänge der Griechischen Literatur, Vorfragen, Budapest, 1960.
189. Sh. McNally, "The Maenad in Early Greek Art", WAW, 107-143.
190. Myth, Religion and Mother Right: Selected Writings of J. J. Bachofen, Bollingen Series 84; Princeton: Princeton University Press, 1967.
191. D. Page, Epigrammata Graeca, Oxford, 1975.
192. D. Page, Sappho and Alcaeus, An Introduction to the Study of Ancient Lesbian Poetry, Oxford, 1955.
193. D. and E. Panofsky, Pandora's Box; The Changing Aspects of a Mythical Symbol, Bollingen Series 52; New York: Panetheon, 1956.
194. C. B. Patterson, Pericles' Citizenship Law of 451-50, The Ayer Company, 1981.
195. R. Pfeiffer, Geschichte der Klassischen Philologie von den Anfängen bis zum Ende des Hellenismus. Über. aus dem Englischen, Hamburg, 1970.

196. Pitt Rivers, The Fate of Schechem or the Politics of Sex, Essays in the Anthropology of the Mediterranean, Cambridge, 1977.
197. S. B. Pomeroy, Goddesses, Whores, Wives and Slaves, Women in Classical Antiquity, New York, 1975.
198. S. B. Pomeroy, Supplementary Notes on Erinna, ZPE 32, 1978, 17-22.
199. S. B. Pomeroy, Frauenleben im Klassischen Altertum, Stuttgart, 1985.
200. E. Reed, Problems of Women's Literation, New York: Pathfinder Press, 1970.
201. R. Reitzenstein, Anyte, RE 2. Bd. Sp. 2654 ff. .
202. Zs. Ritook, Dichterweihen, Acta Classica, VI, 1970.
203. K. M. Rogers, The Troublesome Helpmate: A History of Misogyny in Literature, Seattle: University of Washington Press, 1966.
204. H. Saake, zur Kunst Sapphos, Motivanalytische Interpretationen, München (Paderborn), Wien, Schöningh, 1971.
205. H. Saake, Sapphostudien, forschungsgeschichtliche, biographische und literaturästhetische Untersuchungen, München (Paderborn), Wien, Schöningh, 1972.
206. F. Schachermeyr, Die Minoische Kultur des alten Kreta, Thera und das Mykenische Hellas, München, 1973².
207. W. Schadewaldt, Sappho, Welt und Dichtung, Dasein in der Liebe, Potsdam, 1950.
208. D. M. Schaps, Economic Rights of Women in Ancient Greece, Edinburgh, 1979.
209. F. Scheidweiler, Erinnas Klage. Philologus 100, 1956.
210. Ch. P. Segal, Pebbles in Golden Urns: The Date and Style of Corinna, Eranos 73, 1975.
211. I. Seibert, Die Frau im Alten Orient, Leipzig, 1973.
212. C. Seltman, Women in Antiquity, London and New York: Thames and Hudson, 1956.
213. Br. Snell, Die Entdeckung des Geistes, Göttingen, 1975.
214. C. G. Starr, The Origins of Greek Civilization, London, 1961.
215. E. S. Stigers, "Sappho's Private World", Women's Studies 8, 1981, 49-63.
216. Fr. Stoessl, Die Vorgeschichte des griechischen Theaters, Darmstadt, 1987.
217. H. Thesleff, The Pythagorean Texts of the Hellenistic Period. Åbo: Åbo Akademi, 1965.
218. L. Tiger, Men in Groups, New York, 1970.
219. M. Treu, Sappho, RE, Suppl. Bd. XI, 1968, 1228.
220. M. Treu, Von Homer zur Lyrik, München, 1968.

221. J. Vogt, Von der Gleichvertigkeit der Geschlechter in der bürgerlichen Gesellshaft der Griechen. Akademie der Wissenschaften und der Literatur in Mainz, Abhandlungen der Geistes und Sozialwissenschaft, Weisbaden, 1960.
222. L. B. Warren, "The Women of Etruria", WAW, 229-241.
223. T. B. L. Webster, Athenian Culture and Society, Berkeley, 1973.
224. T. B. L. Webster, The Greek Chorus, London, 1970.
225. E. Ch. Welskopf (Hrsg.), Hellenische Poleis. Krise-Wandlung-Wirkung, 1-4, Berlin, 1974.
226. D. Wender, "Plato: Misogynist, Paedophile and Feminist", WAW, 213-229.
227. M. L. West, Erinna, ZPE 25, 1977.
228. Women in the Ancient World. The Arethusa Papers, ed. J. Peradotto and J. P. Sullivan, New York, 1984.
229. F. A. Wright, Feminism in Greek Literature, Port Washington, New York: Kennikat, 1969.
230. V. Zinserling, Die Frau in Griechenland und Rom, Leipzig, 1972.

შემოკლებები

აცა	ავგუსტუსთა ცხოვრებების ავტორები = Авторы жизнеописаний Цезарей
ეპიტომე	რომაელ იმპერატორთა ცხოვრების და ზნეთა ეპიტომე = Извлечения о жизни и нравах Римских императоров
ღას	ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი = Деяния Божественного Августа
ВДИ	Вестник Древней Истории
ХР	Христианство, Энциклопедический словарь
AG	Anthologia Graeca, hrsg. von H. Beckby. 4 Bände, München 1957-58.
CJ	Classical Journal
CSEL	Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum
CSHB	Corpus Scriptorum Historiae Byzantinae
D	Anthologia Lyrica. Ed. E. Diehl, 2 Bände (6 fasc.), 2 Aufl., Leipzig, 1934-42.
DELG	P. Chantraine, Dictionnaire étymologique de la langue grecque, Histoire des mots, t. I-IV-2, Paris, 1968-1980.
Ep.	Epistula
FHG	Fragmenta Historicorum Graecorum
GCS	Die griechischen christlichen Schriftsteller der ersten Jahrhunderte
JHS	Journal of Hellenic Studies
K.P.	Der Kleine Pauly, Lexikon der Antike
LP	E. Lobel, D. Page, Poetarum Lesbiorum Fragmenta, Oxford, 1955.
MPG	J. P. Migne, Patrologiae cursus completus, series graeca
OCD	Oxford Classical Dictionary
P	Poetae Melici Graeci. Ed. D. L. Page, Oxford, 1962.
P. Ox.	Papirus Oxyrinchus
RE	Pauly's Realenciclopädie der klassischen Altertumswissenschaft.
RML	Ausführliches Lexicon der griechischen und römischen Mythologie.
TAPA	Transactions of the American Philological Association
WAW	Women in the Ancient World. The Arethusa Papers, Ed. J.Peradotto and J. P. Sullivan, New York, 1984.